

2462
K-3

რ უსთავყოლის

კ ვ კ ვ დ ს

მაგრიბლოუნი
კუ ლ ტ უ რ ა



პორედაქციო
პროფ. ივ. ჯავახიშვილი

*

Издательство
„Техника и Шрома“
Тбилиси
1938

902.6 (C41)

მ. 2020-128554.

SK 2462
3



თან არ განსვას

პროფ. ივ. ჯავახიშვილის
მ. გ. ჯ. კ. ა. ი. ი. თ.

მ. ა. მ. მ. * მ. ლ. მ. მ.
მ. გ. მ. მ. მ. მ. მ. მ.
1 9 / 3 8



წინასიტყვაობა

წინამდებარე წიგნი შ. რუსთაველის ხანის საქართველოს მატერიალური კულტურის გასათვალისწინებლად დაწერილი ნაკვლევების კრებულს წარმოადგენს. როგორც თვით ამოცანა, ისევე მისი მოცულობაც შ. რუსთაველის 750 წ. დღესასწაულისათვის განკუთვნილი გამოფენის მატერიალური კულტურისა და ყოფა-ცხოვრების სექტორის მოწყობასთან არის დაკავშირებული. აქ უნდა წარმოდგენილი ყოფილიყო იმდროინდელი საქართველოს მაღალი კულტურული დონე, როგორც მეურნეობაში, ისევე ყოფაცხოვრებაშიაც. ეს ამოცანა მეტად პასუხსაგებასა და ძნელად ასასრულებელს დავალებას წარმოადგენდა, რათგან საქართველოს წარსული, მეურნეობისა და მეტადრე მატერიალური კულტურის ისტორიის თვალსაზრისით, თითქმის სრულებით შესწავლილი არ იყო. ყოველ გამოფენას იმდროინდელი კულტურის დონის გამომკვლავნებელი და თვალსაჩინოდ მაუწყებელი ექსპონატები უნდა ჰქონდეს, საქართველოს მუზეუმებს-კი ასეთი გამოფენის მოსაწყობად გამოსადეგი მასალა თითქმის არ მოეპოვებოდა. ამიტომ ყველაფერი, რაც-კი მოკლე დროის განმავლობაში მოხერხდებოდა, უნდა მოპოვებული, შესწავლილი და გამოფენილი ყოფილიყო. დავალებული საქმისათვის დროის მეტისმეტი სიმცირე თავისდა-თავად დასახული ამოცანის განხორციელებას საზღვარს უდებდა, რათგან, ცხადია, ასეთს ხანმოკლე ვადაში შ. რუსთაველის დროის საქართველოს მაღალხარისხოვანი და მრავალფეროვანი მატერიალური კულტურისა და ყოფა-ცხოვრების სასურველი სისრულით ასახვა და წარმოდგენა, შეუძლებელი იყო. ზემოაღნიშნულმა გარემოებამ მაიძულა მეურნეობის დარგი მემინდვრობის კულტურისა და მევენახეობის იმდროინდელი ვაზის ჯიშის განხილვით შემომეფარგლა. პირველი ამოცანის შესწავლა პროფ. ლ. ლ. დეკაპრელევიჩის ჰქონდა მინდობილი, რომელმაც ორი გამოკვლევა წარმოადგინა: „შოთა რუსთაველის ეპოქის მინდვრის უმთავრესი კულტურები“ და „შოთა რუსთაველის ეპოქის მიდვრის ზოგიერთი უმთავრესი კულტურის სამეურნეო მნიშვნელობა“—„Главнейшие полевые культуры эпохи Шота Руставели“ და „Хозяйственное значение некоторых главнейших культур эпохи Шота Руставели“.—ვაზის იმდროინდელი ჯიშების შესწავლა პროფ. სოლ. ჩოლოყაშვილს ჰქონდა მინდობილი, რომელსაც დაწერილი აქვს კიდევაც „მასალები საქართველოს XII—XIII ს. ვაზის ჯიშის საკითხისათვის“. რაკი შ. რუსთაველის ხანის მესაქონლეობის შესწავლა მეტად რთულს ამოცანას წარმოადგენს, ამ დარგიდანაც მხოლოდ ორი საყურადღებო საკითხი ამოვარჩიე: ცხენის და ცხვრის იმდროინდელი ჯიშები საქართველოში. პირველი ამოცანის განხორციელება ვერ მოხერხდა, მეორეც — შესაძლებელი იყო მარტო

ნაწილობრივ ყოფილიყო განხილული, მიზნად ე. წ. „თუშური“ და „იმერული“ ცხვრის ჯიშებრივი შესწავლა და წარმოშობილობა იყო დასახული, მაგრამ აქაც ფარგლების უფრო ვიწროდ შემოზღუდვა გახდა აუცილებელი და ნაშრომს უნდა წოდებოდა „მასალები ქართული ცხვრის შესწავლისათვის“, რომელიც მ. ხ. რჩეული შვილის მიერ არის დაწერილი.

საქართველოს მატერიალური კულტურის ერთ-ერთ უაღრესად საყურადღებო ამოცანათაგანს წყალსადენისა და სარწყავი არხების საკითხი შეადგენს, რომლის შესწავლაზე ჩვენში არავის უფიქრია. ისტორიული ცნობებისა და საბუთების მიხედვით ამ ხანის ასეთ ნაგებობათა ძეგლებად 1202 წ. სხალტა— შიომღვიმის წყალსადენი და ალაზნისა და სამგორის არხები იყო მისაჩნვეი. რაკი პირველი მათგანი მიწის ქვეშაა მოქცეული, ამიტომ სხალტა— შიომღვიმის 1202 წ. წყალსადენის შესწავლა არქეოლოგიურისაცა და ჰიდროტექნიკური თვალსაზრისითაც წარმოებდა. ზემოაღნიშნული საკითხის ჰიდროტექნიკური თვალსაზრისით გამოკვლევა დოც. ალ. ლოსაბერიძეს ჰქონდა დავალებული, რომელმაც წარმოებულ კვლევა-ძიების შედეგად დასწერა ნაშრომი „ძველი წყალსადენისა და არხების ნაშთები“. ხოლო სხალტა— შიომღვიმის 1202 წ. წყალსადენის არქეოლოგიური გათხრა „შ. რუსთაველისა და მისი ეპოქის მუზეუმის“ უფროს მეცნიერ მუშაკს შალვა ხიდაშელს ჰქონდა დაკისრებული, რომელსაც ამ არხის გათხრის ანგარიში აქვს დაწერილი.

საქართველოს მატერიალური კულტურის ისტორიისათვის ფრიად საინტერესო საკითხს, რასაკვირველია, მიმოხვლისა და სავაჭრო გზები და ამასთან დაკავშირებით ძველი საქართველოს ზღვების ნაგებობა წარმოადგენს და გამოფენისათვის მშენებლობის ამ დარგის მასალების მოსაპოვებლადაც უნდა ყოფილიყო გაწეული მუშაობა. სამწუხაროდ გზების შესახებ მონოგრაფია ვერ მოესწრო, ერთი XI—XII ს. ხიდი-კი, რომელიც მდ. ბესლეთზეა, სოხუმის მახლობლად, გაზომილი და შესწავლილი იყო. ეს ხიდი წინათ „ვენეტიკის“, ანდა „გენუის“ ხიდად იყო სახელდებული; პროფ. გ. ჩუბინაშვილის ღვაწლია, რომ ამ ხილზე დიდი ასომთავრული მხატვრული დამწერლობით ამოკვეთილი ქართული წარწერა აღმოაჩინა და ამით საბოლოოდ დამტკიცდა, რომ ეს ხიდი ქართული მატერიალური კულტურის უცილობელი ძეგლია. ასოთა პალეოგრაფიული თვისებები ამ ხიდს XI—XII ს-ად ხდის. სამწუხაროდ, წარწერის მეორე ნაწილის შემცველი ქვების ჩამოციებისა და უკვალოდ დაკარგვის გამო, ხიდის ამგების ვინაობა გამოურკვეველი რჩება. ამ ხიდის შესწავლა ხუროთმოძღვრებს ლ. რჩეული შვილსა და ნ. ჩუბინაშვილს ჰქონდათ დავალებული, რომელთაც ინჟ.-კონს. ე. მარსოვის მიერ შედგენილი ამ ხიდის გრაფიკული გამოანგარიშებითურთ თავიანთი განაჯომის განმარტებითი ბარათი წარმოადგინეს

XI—XIII ს. საქართველოში აღებმიცემობისა და ფულის ტრიალის გასათვალისწინებლად დოც. თამარ ლომოურს დავალებული ჰქონდა მონოგრაფიის დაწერა „ფული შოთა რუსთაველის ეპოქაში“. დავალება შესრულებულ იქმნა და იმდროინდელს ქართულ და უცხო ფულებზე ყველა ცნობებთან ერთად ნაშრომს საქართველოში ნაპოვნი XI—XIII ს. ფულის განძის მიმოხილვა და ტაოგრაფიაც აქვს დართული.

საქართველოს ქალაქების ნაგებობათა, მოწყობილობისა და ყოფაცხოვრების წარმოსადგენად ჩვენ არავითარი ნივთიერი ნაშთი არ მოგვეპოვებოდა. უამისოდ-კი შ. რუსთაველის ხანის კულტურის ასახვა გამოფენაზე სრულებით შეუძლებელი იყო. ამ უდიდესი ნაკლის აშორება მხოლოდ რომელიმე ნაქალაქარის გეგმიანი ფართო არქ. გათხრით შეიძლებოდა. ამიტომაც იყო, რომ საიუბილეო გამოფენის გეგმაში ნაქ. დმანისის, იმდროინდელი საქართველოს მნიშვნელოვანი სავაჭრო ცენტრის, გათხრა იყო შეტანილი და ორი ზატეხულის განმავლობაში ფართო მასშტაბით კიდევაც სწარმოებდა. ამ არქ. გათხრის წარმოება შ. რუსთაველის მუზეუმის უფროს მეცნიერ მუშაკს ლ. მუსხელი-შვილს ჰქონდა დავალებული. გათხრამ მოლოდინი გაამართლა და გამოფენას არაერთი საყურადღებო ექსპონატი და სურათი შესძინა. გაწეული მუშაობის წინასწარი ანგარიშის მაგიერ დაწერილი ლ. მუსხელი-შვილის ნაშრომი „დმანისი, ქალაქის ისტორია და ნაქალაქარის აღწერა“ მკითხველს ამ საინტერესო ადგილისა და საქმის უაღრეს მნიშვნელობას საქართველოს მატერიალურ კულტურის ისტორიისათვის ნათლად წარმოუდგენს: უკვე მოპოვებული შედეგიც საყურადღებოა, უეჭველია, უფრო საყურადღებო იქნება იგი, როდესაც მთელი დმანისის გათხრა დამთავრდება.

დასასრულ საცხოვრებელი სახლებისა და სამეურნეო ნაგებობათა შესახებაც. თუ დმანისმა ამ მხრივ უკვე ზოგი რამე შეგვიძინა, ჩეტადრე სამეურნეო დანიშნულების შენობების სახით, და იმდროინდელი აბანოების გეგმისა და მოწყობილობის გამორკვევის საშუალება მოგვცა, იქ სასახლეების, მეტადრე სამეფო დარბაზების, აღმოჩენის იმედი არ შეიძლება გვექონოდა. ერთად-ერთი ადგილი, სადაც იმ ხანის სამეფო სასახლის ნაშთია შერჩენილი, გეგუთია და სწორედ ამიტომაც საიუბილეო კომიტეტის საგამოფენო გეგმაში გეგუთის ნანგრევების არქ. გათხრა იყო შეტანილი. სამწუხაროდ, ამ საქმის მხოლოდ დაწყება მოესწრო, უდიდესი ნაწილი-კი გასათხრელია და ახლო მომავალისათვის არის გადადებული. გეგუთის არქეოლოგიურ გათხრას ლ. მუსხელი-შვილი აწარმოებდა ხუროთმოძ. ვ. წილოსანთან ერთად, რომელსაც გეგუთის „ციხე-დარბაზის“, ქართული ხუროთმოძღვრების ამ იშვიათი ძეგლის შესახებ, წინასწარი მოხსენების მაგიერად თავისი მოსაზრებანიც აქვს გამოთქმული, გეგმაც შედგენილი აქვს და რეკონსტრუქციის ცდაც მოეპოვება.

ყველა ეს ნაშრომები ერთ კრებულად დაიბეჭდა. ამ კრებულის ზემოდასახელებულ წერილებს ამოცანისაცა და განხილული საკითხების ხანის იგივეობაც აერთებს და მკითხველს XI—XIII ს. საქართველოს მატერიალური კულტურის ვითარების გათვალისწინებას ნაწილობრივ მაინც გაუადვილებს. ცხადია, რომ იმ მოკლე დროში, რომელიც ყველა ამ ამოცანების შესწავლისათვის მკვლევართ ჰქონდათ, საკითხების ამომწურავი პასუხის გაცემა არ შეიძლებოდა, მაგრამ, ამისდა მიუხედავად, მკითხველი ამ კრებულში მოთავსებული ნაშრომების წაკითხვის შემდეგ საქართველოს კულტურის წარსულის შესახებ ბევრს სრულებით ახალსა და ფრიად საყურადღებო ცნობებს შეიძენს. პირველი მაგალითია ჩვენში, რომ საქართველოს ისტორია ამ უვალსაზრით არის განხილული და ერთსა და იმავე დროს მატერიალური კულტურის სხვადასხვა დარგის ვითა-

რების წარმოსადგენად ესოდენ საგულისხმო პრობლემებია გადაშლილი. ამიტომ გულწრფელი მადლობის ღირსია საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი და შ. რუსთაველის საიუბილეო მთავარი კომიტეტი, რომელთაც თავიანთი ავტორიტეტული დახმარებითა და უხვი ქონებრივი სახსრების გამოდებით ამ გეგმის განხორციელება შესაძლებელი გახადეს.

მხურვალე მადლობა აგრეთვე გამომცემლობა „ტიქნიკა და შრომა“-ს მუშაკებს, ამხ. ნ. დუნდუას და ამხ. შ. აფხაიძეს, რომელთაც არაფერი არ დოუხოვიათ, რომ ეს კრებული კარგად და საუკეთესოდ გამოცემული ყოფილიყო.

ივ. ჯავახიშვილი

თბილისი 1988 წ. 27. II

პოთუ. ლ. ლ. დეკაპრელოვიჩი :

შ თ თ ა
რუსთაველის
ე ბ თ ი ს
მინდვლის
უძთავერსა:
ხულოცულები

ადამიანს „გადააქვს კულტურულ მცენარეები და გადააქვს შინაური ცხოველები ერთი ქვეყნიდან მეორეში და ამრიგად სცვლის ქვეყნის მთელი ნაწილების ფლორასა და ფაუნას“:

ენ გ ე ლ ს ი — „ბუნების დიალექტიკა“.

შოთა რუსთაველის ეპოქის კულტურები

საქართველოს მინდვრის კულტურები წარმოშობის ადგილის მიხედვით ოთხ ჯგუფად შეიძლება დაიყოს:

1. კულტურები, რომელთა ფორმების წარმოქმნა თვით საქართველოში ან მის მოსაზღვრე წინა აზიის ქვეყნებში წარმოებდა. ესენი ყველაზე უძველესი კულტურებია. მათ რიცხვს ეკუთვნიან: ხორბლის სხვადასხვა სახეობა, ქერი, ჭვავი (როგორც მინდვრის სარეველა მცენარე); პარკოსნებიდან — ცერცვი, ბარდა, მუხუდო, ოსპი, ცულისპირა, ძაძა; სართავი კულტურებიდან — სელი, კანაფი.

2. კულტურები, რომელნიც შემოტანილ იქნენ საქართველოში სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიიდან ძალიან შორეულ ეპოქაში. ამ ჯგუფს ეკუთვნიან: ღომი, ფეტვი, ქერიმა, ძურწა-ფეტვი (უკანასკნელი როგორც მინდვრის სარეველა მცენარე).

3. ამერიკიდან XVII—XVIII საუკუნეში შემოტანილი კულტურები. მათ რიცხვს ეკუთვნიან: სიმინდი, ღობიოს ამერიკული სახეობანი, გოგრა და სხვ.

4. XIX საუკუნის განმავლობაში შემოსული, უმთავრესად ამერიკიდან, კულტურები. ამ ჯგუფში შედიან: კარტოფილი, თამბაქო, სოია, ბამბის ამერიკული სახეობა, მხესუმზირა. ბოსტნეულიდან — პომიდორი და სხვ.

თავისთავად ცხადია, რომ შოთა რუსთაველის ეპოქაში მხოლოდ პირველი ორი ჯგუფის მცენარეები მუშავდებოდა. იმ დროის მინდვრებზე პურეული მცენარეებიდან კილიანი კულტურები — ფეტვი, ღომი, ქერიმა, თავისებური კილიანი ხორბლები და ქერი სჭარბობდნენ.

ხორბლებიდან უმთავრესად გავრცელებული იყო თავისებური კილიანი სახეობანი, მაგრამ მათთან ერთად უკვე მნიშვნელოვანი ადგილი ეკავათ რბილი ტიტველთესლიანი ხორბლის ჯიშებს, რომლებმაც შემდეგში თითქმის მთლიანად გააძევეს კილიანი ხორბლები. ჭვავი მუშავდებოდა მხოლოდ როგორც მინდვრის სარეველა მცენარე. პარკოსნებიდან განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდათ ცერცვს, ბარდას, ოსპს.

XVII და XVIII საუკუნეში ამერიკიდან „მოსულმა“ კულტურებმა ძლიერ შესცვალეს იმ ეპოქის კულტურული ფლორა და ამორიგენული კულტურები უფრო მალე რაიონებში გააძევეს. განსაკუთრებით ფართოდ გავრცელდნენ „ამერიკელები“ დასავლეთ საქართველოში.

მაგრამ, მიუხედავად ამისა, სწორედ დასავლეთ საქართველოში შერჩნენ ხორბლის ყველაზე ძველი ამორიგენული ორიგინალური სახეობანი.

ხორბალი

ხორბლის სახეობრივი შემადგენლობა საქართველოში. საქართველოს ხორბლების ბოტანიკურ-აგრონომიულმა შესწავლამ, რომელიც უკანასკნელი 15 წლის განმავლობაში ტარდებოდა, შესაძლებელი გახდა ისეთი ფაქტების დადგენა, რომელიც მნიშვნელოვნად სცვლის აკად. ვავილოვის პირვანდელ თეორიას „დედამიწის ამ უმნიშვნელოვანესი პურეულის“ წარმოშობის ადგილის შესახებ (წარმოშობის ორი ცენტრი: 1. აბაშეთი (აბისინია) და 2. სამხრეთ-დასავლეთი აზია).

უპირველეს ყოვლისა აღმოჩნდა, რომ საქართველო აშკარად გამოირჩევა სხვა ქვეყნებს შორის ხორბლის კულტურულ სახეობათა მაქსიმალური რაოდენობით.

ხორბლის 12 კულტურული სახეობიდან, რომელზედაც თანამედროვე სისტემატიკოსები (ფლაქსბერგერი) გვარს *Triicum*-ს ჰყოფენ, საქართველოში 10 სახეობა გვხვდება.

ქვემოთყვანილი ტაბულა წარმოდგენს იძლევა საქართველოს ხორბლების სახეობრივი შემადგენლობის შესახებ სხვა ქვეყნებთან შედარებით.

№ რიგ.	კულტურული ხორბლის სახეობანი	საქართველო	სომხეთი ¹	აზერბაიჯანი, ჩაინი, მზარით ²	თურქეთი ³	აფიკის ⁴	აბაშეთი ⁵
1	<i>Tril. vulgare</i> Host	+	+	+	+	+	+
2	„ <i>compactum</i> Host	+	+	+	+	+	+
3	„ <i>sphaerococcum</i> Perc.	-	-	-	-	-	-
4	„ <i>spelta</i> L.	-	-	-	-	-	-
5	„ <i>macha</i> Desapr. et Men.	+	-	-	-	-	-
6	„ <i>durum</i> Desf. ⁶	+	+	+	+	-	+
7	„ <i>turgidum</i> L.	+	+	+	+	+	+
8	„ <i>polonicum</i> L.	+	-	-	+	-	+
9	„ <i>persicum</i> Vav.	+	+	-	+	-	-
10	„ <i>dicoccum</i> Schübl.	+	+	+	+	-	+
11	„ <i>Timopheevi</i> Zhuk.	+	-	-	-	-	-
12	„ <i>monococcum</i> L.	+	+	+	+	-	-
	სულ ხორბლის კულტურული სახეობა	10	7	6	8	3	6
	ხორბლის ველურად მოზარდი სახეობანი						
13	<i>Tril. spontaneum</i> Flaks.	-	+	+	+	-	-
14	„ <i>dicoccoides</i> Körn	-	+	+	+	-	-
	სულ ხორბლის კულტურული და ველურად მოზარდი სახეობანი	10	9	8	10	3	6

¹ М. Г. Туманян. — Определитель хлебных злаков. Ереван. 1933 г.

² Н. Н. Кулешов. — Экспедиция в Азербайджан в 1926 и 1927 гг.

³ П. М. Жуковский. — Земледельческая Турция. 1933 г.

⁴ Н. И. Вавилов и Д. Букинitch. — Земледельческий Афганистан. 1928 г.

⁵ Н. И. Вавилов. — Пшеницы Абиссинии. 1931 г.

⁶ Tr. orientale Perc. და Tr. pyramidale Perc. ჩათვლით.

აღნიშნული 10 სახეობიდან, საქართველოში რომ გვხვდება, ყველას ერთნაირი მნიშვნელობა არა აქვს. ზოგიერთი მათგანის გავრცელების არეალი მეტად შეზღუდულია ან მხოლოდ მარტო ნარევის სახით გვხვდება, მაგრამ თვით ის ფაქტი, რომ შედარებით პატარა ტერიტორიაზე თავმოყრილია ხორბლის კულტურულ სახეობათა ასეთი დიდი რაოდენობა, კარგ მაჩვენებელს წარმოადგენს იმისას, რომ საქართველო ახლოა ამ მცენარის ფორმათაწარმოქმნის პირველად კერებთან.

საქართველოს ხორბლების ენდემური და რელიქტური ფორმები. მეორე, არა ნაკლები მნიშვნელობის მომენტს ხორბალთა წარმოშობის ადგილების შესახებ მსჯელობისათვის წარმოადგენს ის ფაქტი, რომ საქართველოში მოიპოვება ხორბლის ორიგინალური ენდემური სახეობანი, რომელთა მოყვანას მსოფლიოში სხვაგან არსად მისდევენ. საქართველოში შენახულია ორი ასეთი სახეობა („მახა“ და „ზანდური“) და მათ გარდა ცნობილია აგრეთვე რამდენიმე უფრო წვრილი სისტემატიკური ერთეული (*Tr. dicoccum ssp. georgicum* და სხვ.¹)

ერთი ამ ენდემთაგანი — ზანდური (*Tr. Timopheevi*) გენეტიკური განცალკევებულობით ხასიათდება (ძნელად ჯვარდება ხორბლის სხვა სახეობებთან).

წმინდა ქართულ ენდემურ ფორმას გარდა საქართველოს ტერიტორიაზე მოჰყავთ ენდემური სახეობა *Tr. persicum*, გავრცელების უფრო ფართო არეალით, რომელშიაც შედის სომხეთი, ჩრდილო-აღმოსავლეთი ოსმალეთი და დაღისტანი, მაგრამ რომლის უდიდესი რასობრივი ნაირსახეობა მაინც საქართველოში მოიპოვება.

ამათვე შეიძლება მივაკუთვნოთ გვაწა-ზანდურიც (*Tr. monococcum*), რომელიც ენდემურ სახეობას წარმოადგენს წინა აზიისათვის.

ზემოდასახელებული ფორმების ნაწილი შეიძლება განხილულ იქნეს როგორც რელიქტური ფორმებიც, ე. ი. როგორც ძველი ფორმები, რომლებიც ძველად უფრო ფართოდ იყო გავრცელებული, ახლა კი თანდათანობით ქრება და რომელნიც აქამომდე შედარებით შეუცვლელი სახით არიან შენარჩუნებული.

სულ ამჟამად საქართველოში ითვლება ორი ვიწროენდემური სახეობა, ორი სახეობა უფრო ფართო წინა-აზიის არეალით და ერთი ასლის ვიწროენდემური ქართული ქვესახეობა.

ხორბლის ფორმათაწარმოქმნის საქართველოს კერა და ხორბლის კულტურის სიძველე. ხორბლების ყველაზე დიდი სახეობრივი ნაირნაირობა და აგრეთვე ენდემური და რელიქტური ფორმების არსებობა მათ შორის ნებას გვაძლევს ვილაპარაკოთ ხორბლების ფორმათაწარმოქმნის საქართველოს კერის შესახებ. აკად. ვაგილოვის ერთერთ თავის უკანასკნელ ნაშრომში უკვე გარკვევით აქვს გამოთქმული აზრი ამის ირგვლივ, მიუთითებს რა, რომ საქართველო და სომხეთი „შედიან ხორბლების სახეთაწარმოქმნის ძირითად ოლქში“.

ყველა ეს ამოწმებს ხორბლის კულტურის ძალიან დიდ სიძველეს საქართველოში და, გარდა ამისა, იმასაც, რომ იგი იქმნებოდა ან საქარ-

1) პირველად აღწერილია ვ. სუბატაშვილის მიერ, როგორც *Tr. dicoccum v. chwamlicum*.

თველოს ტერიტორიაზე ან, ყოველ შემთხვევაში, მის მოსაზღვრე და მასთან ძალიან მახლობელ ქვეყნებში.

უკანასკნელი წლების არქეოლოგიური განთხარები ადასტურებს ამას. დასავლეთ საქართველოში ხიმინჯებიანი შენობების ნარჩენებში ნაპოვნია ხორბლისა და სხვა კულტურულ მცენარეთა მარცვლები, ყურძნის წიპწები, წიფლის წიწიბო და რკო, და აგრეთვე მარცვლის დასაფხენელი ქვები. ეს ნაპოვარი ნეოლითს ეკუთვნის (რამდენიმე ათასი წლის წინ ჩვენ წელთაღრიცხვამდე).

წინა აზიისათვის (ბაბილონი) Werth მიუთითებს, რომ დაახლოვებით 3000—3100 წლის წინათ ჩვენ წელთაღრიცხვამდე იქ ცნობილი იყო ხორბალ-ორმარცვლიანა ასლის (*Tr. dicoccum*) კულტურა.

ზემომოყვანილ მონაცემთა საფუძველზე შეიძლება ვიფიქროთ, რომ ხორბლის დამუშავება - მოყვანა ამაზე გვიან არ უნდა იყოს დაწყებული. შოთა რუსთაველის ეპოქაში კი (XII საუკუნე), ბუნებრივი და შეგნებული შერჩევის შედეგად, უკვე არსებობდა ხორბლის სახეობათა და სახესხვაობათა საკმაოდ დიდი რაოდენობა, რომელთაც ჰქონდათ თავისი განსაკუთრებული სახელწოდებანი და რომელთაც კარგად არჩევდნენ იმ დროის მიწათმოქმედნი.

პროფ. ი. ჯავახიშვილის მიერ შეგროვილი ისტორიული და ლინგვისტური მონაცემები და აგრეთვე ხორბლის ცალკეულ სახეობათა ბოტანიკური შესწავლის შედეგები შესაძლებლობას გვაძლევს დავადგინოთ, საკმარისი დამარწმუნებლობით, რომ შოთა რუსთაველის ეპოქაში ხორბლის შემდეგი სახეობანი მუშავდებოდა:

- 1) *Tr. vulgare*—რბილი ხორბალი, რამოდენიმე ჯიში,
- 2) *Tr. persicum*—დიკა,
- 3) *Tr. dicoccum*—ასლი,
- 4) *Tr. Timopheevi*—ზანდური,
- 5) *Tr. macha*—მახა,
- 6) *Tr. monococcum*—გვაწა-ზანდური და
- 7) *Tr. compactum*—ქონდარა ხორბალი.

ეს უკანასკნელი სახეობა, ალბათ, თითქმის მარტო ნარევის სახით გვხვდებოდა.

ვინაიდან ისტორიულ ლიტერატურაში არ მოიპოვება მითითება *Tr. durum*, *Tr. turgidum* და *Tr. polonicum*-ის კულტურის შესახებ საქართველოში XVII საუკუნის დასაწყისზე ადრე, ეს გარემოება ნებას არ გვაძლევს შევიტანოთ ისინი შოთა რუსთაველის ეპოქის მცენარეთა სიაში. მიუხედავად ამისა მაინც შეიძლება ეჭვი შევიტანოთ მათ სრულ უპოვარობაში საქართველოში ჩვენთვის საინტერესო ეპოქაში, რადგანაც თავთუხები (*Tr. durum*) მოსაზღვრე თურქეთში, პ. მ. ყუკოვსკის მიხედვით, უფრო მეტადაა გავრცელებული, ვიდრე რბილი ხორბლები და, როგორც ჩანს, იგი იქ ახალი კულტურა არ უნდა იყოს. მაინც სანამ არ გვექნება გარკვეული ცნობები მათი კულტურის შესახებ საქართველოში, იმ დროში მაგარი ხორბლების ჯგუფის შეტანა ზემომოყვანილ სიაში შესაძლებლად არ მიგვაჩნია.

I. რბილი ხორბალი

Tr. vulgare Host.

ა) ჯივი „იფქლი“. ხორბლის ერთერთ უძველეს ქართულ სახელწოდებას, პროფ. ი. ჯავახიშვილის გამოკვლევით, „იფქლი“ წარმოადგენს. ამ სიტყვით იყო გადმოთარგმნილი ბერძნული სიტყვა *σίτος* (სიტოს) ჩვენი წელთაღრიცხვის V საუკუნეში.

ეს სახელწოდება ჩვენ დრომდეცაა შენახული, მაგრამ მხოლოდ ორ, შედარებით პატარა რაიონში, სახელდობრ: დასავლეთ საქართველოში — რაჭა-ლეჩხუმში და აღმოსავლეთ საქართველოში — ხევსურეთში.

ის ფაქტი, რომ ეს სახელწოდება შენარჩუნებულია ერთიმეორისაგან აღდნად დაცილებულ და განცალკევებულ რაიონებში, მიუთითებს იმაზე, რომ ოდესღაც იგი ფართოდ იყო გავრცელებული და საერთო იყო მთელი საქართველოსათვის, შემდეგ კი, შეიძლება ახალი ჯიშების გაჩენის შედეგად, გამოძევებულ და დავიწყებულ იქნა.

ხევსურეთში სიტყვა „იფქლს“ ამჟამად უწოდებენ განსაკუთრებით სუფთა, ჭვავისაგან დაუსარეველიანებელ ხორბალს¹.

რაჭა-ლეჩხუმში ამ სახელით აღნიშნავენ ფხიანი წითელმარცვლიანი ხორბლის განსაზღვრულ ჯიშს. ეს ჯიში წარმოადგენს ორი ბოტანიკური სახესხვაობის — თეთრთავთავიანისა (*var. erythrospermum*) და წითელთავთავიანის (*var. ferrugineum*) ნარევს. სპარბობს მაინც პირველი. საშემოდგომო ფორმაა, დიდთავთავიანია, მაღალია, ფართოფოთლებიანი, შედარებით დიდმარცვლიანი და ტენისმოყვარული. ეკოლოგიურად შეგუებულია ტენიან რაიონებთან. აღმოს. საქართველოში ძლიერ ზიანდება სოკოვან ავადმყოფობათაგან.

ბ) ხულუგო. ეს სახელწოდება არ გვხვდება საქართველოს ძველ ლიტერატურაში. იგი პირველად მოხსენებული აქვს თავის ლექსიკონში საბა სულხან ორბელიანს. მიუხედავად ამისა ჩვენ ამ ხორბალს ვაკუთვნებთ შოთა რუსთაველის ეპოქას იმის გამო, რომ იგი წარმოადგენს „იფქლის“ უფხო ანალოგს. „იფქლისაგან“ იგი თითქმის მხოლოდ უფხოობით განიჩევა, ყველა დანარჩენი ნიშნის მიხედვით კი ძალიან უახლოვდება მას. ორივე ფორმა ერთსა და იმავე ეკოტიპს ეკუთვნის. ხულუგო იმავე რაიონშია გავრცელებული, სადაც „იფქლი“. ყველაფერი ეს ნებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ხულუგო შოთა რუსთაველის ეპოქაშიც არსებობდა.

ეს ჯიში შერჩენილია მხოლოდ დასავლ. საქართველოში — რაჭა-ლეჩხუმში. იგი წარმოადგენს თეთრთავთავიან (*v. lutescens*) და წითელთავთავიან (*v. militurum*) უფხო წითელმარცვლიან სახესხვაობათა ნარევს.

თავთავი აქვს დიდი, ფოთოლი ფართო, იზრდება მაღალი. ისევე, როგორც „იფქლი“, ტენის მოყვარულია. ეკუთვნის ტენიანი ჰავის ხორბლებს. აღმოსავლ. საქართველოში ცუდად გვარობს.

¹ საქართველოს სელექციის სადგურის ექსპედიციის მონაცემთა მიხედვით ხევსურეთში ხორბალს უწოდებენ წმინდა-პურს, ან მარტო წმინდა-ს.

ბ) დოლის-პური (დოლი). ტერმინი „დოლი“, პროფ. ი. ჯავახიშვილის მიხედვით, შედარებით ძველი წარმოშობისაა. იგი VIII—IX საუკუნეში იხსენიება.

ამჟამად ხორბლის ეს სახელწოდება ყველაზე ფართოდაა გავრცელებული. ამ სახელწოდებით ცნობილია ფხიანი, რბილი, უმთავრესად საშემოდგომო ხორბალი წითელი მარცვლით. უმეტეს შემთხვევაში იგი თეთრთავთავიანი და წითელთავთავიანი შეუბუსავი ფორმების ნარევს წარმოადგენს. როდესაც თეთრთავთავიანები სჭარბობს, ნარევს „თეთრი-დოლი“ ეწოდება, წინააღმდეგ შემთხვევაში — „წითელი-დოლი“.

ეს ჯიში მორფოლოგიურად მკვეთრად განირჩევა „იფქლი“-საგან. მცენარე საშუალო სიმაღლისაა, ძლიერ დაბუჩქული, ჩალა აქვს თხელი და ნაზი, ჩაწოლის მიდრეკილების მქონე. თავთავი აქვს საშუალო ზომის, ვიწრო, თითისტარისებრი, შედარებით ნაზი ფხებით. თავთუნები ორმარცვლიანია; თავთუნის კილი უმეტეს შემთხვევაში ფხით თავდება. მარცვალი წვრილია, წაგრძელებულ-ოვალური, ღრმა ღარით, უფრო ხშირად ნახევრადრქისებრი; მარცვალი კილებში მკვიდრადაა მოთავსებული. ძნელად იფშენება.

დოლის ფარგლებში შეიძლება რამოდენიმე ეკოლოგიური ტიპი გამოიყოს. მათ შორის უმთავრესებია: ქართლის, კახეთის და მესხეთ-ჯავახეთის. ეს ტიპები თავის მხრით შეიძლება ქვეტიპებად დაიყოს.

ქართლური დოლი განსაკუთრებული გვალვაგამძლეობითა და კარგი შემგუებლობით გამოირჩევა. კახური ეკოტიპი ძირითადად უფრო ტენიან ჰავასაა შეგუებული და უფრო მეტ მოთხოვნილებას უყენებს კულტურის პირობებს. მესხურ-ჯავახური ტიპი მაღალ-მთიან პირობებსაა შეგუებული.

II. დ ი კ ა

Tr. persicum Vav.

ამ სახეობის ძირითადი არეალია — საქართველოს და სომხეთის მთიანი ზოლი 800—900 მეტრზე მაღლა ზღვის დონიდან. იგი ვადადის აგრეთვე დაღისტანში და ოსმალეთის მოსაზღვრე ვილაიეტებში. სხვაგან მთელ მსოფლიოში არსად არ გვხვდება.

ამ ხორბლის განმასხვავებელ თავისებურებას წარმოადგენს თავთავის ძლიერ თხელი და მოქნილი ღერაკი, თავთუნის კილზე მეორე ნამდვილი ფხის თანაპოვნეობა და დამახასიათებელი დანაოჭება მარცვლის ზედაპირისა ზურგის მხარეზე.

ეკოლოგიურად იგი მთის ჰავის ხორბალია და განირჩევა მცირე მოთხოვნილებით სითბოს მიმართ, იტანს ნალექების სიჭარბეს და ხასიათდება იმუნიტეტით მრავალ სოკოვან ავადმყოფობის მიმართ.


შეიძლება ვიფიქროთ, რომ *Tr. persicum*-ის წარმოშობის ადგილი საქართველოა, რადგან ამ სახეობის ყველაზე მეტი მრავალფეროვანება საქართველოს ფარგლებშია თავმოყრილი, სახელდობრ, მთავარი კავკასიონის ქედის სამხრეთ ფერდობებზე. მხოლოდ აქ გვხვდება, სხვა ფორმებთან ერთად, შავთავთავიანი



0565 — Maxa.
Tr. macha
v. letshchunicum
 Dekapr. et Men.

0565 — Maxa.
Tr. macha
v. submegrelicum
 Dekapr. et Men.

0565 — Maxa.
Tr. macha
v. palaeomereiticum
 Dekapr. et Men.



ԹՆԿՏ — Maxa.
Tr. macha
v. subletshchumicum
 Dekapr. et Men.

ԹՅԵՅ — Maxa
Tr. macha
v. subletshchumicum
 Dekapr. et Men.

ԹՅԵՅ — Maxa.
Tr. macha
v. palaeoimereticum
 Dekabr. et Men.

შებუსვილი ფორმები, აქვე ვხვდებით ამ ფორმის უდიდეს რასობრივ მრავალფეროვანებას. შავთავთავიანი ფორმები სომხეთში, ჯავახეთში და მესხეთში არ გვხვდება.

სიტყვა „დიკა“ ისტორიულ დოკუმენტებში მოხსენებულია „იქქლოთან“ ერთდროულად, ე. ი. ჩვენი წელთაღრიცხვის V საუკუნეში. ამჟამად ეს სახელწოდება საქართველოში ფართოდაა გავრცელებული. მაგრამ უმეტეს შემთხვევაში ამ სახელწოდებაში გულისხმობენ საერთოდ საგაზაფხულო ხორბალს და არა მარტო *Tr. persicum*-ს. აღსანიშნავია, რომ შემთხვევათა დიდ უმეტესობაში საგაზაფხულო ხორბალში ყოველთვის არის შერეული *Tr. persicum*.

ამ ხორბლის კულტურის არსებობა მთიან ზოლში, ყველაზე დაშორებულ და ძნელად მისადგომ ადგილებში, ფშავეთსა და ხევსურეთში¹⁾, ამ სახეობის სიძველის სასარგებლოდ ლაპარაკობს.

შოთა რუსთაველის ეპოქაში ეს საგაზაფხულო ხორბალი უდაოდ ფართოდ იქმნებოდა გავრცელებული მალლობ რაიონებში.

ამჟამად ხორბლის ეს სახეობა სამი ძირითადი სახესხვაობით არის წარმოდგენილი:

1. თეთრთავთავიანი—*var. stramineum*,
2. წითელთავთავიანი—*var. rubiginosum* და
3. შავთავთავიანი—*var. fuliginosum*.

III. მ ა ხ ა

Tr. macha Dekapr. et Men.

ხორბლის ეს პალეოენდემური სახეობა შერჩენილია დასავლეთ საქართველოში (ლენჩხუმში) მეტად შეზღუდული რაოდენობით.

იგი ეკუთვნის ასლისებური ანუ კილიანი ხორბლების ჯგუფს, ე. ი. ისეთი ხორბლების ჯგუფს, რომელთა დამწიფებული თავთავი თავთუნებად იშლება ღერაკის ნაწილაკებით და თავთუნებში მოთავსებული მარცვლებით. ამ სახეობისათვის დამახასიათებელია თავთავის ღერაკის ნაწილაკთა თავისებური აღნაგობა (ღრუ ან ნაწილობრივ ამოვსებული ფხვიერი პარენქიმით). ამ ნიშნის მიხედვით იგი *Tr. spelta*-ს უახლოვდება. თავთავის სიმკვრივის მიხედვით ამ სახეობის ფარგლებში გვხვდება ყველა გარდამავალი ფორმა ძლიერ მკვრივიდან დაწყებული ფხვიერამდე, მაგრამ ისეთი ფხვიერთავთავიანი ფორმები, როგორებიც *Tr. spelta*-ში მოიპოვება, აქ მაინც არ გვხვდება. ფხიანობის მიხედვითაც გვხვდება აქ ყველა გარდამავალი ფორმა უფხოებიდან²⁾ დაწყებული სრულ ფხიანებამდე. საერთოდ კი *Tr. macha* ხასიათდება მოკლე და ნახი ფხებით.

დამწიფების დროს თავთავი ძალიან ადვილად იშლება თავთუნებად. მტკრე-ვადობისა და ცვიენადობის მიხედვით ეს სახეობა არაფრით არ განსხვავდება

1) ნიმუშები მოგვებოდა სოფელ შატილიდან.

2) უფხო ფორმები შეგროვილი იყო გივი შარაშიძის მიერ 1935 წ.

ყველაზე მტკრევედთავთავიან ველურ ხორბლებისაგან. *Tr. macha*-ს გავრცელების ძალიან მცირე არეალის მიუხედავად, მისი სახესხვაობრივი და განსაკუთრებით კი რასობრივი პოლიმორფიზმი ძალიან დიდია. ზმისთანავე მისი ცალკეული სახესხვაობანი ადვილად ჯვარდება 28 ქრომოსომიან ხორბლებთან და იძლევა ნაყოფიერ შთამომავლობას.

ექვს გარეშეა, რომ „მ ა ხ ა“ წარმოადგენს ენდემურ და რელიქტურ სახეობას და იგი ხორბლის ერთერთ უძველეს პირვანდელ სახეობად შეიძლება ჩაითვალოს. მასში შეერთებულია სამი სახეობის: *Tr. vulgare*-ს, *Tr. dicoccum*-ს და *Tr. spelta*-ს ელემენტები. ყველაზე უფრო ახლო *Tr. macha* მაინც მეორე პალეოენდემურ ხორბალ—*Tr. spelta*-სთან დგას და ზოგჯერ მას სთვლიან მკვრივთავთავიან სპელტად. ამიტომ შეიძლება ვიფიქროთ, რომ *Tr. macha*-მ დასაბამი მისცა სპელტას, იმის მსგავსად, როგორც მკვრივთავთავიანი *Tr. compactum*, შიმანიის მიხედვით, რბილი ხორბლებისათვის საწყის ტიპს წარმოადგენდა.

შესაძლებელია, რომ *Tr. macha*-საგან წარმოიშვა რბილი ხორბლებიც (თავთუნის კილის აღნაგობის მიხედვით მახის ფარგლებში მოიპოვება რიგი, რომელიც ფორმის მიხედვით გვაგონებს რბილი ხორბლების კილის აგებულებას), რადგან ჩვენ გვგონია, რომ მტკრევედთავთავიანი ხორბლებიდან წარმოიშვნენ არამტკრევედთავთავიანები და არა პირიქით, როგორც ამას ფიქრობს კ. ა. ფლ ა ქ ს ბ ე რ გ ე რ ი, რომელსაც სპელტა რბილი ხორბლებისაგან გამოჰყავს. ძნელი წარმოსადგენია, რომ ადამიანი, რომელსაც არამტკრევედთავთავიანი ხორბლები მოჰყავდა, გადასულიყო მტკრევედთავთავიანი ხორბლების კულტურაზე, რომელთა გაღწევაც ასეთ დიდ სიძნელეს წარმოადგენს.

დღევანდლამდეც შენარჩუნებულია ამ ხორბლის მოკრების ორიგინალური წესი. ალება წარმოებს არა ნამგლით ან ცელით, არამედ ორი გაშალაშინებული ხის ჯოხის („შნაკვი“) საშუალებით. ამ ჯოხებს მოსდებენ რამოდენსამე. თავთავს, გადასტეხენ და ჰყრიან კალათში. ნამჯას კი შემდეგ ცალკე მკიან. თავთავებს აშრობენ განსაკუთრებულ დიდ კალათებში ცეცხლზე, შემდეგ კი სტეხვენ მას ქვის როდინში ხის ფილთაქვებით. როგორც ჩანს, გაცეხვა, რომელიც განსაკუთრებით მძიმე სამუშაოდ ითვლება, ერთერთი მიზეზთაგანი გახდა მისი გამოძევებისა ტიტველთესლიანი ხორბლებითგან, რომელთაც ეს ოპერაცია არ სჭირდებათ.

აღების ეს პრიმიტიული და პირველყოფილი საშუალება, რომელიც აკადემიკოსი ვ ა ვ ი ლ ო ვ ი ს მითითებით კიდევ მხოლოდ ასტურიაშია შენარჩუნებული და გამოიყენება გენეტიკურად ახლო მდგომი სახეობისათვის (*Tr. spelta*)¹, ადასტურებს *Tr. macha*-ს კულტურის სიძველეს და პირველყოფილობას. იგი დიდ ინტერესს წარმოადგენს მიწათმოქმედების ისტორიის თვალსაზრისითაც.

¹ Вавилов П. И.—Путешествие в Испанию. Новый мир. 1937 №.

IV. ა ს ლ ი

Tr. dicoccum (Schrank) Schübl

ვა ვ ი ლ ო ვ ი ს მიხედვით ამ მცენარის პირველად კერას აბისინია წარმოადგენს. აქედან ჯერ კიდევ ადრეულ პრეისტორიულ ეპოქაში იქნა ასლი გადატანილი სხვადასხვა ქვეყანაში. ამის შედეგად წარმოიქმნა ასლის გეოგრაფიული ჯგუფები: ევროპული, აღმოსავლური, მოროკული და ქართული.

ერთ დროს ასლი ძალიან ფართოდ იყო გავრცელებული. ამჟამად კი იგი მხოლოდ ცალკე კუნძულების—ლაქების სახითღაა შერჩენილი სხვა კულტურათა შორის. ამიტომ ასლი შეიძლება განვიხილოთ როგორც ნამდვილი რელიქტური სახეობა.

Hrosn-ის მიხედვით ასლი წინა აზიის სამხრეთ ნაწილში ყველაზე მნიშვნელოვან პურეულს წარმოადგენდა და მხოლოდ შედარებით გვიან ეპოქაში იქნა იგი გამოძევებული ტიტველთესლიანი ხორბლით.

3000 წლის წინათ ჩვენ წელთაღრიცხვამდე Werth-ის მიხედვით იგი მოჰყავდათ ბაბილონში და არსებობდა რეცეპტიც-კი ამ მცენარიდან ლუდის დასამზადებლად.

დაახლოებით 400 წლის წინათ ჩვენ წელთაღრიცხვამდე ქსენოფონტეს უნახავს ქანებში ბევრი ხორბალი და მათ შორის დიდი რაოდენობით— „ასლი“.

როგორც პროფ. ი. ჯავახიშვილი მიუთითებს, ქართულ ლიტერატურაში ასლი V საუკუნეშია მოხსენებული „იფქლთან“ ერთდროულად. *Tr. dicoccum*-ის ეს სახელწოდება ამჟამადაც შენარჩუნებულია. საქართველოში ამჟამად ასლის კულტურა გვხვდება მთიან რაიონებში, უმთავრესად აღმოსავლეთ საქართველოში—ფშავში, ხევსურეთში, ერწოში, სამხრეთ-ოსეთში, ჯავახეთში, მესხეთში და მეტადრე წალკასა და ბაშკიჩეთში. დასავლეთ საქართველოში ასლი აღნიშნულია მხოლოდ ნარევის სახით სხვა კილიან ხორბლებში (ლეჩხუმი). დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს ასლები მკვეთრად განსხვავდებიან ერთმეორისაგან და ორ სხვადასხვა ქვესახეობას ეკუთვნიან.

Tr. d. ssp. eurom Elaksb. აღმოსავლეთ საქართველოში გავრცელებული ფორმები ფლაქსბერგერის კლასიფიკაციის მიხედვით ეკუთვნიან გეოგრაფიულად აღმოსავლეთის ასლებს და ჯგუფს *luteo-tinctum Flaksb.*, თეთრთავთავიანი *var. caucasicum*-ს, წითელთავთავიანი კი—*var. aestivale Stol.* (კახეთი), ხოლო უფრო სავიანო—*var. autumnale Stol.* (დუშეთის რაიონი, ჯავახეთი). იშვიათად შესახვედრი ფორმები რუს-კვამლისფერი თავთავებით წითელ ფონზე—*var. Flaksbergeri Dekapr.* აღნიშნულია ზორჩალოსათვის.

Tr. dic. ssp. georgicum Dek. et Men. დასავლეთ საქართველოში გვხვდება ასლის განსაკუთრებული ქვესახეობა ძლიერ მკვრივი თავთავებით, რომელიც თავისი გარეგნული სახით ძალიან წაავავს *Tr. macha*-ს. მისი თავთავი ბრტყელია, დერაკი თხელია, დაკლაქნალი, ფხა წვრილია და შედარებით მოკლე. ჯერ-ჯერობით ამ ქვესახეობის მხოლოდ ერთი სახესხვაობაა ნაპოვნი.

V. ზ ა ნ დ უ რ ი

Tr. Timopheevi Zhuk

ზანდური საქართველოსათვის ენდემური, მკვეთრად განცალკევებული, თითქმის ყველა სოკოვან დაავადებისადმი, თავისი იმუნიტეტით საინტერესო ხორბლის სახეობაა. კილიან ხორბალთა შორის დასავლეთ საქართველოში ყველაზე მეტად არის გავრცელებული. აღმოსავლეთ საქართველოში იგი არ გვხვდება, და როგორც ჩანს, არაოდეს არ ყოფილა აქ გავრცელებული. ეკუთვნის კილიანი ხორბლების ჯგუფს. მისთვის დამახასიათებელია სქელი, შეკუმშული, პირამიდისებრი თავთავი და ფოთლის ძალიან ძლიერი შებუსვა, გრძელი ბეწვებით, როგორც ხორბლის არც ერთ სხვა სახეობას არა აქვს. ბიოლოგიურად საგაზაფხულო ფორმაა. წარმადგენილი არის სულ მხოლოდ ორი სახესხვაობით. მარცვლი აქვს რქისებრი, პურის-ცხობის თვისებები, როგორც ჩანს, მალახარისხოვანი აქვს. სთესენ ნარევიდ ერთმარცვლიანებთან ერთად, რომელიც შეიძლება მიჩნეულ იქნეს *Tr. Timopheevi*-ს დამსარველიანებელ მცენარედ. ხორბალი „ზანდური“ ოდესღაც ფართოდ იყო გავრცელებული. ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინათ მისი გავრცელების არეალი გაცილებით უფრო ფართო იყო. ბახტაძის მითხთებათა მიხედვით ზანდური შედარებით ახლო წარსულში საქვერელოშიც ითესებოდა („ქითა ქობალი“), ამჟამად კი გაჭირვებით იქნა ნაპოვნი მისი პატარა ნათესები ერთ სოფელში (თამაკონი).

ფლაქსბერგერის აზრის საწინააღმდეგოდ, რომელიც მას ახალი წარმოშობის სახეობად სთვლის, შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეს სახეობა შედარებით ადრეულ ეპოქაში არსებობდა.

ა. ე. ერიციანის მონაცემთა მიხედვით *Tr. Timopheevi*-ს შეჯვარების დროს 28 ქრომოსომიან ხორბლებთან F_3 და F_4 -ში ადგილი აქვს 42 ქრომოსომიანი ხორბლების გამოთიშვას, რომელნიც ძალიან ახლოს დგანან რბილ ხორბალთან. ეს იმაზე მიგვიჩივებს, რომ *Tr. Timopheevi* შეიძლება ყოფილიყო ერთი იმ სახეობათაგანი, რომლის მემკვიდრეობაც წარმოიშვა რბილი ხორბალი.

VI. მ მ ა წ ა - ზ ა ნ დ უ რ ი

Tr. monococcum L.

Tr. monococcum-იც აგრეთვე ძველი ხორბლების რიცხვს ეკუთვნის და იგი ენდემურ სახეობას წარმოადგენს წინა აზიისათვის.

Tr. monococcum-ის ნარჩენები გათხრების დროს მრავალ ადგილას იყო ნაპოვნი, მათ შორის მცირე აზიაშიც. ექვს გარეშეა, რომ იგი საქართველოში ძველ ეპოქაში ფართოდ იყო გავრცელებული, შემდეგ კი თანდათანობით იქნა გამოძევებული ხორბლის სხვა სახეობათაგან. ამჟამად საქართველოში მისი წმინდა ნათესები თითქმის არ გვხვდება; იგი მოიპოვება მხოლოდ ნარევის და ისიც იშვიათი ნარევის სახით.


Tr. monococcum დასავლეთ საქართველოში ჩვეულებრივად ზანდურის თანამგზავრია, აღმოსავლეთ საქართველოში კი იგი ასარველიანებს *Tr. dicoccum*-




Gr. monosocum L.

Gr. Timopheevi Zhuk.

ზანდური — Зандури.



დიკა — Дика.
Tr. persicum Vav.



„შნაკვი“ — ჯოხები, რომელსაც იყენებენ კლიან მტვრევედ თავთავიან ხორბალის —
Tr. tacha-ს, მოსავლის ასაღებად ლეჩხუმში.

„Шнакви“ — палочки для уборки плечатых ломкоколосых пшениц — *Tr. tacha*
в Лечхуме.

ის და *Tr. vulgare*-სა და *Tr. persicum*-ის ნათესებსაც კი (ქართლი, სამხრეთ-ოსეთი).

Tr. monococcum-ის დასავლეთ საქართველოს ტიპი მკვეთრად განსხვავდება აღმოს. საქართველოს (ქართლური) ტიპისაგან. პირველი ძირითადად მაღალი-ზრდილა და მსხვილი თავთავებით ხასიათდება, მეორე კი—საშუალო ზრდილა და წვრილი ან საშუალო ზომის თავთავებით.

დასავლეთ საქართველოში გვხვდება სულ ოთხი სახესხვაობა, რომელთაგანაც უფრო მეტად *var. Hornemanni* არის გავრცელებული. ნარევის სახით გვხვდება აგრეთვე *var. pseudo-Hornemanni*, *var. ratshnicum* და *var. lactissimum Körn.*

აღმოსავლეთ საქართველოში აღნიშნულია სამი სახესხვაობა:

- 1) *var. Hornemanni.*
- 2) *var. ercdvianum* და
- 3) *var. vulgare.*

ქ ე რ ი

ქერი, ისევე როგორც ასლი, ერთი უძველესი კულტურული მცენარეთაგანია. წინა აზიისათვის (ბაბილონი) Werth-ის ცნობით მოიპოვება წერილობითი დოკუმენტები, რომელნიც ადასტურებენ იმას, რომ ქერი 3000—3100 წლის წინათ ჩვენ წელთაღრიცხვამდე უკვე იყო ცნობილი, და მას იქ გაბატონებული მდგომარეობა ეკავა; ხორბალს კი, რომელიც ასლის სახით იყო წარმოდგენილი, მეორე ადგილი ეკავა. დარჩენილია ცნობები იმის შესახებ, რომ უკვე მაშინ, იმის გარდა, რომ ქერს პურისა და ბურღულის სახით იყენებდნენ, მისგან ლუდსაც ამზადებდნენ.

ქერს საქართველოშიაც აგრეთვე პრეისტორიული დროიდან სთესდნენ. ამ ცოტა ხნის წინათ არქეოლოგიური გათხრების დროს მეჯვრისხევში (ქართლი) ნაპოვნი იქნა დანახშირებული მარცვლები, რომელნიც, როგორც ჩანს, მრავალრიგიან ქერს უნდა ეკუთვნოდეს. განათხარი მიეკუთვნება VII—VIII საუკუნეს ჩვენ წელთაღრიცხვამდე.

როგორც პროფ. ი. ჯავახიშვილი მიუთითებს, ქერი ქართულ ისტორიულ დოკუმენტებში ჩვენი წელთაღრიცხვის V საუკუნეშია მოხსენიებული, ამასთანავე ქერი იქ ორი სახელწოდებითაა აღნიშნული: „ქრთილი“ და „ქერი“. როგორც ჩანს, ამ ორი სახელწოდებით ქერის ორ სხვადასხვა ჯიშს ან ფორმას აღნიშნავდნენ. ამჟამად პირველი სახელწოდება მხოლოდ ხევსურეთშია შერჩენილი. მეორე სახელწოდება ამჟამად ფართოდაა გავრცელებული და მის ქვეშ მთლიანად ქერის მთელ სახეობას გულისხმობენ. საბა, სულხან ორბელიანი თავის ლექსიკონში განმარტავს, რომ „ქრთილი“ ნიშნავს საშემოდგომო ქერს, „ქერი“ კი—საგაზაფხულოს. ასეთი განმარტება დაადასტურეს მოხუცმა ხევსურებმა: ბაბო გოგოჭურმა, ნარაზოულმა, გიორგი ჯინჭარაულმა და სხვ.¹ მათი

¹ ეს დადგენილი იყო სელექციის სადგურის მომუშავეთა ექსპედიციის მიერ დეკაბრე-ლევიჩის, მენაბდის და მარჯანიშვილის შემადგენლობით 1936 წელს. ექსპედიცია ჩატარებული იყო შოთა რუსთაველის მუზეუმის მატერიალური დახმარებით.

სიტყვით „ქრაილი“ ნიშნავს საშემოდგომო მრავალმწკრივიან ქერს, „ქერი“ კი — საგაზაფხულო ორრივიან ქერს. ჯინჭარაულმა (სოფ. ბარისახო) სთქვა, რომ წინათ ხევსურეთში „ქრთილს“ სთესდნენ, ამჟამად კი ასეთ ქერს მხოლოდ ფშაველები თესვენო. სოფ. საბუეს ოსებმაც იცოდნენ აგრეთვე განსხვავება „ქრთილსა“ და „ქერს“ შორის და კიდევ მიუთითეს სოფელი (მატანი), სადაც ქრთილს თესვენ. კახეთის, ერწოს და თიანეთის სხვა ადგილებში არავის გაუგონია და არავინ იცის, თუ რას ნიშნავს სიტყვა „ქრაილი“.

ამჟამად საგაზაფხულო ქერს ყველგან „ახალ-თესლს“ უწოდებენ, საშემოდგომოს კი — „ძველ თესლს“. მსცოვანმა ხევსურმა ბაბო გოგოჭურმა განმარტა, რომ საგაზაფხულო ქერს „ახალ-თესლი“ იმიტომ ეწოდება, რომ საგაზაფხულო ქერის თესვით იწყება ახალი სასოფლო-სამეურნეო წელი, ამასთან ნიადაგი მისთვის უმეტესად გაზაფხულზევე იხვნება (ახალი — ნათესი). საშემოდგომოს კი „ძველ-თესლს“ იმიტომ უწოდებენ, რომ მას შემოდგომით თესვენ ძველ ხნულზე (ანეულზე) — „ძველი ნათესი“.

ქერის კულტურის სიძველეს ისიც მიუთითებს, რომ იგი ხევსურეთში კულტის ობიექტს წარმოადგენდა. „ხატის“ მიწებზე მხოლოდ და მხოლოდ ქერი ითესებოდა. მისგან ამზადებდნენ საღმრთო ლუდსა და პურს. ხატის-ტაძრებში არის ლუდის დასამზადებელი და შესანახი შენობა. ამ ჩვეულებებსა და რწმენას გვაროვნული წყობის წინა დროს აკუთვნებენ. ეს კი იმას მიუთითებს, რომ ქართველებში გვაროვნული წყობის დადგენამდე ქერი უმთავრეს პურეულს წარმოადგენდა.

ქერის ყველა ფორმა ამჟამად გაერთიანებულია ერთ სახეობაში — *Hordeum sativum* Iessen, რომელიც სამ ქვესახეობად იყოფა:

- 1) მრავალმწკრივიანი — *H. sativum vulgare* L.,
- 2) ორმწკრივიანი — *H. s. distichum* L.,
- 3) შორისული ქერი — *H. sativum intermedium* Var. et Orl.;

უკანასკნელი ქვესახეობა მხოლოდ აბაშეთში (აბისინია) გვხვდება.

გ. მენაბდის მიხედვით ორმწკრივიანი ქერების ქვესახეობა საქართველოში 9 სახესხვაობით არის წარმოდგენილი, მრავალმწკრივიანთა ქვესახეობა კი — 7 სახესხვაობით.

მემცენარეობის საკავშირო ინსტიტუტის მონაცემთა მიხედვით ქერს აქვს ჯიშობრივი მრავალფეროვანების თავმოყრის სამი ცენტრი: აბაშეთი (აბისინია), სადაც თავმოყრილია ყოველგვარი ფორმების ყველაზე მეტი რაოდენობა, 2) სამხრეთ-აღმოსავლეთი აზია (მრავალმწკრივიანი კილიანი და ტიტველი ქერები) და 3) წინა აზია (მრავალმწკრივიანი და ორმწკრივიანი ქერები, მაგრამ განსაკუთრებით გამოირჩევა ორმწკრივიანი კულტურული ქერების ენდემური ჯგუფით).

საქართველოს ქერების ჯიშობრივ შემადგენლობაზე, როგორც ორლოვი მიუთითებს, განსაკუთრებით ძლიერი გავლენა მოახდინა უკანასკნელმა ცენტრმა და კერძოდ მცირე აზიამ. საქართველოში გვხვდება იგივე ფორმები, რაც მცირე აზიაში, სახელდობრ კი სახესხვაობანი: *pallidum*, *nutans*, *medicum*, *ricotense*, *parallelum*, *nigrum* და *nudum*. ეს სახესხვაობები შეადგენენ ნაოსების ძირითად ფონს.

მათ შორის ფართოდ არის გავრცელებული მხოლოდ ორი სახესხვაობა. მრავალმწკრივიანი ქერებიდან ითესება უმთავრესად სახესხვაობა *pallidum*, ორმწკრივიანებიდან კი — *nutans*. რასობრივი მრავალფეროვანება ვ. მენაბდეს მიხედვით¹ წარმოდგენილია 60 ფორმით.

სახესხვაობრივი და რასობრივი მრავალფეროვანებით განსაკუთრებით გამოირჩევა ორმწკრივიანი ქერების ქვესახეობა. ამ ქვესახეობიდან ყველაზე ფართოდ სახესხვაობა *nutans* არის გავრცელებული. ამ სახესხვაობის ფარგლებში პრაქტიკული მხრით მრავალი მნიშვნელოვანი ფორმა მოიპოვება.

იშვიათად (ხევსურეთში, ოსეთში, ბაშკირეთში და საქართველოს ქერის სხვა რაიონებში) გვხვდება ორმწკრივიანი ტიტველი ქერი (ქერშილა).

კახეთში მცირე რაოდენობით ითესება ექვსმწკრივიანი ქერი (*v. parellum*). დანარჩენი სახესხვაობები გვხვდება ან ნარევის სახით ან და შედარებით მცირე ნათესების სახით.

ამჟამად ისახება ქერის შემდეგი ეკოლოგიური ტიპები:

1) საშემოდგომო მრავალმწკრივიანი ფორმები, გავრცელებული დაბლობ ზონაში 200-დან 800 მეტრამდე ზღვის დონიდან. ეს ფორმები ეკუთვნის ორლოვის *rigidum*-ის ჯგუფს. ხასიათდება საგვიანობით (გრძელი სავეგეტაციო პერიოდით) და მსხვილი უხეშკილიანი მარცვლით.

2) საგაზაფხულო მრავალმწკრივიანი ფორმები, გავრცელებული 800 მეტრზე მაღლა ზღვის დონიდან, დაახლოებით 1300 მეტრამდე და შემდეგ მიწათმოქმედების საზღვრებთან (სვანეთში). ეს ფორმებიც აგრეთვე ორლოვის *rigidum*-ის ჯგუფს ეკუთვნის. მარცვალი საშუალოდ—მსხვილი, შედარებით თხელკილიანია.

3) „მთის ტიპი“—საგაზაფხულო ორმწკრივიანი, საადრეო ქერები. სიუხემის მიხედვით ეკუთვნიან *medium*-ის ჯგუფს. მარცვალი მსხვილი, უფრო ხშირად თხელკილიანია.

4. „მაღალმთის ტიპი“ —საგაზაფხულო ორმწკრივიანი ფორმები უხეშობის მიხედვით ეკუთვნიან შორისულ ჯგუფს *medium*-ს. საშუალო სიმწიფისაა. მარცვალი თხელკილიანია. ოდოშდერობაში ანთოციანური შეფერვა უვითარდება².

ყველა ეს მონაცემი ადასტურებს ქერის კულტურის სიძველეს საქართველოში და იმას, რომ შოთა რუსთაველის ეპოქაში არსებობდა როგორც ორმწკრივიანი „ქერი“, ისე მრავალმწკრივიანი „ქრთილბი“. ორმწკრივიანი ქერებიდან, რომელთაც მაღლობი და მაღალმთიანი ზონა უკავიათ, გავრცელებული იყო, როგორც ამჟამადაც, სახესხვაობა *nutans*. მრავალმწკრივიანი ქერები კი წარმოდგენილი იყო უმთავრესად სახესხვაობა *pallidum*-ით, და გავრცელებულნი იყვნენ როგორც დაბლობ ზოლში, ისე მაღალმთიან ზოლშიაც—საგაზაფხულო ფორმების სახით.

¹ მენაბდე ვ.—საქართველოს ქერები.

² მენაბდე ვ.—*ibid.*

ფეტვნიარი მცენარეები

ბოტანიკური შემადგენლობა. ფეტვნიარი მცენარეებიდან საქართველოში ითესებოდა და ითესება:

- 1) *Panicum miliaceum* L.—ფეტვი.
- 2) *Setaria italica* P. B. ssp. *maxima* Alf.—ლომი.
- 3) *Setaria italica* P. B. ssp. *mocharium* Alf. (*P. germanicum* Roth.), ცნობილი „ქერიმას“ სახელწოდებით, ან დასავლეთ საქართველოში „მკადის-ფეტვის“ სახელწოდებით.

როგორც სხვა ქვეყნებშიაც, ეს კულტურები წინათ საქართველოში ფართოდ იყო გავრცელებული და ძალიან დიდ ხანს ზოგიერთ რაიონში ფეტვი და განსაკუთრებით კი ღომი მთავარ სასურსათო პურეულს წარმოადგენდა. მაგრამ შემდეგში ისინი თანდათანობით იქნენ გამოძევებული სხვა მცენარეთა მიერ. ღომმა დასავლეთ საქართველოში თავისი ადგილი სიმინდს დაუთმო, ფეტვმა კი აღმოსავლეთ საქართველოში—სიმინდსა და ხორბალს.

ამჟამად ღომი შერჩენილია პატარა კუნძულების სახით თითქმის მხოლოდ დასავლეთ საქართველოში, აღმოსავლეთ საქართველოში კი იგი გვხვდება თითქმის მხოლოდ იშვიათი მინარევის სახით (პატარათაველიანი ფორმები).

ფეტვი შერჩენილია როგორც დასავლეთ (მაღლობ ნაწილებში), ისე აღმოსავლეთ საქართველოშიც, მაგრამ მისი ნათესების უმეტესი ნაწილი აღმოსავლეთ საქართველოზე მოდის (სიღნაღის, თელავისა და გურჯაანის რაიონები, ამასთან იგი ითესება როგორც მთიან, ისე დაბლობ ნაწილებში).

ქერიმა წმინდა ნათესის სახით თითქმის არ გუშავდება და გვხვდება უმთავრესად, როგორც ფეტვის დამსარეველიანებელი, ამასთანავე მისგან ფეტვის დასარეველიანება ზოგ შემთხვევაში 80 და მეტ პროცენტსაც კი აღწევს.

ფეტვი. არნოლდის ყველაზე სრული კლასიფიკაციით, შეიცავს დაახლოვებით 39 ფორმას (სახესხვაობას *Körnische*-ს მიხედვით). საქართველოში სჭარბობს ფაჩხა (*effeusum* Alf.) და დახრილი (*contractum*) საველას მქონე ფორმები. მკვრივსაგველიანი ფეტვის (*compactum* *Körnike*) ტიპური წარმომადგენლები თითქმის არ გვხვდება.

ფეტვის სახესხვაობრივი შემადგენლობა საქართველოში მოკლედ შემდეგი ტაბულით შეიძლება იქნეს გამოსახული:

აღწერილია არნოლდის მიერ. გვხვდება საქართველოში.


ფაჩხასაგველიანი ფეტვის	17	სახესხვაობა	10	სახესხვაობა
დახრილსაგველიანი „	13	„	9	„
მკვრივსაგველიანი „	9	„	2	„

მარცვლის ფერის მიხედვით სჭარბობენ ყვითელ ნარინჯისფერი მარცვლის მქონე ფორმები.

ეკოლოგიური ნიშნების მიხედვით მკვეთრად გამოირჩევა ორი ეკოტიპი, რომელთაც შეიძლება ვუწოდოთ: 1) მთის და 2) დაბლობის ეკოტიპი. პირველი



ᠬᠠᠭᠠᠨᠠᠵᠢᠨ — Ирoco. *Panicum
miliaceum* L.



ჭვრინა — Квирма (могар) *Seiria italica ssp. mocharium Alf.* — Постоянный спутник при
სხვადასხვა ფორმის — Различные формы.

ტიპი ხასიათდება საადრიობით და დაბალი ღეროთი. მეორე—მაღალი ღეროთი და უფრო მეტი საგვიანობით.

ისტორიული ცნობები. ფეტვი უძველესი კულტურული მცენარეების რიცხვს ეკუთვნის. ევროპაში ნაპოვნია ფეტვი ნეოლითის, ბრინჯაოს და რკინის ხანის განათხარებში. კერძოდ შვეიცარიაში ნაპოვნია ფეტვის ნაშთები, რომელიც ხი-მინჯებიან შენობათა ეპოქას ეკუთვნის.

დეკანდოლი ფეტვს სთვლიდა ერთერთ ყველაზე უძველეს მცენარეთა-განად, რომელიც ფართოდ იყო გავრცელებული პრეისტორიულ ხანაში აზიაში, სამხრეთ-ევროპასა და ეგვიპტეში. ფეტვის სამშობლოდ დეკანდოლი არაბეთსა და ეგვიპტეს სთვლიდა.

მაგრამ ბუშანმა თავისი კრიტიკული გამოკვლევების საფუძველზე ეჭვი შეიტანა დეკანდოლის მოსაზრებაში ფეტვის ეგვიპტიდან წარმოშობის შესახებ. უკანასკნელ ხანებში ვაცილოვმა წამოაყენა თეორია ფეტვის წარმოშობის შესახებ აღმოსავლეთ აზიიდან, რომელიც დამყარებული იყო იმაზე, რომ ფეტვის ჯიშობრივი მრავალფეროვანება მატულობს აღმოსავლეთისაკენ, მონღოლეთისა, მანჯურიისა და ჩინეთისაკენ და რომ იგი უდიდეს კონცენტრაციას სწორედ ამ ქვეყნებში აღწევს. ამ გულვებას ადასტურებს მონღოლეთში ველური ფეტვის ბოვინის ფაქტიც.

ფეტვი ევროპაში, ვაგილოვის მიხედვით, მომთაბარე ხალხების მიერ იყო შეტანილი. Werth-ს არ აქვს მოხსენებული ფეტვი წინა აზიის მცენარეთა შორის. მაგრამ კოლხიდაში ამ ცოტა ხნის წინათ ნაპოვნი იქნა ფეტვის მარცვლების ნარჩენები.

პროფ. ი. ჯავახიშვილის გამოკვლევათა თანახმად ფეტვი ჩვენ წელთაღრიცხვის V საუკუნეშია მოხსენებული. შემდეგში ფეტვი საკმაოდ ხშირად გვხვდება სხვადასხვა სახის დოკუმენტებში.

განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს, როგორც პროფ. ი. ჯავახიშვილი აღნიშნავს, ერთი ადგილი შოთა რუსთაველის შესანიშნავ პოემაში, სადაც ნათქვამია: „მე მარგალიტსა მოგიმკი, თქვენ ქვრიმა დაგითვისია“ (დ. კარიჭ, § 1197). ამ სიტყვებიდან ჩანს, რომ შოთა რუსთაველის ეპოქაში ფეტვი და მისი დამსარეველიანებელი ქვრიმა ჩვეულებრივ გავრცელებულ მცენარეებს წარმოადგენდნენ. ჩანს, რომ ცნობილი იყო მათი ღირსებაც. ქვრიმა აშკარად უფრო ნაკლები ღირსების მცენარედ ითვლებოდა ფეტვთან შედარებით. და მართლაც, „ფეტვთან შედარებით ქვრიმას აქვს მთელი რიგი უარყოფითი თვისებები. ქვრიმას თესლი გაცილებით უფრო წვრილია და მისგან დამზადებული პურიც უფრო ნაკლები ხარისხისაა.

შეიძლება აგრეთვე ვივლევოთ, რომ მაშინდელმა მიწათმოქმედებმა კარგად იცოდნენ, რომ ფეტვს ასარეველიანებს ქვრიმა. ეს მათ ახლაც კარგად ესმით. ერწოს მცხოვრებნი ფეტვის მინდვრების ჩვენების დროს გულნატკენი ამბობდნენ, რომ ქვრიმა „შეიჭრა ფეტვის ნათესში და მისი მოცილება ველარ ხერხდებაო“. ამ სიტყვებიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ მათ ესმით, რომ ქვრიმა ტიპური მინდვრის-სარეველ მცენარეს წარმოადგენს. ქვრიმა უფრო ნაკლებმოქ-

კერნიკე-ბატალინის კლასიფიკაცია მაისურიანის დამატებით ვერ იტევს ქერიმის მთელ იმ მრავალფეროვანებას, რაც საქართველოში გვხვდება. აქამომდე სულ 7 ფორმა იყო აღწერილი.

დამახასიათებელი და საინტერესოა, როგორც დამაკავშირებელი რგოლი ქერიმასა და ლომს შორის, შორისული ფორმები უფრო დიდი საგველათი, საკმაოდ კარგად გამოხატული დანაკეთით, რომელთაც ჩვენ ვყოფთ ცალკე ჯგუფად—*intermedium Dekabr.*

ამრიგად, საქართველოს ქერიმების ყველა ფორმა შეიძლება დაიყოს შემდეგ ჯგუფებად: *normale*—„სრულიად დაუტოტავი“ საგველათი¹ და *intermedium*—უფრო გრძელი დატოტვილი საგველათი.

თავის მხრით ორივე ჯგუფი იყოფა სახესხვაობებად ბეწვების სიგრძის მიხედვით და მარცვლის შეფერვის მიხედვით—ყვითელი (თეთრი) და შავი (წაბლისფერი). მოხსენებულია აგრეთვე წითელმარცვლიანი ფორმები, მაგრამ ჩვენ ასეთები არ შეგვხვდნია.

ლომი. *Setaria italica* P. B. Hssp. *maxima* Alf. ლომს ყველა ავტორი აგრეთვე უძველესი მცენარეების რიცხვს აკუთვნებს. წინათ იგი ძალიან ფართოდ მუშავდებოდა. არქეოლოგიური მონაპოვრებიდან უკვე შეიძლება აღინიშნოს ლომის მარცვლების პოვნა ტბის ხიმიჯებიანი შენობების ნარჩენებში.

ვაელოვის თეორიის მიხედვით ლომი, ფეტვის მსგავსად, წარმოშობილია აღმოსავლეთ აზიაში, სადაც თავმოყრილია ამ სახეობის ფორმათა უდიდესი მრავალფეროვანება. ამ პარველი არეალიდან იგი შემდეგ გავრცელდა ცენტრალურ ევროპამდე ამ უკანასკნელის ჩათვლით.

ბის რიცხვი		ფოთლების სიგრძე		ფოთლების სიგანე		1000 მარცვლის წონა																																	
10	11	12	13	14	15	16	31-35	36-40	41-45	46-50	51-55	56-60	61-65	2-21	22-23	24-25	26-27	28-29	30-31	32-33	34-35	36-37	38-39	4-41	17-18	19-20	21-22	23-24	25-26	27-28	29-30	31-32	33-34	35-36	37-38				
-----		-----		-----		-----		-----		-----		-----		-----		-----		-----		-----		-----		-----		-----		-----		-----		-----		-----		-----		-----	

ზოგიერთ ნიშანთვისების მიხედვით.

¹ Баталин А. Ф.—Просовые растения разводимые в Персии. 1887 წ.

პროფ. ი. ჯავახიშვილი აღნიშნავს, რომ ლომი პირველად ქართულ ლიტერატურაში მხოლოდ ჩვენი წელთაღრიცხვის XIII საუკუნეში გვხვდება. შესაძლებელია, რომ ლომი უფრო ადრეც იყო, მაგრამ არავითარი საიმედო მითითება ამის შესახებ არ მოიპოვება.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ საქართველოში იგი, როგორც ჩანს, ძალიან დაშორებულ ეპოქაში მოხვდა. ამის დამადასტურებელია უკანასკნელი არქეოლოგიური განთხაობების დროს ნაპოვნი მასალა და აგრეთვე ლომის დასავლეთ-საქართველოს ფორმების აშკარა განცალკევებულობა მრავალი ნიშნის მიხედვით; დასავლეთ-საქართველოს ლომები სხვა ქვეყნების ფორმებისაგან განირჩევა ვეგეტაციურ ორგანოთა მძლავრი განვითარებით, საგვიანობით, მსხვილი საგველებით და ახვე დროს წვრილმარცვლიანობით.

იმისათვის, რომ ევოლუციის პროცესში მიღებულ იქნეს ასეთი განცალკევებულობა, საჭიროა საკმაოდ ხანგრძლივი დროის გავლა.

საქართველოში ამჟამად გავრცელებული ლომის ფორმების მთელი მრავალფეროვანება ეტევა 13 სახესხვაობაში კერნიკე-ბატალინის რამდენადმე გართულელებული კლასიფიკაციის გამოყენებით. ლომის მრავალფეროვანება საქართველოში წინათ უფრო მეტი იყო. ყოველ შემთხვევაში ლიტერატურაში მოიპოვება მითითებანი იმის შესახებ, რომ საქართველოში წინათ გვხვდებოდა კიდევ სხვა ფორმებიც¹, მაგალითად წითელი, ნარინჯისფერი და შავი ფერის მარცვლით, რომელნიც ამჟამად უკვე აღარ გვხვდებიან.

ზემოთაღვანილ მოსაზრებათა საფუძველზე შეიძლება ვიფიქროთ, რომ შოთა რუსთაველის ეპოქაში დასავლეთ საქართველოში ლომი ითესებოდა.

ს ე ლ ი

ყველა ავტორი იზიარებს იმ აზრს, რომ სელი ხორბალთან ერთად უძველეს კულტურულ მცენარეს წარმოადგენს.

Maspero-ს მიხედვით სელი ნაპოვნი იქნა ბაბილონის დროის ძველ-ქალდეურ სამარხებში.

სელი საქართველოშიაც ძველადგანვე მუშავდებოდა. დემორგანის გამოკვლევათა მიხედვით ბრინჯაოს ეპოქაში ხმარობდნენ სელისაგან დამზადებულ ქსოვილებს.

სტრობონი მიუთითებს, რომ კოლხიდაში ბევრი სელი ითესებოდა. ჰეროდოტი აღნიშნავს, რომ ეგვიპტეს შემდეგ სელის ბოჭკოს ღირსების მიხედვით განთქმული იყო საქართველო.

ქსენოფონტეს უნახავს ჭანებში სელისაგან დამზადებული სამკერდეები. სელის ზეთს ჭანებში სანათად ხმარობდნენ.

პროფ. ი. ჯავახიშვილი მიუთითებს, რომ ზეთისა და ბოჭკოს სახით სელის გამოყენებასთან ერთად საქართველოში ძველად სელის თესლს საქმელადაც იყენებდნენ. სელის თესლების საქმელად გამოყენება შეიძლება განხილულ

¹ 1. Баталин; 2. С. Koch—*Linnaea* 21, 1848 წ. გვ. 437.

იქნეს, როგორც სელის გამოყენების პირველყოფილი წესი. შემდეგი ნაბიჯი იქნება დაწინებების საშუალებით ზეთის მიღება თესლებისაგან. ჩვენ შემთხვევა გვექონდა გვენახა ერწოში სელის თესლების გამოყენება დანაყილი ქაშის სახით, რომელსაც პურზე აცხებდნენ.¹ ამავე მიზნებისათვის, ვავილოვის მითითების მიხედვით, მუშავდება სელი დალისტანში.

როგორც ჩანს აღმოსავლეთ საქართველოში სელისაგან ბოჭკოს დამზადება არ იყო განვითარებული. ყოველ შემთხვევაში ტურნეფორი თბილისში ყოფნის დროს (1700 წ.) სწერდა, რომ „სელი ძალიან ბევრია მახლობელ სოფლებში, მაგრამ მას თესვენ მხოლოდ მარცვლისათვის, ღეროს კი დაუმუშავებლად ჰყრიან“; „საქმელად და სანათად მხოლოდ სელის ზეთი იხმარება“.

შესაძლებელია აღმოსავლეთ საქართველოში სელი უმთავრესად ზეთისათვის ითესებოდა, დასავლეთ საქართველოში კი — ბოჭკოსათვის. ამის მიზეზი, ალბათ, ის უნდა ყოფილიყო, რომ დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში სელის მკვეთრად განსხვავებული ბოტანიკური ფორმები ითესებოდა. ყოველ შემთხვევაში, აღმოსავლეთ საქართველოში ამჟამად შერჩენილია ფორმა, რომელიც შორისული სელების ჯგუფს ეკუთვნის (საშუალო—საბოჭკოე და საზეთე სელებს შორის) და რომელიც ყველაზე ახლო დგას ქვესახეობა *transiterum Vav.*-ის *grex anatolicum Vav. et Eld.*-თან. ეს ჯგუფი ხასიათდება კარგად დაბუჩქული და საშუალო სიმაღლის მცენარეებით, საშუალო ზომის კოლოფებითა და თესლებით.

დასავლეთ საქართველოს სელები, რომელნიც შენარჩუნებული არიან სამეგრელოსა და აფხაზეთში, ეკუთვნიან ე. წ. გართხმული სელების ჯგუფს—*grex prostratum Vav.* ამ ჯგუფის დამახასიათებელია განვითარების პირველ ხანებში გართხმული, ნიადაგზე გაკრული ბუჩქის ფორმა. ყვავილობის პერიოდისათვის ტოტები მალა იწევა და ტენიანი ჰავის პირობებში სიმალლით ერთ მეტრამდე აღწევს. ეს სელი მუშავდება, როგორც საშემოდგომო ფორმა. თუმცა გაზაფხულზე დათესვის დროსაც იკეთებს თესლებს. ითესება საბოჭკოედ. დასავლეთ საქართველოს გარდა გვხვდება ანატოლიაში, შავისა და ეგეის ზღვების სანაპიროებზე.

ყველა ზემოხსენებული ნებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ შოთა რუსთაველის ეპოქაში საქართველოში გავრცელებული იყო როგორც საზეთე სელი, ისე საბოჭკოე სელიც. პირველი — უმთავრესად აღმოსავლეთ საქართველოში, ხოლო უკანასკნელი — უმთავრესად დასავლეთ საქართველოში.

დასკვნა. ჩვენი გამოკვლევის შედეგად შეიძლება დავადასტუროთ, რომ შოთა რუსთაველის ეპოქაში საქართველოში წარმოდგენილი იყო ძველი ქვეყნის თითქმის ყველა მთავარი კულტურა თავისი ძირითადი ფორმების სახით და აგრეთვე სახეობათა და ჯიშების დიდი რაოდენობით.

ყველაზე მეტი პოლიმორფიზმით სხვა კულტურათა შორის გამოირჩეოდა ხორბალი, რომლის არა ნაკლებ ექვსი სახეობისა მუშავდებოდა იმ ხანაში. ამას გარდა კარგად იყო ცნობილი აგრეთვე რბილი ხორბლის სამი ჯიში.

ქერი წარმოდგენილი იყო ორი ქვესახეობით და თავისი ძირითადი ჯიშებით.

¹ სელექციის დღურის მომუშავეთა ექსპედიცია.

ფეტენაირი მცენარეებიდან მუშავდებოდა სამი სახეობა მრავალი ფორმით. სელებიდან მუშავდებოდა როგორც საბოჭკოე (სართავი), ისე საზეთე სელი. სამარცვლე პარკოსნებიდან არსებით როლს თამაშობდნენ ყოველ შემთხვევაში სამი სახეობა, მაგრამ მათ გარდა სხვა პარკოსნებიც მუშავდებოდა.

ყველა ეს ლაპარაკობს იმაზე, რომ უკვე იმ დროს მიწათმოქმედება შედარებით მაღალ დონეზე იდგა და რომ შოთა რუსთაველის ეპოქის მიწათმოქმედნი ერკვეოდნენ ცალკეულ კულტურათა სახეობრივ და ჯიშობრივ თავისებურებებში.

რბილი ხორბალი

Tr. vulgare Host.

„იფქლი“. იფქლის ის ფორმები, რომელნიც დღევანდლამდეა შერჩენილი დასავლეთ საქართველოში, „კულტურული ტიპის“ მძლავრ მცენარეებს წარმოადგენენ ფრიად მნიშვნელოვანი პრაქტიკული ნიშანთვისებებით, მაგრამ გავრცელების ძალიან ვიწრო არეალით. ისინი გამოირჩევიან ფართო ფოთლებით, ძლიერი შეფოთვლით, მაღალი ზრდით, დიდი არა-უხეში თავთავებით, მარცვლების დიდი რიცხვით თავთუნში, მსხვილი, უმთავრესად ფქვილისებრი მარცვლებით და შედარებითა საგვიანობით.

ეს მათი ჰაბიტუსი იმაზე მიგვითითებს, რომ ისინი ტიპიურ ტენისმოყვარულ ფორმებს წარმოადგენენ და ამიტომ მათი კულტურა შესაძლებელია მხოლოდ ტენიანი ჰავის პირობებში და კერძოდ ტყის ზოლის პირობებში.

გვალვიან რაიონებში გამოცდის დროს „იფქლი“ იმდენად ძლიერ დაზიანდა ჟანგას ყველა სახით, რომ მარცვლის მნიშვნელოვანი ნაწილი ბეჭტი გამოვიდა.

ამიტომ „იფქლის“ ფორმებს უშუალო მნიშვნელობა შეიძლება ექნეს მხოლოდ დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს ტყიანი ზოლისათვის. გვალვიან რაიონებში კი „იფქლი“ შეიძლება გამოყენებულ იქნეს, როგორც მასალა სელექციური მუშაობისათვის.

„ხულუგო“. ეს ჯიში ეკოლოგიური ნიშანთვისებებით ძალიან ახლოს დგას „იფქლის“ ფორმებთან. მორფოლოგიურად მისგან უფხოობით განირჩევა. „ხულუგოც“ აგრეთვე განსაკუთრებით მსხვილი მარცვლით გამოირჩევა და შესაძლებელია, რომ მარცვლის სიდიდის მიხედვით ამ პოპულაციის ცალკეული ფორმები ყველაზე მსხვილმარცვლიანი აღმოჩნდეს რბილ ხორბლებს შორის¹.

აღმოსავლეთ საქართველოს გვალვიანი ველების და ტყე-ველების რაიონებში ეს ჯიში ისევე ცუდად გვარობს, როგორც „იფქლი“, და სელექციური მიზნებისათვის შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ როგორც მასალა ჰიბრიდიზაციისათვის.

ორივე ეს ფორმა შეიძლება განხილულ იქნეს როგორც ტენიანი ზონის „კულტურული“ ხორბლების პროტოტიპები.

„დოლის-ჰური“. ამ სახელწოდებით აღნიშნავენ უმთავრესად იმ საშემოდგომო ხორბლების პოპულაციებს, რომელთაც დაკავებული აქვთ აღმოსავლეთ საქართველოს მთელი დაბლობი ზონა დაახლოებით 1500 მეტრის სიმაღლეზე ზღვის დონიდან.

¹ ამ ჯიშიდან წარმოშობილად შეიძლება ჩაითვალოს ჯიშები; „უფხო“ და „რაქულა“ რომელთაც ამჟამად კახეთის ზოგიერთ რაიონში სთესვენ.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ამ მასივიდან შეიძლება გამოიყოს რამოდენიმე ეკოტიპი. მათ შორის ყველაზე თავისებური და ყველაზე საინტერესოა ქართლური ეკოტიპი.

„იფქლისა“ და „ხულუგოს“ წინააღმდეგ, დოლის-პურის შემადგენელ ფორმებს საკმაოდ ნათლად გამოხატული ქსერომორფული აგებულება აქვთ, რასთან დაკავშირებითაც ისინი დამაკმაყოფილებლად იტანენ გვალვიანი ჰავის პირობებს.

ამ ტიპის მცენარეთათვის დამახასიათებელია არამალაი ზრდა და წვრილი ჩალა, ვიწრო ფოთლებით, შედარებით პატარა თავთავით და წვრილი მარცვლით. ყველა ეს ნიშანი მიუთითებს, რომ ეს ხორბალი სიცხისამტანი და გვალვაგამძლეა და აქვს უნარი ნაწილობრივ მაინც წინააღმდეგს აოღვას. ამის-მეოხებით ქართლის პირობებში მოსავლიანობის მიხედვით დოლის-პური თითქმის არ ჩამოუვარდება საუკეთესო სტანდარტულ ჯიშებს, ზოგიერთ წელში კი კიდევ სჯობნის მათ.

დოლის-პურის პრაქტიკულად მნიშვნელოვან ნიშანთვისებებს წარმოადგენს კარგი შეგუებულობა მძიმე ლარბ ნიადაგებთან და მისი მოყვანის შესაძლებლობა როგორც ურწყავად, ისე სარწყავ პირობებში; ამასთანავე იგი საერთოდ დიდი მომთხოვნი არ არის. ამას გარდა დოლის-პური საკმაოდ მალალი დაფქვისა და ცხობისუნარიანობით ხასიათდება.

ამ პოპულაციის სასარგებლოდ ლაპარაკობს აგრეთვე ძლიერი დაბუჩქვა და მარცვლის არცვიანადობა მინდვრად დიდი ხნით დატოვების შემთხვევაშიც კი.

ამ დადებით თვისებებთან ერთად დოლის-პურს აქვს ზოგიერთი ნაკლიც. ასეთებს ეკუთვნის წვრილმარცვლიანობა, ჩაწოლისუნარიანობა და ძნელად ფშვნადობა. დოლის-პურის ქართლური ტიპი ამას გარდა საკმაოდ ძლიერ ავადდება ჟანგას სამივე სახეობით, მაგრამ ეს უარყოფითი თვისებები იმდენად დიდი არ არის, რომ გააქარწყლოს დოლის-პურის დადებითი თვისებები. ამიტომ ეს ძველი და ადგილობრივ პირობებთან შეგუებული ჯიში არ უნდა იქნეს გაძევებული; იგი ღირსია იმისა, რომ მასზე ინტენსიური მუშაობა იქნეს ჩატარებული სელექციის ყველა მეთოდით.

დიკა—*Tr. persicum* Vav. დიკა, როგორც საგაზაფხულო მალალმთის ზონის ხორბალი, რომელიც რბილ ხორბლებთან ერთად მიწათმოქმედების საზღვრებამდე აღის, აშკარად დიდ სამეურნეო ინტერესს იმსახურებს. ამ ხორბლის თავისებურებას შეადგენს მისი შეგუებულობა მთის მკაცრ პირობებთან. იგი კმაყოფილება ტემპერატურის მცირე ჯამით სავეგეტაციო პერიოდის განმავლობაში და შეიძლება დამწიფდეს დაბალი ტემპერატურის დროს. დიკას მნიშვნელოვან თვისებას წარმოადგენს აგრეთვე მისი უნარი გადაიტანოს ნალექების ჰარბი რაოდენობა, ამასთან მისი მარცვალი ხანგრძლივი წვიმების დროსაც კი არ ღივდება ყანასა და ძნებში. შედარებით ნაკლებ ავადდება დიკა სოკოვანი ავადმყოფობებითაც და პრაქტიკულად იგი შეიძლება ჩაითვალოს იმუნიტეტის მქონე სახეობად. დაბლობ ზოლში (ზღვის დონიდან 800—900 მეტრის სიმაღლეზე დაბლა) დიკა სრულებით არ გვარობს.

დიკას უარყოფით ნიშანთვისებებს შეიძლება მიეკუთვნოს შემდეგი: იგი ვერ იტანს სიცხეს და არც გვალვაგამძლეა. ამ ხორბლის დაფქვისა და ცხობის-

უნარიანობა შედარებით დაბალია; ყოველ შემთხვევაში ჩატარებულმა ყველა ანალიზმა, თუმცა არა მრავალრიცხოვანმა, ასეთი შედეგი გვაჩვენა. ამას გარდა ამ ხორბლის ბზე ზოგიერთ რაიონში ცხენების საკვებად უვარგისად ითვლება.

საერთოდ კი დიკას ამჟამადაც არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა და ახლაც საკმაოდ დიდი ფართობები აქვს დაკავებული. შემდეგშიაც, უნდა ვიფიქროთ, რომ ხორბლის ეს თავისებური სახეობა დარჩება მაღალმთის ზოლში. ამის გამო იგი ღირსია ჩატარებულ იქნეს მასზე ინტენსიური სელექციური მუშაობა როგორც მასობრივი და ინდივიდური შერჩევის მეთოდით, ისე ჰიბრიდიზაციის საშუალებით.

ზანდური—*Tr. Timopheevi*. საქართველოს ხორბლების ენდემურ კილიან სახეობათაგან ყველაზე მეტი ყურადღება ზანდურმა მიიპყრო თავისი განსაკუთრებული იმუნიტეტით მრავალ სოკოვან დაავადებათა მიმართ. ზანდურის გამოცდამ სსრ კავშირის მრავალ ადგილას გვაჩვენა მისი თითქმის სრული იმუნიტეტი მურა ჟანგასადმი. შემთხვევათა დიდ უმეტესობაში აღნიშნული იყო ზანდურის სრული შეუვალობა ამ სოკოს მიმართ და მხოლოდ ერთეულ შემთხვევებში იქნა აღნიშნული ჟანგას ცალკეული ლაქები ზანდურზე (შეფასება 0—1). ასევე გამძლე აღმოჩნდა ზანდური ჟანგას მეორე სახეობისადმი—ყვითელი ჟანგასადმი (*Puccinia glumarum*). ყველგან, სადაც კი იყო გამოცდილი ზანდური, გამოქვლავნდა მისი იმუნიტეტი, ჟანგათი ხორბლის მასობრივი დაავადების წლებშიაც კი. ძალიან მცირედ ავადდებოდა ზანდური, ისიც ერთეულ შემთხვევებში, ღეროს ჟანგათი.

გამოცდის არც ერთ შემთხვევაში არ ყოფილა აღნიშნული ზანდურის დაავადება ნაცრით; არ ავადდება იგი აგრეთვე არც თეთრი ლაქიანობით (*Septoria*). ძალიან მცირედ ავადდება ზანდური ფუზარიოზითაც.

გულდაფშუტოვანი სოკოებიდან ზანდური მხოლოდ ღეროს გულდაფშუტით ავადდება.

ზოგიერთ რაიონში *Tr. Timopheevi* ამას გარდა გამძლეობას იჩენს აგრეთვე შევდეთის და ჰესენის ბუზებისადმი.

ზანდური მარცვლის მაღალი ღირსებითაც ხასიათდება (18⁰/₁₀₀ ცილა). ზანდურისაგან დამზადებულ პურს განსაკუთრებით აფასებენ მის სამშობლოში. შესახედაობითა და გემოთი იგი წააგავს თავთუხისაგან დამზადებულ პურს და ამას გარდა სითეთრითაც გამოირჩევა.

ზანდურის სხვა დადებითი თვისებებიდან საჭიროა აღინიშნოს მისი კარგი შემგუებულობის უნარი ნიადაგის პირობებისადმი, რადგანაც მისი მოყვანა შესაძლებელია ღარიბ ქვიან ნიადაგებზე. კარგად იტანს იგი აგრეთვე კირიან ნიადაგებსაც.

ამ დადებით თვისებებთან ერთად ზანდურს, როგორც ყველა კილიან ხორბალს, აქვს ზოგიერთი უარყოფითი თვისებაც: ძნელად ფშენადობა, თავთუხების ცვივნადობა (თუმცა არა დიდი) და საგვიანობა.

ამის გამო სელექციური მიზნებისათვის ზანდური შეიძლება გამოყენებულ იქნეს უმთავრესად ჰიბრიდიზაციის მეთოდით.

მახა—*Tr. macha*. წინა სახეობისაგან განსხვავებით მახა ძლიერ ავადდება ჟანგაროვანი სოკოებით (მაგრამ არა თავის სამშობლოში). დასავლეთ საქარ-

თველოს პირობების გარეშე გამოცდის დროს მახა გამძლე აღმოჩნდა მხოლოდ ლეროს გუდაფშუტის მიმართ.

მახას დადებითი თვისებებიდან შეიძლება აღინიშნოს მისი კარგი შემგუებლობა მთის ტენიან ჰავასთან და უნარი განვითარდეს ლორღიან, ხირხატთან და კირიან ნიადაგებზეც კი.

მახას სხვადასხვა ფორმის შეჯვარებისას ხორბლის სხვა სახეობებთან ვილებით განსაკუთრებულ ჯიშობრივ მრავალფეროვანებას, რომლის ფარგლებშიც შრავალი ფრიად დიდი ღირებულების ტიპი მოიპოვება.

ამიტომ *Tr. macha*-ს პრაქტიკული ღირებულება იმაში მდგომარეობს, რომ იგი შეიძლება გამოყენებულ იქნეს, როგორც ძვირფასი კომპონენტი ჰიბრიდიზაციულ მუშაობათა დროს.

ასლი—*Tr. dicoecum (Schrank) Schübl.* ასლი, ისევე როგორც დიკა, საქართველოს პირობებში შეიძლება ჩაითვალოს საგაზაფხულო მთის ხორბლად და ეკოლოგიური თვისებებითაც იგი აგრეთვე ასლოს დგას დიკასთან.

ნიადაგების მიმართ, დიკასთან შედარებით, ასლი მაინც უფრო ნაკლებ მომთხოვნია და შეიძლება კარგად განვითარდეს ქვიან, ხირხატთან და ლორღიან ნიადაგებზე.

ასლი შეიძლება განხილულ იქნეს აგრეთვე, როგორც შედარებით სიცხისამტანი და გვალვაგამძლე ხორბალი. მთლიანად ეს ხორბალი გამოირჩევა დიდი პლასტიურობით და შემგუებლობით ზრდა-განვითარების ყოველგვარი პირობისადმი.

როგორც ყველა კილიან ხორბალს, ასლსაც, ზოგიერთი ძვირფასი სამეურნეო ნიშანთვისების მიუხედავად, არა აქვს ფართობთა გადიდების პერსპექტივები და მოელის თანდათანობითა გამოძევება.

ამ ხორბლის პრაქტიკული თვალსაზრისით საინტერესო თვისებები შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ როგორც „საშენებელი მასალა“ ჰიბრიდიზაციის მეთოდით სელექციის დროს.

გვაწა-ზანდური—*Tr. monococcum L.* ხასიათდება ნაკლები მოთხოვნილებებით და კარგი შემგუებლობით ზრდა-განვითარების ყოველგვარი პირობისადმი. გამოირჩევა აგრეთვე დიდი იმუნიტეტით ყოველგვარ სოკოვან დაავადებათა მიმართ, მაგრამ მცირემოსავლიანია.

როგორც ყველა სხვა კილიანი ხორბალი, გვაწა-ზანდურსაც ინტერესს იმსახურებს როგორც მასალა შეჯვარებისათვის, მაგრამ ამ შემთხვევაში მხედველობაში უნდა ვიქონიოთ ის, რომ იგი ძნელად ჯვარდება ხორბლის სხვა სახეობებთან.

მ მ რ ი

Hordeum sativum Jessen

საქართველოს ქერები საერთოდ მრავალი სამეურნეო თვალსაზრისით მნიშვნელოვანი თვისებებით ხასიათდება. უპირველეს ყოვლისა ისინი გამოირჩევიან მსხვილმარცვლიანობით, მარცვლის მაღალი აბსოლუტური წონით, შედარებითი თხელკილიანობით, არა უხეში აგებულების თავთავებით, წვრილი-

ფხებით. საჭიროა აგრეთვე აღინიშნოს საქართველოს ქერების თესლთა მაღალი აღმოცენების უნარიანობა შემთხვევათა დიდ უმეტესობაში.

როგორც ორმწკრივიანი, ისე მრავალმწკრივიანი ქერები მოსავლიანობითაც გამოირჩევა. თითქმის ყველა გამოცდის დროს ადგილობრივი ქერები პირველ ადგილს იკავებდა, აჭარბებდა რა პროდუქტიულობით საუკეთესო სტანდარტულ ჯიშებს. ამას გარდა ჩვენი ქერი ნიადაგის პირობების მიმართ ნაკლებ მომთხოვნად შეიძლება ჩაითვალოს.

საშემოდგომო ოთხმწკრივიანი სარწყავი ქერები ლუდის სახედლად, რეგელის მიხედვით, საკმაოდ ძვირფას ფორმებს წარმოადგენენ (საშუალოდ 11,4% ნედლი პროტეინი აღმოსავლეთ საქართველოში). ცუდი არ არის ლუდის სახედლად ორმწკრივიანი მთის ქერიც (საშუალოდ 12,4% ნედლი პროტეინი აღმოსავლეთ საქართველოში).

პრაქტიკული თვალსაზრისით ყველაზე საინტერესო ორმწკრივიანი ქერებია. განსაკუთრებით გამოირჩევიან ისინი საადრიობით, შეგუებულობით მთის მკაცრი პირობების მიმართ, იმუნიტეტით შვედეთის ბუზისადმი და პროდუქტიულობით.

როგორც მასალა სელექციისათვის საქართველოს ქერები განსაკუთრებულ ღირებულებას წარმოადგენენ.

проф. Александрович:

Главнейшие:

Полевые

Культуры

Эпохи

Шота

Руставели

Человек ...переносит культурные растения и домашних животных из одной страны в другую и изменяет таким образом флору и фауну целых частей света".

Ф. Энгельс „Диалектика природы“
(стр. 69).

ПОЛЕВЫЕ КУЛЬТУРЫ ЭПОХИ ШОТА РУСТАВЕЛИ

Все растения полевой культуры Грузии можно по месту происхождения подразделить на четыре группы.

I. Культуры, формообразование которых шло на месте в Грузии или в сопредельных с нею странах Передней Азии. Это наиболее древние культуры. Сюда относятся: виды пшениц, ячмень, рожь (как сорнополевое растение); из бобовых — бобы, горох, нут, чечевица, чина, вика; из прядильных — лен, конопля.

II. Культуры, занесенные в Грузию из Юго-Восточной Азии в очень отдаленную эпоху. К этой группе принадлежат: гоми, просо, кврима (ჭურჭობა) — могар. Последний в качестве сорно-полевого растения.

III. Культуры, занесенные из Америки в XVII—XVIII столетиях. Сюда относятся: кукуруза, американские виды фасоли, тыква, и др.

IV. Культуры, проникшие в течение XIX столетия преимущественно из Америки. В эту группу входят: картофель, табак, американский вид хлопчатника, подсолнечник, соя. Из овощных — помидоры и др.

Само собой разумеется, что в эпоху Шота Руставели возделывались только растения первых двух групп. На полях того времени из хлебных растений преобладали пленчатые культуры — просо, гоми, курима (могар), своеобразные пленчатые пшеницы и ячмень.

Из пшениц возделывались преимущественно пленчатые виды, но наряду с этим уже значительное место занимали и сорта мягких голозерных пшениц, впоследствии вытеснившие пленчатые пшеницы почти нацело. Рожь возделывалась только как сорнополевое растение. Из бобовых особое значение имели бобы, горох, чечевица.

„Пришельцы“ из Америки в XVII и XVIII веках сильно изменили культурную флору той эпохи и оттеснили аборигенные культуры в более возвышенные районы. Особенно сильного распространения достигли „американцы“ в Западной Грузии.

Но, несмотря на это, именно в Западной Грузии сохранились наиболее древние аборигенные оригинальные виды пшениц.

ПШЕНИЦА

Видовой состав пшениц Грузии. Ботанико-агрономическое изучение пшениц Грузии, проводившееся в течение последних 15 лет, позволило установить факты, в значительной степени меняющие первоначальную теорию акад. Вавилова о местопроисхождении этого „важнейшего хлеба земли“ (2 центра происхождения: 1) Абиссиния и 2) Юго-западная Азия).

Прежде всего оказалось, что Грузия отчетливо выделяется среди других стран максимальным количеством культурных видов пшеницы.

Из 12 культурных видов пшеницы, на которые подразделяют род *Triticum* современные систематики (Фляксбергер), в Грузии встречается 10.

Нижеследующая таблица дает представление о видовом составе пшениц Грузии по сравнению с другими странами:

№№ по пор.	Виды культурных пшениц	Грузия	Армения ¹	Азербайджан с Нахкраном ²	Турция ³	Афганистан ⁴	Абиссиния ⁵
1	<i>Trit. vulgare</i> Host	+	+	+	+	+	+
2	„ <i>compactum</i> Host	+	+	+	+	+	+
3	„ <i>sphaerococcum</i> Perc.	—	—	—	—	—	—
4	„ <i>spelta</i> L.	—	—	—	—	—	—
5	„ <i>macha</i> Dekapr. et. Men.	+	—	—	—	—	—
6	„ <i>durum</i> Desf. ⁶	+	+	+	+	—	+
7	„ <i>turgidum</i> L.	+	+	+	+	+	+
8	„ <i>polonicum</i> L.	+	—	—	+	—	+
9	„ <i>persicum</i> Vav.	+	+	+	+	—	—
10	„ <i>dicoccum</i> Schübl.	+	+	+	+	—	+
11	„ <i>Timopheevi</i> Zhuk.	+	—	—	—	—	—
12	„ <i>monococcum</i> L.	+	+	+	+	—	—
ВСЕГО культурн. видов пшениц		10	7	6	8	3	6
Дико растущие виды пшениц							
13	<i>Trit. spontaneum</i> Flaks.	—	+	+	+	—	—
14	„ <i>dicoccoides</i> Körn.	—	+	+	+	—	—
ВСЕГО культурных и дико-растущих видов пшениц		10	9	8	10	3	6

¹) М. Г. Туманян. Определитель хлебных злаков. Ереван. 1933 г.

²) Н. Н. Кулешов. Экспедиция в Азербайджан в 1926 и 1927 г. г.

³) П. М. Жуковский. Земледельческая Турция. 1933 г.

⁴) Н. И. Вавилов и Д. Букиннич. Земледельческий Афганистан. 1928 г.

⁵) Н. И. Вавилов. Пшеницы Абиссинии. 1931 г.

⁶) Со включением *Tr. orientale* Perc. и *Tr. pyramidale* Perc.

Значение каждого из 10 видов, встречающихся в Грузии, далеко не одинаково. Некоторые из них имеют очень ограниченный ареал распространения или даже встречаются только в виде примеси, но самый факт сосредоточения такого числа культурных видов пшеницы на сравнительно небольшой территории является хорошим показателем близости Грузии к первичным очагам формообразования этого растения.

Эндемичные и реликтовые формы пшениц Грузии. Вторым моментом, не менее важным для суждения о местах происхождения пшениц является наличие в Грузии оригинальных эндемичных, нигде в мире больше не возделывающихся, видов пшениц. Таких видов в Грузии сохранилось два („маха“ и „зандури“) и, кроме них, известен еще ряд других, более мелких систематических единиц (*Tr. dicoccum ssp. georgicum* и др.).

Один из этих эндемиков—зандури *Tr. Timopheevi*—отличается генетической обособленностью (трудной скрещиваемостью с другими видами пшениц).

Кроме чисто грузинских эндемичных форм, на территории Грузии возделывается эндемичный вид—*Tr. persicum* с более широким ареалом, захватывающим Армению, сев.-вост. Турцию и Дагестан, но наибольшее расовое разнообразие которого все же находится в Грузии.

Сюда еще можно причислить и однозернянку, вид эндемичный для Передней Азии.

Часть из вышеупомянутых форм можно рассматривать и как реликтовые формы, т. е. как древние исчезающие формы, которые пользовались в прежнее время более широким распространением и которые уцелели до настоящего времени в относительно неизменном виде.

Всего насчитывается в настоящее время 2 узко-эндемичных вида, 2 вида с более широким передне-азиатским ареалом и один узко эндемичный грузинский подвид полбы.

Грузинский очаг формообразования пшениц и давность ее культуры. Наибольшее в мире видовое разнообразие пшениц, а также наличие среди них эндемичных и реликтовых форм, позволяют говорить о грузинском очаге формообразования пшеницы. Акад. В а в и л о в, в одной из своих последних работ уже определенно высказывается в этом смысле, указывая, что Грузия и Армения „входят в основную область видообразования пшениц“.

Все это говорит в пользу глубокой древности культуры пшеницы в Грузии и, кроме того,—о том, что она создавалась или на территории Грузии или, во всяком случае, в сопредельных с ней и очень близких к ней странах.

Археологические раскопки последних лет подтверждают это. В Западной Грузии найдены недавно остатки свайных построек, зерна пшеницы и других культурных растений; косточки винограда, буковые орешки и жолуди, а также камни для растирания зерен. Находки относятся к энеолиту (несколько тысяч лет до нашей эры).

Для передней Азии (Вавилон) Werth указывает, что примерно за 3000—3100 лет до нашей эры уже культивировалась пшеница—двузернянка (*Tr. dicocum*).

Можно думать на основании вышеприведенных данных, что в Грузии пшеница стала возделываться не позднее этого времени. А в эпоху Шота Руставели (XII век), в результате естественного и сознательного отборов уже существовало довольно большое число видов и разновидностей пшениц, для которых имелись особые названия и которые хорошо различались земледельцами того времени.

Собранные проф. И. А. Джавахишвили исторические и лингвистические данные, а также результаты ботанического изучения отдельных видов пшениц дают возможность установить с большой долей вероятности, что в эпоху Шота Руставели возделывались следующие виды:

- 1) *Tr. vulgare* Host—мягкая пшеница в нескольких сортах,
- 2) *Tr. persicum* Vav. персидская пшеница—дика,
- 3) *Tr. dicocum* Schübl. „асли“—двузернянка,
- 4) *Tr. Timopheevi* Zhuk.—„зандури“,
- 5) *Tr. macha* Dekapr. et Men.—„маха“,
- 6) *Tr. monococum* L.—однозернянка и
- 7) *Tr. compactum* Host.

Последний вид, встречался по всей вероятности, почти исключительно в виде примеси.

Отсутствие указаний в исторической литературе на культуру в Грузии *Tr. durum*, *Tr. turgidum* и *Tr. polonicum* ранее начала XVII века не позволяет ввести их в список растений эпохи Шота Руставели. Однако, позво-лительно все же сомневаться в полном их отсутствии в Грузии в интересующее нас время, так как твердые пшеницы в соседней Турции по П. М. Жуковскому, превалируют над мягкими и, повидимому, являются там не молодой культурой. Тем не менее пока мы не будем иметь определенных сведений о их культуре в Грузии в то время, включить группу твердых пшениц в вышеприведенный перечень не представляется возможным.

I. МЯГКАЯ ПШЕНИЦА

Tr. vulgare Host.

а) сорт „იპკლი“ — „ипкли“. Одним из самых древних грузинских названием пшеницы, по исследованиям проф. И. А. Джавахишвили является „ипкли“. Этим словом переведено было греческое слово σίτος в V веке нашей эры.

Название это сохранилось до настоящего времени, но только в двух сравнительно небольших районах, а именно: в Западной Грузии—в Раче-Лечхуми и в Восточной Грузии—в Хевсуретии.

Факт сохранения этого названия в столь отдаленных друг от друга и обособленных местностях указывает, что когда-то оно было широко распространено и общим для всей Грузии, а затем, может быть благодаря появлению новых сортов, было вытеснено и забыто.

В Хевсуретии словом „ипкли“ сейчас называют пшеницу, особенно чистую, незасоренную рожью.¹

В Раче-Лечхуми этим именем обозначают определенный сорт остистой краснозерной пшеницы. Сорт этот является смесью двух ботанических разновидностей,—белоколосой (*v. erythiospermum*) и красноколосой (*ferrugineum*). Преобладает все же первая. Форма озимая крупноколосая, высоко-рослая, с широкими листьями, сравнительно крупным зерном, влаголюбивая. Экологически приспособлена ко влажным районам. В Вост. Грузии сильно страдает от грибных заболеваний.

б) СОРТ—„хулуго“. Название это не встречается в древней Грузинской литературе. О нем впервые упоминает в своем лексиконе лишь Саба Сулхан Орбелиани. Тем не менее мы относим эту пшеницу к эпохе Шота Руставели в виду того, что она является безостым аналогом „ипкли“. Отличается она от „ипкли“ главным образом отсутствием остей, а по всем другим признакам очень близка к „ипкли“. Обе формы принадлежат к одному экотипу. Возделывается хулуго в том же районе, что „ипкли“. Все это позволяет думать, что „хулуго“ существовал в эпоху Шота Руставели.

Сорт сохранился только в Зап. Грузии—в Раче-Лечхуми. Является смесью безостых краснозерных разновидностей белоколосой (*v. lutescens*) и красноколосой (*v. millurum*).

Форма крупноколосая, с широкими листьями. Также, как и ипкли, является влаголюбивой. Относится к пшеницам влажного климата. Плохо удаётся в Восточной Грузии.

в) СОРТ—„долис-пури“—*დოლის*. Термин „Доли“, по проф. И. А. Джавахишвили сравнительно позднего происхождения. Он упоминается в VIII—IX веке.

В настоящее время это название пшеницы пользуется наиболее широким распространением. Под этим именем называется остистая мягкая, преимущественно озимая пшеница, с красным зерном. В большинстве случаев, она представляет собой смесь белоколосых и красноколосых неопущенных форм. В случае преобладания первых, смесь носит название „Тетри-Доли“, в случае же вторых—„Цители-Доли“.

Морфологически резко отличается от „Ипкли“. Растения среднего роста, с сильным кушением, с тонкой нежной соломиной, склонное к полеганью. Колосья средней длины, узкие, веретеновидные, со сравнительно нежными остями. Колоски двухзерные, колосковая чешуя, в большинстве случаев заканчивается остью. Зерно мелкое, удлинённо-овальное, с глубокой бороздкой, преимущественно полустекловидное, плотно заключено в пленки. Обмолачивается трудно.

¹ По данным экспедиции Селекционной Станции Грузии в Хевсуретии пшеницу называют также иминда-пури или иминда.

Экологических типов среди Доли можно выделить несколько. Главнейшими будут—Карталинский, Кахетинский и Месхето-Джавахетский. Эти типы в свою очередь можно подразделить на подтипы.

Карталинский Доли особенно отличается засухоустойчивостью и неприхотливостью. Кахетинский экотип в основном приспособлен к более влажному климату и более требователен к условиям культуры. Месхето-Джавахетский тип является приспособленным к высокогорным условиям.

III. „ДИКА“ — „ᄆᄆᄆ“

Tr. persicum Vav.

Основной ареал этого вида—горная полоса выше 800—900 мтр. в. у. м. Грузии и Армении. Заходит он также в Дагестан и пограничные вилайеты Турции. Больше нигде в мире не возделывается.

Отличительной особенностью этой пшеницы является очень тонкий и гибкий стержень колоса, присутствие на колосковой чешуе настоящей второй ости и характерная морщинистость на спинной поверхности зерна.

Экологически дика является яровой пшеницей горного климата и отличается малой потребностью в тепле, переносит избыток осадков и является иммунной ко многим грибным заболеваниям.

Можно думать, что местопроисхождением *Tr. persicum* является Грузия, так как наибольшее разнообразие этого вида сосредоточено именно в пределах Грузии—на южных склонах Главного Кавказского хребта. Только здесь встречаются наряду с другими черноколосые опушенные формы, здесь же наблюдается наибольшее расовое разнообразие этой формы. Черноколосые формы в Армении, Джавахетии и Месхетии не встречаются.

Слово ᄆᄆᄆ упоминается в исторических документах одновременно с ᄆᄆᄆ, т. е. в V веке нашей эры. В настоящее время это название пользуется в Грузии широким распространением. В большинстве случаев, однако, под этим названием подразумевают вообще яровую пшеницу, а не *Triticum persicum*, но в то же время в громадном большинстве случаев в яровой пшенице горных районов всегда имеется примесь *Tr. persicum*.

Возделывание этой пшеницы в нагорной полосе, в самых глухих и трудно доступных местах пшавами и хевсурами¹ также говорит в пользу древности этого вида.

В эпоху Шота Руставели эта яровая пшеница безусловно широко возделывалась в возвышенных районах.

В настоящее время она представлена тремя основными разновидностями: 1) белоколосая—*var. stramineum*, 2) красноколосая—*var. rubiginosum* и 3) черноколосая—*var. fuliginosum*.

¹ Имелись образцы из селения Шатили.

III. „М А Х А“ — მ ა ხ ა

Tr. macha Delcapr. et Men.

Этот палеоэндемичный вид сохранился в Западной Грузии (Лечхуми) в очень ограниченных размерах.

Принадлежит он к группе полбянных или пленчатых пшениц, т. е. таких, зрелые колосья которых распадаются при молотье на колоски без выпадения зерён из последних. Характерным для этого вида является строение членика колоскового стержня (полый или частично выполнен рыхлой паренхимой). По этому признаку маха приближается к *Tr. spelta*. По плотности колоса имеются все переходы от очень плотных к рыхлым, но таких рыхлоколосых форм как *Tr. spelta* все же не имеется. По остистости есть также все переходы от безостых¹ к вполне остистым. В целом же *Tr. macha* характеризуется короткими и нежными остями.

При созревании колосья распадаются на колоски очень легко. По ломкости и осыпаемости они ничем не отличаются от самых ломкоколосых диких пшениц. Не смотря на очень небольшой ареал *Tr. macha* разнообразный и особенно расовый полиморфизм ее очень велик. При этом некоторые разновидности ее легко скрещиваются и дают плодовитое потомство с 28 хромосомными пшеницами.

Несомненно „Маха“ является эндемичным и реликтовым видом и ее можно считать одним из самых древних первичных видов пшеницы. В ней соединены элементы трех видов: *Tr. vulgare*, *Tr. dicoccum* и *Tr. spelta*. Ближе всего *Tr. macha* стоит все же к последнему виду—*Tr. spelta* и ее иногда рассматривают как плотноколосую спельту. Можно думать поэтому, что *Tr. macha* послужила для спельты исходной формой, подобно тому, как плотноколосая *Tr. compactum* по Ш и м а н н явилась исходным типом для мягких пшениц².

Возможно, что от *Tr. macha* произошли и мягкие пшеницы (по строению колосковой чешуи среди *macha* имеется ряд форм напоминающий строение такового у мягкой пшеницы). Ибо нам кажется, что от ломкоколосых пшениц произошли неломкоколосые, а не наоборот, как предполагает К. А. Фляксбергер, производя спельту от мягкой пшеницы. Трудно представить себе чтобы человек возделывающий неломкоколосые пшеницы перешел бы к культуре ломкоколосых форм, представляющих столь большие неудобства при уборке и обмолоте:

До настоящего времени удержался оригинальный способ уборки этой пшеницы. Уборка производится не серпом или косой а при помощи двух оструганных деревянных палочек („шнакви“). Этими палочками захватывают

¹ Безостые формы были собраны Г. Шаранидзе в 1935 году.

² E. Schieman n. Entstehung der Kulturpflanzen. 1932.

несколько колосьев, обламывают их и бросают в корзинку. Солома затем жнется отдельно. Колосья просушиваются в особых больших корзинах над огнем и затем обрушиваются в каменных ступах деревянными пестами. Обрушивание, считающееся особенно тяжелой работой и послужило, повидимому, одной из причин вытеснения пленчатых пшениц голозерными, как не требующих этой операции.

Этот примитивный и первобытный способ уборки, который сохранился, как указывает академик Вавилов, еще только в Астурии и применяется к генетически близкому виду (*Tr. Spelta*)¹, свидетельствует о первобытности и древности культуры *Tr. macha*. Представляет он интерес и с точки зрения истории земледелия.

IV. ДВУЗЕРНЯНКА—ПОЛБА—„АСЛИ“

Tr. dicoccum (Schränk) Schübl.

По Вавилову первичным очагом этого растения является Абиссиния. Отсюда еще в очень раннюю доисторическую эпоху произошло расселение полбы. В результате этого создались географические группы полбы: европейская, восточная, марокканская и грузинская.

Когда-то двузернянка пользовалась очень широким распространением. В настоящее же время сохранились только отдельные островки—пятна этой культуры среди других культур. Поэтому двузернянку можно рассматривать как настоящий реликтовый вид.

Согласно Hrozny полба в южной части Передней Азии была самым важным хлебным растением и только в сравнительно позднюю эпоху была вытеснена голозерной пшеницей.

За 3000 лет до нашей эры возделывалась по Werth-у в Вавилоне и существовал рецепт для изготовления пива из этого растения.

Ксенофонт видел у чанов около 400 г. до нашей эры много пшеницы и в том числе в большем количестве „ასლი“.

Как указывает проф. И. А. Джавахишвили, в грузинской литературе „асли“ упоминается в V веке одновременно с „თქლი“. Это название *Tr. dicoccum* сохранилось и поныне.

Сейчас полба возделывается в Грузии в горных районах, главным образом Восточной Грузии—Пшавии, Хевсуретии, Эрцо, Юго-Осетии, Джавахетии, Месхетии и особенно на Цалке и Башкичети. В Западной Грузии „асли“ константирована только в виде примеси к другим пленчатым пшеницам (Лечхуми).

Полбы Западной и Восточной Грузии резко отличаются друг от друга и принадлежат к двум различным подвидам.

¹ Вавилов Н. И. Путешествие в Испанию. Новый мир. 1937 г.

1. *Tr. d. ssp. europaeum Flaksb.* Возделывающиеся в Восточной Грузии формы относятся по классификации Фляксбергера к географической группе восточных полб и к группе *luteo-tinctum Flaksb.*, белоколосая—к разновидности *v. caucasicum*, а красноколосая к *var. aestivale Stol.* (Кахетия) и более позднеспелая к *v. autumnale Stol.* (Душетский район, Джавахетия). Редко встречаются формы с серодымчатыми колосьями на красном фоне *v. Flaksbergerei Dekapr.* (отмечены для Борчало).

2. *Tr. d. ssp. georgicum Dek. et Men.* В Западной Грузии встречается совершенно особый подвид „асли“ с очень густыми колосьями, по внешнему виду очень похожий на *Tr. macha*. Колосья плоские, стержень тонкий, зигзагообразный, ости тонкие, сравнительно короткие. Пока найдена только одна разновидность этого подвида¹.

V. „ЗАНДУРИ“

Tr. Timopheevi Zhuk.

Эндемичный для Грузии резко обособленный, интересный по своему иммунитету почти ко всем грибным заболеваниям вид пшеницы. Среди пленчатых пшениц пользуется в Западной Грузии наибольшим распространением. В Восточной Грузии он не возделывается и повидимому никогда не возделывался. Относится к пленчатым пшеницам. Характерным для него является густые, сжатые пирамидальные колосья и очень сильное опущение листьев, покрытых длинными волосками, какого не имеется ни у одного другого вида пшеницы. Биологически отличается яровым образом жизни. Представлен всего двумя разновидностями. Зерно стекловидное, хлебопекарные качества повидимому высокие. Воздепывается в смеси с однозернянкой, которую можно рассматривать как растение засоряющее *Tr. Timopheevi*. Пшеница „зандури“ пользовалась когда то широким распространением. Еще недавно ее ареал был гораздо шире. По указаниям И. Л. Бахтадзе еще не так давно возделывалась в Мегрелии („пита кобали“), а сейчас с трудом были найдены небольшие посевы ее в одном из селений (Тамакони) этой части Грузии.

Вопреки мнению Фляксбергера, который считает зандури молодым видом, можно думать, что данный вид существовал в сравнительно раннюю эпоху.

По данным А. А. Ерицян при скрещивании *Tr. Timopheevi* с 28 хромосомными пшеницами в F_3 и F_4 выклиниваются 42 хромосомные пшеницы, очень близкие к мягкой пшенице. Это указывает на то, что *Tr. Timopheevi* мог послужить одним из видов при помощи которого создалась мягкая пшеница².

¹ Впервые описана В. Сунаташвили как *var. Chvamicum Supat.*

² Данные не опубликованы.

VI. „ГВАЦА-ЗАНДУРИ“ — ОДНОЗЕРНЯНКА

Tr. monosocum L.

Однозернянка также принадлежит к древним пшеницам и является эндемичным для Передней Азии видом.

Остатки однозернянки найдены были при раскопках во многих местах, в том числе и в Малой Азии. Несомненно она возделывалась в Грузии в очень раннюю эпоху в широком размере, но затем постепенно была вытеснена другими видами пшениц. В настоящее время в чистом виде почти не культивируется, а встречается только в виде примеси и притом сравнительно редкой.

В Западной Грузии однозернянки обычно сопровождают „зандури“, а в Восточной Грузии засоряют *Tr. dicocum* и даже мягкую и персидскую шеницы (Картли, Юго-Осетия).

Тип Западногрузинских однозернянок резко отличен от Восточногрузинских (Карталинский). Первые в основном отличаются высоким ростом и крупными колосьями, вторые—средним ростом и мелкими или средними по размерам колосьями.

В Западной Грузии насчитывается всего четыре разновидности однозернянка, из коих преобладающей является *v. Hornemanni*. В качестве примеси еще встречаются *v. pseudo-Hornemanni*, *v. ratshinicum* и *v. laetissimum Körn.*

В Восточной Грузии константированы три формы однозернянки: 1) *v. Hornemanni*, 2) *v. eredvianum* и 3) *v. vulgare*.

ЯЧМЕНЬ

Ячмень как и полба-двузернянка является одним из древнейших культурных растений. Для Передней Азии (Вавилон) по данным Werth'a имеются письменные документы, свидетельствующие о том, что ячмень был известен за 3000—3100 лет до нашей эры, при чем он занимал там преобладающее положение; пшеница же, представленная полбой-двузернянкой, занимала второе место. Сохранились также данные, что уже в то время, помимо использования ячменя для изготовления хлеба и крупы из него варили пиво. Сведения любезно сообщены проф. Куфсиным.

В Грузии ячмень также возделывается с доисторических времен. Недавно были найдены при археологических раскопках обуглившиеся зерна, повидимому, многорядного ячменя по нашему определению в Меджврисхеви (Картли), относящиеся к VII—VIII векам до нашей эры (Халдская эпоха)¹.

Как указывает проф. И. А. Джавахишвили, ячмень в грузинских исторических документах упоминается в V веке нашей эры, причем ячмень там фигурировал под двумя названиями: „кртили“ и „кери“. Повидимому этими двумя названиями обозначались два различных сорта или

¹ Сведения любезно сообщены проф. Куфсиным.

формы ячменя. В настоящее время первое название сохранилось только у Хевсур. Второе название в настоящее время является широко распространенным и под ним понимается весь вид ячменя в целом.

Саба Сулхан Орбелиани в своем словаре поясняет, что „кртили“ означает озимый ячмень, а „кери“—яровой. Это толкование подтвердили старики хевсуры: Бабо Гогочури, Наразоули, Джинджараули Георгий и другие¹⁾. „Кртили“ по их словам означает озимый многорядный ячмень, а „Кери“—яровой двурядный. Джинджараули (с. Борисахо) сказал, что раньше в Хевсуретии сеяли „Кртили“, а теперь сеют такой ячмень только Пшавы. Осетины селения Сабуз также знали различие между „кртили“ и „кери“ и даже указали селение (Матаани), где сеется „кртили“. В других местах Кахетии, Эрцо, Тианети никто не слышал и не знает, что означает слово „кртили“.

В настоящее время яровой ячмень называют повсюду „ахали-тесли“, а озимый „дзвели-тесли“. Старик хевсур Бабо Гогочури пояснил, что яровой ячмень называется „ахали-тесли“, потому что посевом ярового ячменя начинается новый сельскохозяйственный год, при чем почва для него большей частью пашется же весной (ахали-натеси). Озимый же называют „дзвели-тесли“ потому, что его сеют осенью по старой пахоте (анеули—дзвели-натеси).

На давность культуры ячменя в Грузии указывает и то, что у хевсур он являлся объектом культа. На землях „хати“ высевается исключительно ячмень. Из него готовят священное пиво и хлеб. В храмах-хати имеется помещение для изготовления пива и его хранения. Эти верования и обычаи относятся к временам до родового быта и они указывают на то, что у грузин до установления родового быта ячмень был главным хлебом.

Все формы ячменя в настоящее время объединяются в один вид *H. sativum* Jessen, который подразделяется на 3 подвида: 1) многорядный *H. sativum vulgare* L., 2) двурядный—*H. s. distichum* L., 3) промежуточный ячмень *H. sativum intermedium* Vav. et Orł. Последний подвид встречается только в Абиссинии.

По В. Л. Менабде подвид двурядных ячменей представлен в Грузии 9 разновидностями, а подвид многорядных 7 разновидностями.

По данным Института растениеводства ячмень имеет три центра сосредоточения сортового разнообразия: 1) Абиссиния (наибольшее скопление всевозможных форм), 2) Юго-Восточная Азия (многорядные пленчатые и голозерные) и 3) Передняя Азия (многорядные и двурядные ячмени, здесь особенно выделяется эндемичная группа двурядных культурных ячменей).

На сортовой состав ячменей Грузии, как указывает Орлов, сильное влияние оказал последний центр и в частности Малая Азия. В Грузии

¹⁾ Это было установлено экспедицией работников Селекционной Станции в составе: Декапредевича, Менабде и Марджанишвили в 1936 году. Экспедиция была осуществлена при материальной поддержке Музея Шота Руставели.

встречаются те же формы, что и в Малой Азии, а именно разновидности: *pallidum*, *nutans*, *medicum*, *ricotense*, *parallelum*, *nigrum* и *nudum*. Это разновидности, которые составляют фон посевов. Широкое распространение из них имеют всего две разновидности. Из многорядных сеется главным образом разновидность — *pallidum*, а из двурядных — *nutans*.

Все расовое разнообразие ячменя в Грузии сводится по В. Л. Менабде к 60 формам¹.

По разновидностному и расовому разнообразию особенно выделяется подвид двурядных ячменей. Среди этого подвида особенным распространением пользуется разновидность *nutans*. Среди этой разновидности много форм ценных в практическом отношении.

Изредка (Хевсуретия, Юго-Осетия, Башкичети, и в других ячменных районах Грузии) встречается двурядный голозерный ячмень (кершвила).

В Кахетии в небольших размерах сеется шестигранный ячмень (*v. parallelum*). Остальные разновидности встречаются в виде примесей или же в виде сравнительно небольших посевов.

Экологические типы ячменя в настоящее время намечаются следующие.

1) Озимые многорядные формы, возделывающиеся в низменной зоне от 200 до 800 м. над ур. моря.

Относятся к ригидной группе Орлова. Характеризуются позднеспелостью и крупным грубопленчатым зерном.

2) Яровые многорядные формы возделываются выше 800 метров н. у. м. примерно 1.300 м. н. у. м. и затем у пределов земледелия (Сванетия). Также относятся к ригидной группе Орлова. Зерно средне-крупное сравнительно тонкопленчатое.

3) „Горный тип“. Яровые двурядные скороспелые ячмени. По грубости относятся к группе *medium*. Зерно крупное, большей частью тонкопленчатое.

4) „Высокогорный тип“. Яровые двурядные формы. По грубости относятся к промежуточной группе *medium*. Зерно тонкопленчатое. В стадии налива развивают антоциановую окраску².

Все эти данные свидетельствуют о глубокой древности культуры ячменя в Грузии и о том, что в эпоху Шота Руставели существовали, как двурядные (кери), так и многорядные ячмени кртили (ქბოთლი). Из двурядных ячменей, занимавших зону предгорную и высокогорную возделывалась, как и сейчас, разновидность *v. nutans*. Многорядные же формы, представленные главным образом, разновидностью *pallidum* встречались как в низменной полосе, так и в высокогорной в виде яровых форм.

¹ Менабде В. Л. Ячмени Грузии.

² Менабде В. Л. Ibid.

ПРОСОВЫЕ РАСТЕНИЯ.

Ботанический состав. Из просовых растений разводились и разводятся в Грузии:

- 1) *Panicum miliaceum* L., ფეჭვი—просо.
- 2) *Setaria italica* P. B. ssp. *maxima* Alf.—ღობი—гоми.
- 3) *Setaria italica* P. B. ssp. *mocharium* Alf. (*P. germanicum* Roth)—

известный под названием кврима—ჭვობი или мчадис-петви в Западной Грузии. Как и в других странах эти культуры в прежнее время пользовались в Грузии очень широким распространением и очень долго в некоторых районах—просо и особенно гоми являлось главным продовольственным хлебом. Но затем они мало по малу были вытеснены другими растениями. Гоми в Западной Грузии уступило свое место кукурузе, а просо в Восточной Грузии—кукурузе и пшенице.

В настоящее время гоми сохранилось небольшими островками почти исключительно в Западной Грузии, а в Восточной ее части встречается почти исключительно как очень редкая примесь (формы с некрупными метелками).

Просо уцелело как в Западной—(возвышенных частях) так и в Восточной Грузии, но подавляющая часть его посевов приходится на Восточную Грузию (Сигнахский, Телавский, Гурджаанский районы), при чем оно сеется здесь как в горной, так и в равнинной части.

Могар в чистом виде почти не возделывается и встречается, главным образом, как засоритель проса, при чем засоримость им проса доходит в иных случаях до 80% и более.

Просо. По наиболее полной классификации Арнольда, насчитывается 39 форм (разновидностей по *Körnische*) проса. В Грузии преобладают формы с развесистой (*effusum* Alf.) и пониклой (*Contractum*) метелкой. Типичных представителей комового проса (*Compactum Körnische*) почти не встречается.

Вкратце разновидностный состав проса в Грузии может быть охарактеризован следующей табличкой:

Описано Арнольдом разновидностей:	Встречаются в Грузии разновидностей
Группа развесистого проса . . . 17	10
Группа пониклого проса . . . 13	9
Группа комового проса . . . 9	2

По цвету зерна преобладают формы с желто-оранжевой окраской зерна.

По экологическим признакам резко выделяются два экотипа, которые можно назвать: 1) горный и 2) равнинный.

Первый тип характеризуется скороспелостью и низкорослостью. Второй тип высокорослый.

Исторические сведения. Просо принадлежит к древнейшим культурным растениям. В Европе известны находки проса, относящиеся к неолиту, бронзе и железному веку. В частности в Швейцарии обнаружены остатки проса, относящиеся к эпохе свайных построек.

Декандолль относил просо к одному из самых древних растений широко возделываемому в доисторическое время в Азии, Юге-Европы и Египте. Родиной проса Декандолль считал Аравию и Египет.

Бушан однако на основании своих критических исследований подверг сомнению предположение Декандолля о происхождении проса из Египта. В последнее время Вавиловым была выдвинута теория происхождения проса из Восточной Азии, основанная на том, что сортовое разнообразие проса возрастает к Востоку, Монголии, Манджурии, Китаю, и наибольшей концентрации достигает именно в этих странах. Подтверждением этого предположения является и факт нахождения дикого проса в Монголии.

В Европе просо было занесено, по Вавилову, кочевыми народами. Werth не упоминает проса среди древних растений Передней Азии. Однако в Колхиде недавно были найдены при раскопках остатки зерна проса.

Согласно исследованиям проф. И. А. Джавахишвили просо—ფეტვი упоминается в V веке нашей эры. В позднейшее время ფეტვი довольно часто встречается в различных бытовых документах.

Особый интерес представляет, как отмечает проф. И. А. Джавахишвили место в знаменитой поэме Шота Руставели, где он говорит: „მე მარგალიტსა მოვიძიე, თქვენ ქვრიბა დავითესია“ (დ. კარიჭ., § 1197). Из этих слов видно, что в эпоху Шота Руставели просо и его засоритель ქვრიბა были обычными возделываемыми растениями. Были известны и их качества. ქვრიბა явно считался растением менее ценным по сравнению с просом.

Действительно по сравнению с просом ქვრიბა имеет ряд отрицательных свойств. Зерно могоара гораздо мельче и хлеб получается из него более низкого качества.

Можно также предполагать, что земледельцы того времени хорошо знали, что просо засоряется ქვრიბა. Это они понимают и сейчас. Жители Эрцо, когда показывали поля проса с горечью говорили, что ქვრიბა „втесался в посев проса и избавиться от него никак нельзя“. Из этих слов можно заключить, что ქვრიბა считается типичным сорно-полевым растением. ქვრიბა—могар является менее требовательным растением и в случае неблагоприятных условий берет перевес над просом. Название ქვრიბა сохранилось местами до нашего времени. В Эрцо это название знают хорошо. Знают его также кое где в Кахетии. Нам приходилось слышать его и от некоторых колхозников Мухранской долины.

В настоящее время можно считать твердо установленным, что просо в Грузии возделывалось во всяком случае в V веке и по всей вероятности было занесено в Грузию гораздо раньше этого времени.

Могар, как сорно-полевое растение сопровождал посевы проса и в чистом виде почти не возделывался.

„ჭვლიძე“—Могар. *Setaria italica* PB ssp. *mochanivum* Alf. кврима единственное культурное растение, о котором, как о самом niskосортном злаке, упоминает в своем гениальном творении Шота Руставели.

Как было выше отмечено, могар в чистом виде не сеется и является типичным засорителем проса. Только очень небольшие посевы могоара встречаются в верхней зоне земледелия, где он почти нацело вытесняет просо.

Гоми им почти не засоряется: причиной этого является то, что на семена уже в поле отбираются лучшие метелки гоми и таким образом могар не попадает в семенной материал.

И этот подвид просовых растений происходит из Восточной Азии и занесен сюда вместе с просом.

Классификация Кернике-Баталина с добавлением Майсурьяна не охватывает всего разнообразия встречающегося в Грузии могоара. Всего до сих пор было описано 7 форм.

Характерны и представляют интерес как связывающее звено между могоаром и гоми переходные формы с более крупными метелками, с довольно ясно выраженными лопастями, которую мы выделяем как группу *intermedium* Dekapr.

Таким образом все формы могоара Грузии можно подразделить на группу *normale* с метелкой „совершенно не лопастной“¹ и группу *intermedium* с более длинной лопастной метелкой.

В свою очередь эти группы подразделяются на разновидности по длине щетинок и окраске зерна—желтое (белое), черное (каштановое). Указываются еще формы с красным зерном, но таковых нам не приходилось встречать.

ГОМИ. *Setaria italica* PB. ssp. *max.* Alf. Все авторы относят гоми также к очень древним растениям. Возделывалось оно прежде в очень широких размерах. Из археологических находок можно отметить нахождение зерен гоми в остатках свайных озерных построек.

По теории Вавилова гоми, подобно просу, происходит из Восточной Азии, где сосредоточено наибольшее разнообразие форм этого вида. Из этого первичного ареала оно затем распространилось вплоть до центральной Европы.

Проф. И. А. Джавахишвили указывает, что впервые гоми упоминается в грузинской литературе лишь в XIII веке н. э. Возможно, что гоми возделывалось в Грузии и раньше, но никаких надежных указаний на это не имеется.

вались резко различные ботанические формы льна. По крайней мере в Восточной Грузии сейчас сохранилась форма, которая относится к группе промежуточных льнов (средняя между долгунцами и кудряшами) и которая ближе всего стоит к *grex anatolicum Vav. et Eld.*, подвида *transiterum Vav.* Эта группа представляет собой кустистые растения, средней высоты с средними по величине коробочками и семенами.

Льны Западной Грузии, которые сохранились в Мегрелии и Абхазии, относятся к особой группе, т. н. стелющихся льнов — *grex prostratum Vav.* Эта группа отличается на ранних стадиях развития распластанной, прижатой к земле формой куста. Ко времени цветения ветви приподнимаются и достигают в условиях влажного климата до одного метра высоты.

Возделываются они как озимые. Однако при весеннем посеве они также образуют семена. Сеются они исключительно на волокно. Встречаются кроме Западной Грузии в Анатолии, на побережье Черного и Эгейского морей.

Все выше изложенное позволяет думать, что в эпоху Шота Руставели в Грузии возделывались как масличные льны, так и льны долгунцы. Первые культивировались преимущественно в Восточной Грузии, а последние, главным образом, в Западной Грузии.

Заключение. В итоге нашего исследования можно констатировать, что почти все главные культуры, происходящие из Старого Света, были представлены в эпоху Шота Руставели своими основными формами, а также большим числом видов и сортов.

Наибольшим полиморфизмом среди всех культур выделялась пшеница, которой возделывалось в то время не менее шести видов; хорошо были известны кроме того три сорта мягкой пшеницы.

Ячмени были представлены двумя подвидами и своими основными сортами.

Из просовых растений возделывались три вида в большом разнообразии.

Льны культивировались как прядильные, так и масличные.

Из зерновых бобовых существенную роль играли по крайней мере 3 вида, но кроме них возделывались и другие бобовые.

Все это говорит за то, что уже в то время земледелие находилось на сравнительно высоком уровне развития и земледельцы эпохи Шота Руставели хорошо разбирались в видовых и сортовых особенностях отдельных культур.

проф А. А. Капрелович

Хозяйственное
Значение:

Некоторых
Главнейших:

Полевых

Культур

Зернох

Шота

Руставели

МЯГКАЯ ПШЕНИЦА

Tr. vulgare Host.

„Ипки“. Те формы „ипкли“, которые сохранились до настоящего времени в Западной Грузии, представляют собой мощные растения „культурного типа“ с весьма ценными практическими свойствами, но с очень узким ареалом распространения. Отличаются они широкими листьями, сильной облиственностью, высоким ростом, крупными не грубыми колосьями, большим числом зерен в колоске, крупным, большей частью, мучнистым зерном и сравнительной позднеспелостью.

Весь этот габитус (облик) их говорит за то, что они являются типичными влаголюбями и поэтому могут возделываться только во влажном климате и в частности в условиях лесной полосы.

При испытании в засушливых районах „ипкли“ настолько сильно поражался всеми видами ржавчины, что значительная часть зерна получалась щуплой.

Непосредственно поэтому формы „ипкли“ могут представлять интерес только для лесной полосы Западной и Восточной Грузии. В засушливых же районах „ипкли“ может быть использован только как материал для селекционной работы.

„Хулуго“. Этот сорт очень близок по экологическим признакам к формам „ипкли“. Морфологически отличается от него отсутствием остей. Выделяется „хулуго“ также особенно крупным зерном и возможно, что по крупности зерна, отдельные формы этой популяции, являются самым крупнозерным среди всех мягких пшениц.¹

В степных засушливых и лесостепных районах Восточной Грузии ведет себя также, как „ипкли“ и может быть использован для селекционных целей только как материал для гибридизации.

Обе эти формы можно рассматривать как прототипы „культурных“ пшениц влажной зоны.

„Долис-пури“. Этим названием обозначаются популяции, главным образом, озимой пшеницы, занимающей всю низменную зону Восточной Грузии примерно до высоты 1500 метр. над уровнем моря.

¹ Как производные от этого сорта можно рассматривать сорта „упхо“ и „рачула“, возделывающиеся в настоящее время в некоторых районах Кахетии.

Как было отмечено выше среди этого массива можно выделить несколько экотипов. Наиболее своеобразным и наиболее интересным является карталинский экотип.

В противоположность „ипкли“ и „хулуго“, формы составляющие „Долис-пури“ имеют довольно ярко выраженное ксероморфное строение, в связи с чем они удовлетворительно переносят условия засушливого климата.

Растения этого типа отличаются не высоким ростом и тонкой соломенной, узкими листьями, не крупными колосьями и мелким зерном. Все эти признаки указывают, что эта пшеница является зноевыносливой и засухоустойчивой и способна хотя бы в некоторой степени противостоять суховеям. Благодаря этому в условиях Карталинии по урожайности „Долис-пури“ почти не уступает лучшим стандартным сортам, а в некоторые годы даже превосходит их.

Практически ценными свойствами „Долис-пури“ являются его неприхотливость, приспособленность к тяжелым бедным почвам и возможность возделываться как без орошения, так и в условиях орошения. Кроме того „Долис-пури“ отличается довольно высокими мукомольными и хлебопекарными качествами.

Плюсом этой популяции является также сильная кустистость и неосыпаемость даже при долгом оставлении в поле.

На ряду с этими ценными качествами „Долис-пури“ имеет и ряд минусов. К таковым относятся мелкозерность, полегаемость и трудная обмолачиваемость. Карталинский тип „Долис-пури“ кроме того поражается довольно сильно всеми тремя видами ржавчины. Но эти отрицательные свойства не настолько велики, чтобы они свели на нет положительные качества „Долис-пури“. Поэтому это старинный и приспособленный к местным условиям сорт не должен быть вытеснен, и заслуживает самой интенсивной работы всеми методами селекции.

„Дика“—*Tr. persicum Vav.* „Дика“ как яровая, высокогорная пшеница, доходящая наряду с мягкой пшеницей до пределов земледелия, представляет несомненно большой хозяйственный интерес. Особенностью этой пшеницы является ее приспособленность к суровым горным условиям. Она довольствуется небольшой суммой температур за вегетационный период и может созревать при низких температурах. Ценными свойствами „Дика“ является также способность переносить избыточное количество осадков, при чем зерно даже при длительных дождях не прорастает на корню и в снопах. Сравнительно мало поражается „Дика“ и грибными заболеваниями и практически может считаться свободным от них (виды ржавчины и мучистая роса). В низменной полосе (ниже 800—900 метр. над. ур. м.) „Дика“ совершенно не удаётся.

К отрицательным свойствам „Дика“ можно отнести следующее. Она не зноевынослива и не засухоустойчива. Мукомольные и хлебопекарные ка-

чества этой пшеницы считаются не высокими. По крайней мере все анализы, правда немногочисленные, показали это. Кроме того саман этой пшеницы в некоторых районах считается непригодным для скармливания лошадям.

В целом же „Дика“ и в настоящее время не потеряла своего значения и занимает сейчас сравнительно большие площади. В дальнейшем, надо думать, этот своеобразный вид пшеницы останется в высокогорной полосе. В виду этого она заслуживает самой интенсивной селекционной работы, как методом массового и индивидуального отборов, так и при помощи гибридизации.

„Зандури“—*Tr. Timopheevi*. Из эндемичных пленчатых видов пшениц Грузии наибольшее внимание обратил на себя „Зандури“ за свой исключительный иммунитет ко многим грибным заболеваниям. Испытание „Зандури“ во многих местностях СССР показало почти полную иммунность его к бурой ржавчине. В подавляющем числе случаев была отмечена полная непоражаемость этим грибом и только в отдельных случаях имелись отдельные пятна бурой ржавчины (оценка 0—1). Также устойчив оказался „Зандури“ к другому виду ржавчины—желтой (*Puccinia glumarum*). Повсюду где производилось испытание, обнаруживалась иммунность этого вида даже в годы массового поражения пшениц ржавчиной. В очень слабой степени поражался „Зандури“ и то в единичных случаях стеблевой ржавчиной.

Ни в одном из случаев испытания не было отмечено поражения „Зандури“ мучнистой росой. Не поражается она и белой пятнистостью (*Septoria*). В очень слабой степени поражается „Зандури“ и фузариозом.

Из головневых грибов „Зандури“ оказался восприимчивым только к стеблевой головне.

В некоторых районах *Tr. Timopheevi* обнаруживает кроме того устойчивость и к шведской и гессенской мухам.

Отличается „Зандури“ и высоким качеством зерна (18% белка). Хлеб из „Зандури“ особенно ценится на его родине. Он похож по виду и вкусу на хлеб приготовленный из твердой пшеницы и кроме того отличается белизной. Из других положительных свойств „Зандури“ необходимо отметить неприхотливость в отношении почвенных условий, так как он может произрастать на бедных каменистых почвах. Хорошо переносит также и известковые почвы.

Вместе с этими положительными свойствами „Зандури“, как и все пленчатые пшеницы, обладает рядом отрицательных качеств: трудной обмолачиваемостью, осыпаемостью колосьев (правда небольшой) и позднеспелостью.

В виду этого „Зандури“ может быть использован с селекционными целями, главным образом при помощи гибридизации.

„Маха“—*Tr. macha*. В противоположность предыдущему виду сильно поражается (но не у себя на родине) ржавчинными грибами. Стойкой оказалась „Маха“ при испытании ее не в условиях Западной Грузии только против стеблевой головни.

Из положительных свойств „Маха“ можно отметить способность переносить влажный горный климат и произрастать даже на щебенистых, скелетных и известковых почвах.

При скрещивании форм „Маха“ с другими видами пшениц получается исключительное сортовое разнообразие, среди которого имеется ряд весьма ценных типов.

Практическая ценность *Tr. macha* поэтому заключается в возможности использования ее, как ценного компонента при гибридизационных работах.

„Асли“—*Tr. dicocum (Schrank) Schübl.* „Асли“, также как и „Дика“, может считаться в условиях Грузии яровой горной пшеницей и по экологическим свойствам также является близкой к „Дика“.

В отношении почв по сравнению с „Дика“, „Асли“, однако, является менее требовательной и может произрастать на каменистых, скелетных и щебенистых почвах.

„Асли“ также можно рассматривать как относительно зновыносливую и засухоустойчивую пшеницу. В целом эта пшеница отличается большой пластичностью и приспособленностью к всевозможным условиям произрастания.

Как и все пленчатые пшеницы, „Асли“, несмотря на ряд хозяйственно-ценных свойств, не имеет перспектив на расширение площадей и подлежит постепенному вытеснению.

Интересные в практическом отношении свойства этой пшеницы могут быть использованы только как „строительный материал“ при селекции методом гибридизации.

Однозернянка—*Tr. monococum L.* Характеризуется неприхотливостью и большой приспособленностью к всевозможным условиям произрастания. Отличается также высокой иммунностью ко всем видам грибных заболеваний, но является малоурожайной.

Как и все другие пленчатые пшеницы представляет интерес только как материал для скрещивания, но при этом необходимо иметь ввиду трудную скрещиваемость однозернянок с другими видами пшениц.

Ячмень—*Hordeum sativum Jessen.* Ячмени Грузии отличаются в общем высокими хозяйственно-ценными свойствами. Прежде всего они выделяются крупнозерностью, высоким абсолютным весом зерна, сравнительно тонкопленчатостью, колосьями не грубого строения с тонкими остями. Необходимо также отметить в громадном большинстве случаев высокую всхожесть семян ячменя Грузии.

Как двурядные так и многорядные ячмени выделяются и урожайностью. Почти при всех испытаниях местные ячмени по урожайности занимали первые места, побивая по продуктивности лучшие стандартные сорта. Кроме этого их можно считать не требовательными к почвенным условиям.

Озимые четырехгранные поливные ячмени в пивоваренном отношении являются по Регелю довольно ценными формами (в среднем 11,4% сырого

протеина в Восточной Грузии). Не плохими пивоваренными свойствами обладает и двурядный горный ячмень (в среднем 12,4% сырого протеина в Восточной Грузии).

Наибольший интерес в практическом отношении представляет двурядный ячмень. Особенно выделяется он скороспелостью, приспособленностью к суровым горным условиям культуры, иммунитетом к шведской мухе и продуктивностью.

Как материал для селекции ячмени Грузии представляют исключительную ценность.

ჰროთ ს. ჩოლოყაძე ილო:

მასალოებო:
საქართველოს
XII-XIII საუკუნის
შ ა მ ი ს
ქ ი შ ე ბ ი ს
საერთისათვის



როდის დამკვიდრდა საქართველოს ტერიტორიაზე მევენახეობა როგორც სოფლის მეურნეობის დარგი, რა ევოლუცია განიცადა, როგორც თვით ვაზმა, ისე ამ სოფლის მეურნეობის დარგმა, აღმოცენდა მევენახეობა საქართველოს წიაღში, თუ შეზომებელ ერებისგან იყო იგი შეთვისებული?—ამის საბოლოო და ზუსტი მასალა არ მოგვეპოვება. ყოველ შემთხვევაში, ვაზის ზრდა-განვითარებისთვის საქართველოს ბარ ადგილებში იმდენად ხელის შეწყობი ბუნებრივი პირობები მოიპოვება, როგორც გარეული კრიკინა ვაზის (*Vitis sylvestris*), ისე კულტურული ვაზის (*Vitis vinifera*) ფორმებისთვის, ისე მრავალრიცხოვანია საქართველოში აბორიგენული ჯიშები და საქართველოში მევენახეობას იმდენად შორეული ისტორია აქვს, რომ მთელ რიგ მკვლევართ წარსული საუკუნის ნახევრამდე ვაზის სამშობლოდ საქართველო და მისი მოსაზღვრე ადგილები მიაჩნდათ¹. მხოლოდ უკანასკნელ პერიოდის ფიტოპალეონტოლოგიურმა კვლევამ ცხადჰყო, რომ ვაზი უკვე გეოლოგიურ მესამეულში მოიპოვებოდა ამ ჟამად-ყინულოვან და ცივ მხარეებში (გრენლანდია, ისლანდია, ჩრდილო ევროპა და სხ.).

უდავოდ შეიძლება მივიღოთ, რომ უძველეს დროში ადამიანმა იცოდა ვაზის მოხმარება — ჯერ ნედლი (ყურძნის) და მშრალი (ქიშმიშის) სახით, შემდეგ წვენისა და დაღულებულ წვენის (ღვინის) სახით; ნაყოფს კრიკინა ვაზიდან იღებდნენ და შემდეგ დაიწყეს შერჩევა უფრო მსხვილმარცვლიან და მსხვილმტევნიან ინდივიდებისა. უეჭველია ვაზის კულტურა მკიდროდაა დაკავშირებული ადამიანის დაბინადრების ხანასთან. დაბინადრებისას ჯერ კრიკინას რგავდნენ და შემდეგ მის უკეთეს ფორმებს, მაგრამ სად მიიღო პირველად ვაზის მოვლა-მოშენებამ „კულტურული“ ფორმები,—ამის შესახებაც ჯერჯერობით ზუსტი მასალა არ მოგვეპოვება.

გამომდინარე ვაზისთვის აუცილებელ ბუნებრივ პირობებიდან, აგრეთვე მევენახეობის ტერმინოლოგიიდან, ვაზის ძველი წესების აღზრდა-მოვლიდან, არსებულ კულტურულ და გარეულ ვაზის ფორმების მრავალრიცხოვანობიდან და ისტორიულ დიდი კვლევიდან, რომელიც პროფ. ივ. ჯავახიშვილმა ჩაატარა (საქართველოს ეკონომიურ ისტორიის მე-II ტომი), უფლება გვეძლევა მტკიცედ გავიზიაროთ მოსაზრება, რომ მევენახეობის ერთ მთავარ ცენტრთაგანად უცილობლად საქართველოც უნდა იქნეს მიჩნეული². უცხოეთის და ჩვენებურ მასალების გულმოდგინეთ დამუშავების და შესწავლის შედეგად იმავე მსჯოვან

¹ A. Engler. V. Hehn's Kulturpflanzen und Haustiere. Dr. Basserman-Iordan. Geschichte d. Weinb. Koch. Die Bäume und sträucher des alten Griechenlands 1884 წ. და სხ.

² პროფ. ი. ჯავახიშვილი. საქართველოს ეკონომიურ ისტორია, წიგნი მეორე, გვ. 603. „მედერაციის“ გამოცემა 1935 წ.

შეცხიერს ის დასკვნა გამოჰყავს, რომ „ძველ საქართველოში მევენახეობა უაღრესად განვითარებული ყოფილა, რათგან ისეთ მაღალღირსებთან ვაზის ყურძნების შექმნა, როგორც საფერავი, რქაწითელი და სხ. ჯიშებია, ქართველ მევენახეს მხოლოდ ხანგრძლივი, შეგნებული, გეგმაშეწონილი და მზრუნველობით აღსაესე მუშაობით შეეძლო“¹.

იმ ქვეყნებში, სადაც მევენახეობას მისდევნენ, როგორც სოფლის მეურნეობის, ისე კერძოდ მევენახეობის ისტორიიდან ცნობილია, რომ ომიანობისა და ეკონომიური დეპრესიის ხანებში მევენახეობა კნინდებოდა, ხოლო მშვიდობიანობის ხანაში, შემოქმედებით პერიოდში, ერის ეკონომიურად აღორძინების და გაძლიერების დროს სოფლის მეურნეობის ეს დარგი აყვავებას განიცდიდა. თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ მევენახეობა სოფლის მეურნეობის უაღრესად ინტენსიური დარგია,—თავისთავად ცხადია, რომ ამ დარგის წარმატებითი არსებობა შეუძლებელი იყო, თუ არა მშვიდობიან და შემოქმედებით ხანაში. რაც შეეხება კერძო მოვლენებს, საკმარისია გავიხსენოთ, რომ „მევენახეობა-მეღვინეობას საქართველოს ეკონომიური კეთილდღეობისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ძველი საქართველოს მეზობლებმაცა და მეტოქეებმაც კარგად იცოდნენ და სწორედ ამიტომაცა, რომ თემურ-ლენგმა მე-XIV-ს. დამღევს და შემდეგ მე-XVII-ს. დამღევს შაჰ-აბაზმა საქართველოს ეკონომიურად დასაუძლურებლად თავიანთ ლაშქრებს საქართველოში ვენახების გაკაფვა-ამოვდება უბრძანეს“².

როგორი იყო საქართველოში მევენახეობა XII—XIII საუკუნეში და კერძოდ შოთა რუსთაველის დროს,—ამის შესახებ არსებულ მასალებში კვალი ჯერ არ არის აღმოჩენილი. როგორც ცნობილია იმდროინდელი მასალების ნაწილი დაიღუპა; აღსანიშნავია, რომ ამ ხანაზე ადრინდელი, აგრეთვე შემდგომი მასალებიც, საქართველოში მევენახეობის მნიშვნელობასა და გავრცელებაზე მიგვითითებენ, ამიტომ სრული უფლება გვქვია ვივარაუდოთ, რომ დიდი თამარისა და გიორგის ხანაში, საქართველოს ძლიერებისა და ეკონომიურ სიმტკიცის დროს, მეურნეობის ეს დარგიც სათანადო სიმაღლეზე იქნებოდა დაყენებული.

შორეული წარსულის სოფლის მეურნეობის ისეთი დარგის გამოაშკარავება, როგორც მევენახეობა, უდავოდ უნდა ჩაითვალოს მატერიალური კულტურის ერთ საუკეთესო ძეგლად. ჩვენ მიზნად დავისახეთ მეთორმეტე საუკუნის მევენახეობიდან ვაზის ჯიშებზე შეეჩერებულებით, როგორც ამ დარგის კულტურის დონის ერთ საუკეთესო მაჩვენებელზე: ჯიშის შერჩევა, მით უმეტეს ისეთი კულტურისა, როგორიცაა ვაზი, მაჩვენებელია მრავალწლოვან მზრუნველობისა, ხანგრძლივი დაკვირვებისა და შეგნებითი მუშაობისა. პრიმიტიული ერი—პრიმიტიულ ჯიშებით კმაყოფილდება, და მხოლოდ მაღალკულტუროსანი ერი მაღალხარისხოვან ჯიშების მოშენებას აწარმოებს. საჭიროა გავარკვიოთ: რომელი და რა ღირსების ჯიშები მოიპოვებოდა ძველ საქართველოში?

¹ Idd.

² Ibid.

როგორც აღვნიშნეთ XII საუკუნის წერილობითი ძეგლები ამის შესახებ არ მოგვეპოვება, მაგრამ არსებული მეცნიერული კვლევითი მეთოდები საშუალებას გვაძლევს ნაწილობრივ მაინც აღვადგინოთ იმდროინდელი მევენახეობის ვითარება და ვახის ჯიშები.

ისტორიულ წარსულში არსებულ ჯიშთა გამოსაკვლევად ხმარებულ მეთოდებიდან ჩვენ შევჩერდით: ა) გეოგრაფიულ პრინციპზე, ბ) ჯიშის აბორიგენობაზე, გ) მორფოლოგიურ ნიშანთვისებებზე, დ) ისტორიულ და ე) ლინგვისტიკურ-ფილოლოგიურ რკვევის მონაცემებზე. სხვა მეთოდებისთვის არ მიგვიმართავს, საკმარისად მტკიცე მასალების უქონლობის გამო. საკითხისადმი მეტის სიფიზილით მიდგომის მიზნით (მით უმეტეს, რომ ჩამოთვლილი მეთოდები ცალკეულად აღებული სახეებით ზუსტ მონაცემებს არ მოიცემიან) და უნებლიეთი შეცდომის თავიდან ასაცილებლად, გადავწყვიტეთ მოხსენებულ მეთოდების ხმარების შედეგად მიღებული მონაცემები მხოლოდ მაშინ მიგვეკუთვნებია ძველ საქართველოს ჯიშთა შემადგენლობისათვის, თუ დასახელებული კვლევის მეთოდთა ერთობლივობა ამის საფუძველს მოგვცემდა; ერთ ან ორ კვლევითი მეთოდის შედეგად მიღებულ მონაცემებზე კი, როგორც შედარებით საეჭვოზე, ვამჯობინეთ არ დავყრდნობილიყავით და ასეთი ჯიშები XII საუკუნის ნუსხაში არ შეგვეტანა.

ფლორის წარმომადგენელთა სისტემაში მოსაყვანად და სახეობების ჩამოსაყალიბებლად, როგორც ცნობილია, თანამედროვე მეცნიერება დიდ ყურადღებას აქცევს გეოგრაფიულ პრინციპს.¹

გეოგრაფიული პრინციპი საშუალებას იძლევა გარკვეულ ტერიტორიაზე არსებულ მონათესავე მცენარეთა შორის ცხადჰყოს ცვალებადობის ამპლიტუდი, აგრეთვე მათი დამახასიათებელი ნიშანთვისებები გამოამჟღავნოს და ამ საფუძველზე მათი დაჯგუფება მოახდინოს. ჩვენი მიზნებისთვის აღებული გეოგრაფიული პრინციპი არ უნდა გვესმოდეს, როგორც განყენებული ცნება, არამედ იგი მჭიდროდ უნდა დავუკავშიროთ ეკოლოგიას.

მართალია ამ მნიშვნელოვან მეთოდის გამოყენებას მთელი რიგი სიძნელები ელოდება, მაგრამ თვით რკვევის მეთოდი კი, როგორც ასეთი, მეტად საყურადღებოა. ეკო-გეოგრაფიული პრინციპი თუმცა უფრო მნიშვნელოვანია სახეობათა შესწავლა-დაჯგუფებისათვის, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჯიშთა შესწავლისთვის იგი ნაკლები ღირებულებისა იყოს.

საქართველოს ვახის ჯიშებს, თუმცა შედარებით მცირე გეოგრაფიული არე უჭირავს, ამიტომ გეოგრაფიულ არეს მიხედვით თითქოს დიდი განსხვავება მოსალოდნელი არ უნდა ყოფილიყო, მაგრამ თუ მხედველობაში მივიღებთ საქართველოს ცალკე კუთხეების ბუნებრივ პირობების მეტად დიდ მრავალფეროვნებას, ცხადი იქნება, რომ ეკო-გეოგრაფიული პრინციპის გამოყენება საკმაოდ ღირსების მასალას მოგვცემს.

¹ Акад. Вавилов Н. И. Проблема происхождения культурных растений в современном понимании 1929 г. Мисге—Центры происхождения культурных растений 1928 г. Проф. Розанов М. А. Принципы классификации культурных растений. 1935 г.

საქართველოს ტერიტორიის სიმცირის მიუხედავად, როგორც ცნობილია, მის სივრცეზე ვხვდებით თითქმის ყველა გვარის ჰავისა და ნიადაგის პირობებს — სუბტროპიკულ ზონიდან დაწყებული და მუდმივი თოვლის საბურველით გათავებული. აქ ჩვენ გვაქვს რაიონები, რომლებსაც ახასიათებს 1800 მმ. ნალექები და ამასთანავე რაიონები მხოლოდ 300 მმ. რაოდენობით. ასეთი ნაირ-ნაირობა მოითხოვს ჯიშის შესაბამისობას¹. ამით უნდა აიხსნას ეს გარემოება, რომ კახეთში მტკიცედ მოიკიდა ფეხი საფერავმა და რქაწითელმა და ეს ჯიშები ამ რაიონებში საუკეთესო პროდუქტს იძლევა, დასავლეთ საქართველოში კი დამკვიდრდნენ ცოლიკაური და ციცქა, რომელნიც ამ კუთხის პირობებში მაღალი ხარისხის პროდუქტს იძლევიან. ბუნებრივ პირობებთან დაკავშირებით, საქართველოს თითოეულ მევენახეობის რაიონს საკუთარი ვაზის ჯიშთა ასორტიმენტი ახასიათებს, ჩვენი ქვეყნის ყოველ კუთხეს თავთავისი ასორტიმენტი აქვს: კახეთს თავისი საკუთარი, ქართლს თავისი და სხვა და სხვა. ჯიშთა ასეთი ლოკალიზაცია, რასაკვირველია, უბრალო, შემთხვევითი მოვლენით, არ აიხსნება, — ყველა ეს მხარე გარკვეული ეკოლოგიური პირობებით ხასიათდება და თითოეულ მხარეში ვაზის ჯიშთა ასორტიმენტი ასეთ პირობების მიხედვითაა გაშენებული და ცხადიცაა, რომ სათანადო ეკონომიურ ეფექტს მოიცემოდნენ ისეთი ჯიშები, რომელნიც ადგილობრივ პირობებს უკეთ შეეგუებოდნენ.

ცნობილია, რომ რაც უფრო ოპტიმალურია ეკოლოგიური პირობები ბიოტიპის არსებობისთვის, მით უფრო იგი მეტ გამძლეობას იჩენს² და რადგანაც საქართველოს სხვადასხვა რაიონში საკუთარი ასორტიმენტი არსებობს და თითოეული ასორტიმენტი კი განსაზღვრულ ეკოლოგიურ პირობებშია ლტოლნილი (ბუნებრივ პირობების მოთხოვნილების მიხედვით), უფლება გვაქვს იმ აზრს დავადგეთ, რომ ამ პირობებში არსებული ჯიშები საკმაოდ მტკიცე უნდა იყვნენ.

საქართველოს ვაზის ჯიშების ეკო-გეოგრაფიული პრინციპის საფუძველზე შესწავლა ნათელსა ჰქვინს მათ ბიოლოგიურ თავისებურებასაც. საკმარისია გავიხსენოთ, რომ გურია-სამეგრელო-იმერეთის ჯიშების ყურძენი გაცილებით უფრო გვიან იწევა, ვიდრე აღმოსავლეთ საქართველოს ჯიშები; ამის მიზეზია დასავლეთ საქართველოში არსებული სითბოსი და ამავე დროს სინოტივეს დიდი რაოდენობა; დასახელებულ მხარეების ყურძნის ჯიშები შემოდგომის ხანგრძლივი წვიმების შედეგად ნაკლებ ზარალდებენ, ზოგი ჯიშის ყურძენი დაუკრეფავად ხეებზე დატოვებული ახალწლამდეც სძლებს და არა ღებება და დაქიშვითმებასაც კი აღწევს; იქაური ვაზის ჯიშები ყურძნის მარცვლის მკვრივბორციანობით ხასიათდება, ზოგი ყურძნის ჯიშში საღებავია და არა საწუწნი, მაგ. გურიის ჯანი, ჯუმუტა, ალადასტური და სხ.

აღმოსავლეთ საქართველოს ვაზის ჯიშები ყინვისა და გვალვის უფრო მეტი ამტანობით ხასიათდება, ყურძენი თხელკანიანი აქვთ, სოკოვანი სნეუ-

¹ Hedrik, U P. Systematic pomology 1925 წ.

² Кошкгарев, Д. Среда и сообщество 1933 წ. Davenport. C. The animal Ecology The Decennial Publications of the Univers. of Chicago Vol X.

ლებებით ადვილად სნეულდებიან და სხ. ეს თავისებურებანი შედეგია საუკუნეთა განმავლობაში ვაზის შეგუებისა ადგილობრივ ეკო-გეოგრაფიულ პირობებთან და ამასთანავე დაკავშირებით შედეგია, როგორც ბუნებრივი, ისე ხელოვნური შერჩევისა. თავის არსებობის შესანარჩუნებლად ვაზის ჯიშები შეეგუებნენ იმ ეკო-გეოგრაფიულ პირობებს, რომელნიც საქართველოს სხვადასხვა რაიონს ახასიათებენ; ამ შეგუებას უეჭველია ადამიანმაც შეუწყო ხელი.

აღნიშნულ შეგუების თავისებურებიდან გამომდინარე უფლება გვაქვს იმ დასკვნამდე მივიდეთ, რომ საქართველოში არსებული ვაზის ჯიშის ასორტიმენტი: 1) ხანგრძლივი დროის არსებობის შედეგია; 2) ცალკეულ რაიონებში ვაზის ჯიშის მიერ გამომუშავებული თავისებურებანი მჭიდროდაა დაკავშირებული ადგილობრივ ბუნებრივ პირობებთან. ეკოლოგიურ-გეოგრაფიულ პრინციპის საფუძველიდან გამომდინარეთ უფლება გვაქვს ვივარაუდოთ, რომ საქართველოს ვაზის ჯიშების დიდ უმრავლესობას შორეული ისტორია აქვს.

ჯიშის მდგრადობა როგორც ბიოლოგიური ერთეულისა, მჭიდროდაა დაკავშირებული ერთი მხრივ ეკოლოგიურ პირობებთან, ე. ი. რამდენად ხელისშემწყობია გარემო ჯიშის არსებობისთვის, მეორე მხრივ კი გამრავლების წესთან, ე. ი. ახალ ინდივიდის შექმნის დროს რა წესით მოხდა მისი წარმოშობა ბუნებასა და კულტურაში. თავის მხრივ ეს მნიშვნელოვანი საკითხები მჭიდროდაა დაკავშირებული ჯიშის აბორიგენობასთან. ეს უკანასკნელი კი უდავო და თვალსაჩინო მასალას იძლევა ჯიშის ბუნების შესახებ. ცნობილია, რომ აბორიგენობა ყოველთვის არ მოასწავებს ენდემიურობას, თუმცა მათი ურთიერთ დაშორება ხშირად სიძნელეს წარმოადგენს.

საქართველოს ვენახების ჯიშთა გამორკვევის დროს ინვენტარიზებული იყო ქართული სახელწოდების მატარებელი 248 ვაზის ჯიში¹. ზუსტი კვლევის შედეგად, ჯიშთა ამ რაოდენობას უეჭველია 50 ჯიშამდე გამოაკლდება, რომელნიც უცხოეთიდან არიან შემოტანილნი და ადგილობრივი სახელწოდება მიიღეს, ანდა რაიონის მიხედვით სხვადასხვა სახელწოდებას (სინონიმებს) ატარებენ². ასეთ გაცხრილვის შედეგად დარჩენილი 200 ჯიშიც მეტად დიდ რაოდენობას წარმოადგენს, თუ მხედველობაში მივიღებთ საქართველოს ტერიტორიის სიძირეს და აგრეთვე იმ გარემოებას, რომ უძველესი დროიდან, ვაზი ვეგეტაციურად მრავლდება. საჭიროა გავიხსენოთ ისიც, რომ სოკოვან ავადმყოფობების და ფილოქსერის შემოსევამდე, ე. ი. წარსული საუკუნის 80-ან წლებამდე, საქართველოში გაცილებით უფრო მეტი ჯიში მოიპოვებოდა, ვიდრე ინვენტარიზებულია 1933 წ., ვინაიდან შემოჭრილ სნეულებების შედეგად მთელი რიგი ჯიშები,

¹ ინვენტარიზაცია ჩატარებული იყო ჩვენი ინიციატივით საკავშირო მევენახეობის კვლევითი ინსტიტუტის მიერ საქართველოს ყველა მევენახეობის რაიონში 1933 წ.

² გურიაში ცნობილი „ნაკაშიძის ჯანი“ ფრანგული ჯიში Aramon-ი აღმოჩნდა, რაჭაში „წულუკიძის თეთრად“ წოდებული ვაზის ჯიში Albilo Castellano აღმოჩნდა, შუა იმერეთში „მანეთიანად“ წოდებული ჯიში—Bican-ი აღმოჩნდა. არა ნაკლებად გვხვდება აგრეთვე სინონიმებიც, მაგ. არგვეთულ საფერეს—კობახიძის საფერე ეწოდება, გორულ მწვანეს—რაჭაში თბილური ეწოდება, ბუერ ვაზს ბორჩალოში სარისახას ეძახიან და სხ.

რომელნიც ჯერ ისევ XIX საუკუნის შუა წლებში იყო ცნობილი, ან მოისპო ან თითო-ოროლა ვაზი და გადარჩა და დაღუპვის გზას ადგა.¹ ამ ჯიშებიდან შეიძლება დაეასახელოთ ხევარდული, მელის კუდა, სამარხი, სადადეგო, პუმპულაში, ზერდაგი და სხვა მრავალი.

მოსხენებული 200 ჯიში საქართველოს აბორიგენები უნდა იყვნენ. საინტერესოა ის გარემოება, რომ საქართველოს ვაზის ჯიშები ამჟამად არც ერთ მევენახეობის ქვეყანაში არა გვხვდება, თუ არ კოლექციებში (Montpellier—საფრანგეთში და Kecemet—უნგრეთში) და, თუ კულტურაში სადმე გვხვდება, მთი შეტანის დრო და წარმოშობის პირვანდელი წყაროცაა ცნობილი. მაგ., კახური ჯიში საფერავი შეტანილია ყირიმში, დაღისტანში და სხ., ჯიშები თავკვერი და რქაწითელი—ახერბაიჯანში, უზბეკისტანში და სხვა. ის მოსაზრება, რომ საქართველოს ზოგი აბორიგენული ჯიში ირანული ან შუა აზიური იყოს, საეჭვოდ უნდა მივიჩნიოთ, რადგანაც, როგორც შემდეგ დავინახავთ, ჩვენი აბორიგენული ჯიშები ზემოდასახელებულ ქვეყნების ჯიშებისგან საგრძნობლად განსხვავდებიან მორფოლოგიურ ნიშანთვისებებით.

საქართველოში არსებული აბორიგენული ჯიშები ისევე, როგორც სხვა ქვეყნებში, ზოგი უფრო ახალი წარმოშობისაა, ზოგი კი უფრო ძველი. საქართველოში ვაზი უძველეს დროიდან ფაქიზი მოვლის ობიექტი იყო. ძველი დროის ძეგლებიდანაც ცნობილი, რომ საქართველოში ვაზს ვეგეტაციურად ამრავლებდნენ² და, მაშასადამე, ცხადია, რომ ეს წესი XII საუკუნეშიც იქნებოდა. ასეთი წესით გამრავლების შედეგად კი მცენარე ჯიშურ თვისებებს ინარჩუნებს, თუმცა მოსალოდნელია კვირტის ვარიაციის, მუტაციის, ან სხვა მოვლენების შედეგად ახალ ნიშანთვისებებიან ინდივიდის წარმოშობა. ასეთი მოვლენები არც თუ ისე ხშირად ხდება და ამიტომ ამ გზით მიღებული ახალი ფორმები შედეგია ვაზის კულტურისა მრავალ საუკუნის განმავლობაში. უნდა ვიგულისხმოთ, რომ საქართველოს აბორიგენულ ჯიშთა ნაწილი საუკუნეების მანძილზევე გენერაციულად წარმოიშვნენ. ვაზი, როგორც თვით, ისე ჯვარედინ განაყოფიერებასაც კარგად ეგუება. მისი დათესვის შედეგად მეტად ჭრელი პოპულაცია წარმოიშობა ხოლმე და ამიტომ ახალ ჯიშის შერჩევა-გამოყოფაშიც ქართველ მეურნეს დიდი დაკვირვება დასჭირდებოდა. უნდა გვახსოვდეს ის გარემოება, რომ ვაზს წიპწით არ ამრავლებდნენ. ამიტომ თესლიდან აღმოცენებული ინდივიდები შემთხვევითი მოვლენა იყო და უნდა ვიგულისხმოთ, რომ, ალბათ, ასეთი შემთხვევითი წარმოშობილ მცენარეებიდან თუ აწარმოებდნენ საუკეთესობის შერჩევას.

რადგან საქართველოში არსებულ ვაზის ჯიშები მხოლოდ საქართველოში გვხვდება, ამიტომ უფლება გვეძლევა ისინი (თუ ყველა არა, დიდი უმრავლესობა მაინც) ენდემურ ჯიშებად მივიჩნიოთ.

¹ ინვენტარზეული ჯიშები შერგოვილი და დამყნია. ნამყენები დატულია ქ. თელავში, მევენახეობის კვლევითი ინსტიტუტის ტერიტორიაზე.

² ვაზის „წიღნე“ (გადაწვენა, გადაწიღნა ანუ იმერეთში დამაგინება) გვხვდება დაბადების ტექსტში (იხ. ივ. ჯავახიშვილის საქ. ეკონომ. ისტორია გვ. 313).

რამდენად განმტკიცებულია ჩვენში არსებული ჯიშები, ხდება თუ არა მათი დევენერაცია, ან რა ცვლილებები განიცადეს საუკუნოთა განმავლობაში, ამის შესახებ მასალა არ მოგვეპოვება, ზოგადად კი შეიძლება აღვნიშნოთ, რომ ენდემურ ჯიშებს საერთოდ უფრო მეტი გაძლეობა აქვთ, ვიდრე ინტროდუქტირებულებს. აგრეთვე არ უნდა დავივიწყოთ ის ვარემოება, რომ საქართველოს ბარ ადგილის ბუნებრივპირობები უალრესად ხელს უწყობენ ვაზის ზრდა-განვითარებას.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ყამთა განმავლობაში მრავალი ბოტანიკური და ზოოლოგიური სახეობა იღუპება და ევოლუციური გზით მათ ნაცვლად ახლები წარმოიშობებიან ხოლმე, მით უმეტეს ასევე მოსდით ჯიშებს. მიუხედავად ამ დებულების სიმტკიცისა, თანამედროვე ბიოლოგიური მეცნიერება ვერ იძლევა გარკვეულ პასუხს იმაზე, თუ რამდენი წლის, ან საუკუნის სიცოცხლის უნარი აქვს ცალკეულ ჯიშს, თუმცა ცნობილია, რომ ზოგიერთ სახეობის ჯიშები უფრო მალე იღუპებიან (მარწყვი), ზოგისა კი თითქმის ათასეულ წლებს უძლებენ (კაკალი); ცნობილია ისიც, რომ ერთ-და-იმავე ბოტანიკურ სახეობის ზოგი ჯიშში მეტი ხანგრძლივობით ხასიათდება (ვაშლის ჯიშები Baldwin, Winesap, Northern spy), ზოგი კი ნაკლებით (ვაშლის ჯიშები Rome Beauty, Wagener და სხ.)¹. რამდენი წლის არსებობის უნარი აქვს ვაზის ჯიშს, გამორკვეული არ არის, თუმცა, ვიცით, რომ ვაზს რამდენიმე საუკუნის არსებობის უნარი შესწევს და, რაც უფრო ოპტიმალურია ევოლუციური პირობები, მით უფრომატულობს ჯიშის არსებობის ხანგრძლივობა. ზოგადი თეორიული მოსაზრებით ვეგეტაციურად გამრავლებულ მრავალწლოვან მცენარის ჯიშში ათიოდე თაობას მაინც მონაცვლის, თუ იგი ზრდა-განვითარების ოპტიმალურ პირობებში იმყოფება. საქართველოს ბარის პირობები აბორიგენულ ვაზის ზრდა-განვითარებისთვის, როგორც აღვნიშნეთ, ოპტიმალურია; ვაზის გამრავლება რქით ხდებოდა, ფართობის შესავსებად აგრეთვე ნარგავის გაახალგაზრდავების მიზნით მევენახეობაში მიღებული იყო ვაზის გადაწიდვანა. ასეთ პირობებში ვაზის ბუჩქი 100 და მეტ წელიწადს ცოცხლობს. ამ პირობებიდან და ამ ანგარიშიდან გამომდინარე უფლება გვაქვს დაბეჯითებით ვთქვათ, რომ საქართველოს მთელ რიგ მევენახეობის რაიონებში მრავალი ვაზის ჯიშში თავის არსებობას 1000 და მეტ წელს მოითვლის. აქედან კი ცხადია, რომ არამც თუ XII საუკუნის მთელი რიგი ვაზის ჯიშები, არამედ ვაცილებით უფრო ძველი დროისაც ჩვენამდის მოაღწევდნენ. ამით არ გვინდა იმის თქმა, რომ ჯიშში ამ ხანგრძლივ პერიოდის განმავლობაში უცვლელი დარჩებოდა; იგი საერთოდ ევოლუციურ კანონს ექვემდებარება და ამიტომ ცვლილებებს, რასაკვირველია, განიცდიდა... რაგვარ ცვლილებებს, — ამის შესახებ პასუხის მოცემა ძნელია, თუმცა უნდა ვივარაუდოთ, რომ ხდებოდა მუდმივი ცვლილების პროცესი: უფრო მგრძობიარე ვახდებოდნენ სნეულებისადმი, მეტი მიდრეკილება მიეცემოდათ ახალი ვარიაციების წარმოშობისკენ და სხ². საქართველოს ვაზის ჯიშთა შესწავლა ყველა ამას ადასტურებს. მიუხედავად როგორც აღვნიშნული, ისე სხვაგვარი ცვლილებისა, მაინც ყოველი-

¹ Hedrik H. Systematic Pomology, 1925 წ.

² ვაზის ჯიშში Pinot ერთი უძველესთაგანია. Columella თითქოს მას ახასიათებს; მაგრამ ნამდვილი ცნობები XIII საუკუნიდან მომდინარეობენ. სადღეისოთ ეს ჯიშში მრავალ ვარიაციას მოითვლის.

ვე ექვს გარეშეა. რომ გადარჩენილი ჯიშების უმრავლესობა, თუ ხარისხოვან პროდუქტს და უხვ მოსავალს არ მოიცემოდა და ეკონომიურად ეფექტური არ იქნებოდა,—საუკუნეების განმავლობაში ვერ შეინახებოდა და ახალ ვენახების გაშენებისას, უვარგისობის გამო, მოსახლეობა მათ მომრავლებას არ აწარმოებდა..

ზემოხსენებულზე დაყრდნობით, უფლება გვაქვს დავასკვნათ, რომ ჩვენ მევენახეობაში ძველთაგან შერჩენილ ჯიშების მეტი ნაწილი ხარისხობრივად მაღალი იყო, უხვ მოსავალს იძლეოდა და ამ მხრივ ზოგიერთ მათგანს დღევანდლამდის მკვეთრი უარყოფითი გავლენა არ უნდა განეცადა.

ცნობილია, რომ კონტინენტალურ ჰავის ვაზები მკაფიოდ განირჩევიან თავის მორფოლოგიურ ნიშნებით: მარცვლის სქელკანიანობით, პრიალა ფოთლებით და უბუხუხოობით. ზომიერად თბილ და არა გადამეტებულ ნალექებიან ჰავის პირობებში ყურძენი ნაკლებ სქელკანიანია, ვაზის ფოთლები, მით უმეტეს ფირფიტის ქვედა მხარე, საკმაო უხვადაა შებუხული და პრიალობას მოკლებულია; ფოთლის ფირფიტა ზევითა მხრიდანაც კი სადა, მუქი-მწვანე ფერისაა. ირანისა და შუა აზიის (უზბეკისტანი, ტაჯიკისტანი, თურქმენისტანი) აბორიგენული ვაზის ჯიშები კონტინენტალურ ჰავის მორფოლოგიურ ნიშნებით ხასიათდებიან, ჩვენში და ევროპაში არსებული ვაზის ჯიშების ფოთლები არა პრიალებენ, საკმაოდ შებუხულია და ყურძნის მარცვლიც შედარებით თხელკანიანია.

ასეთი მორფოლოგიური თავისებურება გვიჩვენებს, რომ საქართველოს აბორიგენული ვაზის ჯიშები მკვეთრად განირჩევა აღმოსავლურ ჯიშებისაგან და თუ მაინც დავუშვებთ, რომ ნაწილი ჩვენში არსებულ ჯიშებისა აღმოსავლეთის ქვეყნებიდან არის შემოტანილი, მაინც უდავოდ უნდა მივიღოთ, რომ ინტროდუქცია მოხდებოდა მრავალი საუკუნის წინ, ვინაიდან ათეული და თუნდ ასეული წლის განმავლობაში ჯიში არ დაჰკარგავდა თავის მკვეთრად გამოხატულ მორფოლოგიურ ნიშნებს, როგორცაა ფოთლის პრიალი და შებუხვა. გარდა ამისა, აღმოსავლეთ ქვეყნების ვაზის ჯიშების უმრავლესობის ყურძენი გრძელი ან მოგრძო მარცვლიანია. ევროპული ვაზის ჯიშების უმრავლესობა ხასიათდება მოგრძო, მომრგვალო ან ელიფსოიდური მარცვლიანი ყურძნით. გამონაკლისის სახით აღმოსავლეთ ქვეყნებში გვხვდება მრგვალი და მომრგვალო მარცვლიანი ჯიშები, ისევე როგორც ევროპულ ჯიშთა შორის გვხვდება გრძელი და მოგრძო მარცვლიანი ჯიშები. ჩვენს აბორიგენულ ვაზის ჯიშებს გარდა-მავალი ადგილი უჭირავთ—შესახვედრია მრგვალი, მომრგვალო, ელიფსოიდური და მოგრძო მარცვლიანი მოყვანილობის ყურძენი, თუმცა მრგვალ და ელიფსოიდურ მარცვლიანები დომინანტობენ. ეს თავისებურებაც ანგარიშგასაწევია.

მთელი რიგი გამოკვლევებიდან ვიცით, რომ პირველყოფილი ვაზები ერთბინიანობით ხასიათდებოდნენ¹, რომ გარეულ ვაზის ფორმებში მტერიანთა რიცხვი 5-ს აღემატებოდა. უნდა ვიფიქროთ, რომ უძველეს ვაზის ჯიშებს, როგორც გარეულებიდან წარმოშობილთ ეს თავისებურება (მტერიანთა დიდი რიცხვოვნება) ნაწილობრივ მაინც შერჩებოდა და ალბათ ამით უნდა აიხსნას ის გარემოება,

¹ Rathay E. Die Geschlechtsverhältnisse. 1888 და 1989 წწ. და სხ.

რომ მთელი რიგი ჩვენი აბორიგენული ვაზის ჯიშების ყვავილებში შედარებით ხშირად ვხვდებით 5 მტვრიანზე მეტს.

ყველა ზემოხსენებული მორფოლოგიური ნიშანიც საკმაო საბაბს ჩძლევადავასკნათ, რომ, თუ საქართველოს რომელიმე აბორიგენული ჯიში აღმოსავლურ წარმოშობისაა, მათ შემოტანის შემდეგ დიდმა ხანმა განვლო, რადგანაც მორფოლოგიურ ნიშნების ღრმა ცვლილებანი საერთოდ ხანგრძლივი დროის შედეგია; ევროპიდან მათი შემოტანა საქართველოში მეტად საეჭვოა, რადგანაც ევროპული ჯიშები საკმაოდ შესწავლილია და საქართველოს საწარმოო ჯიშები იქაურ მევენახეობისთვის უცნობია; თუ მაინც დავეუშვებთ, რომ ევროპიდან შემოტანილი იყო საქართველოში რომელიმე საწარმოო ჯიში, მას აქეთაც დიდ დროს უნდა განეწყო, რადგანაც შემოტანილთ ისეთი ძირითადი მოდიფიკაცია განუცდიათ, რომ თავისი პირვანდელი სახე დაუკარგავთ. თუ ყველა ამას დავუმატებთ, რომ საქართველოს აბორიგენულ ვაზის ჯიშთა ყვავილში მტვრიანთა რიცხვი ხშირად 5-ს აღემატება, უფრო მეტი საბაბი გვეძლევა ვიფიქროთ, რომ ჩვენში არსებული აბორიგენული ვაზის ჯიშები ძველ ხანას ეკუთვნის.

ყველა ზემოხსენებულ დასკვნის შეჯამების შედეგად დავინახავთ, რომ:

1) საქართველოს ცალკეულ რაიონების ასორტიმენტი კარგადაა შეგუებული ადგილობრივ ეკო-გეოგრაფიულ პირობებთან და ასეთ პირობებში-კი ჯიშები საკმარისად განმტკიცებულნი არიან;

2) საქართველოში არსებულ ჯიშთა უმრავლესობა, თუ უნდემური არა, ყოველ შემთხვევაში აბორიგენულია, თუმცა ისიც დასაშვებია, რომ ზოგი მათგანი ენდემურია, ზოგი კი აბორიგენული;

3) საქართველოში არსებული ვაზის ჯიშების მორფოლოგიური ნიშნები ზემომოყვანილ მოსაზრებებს უფრო ამტკიცებენ.

მიუხედავად ამ ფრიად მნიშვნელოვან მონაცემებისა, მაინც მოხსენებულ მეთოდებით კვლევა საშუალებას არ გვაძლევს ცხადვყოთ, თუ არსებულ ასორტიმენტიდან რა ჯიშები ეკუთვნის XII—XIII საუკუნეს და უფრო ადრინდელ დროს.

ამ საკითხის გადასაწყვეტად ჩვენ დავემყარეთ პროფ. ივ. ჯავახიშვილის მიერ შედგენილ საქართველოს ეკონომიურ ისტორიის მე-II ტომში მოყვანილ მასალას. მოხსენებულ შრომაში, ისტორიულ და ლინგვისტიკურ-ფილოლოგიურ მეთოდების გამოყენებით, დიდი მასალის მეტად გულმოდგინედ დამუშავების შედეგად, პროფ. ივ. ჯავახიშვილს მოჰყავს საქართველოში ძველად გავრცელებული ჯიშების ნუსხა სათანადო ახსნა-განმარტებებითურთ¹. ასეთი შრომის არსებობამ მნიშვნელოვნად გაგვიადვილა ისეთი რთული ამოცანის გამორკვევა, როგორცაა ძველად არსებულ ჯიშების საკითხი.

¹ იხ. ივ. ჯავახიშვილის „საქართველოს ეკონომიური ისტორია“ წიგნი მეორე გვ. 524—544.

დასახელებულ ნუსხაში პროფ. ივ. ჯავახიშვილს მოჰყავს ისეთი ჯიშებიც, რომელნიც საქართველოს მევენახეობაში დღეს უკვე აღარა გვხვდება, მაგ. ზეჰარდული, აგრეთვე ჯიშები, რომელთაც ამჟამად სამრეწველო მნიშვნელობასრულიად დაჰკარგეს და თითოეული ვაზი-ლა მოიპოვება, მაგ., სამარხი, სადადეგო, პუმპულაში და სხ., ამავე დროს მოხსენებულია ჯიშები, რომელთაც დღესაც წამყვანი ადგილი უჭირავთ საქართველოს მევენახეობაში და რაიონულ სტანდარტულ ასორტიმენტში არიან შეტანილი, მაგ., რქაწითელი, საფერავი, ძელშავი, ხიხვი.

რა ჯიშები დომინანტობდნენ წარსული დროის ვენახებში, რქაწითელს მშინაც ეჭირა კახეთის ვენახების 70%⁰/₀ და მჟღრია კი შემთხვევითი ნარგავს წარმოადგენდა, ანდა როგორი პროპორციისგან შედგებოდა ვენახის ნარგავები, ამის შესახებ მასალა თუმცა არ მოგვეპოვება, მაგრამ უნდა ვიფიქროთ, რომ უვარგისი ჯიშები (ნაკლებ მოსავლიანი, ხარისხის შემლახველნი, ადგილობრივ ბუნებრივ პირობებთან მცირედ შეგუებულნი და სხ.), როგორც უკვე აღვნიშნეთ, რამდენიმე საუკუნის მანძილზე თავს ვერ შეინახავდნენ, ასეთები, ახალ ვენახების გაშენების დროს გაითიშებოდნენ და ჩვენამდის ვერ მოაღწევდნენ.

რომაელები ვენახის გაშენებას რამდენიმე ჯიშით აწარმოებდნენ. ასეთ საქმიანობას აწარმოებდნენ იმ მოსახრებით, რომ, თუ ზოგი ჯიში რაიმე მიზეზის გამო მოსავალს არ მოიცემოდა, სხვა ჯიში მაინც უზრუნველყოფდა მევენახის შრომას. ძველ საქართველოშიც ასე აზროვნებდნენ და ამიტომ ვენახში ნარევი ჯიშები ჰქონდათ. მაგრამ მცირემოსავლიან და დაბალხარისხოვან ჯიშების მომრავლებას უეჭველია მასობრივად არ აწარმოებდნენ, მით უმეტეს, რომ მათ განკარგულებაში ისეთი ძვირფასი ჯიშები იყო, როგორიცაა რქაწითელი, საფერავი, ხიხვი და სხვა.

ქვემოთ ვათავსებთ ყველა იმ ჯიშის აღწერილობას, რომელნიც, ჩვენ მიერ ზემოდასახელებულ ყველა კვლევითი მეთოდის გამოყენების შედეგად, ეჭვს არ იწვევენ მათ ხანდაზმულობის შესახებ და საქართველოს დღევანდელ ვენახებშიაც მოიპოვებიან. ამჟამად არსებული ასორტიმენტის არაერთი წარმომადგენელი, უეჭველია, აგრეთვე ძველ დროს ეკუთვნის, მაგრამ, მათ შესახებ საკმაო მტკიცე მასალების უქონლობის გამო, ძველ ჯიშთა ნუსხაში არ შეგვაქვს.

ქვემოთ ვათავსებთ ამ ნუსხას და აგრეთვე მათ ზოგად ამპელოგრაფიულ აღწერას.

- | | | |
|--------------|----------------|-----------------|
| 1) რქაწითელი | 7) თითა | 13) მტრედისფეხა |
| 2) საფერავი | 8) მელისკულა | 14) სამარხი |
| 3) ბუდეშური | 9) ცხენისძუძუ | 15) მხარგძელი |
| 4) ხიხვი | 10) ხარისთვალა | 16) ფეროვანი |
| 5) ძელშავი | 11) ჩინური | 17) მცვივანი |
| 6) ბურა-ვაზი | 12) მჟღრია | 18) ბუტკოი. |

დასახელებულ ჯიშთა აღწერისთვის გამოვიყენეთ საქ. სას. სამ. ინსტიტუტის მევენახეობის კაბინეტში თავმოყრილი მასალა შეკრფილი დოკ-

მ. რამიშვილის, აგრ. შ. სიბაშვილისა, და არ. ფირანიშვილის მიერ. ვათავსებთ აგრეთვე ყურძნის მექანიკურ და ქიმიურ ანალიზების შედეგებს. ნაწილი ანალიზებისა წარმოებულია ენკიმიკოს ვ. ბურჯანაძის მიერ მევენახეობის საკავშირო მეცნიერულ-კვლევითი ინსტიტუტის ლაბორატორიაში, ნაწილი კი წარმოებულია სას. სამ. ინსტ. მევენახეობის კაბინეტში აგრ. ნ. ჩახნაშვილის მიერ.

რქაწითელი

სინონიმი: Zweibäsen (ბორჩალოს გერმანელი კოლონისტები), Rka-Tziteli (Viola etvermor, Ampelogr.), Rhaztitelo (Guillon, Cép. Orient).

თეთრყურძნიანი კახური ვახების ჯიშთა შორის რქაწითელი ყველაზე მეტადაა გავრცელებული და ყველაზე მეტი პოპულარობითაც სარგებლობს. იგი წარმოადგენს შიგნით და გარე-კახეთის ძირითად საწარმოო ჯიშს და ამ რაიონებში მისი ნარგავთა რაოდენობა აღწევს ვენახების საერთო ფართობის 65—70%-მდე. რქაწითელი საინგილოში უფრო მეტადაა გავრცელებული და აღწევს 95%-მდე. გარდა ზემოხსენებულ რაიონებისა ამ ვახის ჯიშს ნაწილობრივ ვხვდებით საქართველოს სხვა მხარეებშიაც (არაგვის და ქსნის ხეობა, რაჭა და სხვა), აგრეთვე აღმოსავლეთ აზერბაიჯანში და საბჭოთა კავშირის ზოგიერთ რაიონშიც, მაგრამ მეტად მცირე რაოდენობით.

რქაწითლის ვაზი შემდეგით ხასიათდება:

ზრდა: საკმაოდ ღონიერი, პირამიდალური მიმართულებისა და ღალი იცის.

ფოთოლი საერთოდ მონახულობით მორგვალეებულია და ოდნავაა დანაკეთილი. ფირფიტის ზემო ამონაკვეთი მახვილფუძიანია, მეტწილად ლირისებური მოყვანილობისაა დაახლოვებული გვერდებით და ვიწრო ჭურჭუტანით; ქვედა ამონაკვეთი სუსტად მოჩანს და ხშირად ჩაქრილ კუთხისებურია.

ფოთლის ყუნწის ამონაკვეთი თალისებურია; მორგვალეებული ფუძით, იშვიათად ლირისებურია მახვილი მონახულობის ფუძით. ნაკვეთების ბოლო კბილაკები სამკუთხედისებრი, სწორე გვერდებიანი და ოდნავ წაწვეტებულ წვეროებიანია. გვერდითი კბილაკები კი ოდნავ ხერხისებური, აგრეთვე სწორგვერდებიანი წაწვეტებულ წვეროიანია. ფოთლის ფირფიტის ქვედა მხარე სადა, ბადისებრ ნაოჭებიანია და შებუსვლია აბლაბუდისებრი ბუსუსით. ფირფიტის მთავარი ძარღვები შიშველი და მომწვანო ფერისაა. ფოთლის ყუნწი მთავარი ძარღვის სიგრძის თანატოლია.

ყვავილი ორსქესიანია, ძირითადად ხუთმტერიანიანია, გვხვდება აგრეთვე ექვსი, შვიდი მტერიანა.

მტევანი ფორმით ცილინდრისებრია, მეტწილად კუმსია და იშვიათად ძლიერ კუმსი. უხვი მოსავლიანობის მტევანს მეტად უფითარდება ზევითა კუფხლები და ამ შემთხვევაში მტევანი რთული მტევნის შთაბეჭდილებას სტოვებს. მტევნის სიგრძე 18—20 სანტიმ. უღრის, ხშირად უფრო გრძელიცაა, სიგანე კი 8—10 სანტიმ. აღწევს. მტევნის ყუნწი 4—5 სანტიმ. სიგრძისაა, ხედება და წითელ-მორუხო ფერს იღებს; შემოუსვლელი იშვიათად რჩება.

მარცვალი ფორმით ოდნავ ოვალურია, შუაზე განიერი, ბოლო მორგვა-
ლებული, სიმეტრიული, საშუალო სიმსხოსია; სიგრძით აღწევს 18—20 მმ; სი-
განით კი 15—17 მმ. მარცვლის კანი თხელია, ხორცს ადვილად ვერ სცილდება,
მომწვანო ფერისაა, ხშირად ყვითელ ფერსაც იღებს; აბეჩხარ პირობებში და
ხირხატ ნიადაგებზე მარცვალი სრული სიმწიფის დროს ალისფერ იერს იღებს.
მარცვლის კანი მცირე ფიფქითაა შეფენილი. ხორცი წვნიანია. ყურძენი მწიფ-
დება II პერიოდში.

მარცვალში წიბწა მეტწილად 1—2 ცალია, იშვიათად 3—4 ცალი, ძლი-
ერ იშვიათად გვხვდება 5 ცალიც.

მარცვლის ყუნწი სიგრძით 4—6 მმ, იშვიათად 7 მმ აღწევს, მომწვანო
ფერისაა. ბალიში მომრგვალო, დამეჭკეპებულია; მარცვალთან მიმაგრება სა-
შუალოა.

რქა ნაკლებ ზოლიანია, მუხლთშორისები საშუალო სიგრძისაა, ფერით მო-
რუხხო-მოწითალოა, მუხლებთან ოდნავ უფრო მუქი ფერისაა.


რქაწითლის ყურძნის მექანიკური ანალიზის შედეგები:

მტევნის საშუალო წონა	190,69 გრ.
მტევნის საშუალო სიგრძე	19,1 სანტ.
მტევნის საშუალო სიგანე	10,0 სანტ.
მარცვლის საშუალო სიგრძე	18 მმ.
მარცვლის საშუალო სიგანე	16 მმ.
მტევანში კლერტი	2,35
100 მარცვლის წონა	210 გრ.
100 მარცვლის წიბწის წონა	7,7 გრ.
წიბწის რაოდენობა 100 მარცვალში	192 ცალი.
მარცვალში	{ ხორცი % 84,34
	{ წიბწა „ 3,7
	{ ჩენჩო „ 11,96

რქაწითლის წვენის ქიმიური ანალიზის შედეგები:

შაქარი (საღებრონით)	21,56	%
საერთო ტიტრირებული სიმჟავე	7,68	% ₀₀
წყალბადიონთა კონცენტრაცია pH	3,21	
წიბწაში ცხიმი	19,7	%
ტანიდები	{ კლერტში 5,74	„
ლევენტალით	{ ჩენჩოში 2,98	„
	{ წიბწაში 6,33	„

ქაჭაზე დაყენებულ რქაწითლის ყურძნის წვენიდან კახეთში მზადდება ტი-
პური, ხარისხოვანი, მუქი ჩაისფერი სუფრის ღვინო, ცნობილი თეთრი კახუ-
რის სახელწოდებით. ევროპული წესით დაყენებული რქაწითელის ღვინო ფრი-
ად ჰარმონიული, ამავე დროს სხეულიანი დგება და მაღალხარისხოვან სუფრის
ღვინოების წყებას მიეკუთვნება. უფრო თბილ რაიონებში შესაძლებელი ხდება ამ



რქაწითელი



საფერავი (კახური)

ჯიშიდან ხარისხოვანი მაგარი ტიპის ღვინის დაყენება (კარდანახი), ღვინის სპირტიც (კონიაკი) რქაწითელიდან მეტად მაღალი ხარისხისა დგება. ღვინოებს გარდა რქაწითელიდან ამზადებენ კახეთში ყურძნის წვენს, ბადაგს, ხმარობენ საჭმელად და შესანახადაც. რქაწითლის ყურძენი ტრანსპორტს ვერ იტანს.

ზაქათლის და კახის რაიონებში რქაწითლის ვაზები ხეებზეა აშვებული, გვიანობამდის სტოვებენ მოუკრეფავად და ადგილობრივ ბაზარზე მთელი შემოდგომის მანძილზე გეხვდება ახალ მოკრეფილი რქაწითლის ყურძენი; იგი კარგად ინახება ამ სახით იმ დრომდე, სანამ პირველი თრთვილი მოვიდოდეს, თოვლის შემდეგ კი მთლიანად კრეფენ, ვინაიდან ყურძენი ძრება და შესანახად გამოუსადეგარი ხდება.

ამ გვარად რქაწითელი შეიძლება მივაკუთვნოთ ვახის უნივერსალურ ჯიშთა წყებას, მაგრამ მაღალხარისხიან და ამავე დროს ტიპიურ პროდუქტს იძლევა მხოლოდ კახეთის პირობებში. სწორედ ამით უნდა აიხსნას მისი გავრცელების შედარებით შეზღუდული არე.

ცხელი ჰავის პირობებში რქაწითელის ვაზმა გადაგვარება იცის. ნაწილობრივ ამით უნდა აიხსნას, რომ მონპელიეს (სამხ. საფრანგეთში) კოლექციაში დაცული რქაწითლის ვაზები მეტად ბეჩავად გამოიყურება.¹

ლონიერ ნიადაგებზე, საჭირო ნალექებით უზრუნველყოფილ წლებში, რქაწითელი უხვ მოსავალს იძლევა, რომლის რაოდენობა ერთ ჰექტარზე ზოგჯერ 120-150 ცენტნერს აღწევს კახეთის ურწყავ პირობებში; რიგიანად დამუშავებულ და მოვლილ ვენახებში რქაწითელი საშუალოდ 80—100 ცენ. მაღალხარისხოვან ყურძენს იძლევა. აბეჩხარ, დაყამირებულ მიწებში რქაწითელი უბარაქო მოსავალს იძლევა, მაგრამ ასეთ პირობებში მისი ყურძენი განსაკუთრებული სილამაზით და გემოთი ხასიათდება.

სხვა ჯიშებთან შედარებით, ფილოქსერის მიმართ რქაწითელი საშუალოდ ამტან ვახის ჯიშად ითვლება, ნაცარი და ჭრაქი კი საკმაოდ ვნებენ და რქაწითლის ვახის დროული შეწამვლა სავალდებულოა. სიცივეების და გვალვების მოქმედებას უფრო უკეთ იტანს, ვიდრე ბევრი სხვა კახეთში გავრცელებული ვახის ჯიში.

რქაწითელი ეკუთვნის კახეთის უძველეს ჯიშთა წყებას. ამაზე მიგვითითებს, როგორც პროფეს. ივ. ჯავახიშვილის შრომა², ისე პროფ. ს. ჩოლოყაშვილის და ნ. ჩახნაშვილის³ კვლევაც. თუ მივიღებთ მხედველობაში რქაწითლის მთელ რიგ ღირსებებს, ცხადი ხდება, თუ რად შეინარჩუნა ეს ჯიში კახეთში მოღვაწე მეურნემ მრავალი საუკუნის განმავლობაში.

რა ევოლუციური ცვლილებანი განიცადა საუკუნეების განმავლობაში რქაწითელმა, ამის შესახებ არავითარი მასალა არ მოგვეპოვება; უნდა ვიგულოვოთ,

¹ 1925—26 წ. Montpellier-ს აგრონომიულ ინსტიტუტის კოლექციაში ყველა ყლორტი და ფოთოლი დაავადებული იყო; გარეგანი ნიშნებით დაავადება ვირუსული ხასიათისა იყო.

² ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს ეკონომიური ისტორია, II წიგნი, 1935 წ. „ფენდრაცია“.

³ ს. ჩოლოყაშვილი და ნ. ჩახნაშვილი. მასალები ქართული ვახის შესწავლისათვის. საქ. ექსპ. აგრონომ. მოამბე № 3. 1929 წ.

რომ ამ ჯიშის ხარისხობრივი მაჩვენებლები რომ შენახულიყო, დღევანდლამდის ვერც მოაღწევდა.

რქაწითელი მოითხოვს გრძელ სხვლას, სამოსავლო რქაზე უტოვებენ 8—12 კვირტს; ყურძენი ყლორტზე გამოაქვს მე-4—5 კვირტიდან. გარდა კახური ფორმისა, კარგად ეგუება გიოს ფორმასაც. შემჩნეულია რქაწითლის რამდენიმე ვარიაცია, რომელნიც ურთიერთ შორის განსხვავდებიან როგორც ფოთლის; ისე მტენის აგებულებით. ქიზიყში არჩევენ „წითელ“ და „მწვანე“ რქაწითელს, პირველის მარცვალი სრული სიმწიფის დროს მოალისფეროა, მეორე კი მომწვანოა. ველისციხის მიდამოებში არჩევენ „დედალ“ და „მამალ“ რქაწითელს, რომელნიც მარცვლის სიმსხოთი განირჩევიან. რქაწითლის ეს ვახები ცალკე კლონს წარმოადგენენ, თუ მოდიფიკაციის შედეგია, ეს თავისებურება ჯერ კიდევ გამოსარკვევია. ინდივიდური სელექციის ჩატარების შემდეგ, უეჭველია, მოხერხდება უფრო ძვირფასი კლონების გამოყოფა.

რქაწითლის ყურძენში გადამწიფების დროს სიმქავე საგრძნობლად კლებულობს, რითაც ხასიათდება ტიპური კახური წესით. (ჭაჭაზე) დაყენებული ღვინოები. ევროპული წესით დაყენებული, დროზე მოკრეფილი, ყურძნიდან კი ხანგრძლივი შენახვის უნარიანი ღვინო ღვება, რომელშიაც მაღალი ლირსება მე-4—5 წლიდან იწყებს განვითარებას, ბოთლებში ათეული წლების განმავლობაში ინახება და დაძველების პროცესში უფრო და უფრო უკეთესდება.

საფერავი

საფერავი გავრცელებულია გურჯაანის, თელავის, ყვარელის, სიღნაღის რაიონებში; გარე კახეთში მისი ნარგავები შედარებით მცირე რაოდენობით გვხვდება. საფერავის ვახებს მთელი კახეთის ვენახების ფართობის 23—26 %-მდე უკავია. ვახის ამ ჯიშის საწარმოო მნიშვნელობის ნარგავები, გარდა კახეთისა, გვხვდება საქართველოს სხვა კუთხეებშიაც, აგრეთვე ყირიმში, აზერბაიჯანში და მცირე რაოდენობით კავშირის მევენახეობის სხვა რაიონებშიაც.

საფერავის ვაზი შემდეგი ნიშნებით ხასიათდება:

ზრდა საკმაოდ ღონიერი აქვს, ყლორტები ნაკლებ აწოწილია.

ზრდამოთავებულ ფოთლის ფირფიტა მომრგვალებული მოყვანილობისაა, ნაკლებ დანაკვეთილია და ორი ამონაკვეთი უფრო გამოხატულია. ზემო ამონაკვეთი ნაპრალისებურია, ზშირად ლირისებურიცაა; მორგვალებული ფუძე აქვს, იშვიათად ერთი კბილაკიც. ქვემო ამონაკვეთი ოდნავ შესამჩნევი და ზოგჯერ ნაპრალისებურია. ფოთლის ყუნწის ამონაკვეთი მეტწილად ლირისებურია, იშვიათად თალისებური, მომრგვალებულ ფუძიანია, ნაკვეთის ბოლო კბილაკი სამკუთხიანი, ოდნავ გამობერილი გვერდებით, ოდნავ წაწკვეტებულ წვეროიანია. ფოთლის ფირფიტა ბრტყელი, ნაოკებიანია, ქვედა მხარე შებუსვლია წვრილი ბუსუსით. მთავარი ძარღვები ოდნავ შებუსვლი და მწვანე ფერისაა. ფოთლის ყუნწი მთავარ ძარღვის სიგრძეზე მოკლეა, შიშველი და მწვანე ფერისაა. შემოდგომით ფოთოლი იღებს მუქ წითელ, ზოგჯერ მოშავო ფერს.

ყვავილი ორსქესიანია, 5-მტკრიანიანია, იშვიათად 6-მტკრიანიანიც გვხვდება.

მტევნის ფორმა კონუსისებური მოყვანილობისა, მეტწილად თხელი, იშვი-ათად ოდნავ შეკრულია. მტევნის სიგრძე 13—18 სანტიმეტრს უდრის, სიგანით კი ზედა ნაწილში 10—12 სანტიმეტრისაა. მტევნის ყუნწი 2—3 სანტიმეტრის სიგრძისაა, გახევებული მორუხო ფერისაა, შემოუსვლეელი კი მწვანე. ფერისაა. მარცვალი ოვალური მოყვანილობის, შუაზე განიერი, ბოლო მომრგვალებუ-ლი, სიმეტრიული, საშუალო სიმსხოსია; სიგრძე ზოგჯერ აღწევს 20—21 მმ, სიგანე კი 17—18 მმ. მარცვლის კანი თხელია, ადვილად იხევა, მუქი შავი ფე-რისაა, უხვადაა დაფენილი ფიფქით. ხორცი წვნიანი და წითლად შეღებილია, ყურძენი მწიფდება მეორე პერიოდში. მარცვალში წიბწა მეტ წილად 1—2 ცა-ლია, ძალიან იშვიათად გვხვდება 3 ცალი.

მარცვლის ღერუკა 5—8 მმ სიგრძისაა, მწვანე ფერისა და დამეჭექებულია. ბოლოში წითელი ფერისა, განიერი, კონუსისებურია. მარცვალი ღერუკასთან შედარებით ნაკლებ მჭიდროდ არის მიმაგრებული.

რქა ოდნავ დაზოლილი, საშუალო მუხლთშორისებიანი, მოწითალო-მო-რუხო ფერისაა, მუხლები უფრო მუქი ფერისაა.

საფერავის ვაზი ეგუება როგორც გრძელ, ისე მოკლე სხვლას. საკმელად ნაკლებ გამოსადეგია, საკუთრივ საღვინე ჯიშად ითვლება და ამ მხრივ კახეთის პირობებში მას მეტოქე არა ჰყავს. ცხელ და მშრალ ჰავის პირობებს საფერავი ისევე ვერ იტანს, როგორც რქაწითელი. ზამთრის ყინვებისაგანაც ადვილად ზიანდება.

საფერავის ყურძნის მექანიკური ანალიზის შედეგები:

მტევნის საშუალო წონა	157,73 გრ.
მტევნის საშუალო სიგრძე	16,95 სტ.
მტევნის საშუალო სიგანე	11,2 სტ.
მარცვლის საშუალო სიგრძე	16,5 მმ.
მარცვლის საშუალო სიგანე	14,5 მმ.
მტევანში კლერტის %/0	3,56
100 მარცვლის წონა	148 გრ.
მტევანში ჩენჩოს %/0	10,59
100 მარცვლის წიბწის წონა	9,7 გრ.
წიბწის რაოდენობა 100 მარცვალში	112 ცალი

მარცვალში	{	ხორცი %	86,14
		წიბწა %	3,28
		ჩენჩო %	10,59

საფერავის წვეწის ქიმიურ ანალიზის შედეგები:

შაქარი (საღვირონით)	23,5 %/0		
საერთო ტიტრირებული სიმჟავე	7,8 %/00		
წყალბადიონთა კონცენტრაცია pH	3,38		
წიბწაში ცხიმი	17,34% ⁰		
ტანიდები	{	კლერტში	4,93% ⁰
		ჩენჩოში	3,17% ⁰
		წიბწაში	5,78% ⁰

საფერავი უძვირფასესი წითელი ღვინის ჯიშად ითვლება და მისგან დამზადებულ ღვინოებს სახელი მოხვეჭილი აქვს საქართველოს გარეშე. ბაზრებზე და ც. საფერავის ღვინო ქანძმარაულიდან (ყვარელი), ახოებიდან (კარდანახი), თელიანიდან (წინანდალი) და სხ. საუკეთესო ნიმუშია ამ ჯიშის ღვინის განსაკუთრებული ღირსებისა.

საფერავი იძლევა სხეულიან, მუქი წითელი ფერის ღვინოს, რომელიც „ხავერდოვანებით“ ხასიათდება. საფერავის ღვინო იხმარება საკუბაჟედაც ნაკლებშეფერილი და ნაკლებ სხეულიანი წითელ ღვინოების გასაუმჯობესებლად. გარდა სუფრის ღვინისა, მისგან ამზადებენ მაგარ ღვინოებსაც.

არა-მშრალ და ღონიერ ნიადაგებზე საფერავი იძლევა კარგ მოსავალს, რომლის რაოდენობა ერთ ჰექტარზე 80—100 ცენტნერს აღწევს. გვალვის დროს მისი მოსავლიანობა ძალიან მცირდება და საერთოდ საფერავი ძლიერ მგრძობიარე ჯიშია, როგორც სიმშრალის, ისე სიცივეებისადმი; სწორედ ამ მიზეზის გამო შედარებით ნაკლები რაოდენობით არის გაშენებული. ნაცრის ამტანიანობა გაცილებით უკეთესი აქვს, ვიდრე ვაზის სხვა ადგილობრივ სტანდარტულ ჯიშებს. ფილოქსერის ზეგავლენით ძალიან მალე იღუპება.


საფერავის ახალგაზრდა ღვინოები ძალიან წააგავან დაღმატურ (ადრიატიკის აღმოსავლეთი სანაპირო) ახალგაზრდა კარგ წითელ ღვინოებს, დაძველებულნი კი ბურგუნდიის სახელგანთქმულ ღვინოების ხასიათს ატარებენ.

საფერავში ვხვდებით სხვადასხვა ვარიაციას, სახელდობრ, ყვარელის რაიონში „მამალ საფერავს“, რომელიც ხასიათდება ძლიერი ზრდით, ბევრი თანაყვავილედით, მხოლოდ ძლიერ მცირე მოსავლიანობით და მარცვალში მცირე რაოდენობის წიპწით. ორსქესიანია. გარდა ზემოხსენებულ ვარიაციისა საკავშირო მევენახეობის ინსტიტუტის საცდელ ნაკვეთზე და აგრეთვე სოფ. შაშიანში აღმოჩენილია სხვა ვარიაციაც, რომელსაც ახასიათებს არაჩვეულებრივი სიდიდის თანაყვავილედი. თვითეულ თანაყვავილეზე ყვავილთა რიცხვი 12—15 თას ცალამდე აღწევს; ამ სახის ვარიაციასაც საბოლოოდ მცირე მოსავლიანობა ახასიათებს, რადგან ყვავილობის დროს მტევანი მეტად თხელდება. ეს ვარიაცია ყვავილობას იწყებს ერთი კვირის მოგვიანებით, ვიდრე ჩვეულებრივი საფერავი; მარცვალში წვრილი წიპწები უფრო თარდება. ორსქესიანია. ზოგიერთი კახელი მევენახის აზრით „დიდფოთლიანი“ და „პატარა ფოთლიანი“ ვარიაციებიც არსებობს, აგრეთვე ასახელებენ „წვრილ-მარცვალა“ საფერავის ვარიაციას. რამდენად ეს უკანასკნელნი დამოუკიდებელ ფორმას წარმოადგენენ, ამის შესახებ ჯერ საკმაო მასალა არ მოგვეპოვება.


მ შ ლ რ ი ა

(სინონიმი—ქლია.)

მუღრია გვხვდება კახეთის ყველა რაიონში და საინგილოში; ამ უკანასკნელში იგი „აქლემის თვალას“ სახელწოდებითაა ცნობილი. ქლია გვხვდება შერეულად საწარმოო ვენახებში ერთეული ძირების სახით; სპეციალურად მის გამრავლებას არ აწარმოებენ. მრავლდება მხოლოდ შემთხვევით: გასამრავლე-



მელნის



ბუეტა ვაზი

ბელ მასალას ადების დროს, მისი რქა მომუშავის თვალს იზიდავს კარგი ზრდა-განვითარებით.

მელრიას ვაზი შემდეგით ხასიათდება:

ვაზი ღონიერი და ლალი ზრდისაა.

ფოთოლი საერთო მოხაზულობით წაგრძელებულია. ამონაკვეთები საშუალოზე ნაკლები სიღრმისაა, ზედა ამონაკვეთი მორგვალეზულ ფუძიანი, კვერცხისებრია, ფუძე იშვიათად კბილაკებიანიცაა. ქვედა ამონაკვეთი ნაკლებადაა შესაჩნევი, ფუძე მორგვალეზულია; მოხაზულობით ხშირად ვიწრო ნაპრალისებური, იშვიათად ცალმხრივ ღირისებრია. ყუნწის ამონაკვეთი ბრტყელფუძიანი, განიერ თალისებრია, იშვიათად ბლაგვკუთხოვანია. ნაკვეთის ბოლო კბილაკები-სამკუთხოვანი, სწორგვერდებიანი, წვერებწაწვეტებულია; იშვიათად განიერი და გვერდებგამობერილი წვეროებწაწვეტებულია. ნაკვეთის გვერდითი კბილაკები ოდნავ ხერხისებრი, გვერდებ გამობერილი, წვერებწაწვეტებულია. ფოთლის ფირფიტა ბრტყელი, ხშირად გვერდებგამოწეული, სადაა; ქვედა მხრიდან შებუსხვილია აბლაბუდისებრი ბუსუსით; ფირფიტა მუქი მწვანე ფერისაა, ფოთლის ყუნწი მთავარ ძარღვზე მოკლეა; შიშველია, მოწითალო ღვინის ფერისაა.

ყვავილი ორსქესიანია.

მტევანი ფორმით კონუსისებრი, მხრებიანია; აგებულებით საშუალოდ შეკრული, ხშირად ძლიერ კუმსია. მტევნის სიგრძე 17—20 სანტიმეტრს უდრის, სიგანე 9—13 სანტ., მტევნის ყუნწის სიგრძე 4—5 სანტიმეტრს უდრის; შემოუსვლელი ყუნწი მწვანე ფერისაა. მარცვალი ფორმით მორგვალეზული, ოდნავ ბოლო შედრეკილი, შუაზე განიერი, ოდნავ ასიმეტრულია. მარცვლის სიგრძე 12—16 მმ უდრის. მარცვლის კანი საშუალო სიმკვრივის და სხვადასხვა ფერისაა; დამახასიათებელია ძირითადი შავი ფერი. მარცვალი უხვადაა დაფენილი ვიტინით. ხორცი წვნიანია. ყურძენი II პერიოდის გასულს მწიფდება. წიპწა მარცვალში მეტწილად 2—3 ცალია, იშვიათად 1—4 ცალი.

მარცვლის ღერუკა სიგრძით 4—6 მილიმეტრს უდრის, მწვანე ფერისაა და დამეჭეჭებულია; ბალიში განიერ კონუსისებრია; მარცვლის ღერუკასთან მიმაგრება საშუალოა.

რქა საშუალო მუხლთშორისებიანი, მორუხო ფერისაა; მუხლებთან ოდნავ უფრო მუქი ფერისაა.

მელრიას ყურძნის მექანიკური ანალიზის შედეგები:

მტევნის საშუალო წონა	189,8 გრ.
მტევნის საშუალო სიგრძე	19,0 სტ.
მტევნის საშუალო სიგანე	9,8 სტ.
მარცვლის საშუალო სიგრძე	14,3 მმ.
მარცვლის საშუალო სიგანე	12,5 მმ.
მტევანში კლერტი (‰)	4,09
100 მარცვლის წონა	136,4 გრ.
მტევანში ჩენჩო (‰)	11,6
100 მარცვლის წიპწის წონა	6,17 გრ.

წიპწის რაოდენობა 100 მარცვალში 197	
მარცვალში	{ ხორცი % 83,71
	{ წიპწა „ 4,69
	{ ჩენჩო „ 11,60

შელრიას წვენის ქიმიური ანალიზის შედეგები:

წყალბადიონთო კონცენტრაცია p H	3,29
შაქარი (საღებრონით)	20,25 %
საერთო ტიტრირებული სიმჟავე	4,8 ‰
წიპწაში ცხიმი	18,66
ტანიდები ლევეტალით	{ კლერტში 5,7 „
	{ ჩენჩოში 2,4 „
	{ წიპწაში 4,15 „

მელრია ხასიათდება ღონიერი ზრდით და კარგი მოსავლიანობით. მის მტევანში მარცვალი თანაბრად მწიფდება, თუმცა სრული დამწიფების დროს მარცვლები არა თანაბრად იღებება. გვხვდება: სრულიად შავი ფერის, ამავე დროს მომწვანო ფერისა და მათ შორის ყველა გარდამავალი ფერის მარცვალი. უნდა ვიგულოთ, რომ სახელწოდება „მელრია“ იმიტომა აქვს მიკუთვნილი, რომ მტევანი ქრელია. მიუხედავად შაქრის რაოდენობის საკმაო შემცველობისა, მელრიას ყურძნის ხარისხი დაბალია და სპეციალური დანიშნულება არა აქვს. ნაცრისადმი კარგი ამტანობა ახასიათებს.

ბუერა ვაზი

სინონიმი: ბუერა (ქიზიყი), სარისაჩახ (შულავერი), Rollbeer (ბორჩ. გერმ. კოლონიისტ.).

ბუერა ვაზი გავრცელებულია ნარევი ნარგავების სახით შიგნით და გარე-კახეთის საწარმოო ვენახებში. კახეთის გარდა, იგი გვხვდება საინგილოში, შაუმიანში და ბორჩალოს გერმანულ კოლონიებში; ამ უკანასკნელებში ბუერა ვაზს ფართო საწარმოო ხასიათი აქვს.

ბუერა ვაზი ხასიათდება ღონიერი და ლალი ზრდით.

ფოთოლი საერთო მოხაზულობით ოდნავ მოგრძოა, ფოთლის ფირფიტა ორ მხრივ დანაკვეთილია, მაგრამ დანაკვეთვა მცირედია: ფოთლის ზედა ამონაკვეთი ოდნავ შესამჩნევი ნაპრალისებურია, ქვედა ამონაკვეთი უფრო ნაკლებადაა შესამჩნევი. ყუნწის ამონაკვეთი ლირისებურია, მომრგვალებული, ან მახვილი მოხაზულობის ფუძით; იშვიათად თალისებრად მორგვალებული ან ბრტყელფუძიანია. ნაკვეთის ბოლო კბილაკები სამკუთხოვანი, გამობერილგვერდებიანი და მახვილწვერობიანია. ფოთლის ფირფიტა დიდი, ბრტყელი, სადა, ზედამხრიდან შიშველია. მთავარი ძარღვები შიშველი, ფუძესთან ზოგ შემთხვევაში მოწითალო-ღვინისფერს იღებენ, მეტწილად კი მკრთალი მწვანე ფერისაა.

ფოთლის ყუნწი მთავარ ძარღვის სიგრძის თანატოლია; იშვიათად უფრო გრძელი და შიშველია და მოწითალო ღვინის ფერი აქვს.

ყვავილი ორსქესიანია.

მტევანი ფორმით ცილინდრული, ხშირად ცილინდროკონუსისებურიც გვხვდება. აგებულებით კუმისა, ზოგჯერ კი ოდნავაა შეკუმსილი. მტევანი სიგრძით 19—20 სანტიმეტრს აღწევს, სიგანით—14—15 სანტიმეტრს. მტევნის ყუნწი 5—6 სანტიმეტრს უდრის, გახევებული მორუხო ფერისაა, იშვიათად რჩება შემოუსკვლელი და, ამ შემთხვევაში, მწვანე ფერისაა. მარცვლი ფორმით მომრგვალო ოვალურია, შუაზე განიერი, ბოლო მომრგვალებული და სიმეტრიულია. მარცვლის სიგრძე 20—22 მილიმეტრს აღწევს, სიგანე—18—20 მილიმეტრს. კანი ყვითელი ფერისაა. მარცვლის კანი უხვადაა დაფენილი ვიტინით, ნაზია და ადვილად იხევა. მარცვლის ხორცი წვნიანია. ყურძენი II პერიოდის მიწურულში მწიფდება. წიბწები მარცვალში მეტწილად 3—2 ცალია, იშვიათად 4—5 ცალი.

მარცვლის ღერუკა სიგრძით 5—8 მილიმეტრს აღწევს, მწვანე ფერისა და სადა ფორმისაა. ბალიში განიერ კონუსისებრი. მარცვლის მიმაგრება ღერუკაზე საშუალოა.

რქა უზოლო, საშუალო ან მოგრძო მუხლთშორისებრიანი და მორუხო ფერისაა, მუხლები ოდნავ უფრო მუქია.

ბუერას ყურძნის მექანიკური ანალიზის შედეგები:

მტევნის საშუალო წონა	294,8	გრ.
მტევნის საშუალო სიგრძე	18,25	სტ.
მტევნის საშუალო სიგანე	12,9	სტ.
მარცვლის საშუალო სიგრძე	19	მმ.
მარცვლის საშუალო სიგანე	17,5	მმ.
მტევანში კლერტის %/0	2,49	
100 მარცვლის წონა	292,1	გრ.
მტევანში ჩენჩოს %/0	8,87	
100 მარცვლის წიბწის წონა	9,23	გრ.
წიბწის რაოდენობა 100 მარცვალში	227	

მარცვალში	}	ხორცი	%	87,96
		წიბწა	"	3,17
		ჩენჩო	"	8,87

ბუერა ვახის წვენის ქიმიური ანალიზის შედეგები:

შაქარი (სალეირონით)	19,77	%	
საერთო ტიტრირებული სიმჟავე	7,9	%/100	
წყალბადიონთა კონცენტრაცია pH	3,21		
წიბწაში ცხიმი	17,08		
ტანიდები ლევენტალით	}	კლერტში	2,92
		ჩენჩოში	2,23
		წიბწაში	4,99

ლონიერ და ნესტიან ნიადაგებზე ბუერა ვახი ხასიათდება ღალ და ლონიერი ზრდით, უხვი მოსავლით და მასობრივ ღვინოებს იძლევა: ასეთ პირობებში, ყურძნის სრული სიმწიფის დროს, წვენში შესამჩნევლად კლებულობს მჟავიანო-

ბა და ღვინო უხასიათო და უხალისო ხდება. მტევანი მსხვილი და შეკრული იცის. ნესტიან შემოდგომაზე ვაზზე ყურძენი ადვილად ღებება, რაც უფრო შესამჩნევად ამცირებს მის ხარისხიანობას. სარწყავ პირობებში, დიდ მოსავლიანობასთან ერთად, შედარებით მცირე შაქრიან ყურძენს იძლევა, სხვა ადგილობრივ სტანდარტულ ჯიშებთან შედარებით; მშრალ პირობებში თუმცა მცირე მოსავალს იძლევა, სამაგიეროდ მეტი შაქრიანობით ხასიათდება, მაგრამ ღვინო ასეთ პირობებში მაინც უხასიათო დგება, რის გამოც მისი გამოყენება ხდება როგორც საკუბაჟო მასალისა. ყურძენი სასიამოვნო საჭმელია. სიმწიფის დროს ლამაზიც არის; მტევანი მზის მხარეს ლაზათიან ალისფერ იყრს იღებს.

კახეთში ბუერა ვაზის ჯიშს მრავალგვარი სამეურნეო გამოყენება აქვს; მის ყურძენს ურევენ რქაწითლის ყურძენს რაოდენობის მომატების მიზნით, იხმარება საჭმელად, ტრანსპორტს კი ვერ იტანს. მისგან აკეთებენ ჩამიქს, რომელსაც ხმარობენ საჩურჩხლედ. ლუქსემბურგის რაიონში გერმანელმა. კოლონისტებმა ბუერა ვაზი კახეთიდან შეიტანეს და დიდმოსავლიანობის გამო ამ ჯიშის ვენახებს ფართოდ აშენებენ.

ბუერა ვაზი ნაცრით შესამჩნევად ზიანდება, უმთავრესად—ნესტიან წლებში.

ბუდეშური


ბუდეშური გავრცელებულია კახეთის საწარმოო ვენახებში ნარევი ვაზების სახით; ძირითადად კი გურჯაანის რაიონში გვხვდება. ამას გარდა ბუდეშური გავრცელებულია ქართლში, სადაც წმინდა ნარგავების სახითაც გვხვდება. ვაზის ეს ჯიში გაცილებით მეტად იყო გავრცელებული ძველ ვენახებში, შემდეგ კი შემცირდა, რაც უნდა მივაწეროთ ფილოქსერისაგან დაზიანებას, რომლისაღმდეგ ბუდეშური მეტად მგრძობიერია.

ბუდეშურის ვაზი საშუალო ღონისაა, რქა მოწვრილო აქვს. ფოთოლი მონახულობით მომრგვალებულია, იშვიათად ოდნავ მოგრძოა, ფირფიტა საშუალოდაა დანაკეთილი; ხშირად აქვს ოთხი ამონაკეთი. ზემო ამონაკეთის მოყვანილობა მომრგვალებულფუძიანია და დამახასიათებელი, მკაფიო ლირისებრი მოყვანილობისაა. ქვედა ამონაკეთის ფუძე მახვილი მონახულობისაა, იშვიათად ლირისებრია და დაახლოებულ კიდურებიანია. ფოთლის ყუნწის ამონაკეთი ღრმა მომრგვალებულფუძიანია. ნაკეთის ბოლო კბილაკები სამკუთხოვანი, გამობერილგვერდებიანი და წაგრძელებულ წვეროებიანია. ნაკეთების გვერდითი კბილაკები ხერხისებრ წამწვეტებულ წვეროებიანია. ფოთლის ფირფიტა სადა, ზევიდან შიშველი, ამოხრილგვერდებიანია. ფოთლის ფირფიტას ქვედა მხარე აბლაბუდისებური ქსოვილითაა დაფენილი, მთავარი ძარღვები შიშველი აქვს, ფუძესთან მომუქო ფერისაა.


ფოთლის ყუნწი მთავარი ძარღვის სიგრძეზე ოდნავ მოკლეა, იშვიათად მისი თანატოლია, ყუნწი შიშველი და მომუქო ფერისაა.

ყვავილი ორსქესიანია.

მტევანი ფორმით კონუსებრია, აგებულობით საშუალოდ შეკრულია, გვხვდება თხელი და მოკუმსო მტევანიც. მტევნის სიგრძე 16—17 სანტიმეტრს



ბუდეშური (ქართლი)



მცვივანი (კახური)

უდრის, სიგანე 10—12 სანტიმეტრს. მტეენის ყუნწი 3—4 სანტიმეტრის სიგრძისაა, შემოუსვლელი მწვანე ფერისაა. მარცვალი ფორმით ოდნავ მოგრძოა, შუაზე განიერი, ბოლო მომრგვალებული, სიმეტრიული, თითქმის საშუალო სიმსხოსია; მარცვლის სიგრძე 17-18 მილიმეტრს აღწევს, სიგანე 13—15 მილიმეტრს. მარცვლის კანი საკმაოდ ელასტიური, მაგარი, მწვანე ფერისაა და შეფენილია ვიტინის საკმაოდ დიდი რაოდენობით. ხორცი წვნიანია. ყურძენი მწიფდება I პერიოდის მიწურულში. მარცვალი მეტწილად 1—2 წიპწას შეიცავს; იშვიათად—3 ცალს.

მარცვლის ღერუკა სიგრძით 6—8 მილიმეტრს აღწევს, მწვანე ფერისაა და დამეჭეჭებულია. ბალიში ვიწრო კონუსისებრი მოყვანილობისაა. მარცვალი ღერუკასთან საშუალოა და მიმაგრებული.

რქა ოდნავ ზოლიანი, საშუალო მუხლთშორისებიანია, მოყვითალო მორუხო ფერისაა, მუხლებთან უფრო მუქია.

ბუდეშურის ყურძნის მექანიკური ანალიზის შედეგები.

მტეენის საშუალო წონა	192,37 გრ.
მტეენის საშუალო სიგრძე	16,4 სტ.
მტეენის საშუალო სიგანე	11,5 სტ.
მარცვლის საშუალო სიგრძე	17 მმ.
მარცვლის საშუალო სიგანე	13,5 მმ.
მტეევანში კლერტი (% ⁰ / ₀)	3,33
100 მარცვლის წონა	181
მტეევანში ჩენჩოს % ⁰ / ₀	10,64
100 მარცვლის წიპწის წონა	5,5 გრ.
წიპწის რაოდენობა 100 მარცვალში	113
მარცვალში	{ ხორცი % 86,19
	{ წიპწა „ 3,17
	{ ჩენჩო „ 10,64

ბუდეშურის წვენი კიმიური ანალიზის შედეგები:

შაქარი (სალეირონით)	18,5 % ₀
საერთო ტიტრირებული სიმჟავე	6,18 % ₀₀
წყალბადიონთა კონცენტრაცია pH	3,29
წიპწაში ცხიმი	16,82
ტანიდები	{ კლერტში 3,38 % ₀
	{ ჩენჩოში 2,41 „
ლევენტალით	{ წიპწაში 4,04 „

ღონიერ და ნესტიან ნიადაგებშიც კი ბუდეშური იძლევა უხვ მოსავალს და ამავე დროს საკმაოდ ტკბილ ყურძენს. სრული სიმწიფის დროს ბუდეშურის მჟავიანობა შესამჩნევად კლებულობს, რის გამო მისი ღვინო ნაკლები ხალისიანობით ხასიათდება. ბუდეშური საადრეო ჯიშად ითვლება. მისი სამეურნეო გამოყენება შემდეგია: საკმაო მოსავლის დროს ურევენ რქაწითელის ყურძენს, მცირე მოსავლის შემთხვევაში კი უმთავრესად საჭმელად იხმარება, როგორც სა-

ადრეო და ამავე დროს შაქრით მდიდარი ყურძნის ჯიში. ბუდეშური შეიძლება გამოყენებული იქნეს მხოლოდ ადგილობრივ ბაზრის მოსამარაგებლად, რადგან ტრანსპორტს ვერ იტანს, შენახვის უნარიანობაც ნაკლები აქვს.

მცვივანი (კახური)

მცვივანი გავრცელებულია ძირითადად ყვარელში და ყვარელის რაიონში. მას უკავია ფართობის დაახლოებით 30—35 % კახეთის მევენახეობის სხვა რაიონებში კი იგი ძლიერ მცირე რაოდენობით გვხვდება.

მცვივანი ხასიათდება საშუალო ზრდით. ფოთოლს საერთოდ მომრგვალებული მოხაზულობა აქვს და ოდნავაა დანაკეთილი ორი ამონაკვეთით. ზედა ამონაკვეთი შეჭრილია კუთხის მსგავსად; იშვიათად ლირისებრი მოყვანილობის და შეერთებულკიდურებიანია; ქვედა ამონაკვეთი ნაკლებადაა განვითარებული. ფოთლის ყუნწის ამონაკვეთი ლირისებრი მოყვანილობისა, მახვილფუძიანი და თალისებურია. ნაკეთის ბოლო კბილაკები სამკუთხოვანი, მომრგვალებულ-გვერდებიანი და ასეთივე წვეროებიანია. გვერდითი კბილაკები ხერხისებრი, ოდნავ გამობერილგვერდებიანი და წაწვეტებულია. ფოთლის ფირფიტა წვრილ-ბუმ-ტოვანია, ქვედა მხრიდან შებუხვილია აბლაბუდისებრი ბუსუსით. მთავარი ძარღვები შიშველია და მწვანე ფერისაა.

ფოთლის ყუნწი მთავარი ძარღვის სიგრძის თანატოლია, იშვიათად უფრო გრძელიც, შიშველია და მუქი ჩალის ფერისაა.

ყვავილი ორსქესიანია.

მტევნის ფორმა ცილინდროკონუსისებურია, აგებულია ზოგჯერ მოკუმსოა; მტევნის სიგრძე უდრის 15—16 სანტიმეტრს და სიგანე 8—10 სანტიმეტრს. მტევნის ყუნწის სიგრძე 2—3 სანტიმეტრს უდრის; იგი მწვანე ფერისაა.

მარცვალი ფორმით მომრგვალებული, შუაზე განიერი, ბოლო მომრგვალებული, სიმეტრიული, საშუალო სიმსხოსია, სიგრძით 16—17 მილიმეტრს უდრის, სიგანით 15—16 მილიმეტრს; კანი თხელია, ადვილად იხევა, მომწვანო ქარვის ფერისაა, უხვადაა შეფენილი ვიტინით. ხორცი წვნიანია. მწიფდება II პერიოდის დასაწყისს. მარცვალში წიპწების რიცხვი მეტწილად 2 ცალია, იშვიათად 1—3 ცალი. მარცვლის ლერუკის სიგრძე 5—7 მილიმეტრია, მომწვანო ფერისა, სადაა; ბალიში ვიწრო კონუსებრია; მარცვალი ლერუკასთან ძლიერ სუსტადაა მიმაგრებული.

რქა ოდნავ დაზოლილი, მოკლე მუხლთშორისებიანია, ფერად მოყავისფეროა.

მცვივანის ყურძნის მექანიკური ანალიზის შედეგები:

მტევნის საშუალო წონა	173,85 გრ.
მტევნის საშუალო სიგრძე	16,1 სტ.
მტევნის საშუალო სიგანე	8,75 სტ.
მარცვლის საშუალო სიგრძე	14,5 მლ.
მარცვლის საშუალო სიგანე	13 მმ.
მტევანში კლერტის %/0	3/2,5
100 მარცვლის წონა	168 გრ.

მტევანში ჩენჩოს %/0	9,35
100 მარცვლის წიპწის წონა	7,8 გრ.
წიპწის რაოდენობა 100 მარცვალ	163
მარცვალში	{ ხორცი % 85,96 წიპწა „ 4,69 ჩენჩო „ 9,35

მცვივანას წვენი ქიმიური ანალიზის შედეგები:

შაქარი (საღეირონით)	16 %
საერთო ტიტრირებული სიმჟავე —	6,71 ‰
წყალბადიონთა კონცენტრ. pH	3,13
წიპწაში ცხიმი	16,91 %
ტანიდები	{ კლერტში 4,09 % ჩენჩოში 2,0 „ წიპწაში 5,27 „
ლევანტა-	
ლით	

მცვივანს ახასიათებს რივიანი მოსავალი, ღვინო კახეთში მისგან დაბალი ზარისხის დგება, და ამის გამო მის ღვინოებს რქაწითელთან შერევით აყენებენ. გადამწიფების დროს ვაზის ამ ჯიშმა მარცვლის ცვივანა იცის, რის გამოც აქვს მიღებული ზემოხსენებულ სახელწოდება. მცვივანი ხასიათდება ნაცრის მიმართ კარგი გამძლეობით და უეჭველია ამ მიზეზით უნდა აიხსნას მისი ასეთი გავრცელება ყვარელის ვენახებში.

მცვივანი შეიძლება მიეკუთვნოს მოსავლიან, თეთრი მასობრივი ხასიათის შომცემ საღვინო ჯიშს; უნდა ვიგულოთ, რომ მცვივანის წვენი პასტერიზებული ყურძნის წვენის დასამზადებლად გამოდგება.

მცვივანი (რაჭული)

მცვივანი საკმაოდ გავრცელებულია ზემო რაჭაში და თეთრ ყურძნიან ჯიშთა შორის მეტად საპატიო ადგილი უკავია.

რაჭაში არსებული მცვივანი იმდენად განირჩევა კახეთში არსებულ მცვივანისაგან, რომ ამ ორი ჯიშის ერთმანეთთან არევა არ შეიძლება; ეს განსხვავება იმდენად მკვეთრია, რომ ადგილობრივ პირობების ზეგავლენით ვერ აიხსნება მათი ასეთნაირი ღრმა სხვაობა. ამ ორ ჯიშს მხოლოდ ერთი თავისებურება აქვს იდენტური: სრული სიმწიფის დროს ორთავეს მარცვლის ცვივანა ახასიათებს, მაგრამ ასეთი თავისებურება მთელ რიგ სხვა ევროპულ ჯიშებსაცა აქვთ.

უნდა ვიგულოთ, რომ როგორც რაჭაში, ისე კახეთში ეს სახელწოდება მიენიჭა ორ დამოუკიდებელ ჯიშს, მათი მწიფე მარცვლის ერთნაირ თვისებების გამო; ურთიერთ შორის კი მათ ახლო გენეტიური ნათესაობა არ უნდა ჰქონდეთ. რაჭულ მცვივანის ვაზი ხასიათდება მორჩილი ზრდით.

ფოთლის ფირფიტა მომრგვალოა, ზოგჯერ სივანე სჭარბობს, ხუთნაკვითანია; ზევითა ამონაკვებები საშუალო სიღრმისა არიან, მეტ შემთხვევაში და-

ხურულია ან ოდნავი ხერელები მოჩანს; ამონაკვეთის ფუძე მახვილ კუთხესა-
ჰქმნის, მოხაზულობით ლირისებრია. ქვედა ამონაკვეთები ზეზეურია და იშვია-
თად აღწევენ ფირფიტის ნახევარს. ფოთლის ყუნწის ამონაკვეთი ღია, თალი-
სებრი მოხაზულობისაა, ფუძე მომრგვალო, ან ბრტყელი აქვთ; იშვიათად
გვხვდება ლილისებური მოყვანილობის. ნაკვეთის ბოლო კბილაკები გაგანიერებულ-
გვერდებიანი, წამწვეტებულ ბოლოებიანი, სამკუთხედისებრია; გვერდითი კბი-
ლაკები ასეთივე მოხაზულობისაა, უფრო მომცრონი არიან და ერთმხრივი მი-
მართულება აქვთ. ფოთლის ფირფიტა ბრტყელი და სადაა, უკანა მხრიდან შე-
ბუსვილია აბლაბუდის მსგავსი ქსოვილით. ფოთლის ყუნწი ფოთლის ფირფი-
ტის მთავარი ძარღვის თანატოლია და მოკლე, მაგარი, თხელი ბუსუსითაა და-
ფენილი.


ყვავილი დედობრივი სქესისაა და ჩაჩის მოცლის უმაღლეს მტვრიანების ღერუ-
კები იგრიხება. ბუდკოს დინგზე უხვადაა შესამჩნევი ლორწო. თანაყვავილში
საშუალოდ 320 ყვავილია.

მტევანი მეჩხერი, მცირე მხრიანი, კონუსისებრია. შესახვედრია საშუა-
ლოდ კუმსი მტევნებიც. სავსებით განვითარებული მსხვილი მტევანი სიგრძით
17 სანტ. აღწევს. მტევნის ყუნწი გრძელი, მომწვანო ფერის, ბალახისებრია,
მტევნის ღერუკა ყვითელ მომწვანო ფერისაა, საკმაოდ გრძელია და ზოგჯერ 6 მმ
აღწევს. ბალიში კონუსისებრია, მეტ შემთხვევაში სადაა. მარცვალი მომცრო-
სიმსხოსია, მოყვანილობით მომრგვალოა, სიგრძით 17 მმ იშვიათად აღწევს,
მეტ შემთხვევაში მათი სიგრძე მერყეობს 13—14 მმ-ს შორის, მარცვლის კანი
თხელია, სრული სიმწიფის დროს ქარვის ფერს იღებს და მზის მხარეზე ოდნავ
აიტკრიცება ხოლმე. მარცვლის ხორცი წვნიანი და ნაზია. მარცვალი შეიცავს
1—4 წვრილ წიპწას, უფრო ხშირად 2 წიპწას.


ზემო რაქის პირობებში მცვივანის ყურძენი მწიფდება ოქტომბრის შუა-
რიცხვებში.

მცვივანის (რაჭული) ყურძნის მექანიკური და ქიმიური ანალიზის შედეგები:

საშუალო მტევნის წონა	125 გრ.
საშუალო მტევნის სიგრძე	12 სტ.
საშუალო მტევნის სიგანე	8 სტ.
საშუალო მარცვლის სიგრძე	13,5 მმ.
საშუალო მარცვლის სიგანე	12 მმ.
100 მარცვლის წონა	159,8 გრ.
100 მარცვლის ჩენჩოს წონა	5,48 გრ.
100 მარცვლის წიპწის წონა	6,6 გრ.
წიპწის რაოდენობა 100 მარცვალში	248
მარცვალში	{ ხორცი % 95,1
	{ წიპწა „ 2,7
	{ ჩენჩო „ 2,2
შაქარი %	18
საერთო ტიტრირებული სიმჟავე	8 ⁰ / ₁₀₀



მკვიანე (თეთრი, რაქული)



bobgo

მცვივანი (რაჭული) სასიამოვნო საჭმელი ყურძენია, ლაზათიანი გარეგნული შეხედულობა აქვს, ტრანსპორტის და შენახვის უნარი არა აქვს, ამიტომ გამოსადეგია, როგორც ადგილობრივი სუფრის ყურძნის ჯიში. მცვივანი იძლევა ზემო რაჭის საუკეთესო თეთრ ღვინოებს, რომელთაც, როგორც გადმოგვცემენ, დაძველების უნარი აქვთ და სასიამოვნო ბუკეტს ივითარებენ.

მწირ ნიადაგების და ზომიერ ჰაერის პირობებისთვის მცვივანი (რაჭული) მეტად მნიშვნელოვან ღვინის ჯიშად უნდა მივიჩნიოთ, მით უფრო, რომ გამოსავალი კარგი აქვს და საკმაო მოსავლიანობითაც ხასიათდება (მოსავლიანობის კოეფიციენტი 2,0 უდრის).

ის ნიმუშები, რომელნიც ჩვენ ხელთ არიან, უფლებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ შამპანურ ტიპის ღვინის დასამზადებლად მცვივანი (რაჭული) ფრიად საგულისხმოა და იქნებ ზემო რაჭის ზოგიერთ სოფელში ამ წარმოებამ ფართე გასაქანი ჰპოვოს ამ ჯიშის გამოყენებით: ყველა მაჩვენებელი ამ მოსაზრებას საკმაოდ ადასტურებს.

ლ. ჯორჯაძე თავის მევენახეობის შრომაში (1876 წ.) იხსენიებს კახეთში არსებულ მამალ და დედალ მცვივანს. იმ ზოგად აღწერილობის მიხედვით, რომელიც დასახელებულ ავტორს მოჰყავს, რაქაში გავრცელებული მცვივანი მამალ მცვივანს უნდა ეკუთვნოდეს, ბუმცა ბიოლოგიურად იგი მდებრობითი სქესისაა, დედალი მცვივანი კი კახეთში დღესაც საკმაოდ გავრცელებული ჯიში უნდა იყოს.

ხიხვი

(სინონიმი: ჯანანურა)

ხიხვი, მწვანის მსგავსად, უფრო გავრცელებულია თელავიდან ახმეტის მიმართულებით, მაგრამ ამ რაიონშიც ხიხვის ნარგავები მხოლოდ ძველ ვენახებში გვხვდება. აღნიშნულ რაიონში ხიხეს უკავია ვენახების საერთო ფართობის დაახლოებით 10—15 %/. კახეთის დანარჩენ რაიონებში ხიხვი, ძლიერ მცირე რაოდენობით მოიპოვება. ამ რამდენიმე წლის წინ კარდანახის საბჭოთა მეურნეობაში გაშენებულია ხიხვის ცალკე ნაკვეთი.

ხიხვი ხასიათდება მორჩილი ზრდით.

ფოთლის საერთო მოხაზულობით მომრგვალოა და მცირედაა დანაკვეთილი, ამონაკვეთები ზეზეური აქვს. ფოთლის ყუნწის ამონაკვეთი ლირისებრია, ფუძე მახვილი მოხაზულობისაა. ნაკვეთის ბოლო კბილაკები სამკუთხოვანი, გამობერილგვერდებიანი, ოდნავ წამწვეტებულწვეროებიანია. ფოთლის ფირფიტა ოდნავ გვერდებდახრილი და ნაოჭებიანია. ქვედა მხრიდან შებუსხვილია აბლაბუდისებრი ბუსუსით. მთავარი ძარღვები ფუძესთან ოდნავ შებუსხვილია მუქი ჩალისფერი ბუსუსით.

ფოთლის ყუნწი მთავარი ძარღვის სიგრძის თანატოლია, იშვიათად უფრო მოკლეა, შიშველი და მუქი ჩალისფერისაა.

ყვავილი ორსქესიანია, 5—6 მტვრიანით.

მტევანი მოყვანილობით ცილინდრო-კონუსისებრია, აგებულობით თხელი, ზოგჯერ მცირე ფრთიანია, მტევნის სიგრძე უდრის 15—17 სანტიმეტრს, სიგა-

ნე 10—12 სანტიმეტრს. მტევნის ყუნწის სიგრძე 5—6 სანტიმეტრს უდრის; იგი მტწილად შემოუსვლელი რჩება, მწვანე ფერისაა, ზოგჯერ ხევდება და მო-
რუხო ფერს იღებს.

მარცვლი მოყვანილობით მომრგვალებული, შუაზე განიერი, ბოლო მომ-
რგვალებული, სიმეტრიული და საშუალო სიმსხოსია; სიგრძე აღწევს 17—18
მილიმეტრს, სიგანე 16—17 მილიმეტრს; კანი თხელია და ადვილად იხევა, მო-
მწვანო ფერისაა, დაფარულია ფიფქის მცირე რაოდენობით. ხორცი წვნიანია.
ყურძენი მწიფდება I პერიოდის გასულში. მარცვალში მტწილად ორი წიპ-
წაა, იშვიათად 1—3 ცალი.

მარცვლის ღერუკას სიგრძე 4—7 მილიმეტრს უდრის; იგი მწვანე ფე-
რისაა და დამეჭეჭებულია. ბალიში განიერ კონუსისებრია. ღერუკაზე მარცვალი-
საშუალოდ არის მიმაგრებული.

რქა დაზოლილი, საშუალო მუხლთშორისებია, ნათელი რუხი ფერისაა
და მუხლებთან უფრო მუქადაა შეფერილი.

ხიხვის ყურძნის მექანიკური ანალიზის შედეგები:

მტევნის საშუალო წონა	168 გრ.
საშუალო მტევნის სიგრძე	15,7 სტ.
" " სიგანე	11,7 სტ.
საშუალო მარცვლის სიგრძე	17,2
" " სიგანე	16,6
მტევანში კლერტის %/0	3,26
100 მარცვლის წონა	180 გრ.
წიპწის რაოდენობა 100 მარცვალში	165
მარცვალში	{ ხორცი % 86,5
	{ წიპწა % 3,7
	{ ჩენჩო % 9,8

ხიხვის წვენის ქიმიური ანალიზის შედეგები:

შაქარი	21,5 %
საერთო ტიტრირებული სიმჟავე	5,8 ‰

ხიხვი ითვლება, მეტად მგრძნობიარე ვაზის ჯიშად: ვერ იტანს ჰავის-
დიდ რყევადობას, უმთავრესად კი ყვავილობის დროს, და თუ ამ პერიოდში
უამინდობა დაუდგა, ამის შედეგად მარცვლები მცირე რაოდენობით განუვითარ-
დება ხოლმე. ამას გარდა იგი გვალვის ნაკლებ ამტან ჯიშად ითვლება. გვალვის-
პირობებში მცირე მოსავალს და შედარებით ნაკლები ხარისხის ღვინოს იძლევა,
კახეთის უფრო ზომიერ ჰავის პირობებში ხიხვისაგან გაცილებით მეტი მოსავა-
ლი და კარგი ხარისხის სუფრის ღვინო დგება. თბილ რაიონებში (კარდანახი)
ვაზის ამ ჯიშისგან მზადდება მაღალხარისხოვანი, ოქროსფერი, შემაგრებული-
ტკბილი ლიქიორის ტიპის ღვინოები.

ხიხვი უძველესი ჯიშია; ¹ ამ უკანასკნელ დროში მას ნაკლებ ამრავლე-
ბდნენ შედარებით ნაკლები მოსავლანობის გამო, მაგრამ თუ მხედველობაში

¹ ივ. ჯავახიშვილი—საქართველოს ეკონომიური ისტორია, II წიგნი. 1935 წ.

მივიღებთ ხიხვის პროდუქციის ხარისხს, შეჭველია მოკლე ხანში საგრძნობ ფართობს დაიკავებს ეს ძველადგანვე ცნობილი ჯიში. შეიძლება დავასკვნათ, რომ, თუმცა ხიხვი შორეული წარსულის ჯიშია, მაგრამ ამავე დროს უახლოეს მომავლის ჯიშიცაა. ერთგვარ საშიშროებას წარმოადგენს ხიხვის ვახის სინაზე, — უნდა ვიგულოვოთ, რომ ამ თავისებურების მიზეზია მისი მრავალ საუკუნის განმავლობაში არსებობა, რის შედეგად ამ ჯიშს „მოხუცებულობის“ ნიშნები დაეტყო.

თითა

ამ ჯიშის ნარგავები საქართველოში მეტად მცირე რაოდენობით-ღა გვხვდება. თითა კახეთში იმდენად შემცირებულია, რომ თითქმის მოსპობამდეა დაყვანილი და მხოლოდ ერთეული ძირებიღაა გადარჩენილი ყვარელისა და სილნალის რაიონებში. თითას ასეთი განადგურების მიზეზად უნდა ვიგულოვოთ მის ნაცვლად განჯური ყურძნის, თავრიზულის, გავრცელება, რომელმაც კახეთში საკმაოდ მოიკიდა ფეხი, როგორც სასუფრე ყურძენმა. გარდა ამისა ფილოქსერის მოქმედების შედეგად, თითა სულ მოკლე ხნის განმავლობაში ილუპება. თითა ითვლება ლამაზ, გემრიელ სუფრის ყურძნის ჯიშად, მაგრამ შენახვის და ტრანსპორტის უნარი არა აქვს, მოგვიანებით მწიფდება და მხოლოდ ადგილობრივ მოსახმარადაა გამოსადეგი.

თითას ვაზი ღონიერი ზრდით და განვითარებით ხასიათდება. ფოთლი მრავალფერობით ოდნავ მოგრძოა, გვხვდება მომრგვალებულიც. ფირფიტა ხშირად ოთხამონაკეთიანია, გვხვდება ექვსამონაკეთიანიც; ამონაკეთები მეტად ღრმა არა აქვთ. ზედა ამონაკეთი მახვილფუძიანი, განიერი, ელიფსისებური, ჭეჭრუტანიანია, იშვიათად ვიწრო ელიფსისებურია. ქვედა ამონაკეთი მახვილფუძიანი, ხვრელისებური, იშვიათად ვიწრო ელიფსისებურია. ფოთლის ყუნწის ამონაკეთი რგვალფუძიანია, კიდურები ელიფსისებურ მოხაზულობას ჰქმნიან. ნაკეთის ბოლო და გვერდის კბილაკები სწორკუთხოვანი, გამომბერილგვერდებიანია, მომრგვალებულ წვეროებიანია. ფოთლის ფირფიტა ბრტყელი, ოდნავ დანაოჭებულია, ქვედა მხრიდან შებუსვლია აბლაბუდისებრი ბუსუსით. მთავარი ძარღვები ოდნავ შებუსვლია აბლაბუდისებრი ბუსუსით, მწვანე ფერისაა. ფოთლის ყუნწი მთავარ ძარღვის სიგრძეზე მოკლეა, შიშველია.

ყვავილი ორსქესიანია.

მტევანი ფორმით კონუსისებურია, აგებულებით საშუალოდ შეკრულია, გვხვდება მეჩხერი მტევანიც. მტევნის სიგრძე 19—20 სანტიმეტრს უდრის, სიგანე 10—12 სანტიმეტრს. მტევნის ყუნწი სიგრძით 4—5 სანტიმეტრს უდრის, შემოუსვლეელი—მწვანე ფერისაა. მარცვალი ფორმით მოგრძოა, შუაზე განიერია, ბოლო კი ოდნავ წამწვეტებულია. ოდნავ ასიმეტრიულია, იშვიათად სიმეტრიულიც. მარცვლის სიგრძე 19—20 მილიმეტრს უდრის, სიგანე 13—14 მილიმეტრს. მარცვალის კანი საკმაოდ მაგარი, მოყვითალო ფერისაა და უხვადაა შეფენილი ვიტინით. მარცვლის ხორცი ოდნავ მკვრივია. ყურძენი მე-II პერიოდის მიწურულში მწიფდება. მარცვალში მეტწილად 2—3 წიპწაა, იშვიათად 1 ცალი.

მარცვლის ღერუკა სიგრძით 5-7 მილიმეტრისაა, მწვანე ფერისა, სადაა. ბალიში ვიწრო კონუსისებურია. მარცვლის მიმაგრება ღერუკასთან საშუალოა.

რქა უხოლო, საშუალო მუხლთშორისებიანი, მოყავისფეროა; მუხლები უფრო მუქი ფერისაა.

თითას ყურძნის მექანიკური ანალიზის შედეგები:


საშუალო მტევნის წონა	208,29 გრ.
საშუალო მტევნის სიგრძე	14,61 სტ.
საშუალო მტევნის სიგანე	10,45 სტ.
საშუალო მარცვლის სიგრძე	22,3 მმ.
საშუალო მარცვლის სიგანე	15,4 მმ.
მტევანში კლერტის % ^o % ^o	4,55
100 მარცვლის წონა	285 გრ.
მტევანში ჩენჩო % ^o % ^o	7,94
100 მარცვლის წიპწის წონა	10,3 გრ.
წიპწის რაოდენობა 100 მარცვალში	176
მარცვალში	{ ხორცი % ^o 88,27
	{ წიპწა „ 3,79
	{ ჩენჩო „ 7,94

თითას წვენის ქიმიური ანალიზის შედეგები:


შაქარი (სალიერონით)	20,38% ^o
საერთო ტიტრირებული სიმჟავე	5,53% ^o / ₁₀₀
წიპწაში ცხიმი	15,3 „
ტანიდები	{ კლერტში 4,01 „
ლევენტალით	{ ჩენჩოში 3,62
	{ წიპწაში 3,84 „

ხარისთვალა თეთრი

ხარისთვალა თეთრი მცირე რაოდენობით გვხვდება კახეთის თითქმის ყველა რაიონის ვენახებში ნარევიად, ერთეული ძირების სახით. იგი ხასიათდება ცვალებადი მოსავლიანობით; ზოგჯერ უხვ მოსავალს იძლევა, ზოგჯერ კი მთლად უმოსავლო რჩება. ეს მოვლენა დამოკიდებულია ამ ჯიშის ყვავილის აგებულებაზე: იგი მდებრობითი სქესისაა და მისი განაყოფიერება სხვა ვაზის ნაყოფიერ მტვერზეა მთლიანად დამოკიდებული. თუმცა მოსავლიანობა ზოგჯერ დიდი იცის, მაგრამ დაბალი ლირსების ყურძნის იძლევა და საერთო შეფასებით ხარისთვალა მიეკუთვნება დაბალ-ხარისხიან ვაზის ჯიშებს. მის დადებით მხარეს წარმოადგენს მიმზიდველი მტევნები და მარცვლები. ყურძენი ნაკლებ შაქრიანია. ნესტიანი შემოდგომის დროს ხარისთვალას ყურძენი ისე სწრაფად ლბება ვაზზე, რომ მოსავალი თითქმის ნახევრდება. ნაცრისადმი გამძლეობა სუსტი აქვს.



תבנית



ზარისთვლა (რაჭა) „Dodrelabi“

ზრდა დამთავრებული ფოთოლი მოხაზულობით მომრგვალებული, იშვიათად მოგანიეროა, ოთხამონაკეთიანია. ამონაკეთები საშუალოზე უფრო ღრმაა. ზედა და ქვედა ამონაკეთი მომრგვალებულფუძიანი, ღია, ჩაჭრილ კუთხისებურია; ამონაკეთები ხშირად გადაფარებულია გვერდებიდან; იშვიათად მთლად დახურულია. ფოთლის ყუნწის ამონაკეთი მახვილფუძიანი, მოყვანილობით თალისებურიდან — ლირისებურამდეა, ზოგჯერ დახურულია. ამონაკეთში გვხვდება ერთი ან ორი ღეზი. ნაკეთის ბოლო კბილაკი სამკუთხოვანი, სწორგვერდებიანი, ბლაგვეწვეროვანი, იშვიათად გვხვდება გვერდებმომრგვალებული. ნაკეთის გვერდითი კბილაკები ხერხისებური, ოდნავ გვერდებმომრგვალებული, წაწვეტებული წვერიანია. ფოთლის ფირფიტა დახრილია, იშვიათად ამოხრილიცაა, მსხვილ ნაკებებიანი, ზოგჯერ წვრილბუშტოვანია; მთავარი ძარღვები შიშველია, მაგრამ მთავარი ძარღვების დატოტვის ადგილი ჯაგრისებურადაა შებუსხვილი, მოწითალო ღვინის ფერისაა. ფოთლის ყუნწი მთავარ ძარღვზე ოდნავ გრძელია.

ყვავილი მდედრობითი სქესისაა.

მტევანი ფორმით ცილინდრისებურია, აგებულობით კუმისა, ხშირად უფორმო და ძლიერ გათხელებულია. მტევნის სიგრძე 18—24 სანტიმეტრს უდრის, სიგანე 8—10 სანტიმეტრს. მტევნის ყუნწის სიგრძე 2—3 სანტიმეტრს უდრის. შემოსული მომწვანო ფერისაა. მარცვალი ფორმით ოვალური, შუაზე განიერი, ბოლო მომრგვალებული, სიმეტრიულია. საშუალო მარცვლის სიგრძე 18—20 მილიმეტრს უდრის, სიგანე 16—18 მმ. შესამჩნევია განუვითარებელი მარცვლებიც. მარცვლის კანი მაგარი, ფერად ყვითელი, უხვადაა დაფენილი ვიტინით. მარცვლის ხორცი წვნიანია. ყურძენი II პერიოდის გასულს მწიფდება. წიაჭა მარცვალში მეტწილად 1—2 ცალია, იშვიათად 3 ცალი.

მარცვლის ღერუკას სიგრძე 4—5 მმ უდრის, მწვანე ფერისაა, დამუწუკებულია, ბალიში განიერ კონუსისებურია, ღერუკაზე მარცვალი სუსტადაა მიმაგრებული.

რქა დახოლილი, საშუალო მუხლთშორისებიანი, მოწითალო მორუხო ფერისა, მუხლებთან კი უფრო მუქი ფერისაა.

თეთრი ხარისთვალას ყურძნის მექანიკური ანალიზის შედეგები:

საშუალო მტევნის წონა	272,07 გრ.
საშუალო მტევნის სიგრძე	19,5 სტ.
საშუალო მტევნის სიგანე	8,8 სტ.
საშუალო მარცვლის სიგრძე	19 მმ.
საშუალო მარცვლის სიგანე	17 მმ.
მტევანში კლერტის %/0	3,66
100 მარცვლის წონა	333,2 გრ.
მტევანში ჩენჩოს %/0	9,90
100 მარცვლის წიაჭის წონა	10,37 გრ.
წიაჭის რაოდენობა 100 მარცვალში	182
მარცვალში { ხორცი %/0	89,10
წიაჭა „	2,99
ჩენჩო „	9,90

თეთრი ხარისთვალას წვენის ქიმიური ანალიზის შედეგები:

შაქარი (საღებრონით)	18,62 ‰
საერთო ტიტრირებული სიმჟავე	5,52 ‰ ₁₀₀
წყალბადიონთა კონცენტრაცია pH	3,55 „
წიპწაში ცხიმი	15,46 „
ტანიდები	} კლერტში 3,82 „ ჩენჩოში 2,04 „ წიპწაში 3,70 „
ლევენტალით	

ხარისთვალა შავი

(Gros Colman, gros Colmar, Dodrelabi საფრანგ. და ინგლ.; Ochsenauge — გერმ.; Vovoko, Volovijak—შტერია; Ocrudi boe nero — სარდინია; Ökürzem Kek, Borjuszemu — უნგრეთი; Eichcugeltraube — ავსტრია).

ხარისთვალა შავის გავრცელება და სამეურნეო ღირებულება საქართველოში ისეთივეა, როგორც ხარისთვალა თეთრისა.

ზრდამოთავებული ფოთოლი საერთო მოხაზულობით მომრგვალებულია, იშვიათად ოდნავ განიერი, ორ ამონაკეთიანია. ამონაკეთები საშუალოზე ნაკლები სიღრმისაა. ზედა ამონაკეთი მომრგვალებული, ან მახვილფუძიანი, დახურული, პატარა ქუჭრუტანიანია. ქვედა ამონაკეთი ოდნავ შესამჩნევი ნაპრალისებურია. ფოთლის ყუნწის ამონაკეთი ფუძემომრგვალებული, დახურული, ვიწრო თაღისებური, ხშირად ღირისებურია, იშვიათად ელიფსისებურია. ნაკეთის ბოლო კბილაკი სამკუთხოვანი, სწორგვერდებიანი, წვეროვებამწვეტებულია. ნაკეთის გვერდითი კბილაკები ხერხისებური, ცალმხრივ გამობერილი, წვეროვებამწვეტებულია. ფოთლის ფირფიტა დიდი, ბრტყელი, იშვიათად გვერდებამხრილი, სადაა, ქვედამხრიდან ზოგჯერ ნაოჭებიანია; მთავარი ძარღვები შიშველი და მომწვანო ფერისაა. ფოთლის ყუნწი მთავარ ძარღვის სიგრძეზე ოდნავ მოკლეა; მოწითალო ღვინის ფერისაა.


ყვავილი მდებარობითი სქესისაა.

მტევანი ფორმით კონუსისებურია, კარგ განაყოფიერების შემთხვევაში მტევანი აგებულობით კუმსია, უფრო ხშირად კი თხელია და ამ შემთხვევაში რამოდენიმე მარცვლიანია. მტევნის სიგრძე 20—22 სანტიმეტრს აღწევს, სიგანე უდრის 21—23 მილიმეტრს. მარცვლის კანი მაგარი, შავი ფერისაა, უხვადაა დაფენილი ვიტინით. მარცვალი ფორმით ოდნავ ოვალური, შუაზე განიერი, ბოლო მომრგვალებული, სიმეტრიულია; მსხვილი მარცვლის სიგრძე 22—24 მილიმეტრს და მეტს აღწევს. ხორცი წვინანია. ყურძენი II პერიოდის გასულს მწიფდება. წიპწა მარცვალში მეტწილად 3 ცალია, იშვიათად 2—4 ცალი, მარცვლის ღერუკა სიგრძით 10 მილიმეტრია, მწვანე ფერისაა, დამუწუკებულია, ბალიში ვიწრო კონუსისებურია. მარცვალი ღერუკაზე მჭიდროდ არ არის მიმაგრებული.

რქა მსხვილი, ოდნავ დაზოლილი, საშუალოზე გრძელი, მუხლთშორისებიანი, მოწითალო ფერისაა.



ბარისთვალა (შავი)



ცხენის ძუძუ (თეთრი)

შავი ხარისთვალას ყურძნის მექანიკური და ქიმიური ანალიზის შედეგები.

განეითარებულ მტევნის საშუალო წონა	410 გრ.
საუალო მტევნის სიგრძე	190 მმ.
„ „ სიგანე	162 მმ.
საშუალო მარცვლის სიგრძე	21 მმ.
„ „ სიგანე	18 მმ.
100 მარცვლის წონა	326 გრ.
წიპწას რაოდენობა 100 მარცვალში	188
მარცვალში	{
ხორცი	95,04 %
წიპწა	1,72 „
ჩენჩო	3,24 „
შაქარი	17,5 „
საერთო ტიტრირებულ სიმჟავე	9 ‰

ქართული ვახის ჯიშებიდან ყველაზე მეტი პოპულარობით უცხოეთში შავი ხარისთვალა სარგებლობს. ეს ჯიში როგორც ჩვენში, ისე უცხოეთში თუმცა დიდი რაოდენობით ვენახებში არსად ირგვება, მაგრამ სადაც ვახის სათბურის მეურნეობას აწარმოებენ (ინგლისი, ბელგია და სხ.) ხარისთვალას ხალისით აშენებენ, რადგან ამ ჯიშის მტევანი და მარცვალი სათბურის პირობებში განსაკუთრებულ სიმსხოს და სილამაზეს აღწევს; ასეთ კულტურის დროს მტევანი წონით 2 კგ იშვიათი მოვლენა არ არის, მარცვალი სიგრძით 35 მმ აღწევს, მარცვლის ირგვლივი წრეწირი ხაზის სიგრძე კი 100 მმ. მარცვლის ძირითადი ფერი თუმცა შავია, მაგრამ ზოგი მარცვალი მოწითალო ფერისა რჩება, ზოგი კი მარცვლის ყუნწთან მიმაგრების ადგილას მომწვანო ფერისაა. ხარისთვალა განსაკუთრებული ეფექტიანი მტევნების და მარცვლის მქონე ჯიშია და ამით თუ უნდა აიხსნას მისი განსაკუთრებული პოპულარობა, მით უფრო რომ, როგორც სუფრის ყურძენი, იგი მეორე ხარისხოვანია. ხოლო როგორც საღვინო ჯიში არავითარ ღირებულებას არ წარმოადგენს.

ხარისთვალა მიღებული იყო საფრანგეთში იმერეთიდან, რაზედაც მიგვითითებენ მთელი რიგი უცხოეთის ამპელოგრაფიული წყაროები (Viala et Vermorel *l'Ampelographie, Vignoble — Barron, Tafeltroubenkultur — Rud. Goethe — Ampelographisches Wörterbuch — Herm. Goethe* და სხ.), მაგრამ ხარისთვალა უცხოეთში რატომღაც „დოდრელაბის“ სახელწოდებით იხსენიება და ამ სახელწოდებითაა ცნობილი.

უნდა ვიგულოვოთ, რომ იმერეთიდან ქართული ვახის ჯიშების საფრანგეთში გაგზავნის დროს, იმერული ჯიში დონდლაბიც გაიგზავნებოდა; მოგზაურობის დროს ვახის კონებს ფირფიტები შესწყდებოდათ, არეულ ფირფიტებს არა დანიშნულებისამებრ. მიაკუთვნებდნენ და ამგვარად მოხდებოდა გაგზავნილ ჯიშთა შორის სახელწოდებათა შეცვლა-არევა. თვით სახელწოდება „დონდლაბი“ კი, ან შეცდომით გადანათლა „დოდრელაბად“ ამპელოგრაფ V. Pulliat-ს ქუთაისელმა კორესპონდენტმა Baron de Longueuil-მა, ანდა ეს სახელი საფრანგეთში შეირყვნა.

საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ იმერული თეთრყურძნიანი ჯიში დონ-დლაღბი სულ სხვა მოდგმისაა და შავ ხარისთვალასთან არაფერი საერთო არა აქვს.

ცხენის ძუძუ

ცხენის ძუძუ გვხვდება ერთეული ძირების სახით შიგნით და გარე კახეთში. ამ ჯიშის ნარგავეები მეტად შემცირებულია და ამავე დროს გადარჩენილი ძირებიც ისეთი სუსტი ზრდისაა, რომ, თუ არ დაიმყნა, რამდენიმე წლის შემდეგ მთლად მოისპობა, რადგან ფილოქსერისაგან მეტად დაძაბუნდნენ. ადგილობრივ მცხოვრებთა შეფასებით, ცხენის ძუძუ კარგ საჭმელ ყურძენს იძლევა, შენახვის უნარიც უნდა ჰქონდეს. ნაცარს საშუალოდ უძლებს. ცხენის ძუძუ რაჭაშიაც გვხვდება.

ზრდა მოთავებული ფოთოლი მოხაზულობით მომრგვალებულია, იშვიათად ოდნავ მოგრძოა, ხუთნაკვეთიანია, გვხვდება სამნაკვეთიანიც, ამონაკვეთების სიღრმე საშუალო ან მომცროა. ზემო ამონაკვეთი მოყვანილობით მომრგვალებულ ფუძიანია, ღირისებური, ზოგჯერ კვერცხისებურია, ფუძე კბილაკებიანია. ქვედა ამონაკვეთი ღია ნაპრალისებური, იშვიათად ძლიერ ვიწროცაა. ფოთლის ყუნწის ამონაკვეთი მომრგვალებულფუძიანია, მოყვანილობით ელიფსისებური, ხშირად ღირისებურია. ამონაკვეთის ბოლო კბილაკები სამკუთხოვანი, სწორკვერდებიანი, წვერომომრგვალებულია. ნაკვეთის გვერდითი კბილაკები ხერხისებური, გვერდებგამობერილი, წვერომომრგვალებულია. ფოთლის ფირფიტა ბრტყელია; ქვედა მხარიდან ნაკეებიანია და შებუსეილია აბლაბუდისებური ბუსუსით. მთავარი ძარღვი შებუსეილია აბლაბუდისებური ქსოვილით, მწვანე ფერისაა. ფოთლის ყუნწი მთავარი ძარღვის სიგრძის თანატოლია, იშვიათად ოდნავ მოკლეა, შიშველია, მოწითალო ღვინის ფერისაა.

ყვავილი ორსქესიანია.

მტევანი ფორმით კონუსისებურია, აგებულობით თხელია, სიგრძე 16—18 სანტიმეტრს უდრის, სიგანე—8—10 სანტიმეტრს. მტევნის ყუნწი 2—3 სანტიმეტრის სიგრძისაა. მარცვალი ოვალური და მოგრძოა, შუაზე ნაკლებად გამობერილი, უფრო რკოსმაგვარი მოყვანილობისა, ბოლომომრგვალებული, სიმეტრიულია. მარცვლის სიგრძე 18—22 მილიმეტრია, სიგანე 15—17 მილიმეტრი. მარცვლის კანი მაგარი, მწვანე ფერისა უხვადაა შეფენილი ფიფქით, მარცვალი წვნიანია. მარცვალში მეტწილად 2—3 წიპწაა, იშვიათად 1 ცალია.

მარცვლის ღერუკა 5—8 მილიმეტრის სიგრძისაა, მწვანე ფერისა, სადა აგებულებისაა. ბალიში ვიწრო-კონუსისებურია. ღერუკა მარცვალზე საშუალოდაა შიმაგრებული.

რქა უზოლო, საშუალო მუხლთშორისებიანი, მორუხო ფერისაა.

ცხენის ძუძუს ყურძნის მექანიკური და ქიმიური ანალიზის შედეგები:

საშუალო მტევნის წონა	270 გრ.
საშუალო მტევნის სიგრძე	172 მმ.
„ „ სიგანე	92 მმ.
საშუალო მარცვლის სიგრძე	19 მმ.
„ „ სიგანე	15,3 მმ.

100 მარცვლის წონა	208,42 გრ.
წიპწის რაოდენობა 100 მარცვალში	158
100 მარცვლის წიპწის წონა	6,4 გრ.
მარცვალში	} ხორცი 91,77% წიპწა 3,07 „ კანი 5,16 „
წონით	
შაქარი	
საერთო ტიტრირებული სიმჟავე	9,1 ⁰ / ₁₀₀ .

ცხენის ძუძუს ვაზები გვხვდება უფრო მეტი რაოდენობით ქვემო რაჭაში. ურძენი ენკენისთვის მეორე წახევარში იწევა.

მხარგრძელე თეთრი

მხარგრძელი თეთრი მთელ კახეთში გვხვდება ერთეულ ძირებად საწარმოო ვენახებში, ნარევის სახით. ამ ჯიშის სამეურნეო ღირებულება ნაკლებაა შესწავლილი, ზოგადი დაკვირვებით კი სუფრის ყურძნის ჯგუფს უნდა მიეკუთვნოს. გამოსადეგია როგორც სათვალოდ, აგრეთვე ყურძნად მოსახმარად. მოსავლიანობა საშუალოზე დაბალი აქვს. ნაცრის ნაკლები ამტანიანობით ხასიათდება.

ფოთოლი მოხაზულობით მომრგვალებული, იშვიათად ოდნავ მოგრძოა, ოთხამონაკეთიანია; დანაკეთის სიღრმე საშუალოზე მეტია. ზედა და ქვედა ამონაკეთები მახვილფუძიანი, მოყვანილობით კვერცხისებური, იშვიათად ლირისებურია, ნაკეთის გვერდები დაახლოებული აქვს. ფოთლის ყუნწის ამონაკეთის ფუძე კვადრატისებურია, თვით ამონაკეთი მოხაზულობით თაღისებურია, იშვიათად ლირისებური. ნაკეთების ბოლო კბილაკები სამკუთხოვანი, სწორგვერდოვანი, წაწვეტებულწვეროიანია. ნაკეთის გვერდითი კბილაკები გვერდებგამობერილი ოდნავ წაწვეტებულწვეროიანია. ფოთლის ფირფიტა გვერდებამოხრილი, ქვედა მხრიდან ბადისებურია და შებუსვილია აბლაბუდისებური წვრილი ბუსუსით. მთავარი ძარღვები შიშველი, ფუძესთან ოდნავ მოწითალო ღვინის ფერისაა. ფოთლის ყუნწი მთავარი ძარღვის სიგრძის თანატოლია, იშვიათად უფრო გრძელია; შებუსვილია წვრილი მუქ-მოწითალო-მორუხო ფერის ბუსუსით.

ყვავილი მდებრობითი სქესისაა.

მტევანი ფორმით ცილინდრული-კონუსისებური, მხრებიანია, აგებულებით თხელი, ზოგჯერ მეტად მეჩხერია. მტევნის სიგრძე 22—30 სანტიმეტრს უდრის, სიგანე კი 7—10 სანტიმეტრს, მტევნის ყუნწის სიგრძე 7—9 სანტიმეტრს უდრის, გახეებისას მოწითალო-მორუხო ფერისაა. მარცვლის ფორმა ოვალური, შუაზე განიერი, ბოლო მომრგვალებული, საშუალო სიმსხოსია, სიგრძე 14—18 მილიმეტრს უდრის, სიგანე 12—16 მილიმეტრს. მარცვლის კანი მაგარი, მწვანე ფერისაა, უხვადაა დაფენილი ვიტინით. მარცვლის ხორცი წვნიანია. მარცვალში 1—4 წიპწაა, ხშირად 2 ცალი.

მარცვალის ღერუკა სიგრძით 6—9 მილიმეტრისაა, მწვანე ფერისა, დამეჭეკებულია. ბალიში განიერ კონუსისებურია. მარცვალი ღერუკაზე საშუალოდაა მიპაგრებული.

რქა უზოლო, გრძელი მუხლთშორისებიანი, მოწითალო ფერისაა. მხარგრძელის ყურძნის მექანიკური ანალიზის შედეგები:

საშუალო მტევნის წონა	294,35 გრ.
საშუალო მტევნის სიგრძე	25,7 სტ.
საშუალო მტევნის სიგანე	9,5 სტ.
საშუალო მარცვლის სიგრძე	15 მმ.
საშუალო მარცვლის სიგანე	13 მმ.
მტევანში კლერტის $\% \%$	4,65
100 მარცვლის წონა	165 გრ.
მტევანში ჩენჩოს $\% \%$	11,14
100 მარცვლის წიპწის წონა	7,7 გრ.
წიპწის რაოდენობა 100 მარცვალში	137
მარცვალში	{
ხორცი $\%$	82,35
წიპწა „	6,5
ჩენჩო „	11,14

მხარგრძელის წვენის ქიმიური ანალიზის შედეგები:


შაქარი (საღებრონით)	21,62 $\%$
საერთო ტიტრირებული სიმჟავე	6,19 $\%$
წყალბადიონთა კონცენტრაცია pH	3,15
წიპწაში ცხიმი	17,81 $\%$
ტანიდები	{
კლერტში	3,53 „
ჩენჩოში	2,26 „
წიპწაში	3,84 „

შეჯამება


სინონიმი: შაბა (გარდატენი).

ვაზი საშუალო ღონისაა. ზრდადამთავრებული ფოთოლი მეტწილად მომრგვალო, ზოგჯერ ოვალური, სამნაკეთიანია. ზემო ამონაკვეთი ზეზეურია, ფუძე კვერცხისმაგვარი აქვს. ქვედა ამონაკვეთი იმდენად ზეზეურია, რომ არც კია შესამჩნევი. ფოთლის ყუნწის ამონაკვეთი ზოგჯერ დახურულია, ზოგჯერ ოდნავ ღიაა; ფუძე მომრგვალო მოყვანილობისაა, იშვიათად ვიწროა. ნაკვეთის წვერის კბილაკები წაწვეტებულია, იშვიათად გვერდებამობერილია. გვერდელა კბილაკები გვეხდება როგორც წვეტიან-ბოლოიანი, ისე მომრგვალო მოყვანილობის, უფრო ხშირად გვეხდება გვერდებამობერილი და წაწვეტებულწვერიანები. ფოთლის ფირფიტის ზედა მხარე სადაა და ნაკვეთები ქვევითკენ აქვთ ძიხრილი. ფოთლის ფირფიტის ზედა მხარე შებუსხვილია საკმაოდ უხვი ბუსუსით. ფოთლის ყუნწი წითლადაა შეფერილი.

მტევანი მოყვანილობით ცილინდრო-კონუსისებრია, აგებულობით საშუალო სიკუმისაა. საშუალო მტევნის სიგრძე 14—16 სმ შუა მერყეობს, მსხვილი მტევნები სიგრძით 21 სმ აღწევენ. მტევნის ყუნწი მწვანეა და ზოგჯერ ფუძესთან ხევდება. მარცვალი ღერუკასთან სუსტადაა მიმაგრებული. მარცვალი მოყვანილობით მრგვალია, საშუალო სიმსხოსია, ზომით 15,3 მმ აღწევს, მეტი მსხვილი



შხარგოძელი



3433

მარცვალი 17,6 მმ აღწევს. მარცვლის კანი თხელია, ადვილად იხევა, ფერად ყვითელ-მომწვანოა. მარცვლის ხორცი წვნიანია და უხვი გამოსავალი აქვს. მარცვალი შეიცავს 1—4 წიპწას, მეტწილად კი 2 წიპწას. ყურძენი ქართლის პირობებში მწიფდება სექტემბრის გასულს.

ჟყაპას ყურძნის მექანიკური და ქიმიური ანალიზის შედეგები:

საშუალო მტევნის წონა	212 გრ.
საშუალო მტევნის სიგრძე	15 სანტ.
" " სიგანე	8,8 სანტ.
საშუალო მარცვლის სიგრძე	15 მმ.
" " სიგანე	13,7 " "
100 მარცვლის წონა	198 გრ.
წიპწის რაოდენობა 100 მარცვალში	214
შაქარი	18,3 %
საერთო ტიტრირებული სიმეხვე	8,1 %

ჟყაპა ქართლის ვენახებში საკმაოდ გავრცელებული ჯიშია. შედარებით უხვი და თანაბრივი მოსავალი იცის (80—100 ცენტ. ჰექტ.). წვენის კარგი გამოსავლიანობა აქვს, ჭრაქით ნაკლებად ზიანდება და სხ. მთელ რიგ სამეურნეო ღირსების გამო, იგი თანდათანობით მეტად ვრცელდება, ღვინოს კი თხელს და უხასიათოს იძლევა. გამოსადეგია როგორც მასობრივი თეთრი ღვინოების დასამზადებლად, ისე საკუპაჟო მასალადაც.

მელაკულა (მელისკულა)

მელაკულა მეტად მოსავლიანი და გამოსავლიანი ვაზის ჯიშია, მაგრამ მეტად თხელ, უხასიათო, მსუბუქ ღვინოს იძლევა, ამიტომ მასობრივი ნარგავების სახით არ აშენებენ. გვხვდება ქსნის ხეობაში.

ვაზი საკმაოდ ღონიერი ზრდით ხასიათდება. ზრდადამთავრებული ფოთლის ფირფიტა მოყვანილობით ოვალურია, იშვიათად მომრგვალო, ხუთნაკეთიანია. ამონაკვეთნი ღრმად არიან შექრილნი. ფოთლის ყუნწის ამონაკვეთი ღიაა, მოხაზულობით ღირისებურია, ფუძე ვიწრო, იშვიათად ბრტყელი მოხაზულობისა აქვთ.

მტევანი მოყვანილობით კონუსისებურია, აგებულია მეტად კუმსია. საშუალო მტევნის სიგრძე 15—17 სმ-ს შუა მერყეობს, მეტად მსხვილი მტევნის სიგრძე 25 სმ. აღწევს. მტევანი ზოგჯერ მხრიანია და ზევითა კუფხალი საკმაოდ დიდ განვითარებას აღწევს, საერთოდ კი მტევანი მელის გაშლილ კუდს წააგავს. მტევნის ყუნწი განვებულია და მოწითალო ფერისაა. მარცვალი მოყვანილობით მომრგვალოა. გვხვდება ოვალური მოყვანილობის მარცვალიც. მარცვალი საშუალო სიმსხოსია, მსხვილი მარცვლები კი 18,7 მმ აღწევენ. მარცვლის კანი თხელი, მაგრამ უხეშია, ხორცს იოლად სცილდება, ფერით მომწვანო და უხვადაა შეფენილი შავი წერტილებით. მარცვლის ხორცი საკმაოდ მკვრივია. მარცვალი შეიცავს 1—3, მეტწილად კი 1 წიპწას.

მელაკუდას ყურძნის მექანიკური და ქიმიური ანალიზის შედეგები:

საშუალო მტევნის წონა	335 გრ.
„ „ სიგრძე	195 მმ.
„ „ სიგანე	120 მმ.
საშუალო მარცვლის სიგრძე	15 მმ.
„ „ სიგანე	14 მმ.
მტევანში კლერტის წონა	10,69 გრ.
100 მარცვლის წონა	266,75 გრ.
100 მარცვლის ჩენჩოს წონა	8,67 გრ.
წიპწას რაოდენობა 100 მარცვალში	129
100 მარცვლის წიპწას წონა	4,2 გრ.
მარცვალში	{ ხორცის % 95,18 წიპწის „ 1,57 ჩენჩოსი „ 3,25
წონით	
შაქარი	
საერთო ტიტრირებული სიმჟავე	10,7 ‰

მელაკუდას ყურძენი ოქტომბრის პირველ ნახევარში მწიფდება და საკმაოდ კოროციული მტევანი აქვს.

ჩინური

სინონ.: თეთრი ვაზი, კასპურა, კასპური თეთრი.


ქართლის ვენახებში საკმაოდ გავრცელებულია თეთრყურძნიანი ჯიში ჩინური; ამ ჯიშის ვაზებს უფრო მეტი რაოდენობითა შეხედებით ატენის ხეობაში, კასპის მიდამოებში და ქსნის ხეობაზე.

ჩინური ვაზი ხასიათდება ღონიერი პირამიდული მიმართულების ზრდით.


ფოთლის ფირფიტა მოხაზულობით თითქმის მრგვალია, სიგრძით უდრის 16—17,05 სტ. სიგანით კი 16—18 სანტიმეტრს; მოყვანილობით ფოთოლი ღარიბებულია. ფოთლის ფირფიტის ზედა მხარე ტიტველია, ქვედა მხარე კი შებუსუსებულია აბურძგენილი ბუსუსით. ფოთოლი სამნაკვეთიანია, იშვიათად გვხვდება ხუთნაკვეთიანიც; ამონაკვეთები ზეზეური აქვს, განსაკუთრებით კი ქვედა ამონაკვეთები. ფოთლის ყუნწის ამონაკვეთი ღია, მრგვალი თალისებური მოყვანილობისაა, იშვიათად კვერცხისებური. ამონაკვეთში მოიპოვება საკმაოდ განვითარებული დეზი. ყუნწის ამონაკვეთთან მდებარე ფოთლის ფირფიტის ნაკვეთები ზოგჯერ ერთმანეთს ეხებიან და ერთი მეორეზე გადადიან. ფოთლის ფირფიტის კიდე დაკბილულია მოკლე და განიერი ორგვარი სიდიდის კბილაკებით. კბილაკების წვეროები მომრგვალო მოყვანილობისაა.

ნორჩი ყლორტის წვეროები და პირველი ფოთლები შებუსუსებულია, ამ უკანასკნელთა პერიფერია კი ოდნავ მობრჭყვიალოა. პირველ ოთხ ფოთლის ძარღვებშორისი მანძილს მოწითალო იერი გადაჰკრავს. ყლორტების შებუსუსება თანდათან კლებულობს ძირისკენ.

მტევნები ვითარდებიან მე-4—5 მუხლიდან; თითო ყლორტზე თითო მტევანი ვითარდება, იშვიათად — ორი.



მელისკუდა (თეთრი)



ჩინური (ქართლი)

მტევანი მოყვანილობით ცილინდრო-კონუსისებურია, ზოგჯერ ფრთა უფითარდებათ; აგებულობით საშუალო სიკუმისაა, ზოგჯერ საკმაო კუმსიც. მტევანი სიგრძით 20 სანტიმეტრამდე აღწევს და სიგანით 9—11 სანტ. მტევანი მოითვლის 75—140 მარცვლამდე.

მტევნის ყუნწი ნახევრად გახევებულია, უმეტესად ღია მომწვანო-მოყვითალო ფერისაა.

მარცვალი მომხსო, მომრგვალო, ოდნავ ოვალური მოყვანილობისაა. მარცვლის ბოლო მრგვალი სიმეტრიულია. მსხვილი მარცვლას სიგრძე 20 მმ აღწევს, სიგანე კი 18 მმ. მარცვალი მომწვანო-მოყვითალო ფერისაა, კარგად დამწიფებული ღია ქარვის ფერს იღებს და მზის მზარეს მუქი-რუხი ლაქები უფითარდება. მარცვლის კანზე შესამჩნევია ამ ჯიშისთვის დამახასიათებელი მუქ-წითელი ფერის პატარა წინწკლები. მარცვალი ხორციანი, საკმაო წვნიანი და თხელკანიანია. მარცვლის კანი ლაზათიანადაა შეფენილი ვიტინით. კანი ადვილად სცილდება ხორცს. ყურძენი საკმაოდ გემრიელია, თუმცა ოდნავ უხეშობა ახასიათებს. მარცვლის ღერუკა 4—8 მმ სიგრძისაა. მარცვალი ღერუკასთან საკმაოდ მკიდროდაა მიმაგრებული. მარცვლის ღერუკის ბოლო მარცვალთან მიმაგრების ადგილას განიერ კონუსისებური მოყვანილობისაა, მწვანე ფერისაა და უხვათაა დაფენილი მწვანევე ფერის მეჭეჭებით.

მარცვალი 4-მდე წიპვას შეიცავს, უფრო ხშირად 2—3 წიპვას. წიპვა ღია რუხი ფერისაა, ქალაზა მრგვალი, ზოგჯერ ოდნავ ოვალურია.

რქა მუქი რუხი ფერისაა და დაზოლილია უფრო მუქი ფერის ბრტყელი ზოლებით. მუხლებთან ზოლებიც და თვით რქაც უფრო მუქდება.

ყურძენი იწვევს II პერიოდის მიწურულში.

ჩინური ყურძნის მექანიკური და ქიმიური ანალიზის შედეგები:

საშუალო მტევნის წონა	300 გრ.
საშუალო მტევნის სიგრძე	165 მმ:
" " სიგანე	110 "
საშუალო მარცვლის სიგრძე	17 "
საშუალო მარცვლის სიგანე	15,7 "
მტევნის კლერტის წონა	10,69 გრ.
მტევნის კლერტი (% ₀ / ₀ -ში)	2,08
100 მარცვლის წონა	256,8 გრ.
100 მარცვლის ჩენჩოს წონა	8,9 გრ.
წიპვის რაოდენობა 100 მარცვალში	158
100 მარცვლის წიპვის წონა	6,69 გრ.
მარცვალში } ხორცი	93,9 ⁰ / ₀
წონით } წიპვა	9,6 "
} ჩენჩო	3,5 "
შაქარი	17,5 "
საერთო ტიტრირებული სიმეავე	7,2 ⁰ / ₀₀

ქართული ვახის ჯიშთა შორის ჩინური ხასიათდება ფილოქსერისადმი ყველაზე მეტი გამძლეობით. ფილოქსერისგან ამოგდებულ ვენახებში ჩინური საკმაო

საღად გამოიყურება, თუმცა ეს ჯიშიც საბოლოოდ ვერ უძლებს მოხსენებულ მწერის დამღუბველ გავლენას. სოკოვან ავადმყოფობისადმიც ქართლის პირობებში ჩინური საკმაო გამძლეობით ხასიათდება, მეტადრე კი ნაცრისადმი.

ჩინური ნაკლებ შინაარსიან თეთრ სუფრის ღვინოს იძლევა. ეს ჯიშში შეიძლება მივაკუთვნოთ საკმაო ხარისხოვან სუფრის ყურძნის ჯგუფს: მტევნის სილამაზე, მარცვლის აგებულება და გემო, აგრეთვე შენახვის და ტრანსპორტის უნარიანობა ამის საწინდარია.

ქელშაში (ძველშავი)

ძელშავი საკმაოდ გავრცელებულია ზესტაფონის, ხარაგოულის და ბაღდადის რაიონებში. საკუთრივ ძელშავით ნარგავ ვენახებს შედარებით იშვიათად შევხვდებით. მეტ შემთხვევაში იგი სხვა ჯიშებთან არის შეთავსებული. ძელშავის ცალკეული ვახები გვხვდება საქართველოს სხვა მევენახეობის რაიონებშიაც.

ძელშავის ვაზი შემდეგით ხასიათდება:

ზრდა — საშუალო ან მორჩილი აქვს, ჰაბიტუსით — საკმაო გაფარჩხულია.


ფოთოლი საერთო მოხაზულობით მომრგვალო, ოდნავ ოვალურია, სიგრძით აღწევს 19 სანტ., სიგანით — 17,5 სან., მოყვანილობით ძაბრისებრია. ფოთოლის ფირფიტა 5 ან იშვიათად 3 ნაკვეთიანია; ზევით ამონაკვეთები საშუალო სიღრმისაა, ამონაკვეთის ფუძე ვიწრო თალისებრია. ამონაკვეთის მოხაზულობა ღირისებრი, ზოგჯერ ვიწრო ნაპრალისებრია. ამონაკვეთების ბოლოები ერთმანეთს უახლოვდებიან და ხშირად ერთიმეორეზე გადადიან. ქვედა ამონაკვეთები ფირფიტაში სიღრმეზე იჭრება და ფუძე მორგვალეული აქვთ. ფოთლის ყუნწის ამონაკვეთი ღირისებრია და ფუძე ვიწრო თალისებრი აქვს. ფოთლის ფირფიტის ქვედა მხარე ნაბდისებრივე ბეწვით არის შებუსხილი. ფოთლის ფირფიტის პერიფერია დაკბილულია, საკმაო განიერი სამკუთხედის ფორმიანი კბილაკებით; ნაკვეთების წვეროები ვიწრო, სამკუთხედისმაგვარი, წაგრძელებული კბილაკით ხასიათდება. ფოთლის ნერვაცია მწვანე ფერისაა. ფოთლის ყუნწი საკმაოდ გრძელია და თითქმის მთავარი ძარღვის თანატოლია.

ახალგაზრდა ყლორტის წვეროები საკმაოდ უხვადაა შებუსხილი მონაცრისფრო ბუსუსით, თვით ყლორტი კი მოვარდისფერია.


ყვავილი ორსქესიანია, ცალკეულ თანყვავილებში მოიპოვება ნაკლებ განვითარებული ყვავილები.

მტევანი მოყვანილობით ცილინდროკონუსისებურია, უფრო იშვიათად გვხვდება კონუსისებური და ფრთიანიც; აგებულობით საკმაო კუმსია. მტევნის სიგრძე აღწევს 17 სანტ., სიგანე 9—10 სანტ. მტევნის ყუნწის სიგრძე საშუალოდ 4 სანტ. ფარგლებში მერყეობს. მარცვლის ღერუკა მწვანე ფერისაა, შესამჩნევია მეჭეჭები, ღერუკა მარცვალთან საკმაოდ მაგრაა მიმაგრებული.

მარცვალი მოყვანილობით თითქმის მრგვალია, შავი ფერისაა და უხვადაა შეფენილი ვიტინით. მარცვალი საშუალო სიმსხოსია, იშვიათად მომსხო. მარცვლის კანი საშუალო სისქისაა, საღებავ პიგმენტს ნაკლები რაოდენობით



ძელშავი (ძველშავი)



ფეროვანი (შავი)

შეიცავს. საშუალო სიმსხოს მტევანი 110—120 მარცვლისაგან შედგება. მარცვალი შეიცავს 2—3 შედარებით წვრილ წიპწას.

ძელშავის ყურძენი პირველ პერიოდში იწვევა.

ძელშავის ყურძნის მექანიკური და ქიმიური ანალიზის შედეგები:

საშუალო მტევნის წონა	265 გრ.
საშუალო მტევნის სიგრძე	16 სტ.
„ „ სიგანე	9 $\frac{1}{2}$ სტ.
საშუალო მარცვლის სიგრძე	17,5 მმ.
საშუალო მარცვლის სიგანე	17 მმ.
მტევანში კლერტის $\frac{\%}{\%}$	3,7
100 მარცვლის წონა	258 გრ.
წიპწის რაოდენობა 100 მარცვალში	235
მარცვალში	{ ხორცი $\frac{\%}{\%}$ 82,7
	{ წიპწა „ 4,6
	{ ჩენჩო „ 12,7
შაქარი	17,5 $\frac{\%}{\%}$
საერთო ტიტრირებული სიმჟავე	6,5 $\frac{\%}{\%}$

ძელშავის ყურძნიდან ნაკლებად დაფერილ და ნაკლებ-სხეულიანი წითელი ღვინო დგება, მისი წვენი „თეთრად დაწურული“ შამპანური ტიპის ღვინის დასამზადებლად იხმარება, მაგრამ შედმეტი სიტლანქის გამო მოხსენებულ ღვინის ტიპის დამზადების დროს მხოლოდ გარკვეულ $\frac{\%}{\%}$ -ს იღებენ.

ვაზი საკმაო უხვ მოსავალს იძლევა, თითოეულ რქაზე ივითარებს 2 და ზოგჯერ 3 მტევანსაც. წვენის გამოსავალი, სხვა იმერულ ჯიშებთან შედარებით, ძელშავის ყურძენს საკმაოდ უხვი აქვს. ნაცრისადმი საკმაო გამძლეობით ხასიათდება. კარგად ევუება ჯამისებრივი ადგილობრივ ფორმას და ამ შემთხვევაში უხვ მოსავალსაც იძლევა.

ფ ე რ ი მ ა ნ ი

ფეროვანი საკმაოდ გავრცელებულია ზემო რაქაში, მაგრამ ამ ჯიშით მთლიანად ნარგავი ვენახები არა გვხვდება.

ვაზი საშუალო ზრდა-განვითარებისაა. ფოთოლი საკმაოდ დიდი, მომრგვალო მოყვანილობისაა; ზოგჯერ ფირფიტის სიგანე სიგრძესა სჭარბობს. ფოთოლი თითქმის მთლიანია და ორი ზევით ამონაკვეთი იმდენად ნაკლები სიღრმითაა შეჭრილი, რომ მთლიანი ფირფიტის შთაბეჭდილება არ ირღვევა. ფოთლის ყუნწის ამონაკვეთი ვიწრო ხვრელისებრია და ფუძე მახვილი მოხაზულობისა აქვს; ზოგჯერ ფოთლის ყუნწის ამონაკვეთის კიდურებზე დეზი უვითარდებათ. ფოთლის ფირფიტის პერიფერია წვრილ, განიერ კბილაკებითაა შეფენილი; კბილაკების წვეროები წამწვეტებულია. ფოთლის ფირფიტის უკანა მხარე შეფენილია აბლაბუდისებრი თხელი ფიფქით, უფრო სქელი ფიფქითაა შეფენილი ნერვაცია. ფოთლის ყუნწი მთავარ ძარღვზე გრძელია, ოდნავ მოწითალო ფერისაა, წვრილია და საკმაო უხვადაა შეფენილი მონაცრისფრო ბუსუსით.

მტევანი მომცრო, საკმაოდ ფაჩსატი, გრძელყუნწიანია; მტევნის ზევითა კუფხლები საკმაოდ განვითარებულია. მარცვალი მორგვალო, ან ოდნავ ელიფსოიდური, თითქმის საშუალო სიმსხოსია. მარცვლის ძირითადი ფერი წითელია, მაგრამ შავის შთაბეჭდილებას სტოვებს, რადგან უხვადაა შეფენილი ვიტინით. მტევნის ყუნწი მწვანე ბალახისებრია, სიგრძით 5,5 სანტ. აღწევს. მარცვლის ლერუკა მომწვანო ფერისაა და სიგრძით 8 მმ აღწევს. მარცვლის ხორცი საკმაოდ წვნიანია.

ფეროვანის ყუნწის მექანიკური და ქიმიური ანალიზის შედეგები:

საშუალო მტევნის წონა	105 გრ.
საშუალო მტევნის სიგრძე	110 მმ.
საშუალო მტევნის სიგანე	85 მმ.
საშუალო მარცვლის სიგრძე	14 მმ.
საშუალო მარცვლის სიგანე	12,6 მმ.
100 მარცვლის წონა	173,28 გრ.
წიპწის რაოდენობა 100 მარცვალში	164.
100 მარცვლის წიპწის წონა	6,8 გრ.
100 მარცვლის ჩენჩოს წონა	9,92 გრ.
მარცვალში) ხორცის %	90,36
წონით) წიპწის „	3,92
) ჩენჩოსი „	5,79
შაქარი	20,2 %
საერთო ტიტრირებული სიმჟავე	9,1 ‰


ზემო რაჰის პირობებში ფეროვანის ყურძენი ოქტომბრის პირველ ნახევარში მწიფდება და საკმაოდ მოსავლიანი ჯიშია.

ფეროვანი წითელი ღვინის ჯიშია და თუმცა ღვინო შედარებით სუსტად დაფერილი დგება, მაგრამ საკმაო ჰარმონიულია და რიგიან სუფრის წითელ ღვინოთა წყებას მიეკუთვნება.


ცხენის ძუძუ (აჭარული)

ცხენის ძუძუს სახელწოდებით კახეთში და ქვემო რაჭაში გვხვდება თეთრ-ყურძნიანი ვაზის ჯიში, აჭარაში კი — შავყურძნიანი. მართალია ორთავე ჯიშის მარცვლები ელიფსოიდური მოყვანილობისა არის, მაგრამ სხვა ნიწანთვისებით კი საგრძნობლად განსხვავდებიან ერთიმეორისგან. თუ ამ ჯიშის სახელწოდებას დაუკავშირებთ სიტყვის შინაარსს, დავრწმუნდებით, რომ აჭარაში არსებული ცხენის ძუძუს ვაზის ჯიშის მარცვლები უფრო მეტად წააგავს ცხენის ძუძუს, ვიდრე ამავე სახელწოდების მატარებელი კახური და რაჭული ვაზის მარცვლები.

აჭარული ცხენის ძუძუს ვაზი ხასიათდება ძლიერი ზრდა-განვითარებით, ფოთოლი მოყვანილობით მორგვალო, მეტ შემთხვევაში ოვალურია და ნაკლები დანაკვით ხასიათდება. ფოთლის ყუნწის ამონაკვეთი ღრმაა და მოყვანილობით ისრისებრია. ფოთლის ფირფიტის ზემო ამონაკვეთი ღია და ნაკლები სი-



ცხენის ძუძუ (აჭარული)



ბუდკო (აქარა)

ღრმისაა. ძირითადი ნაკეთების რაოდენობა სამია; მეორადი ამონაკეთები არ უვითარდებათ. ნაკეთების ბოლო კბილაკები მოყვანილობით სამკუთხედისებრია და წამახვილებული წვეროები აქვთ. ფოთლის ფირფიტის ზედამხარე გლუვია, ქვედა მხარე შეზუმბლილია მოთეთრო ბუსუსით. ფოთლის ყუნწი ტიტველი მომწვანო ფერისაა, შემდეგში წითელ ღვინის ფერს იღებს; ფოთლის ყუნწის შეფარდება მთავარ ძარღვთან 0,8—1,5 შორის მერყეობს.

მტევანი ცილინდრ-კონუსისებური მოყვანილობისაა, გეხვდება (იშვიათად) ცილინდრული მოყვანილობისაც. მტევანი აგებულია სამუალო, საკმაო სიკუმსისაა; მტევანს დატოტვა არ ახასიათებს. მტევანის ყუნწი და კლერტი მწვანე, ბალახისებრია; ყუნწის სიგრძე 3—3,5 სმ აღწევს.

მარცვალი მოშავო ფერისაა, მოყვანილობით მოგრძო-ოვალურია, შუა წელში ოდნავ განიერი, სიმეტრული, ბოლო მომრგვალებულია. მარცვლის ღერუკა ბალიშითურთ 4—5 მმ. აღწევს, მწვანე ფერისაა; ბალიში განიერ კანუსისებრია. ღერუკაზე მარცვალი მჭიდროდ არის მიმაგრებული. მარცვლის კანი სქელია, მარცვალი ხორციანი და ნაკლებწვნიანია. მარცვლის კანი საკმაო უხვადაა შეფენილი ფიფქით. მარცვალში მოიპოვება 1—4 წიპწა, უფრო ხშირია ორი წიპწა.

ყურძენი მწიფდება ოქტომბრის გასულს.

ცხენის ძუძუს მექანიკური და ქიმიური ანალიზის შედეგები:

საშუალო მტევანის წონა	216 გრ.
„ „ სიგრძე	12 სმ.
„ „ სიგანე	6 სმ.
100 მარცვლის წონა	260,7 გრ.
ერთი მტევანის კლერტის წონა	2,5 გრ. (მშრალი)
მარცვლის რაოდენობა საშუალო მტევანში	80 ცალი
საშუალო მარცვლის სიგრძე	17,5 მმ.
„ „ სიგანე	13,6 მმ.
100 მარცვლის კანის წონა	
100 მარცვალში წიპწის რაოდენობა	190 ცალი
„ მარცვლის წიპწის წონა	9,2 გრ.
წიპწის სიგრძე	6,8 მმ.
„ სიგანე	3,7 მმ.
ყურძნის წვეწვი შაქარი	19,5 ‰
„ „ ტიტრირებული საერთო მკაევიანობა	9,2 ‰

ცხენის ძუძუ გავრცელებულია ხულოს რაიონში და მოხსენებულ რაიონის ზოგიერთ სოფელში ამ ვაზის ჯიშის მალღარები ყველა სხვა ვაზის ჯიშის ნარგავებსა სჭარბობს; ისეთ სიმალღეზე, როგორზედაც ხულო მდებარეობს, ცხენის ძუძუს ყურძენი და რქაც დაუბრკოლებლივ მწიფდება. ამ ჯიშის ასეთი გავრცელება უნდა აიხსნას ყოველწლიურ უხვ და საკმაო თანაბრივ მოსავლი-

ნობით. იგი იხმარება როგორც სუფრის ყურძენი და ამ მხრივ იგი საკმაოდ ხარისხოვანია. უნდა ვიგულოვოთ, რომ სათანადოდ მოვლილი და აღზრდილი ცხენის ძუძუს ყურძენი ფრიად ხარისხოვან წითელ სუფრის ყურძნად გამოდგება. ამ ჯიშიდან ღვინოს არ აყენებენ და თუმცა წვეწვის უხვი გამოსავლიანობით არ ხასიათდება, მაგრამ ცხენის ძუძუს შაქრის რაოდენობა და შაქრიანობის და სიმჟავიანობის შეფარდება იმის მაჩვენებელია, რომ საღვინედაც გამოდგება და შესაძლო იქნება რიგიანი წითელი სუფრის ღვინის დამზადებაც.

მტრედისფხას

მტრედისფხას ვაზები გადარჩენილია აჭარასა და გურიაში. ცალკეული ვაზები ტყეებშია გაბნეული (ძველი მოსახლეობის ყოფილ კარმიდამოზე) და მეტად მაღალ ხეებზე არიან აპოტინებულნი. ამ ჯიშის ვაზები მაღლარადვე გვხვდება გურიის და აჭარის მოსახლერე სოფლების მკვიდრთა ეზოებში (ზემო და ქვემო კვირიკე).

მტრედის ფხას ვაზები ხასიათდება საკმაო ღონიერი ზრდით. ზრდა მოთავებული ფოთოლი საშუალო სიდიდის, მომრგვალო, ან განივ ოვალური მოყვანილობისაა. ფოთლის ფირფიტა საკმაოდ დანაკვეთილია, მოიპოვება მცირედაც დანაკვეთილი. ფოთლის ყუნწის ამონაკვეთი თალისებრი, ან მომრგვალებულია. ფოთლის ზემო ამონაკვეთი მეტ შემთხვევაში მცირედაა ჩაჭრილი, ქვემო ამონაკვეთი კი ზეზეურია. ნაკვეთთა რაოდენობა სამია, მეორადი ამონაკვეთები არა აქვთ. ნაკვეთის ბოლო კბილაკი სამკუთხედისებრი, ბოლო წამწვეტებული და ზოგჯერ მომრგვალოცაა; დანარჩენი კბილაკებიც სამკუთხედისებრი, ბოლო წამწვეტებული, ან ხერხბილაკებიანია. ფოთლის ფირფიტის ზედა მხარე გლუვი, ბადისებურად დანაკვეთილია, ქვედამხარე კი ოდნავ შებუშბუშულია; შეფარდება მთავარ ძარღვთან 0,8—0,9 შორის მერყეობს.

მტევანი მოყვანილობით ცილინდრ-კონუსისებური, მეტ შემთხვევაში გეზღერძიანი, აგებულიობის საშუალო სიკუმისისაა. მტევანში გვხვდება ნორმალურად განვითარებულ მარცვლების გვერდით, აგრეთვე პართენოკარპიული მარცვლებიც. კარგად განაყოფიერებულ მტრედისფხას მტევნებში პართენოკარპიული მარცვლები თითო-ორიოლა მოიპოვება, ნაკლებად განაყოფიერებულში კი პართენოკარპიული მარცვლები სპარბობს და ზოგიერთი მტევანი მთლად პართენოკარპიულ მარცვლებისგან შედგება. ამ ჯიშის ყვავილის შესწავლის საშუალება არა გვქონდა; უნდა ვიგულოვოთ, რომ ყვავილები მდებრობითი სქესიანი აქვთ. მტევნის ყუნწი და კლერტიც მომწვანო ფერისა, ბალახისებრია.

მარცვალი მუქი წითელი ფერისაა, მოყვანილობით ნორმალურად განვითარებული—ელიფსოიდური, 1—3-წიაწიანია, პართენოკარპიული კი მრგვალი და უწიპწია. მარცვალი ხორციანი, მაგრამ საკმაო წვნიანია. მარცვლის კანი საკმაო სქელი, ნაკლებადაა დაფენილი ფიფქით. მარცვლის ღერუკა 4—6 მმ სიგრძისაა; ბალიში დამეჭვებული და განიერ კონუსისებური მოყვანილობისაა. მარცვალი საშუალოდ არის მიმაგრებული ღერუკასთან.

ყურძენი მწიფდება ოქტომბრის გასულს.

მტრედისფეხას მექანიკური და ქიმიური ანალიზის შედეგები:
 საშუალო მტეენის წონა — 110 გრ.
 (აქედან 56 ნორმ. მარცვალი და 44 პართენოკარპიული).
 საშუალო მტეენის სიგრძე 12 სმ.
 „ „ სიგანე 6,5 სმ.
 100 ნორმალურ მარცვლის წონა 275 გრ.
 ერთი მტეენის კლერტის წონა 2,5 გრ. (მშრალი)
 მარცვლის რაოდენობა საშუალო მტეევანში 65 ცალი
 საშუალო მარცვლის სიგრძე (ნორმალურად გან-
 ვითარებული) 15,5 მმ.
 საშუალო მარცვლის სიგანე (ნორმალურად გან-
 ვითარებული) 14 მმ.
 საშუალო მარცვლის სიგრძე (პართენოკარპიუ-
 ლის) 6 მმ.
 საშუალო მარცვლის სიგანე (პართენოკარპიუ-
 ლის) 6,2 მმ.
 100 მარცვლის კანის წონა 9,2 გრ. (მშრალი)
 100 ნორმალურ მარცვალში წიპწის რაოდენობა 155 ცალი
 100 მარცვლის წიპწის წონა 6,8 გრ.
 ყურძნის წვეწვში შაქარი 20 %
 ტიტრირებული საერთო მჟავიანობა 14,4 ‰

მტრედისფეხა საკმაოდ მოსავლიანი ჯიშია, მაგრამ იმ წლებში, როდესაც პართენოკარპიულად განვითარებულ მარცვლებს დიდი რაოდენობით ივითარებს, ნაკლებ-ბარაქიანი გამოსავალი აქვს. ყურძენი დატოვებული ვახზე იანვრამდე დაუტკნობლად ძლებს. დაკრეფილი ყურძენი კარგად ინახება.

ძველად მტრედისფეხა საკმაოდ გავრცელებული ყოფილა გურიაში, აგრეთვე აჭარასა და სამეგრელოში. გადმოგვცემენ, რომ ამ ჯიშიდგან მომზადებული ღვინო მეტად სასიამოვნო სასმელი იყო. სადღეისოდ მტრედისფეხა თითქმის გადაგვარების გზას ადგია: უცხოეთიდან შემოჭრილი სოკოვანი ავადმყოფობანი, რომელთა წინააღმდეგ ეს ჯიში საკმაო გამძლეობას ვერ იჩენს, მთავარ მიზეზად უნდა ჩაითვალოს.

იტალიაში ცნობილია ამავე სახელწოდების ჯიში (Piede di colombi). მაგრამ ამ უკანასკნელს პართენოკარპიული მარცვლიანობა არ ახასიათებს, ყურძენი უფრო მუქი ფერისა აქვს და მარცვალზე უხედაა შეფენილი ფიფქით.

ბუტაკო (ბუტაკოი).

ბუტაკოს ვახები გვხვდება აჭარაში (ქედის რაიონი), მალღარის სახით და ვახი საშუალო ღონის ზრდა-განვითარებას აღწევს.

ზრდამოთავებული ფოთოლი საშუალო სიდიდის, მომრგვალო მოყვანილობისა და ძლიერ მკირედ არის დანაკეთილი. ფოთლის ყუნწის ამონაკვეთი ღიაა,

მომრგვალო მოყვანილობისა და თანასწორგვერდებანია. ფოთლის ფირფიტის პერიფერია დაკბილულია სამკუთხედისებურად; ნაკვეთის ბოლო კბილაკი ხშირად გვერდება მოხნეილი და მახვილწვერიანია. ფოთლის ფირფიტის ზედაპირი ბრტყელი და გლუვია, ქვედა მხარე კი საკმაოდ შებუმბულულია. ფოთლის ყუნწი ოდნავ შებუმბულულია, ფერად ღვინის ფერისაა და ფუძესთან იისფრად გადადის. ფოთლის ყუნწის შეფარდება მთავარ ძარღვთან 0,7—0,8-ს ფარგლებში მერყეობს.

მტევანი მოყვანილობით ცილინდრ-კონუსისებური, ან ცილინდრულია; აგებულია საშუალო სიკუმსის ან თხელია. მტევნის ყუნწი ბალახმაგვარი, მწვანე ფერისაა, სიგრძით 3—4,5 სან. ფარგლებში მერყეობს.

მარცვალი საშუალო სიმსხოსი, მომრგვალო მოყვანილობისა, შავი ფერისაა, ნაკლებად შეფენილია ფიფქით. მარცვლის კანი შედარებით თხელია, ხორცი მეტად წვნიანია. მარცვალი მჭიდროდაა მიმაგრებული ღერუკასთან. მარცვალი შეიცავს 2 წიპწას.


ყურძენი მწიფდება ოქტომბრის მიწურულში. დამწიფებული ყურძენი სასიამოვნო ტკბილი გემოსია.

ბუტკოს მტევნის და ქიმიური ანალიზის მონაცემები:

სიშუალო მტევნის წონა	92 გრამი.
" " სიგრძე	13 სანტ.
" " სიგანე	6 სანტ.
100 მარცვლის წონა	170,1 გრ.
ერთი მტევნის კლერტის წონა	2,5 გრ. (მშრალი)
მარცვლის რაოდენობა საშუალო მტევანში	50—60 ცალი
საშუალო მარცვლის სიგრძე	14,58 მმ.
საშუალო მარცვლის სიგანე	14,35 მმ.
100 მარცვლის კანის წონა	6,2 გრ. (მშრალი)
100 მარცვალში წიპწის რაოდენობა	268 ცალი
100 მარცვლის წიპწის წონა	7,70 გრ.
წიპწის სიგრძე	5,5—6 მმ.
" სიგანე	3,5—4 მმ.
შაქარი	18%
ტიტრირებული საერთო შუავიანობა	11,2 ⁰ / ₁₀₀

ბუტკო მეტად უხვ-მოსავლიანი ჯიშია და მიუხედავად პრიმიტიული მოვლისა (ქედის რაიონი, სოფ ვაიო) და დაუმყნობლობისა, მაღალ ხეებზე შეშვებული ყოველწლიური უხვი მოსავლიანობით ხასიათდება. ნაცრისგან საგრძობლად ზიანდება. ყურძენი ზამთრობით ვერ ინახება, მორეულ ტრანსპორტსაც ვერ იტანს.

ბუტკო უხვ-გამოსავლიან ჯიშად ითვლება, ადგილობრივი მოსახლეობა (სოფ. ვაიო და სხ.) ამ ჯიშის წვეწვს ფართოდ იყენებს ბექმეხის (ცეცხლზე შესქელებული ტკბილი) დასამზადებლად, რომელსაც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ხმარობენ. ამ ჯიშისგან შესაძლებელი უნდა იყოს მასობრივი ხასიათის, იაფფასიან, წითელი ღვინის დაყენება.



მტრედის ფეხა



სამარხი (თეთრი)

ს ა მ ა რ ხ ი

სამარხი თეთრყურძნიანი ვაზის ჯიშია. ამ ჯიშის ვაზები მხოლოდ ორიოდ დირილა მოიპოვება მაღლარის სახით აჭარასა და გურიაში; ეს გადარჩენილი ვაზებიც იმდენად დაკნინებულია რომ მათ მოსავლიანობაზე და პროდუქტის ხარისხზე ძნელია საბოლოო დასკვნის გამოტანა.

სამარხის ფოთოლი მოყვანილობით მომრგვალო-განიერია, ნაკლებად დანაკვეთილია, ფოთლის ყუნწის ამონაკვეთი ღია, თალისებრი მოხაზულობისაა. ფოთლის ფირფიტის ქვედა მხარე საკმაოდ შებუსულია მონაცრისფერო ბუსუსით.

მტევანი საშუალო სიდიდის, ან მომცროა, მოყვანილობით კონუსისებური, ან ცილინდრო-კონუსისებურია, აგებულებით საკმაოდ კუმსია. მტევნის ყუნწი საკმაოდ გრძელი, მოყვითალო ფერისაა. კუფხლები თანაბარი სიგრძისა აქვს.

მარცვალი საშუალოზე მომცროა, ელიფსოიდური მოყვანილობის, ბოლო ოდნავ წაგრძელებული აქვს. მარცვლის კანი საკმაოდ მაგარია და სრული სიმწიფის დროს მომუქო ქარვის ფერისაა. ხორცი საკმაოდ მკვრივი აქვს.

ნიმუშის სიმცირის გამო, ანალიზის გაკეთება ვერ შეესძელით, ზოგადი ნიშნებით კი სამარხის სუფრის ყურძნის ჯგუფს ეკუთვნის და, როგორც გადმოგვცემენ, ფრიად კარგი შენახვის უნარიანობით ხასიათდება. ჭრაქისადმი სუსტი გამძლეობით უნდა აიხსნას სამარხის ვაზების ასე შემცირება, მხოლოდ გადარჩენილ ვაზების კი დაკნინება.

სამარხის ყურძნის კარგი შენახვის უნარიანობა მეტად საყურადღებოა და ამ მხრივ მნიშვნელოვანია.

მან. რხეულომვილოა:

მასალოები
ქართულნი
ცხვრონი
მესწავლისათვის



არსებულ ლიტერატურაში ქართული ცხვარი ყოველმხრივ არსად არ არის განხილული, მათ შესახებ ცალკეული ცნობები არსებობს და ისიც მხოლოდ პრაქტიკული თვალსაზრისით საინტერესო თვისებებზე (მატყლის თვისებები, ცოცხალი წონა და სხვა). ეს მცირე ლიტერატურული ცნობებიც მხოლოდ თუშურ ცხვარს შეეხება, ე. წ. „იმერული“ ცხვრის შესახებ-კი თითქმის არაფერია ცნობილი. ამავე დროს, არსებული ცნობები თითქმის მთლიანად ქალანთარიდგან (Калантар, 3) მომდინარეობს. სხვადასხვა ავტორის მიერ ცალკეულ ინდივიდთა შესახებ მოყვანილ ცნობებს-კი ხშირად ისეთი დიდი სხვადასხვაობა შეაქვს, რომ ქართულ ცხვარზე სწორე წარმოდგენა შეუძლებელი ხდება.

მაგალითად, პროფ. კულეშოვი (Кулешов, 52,53) თავის ორ ცნობილ თხზულებაში თუშურ ცხვარს შემდეგვარად ახასიათებს:

1922 წ. „Грубшерстное овцеводство“	1925 წ. „Опцеводство“
ცოცხალი წონა --- ტტ მ ფუთი.	ცოცხალი წონა ტტ — 50—70 გირვანქა.
„ „ — ♂♂ 3½ ფ.	„ „ ♂♂ — 60—100 „
კუზიანი ცხვირი	ცხვირი უკუზო
ცხიმ-კუდი აღწევს დიდ სიღრმეს.	პატარა—ცხიმკუდი

თავისთავად ცხადია, რომ სამი წლის განმავლობაში თუშური ცხვრის აღწერილობის ასეთი დიდი სხვადასხვაობა მხოლოდ მის შესწავლელობასა მოწმობს. ასეთივე სხვადასხვაგვარი აღწერილობა არის სხვა ავტორთა მიერ მოყვანილ ცნობებშიც (ამის შესახებ იხილეთ 29).

ქართული ცხვრების ჯიშური¹ თვისებების მიხედვით შესწავლელობის გამო, XI—XIII ს-ბის ეკონომიური ვითარების გარკვევის მიზნით „რუსთაველი-სა და მისი ეპოქის მუზეუმმა“ ქართული ცხვრის ჯიშების გამოკვლევაც გადასწყვიტა. რადგან თუშური ცხვარი ჯერ კიდევ 1931 წ. მქონდა შესწავლილი, ამიტომ ჯიშისათვის დამახასიათებელი ნიშანთვისებები ამაზე მაქვს დამყარებული, „იმერული“ ცხვარი-კი 1936 წ. შოთა რუსთაველის მთავარი საიუბილეო გამოფენის ყოფაცხოვრებისა და ეკონომიკის სექტორის დავალებით იყო შესწავლილი.

რაკი თავდაპირველად დაწერილი ტექსტი დიდი გამოვიდა, ამიტომ ნაშრომებისათვის განსაზღვრულმა ზომამ მისი ნახევარზე მეტად შემცირება აუცილებელია.

¹ ხოლოლოგიური მცნებით.

ბელი გახადა რის გამოც ზოგი, უმთავრესად პრაქტიკული თვალსაზრისით სა-
ყურადღებო, საკითხის გამოტოვება მომიხდა.¹

ქართული ცხვრის სხვა ჯიშებთან შედარებისათვის ჯიშური თვისებების
თვალსაზრისით საინტერესო ყველა საჭირო გამოკვლევა ჩვენს წიგნთსაცავებში
ვერ ვიშოვე, ამიტომ ზოგიერთ ცნობის მოყვანა მეორე წყაროთა შემწეობით
მომიხდა, ხოლო ზოგი მათგანის ამნაირად გამოყენებაც სრულებით ვერ შეესძელი.
აღსანიშნავია აგრეთვე, რომ პრაქტიკული თვალსაზრისით საყურადღებოდ განხი-
ლული ა/კ-ის ცხვრის ჯიშები, ჯეროვანად არ არიან განხილულნი ისეთ ნი-
შანთვისებების მხრივ რომელთაც წარმოშობის საკითხისათვის ეგზომ დიდი
შნიშვნელობა აქვთ (რქები, „ღუმე“ და სხვა), სამწუხაროდ კავკასიის დანარჩენ
ჯიშთა შესახებ არსებული ისედაც მცირე ცნობები-კი მთლიანად ხელთ არ
გვქონდა. ამიტომ ქართული ცხვრის დანარჩენ უხეშმატყლიან ცხვრებთან შე-
დარებას ერთგვარი ნაკლი აქვს.

ქართული ცხვრის წარმოშობის საკითხის ჯეროვანად გადაწყვეტა, უპირ-
ველეს ყოვლისა დაკავშირებულია თვით ქართველი ერის უძველეს ისტორიასთან
რომელიც ჯერ-ჯერობით კიდევ ბურუსით არის მოცული. ამას გარდა, რო-
მელიმე ცხოველის გენეზისის საკითხი წმინდა ზოოტექნიკურ-ბიოლოგიურ კვლე-
ვებს გარდა, ერის ნივთიერ კულტურის შესწავლას, ცხოველებთან დაკავშირე-
ბულ ლინგვისტიკურ შედარებებსა და სხვა მრავალს უნდა ეყრდნობოდეს; რაც
აგრეთვე ყოველმხრივ ჯერ-ჯერობით კიდევ გამოუკვლეველია. ამ საკითხის
კვლევა ქართველების გარდა, მასთან კავშირში მყოფ ხალხთა გადასახლებას,
შინაურ ცხოველთა რაგვარობას და ისტორიულ ძეგლთა და საბუთთა ურთი-
ერთ შორის შედარებას მოითხოვს, რაც თავისთავად, როგორც ახალ, ისევე ძველ
ენათა და ძველ ხალხთა ისტორიის საფუძვლიან ცოდნასთან არის დაკავშირე-
ბული. ამიტომ, თავისთავად ცხადია, რომ შინაურ ცხოველთა გენეზისის საკით-
ხები, ზოოტექნიკოსის საკვლევ საგნად მხოლოდ ყველა მისთვის საჭირო ზემო-
დასახელებულ დისციპლინის შესწავლის შემდეგ შეიძლება გახდეს.

რადგან ყველა ამ საკითხის გარჩევა ჩემთვის მიუწევდომელი იყო ამიტომ,
მის დაწვრილებით შესწავლის და ისტორიულ საბუთთა ძებნის ცდაც-კი არ
მქონია განზრახული. ქვემომოყვანილი ზოგიერთი საკითხი ქართული ცხვრის
წარმოშობის შესახებ იმდენად იქნება აქ გაშუქებული, რამდენადაც ჩემთვის
მისაწვდომ ლიტერატურულ წყაროებსა და შედარებულ ცხვართა შესწავლის
შედეგებს შორის კავშირი იყო ნაპოვნი.

1931 წ. ექსპედიციაში ჩემს გარდა, ზოოტექნიკოსები ი. პოპია შვილი,
მარიამ ნიჟარაძე-რჩეული შვილისა და თამარ დოლონაძე
იღებდნენ მონაწილეობას. 1936 წ-ს კი ექსპედიციაში ჩემს გარდა, აგრონომ-
ზოოტექნიკოსები გიორგი ბახსოლიანი, ნიკოლოზ მელითაური და
ალექსანდრე კვალია შვილი იღებდნენ მონაწილეობას. ყველა ზემოჩა-
მოთვლილ პირს მასალის შეგროვებაში მონაწილეობისათვის დიდ მადლობას

¹ პრაქტიკული, ბონიტურთან დაკავშირებული საკითხები და ქართული ცხვრების გა-
უმჯობესების ვზები, სხვა წერილშია განხილული.

ვუძღვნი, განსაკუთრებით-კი უკანასკნელს, რომელსაც ექსპედიციაში მონაწილეობის მიღება მეტად მძიმე პირობებში მოუხდა.

I. საქართველოს ცხვრის ჯიშები

თუშური ცხვარი. საქართველოს ტერიტორიაზე დღეს თუშური ცხვარი გავრცელებულია: ფშავში, თუშეთში, შიგნითსა და გარე-კახეთში, ქიზიყში (ლაგოდეხის რაიონის ჩათვლით), ქართლში, სამხრეთ ოსეთის ავტ. ოლქში, ჯავახეთში, სამცხეში, ბორჩალოში, ბაშკირეთის რაიონში, ხევში, მთიულეთში და სხვაგანაც, აგრეთვე მცირე რაოდენობით მოიპოვება იგი დასავლეთ საქართველოს ზოგიერთ რაიონშიც.

საქართველოს გარდა თუშური ცხვარი ძალიან მოსწონდათ აგრეთვე მთელს კავკასიაშიც ისე, რომ მისი გავრცელების ფარგლები შეურეველ ფორმაში, ან ნარევი სახით საქართველოს ტერიტორიის ფარგლებს ბევრად სცილდება, ასე, მაგალითად: ნაწილობრივ შეურეველ და უმთავრესად-კი ადგილობრივ ცხვრებთან ჰიბრიდების სახით, იგი საკმაოდ ბევრია ქისტეთში, დიდოეთში და დაღისტნის სხვა ადგილებში. ადერბაიჯანში თუშური ცხვარი ერთეულების ან მთელი ფარგების სახით, პროფ. კალუგინის (Калугин, 2) გამოკვლევით, ზაქათალისა და ყაზახის ოლქში გვხვდება. მისი განცხადებით, დასახელებულ ადგილებში მცხოვრები შეცხვარეები, ლეკური ცხვრის მატყლის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, დიდი ხანია მისი თუშური ცხვრით ჰიბრიდიზაციას მიმართავენ, რის შედეგადაც წარმოიშოა ჯიში „ერიკი“.

ქალანთარის (Калантар, 3) ცნობით თუშური ცხვარი ყარსშიაც ყოფილა გავრცელებული. მეტად მოსწონდათ თუშური ცხვარი სომხეთშიაც. ასე, მაგალითად, პროფესორ თამაშვეის (Тамашев, 4) გამოკვლევით, ე. წ. ალბაბის ერიკი იმავე თუშურ ცხვარს წარმოადგენს, რომელიც, უკეთესი კვების პირობების გამო, უფრო დიდი ტანისა არის, ვიდრე თუშური (სიმ. მინდოში 61,57 სმ ნაცვლად 58,54 სმ.)¹

აგბ. ერიკისა და თუშური ცხვრის ჰიბრიდიზაციით მახეხთან წარმოშობილია ცხვარი „ქიასმა“, რომელიც საქართველოში ახალქალაქისა და ბოგდანოვკის რაიონებში და აგრეთვე სომხეთში ლენინაკანის ყოფილ ოლქშია გავრცელებული. საქართველოს სომხეთთან და ადერბაიჯანთან მოსაზღვრე რაიონებში გავრცელებულია ცხვარი „დონმა“, რომელიც თუშ-ბოზახის ჰიბრიდს წარმოადგენს.

უახლოეს ხანაში თუშური ცხვრის ცვლილებები შემდეგგვარად შეიძლება წარმოვიდგინოთ: უცხო ჯიშის ვერძის და მეტადრე მჭლე და გრძელ-კუდიანი ვერძის შერევას თუშურ ცხვარში, თუ მაჟალუაშვილს და ზოგიერთ მოხევე-გუდამაყრელებს არ მივიღებთ მხედველობაში, არც ერთი მეურნე არ აწარმოებდა. სამაგიეროდ წვრილ მეურნეთა უმრავლესობა თუშურ ცხვარში კავკა-

¹ კალუგინით თუშური ცხვრის მინდოში სიმაღლე ადერბაიჯანში 61,91 სმ უდრის, ე. ი. იქაც იგი საქართველოს თუშურ ცხვარზედ დიდია.

სიის ჯიშების შერევას აწარმოებდა. რასაკვირველია, ამგვარ, ხშირად სრულიად უსისტემო, ჰიბრიდიზაციის (მეტიზაციის) შედეგად, თუშური ცხვრის პოპულაცია, მთლიანად არის სხვადასხვა დროის ჰიბრიდული წარმოშობის ცხვრებით აჭრელებული. კავკასიის ცხვრის ჯიშთა შერევის მთავარი მიზანი ფერადი მატყლის (უმთავრესად ყავისფერი და შავი) მიღება იყო, რისთვისაც ქართველი მეცხვარეები უფრო ლეკურა (დალისტნის ჯიშები) და ყარაჩაული ჯიშის შავი ფერის ვერძს ურევდნენ, ჩვეულებრივად თითო ფარაში თითოს. მეორე მხრით ჰიბრიდიზაცია წარმოებდა ა/კ. ცხვრების ისეთ ჯიშებთანაც, რომელთაც კარგ წველადობასთან, „დუმის“ სასურველ ფორმასთან და დიდ ტანთან ერთად (მდარე ხორცის ხარისხით) თუშურ ცხვართან შედარებით მდარე მატყლი აქვთ. ასეთ ჯიშებს უმთავრესად ყარაბალი, ბოზახი, მაზეხი, ნაწილობრივ ბალბასი და სხვები ეკუთვნიან.

მაგრამ ასეთ ჰიბრიდიზაციის მთავარი მიზეზი მხოლოდ წინასწარ გაანგარიშებული მოგება-კი არ იყო: ქართველებსა და მის მეზობელ მოსახლეობას შორის მუდმივი ბრძოლა იყო. ასე, მაგალითად, ქართლის ცხოვრებაში (107-108) ნათქვამი არის, რომ ლევან მეფეს (1620-1574) „სამეფოს არ უსვენებდა შაქის (ნუხის) მმართველი ასანბეგ. ლევანი მიუხტა, დაამარცხა, მოჰკლა იგი, დაამშვიდა ქვეყანა და დიდის ნაშოვრით დაბრუნდა სატახტო ქალაქ გრემს“-ო (6, გვ. 149).

ცხადია, რომ ლევან მეფე დანარჩენ „ნაშოვართან“ ერთად ნუხში გავრცელებულ ცხვარსაც ჩამოიყვანდა¹. ასეთ არა-პირდაპირ ცნობებს გარდა, მრავალი პირდაპირი ცნობაც არსებობს, ასე, მაგ. „1750 წ. მეფე ერეკლე II-მ განჯის ხანი შავერდი დაამარცხა, რის შემდეგაც მან ერეკლე მეორეს საჩუქრად 200,000 სული ცხვარი მიართვა, რომელთაც გამარჯვებულები 10 კაპ. ჰყიდიდნენ“ო (საქ. ისტორია გვ. 445²) და სხვა. 1918 წ. სომხეთის მეცხვარეები თურქების შემოსევამ აიძულა, სომხეთიდან თავიანთი ოჯახებით და ცხვრებით საქართველოში (თუქურმიშა, შირაქის ველი, გარე კახეთი, ბორჩალო და სხვა ადგილები) შემოხიზნულიყვნენ. როგორც ადგილობრივი მოსახლეობა გადმოგვცემს, ამ დროს „ისინი ისეთ დიდ გაჭირვებაში იყვნენ, რომ თითოეულ ცხვარს ხშირად ერთ-ორ შოთ პურად ჰყიდიდნენ“ო³. აგრეთვე ჰიბრიდიზაციას ხელს უწყობდა რევოლუციამდე და რევოლუციის პირველ პერიოდში ადერბაიჯანისა და საქართველოს მეცხვარეებს შორის, ისევე, როგორც თუშებსა, დიდოელებსა და ქისტებს შორისი მეტად გავრცელებული ცხვრის ტაციობა.

ბევრ მეცხვარეს დღესაც კარგად ახსოვს, როდესაც მას მეზობელ რესპუბლიკის მცხოვრებთა წყალობით თავისი ცხვრის ფარა დაუკარგავს. ქართველი მეცხვარეები-კი სამაგიეროდ ცხვარს მეზობელ რესპუბლიკიდგან იტაცებდნენ და, როგორც ზოგიერთები გადმოგვცემენ, ასეთ „მეჯიბრებაში“ ქიზიყელები

¹ იმ დროს რა ჯიშის ცხვარი იყო ნუხში, ჯერ ჩვენთვის ცნობილი არ არის, მაგრამ დღეს კი იქ ლეკური არის გავრცელებული. იხ. კალუგინი (2).

² მოსე ჯანაშვილი (5).

³ სომხეთიდან უმთავრესად მაზეხი და ნაწილობრივ ყარაბალი, ბოზახი და ბალბასი ყოფილა შემოყვანილი.

თურმე იმდენად დახელოვდნენ, რომ არამც თუ სამაგიეროს გადაუხდიდნენ ხოლმე, არამედ ადერბაიჯანელებს ცხვრის უფრო მეტი რაოდენობაც-კი გადმოჰყავდათ, ვიდრე ადერბაიჯანელებს — საქართველოდან.

ცხადია, რომ ასეთი დიდი რაოდენობით ყარაბაღული, მაზნეხი, ლეკური და კავკასიის სხვა ჯიშების შემოყვანა, მათთან ჰიბრიდიზაციის ტენდენციაც რომ არ ყოფილიყო, ამას ძალაუვნებურად გამოიწვევდა, რადგან შემოსული ცხვარი მთლიანად საკლავად ვერ გავიდოდა.

ასეთ ჰიბრიდიზაციას ბოლო დროს უმეტესად წვრილი მეურნეები მისდევდნენ, რადგან უპირველეს ყოვლისა ისინი ჯერ ცხვრის რაოდენობრივ მოშენებაზე უფრო ფიქრობდნენ, ვიდრე ხარისხობრივზე. ამას გარდა, ქართველი მეცხვარეები (როგორც სხვილი, ისევე წვრილი) ცხვრის ყველიდან დიდ მოგებას ხედავდნენ, ამიტომ ყოველი მათგანი მერძეული ცხვრის ყოლასაც ცდილობდა. რადგან, როგორც ცნობილია, ადერბაიჯანისა და სომხეთის ცხვრები უფრო უკეთესი მეწველნი არიან, ვიდრე თუშური, ამიტომ მათი შემოყვანა მეცხვარეთა ერთ ნაწილს მეტად ახარებდა.

ყოველივე ზემოჩამოთვლილი მიზეზის გამო, ამ ბოლო დროს თუშურ ცხვარში ისეთი სრულიად შეუწყნარებელი ჰიბრიდიზაცია ტარდებოდა, რომ, ხორცის ხარისხის დაქვეითებასთან ერთად, მატყლის ხარისხსაც სრულიად მდარედ ხდიდა. ასეთი სურათი გვაქვს თუშური ცხვრის შესახებ თუშეთში, ფშავეში, ქიზიყში და გარეთ და შიგნით კახეთში.

სრულიად სხვა მოვლენებთანა გვაქვს საქმე მატყლის თვისებების მხრით, თუ ჩვენ ახალგორის რაიონის ცხვრებს გადავხედავთ. აღნიშნულ რაიონში ბინადარი თუშური ცხვრის მატყლი დასახელებულ ცხვრის ჯიშისთვის დღეს-დღეობით საუკეთესო ხარისხისად ითვლება. ამის მიზეზი ჩვენთვის პირველად გაუგებარი იყო, მაგრამ, როდესაც დავრწმუნდით, რომ ამ ხეობაში არამც თუ ვახუშტის (6) დროს, არამედ ბევრად მასზედ გვიანაც-კი „იმერული“ ცხვარი ყოველგვარი მატყლი (ამის შესახებ იხილეთ ქვევით), ის ჩვენთვის სრულიად გასაგები გახდა. საქმე ის არის, რომ „იმერულ“ ცხვარს უფრო ნაზი და გათანაბრებული მატყლი აქვს, ვიდრე თუშურს. თუშური ცხვარი-კი ქართლში უფრო შეურეველი სახით იქნებოდა, ვიდრე ქიზიყში და სხვა რაიონებში, რადგან ყარაბაღთან, მაზნეხთან და სხვა მდარე-მატყლიან ცხვრებთან კახეთის მაგვარად თანდათანობით გახშირებული ჰიბრიდიზაციის შესაძლებლობა მას ქართლის ამ ნაწილში უფრო ნაკლები ჰქონდა. თუშური ცხვრის მატყლის მდარე თვისებები-კი სწორედ მასში ამ ჯიშთა შერევით არის გამოწვეული. ამნაირად, შედარებით ნაზ-მატყლიანი „იმერული“ ცხვარის შედარებითვე ნაზმატყლიან თუშურთან შეჯვარებით ამ ხეობაში უფრო უკეთესი ხარისხის მატყლის მქონე ცხვრები არის წარმოშობილი, ვიდრე სხვა რაიონებში. ამ ხეობის ცხვრების ჰიბრიდიზაცია ყარაჩაულ¹ ცხვრებთან მატყლის ისეთ სიმდარეს ვერ წარმოშობდა, როგორც ეს სხვა რაიონის ცხვრებისთვის ყარაბაღისა და მაზნეხის ჰიბრიდიზაციით არის

¹ ქალანთარის (3) ცნობით დუშეთისა და გორის ყ. ოლქის მთიან ნაწილებში ყარაჩაული ყოფილა გავრცელებული.

მიღებულ. ამნაირად, ახალგორში და საერთოდ ქსნის ხეობაში. დღეს შედარებით ნაზ-მატყლიანი და პატარა ტანის თუშური ცხვრებია გავრცელებული. ასეთივე მდგომარეობა არის მდიუღეთსა, ხევსა და გულდამაყრელების ცხვრებისათვის, რადგან აქაც ე. წ. „იმერული“ ცხვარი უფრო გვიან გადაჯიშებულა „თუშურ“ ცხვრად, ვიდრე საქართველოს სხვა კუთხეების ცხვრები. აქაური ცხვარი ზაფხულობით ყაზბეგის მთებში ბინადრობს და ზამთრობით ჩრდილოეთ კავკასიის მინდვრებზე. ამიტომ, ამ ცხვრის უცხო ჯიშთან ჰიბრიდიზაცია თუ ხდებოდა, ისევე ჩრდილოკავკასიის ცხვრებთან უნდა მომხდარიყო, რომელთაც ბევრად უკეთესი მატყლი აქვთ, ვიდრე ყარაბაღულს, მაზნეს, ბოზახს და ამიერ-კავკასიის სხვა ცხვრების უმრავლესობას.

კარგ შედეგებს თავიანთი ცხვრების გაუმჯობესების მხრით ბორჩალოს მაზრის მეცხვარეებმა მიაღწიეს, ხოლო აქ ადგილობრივ ნერძების დასაგრილებლად სხვა ქართველ მეცხვარეთა საწინააღმდეგოდ თუშური ვერძი შეჰყვანდათ.

ძველად ბორჩალოს მაზრაში ბოზახი ყოფილა გავრცელებული, შემდეგ-კი, მატყლის თვისებების გასაუმჯობესებლად; მათ თუშური ვერძი შეიყვანეს, რითაც თავიანთი ცხვარი სრულიად გადააჯიშეს. აღნიშნულ რაიონში დღეს ვხვდებით ცხვარს, რომელიც თუშური ცხვირიდან დიდი ტანითა და უკეთესი მერძეულობით განსხვავდება, მაშინ როდესაც გარეგნულით იგი მთლიანად თუშურს მიემგზავსება და მატყლის თვისებებითაც მისგან მცირედ განსხვავდება.¹

ამნაირად, ბორჩალოს რაიონში, სხვა რაიონებთან შედარებით, უფრო დიდი ტანის ცხვარი არსებობს, რის მიზეზიც არა მარტო ბოზახის მიერ სიდიდის მემკვიდრულ ფაქტორთა გადაცემა არის, არამედ აქ შესამჩნევ როლს საუკეთესო საზამთრო და საზაფხულო საძოვრებიც ასრულებს, რის წყალობითაც ბატკანი, როგორც ემბრიონულ, ისევე. პოსტემბრიონულ პერიოდში, კარგად ვითარდება.

დიდი ტანის, მაგრამ ფერადობით აჭრელებულ და ცუდი მატყლის ხარისხის ცხვარს ჯავახეთში ვხვდებით, სადაც ადგილობრივმა მეცხვარეებმა, ალბათ, მატყლის თვისებების გასაუმჯობესებლად ადგილობრივ გავრცელებული ცხვრების (მაზნის) თუშური ვერძით დამაკების ხერხს მიმართეს. როგორც ჩანს, ამ ცხვართა შორის ჰიბრიდიზაცია აქ უფრო ახალი დროის შედეგი უნდა იყოს, რადგან აქაური ცხვარი მეტად აჭრელებულია, როგორც ფერადობის, ისევე ტიპების მხრივ. აქ ერთსადაიმთხვე სოფელში ვხვდებით ცხვრებს, რომელთაგანაც ზოგი მაზნეს მიემსგავსება, ზოგი-კი თუშურს, ხოლო მათ შორის მთელი რიგი გარდამავალი საფეხურების მქონე ტიპებიც არსებობს. ამ ჰიბრიდებს მოსახლეობა „ჭიასმას“ უწოდებს.

თავისთავად ცხადია, რომ ზემოთ ლაპარაკი იყო საზოგადოდ საქართველოს ცალკეულ კუთხეებში გავრცელებულ ცხვრებზე. ხოლო, რაც ცალკეულ მეურნეებს შეეხება, უნდა ითქვას, რომ ამ მხრივ თუშ-ფშავ-თიანელებში უფრო მეტი მეურ-

¹ საკავშირო სასტანდარტო კომისიის გამოკვლევით „დონმას“ (თუშურ-ბოზახის ჰიბრიდი) უფრო ნაზი მატყლი აღმოაჩინდა, ვიდრე თუშურს, რაც საქართველოს ყოფილი ზოტქნიკურ საცდელ სადგურის მიერ უარყოფილი იყო. აღნიშნულმა სადგურმა თუმცა თუშური ცხვრის მატყლის შედარებითი სინაზე აღნიშნა, მაგრამ მკვეთრი განსხვავება მათ შორის ვერ ჰპოვა.

ნენი მოიძებნებოდნენ, რომელთაც საუკეთესო ხარისხის შეურეველი თუშური ცხვარი ჰყავდათ, ვიდრე სხვაგან.

ყველა სხვილი მეურნე, ბოლოხანებში მაინც, თუშურ ცხვარს „თავისში“ აშენებდა და რადგან საქართველოს საძოვართა სიმცირე მათ გარკვეულ რაოდენობა ცხვარის ყოლაზე მეტის საშუალებას არ აძლევდა, ამიტომ, ცხვრის განსაზღვრულ რაოდენობამდე გაზრდის შემდეგ, ისინი უკვე მის ხარისხობრივ გაუმჯობესებას ცდილობდნენ; ამ მეურნეთა ერთი ნაწილი-კი თავიდანვე დანარჩენ სხვილ მეურნეებზედ მცირე, მაგრამ ხარისხობრივად უკეთეს ცხვარს აშენებდნენ.

მაქალაქაშვილისე¹ ცნობით მან თავის ფარაში 35-40 წლის წინათ ერთი მერინოსის ვერძი გაურია, საიდანაც იგი საჯიშედ მერინოსის მონაშენ ვერძებსა სტოვებდა. მაქალაქაშვილის ცხვრის მატყლის ხარისხი, თუ არა სჯობდა ახალგორის ცხვრის მატყლს, ყოველ შემთხვევაში პირველ ადგილს არ უთმობდა.

„იმერული“ ცხვარი. „იმერული“ ცხვარი დღეს მხოლოდ დასავლეთ საქართველოშია გავრცელებული. თავის გავრცელების სივრცეზედ, — რამდენადაც-კი ამის გამოკვლევა შეგროვილ ცნობათა საშუალებით შესაძლებელი იყო, — მისი ჰიბრიდიზაცია სხვა ჯიშებთან უქანასკნელ დროს დაწყებულა. გავრცელების სივრცის აღნიშვნის დროს, სამწუხაროდ, რაიონების მიხედვით მის ჯიშურ სიწმინდეზედ მსჯელობა ყოველთვის დანამდვილებით არ შეგვიძლიან, რადგან ექსპედიციის მიერ ყველა რაიონი გამოკვლეული არ ყოფილა და სათანადო ლიტერატურაში-კი ამის შესახები ცნობები არ მოიპოვება.

როგორც ვახუშტის (6) გეოგრაფიიდანა ჩანს, „იმერული“ ცხვარი XVIII საუკუნის დასაწყისში მთელს დასავლეთ საქართველოში ყოფილა გავრცელებული, აღმოსავლეთ საქართველოში-კი იგი ქართლის ნაწილში, ხევსა და მთიულეთში მოიპოვებოდა. ქალანთარის (1912 წ.) ცნობით, „იმერული“ ცხვრის გავრცელების არე დასავლეთ საქართველოს შემდეგი მხარეებით შემოიქარგლებოდა: ყოფ. ქუთაისის გუბერნიის უდიდესი ნაწილი, ყოფ. ბათუმის ოლქის ზოგიერთი ნაწილი და ყოფილი შავი ზღვის გუბერნია. აღმოსავლეთ საქართველოდან ის, ქალანთარის დროს, მხოლოდ გორის ყ. მაზრაში ყოფილა გავრცელებული. „იმერული“ ცხვრის ზემო ქართლში ამ 20-25 წლის წინათ არსებობას ქართლის მცხოვრებნიც ადასტურებენ.

1936 წ. ჭიათურის რაიონის არც ერთ, ჩვენ მიერ შესწავლილს, თემში უცხო ჯიშის ვერძი არ შეგვხვედრია (მხოლოდ ქვაციხის ერთი მცხოვრების განცხადებით, ერთი თუშური ვერძის შეყვანა უცდიათ იქ ერთხელ, მაგრამ უშედეგოდ) და მთი არსებობა არც მოსახლეობაში შეგროვილ ცნობების მიხედვით ჩანს.² გარეგნულითაც ჭიათურის ცხვარი, ექსპედიციის მიერ გამოკვლეულ დანარჩენ რაიონთა ცხვრებიდან განსხვავდება. მისივე მსგავსი ცხვრები არსებობს ტყიბულის რაიონის ერთ ნაწილში. ამნაირად, შეგროვილ

¹ თბილისის რაიონი.

² ზოტეჟნიკოს ივ. გოგსაძის პირადი განცხადებით, თუშური და ყარაჩაული ჯიშის ვერძები ჭიათურის რაიონში ქართლის მოსახლურე სოფლებში: ჩონთოში, ხვანში და ჯალაურთაში მოიპოვება.

ცნობების მიხედვით, დღეს ყველაზედ შეურეველი ტიპის „იმერული“ ცხვარი ქუთაისის რაიონში არის გავრცელებული. შედარებით შეურეველი სახით ის ქუთაისის რაიონის დაშორებულ სოფლებში უნდა იყოს გავრცელებული. შეურეველი სახით იმყოფება ის ჯერ კიდევ სამეგრელოს ზოგიერთ სოფელში. ცენტრიდან დაშორებულ ცალკეულ სოფლებში ხომ ის, შეურეველი სახით, დასავლეთ საქართველოს თითქმის ყველა რაიონში მოიპოვება.

ზესტაფონის, ჩხარის, ქუთაისის, ვანის, ბაღდადის, ხონის, სამტრედიის რაიონებისა და სამეგრელოს, სვანეთისა და რაჭის ცხვრებს, თუშური, ყარაჩაული, „ოსური“ და „აჭარული“ (მაზეხი) ცხვრების გავლენა ემჩნევა. რომელ რაიონში რომელი ჯიშის ცხვრის ჰიბრიდიზაციის გავლენა უფრო დიდია, სამწუხაროდ, ამის ყველა რაიონისათვის გამორკვევა ძნელია, რადგან დაწვრილებითი შესწავლა ყველგან არ გვიწარმოებია.

ზესტაფონისა, ჩხარისა, ბაღდადისა და ზოგიერთი სხვა რაიონის ცხვრები აშკარად თუშური ცხვრით არიან ჰიბრიდიზებულნი, ხოლო ნაწილობრივ მათ „აჭარული“ (მაზეხი) ცხვრის გავლენა უნდა ეტყობოდეს.¹

ზემო სვანეთის ცხვრებს ყარაჩაული ცხვრის გავლენა ემჩნევათ, ხოლო რაჭისას—„ოსური“-ს. სამეგრელოს ცხვრებზედ ჟმთავრესად აჭარულ ცხვრების გავლენა უნდა იყოს, ქუთაისის რაიონში-კი უმეტესად ყოველგვარი ჰიბრიდული წარმოშობის ცხვრები გვხვდება. აღნიშნული გარემოება იმით არის გამოწვეული, რომ თვით ქუთაისი დასავლეთ საქართველოს სავაჭრო ცენტრია.

როგორც ადგილობრივ მოსახლეთა ცნობით ირკვევა, „იმერულ“ ცხვარში ჰიბრიდიზაცია სულ ახალი დროის მოვლენა არის.

ადგილობრივი მოსახლეობა „იმერულ“ ცხვარს შეურეველი სახით იმ მოსახრებით ინახავდა, რომ უპირველეს ყოვლისა ის ხშირად, წელიწადში ორჯერ, დოლიანდება და თვითეულ დადოლებზედ 1—2, ან 3 ბატკანს, ხოლო იშვიათად 4 ბატკანსაც-კი ივებს, რითაც ადგილობრივ მოსახლეს სწრაფად მბრუნავ შემოსავალს აძლევდა. ადგილობრივი მოსახლე, მართალია, თავის ცხვრის კანძის სიმცირეს უჩიოდა, მაგრამ მისი მატყლის ხარისხს მაინც მეტად აფასებდა, მისგან ის შინამრეწველურად საკმაოდ კარგი ხარისხის ე. წ. იმერულ შალს ამზადებდა. მათთვის უფრო უკეთესი ჯიშის ცხვრის შეძენა, შენახვა და მოვლა ხელმისაწვდომი არ იყო და უმრავლესობისთვის ამის გამოცდილებით დარწმუნებაც შეუძლებელიც იყო.

წინათ (6) თუშური ცხვარი იმერეთის მოსახლდრე ქართლის სოფლებშიაც კი არ იყო გავრცელებული, ისე, რომ მისი წაყვანა, შეძენა და თუნდაც შედარებით მეტი რენტაბელობის ნახვა, დასავლეთ საქართველოს მცხოვრებთა დიდი უმეტესობისათვის შეუძლებელი იყო. მთელს ქართლში თუშური ცხვრის გავრცელება, მათი ხარაგოულის რაიონის საძოვრებზედ და იმერეთის მოსახლდრე სხვა საძოვრებზედ გადამოსვლა, ისევე როგორც აჭარულ მეცხვარეთა მიერ

¹ აჭარული ცხვარი იქ ჩვენ არ გვინახავს. ამის შესახები ცნობები ადგილობრივ მოსახლეობაში შევაროვთ.

დასავლეთ საქართველოს დაბლობზე საზამთროდ თავიანთი ცხვრის (ქალანთარი თ აჭარაში მაზნეხი არის გავრცელებული) ჩამოყვანა ადგილობრივ ცხვრის ჰიბრიდიზაციის ტენდენციას იწვევდა.

როგორც ადგილობრივ მოსახლეთა განმარტებიდგან ირკვევა, თუშური ცხვრის შემოყვანის ცალკეული ცდები მათ რაიონში წინათაცა ყოფილა, მაგრამ ყოველგვარი ცდა უშედეგოდ დამთავრებულა. აღნიშნული გარემოების მიზეზად ისინი იმას სთვლიან, რომ უპირველეს ყოვლისა „თუშური ცხვარი ადგილობრივ მოვლისა და კვების პირობებს ზამთარში ვერ იტანდა“—ო და მეორეც, მათი აზრით, „თუშური ცხვარი შემდეგ თაობებში სწრაფად გადაჯიშდება ხოლმე“—ო, რისთვისაც მის შესაძენად დახარჯულ თანხებს ისინი ზედმეტადა სთვლიდნენ. რამოდენიმე მოსახლის მიერ თუშური ცხვრის „თავისში“ მოშენებამ (მაგ. ზესტაფონის რაიონში) და ამასთან დაკავშირებით თუშური ცხვრის ადგილობრივ ცხვართან თანდათანობით უფრო გახშირებულმა ჰიბრიდიზაციამ, მათთვის ცხადი გახადა, რომ ჰიბრიდიზაციის შედეგად, თუშური ცხვრის გავლენა მთლიანად არ იკარგებოდა, არამედ ის მათზედ გარკვეულ დადებით გავლენას მინც სტოვებდა.

ჩვენთვის ფრიად საყურადღებოა ის ფაქტი, რომ: 1) მთელს დასავლეთ საქართველოში „იმერული“ ცხვრის უცხო ჯიშის ვერძით ჰიბრიდიზაცია შედარებით ახალი დროის ამბავია და 2) თავის „პირვანდელი“ სახით „იმერული“ ცხვარი დღეს დასავლეთ საქართველოს ცალკეულ რაიონებში—ლა მოიძებნება.

საჭიროა აქვე აღინიშნოს, რომ ნაზ-მატყლიან ცხვართა შეყვანის ცალკეული შემთხვევები დასავლეთ საქართველოშიაც ყოფილა. ასე, მაგ., სოფ. კვალითში (ზესტაფონის რაიონი) ერთ მოსახლე აბაშიძისთვის დუშეთიდან ვინმე ჭანკვეტაძეს, ამ 15 წლის წინათ მოზდოკში შეძენილი 1 ზ და 1 ღ მერინოსის ცხვრები გამოუფუზავნია. როგორცა ჩანს, ამ მერინოსის ვერძს კვალითის ამ უბნის (ქვემო კვალითი) ცხვრებზე დიდი დადებითი გავლენა მოუხდენია, რაც, როგორც მათ გარეგნულიდგან, ისევე კოწლის შენებიდგან და მატყლის სინაზიდგან ნათლად ჩანს. კვალითის ამავე უბანში აშკარად ემჩნევა თუშური ცხვრის გავლენაც, რომლის შეურეველი ჯიშის ვერძები და „იმერულ“ ცხვართან ჰიბრიდები იქ ვნახეთ.

ადგილობრივ მოსახლეთა ცნობით მერინოსის ვერძები შეყვანილი ყოფილა ზუგდიდის რაიონის სოფ. აბასთუმანში. მათი გავლენაც ადგილობრივ ცხვარზედ იქ აშკარად ჩანს.

ამნაირად, უცხო ჯიშის ვერძთა შემოყვანის შესახებ უშუალო დაკვირვებით, გარეგნულის თვალთ შეფასების, უცხო ჯიშისა და მათი ჰიბრიდების ნახვითა და ხალხში (ადგილობრივ მცხოვრებლებში) შეგროვილ ცნობების მიხედვით „იმერული“ ცხვრის შეურეველი სახით გავრცელების არედ ჭიათურის რაიონი უნდა ჩაითვალოს.

II. მასალა და მისი დამუშავების მეთოდი

ჩვენი მიზნისათვის მასალა საქართველოს ყველა რაიონის დაწვრილებითი გამოკვლევით უნდა შეგროვილიყო, მაგრამ ეს ვერ მოხერხდა დროისა და თანხების განსაზღვრულობის გამო.

ამიტომ აქ განხილული თუშური ცხვარი 1931 წ. „უდაბნო“-ს საბჭოთა-მეურნეობის ყველა ფარიდგანა შესწავლილი. ფენონალიზის შესასწავლად „უდაბნოს“ მეურნეობა იმ მოსაზრებითა მქონდა არჩეული, რომ იქ ცხვარი საქართველოს ყველა რაიონიდან იყო თავმოყრილი.¹

„იმერული“ ცხვრის ექსპედიციური შესწავლა 1936 წ. შემოდგომაზე გახდა შესაძლებელი. „იმერული“ ცხვარი უფრო დაწვრილებით ჭიათურის რაიონში იყო შესწავლილი, ხოლო მასზე მცირედ ზესტაფონის, ტყიბულისა და ქუთაისის რაიონებში. საქმე ის არის, რომ დასახული მიზნისთვის შეურეველი ჯიშის „იმერული“ ცხვრის გამოკვლევა იყო აუცილებელი; სახსრები და დრო-კომთელი დასაუღეთი საქართველოს გამოკვლევის შესაძლებლობას არ გვაძლევდა. რადგან მთელი რიგი რაიონების შესახებ, როგორც არის, მაგ., სვანეთი, რაჭა, ხარაგაული, ბაღდადი, და სხვა, სადაც „იმერული“ ცხვარი უკანასკნელ დროში უკვე ჰიბრიდიზებული იყო; ამიტომაც და დროს სიმოკლის გამო, ეს რაიონები შესწავლილი არ მქონია. ყოველივე ზემოთქმულის გამო, „იმერული“ ცხვრის-ორიგინალური, ცოტად თუ ბევრად შეურეველი, ტიპის დადგენა მხოლოდ ამ რაიონებში იყო გადაწყვეტილი, და ასეთმა გეგმამ, როგორც ამას ქვევითაც დავინახავთ, მოლოდინი გაამართლა.

განაზომების შედგენის დროს წერილობითი წყაროებითაც ვისარგებლეთ. ამათგან 1931 წ. თუშური ცხვრის გამოკვლევის დროს ლუსის (Лус) მიერ შედგენილი სქემა ავირჩიეთ, 1936 წ.-კი; „იმერული“ ცხვრის გამოკვლევის დროს, მასში მცირეოდენი ცვლილება შევიტანეთ.

სამუშაო პროგრამაში შემდეგი განაზომები შედიოდა:

1. თავის ირიბი სიგრძე—ყურის ძირიდან (ზევითა მხრიდან) ზედა ტუჩის შუა ადგილამდე, ე. ი. Prosthion-ამდე (ეს განაზომი „იმერული“ ცხვრის განაზომის დროს გამოტოვებულია).
2. თავის საგრძე—თხემის ძვლის ჩაღრმავებული ადგილიდან (Lambda)-იმავე პუნქტამდე.
3. შუბლის სიგრძე—იქიდგანვე (Lambda) თვალის ბოლოების შემაერთებელ ხაზამდე (შუბლის ნაკერზე).
4. შუბლის უდიდესი განი—თვალის ორბიტების გარე კიდეთა შორის.
5. ყურის სიგრძე—ფუძიდგან წვერამდე, ზედა ზედაპირზე.
6. ყურის სიგანე—ყურის ყველაზედ განიერ კიდეებს შორის ზედა ზედაპირზე.
7. რქათაშორისი მანძილი.
8. რქის წვერთაშორისი მანძილი.
9. რქის ზეეული სიგრძე—წინა, გარეთა წიბოზედ.
10. რქის სიგრძე სწორხაზოვნად—ფუძიდგან წვერამდე.
11. რქის ირგვლივობა ფუძეში.

¹ 1931 და წინა წლებში „უდაბნო“-ს საბჭოთა მეურნეობას თავის მონაშენი მცირე-რარდენობითა ჰყავდა და ცხვრებს სხვადასხვა რაიონიდან ჰყიდულობდა. ამჟამად-კი საბჭოთა-მეურნეობები თავის მონაშენს მუდამ წელს კოლმეურნეობებს აძლევენ.

12. მკერდის ირგვლივობა.
13. წვივის ირგვლივობა.
14. წინა ფეხის სიმაღლე—იდაყვის გამოწეულ კიდის ზედა ნაწილიდან მიწამდე.
15. სიმაღლე მინდაოში.
16. სიმაღლე წელში (აღებულია მხოლოდ „იმერულ“ ცხვარზე).
17. სიმაღლე მენჯში—კუკუხობების შემაერთებელი ხაზიდგან მიწამდე.
18. სიმაღლე საჯდომ ბორცვში—საჯდომ ბორცვიდან მიწამდე (აღებულია მხოლოდ „იმერულ“ ცხვარზე).
19. სხეულის ირიბი სიგრძე—მხარბეჭის სახსრიდან, საჯდომ ბორცვამდე.
20. მკერდის სიღრმე—მინდაოს უმაღლეს წერტილიდან გულმკერდის ძვლამდე.
21. მკერდის სიგანე—მხარბეჭის სახსრებს შორის.
22. გავის სიგრძე—კუკუხოდგან საჯდომ ბორცვამდე.
23. გავის სიგანე—კუკუხობებს შორის.
24. კუდის სიგრძე—ცხიმკუდის დასაწყისიდან რიკის წვერამდე (აღებულია მხოლოდ „იმერულ“ ცხვარზე).
25. კუდის რიკის სიგრძე—ცხიმკუდის ჩაღრმავებულ ადგილიდან რიკის წვერამდე.

განაზომები 1, 2, 3, 4, 20, 21, 22, და 23 ვილკენსის ფარგლით იყო აღებული. განაზომები 5, 6, 7, 9, 10, 11, 12, 13, 14, 24 და 25 ბაბთის საშუალებით და მერვე განაზომი უმთავრესად ბაბთით, ხოლო ზოგჯერ ვილკენსის ფარგლის საშუალებითაც. დანარჩენი განაზომები მარტინის ანთროპომეტრის შემწეობით იყო გაზომილი.

ასეთი წესით 726 სული თუშური ნერბი და 35 ვერძი იყო შესწავლილი, შემდეგი მუშაობის შედეგად კი გენეტიკური ცდების ფარაში 34 თუშური ვერძი იყო დამატებული. ხოლო უკანასკნელთა გაზომვის დროს ფარგლით აღებული ყველა განაზომი გამოტოვებულია. ამნაირად, სულ 795 სული თუშური ცხვარია შესწავლილი.

თუშური ცხვრის მთელი შესწავლილი მასალა ჰასაკისა და სქესის მიხედვით შემდეგ სურათს იძლევა:

ტაბულა № 1

რიგის №	ჯ ი შ ი	სქესი	ჰ ა ს ა კ ი წ ლ ე ბ ა დ									Σ
			2 1/2	3 1/2	4 1/2	5 1/2	6 1/2	7 1/2	8 1/2	9 1/2	10 1/2	
			1	„თუშური“	ნერბი	15	110	160	170	118	92	
2	„	ვერძი	35	10	7	8	6	2	—	1	—	69
	ს უ ლ	♀ ♂	50	120	167	178	124	94	43	14	5	795

„იმერულ“ ცხვარს ადგილობრივი მოსახლეობა დიდი ხნის ჰასაკამდე იშვი-ათად აჩერებს. ნერბის სანაშენო ჰასაკი უფრო ხშირად $1\frac{1}{2}$ —2 წლით განისაზღვრება, საზოგადო-კი სოფელში წლამდე ცხვრების უფრო მეტ რაოდენობას შეხვდებით, ვიდრე დიდი ჰასაკის მქონეთ. ამ მიზეზთა გამო თვითეულ რაიონში ცხვრის ის რაოდენობა ვერ იყო შესწავლილი, რომელიც წინასწარ გექონდა განსაზღვრული.

ყველა აშკარა ჰიბრიდული წარმოშობის ცხვარი (რომელთა ჰიბრიდულ წარმოშობას თვით პატრონიც აღნიშნავდა), თუ-კი ის ექსპედიციის მიერ შესწავლილი იყო, ცალკე არის გამოყოფილი, მათი უმეტესობა-კი საზოგადოდ არ გაგვიზომია. საერთო დამუშავებაში არ შედის აგრეთვე ჭიათურის რაიონის 6 სული საექვო წარმოშობის ცხვარი. სამწუხაროდ, ზრდადასრულებულ ვერძს მთელს გამოკვლეულ რაიონში ვერსად შევხვდით, რადგან ვერძს $1-1\frac{1}{2}$ წ. ჰასაკზე ზევით მოსახლეობა სანაშენოდ არ იტოვებს. მთელი მასალა რაიონისა, ჰასაკისა, სქესისა და „ჯიშის“ მიხედვით დაწყობილი შემდეგ სურათს გვაძლევს: (იხ. ტაბულა № 2).

მუშაობის დროს (ავვისტოს ბოლო რიცხვები, სექტემბერი), გარდა № 6 ფარის ცხვრებისა (რომლის დოლიც მთაში მოხდა და ამიტომ ისინი ჯერ კიდევ იწველებოდნენ), ყველა თუშური ცხვარი კარგი ნაკვებობისა იყო.

„იმერული“ ცხვრის 24,58 % გამხდარი იყო, 55 % — თითქმის საშუალო ნაკვებობისა, ხოლო 20,42 %-კი კარგი ნაკვებობის იყო. ნაკვებობის სიმდარე იმით აიხსნება, რომ დასავლეთ საქართველოში სიმინდების აღებამდე ცხვარი სულ ღობის პირებში და საერთოდ მეტად მდარე საძოვრებზედა სძოვს. ის სუქდება მხოლოდ სიმინდის აღების შემდეგ, რადგან ნასიმინდრებში მოსულ და დარჩენილ ბალახით იკვებება.

ცხვრების გაზომვა მუდამ ვაკე და კარგად დატკეპნილ ადგილზედა წარმოებდა. „უდაბნოს“ მეურნეობაში ცხვარი ყველა ფარიდგან იყო გაზომილი. როგორც თუშური, ისევე „იმერული“ ცხვრები სრულიად შეურჩევლად, ე. წ. „ტიბიურ“ ეგზემპლარებისა, იზომებოდნენ. ცალკე იყოფოდა მხოლოდ აშკარა ჰიბრიდული წარმოშობისა და აგრეთვე ის ცხვრები, რომელთა ჰიბრიდულ წარმოშობას თვით პატრონიც აღნიშნავდა.

თუშური ცხვრის მატყლი 1931 და 32 წ. იყო აღებული და მანინვე იყო დამუშავებული, „იმერული“ ცხვრისა-კი 1936 წ. ექსპედიციის დროს იყო შეგროვილი. მატყლის სიმსხო ბაზისში მოჭრის საშუალებით იყო დამუშავებული, სიგრძე-კი კალმების საშუალებით სახაზაზე იზომებოდა. მთელი შეგროვილი მასალა ბიომეტრიკულად არის დამუშავებული.

III. პარეზნული

1. თუშური ცხვარი

თუშური ცხვრის თავი. ისეთი ზოოლოგიური ნიშანთვისების მხრივ, როგორც ცხოველის თავია, თუშურ ცხვარს ძალიან დიდი სხვადასხვაობა ემჩნევა.

ტაბულა № 2

როვის №-ე	რ ა ი ი ნ ი	ჯ ი შ ი	სქესი	პ ა ს ა კ ი. წ ლ ე ბ ა ლ														
				1-1 ^{1/2}	2-2 ^{1/2}	3-3 ^{1/2}	4-4 ^{1/2}	5-5 ^{1/2}	6-6 ^{1/2}	7-7 ^{1/2}	8-8 ^{1/2}	9-9 ^{1/2}	10-10 ^{1/2}	11-11 ^{1/2}	12-12 ^{1/2}	Σ		
1	ჭიათურის	„იმერული“	♀♀	—	30	21	21	19	14	13	10	8	6	5	—	—	—	147
2	„	„	♂♂	—	8	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	8
3	ბესტაფუნის	„	♀♀	—	6	12	3	10	8	5	2	3	—	—	—	—	—	50
4	„	„	♂♂	2	1	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	3
5	ქუთაისის	„	♀♀	—	6	30	25	25	15	3	1	1	—	—	—	—	—	106
6	ტყიბულის	„	♀♀	—	3	2	1	—	1	—	—	—	—	—	—	—	—	7
7	ყველა რაიონში	ჭობრიდ. ნიშნებით	♀♀	1	4	—	3	2	—	—	2	—	—	—	—	—	—	11
8	„ „	„	♂♂	2	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	2
ს უ ლ				5	58	65	53	56	38	21	15	12	6	5	—	—	—	334

ერთ წლებზე

საერთოდ უნდა ითქვას, რომ თუშური ცხვრის უმრავლესობას, ხმელი, მსუბუქი, ზომიერი სიგრძე-სიგანის (ხშირად ვიწროც) და ლამაზი მოყვანილობის თავი აქვს.

შუბლი თუშურ ცხვარს სწორე აქვს, იშვიათ შემთხვევებში თვალის ბოლოების გასწვრივ ოდნავ ჩაღრმავებული.

ნერბებს ცხვირი უმთავრესად სწორი პროფილიანი აქვს, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში მცირეოდენ კუზიანობასაც ვხვდებით. ვერძებს ცხვირის კუზი შედარებით კარგად აქვთ განვითარებული. ნერბები ცხვირის კარგად განვითარებული კუზით 1,06% ვხვდებით, ოდნავ განვითარებული კუზით—33,58% და სრულიად უკუზო — 65,36%. ვერძებში მკაფიოდ გამოსახული კუზით სულ—13,05%, ოდნავ განვითარებული კუზით—66,66% და სრულიად უკუზო-კი—20,29%. რასაკვირველია, ცხვირის კუზის განვითარების ხარისხი აღებული ჯიშის ფარგლებში არის ნახშიარი, რადგან ისეთი მკაფიოდ გამოსახული კუზი, როგორც ზოგიერთ ჯიშს აქვთ (კარაყულს, ღუმინან ცხვრებს და სხვა), თუშურ ცხვარს არ ახასიათებს.

თუშური ცხვრის თავს სქესობრივი დიმორფიზმი მეტად მკაფიოდ ეტყობა. ვერძებს შედარებით ნერბებთან ბევრად უხეში და მძიმე თავი აქვთ.

თუშური ცხვრის თავი, ცხვირთან და ზოგიერთ შემთხვევაში სახეზედაც, პატარა, ხშირი ბალნით არის დაფარული. საერთოდ თავი მას მატყლით (მეტადრე ყბებზედ) კარგადაა აქვს შებუსული. შუბლზე თითქმის მუდამ კარგად გაზრდილი ქოჩორი აქვს. ერთი სიტყვით, აღნიშნული ჯიშის ცხვრის თავის შებუსულობა საზოგადოდ საკმაოდ კარგია, ხოლო მეტად დიდი ვარიაციებით. ვარიაციები იმდენად დიდია, რომ მერინოსისებური შებუსულობიდან მოყოლებული ქოსათავიან ყარაბაღის შებუსულობამდის მთელ რიგ გარდამავალ საფეხურებს ვხვდებით. რასაკვირველია, ორივე შებუსულობა უკიდურეს ვარიანტია და ამიტომ იშვიათიც, ცხვრების უმეტესი ნაწილი-კი საშუალოზედ უფრო უკეთ არის შებუსული.

თავის სიგრძით თუშური ვერძები ნერბებს (იხ. ტ. № 3) $1,04 \pm 0,15$ სმ და თავის ირიბი სიგრძით $1,55 \pm 0,18$ სმ აღემატებიან. თავის სიგრძის ინდექსი, მინდაოში სიმალღესთან, ნერბებში 36,77% უდრის, ხოლო ვერძებში 34,26% ამნაირად, რელატივად ვერძებს ნერბებზედ მოკლე თავი აქვთ.

შუბლის სიგრძე, როგორც ეს მე-3 ტაბ. ჩანს, მეტად დიდად ცვალებადობს, რაც თვით განაზომის ასეთი დიდი მერყეობით-კი არ არის გამოწვეული, არამედ უფრო მეტად, გაზომვის სიზუსტის გამო.

ნერბებსა და ვერძებს შორის შუბლის სიგრძის (იხ. ტ. № 3) საშუალო ოდენობათა სხვაობა $0,47 \pm 0,16$ სმ თითქმის რეალურია ვერძების სასარგებლოდ.

შუბლის სიგრძე %₀-ულად ნანაგარიშვევი, თავის სიგრძესთან, ნერბებში $47,68 \pm 0,40$ % და ვერძებში 45,37 % უდრის, ე. ი. ვერძები, ნერბებთან შედარებით, როგორც აბსოლუტურად, ისევე რელატივად მოკლეშუბლიანები გამოდგნენ.

თუშური ცხვრის აბსოლუტური განაზომები

რივის №	განაზომთა დასახელება	ს მ რ ბ მ ბ ი			მ მ რ ძ მ ბ ი				
		lim	M ± m	n	lim	M ± m	n		
1	თავის ირიბი სიგრძე	17-24,1	20,76 ± 0,04	5,89	720	20-24,5	22,31 ± 0,18	4,88	35
2	თავის სიგრძე	19,2-25	21,53 ± 0,03	4,45	715	21-24,2	22,57 ± 0,15	3,98	35
3	შუბლის სიგრძე	8,3-13,5	10,24 ± 0,03	9,87	720	8,8-13,2	9,77 ± 0,16	9,82	35
4	შუბლის უღიდესი განი	8,2-13,4	10,88 ± 0,02	5,97	720	11,2-13,1	11,89 ± 0,10	5,21	35
5	ყურის სიგრძე	7,5-18,2	12,42 ± 0,07	13,52	1,27	7-13,2	11,22 ± 0,17	12,29	63
6	ყურის სიგრძე	4,1-13,6	7,24 ± 0,04	15,19	604	5,1-10,4	6,99 ± 0,12	13,87	65
7	რქთა-შორისი მანძილი	3,5-10,4	5,60 ± 0,03	17,50	581	—	—	—	—
8	რქის წვეზთა-შორისი მანძილი	5,1-30,3	18,68 ± 0,18	27,52	16	22,1-75,7	52,68 ± 1,36	21,09	66
9	რქის ხვეული სიგრძე	6,7-29,1	15,18 ± 0,44	37,02	159	22,3-72,2	50,78 ± 1,53	24,32	65
10	რქის სწორი სიგრძე	4-17,3	9,72 ± 0,19	25,72	164	15,4-40,2	28,25 ± 0,68	19,93	65
11	რქის ირგვლივობა ფუქში	4,2-9,3	7,18 ± 0,08	15,36	163	12,5 ± 31,0	18,82 ± 0,37	16,41	67
12	მკერდის ირგვლივობა	70,9-97,8	83,38 ± 0,18	5,46	720	78-95	87,21 ± 0,54	5,09	67
13	წვივის ირგვლივობა	4,2-9,6	7,33 ± 0,02	8,54	719	7,3-9,9	8,58 ± 0,07	6,64	69
14	წინა ფეხის სიმაღლე	28,3 47,2	37,58 ± 0,08	6,47	718	32,5-47,7	39,91 ± 0,32	6,73	69
15	სიმაღლე მინდალზე	48,4-68,3	58,54 ± 0,12	5,60	720	54,2-78,7	65,88 ± 0,47	6,02	69
16	სიმაღლე მეწვეში	47,5-69,5	60,44 ± 0,11	4,94	720	59,1-74	67,04 ± 0,38	4,82	67
17	სხ. ირიბი სიგრძე	41,5-74,8	58,58 ± 0,11	6,86	717	50,5-77,2	62,67 ± 0,61	8,04	68
18	მკერდის სიგრძე	21,2-35	29,04 ± 0,07	7,23	720	29-37,5	32,77 ± 0,34	6,22	35
19	გავის სიგრძე	15,1-30,7	20,87 ± 0,06	8,48	720	20,3-26,4	22,57 ± 0,27	7,04	35
20	მკერდის სიგრძე ბუკებში	11-23,5	16,86 ± 0,05	8,52	720	16,1-22,6	19,68 ± 0,22	6,65	35
21	გავის სიგრძე	10-21	16,05 ± 0,05	9,09	720	15,5-19,1	16,77 ± 0,16	5,84	35
22	კუდის რიკის სიგრძე	2,5-16,8	9,74 ± 0,10	29,77	696	5,1-25,5	12,09 ± 0,47	32,83	69
23	ცოცხალი წონა კგრ.	28-58,3	42,97 ± 0,39	11,77	701	42,5-72,3	53,77 ± 1,09	16,45	65

როგორც მოყვანილ ინდექსებიდან ცხადი ხდება, საშუალოდ თუშური ცხვრის სახის ნაწილი უფრო გრძელია, ვიდრე თავის კოლოფისა. სქესის მიხედვით-კი ვერძებს უფრო მოკლე თავის კოლოფი ახასიათებს, ვიდრე ნერბებს, თუმცა-კი ვარიაციები მეტად დიდია, როგორც თავის კოლოფის, ისევე სახის ნაწილის უფრო მეტი წაგძელებისაკენ.

როგორც მე-3 ტაბ. ჩანს, შუბლის სიგანით ვერძები ნერბებს $1,0 \pm 0,10$ სმ აღემატებიან. შუბლის სიგანე $\%$ -ულად ნაანგარიშევი, თავის სიგრძესთან, ნერბებში $50,72 \pm 0,28 \%$ უდრის და ვერძებში $52,66 \%$. ამნაირად, ნერბები ამავე ჯიშის ვერძებზე გრძელი და ვიწროშუბლიანები არიან, როგორც აბსოლუტურად, ისევე რელატივად, თავის სიგრძე-კი, თუ პირველებს აბსოლუტურად მოკლე აქვთ, ვერძებს რელატივად დაახლოებით $2,5 \%$ აღემატება.

ყურები. თუშური ცხვრის ყურები მოკლე და ხშირი ბალნითაა დაფარული. ბალანი ცალკეულ ინდივიდებში, როგორც სიხუჭუჭის, ისევე სინაზის მხრივ მეტად ცვალებადობს.

თუშურ ცხვარში „ქურა“ („ხულა“), ე. ი. მოკლეყურიანი ცხოველები, მეტად იშვიათად გვხვდება. სრულიად უყურო ცხოველები-კი სრულებით არ შეგვხვედრია. „ქურა“ ყური ნორმალურზედ უფრო პატარა სიგრძისაა, ბოლოში დახვეული და წვერში წაწვეტილია. როგორც ასეთი, ისევე სრულებით უყურო ცხვრები მეტად ბევრია ყარაბაღულ და ა/კ. დანარჩენ ცხვრებში, საიდგანაც უნდა იყოს თუშურ ცხვარშიც შემოტანილი.

ძალიან იშვიათად თუშურ ცხვარში ყურებზედ ვხვდებით ზედმეტი ხორცის ამონაზარდებს, რომელიც „საყურებად“ არის სახელდებული და რომელიც რეცესიულ გენით უნდა იყოს გამოწვეული, როგორც ამას ვასინი (15,16) და L u c h-ი აღნიშნავენ. მის რეცესიულ ბუნებაზედ მეტად მცირე გავრცელებაც საკმაოდ მჭერმეტყველურად ლაპარაკობს.

როგორც მე-3 ტაბულიდან ჩანს, აბსოლუტურად, ციფრების მიხედვით, თუშური ნერბები ვერძებზე გრძელყურიანები არიან, ყურის სიგანით-კი სქესთა შორის განსხვავება არ არსებობს.

თუ ყურის სიგანეს ყურის სიგრძესთან $\%$ -ულად გამოვსახავთ, მაშინ პირველი ადგილი ვერძებს უკავიათ ($61,4 \%$), მეორე-კი ($58,9 \%$) ნერბებს.

ამნაირად, რელატივი ციფრების მიხედვით, თუშურ ნერბებს თუშურსავე ვერძებზედ უფრო გრძელი და ვიწრო ყური აქვთ.

რქები. თუმცა ცხვრების კლასიფიკაციის საფუძველად, კუდის ფორმა, ტიპი და სხვა (მასში ცხიმის არსებობა) არის დადებული, მაგრამ რქების სიდიდეს, მოხრილობას, ფორმას და სხვას, თავის ქალასთან ერთად, საზოგადოდ ცხოველთა და მათ შორის ცხვართა სისტემატიკის დადგენის დროს ხშირად გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

თუშური ცხვრის ორთავე სქესში, როგორც ურქო (ვერძებში მეტად იშვიათად), ისევე რქიან ცხოველებსა ვხვდებით. ვერძების უმეტეს ნაწილს რქები კარგად აქვთ განვითარებული, სრულიად ურქო ინდივიდი მხოლოდ ერთი შეგვხვდა, რვა ინდივიდს კი რქები ჩანასახის სახით ჰქონდა.



სურ. 1. თუმური ნერბი



სურ. 2. თუშური ნერბი.



სურ. 3. თუშური ნერბი.



სურ. 4. თუშური ვერძი.



სურ. 5. თუშური ხაში ვერძების რქების ვარიაციები.



სურ. 6. თუშური ვერძის რქების ვარიაციები.



სურ. 7. თუშური ვერძების რქების ვარიაციები.



სურ. 8. თუშური ვერძების რქების ვარიაციები.

თუშურ ვერძების მასალის შეგროვების დროს „უდაბნოს“ საბჭოთა მეურნეობაში, რქიანი ინდივიდები 100 %-ით შეგვხვდა, ხოლო ზემოაღნიშნული 9 ინდივიდი შემდგომ და სხვა მეურნეობებში ენახეთ.

თუშური ცხვრის რქები სამწახნაგოვანია, მოხრილობისა და სიდიდის ძალიან დიდი ვარიაციებით. სიდიდის მხრით დიდ ვარიაციებს ერთი-და-იმავე ხნოვანობის ინდივიდებშიაც ვამჩნევთ.

თუშური ვერძების რქები ჰომონიმურია (Lydekker¹). ჩვეულებრივად ვერძის რქა იხრება უკან, ზევით და განზე, შემდეგ ქვევით და განზე, შემდეგ ამოიხრება ზევით, განზე და წინ და ასეთივე მიმართულებით კიდევ ეხრებათ, წვერები აქვთ უმთავრესად ზევით აწეული. საერთოდ რქების მოხრილობა ან ლოკოკინისებურია, ან კიდევ უმთავრესად გაშლილი, ზამბარაკის მაგვარად. რქა ერთს ან ერთნახევარ სპირალს აკეთებს. სპირალის ღერძი მცირეოდენად ქვევით არის დახრილი და პირდაპირ. მხოლოდ ზოგჯერ ქვევითაა ძალიან დახრილი და წინ, ანდა სწორეა და პერპენდიკულარული. სპირალის ღერძის ისეთი სიციწროვე, რომ რქები წვერებით ყბებში ჩადიოდეს, თუშურ ცხვარში არ შეგვხვდრია², მის ჰიბრიდებში-კი — მერინოსებთან და ვიურტემბერგებთან აღნიშნული მოვლენა მეტად ხშირადაა გავრცელებული. რქების მოხრილობის უმთავრესად ორ ტიპს ვხვდებით: გაშლილსა და უფრო დიდხვეულიანს, ძალიან დაგრებილსაც, პირველში ნამგლისებურად და შემდეგ ზევით ამოხრილს და წინ წამოწეულ რქებსაც. რქების ფორმაზე უკეთეს წარმოდგენას გვაძლევს ფოტოსურათები (იხ. სურ. 4, 5, 6, 7, 8 და 9). ერთი ვერძი შეგვხვდა, რომელსაც რქები შუბლზედ წინ აქვს ძალიან ვიწრო სპირალივით დაგრებილი სამ წრედ; თავზედ პირდაპირ შეხედვით რქები ლოკოკინას მიემსგავსება, წვერები მათ გვერდზე აქვთ გადახრილი და ზევით აწეული.

ნერბებს რქები ნამგლისებური ანუ ნახევარ-მთვარისებური მოხრილობის აქვთ, უკან და გვერდზედ გადახრილი. პერვერზიის მოვლენებს არ შეგვხვდრია.

მრავალრქიანობის მოვლენები არ არის ძალიან გავრცელებული, რაც შეიძლება ადამიანის ხელის ჩარევასაც მიეწეროს. ზოგიერთ მეცხვარეს კი ასეთი ცხვრები სილამაზის გულისათვის ჰყავთ. ფშაველი მეცხვარის ფარაში ერთი ვერძი შემხვდა, რომელსაც ორი ჩვეულებრივი რქა და რქებს შუა ზევით პერპენდიკულარულად სვეტსავით ამართული, მკაფიო, მაგრამ ვიწრო სპირალური ხვეულობის რქა ჰქონდა³.

„უდაბნოს“ მეურნეობაში კოლმეურნეობათა ცენტრიდგან მოიყვანეს ვერძები, რომელნიც მრავალრქიანობით ხასიათდებოდნენ. ერთ მათგანს რქები ზევითა აქვს აწეული და გვერდზედ აქვს გადახრილი ნამგლისებურად, რქას ბრტყელი ფორმა აქვს, ორი რქა კიდევ ყურების ძირებს ზევით არის ამოსული, ქვევითაა დახრილი და ყბებზედ აწევა (იხ. სურ. 5).

¹ Lydekker-ით, Насонов-იდგან (42).

² სამაგიეროდ ისეთ შემთხვევაში, როდესაც ვერძებს რქები ჩანასახის სახით აქვს, ის ზოგჯერ გვერდზედ იხრება, აწევა ყბებს და წვერებით შიგ შედის, რითაც ცხოველებში ძალიან დიდ ტკივილებს იწვევს.

³ სამწუხაროდ მისი ფოტოსურათის გადაღება ვერ მოვახერხეთ.

ურქო („დოლა“) ცხვრები, რომელთა ნახვის საშუალებაც-კი მქონდა, ყველანი დიდი ტანისანი არიან და ხშირად თავიანთი სიდიდით ორ-რქიან ცხოველებიდან ირჩევიან¹. არის შემთხვევები, რომ ურქო ცხოველებს დიდ ტანთან ერთად ნაზი და გამოთანაბრებული მატყლიც აქვთ. საფიქრებელია, რომ ეს გარემოება მარტო რქაზედ დასახარჯი საკვების ორგანიზმზედ ზედმეტად გამოყენებით არ უნდა იყოს გამოწვეული, არამედ აქ ერთი მხრით შერჩევა და მეორე მხრით ჰიბრიდიზაცია უნდა თამაშობდეს როლს. საქმე ისაა, რომ ქართველ მეცხვარეებს ურქო ცხვრები არ უყვართ, ხოლო დიდი ტანის და მეტადრე-კი ტანთან ერთად კარგი მატყლის მქონე ცხოველს, რასაკვირველია, შეეძლო მეცხვარის მოხიბვლა და მისი საჯიშედ დატოვება შეიძლება ამ გარემოებამაც გააბედვინა.

მეორე მხრით, ურქობა შესაძლებელია თუშური ცხვრის სხვა რომელიმე დოლა დიდტანიან ცხვართან წარსული ჰიბრიდიზაციის შედეგაც იყოს, ე. ი. შორეულ ჰიბრიდის დათიშვის პროდუქტს წარმოადგენდეს. რასაკვირველია, ერთი მოსახრება მეორეს არ უშლის, ხოლო ვფიქრობ, რომ ურქობა თუშურ ცხვარში დამოუკიდებელი მუტაციური მოვლენა-კი არ არის, არამედ სხვა ცხვრის ჯიშებიდან უნდა იყოს შემოტანილი.

რქების სიდიდის დასახასიათებლად აღებული გვექონდა მე-3 ტაბ-ში მოყვანილი 5 განაზომი. როგორც ამ ტაბულიდან ჩანს, რქების ყველა განაზომი ძალიან დიდი ცვალებადობით ხასიათდება.

სიმაღლე. მე-3 ტაბულაში მოთავსებულ მინდოში სიმაღლის განაზომებით თუშური ვერძები ნერბებს $7,34 \pm 0,48$ სმ აღემატებიან. ასეთი დიდი სხვაობა სქესთა შორის, რასაკვირველია, წერჩევის გარდა, რომელსაც ვერძის სანაშენოდ დატოვების დროს ყველა მეურნე აწარმოებს (ნერბებს ჩვეულებრივად სანაშენოდ ყველას სტოვებენ), უნდა კიდევ იმ სქესობრივ დიმორფიზმსაც მიეწეროს, რომელიც ცხვრებში მეტად კარგადაა გამოხატული.

საშუალო ოდენობათა სხვაობა მენჯში სიმაღლის მიმართ (იხ. ტ. № 3) ვერძებსა და ნერბებს შორის საკმაოდ დიდია ($6,60 \pm 0,39$ სმ).

კისერი. თუშურ ცხვარს კისერი კარგად აქვს მატყლით შებუსული. სრულიად სადა და უნაოჭოა. კისრის სიგრძის მხრივ ძალიან დიდ ვარიაციებსაც ვხვდებით. თუმც იშვიათად, მაგრამ მაინც არიან გრძელ და წვრილკისრიანი ცხვრებიც, ანდა ძალიან მოკლე და სქელკისრიანი. საერთოდ-კი თუშურ ცხვარს საშუალო სისქისა და სიგრძის, მაგარი აღნაგობის ჰარმონიული კისერი აქვს.

სქესთა შორის კისრის მხრივ თვალსაჩინო განსხვავება არსებობს, რადგან ვერძებს, ნერბებთან შედარებით, მოკლე, სქელი და უხეში კისერი აქვთ.

ყელზედ ვხვდებით ე. წ. „საყურე“-ებს, რომელიც წყვილად ან კენტად დაკიდებულ ზედმეტ ხორცს წარმოადგენს. თუშურ ნერბებს შორის „საყურე“-

¹ აღსანიშნავია, რომ თუშურ ცხვარში ურქობასთან, ან ჩანასახ რქიანობასთან დაკავშირებით პრეკოსის მავნარად არც მონა და არც დიკრიპტორხებს არ შევხვედრივართ. პირიქით, ყველა დოლა ცხვარს ორივე სათესლე ჯირყვალს ნორმალურადა ჰქონდა განვითარებული.

ებიანი 2,41 % შეგვხვდა, 97,59 %-ს საყურეები არა ჰქონდა. ასეთივე შეფარდება გვხვდება თუშურ ვერძებს შორისაც: 2,94 %-ს „საყურე“-ები აქვს და 97,06 %-ს არა აქვს.

Luch-ით (14) და Васин-ით (15) ყელზედ „საყურეთა“ არსებობა დომინანტური ბუნებისა არის, რასაც თუშურ ცხვარში მისი ასეთი მცირე გავრცელება სრულიად ეწინააღმდეგება. მართალია, გაზრდილ ცხვრებს პარსვის დროს „საყურეები“ ხშირად ეჭრება, მაგრამ დოლში დაკვირვებამ დაგვარწმუნა, რომ ბატკნებშიაც „საყურეებიან“ ბატკანთა რაოდენობა იმდენად მცირედ მატულობს, რომ ის მის დომინანტურ ბუნებას სრულიად ეწინააღმდეგება. ამიტომ, „საყურეების“ არსებობა თუშურ ცხვარში ან სულ ახალი წარმოშობისა უნდა იყოს, ანდა, სხვა ჯიშების საწინააღმდეგოდ, მასში ის რეცესიული ბუნებისაა.

სხეული. როგორც მე-3 ტაბ-დან ჩანს, ვერძებს ნერბებზედ $4,09 \pm 0,62$ სმ უფრო გრძელი სხეული აღმოაჩნდათ.

სხეულის ირიბი სიგრძე მინდაოში სიმალლესთან %-ულად გაანგარიშებული ნერბებში $100,00 \pm 0,24$ % უდრის, ვერძებისათვის იგივე ინდექსი საშუალოდ $95,28 \pm 1,44$ % უდრის. ამნაირად, რელატივად ნერბები ვერძებზე $4,72 \pm 1,46$ % გრძელსხეულიანები აღმოჩნდნენ.

საშუალო ოდენობათა სხვაობა, გავის სიგრძის მიმართ, თუშურ ნერბებსა და ვერძებში (იხ. ტ. № 3) $1,70 \pm 0,28$ სმ რეალურია ვერძების სასარგებლოდ.

გავის სიგრძე %-ულად გამოსახული სხეულის ირიბ სიგრძესთან ნერბებისათვის 35,62 % უდრის, ხოლო ვერძებისათვის-კი 36,01 %. ამნაირად, თუშური ცხვრის სქესთა შორის აღნიშნულ ინდექსის მხრივ განსხვავება მეტად უმნიშვნელოა, ვერძების სასარგებლოდ.

გავის სიგანის მიხედვით (იხ. ტ. № 3) თუშური ვერძები ნერბებს $0,72 \pm 0,17$ სმ აღემატებიან.

გავის სიგანე თუშურ ნერბებში, გავის სიგრძის 76,90 %-ს შეადგენს, ვერძებში-კი 74,30 %, ე. ი. საწინააღმდეგოდ აბსოლუტური ციფრებისა, რელატივად ნერბებს ვერძებზედ განიერი გავა აქვთ.

საერთოდ-კი თუშური ცხვრის გავა გრძელია და ზომიერად განიერი. უნდა აღინიშნოს, რომ თუშური ცხვრის დიდ ნაწილს ვიწრო გავის გარდა, როგორც კვადრატული, ისევე მასზედ მცირედ ნაკლები სიგანის გავა ახასიათებს. გავის ვაწვეტების შემთხვევებს (მენჯის მწვერვალებიდან საჯდომ ბორცვამდე) იშვიათად ვხვდებით. უმეტეს შემთხვევაში მენჯის მწვერვალები საჯდომ ბორცვებზედ მცირედ ვიწროა.

გავა ზოგჯერ ბოლომდის ერთ სწორ ხაზზედ მდებარეობს, რასაკვირველია, სათანადო ვარაიაციებით, უმთავრესად-კი მცირედ არის დაქანებული.

თუშურ ცხვარს ღრმა და განიერი მკერდი ახასიათებს, ფეხების წინ მკაფიოდ წამოწეულ გულმკერდით. ნეკნები ბრტყელი აქვს, კარგად გამოხატული ამობურცულობით.

მკერდის სიღრმით ვერძები ნერბებს (იხ. ტ. № 3) $3,73 \pm 0,35$ სმ აღემატებიან.

თუშურ ნერბების მკერდის სიღრმე მინდაოში სიმაღლის 49,61 %-ს შეადგენს. ვერძების მკერდიც მინდაოში სიმაღლის 49,74 % შეადგენს. ამნაირად, სქესთა შორის, აღნიშნული ინდექსის მიხედვით, განსხვავება არ არსებობს. როგორც მოყვანილ ინდექსიდგან ნათლად ჩანს, მკერდი ცხოველის სიმაღლის ნახევარს იკავებს, თუმცა-კი უნდა აღინიშნოს, რომ ვარიაციები თუშურ ნერბებში 37—67 %-მდე აღის.

რასაკვირველია, მკერდის სიღრმეს, როგორც ეს მთელი რიგი ავტორების მიერაც არის აღნიშნული, დიდი მნიშვნელობა მხოლოდ მაშინა აქვს, როდესაც ვანიერიც არის, წინააღმდეგ შემთხვევაში, ღრმა მკერდი, არამც თუ დადებით თვისებას, არამედ, დეფექტსაც-კი წარმოადგენს.

თუშური ნერბების მკერდის სიგანე საშუალოდ $16,86 \pm 0,05$ სმ უდრის, ვერძების-კი იგივე განაზომი $19,68 \pm 0,22$ სმ-რია.

ამნაირად, თუშურ ვერძებს ნერბებზედ $2,82 \pm 0,22$ სმ ვანიერი მკერდი აქვს.

თუშურ ნერბების მკერდის სიგანე მინდაოში სიმაღლის 28,80 % შეადგენს, ხოლო ვერძებს იგივე ინდექსი უფრო მეტი აქვთ ($29,87$ %).

ამგვარად, თუშურ ცხვარს, ღრმა მკერდთან ერთად, ვანიერი მკერდიც ახასიათებს.

მკერდის ირგვლივობით (იხ. ტ. № 3) ვერძები ნერბებს $3,83 \pm 0,57$ სმ აღემატებიან.

სრულიად საწინააღმდეგო მოვლენასთანა გვაქვს საქმე, თუ ჩვენ მკერდის ირგვლივობას სქესთა შორის რელატივი ციფრებით შევუდარებთ. თუშური ნერბების მკერდის ირგვლივობა მინდაოში სიმაღლის 142,43 % შეადგენს, მაშინ როდესაც ვერძებს იგივე ინდექსი მხოლოდ 132,37 %.

თუშური ცხვარი ტანზედ გრძელი კარგი ლუსტრის მატყლითაა შებუსუსული. შებუსუსულობა მიდის წინა ფეხების მუხლებამდე და უკანა ფეხების სახტომ სახსრამდე. მუცელი და მკერდი თუშურ ცხვარს კარგადა აქვს შებუსუსული.

საერთოდ სხეულის ფორმის შესახებ, როგორც ზემომოყვანილ განაზომებიდგან, ისევე ბარათში შეტანილ სიტყვიერ დახასიათებიდგან, შემდეგი შეიძლება ითქვას:

თუშური ცხვრის უმეტესობას სხეული ზომიერი სიგრძის (უფრო მოკლე) და ოთხკუთხი ფორმისა აქვს. თუმცა-კი ფორმის მხრივ ძალიან დიდ ვარიაციებსა ვხვდებით, როგორც წინა, ისევე უკანა ნაწილის შევიწროვებით (ცხადია, რომ როგორც სხეულის ფორმა, ისევე დანარჩენი მომდევნო დახასიათებები იდეალური არ არის. ამათუემ იდეალურ ტიპს ისეთ ცხოველებს ვაკუთვნებდი, რომელიც მასთან უფრო მეტად მიახლოვებული იყო).

თუშური ცხვრის ზურგი, უმეტეს შემთხვევაში მინდაოდგან მენჯისკენ არის აწეული, უფრო ნაკლებ რაოდენობას სწორზურგიანი ინდივიდები შეადგენენ. მინდაო უმთავრესად მაღალი და ვანიერი აქვთ, ბეჭის ძვლის თავები ერთი მეორეზე ზომიერად არის დაშორებული, რასაკვირველია, ძალიან დიდი ვარიაციებით, როგორც წაწვეტებისაკენ (იშვიათად), ისევე ძალიან დიდ ხორციანობისაკენ. ზურგი და სარტყელი თუშურ ცხვარს ვანიერი აქვს, ესეც აგრეთვე ძალიან დიდი ვარიაციებით. მკერდი ღრმა (ფეხებიდგან წინ ზომიერად

წამოწეული გულმკერდით) და განიერი. ნეკნები კარგადაა მოხრილი. კარგი ტევადი გულმკერდი აქვს. ვარიაციები აქაც, როგორც პლუსისკენ, ისევე მინუსისაკენ საკმაოდ დიდია. თუშური ცხვრის გავა მცირეოდენად დაქანებულია, იგი ზომიერად გრძელია და განიერი. ინდივიდების ერთი ნაწილის გავის სიგრძე-სიგანის შეფარდება 100% -ს უდრის, ე. ი. გავა მათ კვადრატული ფორმისა აქვთ, უმეტესად-კი გავის სიგრძე სიგანესა სკარბობს.

ძელოვანი ნაწილი თუშურ ცხვარს მაგარი აღნაგობისა აქვს, საკმაოდ დიდი ვარიაციებით. მუცელი მას ტევადი და მცირე ნაწილს სიგრძეზედ თითქმის ერთ სწორ ხაზზედ (ოდნავ დაშვებული) გაჭიმული აქვს; ვარიაციები მუცლის დაშვების მხრით უმრავლესობის თვისებას შეადგენს, ხოლო შევიწროვებისაკენ-კი უმცირესობისას.

ფეხები. წინა ფეხები თუშურ ნერბების 78,95% მუხლებს ქვევით მოკლე ბეწვითა აქვს შებუსული, ხოლო მუხლებიდან მოყოლებული ჩვეულებრივი ნორმალური მატყლითა აქვთ დაფარული. თუშურ ნერბების 20%-ს, წინა ფეხების მუხლის ქვედა ნაწილი მოკლე ხუჭუჭი ბეწვით აქვს შებუსული, უმთავრესად ფეხის გასწვრივი განაკვეთის უკანა მხრიდან. ხოლო 1,05%-ს ფეხები ძალიან კარგად აქვს შებუსული. ნორმალური მატყლი უკანა ფეხების სახტომ სახსრამდე ჩამოდის, ამის ქვევით-კი ცხვარს, ან მოკლე ბეწვითა აქვს შებუსული (10,71%), ან ფეხის გასწვრივი განაკვეთის ერთი მხარე ხუჭუჭი გრძელი ბეწვით აქვს შებანჯგვლული (59,58%), ან კიდევ მთელი ფეხებია ხოლმე კარგად გრძელი ხუჭუჭი ბეწვით შებანჯგვლული (29,71%).

ფეხის სიმაღლის მხრივ, თუშურ ცხვარში ძალიან დიდი სხვაობრივობა არსებობს, რასაც ქართველი მეცხვარეები კარგად არჩევენ. მათი კლასიფიკაციით აღნიშნულ ნიშანთვისებების მხრივ „კანჭ-მოკლე“ და „გრძელ-კანჭა“, ე. ი. მოკლე და გრძელფეხებიანი ცხვრები ერჩევიან.

ფეხის სიმაღლის მიხედვით (იხ. ტ. № 3) ვერძები ნერბებს $2,37 \pm 0,33$ სმ აღემატებიან.

ფეხის სიგრძე %-ულად ნაანგარიშევი, მინდაოში სიმაღლესთან, ნერბებში $63,42 \pm 0,16$ % და ვერძებში $59,70 \pm 0,50$ სმ უდრის.

ფეხზედ კარგ წარმოდგენას გვაძლევს წვივის ირგვლივი განიცი, რომელიც თუშურ ნერბებში საშუალოდ $7,33 \pm 0,02$ სმ უდრის, რაც მინდაოში სიმაღლის 12,52% შეადგენს. ვერძებში იგივე განაზომი საშუალოდ $8,58 \pm 0,07$ სმ უდრის, აქედან იგი მინდაოში სიმაღლის 13,02% შეადგენს.

როგორც მოყვანილ ციფრებიდანა ჩანს, ვერძები ნერბებს ძელის სიმსხოთი, როგორც აბსოლუტური ($1,25 \pm 0,07$ სმ), ისევე რელატივი ციფრებით აღემატებიან.

ამნაირად, თუშურ ცხვარს ახსიათებს გრძელი და სხვილი ძელიანი ფეხი.

„დუმა“. თუშურ ცხვარს კული ცხიმიანი აქვს. მისი კულის ცხიმი კულის მალათა გარშემო და აგრეთვე ისევე როგორც ეს დუმიან ცხვრებსა აქვთ, ბოყეებზედა გროვდება. ამიტომაც არის, რომ ის ამ მხრით დუმიან ცხვარს მიემსგავსება, რომელთა დუმის ვარიაციათა უმეტესობიდან, თუშური ცხვრის კულის ტიპის უმრავლესობა რიკის არსებობით განსხვავდება.¹

¹ მეტად იშვიათ გამონაკლისის გარდა ნამდვილ დუმიან ცხვრებს კულის რიკი არა აქვთ.

თუშურ ცხვარს კულის მიხედვითაც მრავალტიპურობა ემჩნევა: „ღუმის“ ის ტიპი, რომელიც დაშვებულია, „ღუმეული“-ს სახელწოდებით არის ცნობილი. „ღუმეული“ ცხვარი ზოგჯერ კულის მოყვანილობის მხრივ მაზესსა და ბალბას წააგავს. მისი სიგრძე ზოგჯერ თითქმის სახტომ სახსრამდისაც-კი ჩამოდის ხოლმე (იხ. სურ. 10).

„ღუმის“ მეორე ტიპი თითქმის მენჯის ზედაპირის გასწვრივ არის მოთავსებული, უფრო შეკრული და მტკიცე აღნაგობისა არის, ვიდრე პირველი. ქვევით დაწვევის ნიშნებით ისინი მცირე რაოდენობით გვხვდებიან, რაც ცხიმის რაოდენობაზედ არ უნდა იყოს დამოკიდებული, რადგან მე მინახავს აღნიშნული ტიპის დიდი „ღუმა“, რომელიც თითქმის ზურგის გასწვრივ არის მოთავსებული. დასახელებულ ტიპს ქართველი მეცხვარეები „კუნტულს“¹ უწოდებენ (იხ. სურ. 10, 11, 12).

„კუნტული“ „ღუმა“ ხშირად სრულიად ტიპურ ღუმას ემსგავსება, თურქის (დასაწყისიდან) არ მივიღებთ მხედველობაში. თუ ყოველსავე ზემოთქმულს მხედველობაში მივიღებთ, თუშურ ცხვრებს შორის ერთი მხრით ცხიმკუდიანი ცხვრის, ძალიან დიდი „ცხიმ-კულის“ ტიპი, ბალბასის და მაზესის მაგვარი² კული გვხვდება და მეორე მხრით კიდევ ღუმიანი ცხვრების მაგვარი ტიპებია.

ყოველივე ზემოთქმული სხვადასხვა ავტორს საშუალებას აძლევს კულის მიხედვით თუშური ცხვარი კლასიფიკაციის სხვადასხვა ჯგუფში მოათავსოს. ასე, მაგ., პროფ. ჩირვინსკი (Чирвинский, 23) ცხვრების კლასიფიკაციაში თუშურ ცხვარს ცხიმკუდიანთა განიერ კუდიანების (Platyurae) ჯგუფის D ქვეჯგუფში — ბოზახთან, ყარაბალთან და სხვებთან ერთად ათავსებს. აკად. ივანოვი (24) თუშურ ცხვარს ცხიმკუდიანთა D ჯგუფში ათავსებს. ამავე ჯგუფში, უმეტესად სრულიად შეუფასებლად, ათავსებს მას სხვა ავტორთა უმრავლესობაც. ქართველი მეცხვარეები-კი, ისევე როგორც კავკასიის სხვა მცხოვრებნი, თუშურ ცხვარს ღუმიანთა (steatopygae) ჯგუფში ათავსებენ. ღუმიანთა ჯგუფში ათავსებს (დასაბუთების გარეშე) მას აგრეთვე ზოოტექ. ქალანთარი (3).

თუშური ცხვრისა და მისი მსგავსი ამ./კავკ. ცხვრის ჯიშების კულის შესწავლის შემდეგ, პროფ. ბოგოლუბსკი (Боголюбский, 25) ყველაზე სწორ დასკვნამდე მიდის: ის თუშურ ცხვარს და იმ ჯიშებს, რომელთაც მსგავსება აქვთ კუდით მასთან, ცალკე ჯგუფში გამოჰყოფს და მათ hemisteatopygae-ს ანუ ნახევრად ღუმიანებს უწოდებს.

„ღუმეული“ და „კუნტული“ ცხვრები, დიდი და პატარა სიდიდის „ღუმის“ მქონენი არიან, ისე, რომ, რამდენადაც მათ წონაზედ თვალთ შეფასებით შეიძლება მსჯელობა, ისინი საკმაოდ დიდ ტრანსგრესიულ მწკრივს უნდა ჰქმნიდნენ, სადაც საშუალოდ, „ღუმეულები“ უფრო დიდი წონის იქნება, ვიდრე „კუნტულები“.

¹ მეცხვარეთა უმრავლესობას ახლა „კუნტულის“ სახელწოდებით ყოველგვარი ფორმის პატარა „ღუმის“ მქონე ცხოველები ჰყავს წარმოდგენილი (ასეთ „ღუმის“ ცხვრებს თურქები ჰერისკ, ე. ი. უკუდოს უწოდებენ), მაგრამ, გამოცდილ მეცხვარეთა (ცოცხალ ცხვრებზედ დაშინჯვით) დაკითხვით გამოირკვა, რომ „კუნტული“, „ღუმის“ ფორმის გამომნატველი სახელია და არა სიდიდის.

² დაკიდულ (წაგრძელებულ) ფორმის გამო.



სურ. 9. თუშური ვერძი.



სურ. 10. თუშური ვერძი.



სურ. 11. თუშური ხამი ვერძების „ღუმისა“ და რიკის ვარააციები.



სურ. 12. თუშური ხამი ვერძების „რიკის“ ვარააციები.

„ღუმეული“ ტიპის „ღუმიანი“ ნერბი 62,26% შეგვხვდა, ხოლო „კუნტული“ 37,74%¹; თუშური ვერძი „ღუმეული“ 59,09% შეგვხვდა, ხოლო „კუნტული“ 40,91%. ამნაირად, „ღუმეული“ ტიპი თუშურ ცხვარში უფრო გავრცელებულია, ვიდრე „კუნტული“, რაც ერთი მხრით შერჩევას უნდა მიეწეროს. მეორე მხრით-კი მანჯის მავარად დაკიდულ, ე. ი. თუშურ „ღუმეული“ ტიპის „ღუმის“, „კუნტული“-ს ტიპზედ დომინანტობით აიხსნება².

ქართველი მეცხვარეები „ღუმეული“ და „კუნტული“ ტიპების გარდა, ე. წ. „ღუმა-აყუდებულს“ ანუ „ღუმაღარიან“-ს და „ღუმა-დაშვებულს“ ანუ „ღუმა-კალთიან“ ცხვრებსაც არჩევენ ერთიმეორისაგან. ორივე ტიპის „ღუმა“, ე. ი. „აყუდებული“ და „ღუმა-კალთიანი“, როგორც „ღუმეული“, ისევე „კუნტული“ „ღუმის“ მქონე ცხოველებში გვხვდება. „ღუმა-აყუდებულს“ ისეთ ცხვარს უწოდებენ, რომლის „ღუმის სარკეც“ დაფარული კი არ არის, არამედ ზევით არის აწეული მთელი „ღუმის“ სიმაღლეზედ, ისე, რომ ტიტველა „ღუმის სარკეზედ“ ღრმა კარგად დამჩნეული გასწვრივი საგიტალური ღარი მკაფიოდ მოჩანს და, რიკის თავისუფალ დანამატის დასაწყისამდე, მთელი „ღუმის“ ბოლო ნაწილი სამკუთხედ ფორმას იღებს (იხ. სურ. 10 და 11) „ღუმა-დაშვებული“ ცხვრის „ღუმის სარკე“-კი არ მოჩანს (იხ. სურ. 10 და 12). „ღუმის“ ამ ორ ტიპს ზოგიერთი ქართველი მეურნე დიდ ყურადღებას აქცევდა, რადგან, როგორც ისინი გადმოგვცემენ, „ღუმა-აყუდებული“ ცხვარი ცივ და სუსხიან ზამთარს „ვერ უძლებს“-ო, თუმცა-კი, ზოგიერთი მათგანი აღნიშნულ აზრს სრულიად ეწინააღმდეგება და სანაშენოდ მეტწილად (შეძლებისდაგვარად) „ღუმა-აყუდებულ“ ვერძს სტოვებდა.

თუშური ცხვრის „ღუმის“ ყველა ტიპი ცხიმს, ბოყვებზედ და კულის გარშემო აგროვებს. ამიტომ ის ხშირად ძალიან განიერია და სქელი, რითაც მთლიანად ღუმას ემსგავსება. ყველა ტიპი შედგება ორი სიმეტრიული ნახევარსფეროსაგან, რომელიც გასწვრივად მთლიანად-კი არა, არამედ მხოლოდ „ღუმის“ სარკის მხარეს, ცხიმის ჩანთის ღარით განიყოფება, რაც თვით ცხიმზედაც საკმარის დაჭდეულ კვალს სტოვებს. „ღუმის სარკე“ ტიტველი არის, ანდა მცირეოდენად ბუსუსმორეული, შიგნით ნაწილებში-კი ჩანთა სრულიად ტიტველია. გარედგან „ღუმა“ შებუსუსლია ნორმალური მატყლით, რომელიც სხეულის სხვა ნაწილის მატყლისაგან მხოლოდ მეტი სიმქისით განსხვავდება.

„ღუმის“ ყველა ტიპს, ბოლო ნაწილში ეწყობა ჩაღრმავებული ადგილი, რომელიც შემდეგში თითქმის მენჯის ზედაპირამდე (ანდა მცირედ ქვევით) ზევით აღიმართება (აღნიშნული ადგილი არის განიერი, ცხიმის დიდი რაოდენობით შემცველი), შემდეგში ის იხრება, თანდათანობით წვრილდება და იძლევა ე. წ. კულის რიკს, ე. ი. „ღუმის“ დანამატს.

¹ უნდა აღინიშნოს, რომ მეურნეობაში, ცხვრების მიღების დროს, „ღუმის“ ტიპის მიმართ არავითარი შერჩევა არ წარმოებდა, ისე, რომ ზემომოყვანილი 1/6-ული დამოკიდებულება თუშური ცხვრის პოპულაციის ნერბებისათვის მაინც დამახასიათებელი უნდა იყოს.

² „ღუმეული“ ტიპის „კუნტულზე“ დომინანტობა ჩვენი ექსპერიმენტებით სრულიად დადასტურებულია.

რიკი „ღუმის“ ჩალრმავებული ადგილიდგან იწყება, ადის ზევით, შემდეგ იხრება. იმ ადგილიდგან-კი, საიდგანაც თავისუფალი დანამატის სახითა ჩნდება, მიემართება „ღუმის“ გასწვრივ ღარის მიმართულებით ქვევით. ასეთი „ტიპური“¹ მოხრილობის ანუ „სწორი“ რიკის გარდა, ისეთი ცხოველებიც გვხვდება, რომელთა რიკი ისევე იწყება, ადის ზევით და შემდეგ (ან დასაწყისიდანვე) ძალიან მარჯვნივ იხრება, ისე, რომ სულ მთლიანად გვერდზედაა გადაწეული. სრულიად წინ წამოუწეველივ, ზოგიერთი-კი ისევე მარჯვნივ იხრება, ხოლო ამ უკიდურეს მოხრილობას და ნორმალურს შორის საშუალო ადგილი უკავია. ასეთი ინდივიდები თუშურ ცხვრებში 20,33% შეგვხვდა. ინდივიდების უფრო მცირე რაოდენობა (5,55%) გვხვდება მარცხნივ მოხრილი რიკით, რომელიც ისეთივე ვარიაციებით არის, როგორც მარჯვნივ მოხრილი რიკის მქონე ცხოველები² (იხ. სურ. 11, 9 და 10).

ჩამოთვლილ ფორმებს გარდა, თუშური ცხვრის პოპულაციაში, რიკის კიდევ სხვაგვარ ფორმას შეგვხვდა: ასეთი რიკი იხრება ნორმალურად, იმ ადგილას, სადაც ის თავისუფალ დანამატის სახით ჩანს, სქელია და ბრტყელი (ცხიმინი), საიდგანაც ის წვერამდის მთელ სიგრძეზედ თანდათან წვრილდება, რითაც იგი სამკუთხედის ფორმას იღებს. ასეთი ფორმის რიკი მთელი სიგრძის შუა ადგილას, უმეტეს შემთხვევაში, „ღუმი“-ს ღარისაკენ არის შედრეკილი. ზოგჯერ ასეთი რიკი ღუმაზედ გამობმულის სამკუთხედი ფორმის ცხიმკულის შთაბეჭდილებას ახდენს (იხ. სურ. 12).

განსაკუთრებულად აღსანიშნავია „უდაბნოს“ საბჭოთა მეურნეობის ერთი ვერძი: მას სამკუთხედ მაგვარი ძალიან პატარა ცხიმის ჩანთა ჰქონდა, რიკი კი — გრძელი. ზედა ზედაპირზედ, რიკსა და ცხიმის ჩანთას შორის, თუშური ცხვრისათვის ეგზომ დამახასიათებელი ზღვარი, მას სრულიად არა ჰქონდა. ამნაირად, ცხიმ-კულისა და რიკის აგებულების მიხედვით ის მთლიანად „ემერული“ ცხვრის ერთ-ერთ დღევანდელ ტიპს მიემსგავსებოდა (ამის შესახებ იხილეთ ქვევით), დანარჩენი ნიშანთვისებებით-კი ის მთლიანად თუშური ცხვარი იყო.

ცოცხალი წონა. მომთაბარე მეურნის ცხოვრებაში ცხვარს სახორცე, საქონე, სამატყლე და მერძელ ცხოველის დანიშნულება ჰქონდა, ისე, რომ თუშურ ცხვარსაც ძველი მეურნის დასაკმაყოფილებლად სახორცე-სამატყლე-მერძელი მიმართულება უნდა ახასიათებდეს.

როგორც ზემოთ უკვე აღნიშნული იყო, გარეგნულით თუშურ ცხვარს, თავის პროდუქტიულობის ტიპების მიხედვით, საკმაოდ დიდი ცვალებადობა ემჩნევა, საზოგადოდ-კი მას სახორცე მიმართულება და, თუ მატყლის თვისებებსაც დავეუბნებთ, სახორცე-სამატყლე მიმართულებაც ახასიათებს. ძუძუების განვითარება და საერთოდ წველადობაზედ დაკვირვება-კი გვიჩვენებს, რომ მისი სარძევე თვისებები საშუალოდ არის განვითარებული, თუმცა-კი აქაც ვარიაციები ძალიან დიდია როგორც პლუსისკენ, ისევე მინუსისკენ.

¹ „ტიპურს“ მე ვხმარობ პოპულაციაში ყველაზედ გავრცელებულ ნიშანთვისების აღსანიშნავად.

² რიკის მოხრილობის % გამოანგარიშების დროს მოხრილობის ინტენსივობისათვის ყურადღება არ მიმიქცევია.

თუშური ცხვრის ადრეულობის, გასუქების, საკვების ანაზღაურების უნარი-სა, ხორცის ხარისხისა და გამოსვლიანობის შესასწავლად ყოფ. ცენტრალურ-ზოოტექნიკურ სადგურში აგრ. ვ. ჭიჭინაძემ აწარმოვა ცდები, რომელიც ჯერ კიდევ გამოქვეყნებული არ არის. უნდა აღინიშნოს, რომ (მართალია ამის დამადასტურებელი ციფრები ხელთ არა მაქვს) აგრ. ვ. ჭიჭინაძის პირადი განცხადებით, ამ*მხრით თუშურ ცხვარს მეტად კარგი თვისებები გამოუჩენია.

ხორცის ხარისხის მხრით ორი აზრი არ არსებობს: მას ყველა აქებს, როგორც ხორცის სითეთრის, ისევე სინაზის და გემოს მხრით. ერთი სიტყვით: ყარაჩაულთან და „იმერულ“ ცხვართან ერთად, ხორცის ხარისხით კავკასიის ჯიშთა შორის მას პირველი ადგილი უკავია. თუშური ცხვრის საკლავი წონა, როგორც ამას ქალანთარი, პროფ. კულეშოვი და აკად. ივანოვი გადმოგვცემენ, ნერბებისთვის ცოცხალი წონის 50% მცირეოდენად მეტს შეადგენს და უფრო მეტს კიდევ ვერძებისათვის¹.

თუშურ ცხვრის მთავარ ნაკლს ცოცხალი წონის სიმცირე შეადგენს, რაც უმთავრესად ინფანტილიზმით, ემბრიონიზმით, ცუდი მოვლა-კვებით და არასწორი შერჩევით არის გამოწვეული.

ჩვენი მასალების მიხედვით (იხ. ტ. № 3) თუშური ცხვრის საერთო პოპულაციის, სრულიად შეურჩევლად აწონილი, ახლად გაპარსული ნერბების ცოცხალი წონა, საშუალოდ $41,47 \pm 0,19$ კგ უდრის, ხოლო ვერძებისა-კი $58,57 \pm 0,43$ კგ. მოყვანილი ცოცხალი წონა თუშური ცხვრის საერთო პოპულაციის, ე. ი. სხედასხვაგვარ პირობებში აღზრდილ ცხვრების ცოცხალ წონას წარმოადგენს.

ცოცხალი წონის მიხედვით, თუშური ცხვრის როგორც ფარობრივი, ისევე ინდივიდური ცვალებადობა მეტად დიდია. მისი მერყეობის ფარგლები ნერბებში 28—58 კგ და განსაკუთრებულ შემთხვევებში 70 კგ-მდე აღის. ვერძების ცოცხალი წონა 42,5—72 კგ და უფრო მეტად მერყეობს, ხოლო ცალკეულ ვერძთა ცოცხალი წონა 88 და 90 კგ-მდე აღწევს.

პიგმენტაცია. სამწუხაროდ პიგმენტის ამათუიმ ტიპზედ მსჯელობის დროს %-ულ შეფარდებათა მოყვანა არ შეგვიძლიან; რადგან „უდაბნო“-ს საბჭოთა მეურნეობაში ცხვარი წინასწარ, ფარებად, პიგმენტაციის მიხედვით იყო დაყოფილი და მის მიხედვით გარკვეული წუნდადებაც იყო ჩატარებული. ამიტომ, ამათუიმ პიგმენტის სიხშირის აღსანიშნავად იძულებულნი ვიქნებით მხოლოდ სიტყვიერი განცხადებით დავკმაყოფილდეთ.

თუშური ცხვრის უმრავლესობას, თავი და ფეხები სხედასხვა სურათითა აქვს შეფერილი, ხოლო ტანი-კი, ე. ი. საპარსი ადგილები, მას თეთრი ფერისა აქვს. რაოდენობით შემდეგი ადგილი, მთელ სხეულზედ აკრელებულ ცხვარს უკავია და უკანასკნელი-კი ერთფრად შეფერილ ცხვრებს. ორი უკანასკნელი ჯგუფი, თუშური ცხვრის უმცირესობას შეადგენს.

¹ სრულიად ადგილი შესაძლებელია, რომ აღნიშნულ ავტორებს ცნობები ერთი და იგივე წყაროდგან აქვთ აღებული, ალბათ—ქალანთარისგან.

ამ სამივე ჯგუფში უმრავლესობა წითელი პიგმენტით არის შეფერილი, რომლებშიაც ადგილობრივი მოსახლეობა ბაცი ყვითელი ფერიდან მოყოლებული მწიფე შვინდისფერამდე, ფერთა ყველა გრადაციას ათავსებს. სისხირის მხრივ შემდეგი ადგილი შავ-პიგმენტთან ცხვრებს უკავიათ, და უკანასკნელი-კი მფარავი ბეწვის გარეულ, ე. ი. ზონურ შეფერვის (აგუწი) მქონე ცხოველებს. ქართველი მეცხვარეები არჩევენ აგრეთვე ე. წ. „ცივად თეთრ“ ცხვარს, რომელთა ჯგუფში ისეთ ცხვრებს ათავსებენ, რომელთაც ხშირად წითელი და იშვიათად შავი პიგმენტები კანზედ და ძალიან მცირე რაოდენობით, უმთავრესად ცხვირის მფარავ ბეწვებზედ, ანდა ფეხებზედაცა აქვთ, ხოლო ისეთი მცირე გავრცელებისა და სუსტი ინტენსივობისა, რომელიც მხოლოდ დაკვირვების შემდეგა ჩანს ხოლმე. ასეთი შეფერვის ცხოველები სისხირით შავ პიგმენტთანა მომდევნო ჯგუფში ჰყვება. გამონაკლისის სახით ისეთი ცხვრებიც არიან, რომელთაც პიგმენტთან ბეწვი სრულიად არა აქვთ, ხოლო კანის ნაწილი და თვალები-კი შეფერილი აქვთ.

ამას გარდა, ძალიან გავრცელებულია ისეთი შეფერვა, როდესაც წითელი პიგმენტის ფონზედ შავი წინწკლები არსებობენ. ასეთი ცხოველები წითელ-პიგმენტთანა ჯგუფის უმრავლესობას შეადგენს და რადგან ის ზერეულე შეხედვით სრულიად არა ჩანს, არამედ მისი დანახვა მხოლოდ დაწვრილებითი დაშინჯვის შემდეგ არის შესაძლებელი, ამიტომ ის სათანადო ლიტერატურაში არსად არ არის მოხსენებული. ისეთი ცხვრები-კი, რომელთაც წითელსახეზედ აშკარა შავი ზოლები აქვთ, იშვიათ მოვლენას წარმოადგენს; „უდაბნო“-ს მეურნეობაში სულ 3 სული ცხვარი შეგვხვდა, რომელთაც წითელი თავი ჰქონდათ, ხოლო სათვალეები და ცხვირი შავი, ერთს-კი ყბებზედ შავი ზოლებიცა ჰქონდა. ასეთივე შეფერვის ცხვრები, საქართველოს სხვადასხვა კუთხეში არსებობენ.

მეტად იშვიათად არსებობს აგრეთვე ლურჯი ფერის პიგმენტი (შემხვდა ბორჩალოს მაზრაში), რომელიც თეთრსა და შავ ბეწვთა გარკვეული კომბინაციით შერევისაგანაა გამოწვეული.

აღსანიშნავია აგრეთვე ის გარემოება, რომ მთელი სიცოცხლის განმავლობაში, ზოგიერთი შავ-პიგმენტისანი ცხვარი არ ჭალარავდება და ზოგიერთი კი ჰასაკის ზრდასთან ერთად ჭალარავდება.

წითელ-პიგმენტისანი ბატკანთა ერთ ნაწილს მატყლი მთლიანად უთეთრდება. მთლიანად შეფერილ ცხვრებში ისეთი ინდივიდები გვხვდება, რომელთაც კეფა და კულის რიკი თეთრი აქვს. კეფის სითეთრეს უმეტეს შემთხვევაში რიკის სითეთრე თანა სდევს, ხოლო იშვიათად გვხვდება ისეთებიც, რომელთაც კეფა თეთრი აქვს და რიკი-კი შავი, ანდა შებრუნებით. ამნაირად, სხეულის ამ ორი ნაწილის თეთრი ფერის არსებობა, უსათუოდ ერთი მეორეს თან არ სდევს. ასეთივე სურათი შეგვხვდა „იმერულ“ ცხვარშიაც. საინტერესოა იმის აღნიშვნა, რომ როგორც კეფის, ისევე რიკის სითეთრის სხეულზედ გავრცელების ფარგლები, მეტად დიდ ცვალებადობას განიცდის, ამ ორგანოთა ოდნავ შესამჩნევ სითეთრიდგან დაწყებული, კეფისა (კისრამდე) და „დუმი“-ს (ზოგჯერ მენჯებამდეც-კი) მთლიან სითეთრენდე მთელ რიგ გარდამავალ საფეხურებსა ვხვდებით.



სურ. 13. თუშური ცხვრის პიგმენტის ვარიაციები.



სურ. 14. თუშური ცხვრის პიგმენტის ვარიაციები.

ასეთგვარი სიჭრელე პროფ. ადამეციით (31) კარაყულეებში რეცესიული ბუნებისაა, ხოლო პროფ. ვასინი-კი (32) იგი დომინანტური ბუნების უნდა იყოს. ჩვენი დაუშთავრებელი ექსპერიმენტების მიხედვით თუშურ ცხვარში იგი უფრო დომინანტური ბუნებისა უნდა იყოს ვიდრე რეცესიულის, თუმცა-კი მის საბოლოოდ დასადასტურებლად სათანადო ექსპერიმენტებია საჭირო. პროფ. ადამეცი (31) მის დიდ ცვალებადობას დომინანტურ გამაძლიერებელსაც აწერს.

სრულიად თეთრი ტანის თუშურ ცხვარში გვხვდება აგრეთვე თავისა და ფეხების ძლიერი სიჭრელე. ასეთი სიჭრელე გარკვეულ სურათს კი არ იძლევა, არამედ სხეულის დასახელებულ ნაწილებზედ უსწოროდ არის გაფანტული.

წითელი და შავი ფერის „საყელო“-ს არსებობა თუშურ ცხვარში არ არის იშვიათი მოვლენა. სრულიად თეთრ ცხვრებს კეფის შემდეგ ყელზედ და კისერზედ აქვთ წყვეტილი, ანდა მთლიანი შავი ან წითელი ზოლი შემოვლებული. „საყელო“-ს სიდიდე მთლიანი ზოლიდგან დაწყებული სრულიად უმნიშვნელო სივრცის მქონე ნაგლეჯამდე მიდის, ისე, რომ სიდიდის მიხედვით ის შეტად დიდ ცვალებადობას განიცდის.

შავი ან წითელი ფერის ცხვარზე გვხვდება, თეთრი „საყელო“, რომელსაც სხვა ჯიშის ცხვრებში ვასინი (32) დომინანტურ ბუნებას აწერს.

ცხვირი, მცირე, ოდნავ შესამჩნევ ლაქებიდგან დაწყებული, ცხვირის ძვლების ფუძემდებ შეფერილი. თვალები, თვალის ქუთუთოზედ არსებულ წინწყლიდან მოყოლებული ყოველგვარი გრადაციებით, ჯერ უფორმო და წყვეტილ, ხოლო შემდეგ სწორ და კარგად მოყვანილ „სათვალეებად“ ყალიბდება, ხოლო ზოგიერთ ინდივიდებში-კი მისი სიდიდე იქამდის მიდის, რომ შუბლზედ პატარა ვიწრო ზოლი-ლა რჩება. თვალებისა და ცხვირის ლაქების განვითარება ზოგიერთ ინდივიდში ურთი-ერთ შეერთებამდეც-კი მიდის. „სათვალეები“ ცხვართა უმეტეს ნაწილს ორსავე თვალზედ სიმეტრიულად აქვთ განვითარებული, ხოლო განსაკუთრებულ შემთხვევებში მთლიან ასიმეტრიასაც ვხვდებით, ე. ი. მას ერთი თვალის გარშემო „სათვალე“ სრულიად არა აქვს, ხოლო მეორეზე-კი კარგად არის გამოსახული.

თუშურ ცხვარში, ზემოაღნიშნულ ვარიაციებით, წითელი და შავი სათვალეები, ძალიან გახშირებულ მოვლენას წარმოადგენს.

სახტომი სახსრები და რედუცირებული თითების ადგილები, უმეტეს შემთხვევაში შეფერილი აქვს, თვით ფეხები-კი გაფანტული ლაქებით, მთლიან არეზედ არსებულ თეთრი ზოლებით ან წვრილი წინწყლებით არის შეფერილი.

გარდა ყველა ზემოჩამოთვლილ შეფერვისა, თუშურ ცხვარს სრულიად თეთრ ტანზედ, ყელამდე შავი ან წითელი ფერის თავი აქვს. ასეთი შეფერვა თუშურ ცხვარში არ არის გავრცელებული მოვლენა. ასეთი შეფერვით თუშური ცხვარი მონოლოურსა და სომალის (აფრიკული ცხვარი) ცხვარს ემსგავსება. იშვიათად გვხვდება აგრეთვე თავის გარეული („აგუწი“) შეფერვა.

ისეთ ცხვრებს, რომელთაც თავი და ფეხები წითელი ან შავი პიგმენტითა აქვთ შეფერილი, სრულიად თეთრ მატყლში ზოგჯერ წითელი ან შავი ბეწვები გამოერევა ხოლმე. ასეთ ბეწვთა ამოსვლის ადგილის დაშინჯვით ირკვევა, რომ თუშურ ცხვარს ამ ადგილებზედ უმეტესად კანიც შეფერილი აქვს.

ტანზედ სხვადასხვაგვარ სიჭრელის სურათებთან ერთად, თუშურ ცხვარში მხართან, შავი ან წითელი ლაქებიცა გვხვდება. ასეთ ლაქების არსებობას შინაურ ცხვრებში პროფ. ადამეცი (Adamez, 34) *Ovis Wignei*-ს ჯგუფის დამახასიათებელ თვისებად სთვლის.

ამნაირად, ისევე როგორც ეს სხვა ნიშანთვისებების შესწავლამ დაგვარწმუნა, პიგმენტაციის მიხედვითაც თუშური ცხვარი მეტად მრავალტიპური და ჯიშურად გაუთანაბრებელია.

დასკვნა. თუშური ცხვრის გარეგნულის შესწავლას შემდეგ დასკვნამდე მივყევართ:

1. ადგილობრივ ცხვრების მატყლისა და ზოგჯერ ხორცის ხარისხის გასაუმჯობესებლად (ზოგჯერ სიდიდის მოსამატებლადაც), თუშური ცხვარი, ცალკეულ ინდივიდებისა, ნოტოებისა და ფარების სახით, თითქმის მთელს კავკასიაშია გავრცელებული.

2. აღმოსავლეთ სქართველოს სხვადასხვა კუთხეში, გეოგრაფიულ მდებარეობისა და მოსახლეობის ეთნოგრაფიული შემადგენლობის მიხედვით, ერთიანი იმევე „ჯიშის“ სახელით. გაერთიანებული, ხოლო ურთიერთ შორის სამეურნეო და ზოოლოგიური ნიშანთვისებებით ცოტად, თუ ბევრად განსხვავებული თუშური ცხვარი არსებობს.

3. გარეგნულის შესწავლას იმ დასკვნამდე მივყევართ, რომ თავის გავრცელების სივრცეზე თუშური ცხვარი მეტად მრავალტიპურია (იხ. ცხვრის თავი, რქები, კისერი, სიმაღლე, სხეული, ფეხები; „ღუმა“ და პიგმენტაცია).

4. ცხვრების კლასიფიკაციის საფუძვლად დადებული ორგანო კული თუშურ ცხვარს სხვადასხვაგვარი აქვს. მასში ვხვდებით: ბალბას-მაზეხის და ყარაბალ-ბოზახის „ღუმი“-ს ტიპებს (რომელიც ზოგჯერ ნამდებლ ღუმას წააგავს). მთავარი ის არის, რომ თუშური ცხვრის კული არას გზით არ ჩაითვლება ცხიმკულიანად, რადგან, კულის მაღაია გარდა, მას ცხიმი, ნამდვილღუმიანთა ანალოგიით, ბოყებზედაცა აქვს დაგროვილი.

ამიტომ, თუშური და მისმაგვარი „ღუმის“ მქონე ა-კ. ცხვრის ჯიშები, კულიან ცხვრებიდან უფრო მკვეთრად განსხვავდებიან, ვიდრე ღუმიანებისაგან, რომელთაგანაც ზოგჯერ მხოლოდ რიკისა და მისი მკვეთრი დასაწყისის არსებობით განირჩევიან.

თუშური და მისმაგვარი „ღუმი“-ს მქონე ცხვრები ღუმიანებსა და ცხიმკულიანებს შორის გარდამავალი ტიპის კულით ხასიათდებიან, რისთვისაც მათ ნახევრად-ღუმიანები (*hemisteatophgae*) შეიძლება ეწოდოს.

5. წარმოშობის თვალსაზრისით ფრიად საყურადღებო ნიშანთვისებებია რქები, რომელნიც თუშურ ცხვარს, ხვეულის ღერძის მიმართულებისა, ხვეულის სიდიდისა და ფორმისა, თვით რქათა სიდიდისა და სხვათა მიხედვით მრავალგვარი აქვს.

მრავალტიპურობას ჰქმნის აგრეთვე რქიან ცხვრებთან ერთად სრულიად ურქო და ჩანასახი რქების მქონე ცხვართა არსებობაც.

6. მრავალტიპურია თუშური ცხვარი აგრეთვე ცოცხალი წონის მიხედვითაც (იხ. ცოცხალი წონა).

7. გარეგნულის შესწავლა და შერევილი ცნობები თუშური ცხვრის რთულ ჰიბრიდულ წარმოშობასა მოწმობს. აღნიშნული გარემოება მტკიცე დასაყრდენსა პოულობს საქართველოს გეოგრაფიულ მდებარეობასა და ქართველი ერის ისტორიაში.

2. „იმერული“ ცხვარი

„იმერული“ ცხვრის თავი. თავის მოყვანილობის მხრივ თუშურ ცხვარზე უფრო მეტ კონსტანტობას შეუტრეველ რაიონის „იმერულ“ ცხვრებში ვხვდებით, თუმცა-კი ვარიაციები აქაც საკმაოდ დიდია.

„იმერული“ ცხვრის უმრავლესობას ყბები (65,90%) მოკლე მფარავი ბეწვითა აქვს დაფარული. 25%-ს ყბები მატყლის პატარა ბეწვებით მცირედ აქვს შებუსული, ხოლო 9,09%-ს შებუსვა-კი საკმაოდ დამაკმაყოფილებელია. საუკეთესოდ შებუსულ ყბებს „იმერული“ ცხვრის შეუტრეველ პოპულაციაში არც ერთს არ შეეხვედრებართ. თავზე ქოჩორი „იმერული“ ცხვრის 45,71%-ს სრულიად არა აქვს, 27,14%-ს პატარა ქოჩორი აქვს და ამდენსავე ინდივიდს (27,14%) დიდი ქოჩორი აქვს.

ცხვირი და სახის ნაწილი მათ მოკლე მფარავი ბეწვითა აქვთ დაფარული.

თავის შებუსულობის საერთო შეფასებით; ასეთ სურათს ვხვდებით: 49,46% შეუბუსავი, 31,13% მცირედ შებუსული და 19,35%-კი დამაკმაყოფილებლად არის შებუსული. ძალიან კარგი თავის შებუსულობით არც ერთი ცხვარი არ შემხვედრია, ისე რომ, თუ შებუსულობას უფრო ზოგადად შევაფასებთ, მაშინ ცხადი გახდება, რომ შეუტრეველ რაიონში „იმერული“ ცხვარი ქოსა თავითა ხასიათდება.

შუბლის ნაწილი, თავის უმაღლეს წერტილიდან ცხვირის ძვლებსაკენ თანდათანობით, ან ოდნავ, ან ძალიან არის ჩაზნექილი (80,43%). შუბლი მთლიანად სწორე აქვს 17,00%-ს, ხოლო 1,08%-ის შუბლი ოდნავ ამობურცულია (თითქმის სწორე).

ურქო ცხვრებს კეფის ნაწილი, ზედა მხრიდან, სამკუთხი ფორმისა აქვს, რქების ადგილას ღრმა ორმოებით და შუაში სამკუთხის მაგვარად მკვეთრი ამობურცულობით.

შეუტრეველ რაიონის „იმერულ“ ცხვარში ხმელი თავი სულ 36,95% ჰქონდა, 33,69% უფრო ხორციანი და მძიმე თავი აქვს, ხოლო 29,34% თავი საშუალოა. 50,00%-ის თავი საშუალო სინაზისაა, 31,12% თავი უხეში აქვს და 18,88% ნახი თავი აქვს.

„იმერული“ ცხვრის უმრავლესობის (47,77%) ცხვირს პატარა კუხი აქვს, 25,55%-ის ცხვირი შესამჩნევად კუხიანია, 7,77% ცხვირი-კი ძალიან კუხიანია. ამნაირად, „იმერული“ ცხვრის უმრავლესობა კუხიანი ცხვირითა ხასიათდება.

„იმერული“ ცხვრის უმრავლესობას (92,96%) თვალები მკვეთრად ამობურცული და ცოცხალი აქვს, 7,01% თვალები-კი, თავთან შედარებით, გვერდზედ მდებარეობს.

ქალანთარით (3) „იმერული“ ცხვრის თავის სიგრძე 21—22 სმ უდრის. ჩვენი განაზომებით, კიათურის რაიონის (ე. ი. „იმერული“ ცხვრის გავრცელების ყველაზედ შეურეველი რაიონის) „იმერული“ ცხვრის თავის სიგრძე 18—22 სმ მერყეობს და საშუალოდ $20,80 \pm 0,07$ სმ უდრის. ზესტაფონის რაიონის ცხვრების თავის სიგრძე 19—23 სმ მერყეობს და საშუალოდ $21,06 \pm 0,16$ სმ უდრის. ქუთაისის რაიონის¹ ნერბების იგივე განაზომი საშუალოდ $21,00 \pm 0,10$ სმ უდრის, მერყეობის ფარგლებით 19—24 სმ.

ამგვარად, თავის სიგრძის აბსოლუტური ზომით, კიათურის, ქუთაისისა და ზესტაფონის რაიონის ცხვრები, საშუალოდ, ერთიმეორისაგან არ განსხვავდებიან.

თავის სიგრძე $\frac{1}{100}$ -ულად ნაანგარიშევი, მინდაოში სიმალლესთან, რაიონების მიხედვით შემდეგ სურათს გვაძლევს:

1.	„იმერული“ ცხვარი	კიათურის რაიონიდან	38 $\frac{1}{100}$
2.	„	„ ზესტაფონის	„	36 „
3.	„	„ ქუთაისის	„	36 „

ამნაირად, ზესტაფონისა და ქუთაისის რაიონის „იმერული“ ცხვრები, ამ ინდექსით თანაბარნი არიან, მაშინ როდესაც კიათურის რაიონის ცხვრები ამავე ინდექსით მათ $2\frac{1}{100}$ აღემატებიან.

„იმერული“ ცხვრის შუბლის სიგრძე, სამ შესწავლილ რაიონისათვის შემდეგ სიდიდითა ხასიათდება:

			M \pm m
1.	„იმერული“ ცხვარი	კიათურის რაიონიდან	—10,76 \pm 0,10 სმ
2.	„	„ ზესტაფონის	„ —10,35 \pm 0,20 „
3.	„	„ ქუთაისის	„ —10,21 \pm 0,11 „

როგორც აქ მოყვანილი ციფრებიდან ცხადი ხდება, ზესტაფონისა და კიათურის ცხვრები შუბლის სიგრძის მიხედვით თანაბარი არიან. თანაბარი სიგრძის შუბლი აქვთ აგრეთვე, ზესტაფონისა და ქუთაისის ცხვრებს, ქუთაისის ცხვარი-კი კიათურის ცხვარს შუბლის სიგრძის მიხედვით მხოლოდ $0,55 \pm 0,14$ სმ ჩამორჩება.

შუბლის სიგრძე $\frac{1}{100}$ -ულად ნაანგარიშევი, თავის სიგრძესთან, რაიონების მიხედვით შემდეგი სიდიდითა ხასიათდება:

1.	„იმერული“ ცხვარი	კიათურის რაიონიდან	—51,73 $\frac{1}{100}$
2.	„	„ ზესტაფონის	„ —49,14 „
3.	„	„ ქუთაისის	„ —48,61 „

ამნაირად, შუბლის სიგრძის შეფარდებითი სიდიდით ზესტაფონისა და ქუთაისის² „იმერული“ ცხვრები თანაბარნი არიან, ხოლო კიათურის ცხვრები მათ 2,6—3,1 $\frac{1}{100}$ აღემატებიან.

¹ ქუთაისის რაიონში ცხვარი მხოლოდ ერთ საბჭოშია გაზომილი, ისე რომ ქუთაისის რაიონის სახელს მას პირობით ვუტოვებთ.

² მტვი სიმოკლისათვის რაიონის ცენტრს სიტყვა რაიონი აღარ ექნება დამატებული, მაგ. კიათურაში მთელი კიათურის რაიონია ნაგულისხმევი და ა. შ.

როგორც გაზომვის სიზუსტის, ისევე საზოგადოდ უფრო მეტი სიწყარის მხრით, შუბლის სიგრძეზედ დამახასიათებელი შუბლის სიგანის განაზომებია, რომლის საშუალო ოდენობებიც 3 დასახელებულ რაიონისათვის შემდეგ სურათს გვაძლევს:

		M ± m
1.	„იმერული“ ცხვარი ჭიათურის რაიონიდან	—10,31 ± 0,05 სმ.
2.	„ „ ზესტაფონის „	—10,71 ± 0,08 „
3.	„ „ ქუთაისის „	—10,56 ± 0,06 „

ამნაირად, ჭიათურის „იმერულ“ ცხვრებს, ზესტაფონის ცხვრებთან შედარებით, 0,40 ± 0,09 სმ უფრო ვიწრო შუბლი აქვთ. ხოლო ქუთაისის ცხვარი ჭიათურის ცხვრებს 0,25 ± 0,09 სმ აღემატება, მაშინ, როდესაც ზესტაფონისა და ქუთაისის რაიონის ცხვრები ამ განაზომის მხრივაც ურთი-ერთ შორის თანაბარნი არიან.

„იმერულ“ ცხვარში შუბლის სიგანე $\frac{1}{6}$ -ულად ნანაგარიშვევი, თავის სიგრძესთან, რაიონების მიხედვით შემდეგგვარად ცვალებადობს:

1.	„იმერული“ ცხვარი ჭიათურის რაიონიდან	—49,5% ₆
2.	„ „ ზესტაფონის „	—50,85 „
3.	„ „ ქუთაისის „	—50,28 „

ამნაირად, რელატივადც შუბლის სიგანე ჭიათურის ცხვრებს უფრო ვიწრო აღმოაჩნდათ, ვიდრე ზესტაფონისას, უკანასკნელნი-კი ამ ინდექსის მიხედვით ქუთაისის ცხვრების თანაბარნი არიან.

როგორც ყოველივე ზემოთქმულიდან ირკვევა, თავისა და შუბლის სიგრძე რელატივად ჭიათურის ცხვრებს უფრო გრძელი აღმოაჩნდა, ვიდრე ზესტაფონისა და ქუთაისის ცხვრებს, შუბლის სიგანე-კი რელატივად ქუთაისის და ზესტაფონის ცხვრებს უფრო დიდი აქვთ ვიდრე ჭიათურისას.

აღნიშნულ განსხვავებების მიზეზი შემდეგი უნდა იყოს: როგორც ამის შესახებ თავის ადგილას უკვე იყო საუბარი, ჭიათურის რაიონის ცხვრებს სხვა ჯიშის ცხვრების უშუალო გავლენა არ ეტყობათ ისე, რომ ის უფრო შეურეველი სახით უნდა იყოს შენარჩუნებული. აღნიშნულ გარემოებას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ არც ერთ ჩვენ მიერ შესწავლილ თემში სხვა ჯიშის ცხვარს არ შევხვედრივართ, ამასვე ადასტურებენ ადგილობრივი მცხოვრებნიც. სამაგიეროდ ზესტაფონისა და ქუთაისის რაიონის ცხვრის მთავარ მასაში ხშირად აშკარა ჰიბრიდული წარმოშობისა და შეურეველი ჯიშის თუშური ვერძები გვხვდება. მართალია, მასალის დამუშავებაში აშკარა ჰიბრიდული ცხვრები არ შემიტანია, მაგრამ საზოგადოდ მთლიან მასაზე თუშური ცხვრის გავლენა აშკარა უნდა იყოს.

ყოველივე ზემოთქმულის ცხადყოფის მიზნით მოვიყვანოთ თავის განაზომთა ინდექსების შედარებითი ტაბულა:

რიგის №	ჯ ი შ ი	რაიონი	თავის სიგრძე	შუბლის სიგრძე	შუბლის სიგანე	შუბლის სიგანე
			სიმ. მინ-დაოში	თავის სიგრძე	თავის სიგრძე	შუბლის სიგრძე
1	„იმერული“	ქიათურის	38,50 %	51,73 %	49,5 %	95,81 %
2	„	ზესტაფონის	36,19 „	49,14 „	50,85 „	103,47 „
3	„	ქუთაისის	36,71 „	48,61 „	50,28 „	103,42 „
4	თუშური	აღმ. საქართ.	36,77 „	47,68 „	50,72 „	106,25 „

როგორც ამ ტაბულრიდან ჩანს, თავის სიგრძის, შუბლის სიგრძისა და შუბლის სიგანის რელატივი ღირებულებით, ზესტაფონისა და ქუთაისის ცხვრები თუშურ ცხვართან ხშირად მთლიან მსგავსებას იჩენენ, ხოლო ქიათურის ცხვრები მათგან განსხვავდებიან.

ერთი სიტყვით, ყოველივე ზემოთქმული იმას ადასტურებს, რომ თავის-სიდიდისა და ფორმის მხრივ, ქიათურის რაიონის „იმერული“ ცხვარი ორიგინალური და თუშურ ცხვართან შეუტრეველია, მაშინ როდესაც ზესტაფონისა და ქუთაისის რაიონის ცხვრებს თუშური ცხვრის გავლენა აშკარად ეტყობათ.

ყ უ რ ე ბ ი. ყველა რაიონის ცხვრების ყურები მფარავი ბეწვით არის დაფარული. თუმცა ასეთი ტიპის ყურები თუშური ცხვრის უმრავლესობას ახასიათებს, მაგრამ საზოგადოდ უკანასკნელი უფრო უკეთაა შებუსული, ვიდრე „იმერული.“

ქიათურის ცხვრებში, მოკლეყურიანი ინდივიდები (ე. ი. ჰეტეროზიგოტები უყურობის გენის მიმართ) 10,98 % შეგვხვდა, დანარჩენ 89,02 % ნორმალური ყური ჰქონდა. სრულიად უყურო ინდივიდი ქიათურის რაიონში არც ერთი ცხვარი არ შეგვხვედრია. ქუთაისის რაიონში ნორმალურ ყურიანთა %-ი 94,44 უდრის, ხოლო მოკლეყურიანები სულ 5,55 %. სრულიად უყურო ცხვარი არც ამ რაიონში შეგვხვედრია. სამაგიეროდ ზესტაფონის რაიონში უყუროთა % 6,33-ს აღწევს, მაშინ, როდესაც მოკლეყურიანები მასში 15, 3%-ია, ნორმალური ყური-კი 78,34 % აქვს.

რადგან უყურობა დომინანტური ბუნებისაა, მისი გამომწვევი გენი „იმერულ“ ცხვარში დიდი ხნის წარმოშობილი რომ ყოფილიყო, ის შედარებით შეუტრეველად მოშენების, ე. ი. ქიათურის რაიონის ცხვარშიც ძალიან იქნებოდა გავრცელებული. ქიათურის რაიონში მისი მცირე გავრცელება, ზესტაფონში-კი ზრდა, ამ გენის აჭარულ ცხვრებიდან შემოტანის მაჩვენებელია. მისი ქიათურის რაიონში წარმოშობა-კი ზესტაფონის რაიონიდან შეტანით უნდა იყოს გამოწვეული.

„იმერული“ ცხვრის უმრავლესობას დაშვებული (66,66 %) და წვერებში წაწვეტილი (55,88 %) ყურები აქვს. 44,1 % ბლაგვი და 25,55 % ჰორიზონტური ყურები აქვთ. ხოლო უმცირესობას (7,77 %) ყურები დაკვეცილი უჭირავს.

ყურებზედ „საყურები“ ქიათურაში არც ერთ ჩვენ მიერ შესწავლილ ცხვარს არა ჰქონდა. ზესტაფონისა და ქუთაისის ცხვრების 96,72 % „საყურე-

ები“ აგრეთვე არც ერთ ყურზედ არა ჰქონდა, 1,65 % „საყურე“ ერთ ყურზედა ჰქონდა, 1,63 % „საყურეები“ ორსავე ყურზედა ჰქონდა. ამნაირად, ქუთაისისა და ზესტაფონის რაიონებში „საყურეები“-ანი სულ 3,28 % ცხვარი აღმოჩნდა, ე. ი. „საყურეები“-ან ცხვართა რაოდენობით ისინი თუშურ ცხვარს მცირედ სქარბობენ კიდევ. ყურებზე „საყურეები“-ს არსებობა რეცესიული ბუნებისაა, ისე, რომ მისი გამომჟღავნება მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როდესაც „საყურეები“-ს აღმძვრელი ორი ფაქტორი შეხვდება ერთი მეორეს. ასეთი რამ-კი უფრო ხშირად იქ მოხდება, სადაც მეტი ნათესაური მოშენება არსებობს. ამიტომაც არის, რომ, თუ-კი ზესტაფონის რაიონში „საყურეები“-ს ფაქტორი თუშურმა, ან აჭარულმა ცხვარმა შეიტანა, ნათესაური მოშენების წყალობით „საყურეები“-ანი ცხვარი იქ უფრო მეტი წარმოიშობოდა, ვიდრე თუშურში. ¹

ყურის სიგრძის მიხედვით, „იმერული“ ცხვარი შესწავლილ რაიონებში შემდეგგვარად ცვალებადობს:

$$M \pm m.$$

1. „იმერული“ ცხვარი ჭიათურის რაიონიდან — $9,85 \pm 0,12$ სმ.
2. „ „ ზესტაფონის „ — $11,15 \pm 0,25$ „
3. „ „ ქუთაისის „ — $11,00 \pm 0,16$ „
4. თუშური ცხვარი აღმოს. საქართველოდან — $12,42 \pm 0,07$ „

ამნაირად, ჭიათურის ცხვრები, ზესტაფონის ცხვრებზე $1,30 \pm 0,27$ სმ და ქუთაისისაზედ-კი $1,15 \pm 0,20$ სმ მოკლესურიანი არიან, მაშინ როდესაც ზესტაფონისა და ქუთაისის ცხვრები ამ განაზომითაც თანაბარნი არიან.

ქუთაისისა და ზესტაფონის ცხვრებს, ყურის სიგრძით, თუშურ ცხვარსა და ჭიათურის ცხვრებს შორის გარდამავალი ადგილი უკავიათ, რაც დასახელებულ რაიონებში თუშური ცხვრის გავლენას ერთხელ კიდევ ადასტურებს.

ყურის სიგრძე % -ულად ნაანგარიშევი, თავის სიგრძესთან შემდეგი მაჩვენებლებით ხასიათდება:

1. „იმერული“ ცხვარი ჭიათურის რაიონიდან — 47,35 %
2. „ „ ზესტაფონის „ — 52,94 „
3. „ „ ქუთაისის „ — 52,38 „
4. თუშური ცხვარი აღმოსავლეთ საქართველოდან — 57,68 „

როგორც აქ მოყვანილი ტაბულიდან ცხადი ხდება, ჭიათურის ცხვარი რელატივად ყველაზედ მოკლესურიანი გამოდგა. იგი მეტად მკვეთრად განსხვავდება ამ ნიშანთვისებების მხრით თუშურ ცხვრიდანაც. ხოლო ზესტაფონისა და ქუთაისის ცხვრებს, ჭიათურისა და თუშურ ცხვრებს შორის, გარდამავალი ადგილი უკავიათ.

ამნაირად, როგორც აბსოლუტურ, ისევე შეფარდებითი სიდიდეების მიხედვით, ზესტაფონისა და ქუთაისის ცხვრების ყურის სიგრძეზედ თუშური ცხვრის გავლენა აშკარადა ჩანს, ხოლო ჭიათურის რაიონის ცხვარი ამ ნიშანთვისების მხრივაც ორიგინალურია.

¹ „იმერულ“ ცხვარში უმეტესად მჭიდრო ნათესაური მოშენება არსებობს, მაშინ, როდესაც თუშურში ეს იშვიათი მოვლენაა.

ყურის სიგანის აბსოლუტური ციფრები რაიონების მიხედვით შემდეგ სურათს გვაძლევს:

		$M \pm m$
1.	„იმერული“ ცხვარი	ჭიათურის რაიონიდან — $5,71 \pm 0,04$ სმ.
2.	„ „	ზესტაფონის „ — $6,34 \pm 0,15$ „
3.	„ „	ქუთაისის „ — $6,01 \pm 0,08$ „
4.	თუშურ ცხვარი	აღმოსავლეთ საქართველოდან — $7,24 \pm 0,04$ „

როგორც მოყვანილ ციფრებიდან ჩანს, ზესტაფონის და ქუთაისის ცხვარი, ჭიათურის ცხვრებიდან რეალურად განსხვავდება. რეალურადვე განსხვავდებიან ყველა რაიონის „იმერული“ ცხვრები თუშურ ცხვრებიდან. ხოლო ზესტაფონისა და ქუთაისის ცხვრებს ყურის სიგანის მიმართ ჭიათურის „იმერულ“ ცხვარსა და თუშურ ცხვარს შორის გარდამავალი ადგილი უკავია.

ამნაირად, როგორც თავის, ისე ყურის განაზომებსა და სტრუქტურულნიშანთვისებების მიხედვით, ზესტაფონისა და ქუთაისის რაიონების „იმერულ“ ცხვრებს თუშური ცხვრით ჰიბრიდიზაციის გავლენა აშკარად ემჩნევათ. ჭიათურის რაიონის „იმერული“ ცხვარი-კი თავის ორიგინალობით ცალკე გამოირჩევა.

რ კ ე ბ ი . ვერძს, დასავლეთ საქართველოში, სამწუხაროდ, ერთი წლის ასაკამდე ჰკოდავენ. ერთნახევარი წლის ასაკის შემდეგ-კი „იმერული“ დაუკოდავი ვერძის ნახვა მეტად იშვიათ მოვლენას წარმოადგენს. ამიტომაც არის, რომ არც აღწერილობით და არც განაზომებით „იმერული“ ვერძის რქები წინამდებარე წერილში დამაკმაყოფილებლად არ არის წარმოდგენილი.

„იმერული“ ნერბები უმეტესად ($52,94 \%$) ურქონი არიან, $30,58 \%$ -ს რქები ჩანასახის სახითა აქვთ და $16,47 \%$ რქიანი ინდივიდები არიან.

რადგან ჭიათურის ცხვრები სხვა ჯიშის ცხვრების პირდაპირ შერევისაგან უფრო დაცულნი არიან, ამიტომ უპირველეს ყოვლისა, ამ რაიონის ვერძების რქების დახასიათება იქნება მოყვანილი. რადგან მასალის სიმცირე, მათ დაჯგუფების საშუალებას არ გვაძლევს, ამიტომ ისინი უმეტესად ცალკე-ცალკე იქნებიან განხილულნი.

ჭიათურის რაიონში 1 წლის ვერძი ერთი სული შეგვხვდა, რომელსაც რქები პატარა ჰქონდა და ისიც პერვერტიული ხვეულისა. მისი რქები ჩვეულებრივად იწყება და პირველად უკან გადაწევის შემდეგ, გარედგან შიგნით ერთიმეორისაკენ იხრებიან.¹

ერთი სული $1\frac{1}{2}$ წ. ვერძი ვნახეთ, რომლის რქებიც დასაწყისიდან უკან და მალე მიიმართებოდა, შემდეგ ის ძირს იხრებოდა, საიდანაც განზედ იწეოდა და ვიწრო ჰპირალს აკეთებდა. წვერები მას განზედა და ზევითა ჰქონდა აწეული (ასეთი რქები გამონაკლისის სახით თუშურ ცხვრებშიაც გვხვდება).

დანარჩენი 7 ვერძი ($1-1\frac{1}{2}$ წლის), ქედილა ($1\frac{1}{2}$ წლ.) და ერთი ქედილაც ($2-2\frac{1}{2}$ წლ.) რქების ხვეულობის, მოყვანილობისა და სხვათა მიმართ

¹ სამწუხაროდ, ექსპედიციის განმავლობაში გაგრძელებულმა გამუდმებულმა წვიმებმა (განსაკუთრებით ჭიათურის რაიონში მუშაობის დროს). ფოტოსურათის გადაღების საშუალება არ მოგვცა.

სრულიად იდენტიურნი იყვნენ. ამათი რქები დასაწყისიდან საგრძნობლად უკან და მცირედ მაღლა მიიმართება, შემდეგ აკეთებს ნახევარ რკალს (ხშირად ნახევარ-ზედ მეტსაც) და წვერებით ზევით, თვალის მიმართულებით არის ახრილი. რქები მთელი სიგრძის მანძილზე თავთან ახლოს იმყოფება. ასეთი ტიპის რქები სულ მთლიანად ძველ ასურეთის ბარელიეფზედ გამოქანდაკებულ ცხვრების რქებს ემსგავსება. არც უკან გადაწევისა (დასაწყისიდან) და ზევით აწევის მხრივ, არც ხვეულის ტიპითა და მიმართულებით მათ შორის არავითარი განსხვავება არ არსებობს. ასეთივე ტიპის რქები გვხვდება, მღვიმის დედათა მონასტრის ცხვრის ქანდაკებაზედ (XII საუკუნე), სოფ. სათხის (ბოგდანოვკის რაიონი) საფლავის ქვის ქანდაკებაზე და სხვა ქანდაკებებზედაც. ძველ ასურულ ბარელიეფთან მსგავსების გამო, ასეთი ტიპის რქებს შემდეგში, პირობით, ყველგან „ძველი ასურული“ ტიპის რქებს ვუწოდებთ.

ზესტაფონში „ძველასურულ“ ტიპის რქები სოფ. ზემო კვალითში (სადაც ნარევი, მაგრამ რაიონის ფარგლებში შედარებით ყველაზედ შეურეველი „იმერული“ ცხვარია) მხოლოდ 1 სულა $1\frac{1}{2}$ წლის ვერძი შეგვხვდა. ზესტაფონის რაიონის დანარჩენ ვერძებში ერთს ჩანასახი რქები ჰქონდა, 3 სულს ისეთივე რქები ჰქონდა, როგორც ეს ზემოთ თუშური ცხვრის გამონაკლისი ტიპის რქები აღეწერეთ და ერთი სული „იმერულ“-მერინოსის გამოურკვეველ თაობის ჰიბრიდი სრულიად ურქო იყო.

ამნაირად, თუშური ცხვრის გამონაკლისი ხვეულობის ტიპის რქები 4 სულსა ჰქონდა.

„ძველასურულ“ ტიპის მსგავსების მქონე ვერძი ქუთაისის რაიონში მხოლოდ 1 სული შეგვხვდა. მისი რქები „ძველასურულის“ მაგვარად დასაწყისიდანვე უკან და ზევით, თავთან მიახლოვებით კი არ მიიმართებოდა, არამედ მის მსგავსი მოხრილობით ის ყბებიდან განზედ იყო გაწეული, განზედვე იდგა ის თავთან მთელი თავისი სიგრძის მანძილზედ. ამრიგად, რქის ერთნაირ ხვეულობის დროს დასახელებული ტიპი „ძველასურულ“ ტიპიდგან, რქების თავთან შედარებით, განზედ მდებარებით განირჩევა. ასეთივე ტიპის რქები ჰქონდა ზოოტექნიკურ საცდელ სადგურში ტყვიბულის რაიონიდგან ჩამოყვანილ „იმერულ“ ვერძს (იხ. სურ. 15). დასახელებულ ტიპის რქების მქონე ცხოველები ჩვენ სულ 2 სული შეგვხვდა.

ამნაირად, 10 სულ „იმერულ“ ვერძს და 2 ჰედელას ჩვენ მიერ შესწავლილ პოპულაციაში, „ძველასურულ“ ტიპთან მთლიანად იდენტური რქები ჰქონდა, დანარჩენ ვერძებს-კი რქები თუშური ცხვრის გამონაკლისი ტიპისმაგვარი, ჩანასახი და პერვერტიული ხვეულისა ჰქონდა.

საინტერესოა აქვე იმის აღნიშვნაც, რომ ქუთაისის ბაზარზედ 2 სული ბაღდადიდგან ჩამოყვანილი ვერძი ($1\frac{1}{2}$ —2 წლის) ვნახე, რომელთაც მთლიანად ყარაჩაული ცხვრის ტიპის ცხიმკუდი და ტიპური თუშური ცხვრის რქები ჰქონდათ.

„იმერული“ ცხვრის პოპულაციაში „ძველასურული“ ცხვრის რქების ტიპის, განსაკუთრებით მისი შეურეველად მოშენების რაიონში, არსებობა, ისევე,



სურ. 15. „იმერული“ ვერძი. ყ. ზოლტეჟნიკურ საცდელ სადგურ-
რიდგან.



სურ. 16. „იმერული“ ვერძი. ყ. ზოლტეჟნიკურ საცდელ სადგურრიდგან.

როგორც ძველ ქართულ ნივთიერ კულტურის ძეგლებზედ „ძველასურულ“ რქების მქონე ცხვრის ქანდაკებათა არსებობა, ცხვრის სხვა ნიშანთვისებათა და ისტორიულ საბუთთა შესწავლასთან ერთად, ფრჩხილ საგულისხმოდ მოვლენას წარმოადგენს.

სიმაღლე. „იმერული“ ცხვრის მინდაოში სიმაღლე რაიონების მიხედვით შემდეგნაირად ცვალებადობს:

	M ± m
1. „იმერული“ ცხვარი ჭიათურის რაიონიდან—	54,02 ± 0,26 სმ.
2. „ „ ზესტაფონის „ —	53,18 ± 0,40 „
3. „ „ ქუთაისის „ —	57,19 ± 0,24 „
4. თუშური ცხვარი აღმ. საქართველოდან —	58,54 ± 0,12 „

როგორც აქედანა ჩანს ზესტაფონის (4,16±0,47 სმ) და ქუთაისის (3,17±0,35 სმ) ცხვრები, ჭიათურის ცხვრებზე საგრძნობლად მალეები არიან. ზესტაფონის ცხვრები-კი ქუთაისის ცხვრებს 0,99±0,34 სმ აღემატებიან.

რომელ რაიონში ჰყავდა ქალანთარს (3) გაზომილი „იმერული“ ცხვარი, სამწუხაროდ, ცნობილი არ არის, ხოლო მისი განაზომებით „იმერული“ ცხვრის მინდაოში სიმაღლე 54—55 სმ უდრის, ე. ი. მეტად უახლოვდება ჭიათურის რაიონის ცხვარს.

ზესტაფონის რაიონის ცხვარი, მინდაოში სიმაღლის მიხედვით, საშუალოდ, თუშური ცხვრის საერთო პოპულაციის თანაბარია, თუმცა-კი პირველთა მაქსიმალური ვარიანტი, უკანასკნელთა მაქსიმალურ ვარიანტს საგრძნობლად ჩამორჩება. ქუთაისის ცხვარი მინდაოში სიმაღლის მიხედვით თუშურ ცხვარს 1,35 ± 0,26 სმ ჩამორჩება,¹ მაგრამ იგი ამ მხრივაც მასთან უფრო ახლოს დგას, ვიდრე ჭიათურის ცხვართან, რომელიც თუშურ ცხვარს სიმაღლის მიხედვით 4 1/2 სმ ჩამორჩება. ამნაირად, ჭიათურის რაიონის ცხვრები სიმაღლის მიხედვითაც ცალკე ითიშებიან.

სიმაღლე წელში %₀-ულად ნანაგარიშევი, მინდაოში სიმაღლესთან, რაიონების მიხედვით შემდეგ რიგს გვაძლევს:

1. „იმერული“ ცხვარი ზესტაფონის რაიონიდან —	99,22 % ₀
2. „ „ ქუთაისის „ —	100,99 „
3. „ „ ჭიათურის „ —	101,20 „

როგორც აქ მოყვანილ რიგიდანა ჩანს, ყველა რაიონის „იმერულ“ ცხვარს წელი და მინდაო საშუალოდ თითქმის ერთ სწორ ხაზზედა ჰქონია მოთავსებული. რასაკვირველია, ვარიაციები აქ საკმაოდ დიდია, მეტადრე ზესტაფონის რაიონში წელის ჩაზნექილობისაკენ, ჭიათურის რაიონში-კი კუზიანობისაკენ, რაც ზიტყვიერი შეფასებიდანაც ცხადათა ჩანს.

¹ როგორც სათანადო ადგილას უკვე იყო აღნიშნული, „ქუთაისის რაიონის“ სახელწოდებით, აქ მხოლოდ ის თემია ნაგულისხმევი, რომელიც ჩვენ გამოვიკვლიეთ, რაც მთელი რაიონისთვის შესაძლებელია დამახასიათებელი არ იყოს.

მენჯში სიმალლე $\%$ -ულად ნაანგარიშევი, მინდაოში სიმალლესთან, რაიონების მიხედვით შემდეგ სურათს გვაძლევს:

1. „იმერული“ ცხვარი ზესტაფონის რაიონიდან — 100,87 $\%$
2. „ „ „ ქუთაისის „ — 101,97 „
3. „ „ „ ჭიათურის „ — 101,81 „
4. თუშური ცხვარი აღმოსავლეთ საქართველოდან — 103,32 „

როგორც აქ მოყვანილ რიგიდან ჩანს, „იმერული“ ცხვარის მენჯი ყველა რაიონში მინდაოზე მცირედ მაღალი არის, თუშურისა-კი (საშუალოდ) საგრძნობლად მაღალია. ამას გარდა, საშუალოდ ზესტაფონის ცხვარს მენჯი უფრო თანაბარ ხაზზედა აქვს მინდაოსთან, ვიდრე ქუთაისისა და ჭიათურის ცხვრებს, რომელიც, ყველა დანარჩენ განაზომის საწინააღმდეგოდ, ამ ინდექსის მიხედვით ურთიერთ შორის მსგავსებას და ზესტაფონის რაიონის ცხვრებთან მცირედ განსხვავებას იჩენენ. ამას გარდა; ამ ინდექსის მხრით, თუშურ ცხვართან ჭიათურის და ქუთაისის ცხვრები უფრო ახლოს სდგანან, ვიდრე ზესტაფონის ცხვრები, რაც აგრეთვე, ყველა წინ განხილულ განაზომს ეწინააღმდეგება.

ამის მიზეზი შემდეგში უნდა მდგომარეობდეს: საქმე ის არის, რომ ბემის (H. Behm, 1911) ახსნით მოზარდ ცხოველების მთაგორიან ადგილებზედ ძოვნა, ორგანიზმის იმდაგვარ მდებარეობას იწვევს, რომლის გამოც კუნთების საშუალებით მენჯი ზევით იწევა და მინდაო-კი უფრო დაბალი რჩება. ბარში, ე. ი. ვაკე ადგილებზედ ძოვნა-კი პირიქით მოვლენებს იწვევს. ვინაიდან ბემის ზემოაღნიშნული მოსაზრება მრავალი ფაქტით მტკიცდება (ამის შესახებ იხ. Adametz-ი, 43), ამიტომ ჩვენს შემთხვევისათვის ის აუცილებლად უნდა იყოს მხედველობაში მიღებული. მართლაცდა თუშურ ცხვარს, რომელიც განსაკუთრებით ზაფხულში და ისიც ზრდის პერიოდში (მთაში, ბატკნის საძოვრები ყველაზედ მაღალ მთებზეა მოთავსებული), მეტად მთაგორიან ადგილზედა სძოვს, მენჯი მინდაოსთან შედარებით საშუალოდ საგრძნობლად მაღლა აქვს აწეული. ყველა განაზომში თუშურ ცხვრის ჰიბრიდიზაციის ნიშანთვისებების მქონე ზესტაფონის ცხვარი-კი ამ მხრივ მისგან უფრო მეტად არის დაშორებული, ვიდრე ჭიათურის ცხვარი, რომელიც დანარჩენ განაზომების მიხედვით პირველთაგან საგრძნობლად განსხვავდება. თუ გავიხსენებთ იმას, რომ ჭიათურის და ექსპედიციის მიერ შესწავლილი ქუთაისის რაიონის ცხვრები უფრო მთაგორიან საძოვრებზედ არის აღზრდილი, ვიდრე ზესტაფონისა და უფრო ნაკლებ მთაგორიან ადგილებზედ, ვიდრე თუშური ცხვარი, მაშინ ამ ინდექსის პარატიპული ბუნება უფრო ნათელი გახდება. ყოველივე ზემოთქმულის გამო, თუშურ ცხვართან მსგავსება-განსხვავებისა, ისევე როგორც სხვადასხვა რაიონის „იმერულ“ ცხვართან მსგავსება-განსხვავების შეფასების ¹ დროს, დასახელებული ინდექსი შესაძლებელია სრულიად უგულებელვყოთ.

¹ აღნიშნული ინდექსის სხვადასხვაობაში შესაძლებელია, ნაწილობრივ, კვების სხვადასხვაობაც თამაშობდეს როლს, რომელიც, მალიგონოვით (19), დასახელებულ ინდექსზე დიდ გავლენას ახდენს.

საჯდომ ბორცვში სიმაღლე $\frac{9}{10}$ -ულად ნაანგარიშევი, მინდაოში სიმაღლესთან, რაიონების მიხედვით შემდეგ სურათს იძლევა:

- | | | | | | |
|----|-----------|--------|--------------------|---|-------------------|
| 1. | „იმერული“ | ცხვარი | ჭიათურის რაიონიდან | — | 79 $\frac{0}{10}$ |
| 2. | „ | „ | ზესტაფონის | „ | — 79 „ |
| 3. | „ | „ | ქუთაისის | „ | — 80 „ |

როგორცა ჩანს, მენჯი „იმერულ“ ცხვარს დაქანებული აქვს, ხოლო მისი დაქანება რაიონების მიხედვით თითქმის თანაბარ სურათს იძლევა.

საბოლოოდ უნდა აღინიშნოს, რომ როგორც ეს თავის განაზომების მიმართაც იყო, სიმაღლის მიხედვით ჭიათურის ცხვარი სრულიად ცალკე გამოითიშება, ხოლო ზესტაფონისა და ქუთაისის ცხვრებს თუშურ ცხვრის დიდი გავლენა ემჩნევა.

კისერი. „იმერული“ ცხვრის უმრავლესობას საშუალო სიგრძის (58,62 $\frac{0}{10}$) და სისქის (56,17 $\frac{0}{10}$), ლამაზი მოყვანილობის კისერი ახასიათებს. სიხშირის მხრივ შემდეგი ადგილი სქელსა (24,71 $\frac{0}{10}$) და მოკლე (24,13 $\frac{0}{10}$) კისერს უკავია, ხოლო შედარებით იშვიათია გრძელი (17,24 $\frac{0}{10}$) და წვრილი (19,10 $\frac{0}{10}$) კისრის მქონე ცხვრები.

ინდივიდთა 65,51 $\frac{0}{10}$ კისერი თანდათან გასქელებით მხრებს შეუმჩნეველად უერთდება. 1,17 $\frac{0}{10}$ კისერი მხრებთან ოდნავ მკვეთრად არის შეერთებული. კისრის მკვეთრი შეერთებით 28,73 $\frac{0}{10}$, ძალიან მკვეთრად (ე. ი. თითქმის ჯიხვის-მაგვარად ჩატეხილი) მხრებთან შეერთებული კისერი-კი საერთო რაოდენობის 4,59 $\frac{0}{10}$ ჰქონდა.

ცხვართა უმრავლესობას კისერი ნორმალური მატყლით კარგადა აქვს შებუსული.

ჭიათურის რაიონში, ყელზედ „საყურეები“ არცერთ ცხვარს არ აღმოაჩნდა, ზესტაფონისა და ქუთაისის რაიონებში ერთი ცალი „საყურით“ 3,22 $\frac{0}{10}$ ცხვარი იყო, ხოლო მთელი რაოდენობის 1,61 $\frac{0}{10}$ -ს ყელზედ 2 ცალი „საყურე“ ჰქონდა.

ამნაირად, „საყურეები“ „იმერულ“ ცხვარში თუშური და შესაძლებელია მაზეხის ცხვრიდგანაც იყოს გაჩენილი.

სხეული. სხეულის ირიბი სიგრძე რაიონების მიხედვით შემდეგი სიდიდით ხასიათდება:

		M \pm m.
1.	„იმერული“ ცხვარი	ჭიათურის რაიონიდან — 56,62 \pm 0,21 სმ.
2.	„	„ ზესტაფონის „ — 59,02 \pm 0,62 „
3.	„	„ ქუთაისის „ — 58,96 \pm 0,03 „
4.	თუშური ცხვარი	აღმოსავლეთ საქართველოდან — 58,58 \pm 0,11 „

როგორც მოყვანილ რიგიდგანა ჩანს, ზესტაფონის და ქუთაისის ცხვრები ამ განაზომის მიხედვით სრულიად იდენტურნი არიან. სრულიად იდენტურნი არიან ისინი თუშური ცხვრის საერთო პოპულაციასთანაც, ჭიათურის ცხვრებიდან-კი საგრძნობლად განსხვავდებიან (2,46 \pm 0,65 სმ და 2,34 \pm 0,20 სმ).

აღნიშნული გარემოება ზესტაფონის და ქუთაისის ცხვრებზედ თუშური ცხვრის დიდ გავლენას და ქიათურის ცხვრების ამ მხრივაც შეურველობასა მოწმობს.

სხეულის ირიბი სიგრძე, პროცენტულად ნაანგარიშევი მინდაოში სიმაღლესთან, რაიონების მიხედვით შემდეგ სურათს გვაძლევს:

- | | | | |
|----|------------------|--------------------------|------------|
| 1. | „იმერული“ ცხვარი | ქიათურის რაიონიდან | — 104,81 % |
| 2. | „ | ქუთაისის „ | — 103,09 „ |
| 3. | „ | ზესტაფონის „ | — 101,44 „ |
| 4. | თუშური ცხვარი | აღმოსავლეთ საქართველოდან | — 100,00 „ |

როგორც აქ მოყვანილ ციფრებიდანა ჩანს, რელატივად, ზესტაფონის ცხვარს სხეულის სიგრძე და სიმაღლე თითქმის თანაბარი ზომისა ჰქონია, რითაც იგი თუშურ ცხვარს უახლოვდება. ქიათურის ცხვარს, სიგრძე სიმაღლეზედ თითქმის 5 %-ითა აქვს დიდი, რითაც იგი თუშურიდან და ზესტაფონის ცხვრებიდან მკვეთრად განსხვავდება. ქუთაისის ცხვრებს-კი ამ ინდექსის მიხედვით გარდამავალი ადგილი უკავია.

ამნაირად, ქიათურის ცხვარი თავისი ორიგინალური, შედარებით ვრძელი სხეულით, სხვა რაიონის ცხვრებიდან და თუშური ცხვრიდან ცალკე გამოირჩევა.

მკერდის სიღრმე რაიონების მიხედვით შემდეგგვარად ცვალებადობს:

- | | | | |
|----|------------------|--------------------------|--------------------|
| 1. | „იმერული“ ცხვარი | ქიათურის რაიონიდან | — 25,86 ± 0,16 სმ. |
| 2. | „ | ზესტაფონის „ | — 26,61 ± 0,21 „ |
| 3. | „ | ქუთაისის „ | — 26,60 ± 0,16 „ |
| 4. | თუშური ცხვარი | აღმოსავლეთ საქართველოდან | — 29,04 ± 0,07 „ |

ამნაირად, ქუთაისის ცხვრები ქიათურისას მკერდის სიღრმით 0,74 ± 0,22 სმ აღემატებიან. თითქმის რელურზე სხვაობა (0,75 ± 0,26 სმ) არსებობს ქიათურისა და ზესტაფონის რაიონის ცხვრებს შორისაც.

მკერდის სიღრმის მიხედვით, თუშური ცხვარი, ყველა რაიონის „იმერულ“ ცხვრებს საგრძობლად აღემატება, ხოლო აქაც ის გარემოებაა აღსანიშნავი, რომ თუშურ ცხვართან ზესტაფონისა და ქუთაისის რაიონის ცხვრები უფრო ახლოს დგანან ვიდრე ქიათურისა.

მკერდის სიღრმე $\frac{1}{6}$ -ლად ნაანგარიშევი სხ. ირიბ სიგრძესთან რაიონების მიხედვით შემდეგ სურათს იძლევა:

- | | | | |
|----|------------------|------------------------|-----------|
| 1. | „იმერული“ ცხვარი | ქიათურის რაიონიდან | — 45,67 % |
| 2. | „ | ზესტაფონის „ | — 45,08 „ |
| 3. | „ | ქუთაისის „ | — 45,11 „ |
| 4. | თუშური ცხვარი | აღმოსავ. საქართველოდან | — 49,57 „ |

როგორც აქ მოყვანილ ციფრებიდანა ჩანს, „იმერული“ ცხვრის მკერდის რელატივი სიღრმე რაიონების მიხედვით თანაბარია, ხოლო თუშური ცხვრისაგან ისინი თავისი სიმცირით მკვეთრად განსხვავდებიან.

როგორც სხვა განაზომთა განხილვიდან და ადგილობრივ შესწავლიდან გამომიკვია, ზესტაფონისა და ქუთაისის ცხვრებს თუშური ცხვრის გავლენა

ეტყობა, მაშინ როდესაც ჭიათურის ცხვრებზე უკანასკნელთა გავლენა სრულიად არა ჩანს. ამიტომ, ყველა რაიონის „იმერული“ ცხვრების, თუშური ცხვართან შედარებით, მკერდის სიღრმის სიმცირე, შესაძლებელია, საზოგადოდ ამ განაზომის სიმოკლის დომინანტობისაგანაც იყოს გამოწვეული.

მკერდის სიგანე რაიონების მიხედვით შემდეგნაირად ცვალებადობს:

1. „იმერული“ ცხვარი ჭიათურის რაიონიდან — $15,06 \pm 0,2$ სმ.
2. „ „ ზესტაფონის „ — $15,41 \pm 0,22$ „
3. „ „ ქუთაისის „ — $15,44 \pm 0,15$ „
4. თუშური ცხვარი აღმოსავ. საქართველოდან — $16,86 \pm 0,05$ „

როგორც აქ მოყვანილ მაჩვენებლებიდან ჩანს, „იმერული“ ცხვრის მკერდის სიგანე ყველა რაიონში თითქმის თანაბარი ზომისაა, თუშურებს-კი ისინი საგრძნობლად ჩამორჩებიან.

მკერდის სიგანე $\frac{1}{4}$ -ულად ნაანგარიშევი, მინდაოში სიმალღესთან, შემდეგ სურათს გვაძლევს:

1. „იმერული“ ცხვარი ჭიათურის რაიონიდან — 27,87 $\frac{1}{4}$
2. „ „ ზესტაფონის „ — 26,48 „
3. „ „ ქუთაისის „ — 26,99 „
4. თუშური ცხვარი აღმოსავ. საქართველოდან — 28,80 „

ამაირად, როგორც აბსოლუტური, ისევე რელატივი ციფრები ცხადჰყოფენ, რომ ყველა რაიონის „იმერული“ ცხვარი უფრო ვიწრო მკერდითა ხასიათდება ვიდრე თუშური. თითქმის ყველა დანარჩენი განაზომის მიხედვით ზესტაფონისა და ქუთაისის ცხვრები ჭიათურის ცხვარს აღემატებოდნენ, ხოლო თუშურებს უახლოვდებოდნენ, მაშინ როდესაც მკერდის სიგანის რელატივი ღირებულებით ისინი არამც თუ თუშურს, არამედ ჭიათურის ცხვრებსაც-კი ჩამორჩებიან. როგორც ეს Wriedt-მა (22) დაამტკიცა ცხვრებში მკერდის სივიწროვე განიერ მკერდზედ დომინანტობს. ამიტომ, თუშური ცხვრების გავლენას ზესტაფონისა და ქუთაისის რაიონის ცხვრების მკერდის სივიწროვე სრულიადაც არ ეწინააღმდეგება. ზესტაფონისა და ქუთაისის ცხვრების ჭიათურის ცხვრებთან შედარებით მკერდის სიგანის უფრო მცირე რელატივი ზომა-კი, აბსოლუტურად მკერდის ერთსა და იმავე სიგანის დროს, პირველთა დიდი და უკანასკნელთა სიმალღის მცირე მაჩვენებლებით არის გამოწვეული.

მკერდის ირგვლივობა რაიონების მიხედვით შემდეგ სიდიდით ხასიათდება:

რიგის №		მკერდის ირგვლივობა	მკერდის ირგვლივობა	მკერდის ირგვლივობა
		სმ-ში	სხ. ირბი სიგრძე	სიმ. მინდაოში
1	„იმერული“ ცხვარი ჭიათურის რაიონიდან .	$73,27 \pm 0,38$	129,40%	135 %
2	„ „ ზესტაფონის „ .	$72,83 \pm 0,87$	123,39 „	125 „
3	„ „ ქუთაისის „ .	$74,99 \pm 0,56$	127,18 „	131 „
4	თუშური ცხვ. აღმოს. საქართველოდან .	$83,38 \pm 0,16$	142,43 „	142,43 „

ამნაირად. როგორც ეს გულ-მკერდის დამახასიათებელ სხვა განაზომებშიაც იყო. რელატივად ზესტაფონისა და ქუთაისის ცხვრები ჭიათურის ცხვრებს ჩამორჩებიან, თავის მხრით-კი ჭიათურის ცხვრები თუშურ ცხვრებს საგრძნობლად ჩამორჩებიან.

ზესტაფონის და ქუთაისის ცხვრების მკერდის სიღრმის ინდექსის, ჭიათურის ცხვრებთან შედარებით, სიმცირე, სიმაღლისა და სიგრძის განაზომებში თუშური ცხვრის დომინანტობით, ხოლო მკერდის განაზომებში მისი რეცესიულობით არის გამოწვეული.

„იმერული“ ცხვრის უმეტესობას გავა დაქანებული აქვს, უმცირესობას-კი სწორე.

გავის სიგრძის აბსოლუტური და რელატივი ღირებულება, რაიონების მიხედვით, სიდიდის შემდეგი მაჩვენებლებითა ხასიათდება:

რაიონის №		გავის სიგრძე	გავის სიგრძე
		სმ-ში	სიმ. მინ-დაოში
1	„იმერული“ ცხვარი ჭიათურის რაიონიდან	18,13 ± 0,15	33,56 %
2	„ „ „ ზესტაფონის „	19,39 ± 0,17	33,32 „
3	„ „ „ ქუთაისის „	19,19 ± 0,10	33,55 „
4	თუშური ცხვარი აღმ. საქართველოდან	20,37 ± 0,06	35,65 „

როგორც აქ მოყვანილ საშუალო მაჩვენებლებიდანა ჩანს, ზესტაფონის და ქუთაისის ცხვრები გავის სიგრძის მიხედვით თანაბარი ზომისანი არიან, ხოლო ჭიათურის ცხვრებს საშუალოდ მათზე მოკლე გავა აღმოაჩნდათ. თუშურ ცხვარს გავის სიგრძის აბსოლუტური განაზომის მიხედვით სამივე რაიონის „იმერული“ ცხვრები ჩამორჩებიან, ხოლო ზესტაფონისა და ქუთაისის ცხვრებს მათსა და ჭიათურის ცხვრებს შორის გარდამავალი ადგილი უკავია. რელატივად სამივე რაიონის „იმერულ“ ცხვრებს გავა თანაბარი ზომისა აქვთ, ხოლო თუშური ცხვრები მათ საგრძნობლად აღემატებიან.

გავის სიგანე კუკუხობებში შემდეგი მაჩვენებლებით ხასიათდება:

რაიონის №		გავის სიგანე	გავის სიგანე
		კუკუხობებში სმ-ში	გავის სიგრძე
1	„იმერული“ ცხვარი ჭიათურის რაიონიდან	14,90 ± 0,18	82,18
2	„ „ „ ზესტაფონის „	14,36 ± 0,22	74,17
3	„ „ „ ქუთაისის „	14,46 ± 0,23	75,35
4	თუშური ცხვარი აღმოსავლ. საქართველოდან	16,05 ± 0,05	76,90

ზემომოყვანილ აბსოლუტური ციფრებიდან ცხადად ჩანს, რომ სამივე რაიონის „იმერული“ ცხვარი გავის სივანის მიხედვით თანაბარი ზომისაა, რითაც ისინი თუშურ ცხვარს საგრძნობლად ჩამორჩებიან. გავის სივანის, გავის სიგრძესთან გამოსახულ ინდექსის მიხედვით, ჭიათურის ცხვარი უფრო კვადრატული ფორმის გავის მქონეა, ვიდრე თუშური, ხოლო ზესტაფონისა და ქუთაისის ცხვრები ორივეს ჩამორჩებიან.

ამნაირად, გავის მოყვანილობის მიხედვითაც ქუთაისის და ზესტაფონის ცხვრებს თუშური ცხვრის გავლენა ეტყობათ.

ფეხები. ფეხის სიმაღლის მხრივ „იმერულ“ ცხვარს საკმაოდ დიდი ცვალებადობა ეტყობა, მაგრამ მაინც ამ განაზომის მხრივ ისეთ დიდ ცვალებადობას, როგორც ეს თუშურ ცხვარსა აქვს, არ შეგვედრებოდა.

„იმერული“ ცხვრის უმრავლესობას (92,22 %) წინა ფეხები მფარავი ბეწვითა აქვს დაფარული, 6,66 %-ს ფეხები მცირედ, ხოლო 1,19 %-ს დამაკმაყოფილებლად აქვს შებუსული.

„იმერული“ ცხვარის 82,14 %-ს უკანა ფეხები მფარავი ბეწვითა აქვს დაფარული, 16,66 %-ს უკანა ფეხები მციროდენად მატყლითა აქვს შებუსული, ხოლო 1,19 %-ს ფეხები დამაკმაყოფილებელი შებუსულობისა აქვს. ფეხების ისეთი კარგი შებუსეა, როგორც ეს თუშურ ცხვრის ზოგიერთ ინდივიდსა აქვს, „იმერულ“ ცხვარში არ შეგვეხვდრია.

ზესტაფონისა და ნაწილობრივ ქუთაისის ცხვრებს, ფეხები უკეთა აქვს შებუსული, ვიდრე ჭიათურისას, რაც აგრეთვე პირველებზე თუშური ცხვრის გავლენასა მოწმობს.

ფეხის სამაღლის აბსოლუტური და შეფარდებითი სიდიდე რაიონების მიხედვით შემდეგ მაჩვენებლებით ხასიათდება:

		წინა ფეხის სიმაღლე სმ. ში	წინა ფეხის სიმაღლე	წინა ფეხის სიმაღლე
			სიმ. მინ- დალში %-ში	სხ. ირიბი სიგრძე %-ში
1	„იმერული“ ცხვარი ჭიათურის რაიონ. .	34,77±0,17	64,36	61,40
2	„ „ ზესტაფონის „ .	36,44±0,27	62,63	61,74
3	„ „ ქუთაისის „ .	36,30±0,20	63,47	61,56
4	თუშური ცხვარი აღმოსავლ. საქართვე- ლოდან	37,58±0,08	64,16	63,42

როგორც მოყვანილ ტაბულიდან ჩანს, ფეხის სიმაღლის აბსოლუტური სიდიდით ზესტაფონისა და ქუთაისის ცხვრები ურთიერთ შორის თანაბარნი არიან და ჭიათურის ცხვრებს სრულიად რეალურად აღემატებიან. ამავე ტაბულიდან ცხადი ხდება, რომ აბსოლუტურად ჭიათურის ცხვარი თუშურ ცხვარზედ უფრო მოკლეფეხიანია, ხოლო ზესტაფონისა და ქუთაისის ცხვრებს მათ შორის გარდამავალი ადგილი უკავიათ. როგორც იმავე ტაბულიდან ცხადი ხდება

ფეხის სიმაღლე $\frac{0}{10}$ -ულად ნაანგარიშევი მინდაოში სიმაღლესთან ზესტაფონისა და ქუთაისის ცხვრებს უფრო მცირე აქეთ, ვიდრე ჭიათურისა და თუშურ ცხვრებს. იმავე განაზომის ინდექსი სს. ირიბ სიგრძესთან „იმერული“ ცხვრის ყველა რაიონისათვის თანაბარია. აღნიშნული გარემოება ზესტაფონისა და ქუთაისის ცხვრებზე თუშური ცხვრის მინდაოში სიმაღლისა და ირიბი სიგრძის სრულ დომინანტობით, ხოლო ფეხის სიმაღლის უსრულო დომინანტობით არის გამოწვეული.

წვივის ირგვლივობა შემდეგი სიდიდითა ხასიათდება:

	წვივის ირგვლ.	წვივის ირგვლივობა
	სმ-ში	სიმ. მინდაოში
1. „იმერული“ ცხვარი ჭიათურის რ-დგან	7,25±0,05	13,42 %
2. „ „ ზესტაფონის „	7,14±0,08	12,78 „
3. „ „ ქუთაისის „	7,49±0,06	13,09 „
4. თუშური ცხვ. აღმოს. საქართველოდგან	7,33±0,02	12,52 „


როგორც აქ მოყვანილი წვივის ირგვლივობის აბსოლუტური და შეფარდებითი სიდიდეებიდან ცხადადა ჩანს, სხვადასხვა რაიონის „იმერული“ ცხვრები ამ განაზომის მიმართ ერთგვარნი ყოფილან. ზესტაფონისა და ქუთაისის ცხვრების ამ განაზომის მიხედვით ჭიათურის ცხვრებთან: თანაბრობა, სრულიადაც არ ეწინააღმდეგება პირველებზე თუშური ცხვრის დიდ გავლენას, რადგან, როგორც იმავე ტაბულიდანა ჩანს, თუშური ცხვარიც მათივე თანაბარი წვივის ირგვლივობითა ხასიათდება.

კუდი. კუდის ტიპის მიხედვით შედგენილ პ ა ლ ა ს - ნ ა თ უ ზ ი უ ს — ჩ ი რ ვ ი ნ ს - ს კ ი ს კლასიფიკაციით, „იმერული“ ცხვარი, ვოლოშთან და მალიჩთან ერთად, გრძელ და სწორე ცხიმ-კუდიანთა ჯგუფში ჰყვება. რამდენად ზუსტად ახასიათებს დღევანდელი ტიპის „იმერულ“ ცხვარს ეს კლასიფიკაცია, ამის შესახებ ქვევით გვექნება საუბარი, აქ-კი უნდა აღინიშნოს, რომ დღეს არსებულ „იმერული“ ცხვრის პოპულაციის სხვადასხვა ჯიშით შედარებით შეურვეელ რაიონებშიაც-კი კუდის ფორმისა და სიგრძის მიხედვით დიდ ვარიაციებსა ვხვდებით.


ჭიათურის რაიონში გავრცელებულ ცხვრების ცხიმკუდი 3 ძირითად ჯგუფად შეიძლება დავყოთ.

რაიონში ყველაზე უფრო გავრცელებულს, ე.ი. პირველ ჯგუფს № 147-დე ცხვრის კუდის ტიპი ეკუთვნის, რომელიც კიდევ თავის-თავად სხვადასხვა ვარიაციით ხასიათდება.

აღნიშნული ტიპის ცხიმ-კუდის უმრავლესობის რიკსა და ცხიმის ჩანთას შორის ზღვარი არა ჩანს: ის დასაწყისიდან შესამჩნევი გასქელებით იწყება და



სურ. 17. „იმერული“ ცხვრის კუდის ვარიაციები.



სურ. 17. „იმერული“ ცხვრის კუდის ვარიაციები.

რიკის წვერამდე წოწოლა სამკუთხედის მაგვარადა მთავრდება (იხ. სურ. 17, ცხ. № 147).

ასეთი ტიპის ცხიმკულის, მეორე ვარიაციის, რიკსა და ცხიმის ჩანთას შორის მკვეთრი ზღვარი აგრეთვე არ არსებობს, ხოლო № 147 ცხვრის ცხიმკულიდან იმით განსხვავდება, რომ სამკუთხედი წვერამდე მსუქანია და ისეთი მკვეთრი წამწვეტებით არა მთავრდება, როგორც ეს № 147 ცხვარის ძირითად ტიპსა აქვს. მისი კულის წვერი შედარებით მსუქანი და მორგვალბებულია (იხ. სურ. 17, ცხ. 113).

ამავე ჯგუფის შემდეგი ვარიაცია (იხ. სურ. 17, ცხ. 64) კულის მოყვანილობით თითქმის მთლიანად ძირითად ტიპსა ჰგავს, იმ განსხვავებით, რომ თვით კული, მასზე მოკლეა და ამიტომ სწრაფად დამთავრებულ, პატარა და მეტად წვეტიან სამკუთხედის შთაბეჭდილებას ახდენს.

ამავე ჯგუფში ვათავსებთ ცხიმ-კულის ისეთ ვარიაციასაც, რომლის ცხიმის ჩანთა მთელ სიგრძეზედ № 64 ცხვრის ტიპის სამკუთხედის მაგვარ კულსა ჰგავს, იმ განსხვავებით, რომ რიკის ზღვარი მასში კარგადა ჩანს, რადგან ის რიკის დასაწყისში კულის მალათა დეფორმაციის გამო გვერდზედ იხრება (იხ. სურ. 17, ცხ. 155). ამნაირად, სამკუთხედისებური ტიპის უკანასკნელი ვარიაცია გარდამავალი საფეხურია მის ძირითად ჯგუფსა და შემდეგ ტიპს შორის. სამკუთხედისმაგვარი ტიპები ვოლოშის ცხვრის კულის ერთ ნაწილს მიემსგავსება.

შემდეგი ჯგუფი № 116 და № 149 ცხვრების ტიპები (იხ. სურ. 15, 17 და 18) აგრეთვე სხვადასხვაგვარი ვარიაციებით ხასიათდება. ამ ჯგუფის მთავარი დამახასიათებელი ის არის, რომ ცხიმის ჩანთა მას მსუქანი და ოვალური აქვს, რიკის დასაწყისში გვერდებიდან შექყლეტილია, რის გამოც ცხიმის ჩანთასა და რიკს შორის ზღვარი მკვეთრად ჩანს (იხ. სურ. 17, ნახ. № 116 და ფოტოსურათი 15 და 18). ამნაირად, ეს ტიპი სულ მთლიანად ვოლოშის ცხვრის საკმაოდ გავრცელებულ ტიპს მიემსგავსება. (იხ. ვასინი, 37).

ამავე ჯგუფის შემდეგი ვარიაცია თითქმის ყველა დეტალში ზემოგანხილულსა ჰგავს, იმ განსხვავებით, რომ მას პირველთან შედარებით უფრო წაგრძელებული ცხიმის ჩანთა აქვს. ამ ტიპის ზემოგანხილულ ორსავე ვარიაციას რიკი სწორე აქვს.

ამავე ჯგუფის შემდეგი ვარიაციები (იხ. სურ. 17, ცხ. 74 და 109) მთლიანად მათგვარივე მოყვანილობით ხასიათდება, იმ განსხვავებით, რომ რიკი მათ სწორე კი არა აქვთ (როგორც ეს წინა ვარიაციებს ჰქონდა), არამედ დასაწყისში მარჯვნივ ან მარცხნივ იხრება, ზევით მიემართება და სიგრძის პირველი მესამედიდან ისევ ქვევით იხრება, და სწორედ მიემართება. ამავე ვარიაციებსა ჰგავს № 67 ცხვრის კულის ვარიაციები, ოღონდ მათ შორის სხვაობა, შემდეგში მდგომარეობს: № 74 და № 109-სთან შედარებით, მათ, ცხიმის ჩანთა ვიწრო აქვთ, რიკი დასაწყისში ჩაზნექილია, შემდეგ იხრება და ზევით მიემართება, ისევ იხრება და ცხიმის ჩანთისკენ არის შედრეკილი, ხოლო შემდეგ პირველ მოხრილობის მაგვარ მოხრილობას აკეთებს და ქვევით სწორედ (მოუხრელად) მიემართება. ამნაირად, ამ ვარიაციის რიკი გვერდიდან შეხედვით დაკლაკნილია.

სიხშირის შიხედვით შემდეგი ადგილი მერინოსებური გრძელი და წვრილი, ხოლო, მერინოსთან შედარებით, ზოგჯერ ოდნავ მსუქან ცხიმკულს უკავია. ასეთი ცხიმკულის ძირითადი ტიპი სურ. 17 ცხ. 79-ზეა წარმოდგენილი. მისი მთავარი დამახასიათებელი თვისება სიმკლევე (მცირე ცხიმიანობა), კულის სისწორე და მთელ სიგრძეზე სიგანის თითქმის თანაბრობა (წვერისკენ ოდნავი შევიწროვებით) არის. რიკისა და ცხიმის ჩანთის ერთი მეორისაგან გარჩევა ვერა ხერხდება, რადგან ის მთლიან ერთეულს წარმოადგენს. აღნიშნული კუდი ვოლოშის ცხვრის ცხიმკულის ზოგიერთ ვარიაციას ჰგავს, იმ განსხვავებით, რომ უკანასკნელთა კუდი „იმერულებთან“ შედარებით მსუქანი, გრძელი და სქელია.

ამ ჯგუფის ვარიაცია, ძირითად ჯგუფისგან ძირში ფართე გასქელებით განსხვავდება (იხ. სურ. 17, ცხ. № 133), რიკის დასაწყისი (თუ უცხიმი და მცირეცხიმიან ნაწილს რიკად ჩავთვლით) გვერდებიდან მცირედ შეჰქულებილია, რითაც მათ შორის ზღვარი მკვეთრად ჩანს. აღნიშნული ვარიაცია სულ მთლიანად ვოლოშის ცხვრის კულისმაგვარია (37).

ჰიბრიდებულ რაიონებში ცხიმ-კულის ტიპთა უფრო დიდ ვარიაციებს ვხვდებით, თუმცა-კი აქ უმთავრესად № 116 ტიპის, ე. ი. ვოლოშის ცხვრის ყველაზედ გავრცელებულ ტიპთა ვარიაციები გვხვდება.

სიხშირის მხრივ მეორე ადგილი სამკუთხისებური № 147-ის მაგვარ და თუშურ „კუნტული“-სებურ კულის ტიპებს უკავია (იხ. ფოტოსურათი № 19 და სურ. 17, ცხ. № 103). ამას გარდა, აქ საინტერესოა ის არის, რომ „კუნტული“-ს გარდა, თუშური ცხვრის „დუმეული“ ტიპის ცხიმკულიც-კი შეგვხვდა, ხოლო ის თუშურთან შედარებით უფრო მცირე სიგანის მქონე და წაგრძელებული იყო. ამავე რაიონებში ისეთ შემთხვევებს ვხვდებით, როცა აგრეთვე თუშური „დუმე-აყუდებული“-ს მიმსგავსებულად ცხიმის ჩანთის ტიტველი ხაწალი და „დუმის ღარია“ გამოჩენილი. საინტერესოა იმის აღნიშვნაც, რომ თუშური ცხვრისმაგვარ კულის გარდა, მასზედ უფრო მცირე რაოდენობით, ყარაჩაულისა და კარაყულის კულის ტიპებიც არის (იხ. სურ. 17, ცხ. № 69 და 30). უკანასკნელ ტიპებში, დასახელებულ ჯიშებთან მთლიანად მიმსგავსებული ცხიმ-კუდი, იშვიათი გამონაკლისის სახით არსებობს, ხოლო ცხიმის ჩანთით მიმსგავსებული და რიკით განსხვავებული უფრო ხშირად ვხვდებით.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მოყვანილობით და მოხრილობით რიკი ამ რაიონებში ძალიან ხშირად თუშური ცხვრის რიკს წააგავს ხოლმე.

საინტერესოა აგრეთვე იმისი აღნიშვნაც, რომ ქუთაისის ბაზარზე ბაღდადიდან ჩამოყვანილი ორი ვერძი ვნახე, რომელთაც ტიპური ყარაჩაული ცხიმკული ჰქონდა, რქები-კი მთლიანად თუშური. პატრონის განცხადებით მას ყარაჩაული ჯიშის ცხვარი არა ჰყოლია, ხოლო თუშური ვერძები სოფელში ჰყოლიათ შემოყვანილი, ისე, რომ აღნიშნული ჰიბრიდები თუშური და „იმერული“ ცხვრების რომელიმე გენერაციის დათიშვის პროდუქტს უნდა წარმოადგენდნენ.

ამნაირად, ზესტაფონისა და ქუთაისის ცხვრებს, ცხიმ-კულის მოყვანილობის მხრივ, ჭიათურის ცხვრებთან შედარებით უფრო დიდი ცვალებადობა ეტყობათ და მათი ერთი ნაწილიდან მკვეთრად განსხვავდებიან. ზესტაფონისა და ნაწილობრივ ქუთაისის რაიონის ცხვრების ცხიმ-კულსაც, ისევე, როგორც

ეს დანარჩენ ნიშანთვისებათა მიხედვით იყო, თუშური ცხვრის გავლენა ემჩნევა. ყარაჩაული და ქარაყულის ცხვრის მაგვარი კუდის ტიპების არსებობა-კი შესაძლებელია თუშურ, აჭარულ და „იმერულ“ ცხვართა ჰიბრიდების შეჯვარებათა კომბინაციის საფუძველზედ იყოს წარმოშობილი.



სურ. 18. „იმერული“ ნერბის კუდი. ყ. ზოტექნიკურ საცდელ სადგურ-რიდან.

დასასრულს, ვოლოშისა და „იმერული“ ცხვრის კუდის მსგავსება-სხვაობის შესახებ შემდეგი უნდა იყოს აღნიშნული: უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია, რომ ვოლოშის ცხვრებში, ისევე როგორც ეს „იმერულში“ იყო, კუდი ხშირად მთელს სიგრძეზედ სამკუთხის მსგავსია, ზოგჯერ-კი სიგრძის ერთ-ერთ ნაწილში იგი ცხიმინობას მთლიანად ჰკარგავს და რიკსა და ცხიმის ჩანთას შორის მკვეთრ ზღვარსა სდებს. აღსანიშნავია აგრეთვე ის გარემოებაც, რომ ვოლოშის ისეთი ცხვრებსა ვხვდებით, რომელთაც კუდი მთელ სიგრძეზედ თითქმის თანაბარი აქვს. ამ მოვლენას პროფ. ვასინი შქლეკულიან ცხვრებთან ჰიბრიდიზაციას აწერს. ამნაირად, ვოლოშის ცხვარი ცხიმკუდის ფორმით, თავის უკიდურესი ტიპებითურთ „იმერულ“ ცხვართა ძირითად ტიპებსა ჰგავს, რაც პალას-ნათუზიუს-ჩირვინსკის კლასიფიკაციაშიაც არის ხაზგასმული.

ამ ორ ჯიშს შორის სხვაობა-კი კუდის სიგრძის სხვადასხვაობაში მდგომარეობს. საქმის არის, რომ „იმერული“ ცხვრის ცხიმ-კუდი სიგრძით სახტომ სახსრამდე იშვიათადა გვხვდება, უმრავლესობისა-კი მასზედ მოკლეა. ვოლოშის ცხვარში კუდის სიგრძე სახტომ სახსრამდე აგრეთვე იშვიათი გამოჩენისის სახით არსებობს, ხოლო „იმერული“ ცხვრის საწინააღმდეგოდ უმრავლესობა ისეთი გრძელკუდიანები არიან, რომ მათი კუდი თითქმის ჩლიქებამდე აღწევს. ვასინი თქვამს (37) ვოლოშის ცხვრის კუდის სიგრძე 43,02 სმ უდრის. ჩვენი



სურ. 19. ზესტაფონის რაიონის „იმერული“ ნერბების კუდის ვარიაციები.
(შესამჩნევად ეტყობა თუშური ცხვრის გავლენა).



სურ. 20. ზესტაფონის რაიონის „იმერული“ ნერბების კუდის ვარიაციები.

გაზომებით „იმერული“ ცხვრის კუდის სიგრძე-კი მხოლოდ 17,69 სმ უდრის¹, ვოლოშის ცხვრის კუდის სიგრძის მერყეობის ფარგლები 27—58 სმ აღწევს, „იმერულისა“-კი 6,8—25,9 სმ ისე, რომ „იმერული“ ცხვრის მაქსიმალური ვარიანტი მის მინიმალურზედაც-კი მცირეა².

საინტერესოა აქვე იმის აღნიშვნა, რომ, როგორც სურათებიდანა ჩანს, ვოლოშის ცხვრის ცხიმის ჩანთა უმთავრესად გრძელი, ზოგჯერ-კი უცხიმო ნაწილის თანაბარი ანდა უფრო მოკლე არის. „იმერული“ ცხვრის ცხიმის ჩანთა საშუალოდ 7,23 სმ უდრის, რიკის სიგრძე-კი 11,44 სმ ისე, რომ საშუალოდ რიკის სიგრძე ჩანთის სიგრძეს 4,21 სმ აღემატება. თუმცა-კი უნდა აღინიშნოს, რომ, ვოლოშის ცხვრისმაგვარად, აქაც დიდი ვარიაციები არსებობს:

სიგრძის ჯგუფები.	ჭიათურის რაიონი	ზესტაფონის რაიონი
ცხიმის ჩანთა რიკის სიგრძის 50% ან მცირედ ნაკლებია	41,6 %	15,55 %
ცხ. ჩანთა რიკზე მოკლეა ხოლო მის 50%-ზე დიდია	37,6 %	26,80 %
ცხ. ჩანთა რიკის თანაბარი სიგრძისაა	15,2 %	46,65 %
ცხიმის ჩანთა, რიკის სიგრძეს აღემატება	5,6 %	8,88 %

როგორც ამ ტაბულიდანა ჩანს, ჭიათურის ცხვრების უმრავლესობის (41,6%) ცხიმის ჩანთის სიგრძე რიკის სიგრძის ნახევარზედ მცირეა. სინშირით შემდეგი ადგილი ისევ მოკლე-ჩანთიან ინდივიდებს უკავიათ, ხოლო მათი ცხიმის ჩანთის სიგრძე რიკის სიგრძის ნახევარს აღემატება. შემდეგი ადგილი-კი რიკისა და ცხ. ჩანთის თანაბარი სიგრძის მქონე ცხოველებს უკავიათ. ხოლო ისეთებიცა გვხვდება, რომელთა ცხიმის ჩანთის სიგრძეც რიკის სიგრძეს აღემატება.

ჭიათურის რაიონის ცხვრებთან შედარებით, ზესტაფონისა და ქუთაისის რაიონებში თანაბარი სიგრძის რიკისა და ცხ. ჩანთის ცხოველების სიმრავლე, ისევე როგორც რიკთან შედარებით გრძელი ცხიმის ჩანთიან ცხოველების ზრდა, მათ თუშური და აჭარული (მაზეხი) ცხვრებით ჰიბრიდიზაციას ერთხელ კიდევ ადასტურებს.

თუ თუშური ცხვრისა და მერინოსების პირველი და შემდგომი თაობის ჰიბრიდების კუდის ფორმას დავაკვირდებით, მაშინ ჩვენთვის ცხადი გახდება, რომ ამ ჰიბრიდებში თითქმის ყველა ისეთივე ვარიაციის კუდი არსებობს, როგორც ეს „იმერული“ ცხვრისათვის იყო აღწერილი. აღნიშნული გარემოება-კი იმის მაჩვენებელია, რომ ჯერ კიდევ ამ ცოტა ხნის წინად „იმერული“ ცხვარი, ჭიათურის ცხვრის ერთი ნაწილისმაგვარად მჭლე და სწორეკუდიანი ყოფილა. თუშურ და ნაწილობრივ აჭარულ ცხვრებთან ჰიბრიდიზაციით კუდში

¹ გამოანგარიშებულა ჭიათურის რაიონის მასალების მიხედვით.

² კუდის სიგრძე % ნაანგარიშევი მინდაოში სიმალესთან „იმერულ“ ცხვრებში 33,2%-ს უდრის, ხოლო ვოლოშში-კი 69,1%-ს. ანაირად, ინდექსის მიხედვითაც ამ ორ ჯიშს შორის სხვაობა მეტათ დიდია.

ცხიმის დაგროვების უნარი გაჩენილა, რაც მეტი რენტაბელობის გამო „იმერული“ ცხვრის მოშენების თითქმის მთელ რაიონში გავრცელებულა. მჭლე-კულიანი „იმერული“ ცხვრის, თუშურ და თუშ-„იმერული“-ს ჰიბრიდებთან მეტიზაციით, თუშურ-მერინო ჰიბრიდებისმაგვარად ყველა ის ვარიანტია წარმოშობილი, რომელიც ზევით ავსწერეთ.

ამ გარემოებას უპირველეს ყოვლისა შედარებით შეურეველ „იმერულ“ ცხვარში მჭლეკულიანი ცხვრების არსებობა, ზესტაფონის რაიონში-კი მათი არ არსებობაც ადასტურებს. მეორე მხრით-კი ამასვე ადასტურებს ლიტერატურული წყაროებიც, ასე, მაგ., ვახუშტი (6) „იმერულ“ ცხვარს „უღუმო-კულიან“-ს უწოდებს, რაც მჭლე-კულიანობის შესატყვისი ტერმინი უნდა იყოს. ფრიად საყურადღებოა აგრეთვე ის ფაქტი, რომ პროფ. ადამეცი (34) „მეგრული“, ე. ი. „იმერული“ ცხვრები, გრძელკულიანები ყოფილან. ამნაირად, „იმერული“ ცხვარი თავდაპირველად და ამ ბოლო დრომდეც-კი მჭლეკულიანი ყოფილა.

„იმერული“ ცხვრის შედარება ძველ ასურეთის ბარელიფის ცხვართან

რამდენადაც-კი შესაძლებელია პროფ. კელერის (Keller, 44) მიერ მოყვანილ ძველი ასურული ცხვრების ბარელიფის (745 წ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე) ფოტოსურათით მსჯელობა, „იმერული“ ცხვარი მასთან შემდეგ მსგავსება-განსხვავებას იჩენს:

თავის მოყვანილობით, სიხმელით, წაგრძელებული ფორმით, ქოსათავიანობით, თვალების მდებარეობითა და გამომეტყველებით ჭიათურის რაიონის ვერძების უმეტესი ნაწილი მთლად ამ ბარელიფზე გამოქანდაკებულ ვერძსა ჰგავს.

სრულ მსგავსებას იჩენს „იმერულ“ ვერძთა უმრავლესობა ასურეთის ბარელიფის ვერძთან რქების მოყვანილობის მიხედვითაც, რის შესახებაც ზევით უკვე იყო საუბარი. საინტერესოა იმის აღნიშვნაც, რომ მღვიმის დედათა-მონასტრის (XII საუკუნე) კედელზედ მიდგმული ვერძის თავის ქანდაკების რქების მოყვანილობა ძველ ასურულ ბარელიფის ვერძების რქებს მთლად მიემსგავსება. უფრო მეტად საინტერესოა ის გარემოება, რომ ჯავახეთში სოფ. სათხის სასაფლაოზე ძველად დადგმული ვერძი ძველ-ასურულ და „იმერულ“ ვერძების მაგვარი რქების მოხრილობით ხასიათდება.

საინტერესოა აგრეთვე იმის აღნიშვნაც, რომ ძველი ასურული ბარელიფის ცხვარს სიმალესთან შედარებით მეტად გრძელი სხეული აქვს. კელერის მიერ მოყვანილი სურათის მიხედვით დასახელებული ინდექსი მას დაახლოებით 109% აქვს, მაშინ როდესაც არც ერთი ჩვენ მიერ შესადარებლად მოყვანილი ცხვარი ასეთი დიდი ინდექსის მქონე არ არის. ამ ინდექსის მიხედვითაც ყველაზედ მეტად ძველ ასურულ ბარელიფის ცხვარს მაინც „იმერული“ უახლოვდება¹, რომლის ინდექსიც 104,81%-ს შეადგენს. ამნაირად, სხეულის რელატივი სიგრძის მიხედვითაც „იმერული“ ცხვარი ძველ-ასურულ ბარელიფის ცხვართან იჩენს მსგავსებას.

¹ ასეთივე გრძელი სხეულით უნდა ხასიათდებოდეს ყარაჩაული ცხვარი. „იმერულ“-ს მსგავსი წაგრძელებული სხეული აქვს მონღოლურსა და დარვაზულ ცხვრებს.

ძველ-ასურულს და „იმერულ“ ცხვრებს შორის მთავარი განმასხვავებელი ნიშანი პირველთა აშკარა ცხიმოანი კუდი და მეორეთა მქლეკული არის.

დასკვნა. საბოლოოდ გარეგნულის შესწავლა შემდეგ დასკვნათა გაკეთების საშუალებას გვაძლევს:

1. განაზომთა უმრავლესობის მიხედვით ზესტაფონისა და ქუთაისის ცხვრები თუშური ცხვართან იჩენენ მსგავსებას.

2. თუშური ცხვრის ჰიბრიდიზაციასა მოწმობს აგრეთვე, ზესტაფონისა და ქუთაისის ცხვრების კულის ტიპთა შესწავლა.

3. თუშურსა, ზესტაფონისა და ქუთაისის ცხვრებს შორის მსგავსება არსებობს აგრეთვე ზოგიერთ სტრუქტურულ ნიშანთვისების მხრივაც („საყურები“, შებუსულობა და სხვა).

4. ჭიათურის რაიონის „იმერული“ ცხვარი, თავისი ორიგინალობით, დასავლეთ საქართველოს სხვა რაიონის ცხვრებიდგან სრულიად ცალკე გამოითიშება, რაც განაზომთა ციფრებრივი მასალით ზევით იყო დადასტურებული.

5. გარეგნულის შესწავლა (იხ. მუხ. 1, 2 და 3) და ყოველივე ზემოთქმული დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა რაიონში უცხო ჯიშთა შეყვანის შესახებ ზესტაფონისა და ქუთაისის ცხვრებზე, თუშური და მისი მაგვარ ცხვრის გავლენას ადასტურებს. თუშური ცხვრის გავლენა ეტყობა აგრეთვე სხვა რაიონის ცხვრებსაც.

6. ყველა ზევით ჩამოთვლილი მოსაზრება, ჭიათურის ცხვრების შედარებითს ჯიშურ სიწმინდეზედ მიგვითითებს, რაც ამ „იმერული“ ცხვრის პირვანდელ ფორმასთან ახლო მდგომ ცხვრის ტიპად აღიარების უფლებას გვაძლევს.

7. ჭიათურის რაიონის ცხვარი გარეგნულის მიხედვით თუშურებიდგან შემდეგი თვისებებით განსხვავდება: მცირე სიმაღლით, თავის სიგრძის დიდი ინდექსით, გრძელი და ვიწრო შუბლით, რაც მთელ თავს მოგრძო შეხედულებას აძლევს. თვალები მათ უფრო ამოზურცული და ცოცხალი აქვთ, ვიდრე თუშურს. „იმერული“ ცხვრის ყურები მოკლეა, მასში დაცქვიტილ და წაწვეტებულ, გარეული ცხვრისმაგვარ, ყურთან ინდივიდებსა ვხვდებით. მკვეთრად განსხვავდება „იმერული“ ცხვარი თუშურიდგან სიმაღლესთან შედარებით გრძელი სხეულით (თუშური ცხვრის სხეული საშუალოდ კვადრატულ სიგრძე-სიმაღლითა ხასიათდება). „იმერული“ ცხვრის ზურგი თითქმის სწორხაზობრივია; მაშინ, როდესაც თუშურს მენჯი მინდაოსთან შედარებით ზევითა აქვს აწეული. დანარჩენ განაზომთა მიხედვით თუშური და „იმერული“ ცხვარი გარეგნულად მსგავსნი ანდა მცირედ განსხვავებულნი არიან.

გარეგნულის მთავარი განმასხვავებელი ნიშნები, თავის მოყვანილობის გარდა, რქების ზეეულისა და კულის ფორმათა ტიპებია. კულის მიხედვით, თუშური ცხვარი ნახევრადლუმიანთა ჯგუფს ეკუთვნის, მაშინ როდესაც „იმერულს“ სწორე და მცირეცხიმოანი კუდი აქვს. „იმერული“ ცხვრის რქები ერთ სიბრტყეში ნახევარ მთვარესავით არის მოხრილი, მაშინ როდესაც, თუშური მკვეთრად ზამბარაკისებულ და განზედ გაშლილ სხეულს აკეთებს. ამნაირად, გარეგნულში შემჩნეულ ზოგიერთ მსგავსების გარდა, მთელი რიგი ზოლო-გიური და სამეურნეო თვისებების მიხედვით „ტიპური“ „იმერული“ ცხვარი თუშურიდგან მკვეთრად განსხვავდება.

8. კულის ფორმათა შესწავლა გვაფიქრებინებს, რომ „იმერული“ ცხვარი მკლე და შედარებით გრძელი კულის მქონე იყო. შემდეგში, „დღემიან“ ცხვართან ჰიბრიდიზაციით, კულში ცხიმის ქსოვილი გაჩნდა, რაც ეკონომიურ სარგებლიანობის გამო ხელოვნურ შერჩევის შემწეობით ფიქსირებული გახდა.

9. ფიზიოლოგიურ თვისებებიდან თუშურსა და „იმერულ“ ცხვართა შორის სხვაობა პირველთა მცირე ნაყოფიერება, ხოლო უკანასკნელთა მრავალნაყოფიერება და წელიწადში ორდოლიანობა არის. რაც ნაყოფიერებას შეეხება, უნდა ითქვას, რომ თუშური ცხვრის მცირენაყოფიერება ხელოვნური შერჩევით არის გამოწვეული, რადგან მომთაბარე მეცხვარეობის პირობებში, ძველად, პრიმიტიული მეურნეობის წარმოების დროს, ქართველი მეცხვარეები ტყუბის ცალებს ხშირად ხელოვნურად სპობდნენ, მაშინ როდესაც „იმერული“ ცხვრის მომშენებლები, პირიქით, ტყუპიანებს არჩევდნენ.

10. რქების მოყვანილობისა და ხვეულის ტიპის მიხედვით „იმერული“ ვერძების ერთი ნაწილი სულ მთლიანად ძველ ასურულ ცხიმკუდიან ვერძთა (745 წ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე არსებული ბარელიეფის მიხედვით) მსგავსია.

11. „იმერულ“ ცხვარს მისივე მსგავსი თავის წაგრძელებული მოყვანილობა, თვალების მდებარეობა და ქოსათავიანობა ახასიათებს.

12. ამავე ბარელიეფის ცხვრებს სიმალღესთან შედარებით გრძელი სხეული აქვთ, რითაც აგრეთვე „იმერული“ ცხვრები მათთან ახლოს არიან.

13. კულის მოყვანილობით-კი, ძველი-ასურული ბარელიეფის ცხვარი „იმერული“-დან განსხვავდება. მათთან მსგავსებას მხოლოდ აშკარა ჰიბრიდებულ ცხვრების მცირე ნაწილი იჩენს.

IV. ქართული ცხვრის მატყლი

ქართული ცხვრის მატყლის თვისებები სხვა წერილებში მაქვს განხილული. თუშური ცხვრის მატყლი-კი სპეციალურ ლიტერატურაშიც არის განხილული (39, 45 და სხვა), ისე, რომ მატყლის თვისებები აქ მოკლედ იქნება განხილული და ისიც უმთავრესად სიმსხოს მიხედვით.

„იმერული“ ცხვრის მატყლი, თუ პროფ. ჩირვინსკის გამოკვლევას არ მივიღებთ მხედველობაში, სრულიად შეუსწავლელია.

პროფ. ჩირვინსკით (24) „იმერული“ ცხვრის მატყლი თეთრი ფერი-საა, რბილია და ხშირი, სიგრძით 12—15 სმ. ბზინვა აბრეშუმისებური აქვს. წმინდა ბეწვის $\frac{1}{10}$ მატყლში 42,4—57,5-დეა, მქისე ბეწვი-კი 42,4—57,6 $\frac{1}{10}$ -დე. წმინდა ბეწვის სიმსხო 26,2—28 μ -ს უდრის, მქისე ბეწვისა-კი 55,5—63,4 μ -ს.

პროფ. ჩირვინსკისვე გამოკვლევით (24) თუშური ცხვრის მატყლში წმინდა ბეწვი 48 $\frac{1}{10}$, მქისე-კი 52 $\frac{1}{10}$. წმინდა ბეწვის სიმსხო 28 μ -ს უდრის, მქისე ბეწვისა-კი 61,8 μ -ს. ამნაირად, ჩირვინსკის მიერ შესწავლილ თუშურსა და „იმერულ“ ცხვრის მატყლის სიმსხოს შორის თითქმის თანაბრობა არსებობს.

„იმერული“ ცხვარი თუშურთან ერთად, ჩირვინსკის გამოკვლევით ნაირბეწვიან ცხვრების საშუალო რაოდენობის თივთიკის მქონე ჯგუფში ჰყვება.

„იმერული“ ცხვარი რაიონისდა მიხედვით წელიწადში 2-ჯერ (გაზაფხული და შემოდგომა) ან სამჯერ (აპრილი, ივლისი და ოქტომბერი) იპარსება. თვი-

თეულ გაპარსვაზედ მისი კანძის წონა დაახლოებით 200—400 გრ უდრის. ცალკეულ შემთხვევებში-კი 500 გრ აღწევს. ამნაირად, „იმერული“ ცხვრის წლიური კანძის წონა 600—1000 გრ იწონის.

მატყლის სიგრძე 7—17 სმ მერყეობს და საშუალოდ 13—14 სმ უდრის.

თუშური ცხვარი წელიწადში ორჯერ იპარსება: გაზაფხულზე და შემოდგომით. ნერბის შემოდგომის კანძის წონა თელავის რაიონის ელიტა ფარებში (1935 წ.) $1,59 \pm 0,09$ კგრ ($n=1763$) გაზაფხულზე-კი $0,95 \pm 0,008$ კგრ ($n=1651$) უდრის. ცუდი ზამთრისა და გაღვერვის გამო, თუშური ცხვრის გაზაფხულის კანძის წონა შემოდგომისაზე უფრო მცირეა, ხოლო კარგ ზამთარში, კარგ საძოვრებზე და კულტურულ ფარებში მოთავსებული თუშური ცხვრები, გაზაფხულზე უფრო მეტ მატყლს იპარსავენ, ვიდრე შემოდგომით (ასეთი შეფარდება უმთავრესად ყიზლარის საძოვრებზე არის ხოლმე). ვერძების კანძის წონა შემოდგომით $1,68 \pm 0,21$ კგრ უდრის ($n=222$) გაზაფხულზე, $1,30 \pm 0,27$ კგრ ($n=229$).

აქ მოყვანილი კანძის წონა, ცხადია, მთელი პოპულაციისთვის არ არის დამახასიათებელი. თუშური ცხვარი კანძის წონის მიხედვითაც გაუთანაბრებელია. ცალკეულ ფარებში წლიური კანძის წონა 2,0—3,5 კგრ მერყეობს, ხოლო ცალკეულ ინდივიდებში წლიური კანძის წონის მერყეობის ფარგლები ვერძებში 1,5—5,6 კგრ და ნერბებში 1,2—4,5 კგრ და უფრო მეტიც-კი არის.

მატყლის სიმსხო. თუშური ცხვრის მატყლის ნიმუშები 1931 წ. შემოდგომაზე ბეჭიდგან არის აღებული. სულ შესწავლილია 303 შემოდგომის ნიმუში. „იმერული“ ცხვრის მატყლი 1936 წ. შემოდგომით აგრეთვე ბეჭიდგან არის აღებული და სულ შესწავლილია 125 ნიმუში.


მატყლის სიმსხო გაზომილია ვოლკენს-ცეისის მიკროსკოპით უწყლო გლიცერინის არეში. მატყლის სიმსხო გაიზომა ბაზისში მოკრის მეთოდის შემწევობით.

„იმერული“ და თუშური ცხვრის მატყლის სიმსხოს განაზომების მრუდები ერთ პოლიგონშია (სურ. 21) მოთავსებული.

როგორც მრუდის დაჯინჯვიდგანა ჩანს, „იმერული“ ცხვრის მატყლი, თუშურთან შედარებით, წმინდა ბეწვთა უფრო მეტ რაოდენობას შეიცავს, მისი მატყლის სიმსხოს მრუდი მწვერვალს 25 μ იკეთებს, რომელშიაც ბეწვთა 20,06% ჰყვება, მაშინ, როდესაც თუშური ცხვრის მატყლის სიმსხოს მრუდი მწვერვალს 29 μ იკეთებს და ისიც მასში ბეწვთა მხოლოდ 13,75% ჰყვება. სამაგიეროდ თუშური ცხვრის მატყლის მაქსიმალური სიმსხოს ბეწვი = 163 μ , მაშინ როდესაც „იმერულ“ ცხვარში მაქსიმალური სიმსხოს ბეწვი 181 μ -მდე მიდის (მრუდთა შედგენის დროს ყველა ვარიანტი 0,01—0,04% გადადგებულია, ამიტომ მაქსიმალური სიმსხოს ბეწვები მრუდში მოყვანილი არ არის).

აღნიშნულ სიმსხოს ბეწვებს (181 μ) თუშური ცხვრის მატყლის მქსე ბეწვის სახესხვაობაში, ე. წ. „მკვდარ“ ბეწვშიაც გამოწკლისის სახითა ვხვდებით. მაგრამ საზოგადოდ აღსანიშნავია, რომ „იმერული“ ცხვრის მატყლი მქსე ბეწვთა კატეგორიებში უფრო მეტ ცვალებადობას იჩენს, ვიდრე თუშური. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ „იმერული“ ცხვრის მატყლის სიმსხოს ასეთ სხვაობრივობას მხოლოდ 5 ცხვრის მატყლის ნიმუში იწვევს, რომელნიც შესაძლებელია მაზხის ან სხვა რომელიმე ჯიშის ჰიბრიდიზაციის გავლენას განიც-

დიდნენ. თუ ზემოთდასახელებულ 5 ცხვარს დამუშავებიდან სრულიად გამოვს-
ტოვებთ მაშინ, „იმერული“ ცხვრის მატყლის სიმსხოს მიხედვით სინაზე და
მეტი ღირსება, თუშურთან შედარებით, აშკარად ჩანს, რაც ფრიად საგულისხმო
მოვლენას წარმოადგენს, რადგან თავისი მატყლის თვისებებით თუშური ცხვარი
უხეშმატყლიანთა შორის ერთ-ერთი საუკეთესოთაგანია.




სურ. 21.

„იმერული“ ცხვრის მატყლის სიმსხოს პოპულაციაში გათანაბრების დად-
გენის მიზნით, ცალკეულ ნიმუშთა მრუდები იყო შესწავლილი. ამ ნიმუშებიდ-
გან ბეწვთა სიმსხოსა და მისი კოჭლში გათანაბრების მიხედვით ორი უკიდუ-
რესი ნიმუშია შერჩეული. ორივე ცხვარი 4,5 წლის ჰასაკისაა. მათი მატყლის
სიმსხოს განაზომების მიხედვით აგებულია მრუდი (იხ. სურ. 22). მრუდში
მატყლის სიმსხო ლემანის ხარისხებშია მოყვანილი.

როგორც ამ მრუდის დაშინჯვიდან ჩანს, № 226 ცხვრის მატყლში A ხა-
რისხის ყველა ბეწვი 75% შეადგენს, მაშინ როდესაც № 206 ცხვრის მატყლში
იმავე ხარისხის (ე. ი. 26 μ) ბეწვები მხოლოდ 10% აშკარად, მათ შორის
მკვეთრი სხვაობა თავიდგანვე აშკარად არის მოცემული. მატყლის დანარ-
ჩენი ბეწვები № 226 ცხვარს მხოლოდ D ხარისხამდე, ე. ი. 45 μ აქვს (25%);
მაშინ, როდესაც B, C და D ხარისხის მატყლის ბეწვები № 206 ცხვარს 68%
აქვს, ხოლო დანარჩენი ბეწვები (22%) მის მატყლში J ხარისხამდე გრძელ-
დება. აღსანიშნავია აგრეთვე ის გარემოება, რომ № 226 ცხვრის მატყლი უხეშ-
მატყლიან ცხვრისათვის მეტად ნაზი და გათანაბრებულია, მისი მქისე ბეწ-
ვის სიმსხო 45 μ არა სცილდება, მაშინ როდესაც № 206 ცხვრის მატყლი გა-
თანაბრებულ და მქისე მატყლიან ცხვართა ჯგუფში ჰყვება (მისი მატყლის

ბეწვის სიმსხო 136 μ მიდის). ამნაირად, „იმერული“ ცხვარი მატყლის სინაზის მიხედვით ჯიშურად გაფთანაბრებელია.

ცხვართა უმრავლესობას მატყლის სიმსხოთი ამ ორ უკიდურეს ვარიანტს შორის გარდამავალი ადგილი უკავია.



სურ. 22.

საბოლოოდ უნდა აღინიშნოს, რომ „იმერული“ ცხვრის თითქმის 10% მატყლში ე. წ. „მკვდარი“ ბეწვი მოეპოვება. „მჩხვლეტავი“ და ე. წ. „მოკლე მქისე“ ბეწვი მის მატყლში არ გვინახავს.

იმ ერთეულ ცნობების მიხედვით, რომელიც ლიტერატურში მოიპოვება (Чирвинский, Adametz), „იმერული“ ცხვრის მატყლის ბეწვის სინაზე და კარგი ხარისხის ალნიშნული, „მკვდარ“ ბეწვის შესახებ-კი არაფერია ნათქვამი. რასაკვირველია, აღნიშნული გარემოება შესაძლებელია ერთეულ ინდივიდთა აღწერით

იყოს გამოწვეული, მაგრამ საფიქრებელია, რომ მის გავრცელებას აქარული (მაზე-ხი) ცხვრის მატყლის დაბალი ლირსების მემკვიდრული ფაქტორების შეტანამ (აქარული ცხვრით მცირე რაოდენობით ჰიბრიდიზაცია, სხვა რაიონების ჰიბრიდულ ცხვართა შემოყვანით, შესაძლებელია კიათურის რაიონშიც მოხდა) შეუწყო ხელი.

აღსანიშნავია, რომ ქართულ ცხვარს, ძველ დროსვე კარგი ხარისხის მატყლი ჰქონია. ეს XIII ს.—ემი არაბულად დაწერილი გეოგრაფიის ავტორის ზაქარია ყაზვინის ცნობითგანაცა ჩანს, რომელშიც ნათქვამია, რომ მაშინ თბილისითგან საუკეთესო ხარისხის მატყლი გაჰქონდათო.¹

დოც. ნ. იოსელიანის (39) გამოკვლევით თუშური ცხვარი მატყლის სიმსხოს მიხედვით პოპულაციაში გაუთანაბრებელია.

აღნიშნულ საკითხის ცხადყოფის მიზნით 303 სული თუშური ცხვრის შესწავლილ მატყლიდან 4 უკიდურესი ნიმუშია ამორჩეული, რომელნიც ურთიერთ შორის როგორც კოწლში (костыча) გათანაბრებით, ისევე სინაზითა და სიმსხოთი განსხვავდებიან (იხ. სურ. 23).

როგორც ამ მრუდის დაშინჯვიდგანა ჩანს, № 452 ცხვარი მქისე და მეტად გაუთანაბრებელი მატყლით ხასიათდება. მის მატყლში მართალია 5A ხარისხის ბეწვები არ მოიპოვება, მაგრამ 4A ხარისხიდგან, ე. ი. 19 μ ბეწვებიდგან, დაწყებული J ხარისხამდე (ე. ი. ბეწვები 130 μ ზევით) სიმსხოს ყველა გრადაციის ბეწვები გვხვდება. აღსანიშნავია, რომ მის ნიმუშიდგან J ხარისხში 145 μ, 148 μ, 150 μ, 152 μ, 158 μ, და 163 μ-ნის სიმსხოს ბეწვებიც არსებობს.

ამის სრულიად საწინააღმდეგო სურათს იძლევა ნიმუში № 878. მაშინ, როდესაც № 452 ცხვრის მატყლის სიმსხოს მრუდე უდიდეს მწვერვალს C ხარისხზედ იკეთებს, № 878 ცხვარის მატყლის სიმსხოს უდიდესი მწვერვალი 5A და 4A ხარისხებშია მოთავსებული. იმავე ცხვრის მატყლის სამსხოს მეორე მწვერვალი 2A ხარისხზეა მოთავსებული. ხოლო B₁—E ხარისხამდე ბეწვები თანაბრად ნაწილდება. ამნაირად, № 878 ცხვარის მატყლის სიმსხო მეტად მკვეთრად განსხვავდება № 452 ცხვრის მატყლის სიმსხოსაგან. მქისე მატყლის უფრო მეტად თვალსაჩინო მაგალითს იძლევა № 661 ცხვარი. მის მატყლში A ხარისხის არც ერთი ბეწვი არ მოიპოვება. მისი მატყლის უწვრილესი ბეწვები B₁ ხარისხიდგან, ე. ი. 27—28 μ იწყება და მაქსიმალურ რაოდენობით F ხარისხში (ე. ი. 60—75 μ) ხვდებიან. ამის სრულიად საწინააღმდეგოდ № 701 ცხვარი მატყლის მრუდი უმაღლეს მწვერვალს C ხარისხში იკეთებს და E ხარისხში, ე. ი. 45—60 μ სიმსხოს კლასებში სრულიად მთავრდება კიდევც.

ამნაირად, მატყლის სიმსხოს მიხედვითაც თუშური ცხვარი ჯიშურად სრულიად გაუთანაბრებელია.


უფრო საინტერესო სურათს იძლევა თუშური ცხვრის მატყლის იმავე ნიმუშთა კოწლში გათანაბრების, პოპულაციაში გათანაბრების შესწავლა.

როგორც სურათ № 21 ჩანს, № 661 ცხვრის მატყლის სიმსხო B₁ და G ხარისხებშია მოქცეული, ხოლო მატყლის ბეწვთა მთავარი რაოდენობა C და F ხარისხებშია მოთავსებული. ამნაირად, მართალია მისი მატყლი შედარებით

¹ იხ. შ. რუსთაველის მთავარი საიუბილეო გამოფენის ყოფაცხოვრებისა და ეკონომიკის სექტორის საგამოფენო ექსპონატი.

ქისეა, მაგრამ ის კოწლში იმდენად არის გათანაბრებული, რომ ამ მხრივ იგი კულტურულ სახორცე ტიპის ცხვრების მატყლს მიემსგავსება.

საკმაოდ კარგად არის კოწლში გათანაბრებული აგრეთვე შედარებით წმინდა მატყლის მქონე № 701 ცხვრის ნიმუში, თუმცა-კი იგი პირველობას № 661 ცხვარს უთმობს. ამ ნიმუშთა საწინააღმდეგო № 452 ცხვრის ნიმუში, როგორც ეს სურ. № 23 მრუდიდგანა ჩანს, კოწლში მეტად გამოუთანაბრებელია. საკმაოდ დიდ ცვალებადობას იჩენს აგრეთვე წმინდა მატყლის მქონე № 878 ცხვრის მატყლის სიმსხო, თუმცა ამ მხრივ იგი პირველობას № 452 ცხვარს უთმობს.



სურ. 23.

ამნაირად, ყოველივე ზემოთქმულიდგან ცხადი ხდება, რომ კოწლში გამოთანაბრების მიხედვითაც თუშური ცხვარი ჯიშურად მეტად გამოუთანაბრებელი და მრავალტიპურია.

დასკვნა: მატყლის თვისებათა შესწავლას შემდეგ დასკვნამდე მიყვევართ:

1. „იმერული“ ცხვრის მატყლი რბილია, შედარებით ნაზია და უმეტესად თეთრი ფერისა არის. პროფ. ა. დამეცის (34) მტკიცება, რომ ის „უფრო

უკეთესია ვიდრე ნაირბეწვიანთა მატყლი“-ო, მხოლოდ ნაწილობრივ მართლდება. მართლაცდა ისეთი ინდივიდები არსებობენ, როგორც № 226 ცხვარია, რომლის ყველაზედ სხვილი ბეწვი 45 μ -ს არ აღემატება. ასეთი ინდივიდები ცხვრების შეურეველად მოშენების რაიონებში გამონაკლისი სახით არსებობს, უმრავლესობა-კი აშკარა ნაირბეწვიანი, ხოლო სხვა უხეშმატყლიან ჯიშებზე უკეთესი მატყლის ხარისხის მქონეა.

2. „იმერული“ ცხვრის საერთო მასივის მატყლის № 226-თან შედარებით სიმქისე, „იმერული“ ცხვრის თვით შეურეველად მოშენების რაიონებშიაც-კი თუშურისა და მახეხის არაპირდაპირი გავლენისა და მასში არსებული მჭიდრო ნათესაური მოშენების ბრალი უნდა იყოს (მაგ. „მკედარი“ ბეწვი ცალკეულ ოჯახში და უბნებშია ხოლმე გავრცელებული, იმავე სოფლის მოშორებულ უბნებში-კი შედარებით „ნაზმატყლიანი“ (ცხვარია გავრცელებული).

3. თუშური ცხვრის მატყლი აშკარა ნაირბეწვიან ცხვრების ჯგუფს ეკუთვნის. მისი მატყლი, სხვა ნაირბეწვიან ცხვრებთან შედარებით, ნაზია და რბილი, თუმცა ამ მხრივ „იმერულ“ ცხვარს პირველ ადგილს უთმობს. თუშური ცხვრის მატყლს კარგი გაქიმივისა და გრეხის გამძლეობა აქვს, რაც ტექნოლოგიური თვალსაზრისით ეგზომ საყურადღებოა.

4. როგორც „იმერული“, ისევე უმთავრესად თუშური ცხვარი ჯიშურად მეტად გაუთანაბრებელია (იხ. მატყლის სიმსხო, და აგრეთვე სხვა წერილები 39, 38, 41). ასეთი დიდი გაუთანაბრებლობა მის წარმოშობის ბუნებასთან უნდა იყოს დაკავშირებული.

V. უხეშმატყლიან ცხვრების შედარება ქართულ ცხვართან

როგორც უკვე აღნიშნული იყო, ქართულ ცხვართან ა/კ.-ს ღუმიანი და ზოგიერთი სხვა ჯიში იქნება შედარებული.

თავი. განხილულ ჯიშებში თავის სიგრძე აღმაველ მაჩვენებლებს შემდეგი რიგითა ლაგდება: დარვაზული—18,05 სმ, „იმერული“—20,80 სმ, კარაყული—21,15 სმ, თუშური—21,53 სმ, ვოლოში—22,13 სმ, ჰისარი—23,39 სმ, მონღოლური—23,82 სმ, სემიპალატინსკის—24,20 სმ, სემირეჩის—24,80 სმ, ყირგიზული—25,05 სმ.

როგორც აქ მოყვანილ რიგიდგანა ჩანს, „იმერული“, კარაყული, თუშური და ვოლოშის ჯიშის ცხვრები, თავის სიგრძის მიხედვით, ერთიმეორესთან ახლოსა დგანან, დანარჩენი ჯიშები-კი რიგის მიხედვით მათ აღემატებიან. მათზე მცირე თავის სიგრძე ახასიათებს მხოლოდ დარვაზულ ცხვარს.

თავის სიგრძის ინდექსით, მინდოში სიმალლესთან, აღნიშნული ჯიშები შემდეგ რიგსა ჰქმნიან:

ჰისარი—29,53%, კარაყული—31,75%, დარვაზული—31,82%, ვოლოში—33,86%, სემიპალატინსკის—34,2%, ყირგიზული—34,44%, სემირეჩული—35,01%, მონღოლური—36,7%, თუშური—36,77%, „იმერული“—38,50%.

თავის სიგრძის რელატივი ზომით თუშური ცხვარი „იმერულს“ ჩამორჩება, თუმცა-კი სხვა ჯიშებთან შედარებით ისინი, მონღოლურთან ერთად, მათთან ახლოსა დგანან და სხვა ყველა აქ განხილულ ჯიშს აღემატებიან.

შუბლის სიგანის მიხედვით აქ განხილული ჯიშები შემდეგ რიგსა ჰქმნიან: „იმერული“—10,31 სმ, თუშური—10,88 სმ, დარვაზული—11,40 სმ, მონლოლური—11,50 სმ, ლეკური—11,64 სმ, მაზეხი—11,78 სმ, ბალბასი—12,00 სმ, სემიპალატინსკის—12,08 სმ, სემირჩული—12,20 სმ, ვოლოში—12,28 სმ, შირვანი—12,32 სმ, ყირგიზული—12,37 სმ, ბოზახი—12,40 სმ, ყარაბალი—12,68 სმ, ჰისარი—13,29 სმ.

ამნაირად, თუშური და „იმერული“ ცხვრები ერთიმეორის მსგავსნი არიან. ახლოს დგანან მათთან აგრეთვე დარვაზული, მონლოლური და ლეკური ცხვრები. დანარჩენი ჯიშები-კი რიგის მიხედვით ალემატებიან.

შუბლის სიგანის ინდექსით, თავის სიგრძესთან, შესადარებელი ჯიშები შემდეგ რიგსა ჰქმნიან: მონლოლური—48,5⁰/₀, სემირჩული—49,21⁰/₀, ყირგიზული—49,36⁰/₀, „იმერული“—49,55⁰/₀, სემიპალატინსკის—49,90⁰/₀, თუშური—50,53⁰/₀, ვოლოში—54,74⁰/₀, ჰისარი—56,48⁰/₀ და დარვაზული—63,13⁰/₀.

როგორც ამ რიგიდგანა ჩანს, თუშური, „იმერული“ და ღუმინი ცხვრები, ჰისარს გარდა, შუბლის რელატივი სიგრძით ერთიმეორესთან ახლოსა დგანან. მათ უახლოვდებათ აგრეთვე ყველაზე ვიწროშუბლიანი მონლოლური ცხვარი, დანარჩენი ჯიშები-კი უფრო განიერი შუბლიანები გამოდგნენ.

ყურის სიგრძის მიხედვით შესადარებლად აღებული ჯიშები შემდეგ რიგსა ჰქმნიან: შირვანი—8,52 სმ, „იმერული“—9,85 სმ, ლეკური—10,72 სმ, ბოზახი—11,76 სმ, ყარაბალი თამამშევით—11,89 სმ¹, მონლოლური—12,37 სმ, თუშური—12,42 სმ, ვოლოში—12,45 სმ, დარვაზული—12,97 სმ, მაზეხი—14,17 სმ, ბალბასი—14,36 სმ, სემიპალატინსკის—14,49 სმ, ყირგიზული—14,60 სმ, სემირჩული—14,91 სმ და ჰისარი—18,28 სმ.

თუ მოკლევურიან შირვანის ცხვარს არ მივიღებთ მხედველობაში, ყველაზედ მოკლევურიანნი „იმერული“ ცხვარი გამოდგა, მას სხვებზე მეტად ლეკური უახლოვდება. ბოზახს, ყარაბალს, მონლოლურს, ვოლოშს და დარვაზულს, თუშური ცხვრის თანაბარი სიგრძის ყური აქვთ. მაზეხი, ბალბასი და ყველა ღუმინი ცხვარი მათ საგრძნობლად ალემატებიან. ამნაირად, ა/კ. ჯიშებში თუშურ ცხვარს „იმერულისა“ და ბალბას-მაზეხს შორის, ყურის სიგრძის მიხედვით, გარდამავალი ადგილი უკავია.

ყურის სიგრძის ინდექსი თავის სიგრძესთან შემდეგ რიგსა ჰქმნის:

„იმერული“—47,35⁰/₀, მონლოლური—51,93⁰/₀, ვოლოში—55,50⁰/₀, თუშური—57,68⁰/₀, ყირგიზული—58,36⁰/₀, სემიპალატინსკის—59,87⁰/₀, სემირჩული—60,13⁰/₀, დარვაზული—71,85⁰/₀ და ჰისარი—78,15⁰/₀. სამწუხაროდ, ა/კ. ჯიშებისათვის ამ ინდექსის მოყვანა შეუძლებელი გახდა. ამ რიგიდგანა ჩანს, რომ თუშური და „იმერული“ ცხვრები ყურის რელატივი სიგრძითაც ერთიმეორისაგან განხვავდებიან.

სიმალლე. მინდაოში სიმალლის მიხედვით შესადარებლად აღებული ჯიშები შემდეგი რიგით ეწყობიან:

¹ შირვანის ყურის სიგრძეში მემკვიდრულად მოკლევურიანები შიგ შედის. რადგან კალუგინს მოკლე-და გრძელყურიანი ყარაბალური ცხვრები ერთად აქვს დამუშავებული, ამიტომ, ყურის სიგრძე ყარაბალური ცხვრებისათვის თამამშევის მიხედვით ავიღეთ.

„იმერული“—54,02 სმ, დარვაზული—56,72 სმ, ლეკური—56,85 სმ, თუშური—58,54 სმ, ბოზახი—62,66 სმ, ყარაბალი—64,21 სმ, შირვანი—64,43 სმ, მონღოლური—65,07 სმ, ჩაპანის—65,9 სმ, ვოლოში—62,23 სმ, კარაყული—66,6 სმ, მაზეხი—68,44 სმ, ბალბასი—69,73 სმ, სემირეჩული—70,83 სმ, სემიპალატინსკის—70,89 სმ, ყირგიზული—72,73 სმ და ჰისარი—79,19 სმ.

როგორც აქ მოყვანილი რიგიდან ჩანს, ყველაზე დაბალი ტანისა „იმერული“ ცხვარი გამოდგა. თუშური ცხვარი „იმერულს“, დარვაზულს და ლეკურ ცხვრებს აღემატება. დანარჩენი ჯიშები-კი მათ აღემატებიან. თუ ა/კ. ჯიშებს მივიღებთ მხედველობაში მაშინ ცხადი გახდება, რომ თუშური ცხვარი „იმერულსა“ და ა/კ. დანარჩენ ჯიშებს შორის (გარდა ლეკურისა) გარდამავალი სიმაღლითა ხასიათდება.

სხეული. სხეულის ირიბი სიგრძის მიხედვით შესადარებელი ჯიშები შემდეგ რიგსა ჰქმნიან:

„იმერული“—56,62 სმ, ლეკური—57,56 სმ, ბოზახი—58,00 სმ, თუშური—58,58 სმ, დარვაზული—58,81 სმ, ყარაბალი—61,94 სმ, შირვანი—62,90 სმ, მაზეხი—64,03 სმ, ბალბასი—64,83 სმ, მონღოლური—67,87 სმ, ვოლოში—68,06 სმ, კარაყული—68,4 სმ, სემიპალატინსკის—72,55 სმ, სემირეჩული—73,54 სმ, ყირგიზული—74,95 სმ.

ამნაირად, სხეულის სიგრძით „იმერული“ ცხვარი ყველაზე მოკლე აღმოჩნდა. თუშური დარვაზულისა და ბოზახის მსგავსია. ლეკურს თუშურსა და „იმერულ“-ს შორის გარდამავალი ადგილი უკავია, დანარჩენი ჯიშები-კი მათ აღემატებიან. საინტერესოა იმის აღნიშვნა, რომ ამ განაზომის მიხედვითაც თუშურ ცხვრებს „იმერულსა“ და ა/კ. დანარჩენ ჯიშებს შორის გარდამავალი ადგილი უკავია.

სხეულის ირიბი სიგრძე $\frac{1}{10}$ -ულად ნანგარიშევი, მინდაოში სიმაღლესთან, შესადარებელ ჯიშებში შემდეგ რიგსა ჰქმნის:

ბოზახი—92,6 $\frac{1}{10}$, ბალბასი—92,93 $\frac{1}{10}$, მაზეხი—93,55 $\frac{1}{10}$, ყარაბალი—96,4 $\frac{1}{10}$, შირვანი—97,6 $\frac{1}{10}$, თუშური—100,00 $\frac{1}{10}$, ლეკური 101,2 $\frac{1}{10}$, სემიპალატინსკის—102,28 $\frac{1}{10}$, კარაყული—102,70 $\frac{1}{10}$, ვოლოში—102,77 $\frac{1}{10}$, ყირგიზული—103,06 $\frac{1}{10}$, სემირეჩული—103,66 $\frac{1}{10}$, დარვაზული—103,68 $\frac{1}{10}$, მონღოლური—104,00 $\frac{1}{10}$, „იმერული“—104,81 $\frac{1}{10}$.

ამნაირად, „იმერული“ და მონღოლური ცხვრები, რელატივად, ყველაზე გრძელსხეულიანი გამოდგნენ. თუშურს კვადრატული ფორმის სხეული აქვს. ლეკურს ამ ინდექსის მიხედვითაც თუშურ და „იმერულ“ ცხვრებს შორის გარდამავალი ადგილი უკავია, ხოლო თუშურთან უფროა მიახლოებული, ვიდრე „იმერულთან“. საინტერესოა აქაც იმის აღნიშვნა, რომ ამ ინდექსის მიხედვითაც თუშურ ცხვარს ა/კ. დანარჩენ ჯიშებსა და „იმერულ“ ცხვრებს შორის გარდამავალი ადგილი უკავია.

მკერდის სიღრმე შესადარებლად აღებულ ჯიშებში შემდეგ რიგსა ჰქმნის:

„იმერული“—25,86 სმ, დარვაზული—26,34 სმ, ლეკური—27,40 სმ, ბოზახი—29,03 სმ, თუშური—29,04 სმ, ყარაბალი—29,32 სმ, შირვანი—29,43 სმ, ჩაპანი—30,04 სმ, მაზეხი—31,09 სმ, კარაყული—31,3 სმ, ბალბასი—31,77 სმ, მონღოლური—31,95 სმ, სემიპალატინსკის—32,50 სმ, ყირგიზული—33,38 სმ, სემირეჩული—33,40 სმ, ჰისარი—37,08 სმ.

ამნაირად, „იმერული“ ცხვარი ყველაზე მცირე სიღრმის მკერდითა ხასიათდება. მას უახლოვდება მხოლოდ დარვაზული ცხვრები. თუშური ცხვრები ბოზახთან, ყარაბალთან და შირვანთან იჩენს მსგავსებას. ლეკურ ცხვარს ამ განაზომის მიხედვითაც გარდამავალი ადგილი უკავია.

მკერდის სიღრმე $\frac{1}{10}$ -ულად ნანაგარიშევი, მინდაოში სიმალღესთან, შესადარებელ ჯიშებში შემდეგ რიგსა ჰქმნის:

მაზუხი—45,42 $\frac{1}{10}$, ბალბასი—45,57 $\frac{1}{10}$, ყარაბალი—45,6 $\frac{1}{10}$, შირვანი—45,6 $\frac{1}{10}$, სემიპალატინსკის—45,85 $\frac{1}{10}$, ყირგიზული—46,02 $\frac{1}{10}$, ჩაპანი—46,13 $\frac{1}{10}$, ბოზახი—46,3 $\frac{1}{10}$, დარვაზული—46,45 $\frac{1}{10}$, ჰისარი—46,82 $\frac{1}{10}$, კარაყული—46,99 $\frac{1}{10}$, სემირეჩული—47,21 $\frac{1}{10}$, „იმერული“—47,87 $\frac{1}{10}$, ლეკური—48,2 $\frac{1}{10}$, მონღოლური—49,0 $\frac{1}{10}$, თუშური—49,60 $\frac{1}{10}$.

ამნაირად, რელიატივი ზომით თუშურ ცხვარს მონღოლურთან ერთად ყველაზე ღრმა მკერდი აქვს. მათ უახლოვდება ლეკური და „იმერული“ ცხვრები. დანარჩენ ჯიშებს-კი მათზე მცირე სიღრმის მკერდი აქვთ.

მკერდის ირგვლივობის მიხედვით შესადარებელი ჯიშები შემდეგ რიგსა ჰქმნიან:

დარვაზული—71,22 სმ, „იმერული“—73,27 სმ, ლეკური—77,75 სმ, ჩაპანი—81,6 სმ, თუშური—83,38 სმ, შირვანი—83,58 სმ, ბოზახი—84,03 სმ, ყარაბალი—84,98 სმ, ეოლოში—86,35 სმ, კარაყული—86,9 სმ, მონღოლური—87,2 სმ, სემიპალატინსკის—89,03 სმ, ყირგიზული—89,76 სმ, მაზუხი—90,48 სმ, სემირეჩული—90,89 სმ, ბალბასი—93,49 სმ, ჰისარი—103,83 სმ.

ამნაირად, მკერდის ირგვლივობით „იმერულ“ ცხვარს მხოლოდ დარვაზული ცხვარი ჩამორჩება, დანარჩენ ჯიშებთან შედარებით-კი მას მცირე მკერდის ირგვლივობა აქვს, რაც საზოგადოდ მისი სიპატარავით აიხსნება. თუშურ ცხვარს მკერდის ირგვლივობით მხოლოდ შირვანი ეთანაბრება. ლეკურს ჩაპანთან ერთად თუშურსა და „იმერულს“ შორის გარდამავალი ადგილი უკავია, დანარჩენი ჯიშები-კი მათ აღემატებიან. ამნაირად, მკერდის ირგვლივობის მიხედვითაც თუშური ცხვარი ა/კ. დანარჩენ ჯიშებსა (ლეკურს გარდა) და „იმერულ“ ცხვარს შორის გარდამავალ ადგილს იკავებს.

გავის სიგანის მიხედვით შესადარებელი ჯიშები შემდეგ რიგსა ჰქმნიან:

„იმერული“—14,90 სმ, დარვაზული—15,17 სმ, თუშური—16,05 სმ, ლეკური—16,64 სმ, ბოზახი—17,07 სმ, მონღოლური—18,05 სმ, მაზუხი—18,35 სმ, ყარაბალი—18,38 სმ, სემიპალატინსკის—18,73 სმ, ბალბასი—18,74 სმ, შირვანი—18,85 სმ, ყირგიზული—19,15 სმ, სემირეჩული—19,28 სმ, ჰისარი—29,09 სმ.

ამნაირად, ყველაზე ვიწრო გავა „იმერულ“ ცხვარს აღმოაჩნდა. მასთან ახლოსა დგას დარვაზული ცხვარი, თუშურ ცხვარს-კი ამ განაზომის მიხედვითაც „იმერულ“ და ა/კ. დანარჩენ ჯიშებს შორის გარდამავალი ადგილი უკავია.

ლეკური ცხვარი ამ განაზომის მიხედვით თუშურის მსგავსია.

ფეხები. რადგან ფეხის სიმალლის განაზომები ა/კ. დანარჩენ ჯიშებში შეზღავილი არ არის, ამიტომ შესადარებლად აღებული ჯიშები მხოლოდ წვივის ირგვლივობის მიხედვით იქნებიან განხილულნი, რაც შემდეგ რიგსა ჰქმნის:

დარვაზული—6,62 სმ, ჩაპანი—7,1 სმ, მონღოლური—7,18 სმ, „იმერული“—7,25 სმ, ლეკური—7,30 სმ, თუშური—7,33 სმ, ბოზახი—7,54 სმ, შირვანი—7,67 სმ, მაზეხი—7,67 სმ, ყარაბალი—7,84 სმ, სემიპალატინსკის—7,86 სმ, ყირგიზული—7,89 სმ, სემირჩული—7,93 სმ, ბალბასი—7,97 სმ, ჰისარი—9,16 სმ.

ამნაირად, თუშური, ლეკური და „იმერული“ ცხვრები წვივის ირგვლივობით თანაბარნი არიან. „იმერული“ ცხვარი მონღოლურსა და ჩაპანის ცხვრებს ეთანაბრება. დანარჩენი ჯიშები-კი (გარდა დარვაზულისა) ამ განაზომით ქართული ცხვრის ჯგუფს აღემატება.¹

წვივის ირგვლივობა $\frac{1}{10}$ -ულად ნაანგარიშევი, მინდაოში სიმალესთან, შემდეგ რიგსა ჰქმნის:

ჩაპანი—10,77⁰/₁₀, ყირგიზული—10,84⁰/₁₀, მონღოლური—11,0⁰/₁₀, სემიპალატინსკის—11,08⁰/₁₀, მაზეხი—11,20⁰/₁₀, სემირჩული—11,20⁰/₁₀, ბალბასი—11,58⁰/₁₀, დარვაზული—11,67⁰/₁₀, შირვანი—11,9⁰/₁₀, ბოზახი—12,0⁰/₁₀, ყარაბალი—12,2⁰/₁₀, თუშური—12,52⁰/₁₀, ლეკური—12,8⁰/₁₀, ჰისარი—12,95⁰/₁₀ და „იმერული“—13,42⁰/₁₀.

ამნაირად, „იმერულ“ ცხვარს რელატივად ყველაზე სხვილძვლიანი ფეხი აღმოაჩნდა. თუშურ ცხვარს „იმერულისა“ და დანარჩენ ჯიშებს შორის გარდამავალი ადგილი უკავია (ახლოს დგას ყარაბალთან და ბოზახთან), ხოლო ლეკური და ჰისარი თუშურსა და „იმერულ“ ცხვარს შორის გარდამავალ ადგილს იკავებენ (თითქმის ეთანაბრებიან თუშურს).

ამნაირად, ქართული ცხვრების შედარება ა/კ. ჯიშებთან შემდეგგვარად შეიძლება დაჯგუფდეს:

აბსოლუტური განაზომების მიხედვით

1, „იმერულსა“ და ა/კ. დანარჩენ ჯიშთა შორის თუშური ცხვარი გარდამავალ ადგილს იკავებს შემდეგი განაზომების მიხედვით:

ა) ყურის სიგრძით თუშურ ცხვარს, მაზეხსა, ბალბასსა, და „იმერულ“ ცხვართა შორის გარდამავალი ადგილი უკავია. ბოზახი და ყარაბალი მისი თანაბარია.

ბ) მინდაოში სიმალლის მიხედვით თუშურ ცხვარს „იმერულ“, ლეკურსა და ა/კ. დანარჩენ ჯიშთა შორის გარდამავალი ადგილი უკავია.

გ) სხეულის ირიბი სიგრძით, თუშურ ცხვარს „იმერულ“, ლეკურსა და ა/კ. დანარჩენ ჯიშთა შორის გარდამავალი ადგილი უკავია. მისი თანაბარია მხოლოდ ბოზახი.

დ) მკერდის სიღრმით თუშური, ბოზახთან, ყარაბალთან და შირვანთან ერთად, „იმერულ“-ლეკურსა და მაზეხ-ბალბას შორის ჰყვება.

ე) მკერდის ირგვლივობით, თუშურ ცხვარს შირვანთან ერთად „იმერულ“-ლეკურსა და დანარჩენ ა/კ. ჯიშთა შორის გარდამავალი ადგილი უკავია.

3) გავის სიგანით, თუშურ ცხვარს „იმერულსა“ და ა/კ. დანარჩენ ჯიშთა შორის გარდამავალი ადგილი უკავია.

2) თუშური ცხვარი არაგარდამავალი განაზომების მქონეა:

1) ამ შემთხვევაში საშუალო ოდენობები შეცდომათა საშუალებით არის შედარებული.

ა) წვივის ირგვლივობით, რომლის მიხედვითაც თუშური ცხვარი „იმერული“-ს, ლეკურის და ბოზახის თანაბარია, ა/კ. სხვა ჯიშები-კი მას აღემატებიან.

ბ) შუბლის სიგანით თუშური „იმერულის“ თანაბარია. ახლოა მასთან ლეკურ-რიც. დანარჩენები-კი მას აღემატებიან.

ინდექსების მიხედვით

1. თუშური ცხვარი გარდამავალ ადგილს იკავებს ა/კ. ცხვართა შორის, შემდეგი ინდექსების მიხედვით:

ა) სხეულის ირიბი სიგრძის, მინდაოში სიმაღლესთან, ინდექსით თუშური ცხვარი გარდამავალ ადგილს იკავებს „იმერულსა“ და ა/კ. დანარჩენ ჯიშთა შორის.

ბ) წვივის ირგვლივობის ინდექსით, მინდაოში სიმაღლესთან, თუშური ცხვარი ლეკურთან ერთად „იმერულსა“ და ა/კ. დანარჩენ ჯიშთა შორის გარდამავალ ადგილს იკავებს.

2. მკერდის სიღრმის ინდექსით, მინდაოში სიმაღლესთან, თუშური ცხვარი ყველა განხილულ ჯიშს აღემატება.

VI. მასალები ქართული ცხვრის წარმოშობის საკითხისათვის.

პროფ. ივ. ჯავახიშვილს (7) აღნიშნული აქვს, რომ „XI ს-ითგან“ მოყოლებული მუსკები, ტაბალები და კასკები, რომელნიც მერმინდელ მესხთა, იბერთა და კოლხთა წინაპარი ქართველი ტომები იყვნენ, უკვე პოლიტიკურ ასპარეზზე ჩანან და ხშირად ძღვეამოსილ ბრძოლას აწარმოებენ ასურელების წინააღმდეგ. IX ს-ითგან მოყოლებული ამ ბრძოლაში უკვე ასურელები იმარჯვებენ, მათ დამორჩილებასაც ახერხებენ და ყმად-ნაფიც სახელმწიფოებადაც ხდიან, ყოველწლიურ ხარკსაც ადებენ. ასურული წარწერებიდან ჩანს რომ მუსკებს, ტაბალებსა და კასკებს ამის შემდგომაც თავიანთი პოლიტიკური მდგომარეობის გამოსწორება არა ერთხელ უცდიათ, მაგრამ ასურეთის მბრძანებლები კვლავ მათ დაჰპატრონებიან. ამ ბრძოლას კიმერიელთა მცირე აზიაში VII ს-ში შესევამ მოუღო ბოლო: დაამხო მაშინდელი მბრძანებლებიც და ქართველ ტომთა უკანასკნელი ტალღაც ჩრდილოეთისკენ წასწია. ამ დროითგან მოყოლებული, მუსკებისა, ტაბალებისა და კასკების სახელი მცირე აზიაში ჰქრება და ქართველთა მოსახლეობის ასპარეზი შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროთი და ამიერ-კავკასიით-ღა განისაზღვრება“ (გვ. 1).

როგორც აქ მოყვანილ ამონაწერიდგანა ჩანს, ქართველებს ა/კ დასახლებამდე მცირე აზიაში ასურელების მახლობლად უცხოვრიათ და მათთან მუდმივ კავშირი ჰქონიათ. მეტადრე საინტერესო ის არის, რომ „მუსკები ამ დროს ვაზისა და მსხვილ და წვრილფეხა საქონლის მოშენებას მისდევდნენ“-ო.¹

¹) აქ მოყვანილი საუკუნეები ჩვენ წელთაღრიცხვამდეა აღებული.

²) ibid. გვ. 18.

„ეს იქითგანა ჩანს, რომ აშურ-ნასირ-აბალ მეფის (884-860 წ. ქრ. წ.) დროს მუსკები ასურეთის ხელმწიფეს ხარკად თითბრის ქურკლებს, ხარებს, ცხვრებს და ღვინოს აძლევდნენ ხოლმე“-ო².

აღნიშნული გარემოება ფრიად საგულისხმოა, რადგან ორისავე ქვეყნის ცხვრის ტიპები (თუ-კი იმ დროს მათ შორის რაიმე განსხვავება არსებობდა) ერთი-მეორეზე შესამჩნევ გავლენას მოახდენდნენ.

ჭიათურის რაიონის ვე⁴-ძების რქების ვარიაციათა შესწავლას იმ დასკვნამდე მიყვევართ, რომ სხვა ტიპის რქებთან ერთად, ძველასურულ (745 წ. ჩ. წ. აღრიცხვამდე) ვერძების რქების ხვეულების ტიპებიცა გვხვდება. რომ ასეთი რქების არსებობა „იმერულ“ ცხვარში ახალი წარმოშობის არ არის, ეს ჭიათურასთან მდებარე მღვიმის დედათა მონასტრის (XII საუკუნე) ვერძის თავის ქანდაკებიდგანაცა ჩანს, რომლის რქებიც ხვეულობის თითქმის ყველა დეტალით ძველასურულ ბარელიეფის ცხვრების რქებსა ჰგავს. ქართველ ხალხთა ძველი ბინადრობის ადგილი-კი, როგორც აღნიშნული იყო, ასურეთის მეზობლად მდებარეობდა. თავის მოყვანილობით, რქების ხვეულის ტიპით, ყურების სიდიდით, შეუბუთსავი თავით თვალების მდებარეობითა და გამომეტყველებით და აგრეთვე სიმაღლესთან შედარებით წაგრძელებული სხეულით „იმერული“ ცხვარი დასახელებულ ძველასურულ ბარელიეფის ცხვარსა ჰგავს. აღნიშნულ ბარელიეფისა და დღევანდელი „იმერული“ ცხვარი ურთიერთ შორის მხოლოდ კულის მიხედვით განსხვავდებიან.

„იმერული“ ცხვრის კულის ტიპთა შესწავლას იმ დასკვნამდე მიყვევართ, რომ მისი ძირითადი ტიპი თავდაპირველად მთელ სივრცეზე სწორი და მჭლე უნდა ყოფილიყო. შემდეგში „ღუმიან“ ჯიშთა შერევის გამო, მასში ცხიმის დაგროვების უნარი უნდა გაჩენილიყო, ხოლო ამ ჰიბრიდულ ცხვართა „თავის-ში“ მოშენების დროს ის ვარიაციები გაჩნდებოდა, რომლის შესახებაც ზევით უკვე იყო საუბარი.

რაკი მთელი რიგი ფენოტიპური ნიშნების მიხედვით „იმერული“ ცხვარი ძველასურულსა ჰგავს და რაკი ის მისგან მხოლოდ ცხიმინი კუდით განსხვავდება, საფიქრებელია, რომ ასურელებისა და ქართველ ტომების ცხვრები პირველ ხანებში (ქართველების ასურელებთან მეზობლად ბინადრობის დროს) ერთი და იგივე იყო. ქართველების გადმოსახლების შემდეგ-კი ასურულ ცხვარში, მუტაციისა ანდა ჰიბრიდიზაციის საშუალებით, კუდში ცხიმის დაგროვების უნარი გაჩენილა, რამაც ქართულ ცხვარზე უკვე გავლენა ვეღარ მოახდინა (კუდში ცხიმის დაგროვების უნარი იმ დროს რომ გაჩენილიყო, როდესაც ასურელები და ქართველები მეზობლად ბინადრობდნენ, ცხიმის დიდი რენტაბელობის გამო, ქართველებიც თავიანთ ცხვარს ცხიმ-კუდიანად გადააჯიშებდნენ). „იმერულ“ ცხვარს-კი სულ უკანასკნელ ხანამდე მჭლე კუდი შერჩა, რომლის უმეტესობაც შედარებით ახალი დროის ჰიბრიდიზაციამ შესცვალა.

რამდენად იყო „იმერული“ ცხვარი მთელს საქართველოში გავრცელებული, ამის შესახები ძველი ცნობები ჩვენ ხელთ არ მოგვეპოვება, ხოლო შედარე-

²) ibid. გვ. 18

ბით ახალი დროის (XVIII ს-ე) ცნობები ვახუშტის გეოგრაფიაში (6) არის მოყვანილი. მე-258 გვ. სპეციალურ თავში „აღწერა ეგრესის ქვეყნისა, ანუ აფხაზეთისა, ანუ იმერეთისა“, ვახუშტი ამბობს: „პირუტყვნი თვინიერ აქლემისა, არიან ყოველნი, და არა ეგდენ მრავალ, ვითარცა სხვათა საქართველოთა შინა. გარდა ცხოვარნი უღუმონი და კუდიანნი, მარადის მშობელნი ტყუბთა, და ოდესმე სამ-ოთხთა, და არცა ჰყავთ არვედ (ხაზი ჩემი გასმ. მ. რ.). არამედ ძროხა, კამბეჩი მროწლედ, ცხენი ჯოგად.¹ რამეთუ არა უხმთ თივა, ვინადგან ზამთარცა მძოვრად არიან, თვინიერ არგვეთისა და რაჭა-ლეჩხუმისა“-ო.

ცალკე რაჭის შესახებ-კი, ვახუშტი სწერს: „ცხოვარი უღუმო, ღორი სი-ცოცხლე მათი“-ო (გვ. 289).

ამნიარად, დასავლეთ საქართველოს ცხვრის აღწერილობა სულ მთლიანად „იმერული“ ცხვრის აღწერილობას ეფარდება. ამიტომ, ფრიად საგულისხმოა ის გარემოება, რომ მთიულეთის აღწერის დროს (გვ. 95) ვახუშტი ამბობს: „არა არს აქა აქლემი, კამბეჩი და ვირი, არს ცხოვარი უღუმო — კუდიანი, ძროხა და ცხენიცა არა მრავალ, სივიწროვისა გამო“-ო. გველეთის აღწერისას ამბობს: „პირუტყვნი, რაც ოდენ ეტევის, მრავალნი ცხოვარი უღუმო“-ო. (გვ. 98).

ქსნის ხევისა და მისი მამულის აღწერის დროს ვახუშტი ამბობს: „ცხოვარი აქა ცა უღუმო, პირუტყვნი არა ეგოდენ მრავალნი“-ო (გვ. 101).

იმერეთისა და ქართლის საზღვრის ხეფინის ხევის აღწერის დროს ვახუშტი ამბობს: „არს ცხოვარი უღუმო“-ო (გვ. 123).

ამნიარად, მთიულეთში, გველეთში, ქსნის ხევისა და ხეფინის ხევი, ცხვრები უღუმონი ყოფილან, ხოლო მაშინ რადესაც, მთიულეთის ცხვარს დამატებული აქვს სიტყვა კუდიანი, გველეთის, ხეფინის და ქსნის ხევის ცხვრები მხოლოდ უღუმოდ იხსენიებიან.

აღნიშნული გარემოება რასაკვირველია იმით არ არის გამოწვეული, რომ საქართველოს ამ ნაწილში ცხვრები სრულიად უკუდონი ყოფილიყვნენ. ეს ავტორს მხოლოდ მეტი სიმოკლისათვის უნდა ჰქონდეს გაკეთებული. ეს რომ ასე არის, იქიდგანაცა ჩანს, რომ დასავლეთ საქართველოს აღწერის დროს სიტყვა „უღუმო“ და „უღუმო-კუდიანი“ ვახუშტს ერთი მეორის შესატყვისადა აქვს ნახმარი.

იყო თუ არა აღმოსავლეთ საქართველოს დანარჩენ თემების „უღუმო-კუდიანი“ იგივე „იმერული“ ცხვარი — ეს ვახუშტის შრომიდგან ნათლად არა ჩანს, რადგან, იმერეთის აღწერის დროს, ცხვრების მრავალნაყოფიერებას მკვეთრად ხაზს უსვამს და აღმოსავლეთი საქართველოს კუდიან ცხვართა აღწერისას-კი ამ თვისებას სრულიად არ იხსენიებს.

¹) „ჯოგიცა ესრეთ განიყოფებიან: ცხენის ჯოგსა ეწოდება რემა; ჯოგსა ზროხათასა — მროწლე, რომელსა მსოფლიონი ნახირს უკმობენ; ჯოგსა ცხოვართასა — საწმუსო: ჯოგსა ცხოვართასა და თხათასა — არვე“; და სხვა. იხ. „ქართული ლექსიკონი“ სულხან-საბა ორბელიანისა. გვ. 470, 1928 წ.

საკმე ის არის, რომ ვახუშტისთვის როგორც ტფილისის მცხოვრებისთვის „ღუმიანი“ და მცირე ნაყოფიერი ცხვარი ჩვეულებრივი მოვლენა უნდა ყოფილიყო. ამიტომაც არის, რომ აღმ. საქართველოს აღწერის დროს იმ ხეობებში, სადაც-კი კუდიანი ცხვარი არ იყო გავრცელებული, ის ამ თვისებას სრულიად არაავითარ ყურადღებას არ აქცევს, ის ცალკე აღნიშნავს მხოლოდ იმ ხეობის ცხვრებს, სადაც მისთვის უჩვეულო კუდიანი ცხვრები იყვნენ გავრცელებულნი. ამიტომ, საფიქრებელია, რომ აღმ. საქართველოს კუდიანი ცხვრები მრავალნაყოფიერებით არ ხასიათდებოდნენ და დასავლეთის-კი—მრავალ ნაყოფიერი იყვნენ. რომ აღმოსავლეთ საქართველოს ზოგიერთ რაიონში იგივე ცხვარი იყო გავრცელებული, რომელიც დასავლეთ საქართველოშია, ეს ზოოტექნიკოს ქალანთარის აღწერილობიდან ნათლად ჩანს (1912 წელი), რომელიც აღნიშნავს, რომ „იმერული ცხვარი გორის მაზრაშიაც არის გავრცელებული“-ო.

ამნაირად, თუ-კი დას. საქართველოში და აღმ. საქართველოს ზოგიერთ რაიონში ერთიდაიგივე ცხვარი იყო გავრცელებული და ისინი მხოლოდ მრავალნაყოფიერებით განსხვავდებოდნენ, მაშინ საფიქრებელია, რომ „იმერულ“ ცხვარში მრავალნაყოფიერება შედარებით უკანასკნელ დროს გაჩნდა, და, მისი რენტაბელობის გამო, მთელს დას. საქართველოში გავრცელდა. აღმოსავლეთ საქართველოში-კი, უფრო მსხვილ მეცხვარეობისკენ და თუშური ცხვრისკენ თანდათანობით მეტი მიდრეკილების გამო, ეს თვისება აღარ იყო გადმონერგული. რასაკვირველია აქ იმ შემთხვევისგანაც არა ვართ მთლიანად დატული, რომ ვახუშტს ამ ფიზიოლოგიური მოვლენის აღწერა აღმ. საქართველოს კუდიან ცხვრებისთვის იქნება გამორჩა.

ამნაირად, აღმ. საქართველოს ერთ ნაწილში დღეს „იმერული“ ცხვრის სახელწოდებით ცნობილი ცხვარიც ყოფილა გავრცელებული.

„იმერული“ ცხვრის მსგავსი ცხვრები ჯავახეთშიაც უნდა ყოფილიყო, რადგან, საფლავებზედ დადგმულ ცხვრის ძეგლების რქების სხვა ტიპებთან ერთად, იქ ტიპურ „იმერული“ ვერძის რქების ფორმებსაც ვხვდებით. ასე, მაგ., სოფ. სათხის ეკლესიის სასაფლაოზე ვერძის ქანდაკებას „იმერული“ ცხვრის რქების ხვეულობა აქვს. ამ ვერძის კუდი ძირში მთლიანად მქლე არის, ხოლო ბოლოში-კი საკმაოდ დიდად შემორგვალეულია, ასეთი ფორმის კუდი მხოლოდ შემდეგით შეიძლება იყოს გამოწვეული: ქართველი მეცხვარეები ამ უკანასკნელ დრომდე-კი „სილამაზის მისაცემად“ ცხვარს კუდს ძირში უპარსავდნენ, ბოლოში-კი მატყლს უტოვებდნენ („ფოჩი“) ხოლმე, რაც კუდს ბოლოში გასქელებულ შეზღუდულებას აძლევს. დასახელებულ ცხვრის ქანდაკებაზედაც ეს მომენტი უნდა იყოს გამოსახული, სხვანაირად-კი ასეთი ფორმის კუდის არსებობას არაავითარი ახსნა არ მოეპოვება.

დაბოლოს, პროფ. ივ. ჯავახიშვილსაც (30) გამორკვეული ჰქონია, რომ ძველ დროს კუდიანი ცხვარი მთელს საქართველოში ყოფილა გავრცელებული.

ყოველივე ზემოთქმულიდანა ჩანს, რომ ძველად აღმ. საქართველოში გავრცელებული „იმერული“ ცხვარი თუშურ ცხვრად გადაჯიშებულა და მისი თუშურად გადაქცევის პროცესი ზემოქართლში ჯერ კიდევ ამ 20-25 წლ. წინათაც მიმდინარეობდა.

როგორც უკვე აღნიშნული იყო, ექსპედიციური გამოკვლევით გამოირკვა, რომ „იმერული“ ცხვრის თუშურად გადაჯიშების პროცესი დღეს დასავლეთ საქართველოშიც მიმდინარეობს.

იმ საკითხის გამოსარკვევად-კი, თუ რომელ ჯიშებთან ჰიბრიდიზაციითა და რა მოშენების მეთოდების წარმოებით იყო მიღებული თუშური ცხვარი, სათანადო მასალა არ მოიპოვება. არსებულ ცალკეულ ცნობებს და ამ ცნობებიდგან გამომდინარე ზოგიერთ ჯიშის შედარებას-კი შემდეგ დასკვნამდე მივყევართ:

აღმ. საქართველო გარშემორტყმულია ოსმალეთით, დაღისტინით, ქისტეთ-ჩიჩნეთით, ადერბაიჯანითა და სომხეთით. მუდმივ ბრძოლებისა და საზოგადოდ მუდმივ ურთი-ერთობის გამო, ქართველებისა და მის მეზობელ ქვეყნების ცხვრის ჯიშები ერთიმეორესა ჰხედებოდნენ. ამას გარდა, ქართველ მეცხვარეებს თავისი ცხვარი მათ საძოვარზე გადაჰყავდათ, ისევე როგორც უკანასკნელთ საქართველოს საძოვრებზე. რომ მეზობელ ქვეყნების ცხვრებს მთელი რიგი ისეთი თვისებებისა აქვთ („დღუმა“; დიდი ცოცხალი წონა, მერძეულობა და სხვა), რომლისკენაც დიდი მისწრაფება ქართველ მომთაბარე მეცხვარეებსა ჰქონდათ, ეს სრულიად უცილობელი ფაქტია და ამის შესახებ ზევით უკვე იყო საუბარი.

ამნაირად, კავკასიის დანარჩენ ხალხთა ცხვრების მონაწილეობა დღევანდელი თუშური ცხვრის შექმნაში, ცნობების მიხედვით, უცილობლად უნდა ჩაითვალოს. ამასვე ადასტურებს თუშური, „იმერული“ და ა/კ. ცხვრის ჯიშების ურთი-ერთთან შედარებაც. საქმე ის არის, რომ სხეულის ფორმები და შედარებულ განაზომთა უმრავლესობა თუშურ ცხვარს „იმერულსა“ და ა/კ. დანარჩენ ჯიშთა შორის გარდამავალი აქვს. ასეთი შედეგები-კი ხშირია განსხვავებულ ჯიშთა შეჯვარების შედეგად მიღებულ ჰიბრიდებში. ამნაირად, თუშური ცხვრის სხეულის განაზომთა უმრავლესობის, „იმერულსა“ და ა/კ. დანარჩენ ჯიშთა შორის გარდამავალი მაჩვენებლები, თუშური ცხვრის წარმოშობის შესახებ ზემოაღნიშნულ მოსაზრებას არ ეწინააღმდეგება.

რქების მოყვანილობით, თუშური და „იმერული“ ცხვრები ერთიმეორისაგან მკვეთრად განსხვავდებიან. თუშური ვერძის რქები უფრო მეტად ავარულს, სამურის, ყუმიყურს, ყარაჩაულს (ზოგიერთი ვარიაციები), ბოზანს, მაზეხსა და ყარაბაღსა ჰგავს, თუმცა-კი სიდიდით და განვითარებით საშუალოდ მათ აღემატებიან. ცალკეულ ინდივიდებში-კი საუკეთესოდ განვითარებულ რქებს ზემოაღნიშნულ ჯიშებშიაცა ვხვდებით.

აღნიშნული გარემოება, პირველი შეხედვით, თუშური ცხვრის „იმერულსა“ და კავკასიის სხვა ჯიშთა ჰიბრიდიზაციით წარმოშობის მოსაზრებას თითქოს ეწინააღმდეგება, მაგრამ, თუ გავიხსენებთ ქართველი ხალხის ზოგიერთ ზნეჩვეულებას და მასთან დაკავშირებულ ისეთ ძლიერ ფაქტორს, როგორც შერჩევა არის, მაშინ თუშური ცხვრის რქების კავკასიის დანარჩენ ჯიშებთან შედარებით უკეთესი განვითარება ადვილი ასახსნელი გახდება.

საქმე ის არის, რომ ძველ დროს აღმ. საქართველოში და მეტადრე-კი თბილისში ყოველ უქმე დღეს (კვირა, დღეობები და სხვა) ვერძების ჭიდაობასა მართავდნენ ხოლმე. ამისათვის, ადგილობრივი, ამ გასართობით დაინტერესებული,

მცხოვრებნი დიდ, ღონიერ და აუცილებლად საუკეთესოდ განვითარებულ რქიან ვერძებსა ყიდულობდნენ, განსაკუთრებულად უვლიდნენ და უქმე დღეებში შოედნებზე გაჰყავდათ შესაჯიბრებლად. ასეთი გასართობები შესაძლებელია კავკასიის სხვა ხალხებშიაც არსებობდა, მაგრამ საუკეთესო რქიანი ვერძების შერჩევის ისეთი დიდი სტიმული, როგორც ეს თბილისში იყო, სხვაგან არ უნდა ყოფილიყო. ცხადია, რომ საჭიდაოდ საუკეთესოდ განვითარებულ რქიან ვერძების უპირატესობა და ბაზარზე მისი დიდი მოთხოვნილება, საუკეთესოდვე განვითარებულ რქებთან ვერძთა შერჩევას იწვევდა. მართლაც ჯერ კიდევ ამ უკანასკნელ დრომდე, როგორც ეს მოშენების წესების შესწავლამ დაგვარწმუნა, ვერძის სანაშენოდ დატოვების დროს, ქართველი მეცხვარეები უპირველესად რქების განვითარებას აქცევდნენ ყურადღებას.

ცხადია, რომ საუკეთესოდ განვითარებულ რქიან ვერძთა თანდათანობითი შერჩევა, ასეულ წლების განმავლობაში უფრო უკეთესად განვითარებულ რქებთან ვერძს წარმოშობდა, ვიდრე ეს მის წარმომშობ პირველადს ფორმებსა ჰქონდა.



სურ. 24. ყარაბაღული ცხვრის „ღუმი“-ს ტიპები. აკად. ივანოვი დგან.

მომთაბარე მეურნეს „ღუმა“ ღორის ქონის, ერბოს და საზოგადოდ ყოველგვარ ცხიმეულის მაგივრობას უწევდა, ამიტომ, ქართველ მეცხვარეთა მახლობლად „ღუმიანი“ ცხვრის არსებობა, აუცილებლად მათი ცხვრის ამ „ღუმიანით“ ჰიბრიდიზაციის ტენდენციას გამომიწვევდა. ამას გარდა, აღსანიშნავია ის გარემოება, რომ კავკასიის ჯიშებში „ღუმი“-ს დიდ სხვადასხვაობასა ეხვდებით. ის გარემოებაც არის აღსანიშნავი, რომ ყველა არსებულ „ღუმის“ შორის, ყარაბაღული ცხვრის „ღუმის“ ტიპები ნერბვის წესიერად ჩატარებისათვის ყველაზე უკეთესია, ერთდროულად-კი ცხიმის დიდ მარაგსაც იძლევა (იხ. სურ. № 24). ამიტომ, თუშური ცხვრის მისაღებად ჰიბრიდიზაციის დროს, ყარაბაღის შესაჯიბრებლად გამოყენების შემთხვევაში, ყველა რიგიანი მეურნე ყარაბაღული „ღუმის“ ვადმონერგვას უნდა ცდილიყო, რაც სინამდვილეში კიდევ მიღებული არის.

განსაკუთრებული ადგილი უკავია თუშური ცხვრის მატყლის თვისებებს. მართალია ის უხეშმატყლიანთა შორის საუკეთესო მატყლის მქონებელია, მაგრამ სინაზით პირველობას „იმერულ“ ცხვარს უთმობს. როგორც უკვე აღნიშნული იყო, დღევანდელი სახის თუშური ცხვრის შექმნაში დაღისტანის ცხვრებიც იღებდნენ მონაწილეობას (გუნბუური, ავარული, ანდიური), რომელთაც¹ კარგი ხარისხის მატყლი აქვთ. ყარაბაღს, მაზნესს და სხვა ჯიშებს-კი, გარდა ბალბასისა, ბევრად მდარე ხარისხის მატყლი აქვთ. რადგან თუშური ცხვარი სხვა ყველა ნიშანთვისებისა და არსებული ცნობების მიხედვით, „იმერულ“-სა და კავკასიის დანარჩენ ჯიშთა ჰიბრიდს წარმოადგენს, ამიტომ, უნდა ვიფიქროთ, რომ ერთი მხრით კარგი მატყლის თვისებებისა („იმერული“ და დაღისტნური ჯიშები) ხოლო, მეორე მხრით მდარე მატყლის ხარისხის მქონე (ყარაბაღი, მაზნესი და სხვა) ჯიშებთან შეჯვარების დროს „დუმი“-ს ფორმის შერჩევასთან ერთად, მატყლის ხარისხის მიხედვით შერჩევას, განსაკუთრებული მნიშვნელობა ექცეოდა. ასეთი მაგალითები თუშური ცხვრის მოშენების უახლოესი ისტორიიდანაც გვაქვს: ასე, მაგ., ცნობილ სხვილ მეურნეთა ერთი ნაწილი მატყლის ხარისხს განსაკუთრებულ მნიშვნელობას აძლევდა და „დუმის“ ფორმასთან და სხვა ნიშანთვისებებთან ერთად, სანაშენოდ საუკეთესო მატყლის ხარისხის ვერძებსა სტოვებდა. ზოგიერთ მათგანს ამ თვისების მხრივ ნერბების შერჩევა-კი უწარმოებია.

ყოველივე ზემოთქმული იმას გვეუბნება, რომ თუშური ცხვრის შესაქმნელად „იმერული“ ცხვრის ჰიბრიდიზაცია კავკასიის დანარჩენ ჯიშებთან, რომელიმე ჯიშით მთლიანი „შთანთქმით“ ანდა ჰიბრიდების უსისტემო მოშენებით-კი არ უწარმოებიათ, არამედ ქართველ მეცხვარეთ ჰიბრიდიზაციისათვის შემოყვანილი ანდა სტიქიურად შემოსული ჯიშების ზოგიერთი თვისება, ისევე როგორც ჰიბრიდიზაციის შედეგად მიღებული კომბინაციები და დროთა განმავლობაში მომხდარი მუტაციური (მემკვიდრული) ცვლილებები, არსებულ ჯიშებთან შედარებით მაღალ პროდუქტულ ჯიშის შესაქმნელად, მეტად მოფიქრებულად გამოუყენებიათ².

რასაკვირველია, შესაძლებელია, რომ მცირე აზიის პირველ ბინადრობიდან წამოსულ დღევანდელ კახეთის მცხოვრებთ, გზაში სხვა „დუმიანი“ ჯიშის ცხვარი შეხვდათ, რომელთან ჰიბრიდიზაციის შემწეობითაც „დუმიანი“, თუშური ცხვრის მაგვარი ცხვარი იყო მიღებული. მაგრამ, სამწუხაროდ ქართველ ტომთა გადმოსახლების გზები და მასთან დაკავშირებული სხვადასხვა პროცესი იმდენად არის ბურუსით მოცული, რომ ჩვენთვის მისი გამოკვლევა შეუძლებელი ხდება. მეორე მხრით-კი თუშური ცხვრის დღევანდელ ტიპის შექმნაში კავკასიის ჯიშთა მონაწილეობა უცილობელი ფაქტია და „იმერული“ და კავკასიის დანარჩენ ჯიშთა შეჯვარებითაც თუშური ცხვრის მიღება სათანადო სელექციის შემწეობით სრულიად ადვილი წარმოსადგენია.

¹ სამწუხაროდ, დასახელებულ ჯიშების განაზომები ხელთ არ მქონდა, რის გამოც ისინი ქართულ ცხვართან ვერ შევადარე.

² რომელმა ჯიშმა უფრო დიდი გავლენა მოახდინა თუშურ ცხვარზე ამის გარკვევა ჯერ-ჯერობით ვერა ხერხდება.

როგორც ყოველივე ზემოთქმულიდგანა ჩანს, დღევანდელ მიწაწყალზე დასახლებამდე ქართველებს იგივე ცხვარი ჰყოლიათ (რასაკვირველია, გარკვეული სხვადასხვაობით), რომელიც დღეს „იმერული“ ცხვრის სახელწოდებით არის ცნობილი (შედარებით შეურეველი ტიპი ქიათურის რაიონში არსებობს). აღნიშნული ცხვარი აღმ. საქართველოში თუშურ ცხვარად გადაჯიშებულა, მისი თუშურად გადაქცევის პროცესი ზემოქართლში ამ 20—25 წ. წინათაც მიმდინარეობდა.

ყოველივე ეს იმის მაჩვენებელია, რომ XII ს-შიც საქართველოს უდიდეს ნაწილში „კუდიანი“ ანუ „იმერული“ ცხვარი ყოფილა გავრცელებული.

თუშური ცხვრის შესახებ-კი დაბეჯითებით იმის თქმა არის შესაძლებელი, რომ XII ს-ში ის დღევანდელი სახით არ არსებობდა, რადგან უპირველეს ყოვლისა მისი უცხო ჯიშებთან ჰიბრიდიზაცია ამ ბოლო დროსაც მიმდინარეობდა და მეორეც XII—XIII ს-ის ხელთნაწერებში მოყვანილი სურათების ცხვრის ცხიმ-კუდიც დღევანდელ თუშური ცხვრის „დუმიდან“ მკვეთრად განსხვავდება.

ყოველივე ზემოთქმულიდგანა ჩანს, რომ „კუდიანი“ ანუ „იმერულ“ ცხვართან ერთად, XII ს-ში ცხიმ-კუდიანი ცხვარიც არსებობდა, რომელსაც გავრცელების არე, პირველთან შედარებით, ბევრად უფრო მცირე უნდა ჰქონოდა. რადგან ცხიმ-კუდიანი ცხვრის სურათები XII ს-ზე ადრინდელ ხელთნაწერებში არა ჩანს, ამიტომ სრულიად ადვილი წარმოსადგენია, რომ ცხიმკუდიანი ცხვარი საქართველოში პირველად სწორედ XI—XII ს-ში შემოდის. თუმცა-კი სხვა საბუთთა არ არსებობის გამო, მისი დანამდვილებით დადასტურება ჯერ-ჯერობით შეუძლებელია.

ლიტერატურა.

1. Лус, Я. Я.—1927—Семиреченская курдючная овца. Мат. особ. комит. по исслед. авт. республик. Акад. Наук, № 8.
2. Калугин—1930—Исследование современного состояния животноводства Азербайджана. т. 4. Овцы, козы и свиньи.
3. Калантар А. А.—1913—Характеристика Кавказских пород овец. Труды I Всерос. съезда по Овцеводству.
4. Тамамшев, А. З.—1930—Материалы по изучению животноводства ССР Армении, в. I.
5. Джанашвили, М.—1897—Историческая справка о молочном хозяйстве в древней Грузии. Сб. Вопросы кавказского молочного хозяйства.
6. ვახუშტი—გეოგრაფია. მოსე ჯანაშვილის გამოცემა.
7. ჯავახიშვილი, ივ.—1928—ქართველი ერის ისტორია.
8. Wriedt, Chr.—1914—Über die kurzohrige Schafrasse Norwegens. Jahrbuch f. wissenschaftliche und practische Tierzucht. IX.

9. Wriedt, Chr.—1921—Breeding earless sheep. Journal of Heredity, № 12.
10. Wriedt, Chr.—1925—Die Erblchkeitsverhältnisse der ohrlosen und kurzohrigen Schafe u. die Verbreitung dieser Typen in Norwegen. Zeit. f. ind. Abst. u. Vererbungslehre, B. 36.
11. Ritzman, E. G.—1920—Breeding earless Sheep. Journal of Heredity, V. 11.
12. Luch, Jay—1926—Inheritance of horns, wattles and color. Journal of Heredity, V. 17, № 3.
13. Wassin, B.—1928—Earlessnes in sheeps and goats (trauslatedtitle). Zeit. f. ind. Abst. u. Vererbungslehre, 49. (ორიგინალს არ ვიცნობ, ვიცნობ Luch-ით, 14).
14. Luch, Jay—1930—Earlessnes in karakul Sheep. Journal of Heredity. V. 21, № 3.
15. Васин, Б. Н.—1929—Наследование структурных признаков. Генетика овец, ч. II.
16. Wassin B.—1931—Linkage studies in Sheep. Journal of Heredity, V. 22, № 1.
17. Медведев, Н. Н.—1930—Киргизская коза. Мат. ком. по исслед. союз. и авт. респ. Ак. Н. Вып. 20.
18. Глембоцкий, Я. Л. и Моисеев, С. Б.—1935—Наследование крипторхизма у овец. Успехи Зоотех. наук т. I. Вып. I.
19. Малигонов, А. А.—1925—Исследование по вопросам биологии сельскохозяйственных животных.
20. Лус, Я. Я.—1927—Крупный рогатый скот кочевого населения Семиречья. Мат. ком. по исслед. союз. и авт. республик, № 8.
21. Медведев, Н. Н.—1927—Коза кочевого населения Семиречья. Мат. ком. по исслед. союз. и авт. республик, № 8.
22. Wriedt, Chr.—1926—Erbliche Unterschiede zwischen Schrittpferd und Laufpferd. Zeit. f. Tierz. u. Züchtungsbiologie, 5.
23. Чирвинский, Н. П. и Елагин, В. Б.—1916—Разводимые в России породы грубошерстных овец. (ვიცნობ Иванов-ის მიხედვით).
24. Иванов, М. Ф.—1935—Овцеводство.
25. Боголюбский—1934—К вопросу о типах хвостов овец и их развитии. Тр. лаб. эволюц. морфологии, т. II, вып. 2.
26. Иванов, М. Ф.—1927—Унаследование масти и формы хвоста метисами первой генерации. Бюлет. Аскания-Нова, 2.
27. Иванов, М. Ф.—1928—Повторные и новые наблюдения относительно унаследования масти и формы хвоста метисами первой генерации разных пород овец. Бюлет. Аскания-Нова, 4.
28. რჩეულიშვილი, მიხ.—ჰიგმენტაციისა და პროდუქტულობის ურთიერთდამოკიდებულების შესახებ და საელიტო ფარის ორგანიზაციის საკითხისთვის (ხელთნაწერი, 1933).

29. რჩეულიშვილი, მიხ.—მასალები თუშური ცხვრის პოპულაციის ფენოანალიზისთვის (ხელთნაწერი, 1931 წ.).
30. ჯავახიშვილი, ივ.—1937 9 მარტი. გაზეთი „კომუნისტი“ № 55.
31. Adametz, L.—1917—Studien über die Mendelsche Vererbung der wichtigsten Rassenmerkmale der Karakulschafe bei Reinzucht und Kreuzungen mit Rambouillets. Bib. Genetica. Bd. I.
32. Васин, Б. Н.—1928—Наследование окраски и пежин. Генетика овец, ч. I.
33. Roberts, Fraser—Piebald (shpanish) Sheep and their crosses with other breeds. The Welsh Journal of Agriculture V. II. (თრიგინალს არეცნობ. ვიცნობ ვასინით, 32).
34. Adametz, L.—1930 — Rassenbildende Domesticationsmutationen bei Abkömmlingen von Ovis Vignei Blyth. Zeit. f. Tierz. u. Züchtungsbiologie. VIII.
35. Antonius, O.—1922 — Grundzüge der Stammesgeschichte der Haustiere. Jena.
36. Елпатиевский—1932—Разведение овец.
37. Васин, Б. Н.—1932—Сравнительная характеристика мериносовых и валахских овец, как исходных пород опыта. Генетика овец. Сборник.
38. რჩეულიშვილი, მიხ. და მარიამ ნიქარაძე—რჩეულიშვილისა—თუშური ცხვრის მატყლის სიგრძის სხვაობრიობა (ხელთნაწერი 1933 წ.).
39. იოსელიანი, ნიკ.—1927—მასალები თუშური ცხვრის ფენო-ანალიზისათვის. ტფილ. უნივერსიტეტის მოამბე, VIII.
40. რჩეულიშვილი, მიხ.—მასალები თუშური ცხვრის ჰიბრიდოლოგიური ანალიზისთვის. I. მატყლის თვისებები. (ხელთნაწერი, 1933 წ.)
41. რჩეულიშვილი, მიხ.—თუშური ცხვრის მატყლის სიმსხოს სხეულზე გათანაბრება (ხელთნაწერი).
42. Насонов, Н. В.—1923—Географическое распространение диких баранов старого света.
43. Adametz, L.—Общая зоотехния. თარგმანი გერმანულიდან Карпов-ის რედაქციით.
44. Keller, C.—1909—Die Stammesgeschichte unserer Haustiere.
45. Труды комиссии по стандартизации шерсти ВСНХ СССР, под редакцией проф. Канарского 1928.
46. Stegmann V, Pritzwald—1924—Ressengeschichte der Wirtschaftstiere.
47. Азаров, С. Г.—1930—Гиссарская овца. Сб. Овцеводство Таджикистана.

48. Бригис, О. И.—1930—Дарвазская овца. იქვე.
49. Бригис, О. И.—1930—Чапанская овца. იქვე.
50. Лус, Я. Я.—1930—Курдючная овца Киргизии. Мат. ком. по исслед. союз. и авт. респ. вып. 22.
51. Лус, Я. Я. и Медведев, Н. Н.—1928—Курдючная овца Семипалатинской губернии. Мат. ком. по исслед. союз. и авт. респуб. Вып. 8.
52. Кулешов, П. Н.—1925—Овцеводство.
53. Кулешов, П. Н.—1922—Породы грубошерстных овец.

დავ აღა ღოგსა ბეჭადე:

Handwritten musical notation consisting of four lines of notes and stems. The notes are simple circles with stems, some with flags. The text is written in Georgian script below the notes.

ქყაღოსადებებისა
ღ აზხებოდს
ნამთეოდ

იმ მრავალ წყალსადენისა და არხებისაგან, რომელთაგან ძველადვე უხვად ყოფილა დაღარული საქართველო, ჩვენ მხოლოდ სამ დიდს ჰიდროტექნიკურ ნაშენს შეგვხვებით, რომელთა აგება უდავოდ თამარ მეფის ეპოქასთან არის დაკავშირებული. ასეთს ნაშენებს ეკუთვნიან: 1. თამარ მეფის ნებაყოფლობით ანტონ მწიგნობართუხუცესის (ჰყონდიდელის) მიერ 1202 წელს გაყვანილი სხალ ტბა-შიომღვიმის წყალსადენი; 2. ალაზნის სარწყავი არხი და 3. სამგორის ველის სარწყავი არხი. შოთა რუსთაველისა და მისი ეპოქის მუხეუმის დირექტორის პროფ. ივანე ჯავახიშვილის დავალებით, ჩატარებულ იქნა ამ ნაშენთა ნაშთების ადგილობრივი გამოკვლევა, რომლის მთავარ მიზანს შეადგენდა გამოგვეჩვენა, თუ როგორ დონეზე იდგა იმდროინდელი ტექნიკა საქართველოში. მიღებულმა შედეგებმა ნათლად დაგვანახა, რომ ხსენებული ნაგებობანი, თანამედროვე ტექნიკისთვისაც კი საკმაოდ რთულ ბუნებრივ პირობებში, დიდი ხელოვნებითა და ოსტატობით შეუსრულებიათ. გარდა ამისა, თუ მივიღებთ მხედველობაში ამ ნაგებობათა ფრიად დიდ მასშტაბს, რომელსაც დაწვრილებით ქვევით გავეცნობით, და იმ გარემოებას, რომ ჰიდროტექნიკა სააღმშენებლო ხელოვნების ურთულეს დარგად ითვლება, შეგვიძლია დავასკვნათ: შოთა რუსთაველის ეპოქის საერთოდ ფრიად მაღალ კულტურულ დონესთან შეფარდებით ტექნიკაც სავსებით ჰარმონიულად ყოფილა განვითარებული.

გამოთქმული აზრის დასამტკიცებლად ფრიად დამახასიათებელი იქნება ერთსა-და-იმავე პირობებში აგებულ იმდროინდელ და თანამედროვე ნაშენთა შედარება. ამ მხრივ დიდი ყურადღება მივაქციეთ ალაზნის არხებს, სადაც, საბედნიეროდ, მოგვეცა სრული საშუალება პარალელი გაგვევლო ძველ არხსა, რომელიც აგებულია თამარის დროს, და ახალ არხს შორის, რომელიც ძირითადად 1933 წელს დასრულდა და იქნა შესრულებული თანამედროვე საირიგაციო ტექნიკის სრული გამოყენებით. მიუხედავად ერთიმეორიდან შვიდი საუკუნით დაშორებისა, ორივე არხი სწყვეტს ერთსა-და-იმავე — ალაზნის ველის მორწყვის პრობლემას. ქვემოთყვანილი მათი შედარება ნათლად დაგვანახებს, რომ ძველმშენებლებს ეს პრობლემა არა ნაკლები მასშტაბით დაუსახავთ და, თუ მივიღებთ მხედველობაში იმდროინდელ ტექნიკურ საშუალებებს, არა ნაკლების წარმატებითაც გადაუჭრიათ.

სამწუხაროდ, სამგორის ველის ძველი სარწყავი არხის ასეთივე შედარების საშუალებას მოკლებული ვართ, თუნდაც ასი წლის წინათ აგებულ ახალ არხთან, რადგან პირველის კვალი ჯერ-ჯერობით ვერ აღმოვაჩინეთ. მაგრამ, როგორც ქვევით უფრო დაწვრილებით დავუბრუნდებით ამ საკითხს, შეიძლება ძველი არხის

კვალის წაშლის მიზეზი სწორედ მისივე მიზანშეწონილად გაყენაში მდგომარეობდეს, ვინაიდან მოსალოდნელია, რომ ახალი არხი თავიდან ბოლომდე ძველის კვალს გააყოლეს.

რაც შეეხება სხალტა-შიომღვიმის მონასტრის წყალსადენს, ეს ნაგებობა ძველ მშენებლებს ისეთ რთულ გეოლოგიურ და ტოპოგრაფიულ პირობებში შეუსრულებიათ, რომ იმავე ამოცანის განხორციელება ჩვენს ხანაშიც დიდ საგონებელში ჩაადებდა თანამედროვე გამოცდილ სპეციალისტებსაც. განსაკუთრებით სირთულეს წარმოადგენს წყლის მიწოდება წყალსადენის ბოლო უბანში სხალტის ქედიდან, რომელიც 170 მეტრიანი ციცაბო კლდით დაჭყურებს შიომღვიმის მონასტერს (სურ. 12). დღევანდელ პირობებში ეს მხოლოდ ლითონის საწნეო მილსადენით შეიძლება განხორციელდეს, რომლის დამაგრება საკმაოდ რთულ ამოცანას წარმოადგენს. თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ იმდროინდელ მშენებლებს მხოლოდ თიხის მილები გააჩნდათ, ადვილად წარმოსადგენი იქნება ის სიძნელე, რომელიც მათ გადაელობებოდათ.

არა ნაკლებ რთულია წყალშესაკრები ნაწილი (კობტაყი), რომელიც შესრულებულია მიწის ქვეშ, გვირაბების რთული სისტემის სახით. უნდა აღინიშნოს, რომ გვირაბების მშენებლობას ჩვენში უკანასკნელ დრომდე ძალიან გაუბრუნდნენ და მათი აგების ტექნიკა მხოლოდ ამ უკანასკნელ ათეულ წელში იქნა ათვისებული. აქედან ცხადია, თუ როგორი გაბედული ნაბიჯი გადაუდგამთ ძველ მშენებლებს, როდესაც შესდგომიან გვირაბების გაჭრას, და მეორე მხრით, როგორი სისწორით გაუთვალისწინებიათ ის რთული ჰიდრო-გეოლოგიური პირობები, რომელიც მათ ასეთს შრომას სათანადოდ დააჯილდოებდა და მისცემდა წყლის დებიტის გადიდებას, ფრიად სასურველს შიომღვიმის მონასტრის მაშინდელ მრავალრიცხოვან საკრებულოსათვის.

შევეხეთ რა საერთო სახით შოთა რუსთაველის ეპოქის სამ დიდს ჰიდროტექნიკურ ნაგებობას, ჩატარებულ გამოკვლევათა მიხედვით გადავდივართ თითოეული მათგანის უფრო დაწვრილებით აღწერაზე.

1. სხალტა-შიომღვიმის 1202 წელს აგებული წყალსადენი

შიომღვიმის მონასტრის ძველი წყალსადენი, რომლის სათავე სოფ. სხალტაში იმყოფება, ანტონ ჭყონდიდელს, თამარ მეფის მწიგნობართუხუცესს, გამოუყენა. 1202 წლის თამარ მეფის სიგელს¹ ბოლოში დამატებული აქვს ანტონ ჭყონდიდელის განჩინება, რომელშიაც ის აღწერს შიომღვიმის მონასტრის წყალსადენს: „მე მიწამან და მლოცველმან მეფობისა. მათისამან ანტონ ჭყონდიდელმან ვიხილე სახლი ღმთისა უდაბნოი მღუიშისა და მას შინა მყოფნი წმიდანი მამანი ჭირსა და იწროებასა შინა ურწყულობისასა და შემწეობითა წმიდისა მამისა შიოისითა ესძებნე და ვჰპოვე წყალი ადგილსა სხალტისასა და ხელეყავ მოქმედებად და შეწვენითა მისითა მოვიყვანე წყაროი კარსა წმიდისა

¹ თ. უორდანიძე. ისტორიული საბუთები შიომღვიმის მონასტრისა. ტფილისი 1896 წ. გვ. 27.

ეკლესიისასა ჟამთა წელიწადისა სჰმისათა დიდითა შრომითა და გულსმოდგინებითა და მოსვლისა თავსა თანა ვჰქებნენ სხუაი წყალი, რომელი მკვიდრთა მის ადგილისათა არა მოაკლდა, ეგზომ მოვიდა და უმეტესიცა წყალი;...”

აქ ორი რამ არის ფრიად საგულისხმო: პირველი,—წყალსადენის აგებანსაში წელი მონდომიან და დიდი შრომა დაუხარჯავთ; მეორე,—როგორც ეტყობა, წყალსადენის გაყვანის შემდეგ სოფელს წყალი დაჰკლებია, რის გამოც სხვა წყალი უძებნიათ, ანუ, უკეთ რომ ვთქვათ, იმავე წყაროს დებიტი გაუდიდებიათ. სწორედ ამით აიხსნება ის რთული მიწის-ქვეშა წყალშესაკრებელი (საკოპტაჟო) სამუშაოები გვირაბების სახით, რომელიც ამ მიზნით უწარმოებიათ.

მართლაც რომ „...დიდითა შრომითა და გულისმოდგინებითა“ შესრულებულს ამ სამუშაოს ნაშთებს დღეს შემდეგი სახით ვხედავთ:



სურ. 1.


ამჟამად გაუქმებულ წყალსადენის წყარო გამოდის გორაკის ძირში ნეკერ-ჩხალის ქვეშ (სურ. 1). როგორც სასმელი წყალი—სიცივითა და გემოთი—ეს წყარო ფრიად მაღალი ღირსებისაა, რომლის მსგავსი აღმოსავლეთ საქართველოში იშვიათად გვხვდება. სოფელი სხალტბა, რომელიც ძველად ერთი კილომეტრის მანძილზე ყოფილა გაშენებული დღევანდელ წყაროდან და წყალსადენის თავისი შტო ჰქონია, ამ უკანასკნელის გაუქმების შემდეგ, ეტყობა წყაროს მოახლოვებია და თავის არსებობის ძველ ადგილზე მხოლოდ ნანგრევები დაუტოვა

ვება. წყარო გადმოჩქეფს რკინის მილიდან, რომლის შემდეგ იწყება მიწის გულში შეჭრილი ქვითკირით გამოშენებული არხი. განივი კვეთი ამ არხისა, რომელიც წყალშესაკრებელს წარმოადგენს, გამოსახულია მე-2 სურათზე. ასეთნაირად ეს კვეთი 34 მეტრზე გრძელდება. ეს ნაწილი ღია წესით არის დამუშავებული, ე. ი. ჯერ თხრილი ამოუღიათ, შემდეგ ქვითკირის კედლების წყობა გაუკეთებიათ, არხი ბრტყელი ფილაქანით გადაუხურავთ და ისევ მიწით დაუფარავთ.


ამის შემდეგ ღია თხრილით მუშაობა, მისი დიდი სიღრმის გამო, გასძნელებიათ და, როგორც თანამედროვე პირობებშია მიღებული, გვირაბის წესით დამუშავებაზე გადასულან. გათხრათა საშუალებით, რომელიც წყაროდან 26 მეტრის მანძილზე, 6 მეტრის სიღრმის შახტის მოწყობით დაიწყეთ, ეს გვირაბი 23 მეტრის მანძილზე აღვადგინეთ. ამ ნაწილის განივი კვეთი მე-3 სურათზეა წარმოდგენილი. ცხადია, რომ გვირაბის ზედა ნაწილის დანიშნულება წყალშესაკრებელი არხის წყობის წარმოების და მის დათვალიერების შესაძლებლობაში გამოიხატება. შახტიდან 13 მეტრის მანძილზე წყალშესაკრებელი არხის ფილაქნის საშუალებით ბრტყელი გადახურვა მე-4 სურათზე ნაჩვენებია კონსტრუქციით იცვლება.

აღსანიშნავია, რომ ღია წესით დამუშავებიდან გვირაბზე გადასვლის საზღვარი ძველ დახელოვნებულ მშენებლებს გეოლოგიური პირობის მიხედვითაც დაუმყარებიათ. ღია წესით დამუშავება ნაყარ, მთიდან ჩამორეცხილ ნიადაგში უწარმოებიათ, ხოლო გვირაბი იწყება ძირითად ქანებში, რომელიც საკმაოდ მაგრად შემჭიდროებულ კონგლომერატს წარმოადგენს. ასეთივე ქანებიდან არის შემდგარი შიომღვიმის მონასტრის ირგვლივ მდებარე ქედები, რომლებშიაც მრავალი მღვიმეა გამოკვეთილი. ამ მღვიმეების შესახებ ვახუშტი ბატონიშვილი თავის გეოგრაფიაში სწერს: „არიან ქვანთ გამოკვეთილნი კლდისაგან მრავალნი და კლდე ესე არს ვითარცა ნაშენი ქვითკირისა“. მაგრამ ასეთი სიმაგრე ნამდვილი მაგარი ქვითკირით გამოუშენებელ გვირაბში, თუნდაც საკმაოდ მყარ კლდეში, მხოლოდ რამდენიმე ხანს გასტანს. შემდეგში, ატმოსფერული ზეგავლენით, წყლის გაჟონვით, სინოტივითა და სიმძიმის ძალათა ერთგვარი განაწილების კანონით შესაძლოა მისი ჩამონგრევა.

თანამედროვე თეორიის მიხედვით, რომელიც პრაქტიკაში ძალიან ხშირად მართლდება, მიწის გულიდან გამოღებულ ნაწილის თავზე ყამირი თვითონ შეჰკარავს თაღს, რომელიც პარაბოლური მოხაზულობისაა. თაღის ქვევით დარჩენილი ნაწილი შვავდება, ხოლო, თუ გვირაბი გამაგრებულია, ახდენს დაწინევას ამ სიმაგრეზე. სწორედ ამ დაწინევაზე ვანგარიშობთ თანამედროვე გვირაბების როგორც დროებითს გამაგრებას, ისევე მის მუდმივ ქვითკირით მოსახვას. გამოუშენებელ გვირაბებში ყამირის მთავარი თაღის ზევით კიდევ რამდენიმე თალი ისახება, რომლებიც დროთა ბრუნვის განმავლობაში თანდათან შვავდება, როდესაც მათი წინააღმდეგობა ზღვრულ მდგომარეობას მიაღწევს (სურ 5). ეტყობა ასეთივე ბედი სწვევია შიომღვიმის მონასტრის წყალსადენის სათავო ნაშენის გვირაბის ზოგიერთ უბანსაც, სადაც შვიდი საუკუნის განმავლობაში რამდენიმე ასეთ თაღს მოუსწრია ჩამოშვავება, მიუხედავად იმისა, რომ პირველად გათხრის დროს ყამირი საკმაოდ მყარი იქნებოდა და გამაგრებას არ მოითხოვდა.



სურ. 3.



სურ. 2.

ამ გარემოებამ ფრიად გაგვიძნელა მუშაობის წარმოება, რის გამოც შეეძელით მთავარი წყალშესაკრებელი გვირაბის შხოლოდ 23 მეტრის სიგრძეზე გაწმენდა. გადმოცემით ამ გვირაბის სიგრძე ისეთი ყოფილა, რომ მის ბოლოში




სურ. 4.

მისვლამდე თითქოს ერთი კართოფილის სანთელი დაიწვის. გარდა ამისა მას ჰქონია რამდენიმე განშტოება. სამწუხაროდ, მისი ბოლომდე აღდგენა ვერ შეეძელით დროის უქონლობის გამო, თუ არას ვიტყვით ამ სამუშაოს ფრიად ძვირ-ღირებულებაზე. საქმე ის არის, რომ, თუნდაც ჩამოუშევებელ ნაწილში სათანადოდ გამაგრების გარეშე გავლა ფრიად სახიფათოა, ვინაიდან ზოგიერთ

ნაწილში ყამირის თალი შეიძლება ზღვრულ წონასწორობის პირობებში იმოქმედოს და საკმარისია მცირეოდენი შენძრევა, რომ ჩამოშვავდეს.

აღწერილი გვირახის დასაწყისიდან, ე. ი. ახლანდელ წყაროდან, ყოფილა გაყვანილი თიხის მილსადენი, რომელიც ერთი კილომეტრის შემდეგ ძველ სოფ. სხალტაში შედიოდა. აქვე ყოფილა აგებული ციხე-სიმაგრეები, რომელთა წყალმომარაგებაც, ალბათ, იმავე მილსადენით ხდებოდა. ადგილობრივი გათხრებით დავამყარეთ, რომ ეს მილსადენი ძველ ნასოფლარის ფარგლებიდანაც გადიოდა, ეტყობა, შემდეგი სოფლების ან წინათ არსებულ რომელიმე ციხე-სიმაგრის მომსახურებისათვის. შინაგანი დიამეტრი ამ მილსადენისა საშუალოდ 7 სანტიმეტრს უდრის. გამტარუნარიანობა ჩვენ მიერ ჩატარებული ანგარიშით (იხ. დანართი № 4) უდრის 1 ლიტრს წამში, რაც დღე-ღამეში 86400 ლიტრს შეადგენს. თუ მილსადენის გამტარუნარიანობა სრულიად გამოყენებული იყო (რაც მოსალოდნელია, ვინაიდან წინააღმდეგ შემთხვევაში უფრო მცირე ყალიბის მილები შეეძლოთ ეხმარათ), წყლის ასეთი რაოდენობა რამდენიმე სოფელს დააკმაყოფილებდა. უნდა ვიფიქროთ, რომ სოფლის მილსადენი მონასტრის წყალსადენის დამთავრების შემდეგ მაშინვე აუგიათ, რათა, ანტონ ჭყონდიდელის განჩინების თანახმად, „მკვიდრთა მის ადგილისათა“ წყალი არ მოჰკლებოდა, რომელიც წყალშესაკრებელი სამუშაოების დამთავრების შემდეგ „ეგზომ“ მოსულა „და უმეტესიცა“.




სურ. 5.

მონასტრის მთავარი მილსადენის გარდა, რომლის აღწერას ქვევით შევუდგებით, და სოფლის ტრასისა, უკანასკნელის მახლობლად, მის პარალელურად, მესამე მილსადენის ორი ნაწყვეტი ვიპოვეთ, პირველი 25 და მეორე 60 მეტრის სიგრძისა. მე-6 სურათზე მარცხნივ ნაჩვენებია სოფლის ტრასი, მარჯვნივ კი მესამე ტრასის ნაწყვეტი. დანიშნულება ამ უკანასკნელისა დანამდვილებით ვერ ვამრავარკვიეთ. ვფიქრობთ, რომ ის ან შეცთომით ჩალაგებული უბანია, რომელიც ქვევით მოუვიდათ და შემდეგ მილების ამოღება დაეზარათ, ან ნიადაგის დაცურების გამო ეს უბანი ქვევით დარჩა, ხოლო გაწყვეტილი ნაწილი სოფლის მილსადენისა ხელახლად აღდგენილ იქნა.

რაც შეეხება მთავარ მილსადენს, მიმავალს შიომღვიმის მონასტერში, ის იწყება ზემოაღწერილ წყალშესაკრებელი გვირახის მარცხნივ (წყლის მიმდინარეობის მიხედვით) და არის მოთავსებული წყალშესაკრებელი არხის დონედან 3,40 მეტრით მაღლა. მილები სხვილი ყალიბისა არის, რომელთა შინაგანი დიამეტრი საშუალოდ 11-12 სანტიმეტრს უდრის.

ამ მილსადენის სათავის მოსანახად წყაროს გვერდით აღმოჩენილ მილსადენს გავყევით (სურ. 7), რომელმაც მალე ქვითკირის კედელთან მიგვიყვანა. რომ ეს უკანასკნელი არ დაგვეზიანებია, აქ გათხრას თავი დავენებეთ და იმის უკან 3,5 მეტრის სიღრმის შახტი ჩავჭერით. როგორც ორი მხრიდან მიდგომის შემდეგ გამოირკვა, ეს ქვითკირის კედელი მიწის ქვეშ მოთავსებულ აუზს უნდა ეკუთვნოდეს, რომლის ორი კედელი დანგრეული აღმოჩნდა. აუზის ფარგლებში, რომლის ზომა მილსადენის მიმართულებით დაახლოებით ერთ მეტრს უდრის, მიწები წყდება, ხოლო აუზის შემდეგ ისევ გრძელდება (სურ. 8 და 9).



სურ. 6.

შახტის შემდეგ გათხრა გვირაბის წესით ვაწარმოვეთ. 11 მეტრის მანძილზე მთიდან ჩამორეცხილ, დელეუვიალურ ფენაში მოვხვდით. ეტყობა ეს ადგილი ძველადაც გვირაბის სახით ყოფილა გავლილი, რადგან ვიპოვეთ ხის ნახევრად გაქვავებული ნაწილები, რომლებიც, ალბათ, სუსტი ყამირის გამო გვირაბის გასამაგრებლად ყოფილა ხმარებული.

შემდეგ იწყება რგვალი კვეთის მცირე გვირაბი 1,10 მეტ. დიამეტრისა, რომელიც გამოკვეთილია მყარ კონგლომერატში (სურ. 10). ის ნაწილობრივ გამოვსებულ იყო მიწით, რის გაწმენდის შემდეგ 10 მეტრის მანძილზე მივადექით სრულიად ჩამოშვავებულ ადგილს. მუშაობის გართულების გამო, აქ იძულებული ვავხდით გათხრები შეგვეჩერებია. ამ გვარად, მეორე შახტიდან მონასტრის ტრა-

სის გვირაბი აღდგენილ იქნა მხოლოდ 21 მეტრის მანძილზე. ამ გვირაბის მიმართულება გვაფიქრებინებს, და სავსებით ბუნებრივიცაა, რომ ის მთავარ



სურ. 7.

წყალშესაკრებელ გვირაბს უნდა უერთდებოდეს და მონასტრის მილსადენი ზემოაღწერილ წყალშესაკრებელი არხიდან უნდა იკვებებოდეს. მაგრამ, ვინაიდან მცირე გვირაბის ფარგლებში მონასტრის მილსადენი მასივზე გვერდით გამავალ

წყალშესაკრებელ არხთან შედარებით დაახლოვებით 3 მეტრით მაღლა მდებარეობს, მათი ურთიერთ გადაკვეთა საკმაოდ შორ მანძილზე უნდა ხდებოდეს.



სურ. 8.

მოსალოდნელია, რომ ამ ადგილზე მოწყობილია მონასტრის მილსადენის წყალმიმღები აუზი. ყოველივე ამის გამორკვევა ფრიალ საინტერესოა, მაგრამ ამავე დროს საკმაოდ რთული, რაც დიდს დროსა და თანხებს მოითხოვს.

სათავედან მონასტრის მილსადენის ტრასი დასავლეთისაკენ მიიმართება და დაახლოებით ერთი კილომეტრის მანძილზე პარალელურად მისდევს სოფ-


ლის მილსადენს, ვიდრე ეს უკანასკნელი სხალტბის ძველ ნასოფლარძაკენ მოუ-
ხვევდეს, ამის შემდეგ ის იმავე მიმართულებით გრძელდება და სათავედან ორი



სურ. 9.

კილომეტრის მანძილზე უპირდაპირდება შიომღვიმის მონასტერს. მონასტრის-
მილსადენი სოფლისაზე უფრო მცირე დაქანებით მიდის. ამის გამო, თუ სათავესთან
მონასტრის მილსადენი 3,4 მეტრით მაღლა მდებარეობს, შემდეგ ეს განსხვავება
უფრო მატულობს და სოფლის მილსადენის მოსახვევთან 5,30 მეტრს აღწევს.


მონასტრის მილსადენის საშუალო დაქანება უდრის 0,013, ე. ი. 13 მეტრს ერთ კილომეტრზე, რაც თიხის მილების გამტარუნარიანობისათვის დიდად არ უნდა ჩაითვალოს. მაგრამ ეს გარემოება სავსებით გასაგები ვახდება, თუ მივი-



სურ. 10.

ლებთ მხედველობაში, რომ მილსადენის სხალტბის ქედის გადაღმა მონასტრისაკენ გადასაყვანად ტოპოგრაფიულად აუცილებელია მისი ღრმა კრილში მოხვედრა, რომელიც შემდეგ გვირაბის სახით უნდა გაგრძელდეს (სურ. 11). კრილის

სხაღბა შიოჯივის 1202 ა ტყვანი წყალსადენი.



სურ. 11_ა

სიღრმისა და გვირაბის სიგრძის მაქსიმალურად შესამცირებლად ძველ მშენებლებს თანამედროვე ტექნიკის ეკონომიური მიდგომის მეთოდი უხმარიათ: მილსადენის დიამეტრი გაუდიდებიათ, რათა ამით აენაზღაურებიათ მისი საჭირო გამტარუნარიანობა მცირე დაქანების გამო, რითაც მისი ღირებულება გაუზრდიათ, მაგრამ მაქსიმალურად გაუმარტივებიათ ძალზედ რთული ნაწილი მილსადენისა, მის მოსახვევთან მონასტრისაკენ.



სურ. 12.

სამწუხაროდ, მონასტრის მილსადენის გათხრა სათავიდან მხოლოდ 750 მეტრის მანძილზე ვაწარმოეთ, რის გამოც მონასტრისაკენ მოსახვევის მეტად რთული და საინტერესო კვანძი არ დაგვიმუშავებია. როგორც მე-11 სურათზე აგებული გრძივი პროფილი გვიჩვენებს, მონასტრის მილსადენი ჯერ მიწის ღრმა კრილში უნდა შესულიყო და შემდეგ კი, მონასტრისაკენ მოსახვევთან, ქედი გვირაბით უნდა გაეკვეთა, ვინაიდან ასეთი სამუშაო იმდროინდელ მშენებლები-სათვის უჩვეულო სრულიადაც არ ყოფილა. გადმოცემის თანახმად, იმ მრავალ მღვიმისაგან, რომლებიც მონასტრის ჩრდილოეთით დამყურე ციკაბო კლდეში არიან გამოკვეთილი, ერთერთი თითქოს წყალსადენის გვირაბს უნდა წარმოადგენდეს. ეს უკანასკნელი კლდის თავიდან დაახლოვებით 50 მეტრის მანძილზეა მოთავსებული და მისასვლელ საშუალებას მოკლებულია (სურ. 12).

თუ როგორ ხდებოდა აქედან მონასტერში წყლის მიწოდება 170 მეტრის სიმაღლეზე და როგორ იყო მიმაგრებული მილსადენი ნიადაგზე, ეს ფრიად

საინტერესო ამოცანას წარმოადგენს. მაგრამ, სამწუხაროდ, ამის გამოსარკვევად არაერთი ნაშთი აღარ მოიპოვება. საერთოდ, ქედს გადაღმა მხარე, შიომღვიმის მონასტრისაკენ, შედგება ისეთი ქანებისაგან, რომლებიც ადვილად იშლება, ზევედება და, არამც თუ საუკუნეების განმავლობაში, არამედ ყოველ წლიურადაც კი იცვლის თავის სახეს. ეს კარგად ჩანს მე-12 სურათიდან, რომელიც წარმოადგენს ხელსმონასტრიდან, ქვევიდან ზევით, წყალსადენის გამოსავალ ადგილისაკენ, და მე 13-სურათიდან—შებრუნებული მიმართულებით, ზევითგან ქვევით.




სურ. 13.

მონასტრის სასაფლაო დარბაზის (სატრაპეზოს) დასავლეთის კედელში არის ხვრეტი, რომლის საშუალებით ყოფილა შეყვანილი მილსადენი. ხვრეტებს ეხედვით აგრეთვე ისრული თალების სვეტებში იმავე კედლის შინაგანი მხრიდან (სურ. 15). ეტყობა, ამ ხვრეტებში გავლით მილსადენი უხვევდა სამხრეთის კედლისაკენ, საიდანაც გარეთ ყოფილა გაყვანილი. 10 მეტრის მანძილზე ამ კედლიდან, ხევის პირად, რამდენიმე წლის წინათ უნახავთ მიწაში ჩაფლული თიხის მილი, რომელიც მონასტრის მილსადენის ყალიბისაა.

ვეხვით რა სხალტა-შიომღვიმის წყალსადენის სისტემას აღმოჩენილ ნაშთების საფუძველზე, უმთავრესად ტექნიკური თვალსაზრისით, არ შევეუდგებით მილებისა და საერთოდ ნივთიერი მხარის დეტალურად აღწერას. ეს საკითხი გაშუქებული აქვს გათხრათა არქეოლოგიური მხარის ხელმძღვანელს შ. ხიდაშელს. ვიტყვით მხოლოდ რამდენიმე სიტყვას მონასტრის მილსადენის გამტარუნარიანობაზე და მთელი სისტემის ექსპლოატაციის პირობებზე.

ჩვენ მიერ შესრულებული ანგარიშით (იხ. § 4) მონასტრის მილსადენის გამტარუნარიანობა უდრის 2,82 ლიტრს წამში, რაც დღე-ღამეში, 243000 ლიტრს შეადგენს. შიო-მღვიმის მონასტერი და მის ირგვლივ მდებარე გამოქვაბულები ძველად მჭიდროდ დასახლებული ყოფილა. ვახუშტ ბატონიშვილი თავის გეოგრაფიაში იხსენიებს: „ხოლო იტყვიან ძველად იდგა ხუთი ათასი მონაზონნი ამათ ადგილთა შინა.“ (გვ. 212). მართალია ძნელი წარმოსადგენია ხუთი ათასი კაცის ამ ადგილებში მოთავსება, მაგრამ, თუნდაც რომ ამ ფრიად მრავალრიცხოვან საკრებულოს წყალსადენის მიერ მოწოდებული წყალი გავუნაწილოთ, თვითეულზე დღე-ღამეში 50 ლიტრი მოვა, ნორმა, რომელიც ფრიად მაღალია მაშინდელი დროისა და განსაკუთრებით მონასტრის



სურ. 14.

პირობებისათვის. მეორე მხრით საბუთი გვაქვს ვიფიქროთ, რომ მილსადენის გამტარუნარიანობა გამოყენებული უნდა ყოფილიყო, რადგან მშენებელთა მიერ ჩატარებულ საკობტაჟო ღონისძიებებს, როგორც სიგელიდან ჩანს, წყალი ბევრი მოუცია. გარდა ამისა წყლის დიდი რაოდენობის მიღება რომ არ ედომებოდათ, მონასტრისათვის უფრო მცირე ყალიბის მილებს იხმარდნენ, თუნდაც ისეთივეს, როგორიც სოფლის მილსადენისათვის გამოუყენებიათ. აქედან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კომუნალური მოხმარების გარდა, წყალს სხვა მიზნებისთვისაც იყენებდნენ, მაგალითად წისქვილისათვის ან მონასტრის ქვევით მდებარე, მართალია, არა დიდი ფართობის, მოსარწყავად.



სურ. 15.



სურ. 16. თამარის არხი. სათავე ნაგებობის ადგილი.

როგორც ზემოხსენებულ თამარ მეფის სიგელიდან ჩანს, წყალსადენის მშენებლობის შემდეგ, ანტონ ჭყონდიდელს მისი ექსპლოატაციის შესახებაც უზრუნვია. თამარ მეფისათვის უთხოვინია, რომ ორი კომლი გლეხი წყალსადენისათვის მიეჩინა მეთვალყურედ და მკაზმავად. „...ეჭვადრე და მოვახსენე ღმთისა სწორსა მეფეთა მეფესა თამარს რაითამცა იგი გლეხნი მის წყაროსა მკაზმავად უბოძნეს“... თამარ მეფეს ეს თხოვნა დაუკმაყოფილებია, რის შემდეგც ეს ორი გლეხი წყალსადენის მეთვალყურედ დაუნიშნავთ და სხვა ყოველგვარი ბეგარისაგან გაუთავისუფლებიათ, მხოლოდ იმ პირობით, რომ მათ თავიანთი შვილები „ქუქანკებად,“ ანუ თანამედროვე ენით რომ ვთქვათ, ჰიდროტექნიკოსებად უნდა აღეზარდათ. როდესაც წყალსადენი სერიოზულად დაზიანდებოდა და ორი მეთვალყურე ვერას გახდებოდა, მონასტრის კრებულს შეატყობინებდნენ მოსაშველებლად. „გაუჩინე სამსახური მის წყაროსი, რომელ ორისავე სახლისაგან თვითოი შვილი მათი ქუქანკად გაისწავლებოდეს და ჰკაზმვიდენ მას წყაროსა. სხუაი მსახური არცა რაი ეკლესიისა ედვას თვინიერ წყაროსისა კაზმვისაგან კიდე და თუ დიდნი ნივთნი რაიმე საქმე გამოჩნდეს, რომელი მათგან არ იქმნებოდეს, მონასტერი დაუდებდეს, ანუ თუით მემღუიძე და კრებული ჩამოვიდოდეს და ყოველითურთ უნაკლულად ჰკაზმვიდენ.“

მეთვალყურეობის გასაადვილებლად მილსადენის განგრძივ თიხის თანგირები მოუწყვიათ (სურ. 15). სოფლის მილსადენში რამდენიმე ასეთი თანგირი ვიპოვეთ, რომლებიც ერთმანეთიდან 30-დან 80 მეტრამდე არიან დაშორებულნი. მონასტრის წყალსადენში კი მხოლოდ ერთი თანგირი აღმოვაჩინეთ, რომელიც სათავიდან 650 მეტრის მანძილზე იყო მოთავსებული. ამ თანგირების საშუალებით ადვილი გამოსარკვევია წყალსადენის სწორი მუშაობა, ხოლო, თუ ის დაზიანებულია, სათანადო უბანიც ადვილად მოიხსება. ასეთ მოწყობილობას თანამედროვე წყალსადენებში „სათვალყურო ჰა“ ეწოდება.

ზემოაღწერილ გათხრების გარდა, შესრულებულია აგრეთვე ნაგებობათა რაიონის ტოპოგრაფიული აგეგმვა, რის შედეგად აგებულია: სათავო ნაშენის უბნის გეგმა 1/500 მასშტაბში, მონასტრისა და სოფლის მილსადენების ტრასის განგრძივი გეგმა, 100-150 მეტრიანი სიგანის ზოლით, 1/2000 მასშტაბში და ორივე ტრასის განგრძივი და განივი პროფილები. შიომღვიმის მონასტრის ნაგებობანი დაკავშირებული არიან წყალსადენის ქედს ზედა ნაწილთან როგორც გეგმის, ისე სიმაღლის მხრივ (სურ. 11).

გადაღებულია მნიშვნელოვან ადგილებისა და ნაგებობათა ნაწილების ფოტო-სურათები. მონასტრის, სოფლისა და მესამე ტრასიდან ამოღებულია ნაწილი მილებისა თანგირებით. აგრეთვე მილი, ნახული მონასტრის სატრაპეზოს გვერდით და სხვა ზოგიერთი ნივთი, აღმოჩენილი გათხრების დროს.

ყოველივე ზემოჩამოთვლილი, სათანადოდ გაფორმებული შოთა რუსთაველისა და მისი ეპოქის მუხეტუშში, გამოფენილია დიდებული მგოსნის დაბადებიდან 750 წლის საიუბილეო ზეიმისათვის.

დასასრულ უნდა აღვნიშნოთ, რომ სხალტბა-შიომღვიმის მონასტრის წყალსადენის ნაშთების გამოკვლევა ამოწურულად არ შეიძლება ჩაითვალოს, რადგან კიდევ ბევრი რამ საინტერესო შეიძლება აღმოვაჩინოთ, მეტადრე სათავის

გვირაბებში, რომლების მხოლოდ მცირედი ნაწილი აღვადგინეთ. მართალია, ამ ფრიად რთული ნაშენის საბოლოო აღდგენა და სათანადოდ გამაგრება დიდს დროსა და საგრძნობ თანხებს მოითხოვს, მაგრამ ყოველივე ამის შესრულება მიზანშეწონილია არა მარტო ასეთ ღირსშესანიშნავი სიძველის დაცვის მიზნით, არამედ წმინდა პრაქტიკული მოსაზრებითაც. თუ ჩვენი ანგარიშით სხალტბას წყაროს დებიტი წამში 3-4 ლიტრს შეადგენდა, დღეს, გვირაბის ჩამონგრევისა და წყალშესაკრებელი არხის ამოვსების გამო, წყალი იკარგება და დებიტი $1\frac{1}{5}$ ლიტრს არ აღემატება. უეჭველია, ნაშენის აღდგენის შემდეგ წყლის დებიტიც აღდგება და, თუნდაც წამში 1,5—2 ლიტრს რომ მიაღწიოს, სხალტბაში მშვენიერი, ყოვლად შემკული კურორტის გაშენება შეიძლება.

მაღალი ხარისხის ცივი წყალი, მთის სალი ჰაერი, მოხერხებული ადგილმდებარეობა კურორტის დასავეგმავად, მდიდარი მცენარეულობა, ირგვლივ თვალწარმტაცი მიდამოები,—არაგვის, ქსნისა და მტკვრის ხეობები, იქვე ახლო მუხრანის ველი, სადაც ბალ-ბოსტნების გაშენება შეიძლება და, რაც მთავარია, თბილისთან სიახლოვე—35 კილომეტრით, ხოლო სამხედრო გზიდან სულ 5-6 კილომეტრით დაშორება, ისეთ პირობებს ჰქმნიან, რომ თბილისის ირგვლივ 50 კილომეტრის ფარგლებში მზგავსი ადგილი ძნელად თუ მოიპოვება.

თუ მივიღებთ მხედველობაში სხალტბა-შომღვიმის წყალსადენის, როგორც ისტორიული სიძველის დიდ მნიშვნელობას და ამავე დროს, თბილისის მახლობლად კურორტის გაშენების აუცილებლობას, სრულ იმედს გამოვთქვამთ, რომ საქართველოს სიძველეთა დაცვის კომიტეტი და საქართველოს საკურორტო სამმართველო ამის შესახებ თავის სიტყვას იტყვიან და უმოკლეს დროში საქმედ აქცევენ.

2. ალაზნის ძველი სარწყავი არხი

ალაზნის ძველი სარწყავი არხის სათავე მოთავსებულია სოფ. ალვანის პირდაპირ მდ. ალაზნის მარჯვენა ნაპირზე. ალავერდის მონასტრიდან ეს ადგილი დაშორებულია 1200 მეტრით, ჩრდილო დასავლეთის მიმართულებით. არხის კვალი, რომელიც გამოკვეთილია მდინარის შვეულად ჩამოქცეულ ნაპირში, ფრიად შესამჩნევია (სურ. 16), მხოლოდ აღსანიშნავია ის გარემოება, რომ არხის ძირი მდ. ალაზნის ახლანდელ ჩვეულებრივ წყლის დონესთან შედარებით 6,50 მეტრით მაღლაა მოთავსებული. ამ გვარად, წყლის მიღება არხში შესაძლებელი იქნებოდა ან საგუბრის საშუალებით, რომელიც მდინარის დონეს სათანადოდ მაღლა ასწევდა, ან იმ შემთხვევაში, თუ ვიგულისხმებთ, რომ მდ. ალაზანი მაშინ უფრო მაღლა გადიოდა, შემდეგში-კი, კალაპოტის გარეცხვის გამო, დაბლა დაიწია.

ორივე ეს შემთხვევა სრულიად შესაძლებლად მიგვაჩნია. მართალია, საგუბარის ან სხვა სათავეო ნაშენთა კვალი შენარჩუნებული არ არის, მაგრამ ეს ნაგებობანი, ალბათ, დროებითი ხასიათისანი—ხისა იქნებოდნენ, რომლების დროგამოშვებით შეკეთებასა და აღდგენას აწარმოებდნენ. ხოლო, არხის გაუქმების შემდეგ, ასეთ ნაგებობათა კვალი მაღე სრულიად წაიშლებოდა. თუ მხედველობაში მივიღებთ გეოლოგიურ პირობებს ალაზნის კალაპოტისა და ნაპირებისას, რომლებიც სილიან და თიხიან ნალექებისაგან შედგება და დღითიდღე ნგრე-

ვას განიცდის, დროის ასეთ მანძილზე არც კაპიტალური, ქვითკირის ნაშენის კვალის წაშლაც უნდა გავგვიკვირდეს.

მეორე მხრით, ასეთივე გეოლოგიური პირობების გამო, შვიდი საუკუნის განმავლობაში 6,5 მეტრით კალაპოტის გარეცხვაც სავსებით შესაძლებელია. თუნდაც ჩვენს პერიოდში, უსაგუბროდ აგებული არა ერთი და ორი არხი დარჩენილა უწყლოდ, სწორედ კალაპოტის გარეცხვის გამო.

მაგრამ უფრო მოსალოდნელია, რომ რაღაც საშუალო მდგომარეობას ჰქონოდა ადგილი, ე. ი. მაშინდელი მდინარის დონე ახლანდელზე უფრო მაღლა იდგა, მაგრამ არხამდე არ სწვდებოდა და ამისათვის აგებული იყო უფრო დაბალი საგუბარი, ვიდრე დღევანდელ პირობებში იქნებოდა საჭირო იმავე არხში წყლის მისაწოდებლად. მართლაც, 6,5 მეტრის სიმაღლის საგუბრის აგება და მისი შენარჩუნება ასეთ გეოლოგიურ პირობებში ძალიან ძნელი საქმე იქნებოდა, და, რომ ის ამ ადგილზე აუცილებელი ყოფილიყო, მაშინ არხის სათავეს სხვაგან აირჩევდნენ. სრულიად უსაგუბრობა კი, ისეთ გრანდიოზული ნაგებობისათვის, როგორც ალაზნის სარწყავი სისტემა ყოფილა, რომელიც, ალბათ, ხშირად ალაზნის წყლის დიდი რაოდენობის არხში მოქცევას მოითხოვდა, ძნელი წარმოსადგენია.


გადავდივართ რა არხის ტრასის აღწერაზე, საჭიროდ მიგვაჩნია წინასწარვე შემდეგი გარემოება აღვნიშნოთ: ზოგან არხის კვალი კარგად არის შენარჩუნებული და ხშირად რამდენიმე კილომეტრზე განუწყვეტლივ მიიმართება, მაგრამ ზოგიერთ ადგილში, და მეტადრე იქ, სადაც მოსახლეობა ახლოს არის და გაშენებულია ბაღ-ბოსტნები, ვენახები, გზები და სხ., არხის კვალი სრულიად წაშლილია. ასეთ უბნებში კვალის აღდგენას ინსტრუმენტულად ვაწარმოებდით, ე. ი. თვალსაჩინო უბნებში შესწავლილი ქანობით მივდიოდით და ამგვარად ამ უბნების თავსა და ბოლოს გაკავშირებდით. ბევრს გვშველოდა ადგილობრივი მოსახლეობის მითითება, რომელთა ნათქვამი სათანადო ინსტრუმენტული შემოწმების შემდეგ ხშირად მართლდებოდა. ამგვარად შეეძლოთ მაგისტრალური არხის მთელი ტრასის თავიდან ბოლომდე აღდგენა.

დიდ გეგმაზე, რომელიც შოთა რუსთაველის საიუბილეო გამოფენისათვის არის შედგენილი, არხის თვალსაჩინო უბნები მთლიანი ხაზით არის გატარებული, ხოლო არათვალსაჩინო — აღდგენილი ინსტრუმენტულად — წყვეტილით¹.


თამარის ძველი არხისა და ალაზნის ახალი არხის სქემატური გეგმა მე-18 სურათზე არის გამოსახული.

სათავიდან თამარის ძველი არხის კვალი სამხრეთ-აღმოსავლეთით მიიმართება (სურ. 18) და ალავერდის მონასტერს ჩრდილო-აღმოსავლეთით 600 მეტრის მანძილზე ჩაუვლის (სურ. 19). სათავიდან დაწყებული 6 კილომეტრის მანძილზე არხის კვალი კარგად ჩანს, ხოლო აქედან მე-17-ტე კილომეტრამდე წაშლილია. ამ უბნის ინსტრუმენტული აღდგენით გამოირკვა, რომ არხი ს. გულგულადან ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებით დაახლოებით ერთი კილომეტრის მანძილზე გადის. მე-18 კილომეტრზე არხი ჰკვეთს თელავ-ყვარლის გზატკეცილს.

¹ იქვე არის გამოსახული ალაზნის ახალი არხის გეგმა. გარდა ამისა — ორივე არხის განზომილებები და ძველის განივი პროფილები.



სურ. 18. თამარის არხის სათავე. შეხედვა ქვევიდან. არხი მიდის ბუჩქნარის განგრძივ.




სურ. 19. ალავერდის მონასტერი. მის იქით მხარეს 600 მეტ. მანძილზე გადის თამარის არხი.

ამ ადგილას არხის კვალი შედარებით კარგადაა შენახული სოფ. კონდოლის ბოლომდე. ამ სოფლიდან მე-33 კილომეტრამდე არხის კვალი შენარჩუნებულია წყვეტილი უბნებით, ხოლო მე-33 კილომეტრიდან მე-40-დე კარგად ჩანს.

ძველი არხის მე-28 კილომეტრის პირდაპირ მდ. ალაზნის მარჯვენა ნაპირზე, მოთავსებულია ალაზნის ახალი არხის სათავე ნაშენი. ძველი არხის მე-41 და ახალი არხის მე-13 კილომეტრზე, სოფ. ველისციხიდან ჩრდილოეთით 3 კილომეტრის მანძილზე, ხდება მათი ურთიერთ გადაკვეთა (სურ. 17).

ძველი არხის ქანობი მეტია, ვიდრე ახალისა, რის გამოც ძველი ექცევა ახლის ქვედა მხარეს. გარდაკვეთის შემდეგ, ს. ველისციხის ბოლოზე—მე-43-დან მე-46 კილომეტრამდე, ძველი არხის კვალი კარგად ჩანს. მე-59 კილომეტრზე ძველი არხისა და მე-31 კილომეტრზე ახლისა, სოფ. ბაკურციხიდან 2 კილომეტრის მანძილზე, ახალ არხზე მოწყობილია სწრაფდენი. ბაკურციხის სწრაფდენის საშუალებით ახალი არხი ვარდება 38 მეტრის სიმაღლეზე, რის შემდეგაც იწყება მისი მეორე უბანი. ამ სწრაფდენის გვერდით აგებულია ჰიდრო-სადგური „ალაზანჰესი“, რომლის მშენებლობა 1936 წელში დამთავრდა (სურ. 20).




სურ. 20. ბაკურციხის სწრაფდენი, რომელზედაც ხდება ძველი და ახალი არხის გადაკვეთა. მარჯვნივ მოსჩანს ალაზნის კოშკი.

ბაკურციხის სწრაფდენზე ხდება არხების ხელახალი გარდაკვეთა—ძველი არხი საბოლოოდ ექცევა ახლის ზედა მხარეს. მე-64 კილომეტრზე, სოფ. კარდანახის ბოლოში, ძველი არხი ჰკვეთს გურჯაან-წნორის წყლის რეზერვუარს,

ექვევა მის ზედა მხარეს და მის პარალელურად მიდის სადგ. წნორის წყლამდე. ამ ფარგლებში არხის კვალი ძნელი შესამჩნევია, რადგან ერთმანეთშია გადახლართული ბალ-ბოსტნები, ვენახები, მოსახლეობა, გზები და სხვა. მაგრამ ადგილობრივ მოსახლეობას ახსოვს, თუ სად გადიოდა არხი. ინსტრუმენტულმა შემოწმებამ ხშირად გაამართლა მათი მითითება.

წნორის წყალიდან ქვევით, 1,5 კილომეტრის დაშორებით, მე-75 კილომეტრიდან დაწყებული 10 კილომეტრის მანძილზე არხის კვალი კარგადაა შენახული. ყველაზე უკეთ არხის მთელ სიგრძეზე შესამჩნევია უბანი მე-80-დან მე-85 კილომეტრამდე, გუმბათის პირდაპირ, სადაც არხიდან ამოღებული მიწის მაღალი ყრილი არხის გვერდით გრძელი ზოლით მიიმართება (სურ. 21).




სურ. 21. თამარის არხი გუმბათის პირდაპირ. ქოხი აგებულია არხის ყრილზე.

ძველი არხის მე-88 კილომეტრის პირდაპირ, ახალი არხის მე-61 კილომეტრზე, ახალ არხზე მოწყობილია ყარაღაჯის სწრაფდენი, 31 მეტრის სიმაღლისა. აქედან იწყება ახალი არხის მესამე უბანი. მეორე უბნის იგივე დონეზე გაგრძელებას კი წარმოადგენს მე-37 განმანაწილებელი, რომლის პარალელურადაც მიდის ძველი არხი. მე-37 განმანაწილებელი წყდება სოფ. ბოდბისხევეთან ახალი არხის მე-73 და ძველის მე-100 კილომეტრზე. ყარაღაჯიდან ქვევით, მცირე უბნების გამოკლებით, არხის კვალი შედარებით კარგადაა შენარჩუნებული ბოლომდე (სურ. 22 და 23). მე-110 კილომეტრზე თამარის არხი უახლოვდება ალაზნის ველისა და შირაქის გამყოფ ქედის ძირს და, ასეთნაირად, კიდევ 9 კილომეტრის მანძილზე მიდის. არხილოს კალოს პირდაპირ, სადაც თავდება




სურ. 22. თამარის არხის კვალი ხირსას პირდაპირ.



სურ. 23. თამარის არხის კვალი ბოდბისხევთან. მარჯვნივ ქობი აგებულია არხის ყრილზე.

ალაზნის ველი, თამარის არხი ისევ ალაზანში ვარდება (სურ. 24), ახალი არხის ბოლოდან დაახლოებით 2 კილომეტრით ქვევით.

თამარის არხის სიგრძე 119 კილომეტრს უდრის, და ამგვარად, 28 კილომეტრით აღემატება ახალ მაგისტრალურ არხს, რომლის სიგრძე 91 კილომეტრია. ამ ვეებერთელა მანძილზე თამარის არხი ისეთი ოსტატობით არის გაყვანილი, რომ ის არ იჭრება არც ერთ ისეთ ადგილში, სადაც მისი მდებარეობა



სურ. 24. თამარის არხის ბოლო. ვარდნა მდ. ალაზანში. ნათლად ჩანს არხისაგან შექმნილი ხევი. ხედი ალაზნიდან.

ტექნიკურად გაუმართლებელი იყვეს. თუ ამასთანავე მივიღებთ მხედველობაში მის მიერ მორწყულ ფართობს,—53,000 ჰექტარს, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ის მშვენივრად განაგებდა თითქმის მთელ ალაზნის ველს. განცვიფრებას სწორედ ის იწვევს, რომ ზუსტი რუკებისა და ხელსაწყოების არ-მქონე მშენებელს 120 კილომეტრის მანძილზე თითქოს მიზანში ამოუღლიაო—არხიც იქ დაუბოლოებია, სადაც ალაზნის ველი იღევა, რათა გულსაწყვეტად ველის მცირე ნაწილიც მოურწყველი არ დაეტოვებია. უნდა აღინიშნოს, რომ ისეთი სიგრძის არხის ტრასირება თანამედროვე პირობებშიაც ფრიად სერიოზულსა და რთულ ამოცანას წარმოადგენს, თუმცა ჩვენს განკარგულებაშია: დიდი მასშტაბის რუკები სიმაღლეთა ჩვენებით, ზუსტი გეოდეზიური ხელსაწყოები, ჰიდრაულიკის თეორიული საფუძვლები არხის გამტარუნარიანობისა და წყლის სისწრაფეების საანგარიშოდ, მდიდარი ლიტერატურა, სადაც მრავალი წლის გამოცდილების საფუძველზე მოყვანილია სათანადო დასაშვები წყლის სისწრაფეები სხვადასხვა

წინადაგისათვის, რათა ამ უკანასკნელის გარეცხვა არ მოხდეს და სხვ. მიუხედავად ამისა, ასეთ რთულ შემთხვევებში ტრასის რამდენიმე ვარიანტს აკეთებენ და საბოლოოდ რომელიმე მათგანის შერჩევას ზუსტი აწონ-დაწონვისა და ღრმა ანალიზის შემდეგ ხდება.

აქედან გასაგებია, თუ როგორი გამოცდილებითა და ინტუიციით ყოფილან აღჭურვილი ძველი მშენებლები, რომ შეიდი საუკუნის წინ მათ მიერ აგებული თამარის არხი, მის გვერდით მდებარე, შეიდი წლის წინ დამთავრებულ, თანამედროვე ირიგაციული ტექნიკით უეჭველად მაღალი ხარისხით აგებულ ალაზნის ახალ არხს ყოველ შემთხვევაში მხარს უმშვენებს. ცხადია, ირიგაციული ტექნიკა საქართველოში მაშინაც ფრიად მაღალ დონეზე მდგარა და ალაზნის არხის აგება თამარ მეფის ქუქანკებისათვის პირველი არ ყოფილა. გარდა ამისა, სინამდვილესთან ახლოს ვიქნებით, თუ ვიფიქრებთ, რომ მათ, თუმცა მარტივი, მაგრამ მაინც რალაც ხელსაწყოები ექნებოდათ არხის ტრასის დასაკვალაევად.

თამარის არხის სათავე შავი ზღვის დონედან 345,10 მეტრის ნიშნულზე მდებარეობს, ხოლო მისი ბოლო 228,50 მეტრზე. ამგვარად არხის ვარდნა 119 კილომეტრის მანძილზე 116,60 მეტრს შეადგენს. ე. ი. საშუალო ქანობი ერთ მეათასედს უდრის (ერთი მეტრით ვარდნა კილომეტრზე), მაგრამ ცალკე უბნებში არხის ქანობი 0,0007-დან 0,0014-მდე იცვლება. დღევანდელი ტექნიკური ნორმებით ალაზნის ველის პირობებისათვის, მაგისტრალურ არხზე 0,0005-დან 0,0008-მდე ქანობი შეიძლება იყვეს გამართლებული. წინააღმდეგ შემთხვევაში ადგილი ექნება ისეთ სასწრაფოებს, რომლებიც წინადაგის გარეცხვას გამოიწვევენ. ამგვარად, ძველი არხის ზოგიერთ უბანში მაინც ადგილი ექნებოდა არხის კალაპოტის წინადაგის გარეცხვას. შეიძლება ამით აფხსნათ, რომ ამ მოვლენის თავიდან ასაცილებლად ძველ მშენებლებს, როგორც გათხრებიდან გამოირკვა, დიდი სიგანისა და შედარებით მცირე სიღრმის არხი აუგიათ. ეს ღონისძიება წყლის სისწრაფეებს საგრძნობლად ამცირებს, მაგრამ ჩვენ მიერ გამოანგარიშებული ქვემოთაღნიშნული ზათი სიდიდეები მაინც არ არიან დასაშვები თანამედროვე ტექნიკური ნორმებით.

მეორე მხრით, რომ უფრო ნაკლები ქანობით წამოსულიყვნენ, უკვე გურჯაანამდე მაღალ ფერდობზე აიჭრებოდნენ, და როგორც ახალ არხზეა ხმარებული, სწრაფდენებისა ან ვარდნილების მოწყობა დასჭირდებოდათ. რასაკვირველია, ასეთ ნაგებობებს ისინი მოერიდებოდნენ, რადგან მათი განხორციელება თანამედროვე საშუალებებითა და მასალებითაც საკმაოდ ძნელია. გარდა ამისა, ეს სირთულე კიდევ რომ დაეძლიათ, მას იმ დროში ვერაფრით აინაზღაურებდნენ, როგორც, მაგალითად, ანაზღაურებულია ახალ არხზე, ბაკურციხის სწრაფდენის გვერდით მშენიერი ჰიდროსადგურის—„ალაზნანჰესი“-ს მოწყობით.

ძველი არხის მშენებლებს დიდი სიძნელეები გადაეღობებოდათ არა მარტო არხის ტრასირებისა და მიწის სამუშაოთა დიდი რაოდენობის გამო, არამედ ხელოვნურ ნაშენთა სიმრავლისა და მათი აგების სირთულის მხრივაც. თანამედროვე ინჟინრებისათვის კარგად ცნობილია კახეთის ხეხები, რომლებზედაც ძალიან ძნელია ნაშენთა შენარჩუნება. ამ ხეხებმა დააზიანეს და მოითხოვეს ბევრი

ნაშენის კაპიტალური შეკეთება ალაზნის ახალ არხზე, რომელიც სულ რამოდენიმე წელიწადია რაც მუშაობს.

სამწუხაროდ, მთელი არხის სიგრძეზე რუსხმულებისა და სხვა ხელოვნურ ნაშენების ნაშთები ვერ აღმოვაჩინეთ. ალბათ, ბევრი მათგანი წალეკილია, ზოგი კიდევ დასილული, ხეების კალაპოტთა ხშირი ცვლილების გამო. შესაძლოა, რომ ისინი ხისგან იყვნენ გაკეთებული და მათი სამსახურის ვადა ფრიად მოკლე დროით განისაზღვრებოდა. რომ დროის ასეთ მანძილზე ხელოვნურ ნაგებობათა ნაშთები შენარჩუნებულიყო, ამისათვის საჭირო იყო ზოგიერთ ადგილზე მაინც კლდოვანი ნიადაგი და საერთოდ კარგი გეოლოგიური პირობები. მაგრამ კლდე მთელი არხის სიგრძეზე არსად გვხვდება, რადგან გეოლოგიურად ალაზნის ველი წარმოადგენს პირველყოფილ ღრმა ხეობას, რომელიც მდ. ალაზნის ბაზისის მაღლა აწევის გამო, ამოვსებულია ალუვიალურ, ე. ი. მდინარის მიერ მოტანილ და პროლუვიალურ—ნიაღვრებით, მთებიდან ჩამორეცხილ თიხიან და სილიანი ნალექებით. ამ ნალექების სიღრმე ზოგან შეიძლება რამოდენიმე ასეულ მეტრს უდრიდეს. ადგილ-ადგილ ველი დაღარულია თანამედროვე ხეების მიერ ჩამოტანილ სილიან და ხრეშიანი ფენებით, რომლებიც განლაგებული არიან ზემოხსენებულ პირვანდელ ალუვიალურ და პროლუვიალურ ნალექებზე. ასეთი ნიადაგი ვერ უძლებს წყლის დიდ სისწრაფეებს, ადვილად ირეცხება და ინგრევა. ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ ძველ მშენებლებს ხეები რაც შეიძლება მოხერხებულ ადგილებზე გადაუკვეთიათ, ხელოვნური ნაგებობანი მათზე მაინც ფრიად მძიმე პირობებში იქნებოდნენ და ზნათი ნაშთების დღემდე მოუღწევლობის მიზეზებიც, ზემოხსენებულის გამო, გასაგები ხდება.

რასაკვირველია, ფრიად სასურველი იქნებოდა, რომ თამარ მეფის ალაზნის სისტემის არა მარტო მაგისტრალური არხის გამოკვლევით დავკმაყოფილებულიყავით, არამედ იმავე დროინდელი სარწყავი ქსელის კვალის აღდგენაც გვეწარმოებინა. უნდა ვიფიქროთ, რომ ქსელიც აგრეთვე მაღალი ხარისხით იქნებოდა შესრულებული.

სამწუხაროდ, ქსელის კვალის აღდგენა დაუძლეველ ამოცანას წარმოადგენს, რადგან ის შედარებით მცირე ზომის არხებისაგან კეთდება და ისეც ისეთ ადგილებში, რომლებიც უშუალოდ იხვნებიან და ითესებიან. ცხადია, დროის ასეთ მანძილზე ქსელის მხოლოდ ცალკე ნაწყვეტების აღდგენა თუ შეიძლება, რომელიც მის სისტემაზე საერთო წარმოდგენასაც ვერ მოგვცემს. ქსელის ასეთი თვალსაჩინო ნაშთები ყარალაჯის ტყეში ვნახეთ. ასეთივე ადგილებში, სადაც ზენა-თესვა არ წარმოებდა, შეიძლებოდა ქსელის ნაშთები კვლავ აღმოგვეჩინა, მაგრამ ზემოხსენებული მიზეზების გამო, მათი გამოკვლევა არ გვიწარმოებია.

ძველი სარწყავი სისტემის მაგისტრალური არხის სიდიდისა და გამტარუნარიანობის გამორკვევის მიზნით რამდენიმე უბანში გათხრები ვაწარმოვეთ და ზოგიერთ ადგილში შევძელით არხის განივი კვეთების თითქმის სრული აღდგენა. მაგალითად, სათავო ნაწილში არხის სიგანე 20 მეტრსა და სიღრმე 2,15 მეტ. უდრის. იქაურივე ქანობის მიხედვით, რომელიც 0,00074-ს შეადგენს, თანამედროვე მეთოდით (იხ. § 4) გამოვიანგარიშეთ, რომ არხის გამტარუნა-

რიანობა სათავეში უდრის 24 კუბ. მეტრს წამში. თუ ამ სიდიდეს მორწყულ ფართობზე გავყოფთ, რომელიც 53,000 ჰექტარს შეადგენს, ერთ ჰექტარზე მივიღებთ საშუალო ხარჯს 0,45 ლიტრს წამში. ამ სიდიდეს თანამედროვე ირიგაციაში ჰიდრომოდულს უწოდებენ. ეს უკანასკნელი საგამოცდო სადგურების მეცნიერული დაკვირვებებისა და საკმაოდ რთული ანგარიშების შედეგად ირკვევა. აღსანიშნავია, რომ სწორედ ასეთივე ჰიდრომოდულით ხასიათდება ალაზნის ველის ახალი სარწყავი სისტემა, რომლის მთავარი არხის გამტარუნარიანობა უდრის 20 კუბ. მეტრს წამში და მორწყული ფართობი—45,000 ჰექტარს.

ქვევით მოგვყავს ალაზნის ძველი და ახალი არხის მთავარი დამახასიათებელი ელემენტების ტაბულა, საიდანაც ნათლად ჩანს, რომ ძველი სისტემის მასშტაბი რამდენიმედ აღემატება ახლისას, ხოლო მთავარი ტექნიკური ღირსების მაჩვენებლები ერთმანეთს ფრიად უახლოვდება. გახსნავება მხოლოდ იმაში გამოიხატება, რომ ახალი სისტემის მაგისტრალური არხის ერთ კილომეტრზე მოსული მორწყული ფართობის სიდიდე 495 ჰექტარს უდრის, რაც 10%-ით აღემატება ძველი სისტემის ასეთივე მაჩვენებელს. ეს გარემოება ახალი არხის უფრო მცირე ქანობით და სწრაფდენების მოხმარებით აიხსნება.

ალაზნის ძველი და ახალი სარწყავი სისტემის მთავარი დამახასიათებელი ელემენტები

№-რიგზე	ელემენტის დასახელება	თამარის ძველი არხი	ახალი არხი
1	მაგისტრალური არხის სიგრძე (კილომეტრებად)	119	911
2	მორწყული ფართობი (ჰექტარებად)	53,000	45,000
3	მაგისტრალური არხის გამტარუნარიანობა (კუბ. მეტ. წამში)	24,0	20,0
4	ჰიდრომოდული (ლიტრი/წამში)	0,45	0,45
5	მაგისტრალური არხის ერთი კილომეტრის სიგრძეზე მოსული მორწყული ფართობი (ჰექტარებად)	445	495

ამ ტაბულაში მოყვანილი ციფრების შედარება ძველი სისტემის ახალ საინჟინერო სისტემასთან, როგორც თავშივე იყო აღნიშნული, ნათლად გვიჩვენებს, თუ როგორ მაღალ დონეზე მდგარა ტექნიკა ოქროს ხანის საქართველოში.

3. სამგორის ველის ძველი სარწყავი არხი

თუ თამარ მეფის დროსვე აგებული ალაზნის სარწყავი არხის კვალი კარგად არის შერჩენილი, მეტადრე ზოგიერთ მის ნაწილში და შევძელით მის აღდგენა იმ უბნებშიაც, სადაც ის უკვე ნაწილობრივ წაშლილია, სამწუხაროდ, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, იგივე არ შეიძლება ითქვას სამგორის ძველ არხზე.


ამ არხის თამარ მეფის დროს აგების შესახებ უტყუარი ისტორიული ცნობები მოიპოვება, ხოლო ბატონიშვილი ვახუშტი თავის გეოგრაფიაში იორის ორივე მხრის არხებს იხსენიებს, როგორც მოქმედსა და არა გაუქმებულს. „ხოლო მდინარის იორის კიდე იმიერი და ამიერი არს ფრიად ნაყოფიერი, ვინათაგან აღმოვლენან რუნი და ირწყვიან ველნი, და სცენდებიან ყოველნი მარცვალნი“. უნდა ვიგულისხმოთ, რომ იორის მარჯვენა მხარის არხებს შორის სამგორის არხს მთავარი ადგილი უნდა სჭეროდა, რომელიც მეჩვიდმეტე-მეთვრამეტე საუკუნეშიაც არსებობდა. და თუ დღეს ამ არხის კვალი ვერ აღმოვაჩინეთ, დაგვრჩენია მხოლოდ ვეძიოთ მისი წაშლის მიზეზები. ჩვენის აზრით ასეთი მიზეზი უნდა იყოს ორი:

პირველი, — თუ არხი ისეთ უბნებში გადიოდა, რომელიც მუდამ მუშავდებოდა, მრავალჯერ ხენა-ფარცხვის გამო მისი კვალის წაშლა ადვილად წარმოსადგენია. ასეთ ადგილებში ალაზნის ძველი არხის კვალიც წაშლილია. მეორე, — რაც უფრო სინამდვილეს უნდა შეეფერებოდეს, — მიზეზი სამგორის ახალი არხის აგებაში უნდა ვეძიოთ, რომელიც დაახლოებით ერთი საუკუნის წინ ჩატარებიათ. ეს უკანასკნელი იწყება სოფ. უჯარმოს მახლობლად იორის მარჯვენა ნაპირიდან და სამხრეთისაკენ მიემართება ახლანდელ კახეთის რკინიგზის სამგორის ბაქამდე. აქ ის ჰკვეთს რკინიგზას, აკეთებს დაახლოებით კილომეტრნახევრიან მარჯუტს და ამის შემდეგ, თითქმის ლიანდაგის პარალელურად ორი კილომეტრის მანძილზე გრძელდება. ამ არხის სრული სიგრძე დაახლოებით 20 კილომეტრს უდრის (სჯრ. 25). ცნობა მისი აგების შესახებ შეგვიძლია ამოვიკითხოთ ქვის ძეგლზე, რომელიც არხის მშენებლობის დამთავრების ნიშნად დაუდგამთ. ეს ძეგლი მდებარეობს სად. ვაზიანიდან ხუთი კილომეტრის მანძილზე სართიჭალის მიმართულებით გაყვანილი გზატკეცილის გვერდით. ამ ძეგლზე არის შემდეგი წარწერა: „Начат при царе Ираклии II-м, кончен постройкой при Наместнике Его Императорского Величества на Кавказе графе Воронцове. Строитель инженер князь Мухранский“.

დღეს ეს არხი გაუქმებულია სათავო უბნის დიდი დაზიანების გამო, ცული გეოლოგიური პირობების შედეგად.

რომ ეს არხი თამარ მეფის დროინდელ სამგორის ძველი არხის კვალს გააყოლეს, ასეთი მოსაზრებისათვის ორი საბუთი გვაქვს. პირველი ის, რომ თამარ მეფის „ქუქანკები“ იმდენად დახელოვნებული ყოფილან არხის ტრასირებაში (ეს ნათლად ჩანს ალაზნის ძველი არხის შენარჩუნებულ კვალიდან), რომ არამც თუ ასი წლის წინ, არამედ ახლანდელი დროის ტექნიკოსებიც არ წააგებდნენ, თუ ძველი არხის კვალს გაჰყვებოდნენ. მეორე საბუთს არხის სათავის გეოლოგიური პირობები გვაძლევს. მდ. იორის მარჯვენა მხარე სოფ. უჯარმოს ზევით საკმაოდ დიდ მანძილზე ნგრევასა და ჩამოხვავებას განიცდის, რის გამოც იქიდან არხის წამოყვანა დაუძლეველი იქნებოდა მიწის გულში ღრმად შეჭრილ გრძელი გვირაბის გარეშე. ამ გვარად ძველ მშენებლებს საშუალება არ ექნებოდათ არხის სათავე აელოთ უფრო ზევით, ვიდრე ახალი არხია. უფრო ქვევით აღებული სათავე კი მათ დიდ სარწყავ ფართობს დააკარგვინებდა, რაც ასეთი დახელოვნებული მშენებლების ყურადღებას უეჭველად მიიპყრობდა. ამგვარად

სინამდვილესთან ახლოს ვიქნებით, თუ ვიფიქრებთ, რომ ძველი და ახალი არხები ერთმანეთს ღიდად ვერ დაშორდებოდნენ და, მაშასადამე, ზემომოყვანილ მოსაზრების გამო, მათი ერთმანეთზე დამთხვევის შესაძლებლობაც უფრო ნათელი ხდება.



სურ. 25.

ძველი არხით სარგებლობის ცოცხალ მაგალითს ახლანდელი ყარაიას არხი წარმოადგენს, რომელიც საინჟინერო სისტემად ითვლება და ცნობილია „მარიინის არხის“ სახელწოდებით. ეს არხი ვახტანგ მე-VI-ის მიერ ყოფილა გაყვანილი, რომლის შესახებ ვახუშტის გეოგრაფიაში მოხსენებულია: „ნაგებიდან (რუსთავი) გაიღო უღ მეფემან ვახტანგ რუ მტკვრისაგან და მიერ ჟამითგან ნაყოფიერებს ჭალებს ქვეითი მინდორი“. რომ ამ არხით „მარიინი“-ს არხის გაყვანის დროს უსარგებლიათ, ამის შესახებ „Церковная грамота“-ში ხატქვაში აქვს ფურცელაძეს: „რუ რუსთავთან გატანილია ვახტანგ გორგასარისაგან და ერქვა მეფის არხი, შემდგომ ამ რუთი ისარგებლეს მარიინის არხის გასაყვანად“. თვით სახელწოდება „რუსთავი“-ც იმის მაჩვენებელია, რომ რუ აქ უფრო ძველადაც ყოფილა¹.

ამგვარად ყარაიას არხი, რომელიც დღესაც მოქმედობს და 15 წლის წინად კი ერთადერთ საინჟინერო ირიგაციულ-სისტემად ითვლებოდა საქართველოში, ვახტანგ მე-VI-ს არხის რეკონსტრუქციას წარმოადგენს. ამის შემდეგ არ

¹ ეს ცნობები ყარაიას არხის შესახებ ამოღებული გვაქვს იოსებ ანთაძის შრომიდან: „წყლის მფლობელობა და სარწყავი წყალი საქართველოში“ (პეტროგრადის უნივერსიტეტის ქართველ სტუდენტთა სამეცნიერო წრის კრებული პროფ. ივ. ჯავახიშვილის რედაქციით. გვ. 151).

უნდა გაგვიკვირდეს, თუ თამარ მეფის დროინდელ სამგორის სარწყავ არხსაც იგივე ბედი ეწია.

სამწუხაროდ, წყალთა მეურნეობის სამმართველოს სამგორის ახალი არხის შესახებ არავითარი საბუთი არ მოეპოვება, ამიტომ ცნობები იმის შესახებ, თუ რამდენად ისარგებლეს მისმა მშენებლებმა თამარის ძველი არხით, სხვა წყაროებში უნდა ვეძიოთ, სანამდე დავრწმუნდებოდეთ ამ უკანასკნელის კვალის სრულიად წაშლაში.

4. სხალტბა-შიომღვიმის წყალსადენისა და ალაზნის ძველი სარწყავი არხის გამტარუნარიანობის ანგარიში

ა) სხალტბა-შიომღვიმის წყალსადენი

თიხის მილსადენების გამტარუნარიანობას შემდეგ საფუძვლებზე ვანგარიშობთ:

1. ვგულისხმობთ, რომ წყლის მოძრაობა მილებში არა დაწნევივითა, მხოლოდ კვეთი არის სრულიად სავსე¹.

2. სანგარიშით ვლებულობთ მილების საშუალო დიამეტრს, თუმცა ის, მართალია არა დიდს, მაგრამ ერთგვარ ცვალებადობას განიცდის.

3. სანგარიშით ვლებულობთ თითოეული მილსადენის არა საშუალო ქანობს, არამედ ისეთ უბანს, სადაც ის უმცირესია.

4. თიხის მილსადენებისათვის ვლებულობთ ხორკლიანობის კოეფიციენტის ზედა ზღვარს, რადგან მილები შიგნიდან დაღარულია, რომელიც, ალბათ, მათი დამუშავების პირობებიდან არის გამოწვეული.

სოფლის მილსადენი

მილების საშუალო დიამეტრი $d=0,07$ მეტ.

უმცირესი ქანობი $i=0,005$

ხორკლიანობის კოეფიციენტი კუტერის

ძველი ფორმულისათვის $k=0,35$

სავსე მილსადენის შემთხვევისათვის საშუალო სისწრაფის განმსაზღვრავი შეზის ფორმულა ლებულობს შემდეგ სახეს.

$$v=0,5 C \sqrt{di},$$

¹ თანახმად რგვალი მილების საინტერესო ჰიდრაულიკურ თვისებისა, ასეთივე გამტარუნარიანობა ექნება მილსადენს, როდესაც წყლის დონე მიაღწევს შვეული დიამეტრის 80%-ს. შემდეგ გამტარუნარიანობა იზრდება და, როდესაც შვეული დიამეტრი დაიფარება 95%-ით, აღწევს მაქსიმუმს, რომელიც მილის 80%-ითა და სრული ავსების შემთხვევას 9%-ით აღემატება.

სადაც C —კოეფიციენტს ვღებულობთ კუტერის ძველი ფორმულის მიხედვით:

$$C = \frac{100}{1 + \frac{2k}{\sqrt{d}}} = \frac{100}{1 + \frac{2 \cdot 0,35}{\sqrt{0,07}}} = 27,4.$$

საშუალო სისწრაფე

$$v = 0,5 \cdot 27,4 \sqrt{0,07 \cdot 0,005} = 0,256 \text{ მ/წმ.}$$

გამტარუნარიანობა

$$Q = v \frac{\pi d^2}{4} = 0,256 \frac{\pi \cdot 0,07^2}{4} = 0,001 \text{ მ}^3/\text{წ} = 1 \text{ ლიტ/წმ.}$$

დღე-ღამეში მიწოდებული წყლის რაოდენობა

$$1 \cdot 86400 = 86400 \text{ ლიტრი.}$$

მონასტრის მილსადენი

მილების საშუალო დიამეტრი $d = 0,11 \text{ მ.}$

უმცირესი ქანობი $i = 0,0031.$

ხორკლიანობის კოეფიციენტი $k = 0,35.$

$$C = \frac{100}{1 + \frac{2 \cdot 0,35}{\sqrt{0,11}}} = 32,2.$$

საშუალო სისწრაფე

$$v = 0,5 \cdot 32,2 \sqrt{0,11 \cdot 0,0031} = 0,297 \text{ მ/წმ.}$$

გამტარუნარიანობა

$$Q = 0,297 \frac{\pi \cdot 0,11^2}{4} = 0,00282 \text{ მ}^3/\text{წ} = 2,82 \text{ ლიტ/წმ.}$$

დღე-ღამეში მიწოდებული წყლის რაოდენობა


$$2,82 \cdot 86400 = 243000 \text{ ლიტრი.}$$

ბ) ალაზნის ძველი სარწყავი არხი


ალაზნის ძველი არხის გამტარუნარიანობას სამ დამახასიათებელ ადგილზე ვანგარიშობთ, სადაც გათხრათა საშუალებით არხის განივი კვეთის სახე დავამყარეთ. განივი კვეთის სახეები, წყლის ხანგრძლივი გამრეცხი მოქმედების შემდეგ, როგორც მოსალოდნელი იყო, პარაბოლურ მოხაზულობას უახლოვდებიან.

სწორედ ასეთი სახის კალაპოტს ვუღებთ საფუძვლად გამტარუნარიანობის გამოთვლას ქვემოთყვანილ ანგარიშებში. ამასთანვე ვგულისხმობთ, რომ არხის


არხის ავეთი სათავესთან პიკ 0.



არხის ავეთი პიკ 814.



არხის ავეთი პიკ 1150



სურ. 26.

კალაპოტი პირამდე სავსე კი არ არის, არამედ კიდევ რჩება მარაგი, როგორც თანამედროვე არხებისათვის ღებულობენ. ამ მარაგის სიდიდეს სამივე შემთხვევაში ვღებულობთ 0,40 მეტ. (სურ. 26). ხორაკლიანობის კოეფიციენტი $k=0,025$.

არხის გამტარუნარიანობა სათავეში

ცოცხალი კვეთის ფართი:

$$F = \frac{2}{3} \cdot 1,75 \cdot 17,20 = 20,1 \text{ მ}^2.$$

ჰიდრაულიკურ რადიუსად ამ შემთხვევაში შეგვიძლია მივიღოთ:

$$R = \frac{2}{3} h = \frac{2}{3} \cdot 1,75 = 1,17 \text{ მ.}$$

$$\sqrt{R} = 1,08.$$

ვანგილე-კუტერის მიხედვით, კოეფიციენტი

$$C = \frac{23 + \frac{1}{n} + \frac{0,00155}{i}}{1 + \left(23 + \frac{0,00155}{i}\right) \frac{n}{\sqrt{R}}} = \frac{23 + 40 + \frac{0,00155}{0,00074}}{1 + \left(23 + \frac{0,00155}{0,00074}\right) \frac{0,025}{1,08}} = 41,1.$$

შეზის მიხედვით, საშუალო სისწრაფე

$$v = C \sqrt{Ri} = 41,1 \cdot 1,08 \sqrt{0,00074} = 1,20 \text{ მ/წმ.}$$

არხის გამტარუნარიანობა სათავეში

$$Q = v \cdot F = 1,20 \cdot 20,1 = 24 \text{ მ}^3/\text{წმ.}$$

არხის გამტარუნარიანობა მე-814 პიკეტზე

ცოცხალი კვეთის ფართი

$$F = \frac{2}{3} \cdot 1,35 \cdot 12,8 = 11,5 \text{ მ}^2.$$

ჰიდრაულიკური რადიუსი

$$R = \frac{2}{3} \cdot 1,35 = 0,90 \text{ მ.}$$

$$\sqrt{R} = 0,946.$$

$$C = \frac{23 + 40 + \frac{0,00155}{0,00098}}{1 + \left(23 + \frac{0,00155}{0,00098}\right) \frac{0,025}{0,946}} = 39,1.$$

საშუალო სისწრაფე

$$v = 39,1 \cdot 0,946 \sqrt{0,00098} = 1,15 \text{ მ/წმ.}$$

გამტარუნარიანობა

$$Q = 11,5 \cdot 1,15 = 13,2 \text{ მ}^3/\text{წმ.}$$

არხის გამტარუნარიანობა მე-1150 პიკეტზე

ცოცხალი კვეთის ფართი

$$F = \frac{2}{3} 1,20 \cdot 11 = 8,80 \text{ მ}^2.$$

ჰიდრაულიკური რადიუსი

$$R = \frac{2}{3} \cdot 1,20 = 0,80 \text{ მ.}$$

$$\sqrt{R} = 0,89.$$

$$C = \frac{23 + 40 + \frac{0,00155}{0,00137}}{1 + \left(23 + \frac{0,00155}{0,00137} \right) \frac{0,025}{0,89}} = 38,2.$$

საშუალო სისწრაფე

$$v = 38,2 \cdot 0,89 \cdot \sqrt{0,00137} = 1,25 \text{ მ/წმ.}$$

გამტარუნარიანობა

$$Q = 8,80 \cdot 1,25 = 11,0 \text{ მ}^3/\text{წმ.}$$

მ. ს. ი. ღ. ა. შ. ე. ლ. ი. :

ს. ს. ა. ლ. გ. ბ. ა.

შიო შოვიძის

1202 წ. წყაღსაღებია

(არქეოლოგიური

გათხრებების

ანგარიში)

სოფ. სხალტბა, სადაც 1937 წლის ზაფხულს შოთა რუსთაველის ეპოქის წყალსადენის გათხრა წარმოებდა, მდებარეობს მცხეთის მიდამოებში, ქ. თბილისიდან 31 კილომეტრის მანძილზე. ადმინისტრაციულად ის დაკავშირებულია თბილისის გარეუბანთან და შედის წეროვნის სასოფლო საბჭოში. მისი სიმაღლე ზღვის დონიდან დაახლ. 900 მეტრს უდრის.

სოფ. სხალტბა მოთავსებულია იმ მთის ჩრდილო კალთაზე, რომელსაც ჩრდილოეთიდან საზღვრავს მუხრანის ველი, სამხრეთიდან მდ. მტკვარი, ხოლო დასავლეთისა და აღმოსავლეთის მხრივ შემოფარგლულია მდ. ქსნითა და მდ. არაგვით.



სურ. 1. სოფ. სხალტბის საერთო სურათი ჩრდ.-დასავლეთიდან.

ვახუშტის დახასიათებით „მთა ესე არს ტყიანი, ღელე-ღრატოიანი, უწყლო, ნადირიანი, თვინიერ ირმისა ყოველნი: სამკრით კერძი მტკვრისა უმოსავლოიანი, ხოლო ჩდილოთ კერძი მოსაკლანი, ვენაკ-ხილიანი“.

როგორცა ჩანს, ვახუშტისაც ჰქონია შემჩნეული განსხვავება ამ მთის სამხრეთ და ჩრდილო კალთების პირობებს შორის. ხოლო ძველადვე, წყალსადენის გაყვანის დაწყებას, ამ პირობების შესწავლა უნდა დასდებოდა საფუძვლად.

შიომღვიმის მონასტერი აღნიშნული მთის სწორედ „სამკრით კერძ“ მდებარეობს და მისი მიდამოები „უწყლო“ და „ღვლე-ლრატოიანი“ ჯიშებისაგან შედგება. სხალტბას კი მისი მოსავლიანი და „ვენაკ-ხილიანი“ კალთა უჭირავს და წყლის მხრეც მდიდარია. თუმცა დღეს სოფელში მაინცა და მაინც წყლის დიდი მარაგი არა ჩანს, მაგრამ წარმოებული გათხრების შედეგების მიხედვით შეიძლება დაისკვნას, რომ აქ წყლის დიდი რაოდენობა მოიპოვებოდა და ეს კი ხელსაყრელ პირობებსა ჰქმნიდა მისი დაშორებულ ადგილებისათვის გამოყენების მხრივ.

სოფ. სხალტბას საკმაოდ ხანგრძლივი ისტორია აქვს. 1170 წლის, გიორგი III-ის სიგელიდან ჩანს, რომ VI საუკუნეში სხალტბა და გოროვანი მოსყიდული ყოფილა ბერ ევაგრესაგან, რომელიც შიოს თანამედროვე და მისივე მოწაფე იყო¹.

მაგრამ სოფელი, რომელიც დღესაა ცნობილი სხალტბის სახელწოდებით, აღმოცენებულია ბევრად უფრო გვიან და ტერიტორიითაც ძველი ნასოფლარიდან დაახლ. 1—1¼ კილომეტრის მანძილზეა გაშენებული.

სხალტბის ღღევანდელ მცხოვრებლებს შორის დარჩენილია გადმოცემა იმის შესახებ, რომ შედარებით მცირე ხნის წინათ, მათი წინაპრები ოსეთიდან გადმოსახლებულან და მუხრანის მებატონისა და გედევანიშვილების მიწა-წყალი დაუჭერიათ.

საკითხი იმის შესახებ, თუ როდის შესწყდა ძველი მოსახლეობა სხალტბაში, ჩვენ მიერ სიზუსტით გამოჩვენებული არ არის, მაგრამ ზოგიერთი ცნობა მოსახლეობის შეწყვეტისა და განახლების შესახებ მაინც მოგვეპოვება. ზეპირსიტყვაობაში დაცული ვადმოცემები საშუალებას გვაძლევს აღვნიშნოთ, რომ ღღევანდელი მოსახლეობა სხალტბაში XVIII ს-ის მიწურულში, ან XIX საუკუნის დასაწყისში უნდა დასახლებულიყვნენ. და საფიქრებელია მათი ახალ ტერიტორიაზე დასახლება იმით არის გამოწვეული, რომ ამ დროს, სოფლის წყალსადენის მხოლოდ სათავის ნაწილი იყო დარჩენილი და წყალიც მხოლოდ სათავის მიდამოებში მოიპოვებოდა. რაც შეეხება წყალსადენის შემდეგ ნაწილს, სადაც წყალი თიხის მილებით ძველი სხალტბისაკენ მიიმართებოდა, — ის უკვე დაზიანებული და გაფუჭებული ყოფილა.

სხალტბიდან დასავლეთით მდებარე ნასოფლარის ტერიტორიაზე შენახულია ორიგინალური ნაგებობის პატარა ზომის ეკლესია, რომლის აშენებაც დათარიღებულია 1667 წლით. წარწერა ამოჭრილია სამხრეთ კარების თავზე:


ქ: ეჰა:.² მლთ[ა]ების: ძლიერებითა: || შეჭურილო: სხალტბისა: კვირა ცხოველო: ჩვენ: || ზედგინიძემ: ივანეს: შვილმან: სახლთ: ხუცესმან: შიომ: და: || მეცხედრემან: ჩვენმა: თამარ: აღვაშენეთ: ეკლესია: სულისა: ჩვენისა: || საკსრად: ცოდვათ: შესანდობელად: თქ[ვენ]ც: მოგვიკსენეთ:.³ ქრკნსა ტნე.

¹ იხ. საქართველოს სიძველენი. ტ. III, დამატება, თბილისი 1926 წ. 1170 წლის, გიორგი III-ის სიგელი.

² „ჰ“ ამ სიტყვაში უფრო „ბ“-სა ჰგავს.

³ ამ სიტყვის წაკითხვა სათუთა: ზოგიერთი ასოს მოხაზულობა ძალიან დაუდევრად არის შესრულებული.

ამ ძეგლის არსებობით მტკიცდება, რომ სხალტბაში XVII საუკუნის მეორე ნახევარში მოსახლეობა ჯერ კიდევ არსებობდა და ამგვარად შეიძლება ითქვას, რომ მისი ძველი მოსახლეობის შეწყვეტა XVII საუკუნის ბოლოსა და XVIII-ის ბოლოს შორის უნდა მომხდარიყო.



სურ. 2. კვირა-ცხოვლის სურათი სამხრეთიდან.

ვახუშტი, რომელიც სწორედ ამ ჩვენთვის საინტერესო ხანაში ცხოვრობდა, ძალიან ცოტა ცნობებს იძლევა სხალტბის შესახებ. მას სხალტბა მხოლოდ ნახსენები აქვს იმ არა სწორ ისტორიულ ცნობასთან დაკავშირებით, რომელიც ალექსანდრე მაკედონელის საქართველოში შემოსვლას ეხება. „—სარკინეთი არს მცხეთის დასავლით, სადაცა აღაშენეს ქალაქი ძლიერი თურქთა, და მოსვლასა ალექსანდრე მაკედონელისასა განხვრიტეს მთა ესე სხალტბისაკენ, და ივლტოდნენ კავკასეთად.“¹ მისი წერილობითი ცნობები ამით ამოიწურება. ხოლო მის რუკაზე სხალტბა აღნიშნულია, როგორც აზნაურთა რეზიდენცია, და, თუმცა მისი ადგილმდებარეობა არ ემთხვევა ზუსტად ჩვენამდე დარჩენილი ნასოფლარის ადგილს. მაინც ის ამ უკანასკნელს უფრო უახლოვდება, ვიდრე თანამედროვე სხალტბას.

ძველი სხალტბის მიდამოებში ნაპოვნი ნივთიერი კულტურის, უმთავრესად კერამიკული ნიმუშებიდან ჩანს (იხ. ჩვენი ანგარიშის ბოლოში დართული ნივთიერი კულტურის ნიმუშების აღწერილობა), რომ ძველ სხალტბაში საკმაოდ

¹ იხ. მისი გეოგრაფია, ბროსეს გამოცემა; პეტერბურგი 1842 წ. გვ. 212.

მაღალი ხარისხის კერამიკა ყოფილა გავრცელებული. მოუჭიქავი, გამომწვარი თიხის ჭურჭლებთან ერთად, გათხრის დროს აღმოჩნდა აგრეთვე ფიანსისა და ქაშანური ჭურჭლის ნატეხები, რომლებიც თავისი მასალითა, ფორმითა და სახეებით ძალიანა ჰგავს ქ. დმანისში ნაპოვნ კერამიკულ ნივთებს. ეს მსგავსება ხშირად იმდენად დიდია, რომ შესაძლებლობას იძლევა საკიოხი დაისვას მათი ერთდროულობის და წაომოშობის ერთგვარობის შესახებ.

შიომღვიმის მონასტერი სხალტბიდან 2 კილომეტრის მანძილზე მდებარეობს, მისგან დასავლეთით და ქედის გადაღმა.

ის რამოდენიმე საეკლესიო შენობისაგან შედგება, რომლებიც სხვადასხვა დროს არიან აშენებულნი. ყველაზე ძველი მათ შორის თვით შიოს დროსვე, ე. ი. დახლ. VI საუკუნის შუა წლებში აშენებულ ეკლესიას წარმოადგენს.¹ უფრო მოგვიანო, დავით აღმაშენებლის მიერაა აშენებული XII საუკუნის დასაწყისში. (იხ. წინა წერილი, სურ. 12 და 13—შიომღვიმის სურათი).

შიომღვიმის დაარსება საქართველოში მომხდარი ფეოდალური რევოლუციისა და სამონასტრო ცხოვრების დასაწყისის დროს მოხდა. და თუმცა სამონასტრო ცხოვრება საქართველოში ახლად ფეხს იდგამდა, მაგრამ შიომღვიმეს, თავისი არსებობის პირველსავე ხანებში დიდი გავლენა მოუპოვებია და თვით შიოს დროსვე სოფლებისა და მამულების შემომწირველები გასჩენია. ზევით უკვე იყო მოყვანილი ჩვენ მიერ ცნობა იმის შესახებ, რომ 1170 წლის გიორგი III-ის სიგელში, „აგარანი მათნი სახელდებით სოფელი სხალტბაი და მათი კერძი გოროვანი“ მოხსენებულია მონასტრის საკუთრებად და „წმიდისა“ ევაგრესაგან მოსყიდულად.“

შიომღვიმის დაარსება ისეთ პირობებში მოხდა, რომ მისთვის თავიდანვე მოლვაწეობის ფართე შესაძლებლობანი გაიშალა.

მისი განვითარების ზუსტი პერიოდიზაცია საკმარისი საბუთების უქონლობის გამო შეუძლებელია, მაგრამ X საუკუნიდან, საიდანაც ქართული კულტურის საერთო აყვავების ხანა იწყება, შიომღვიმის მონასტრის ეკონომიური და კულტურული მოღონიერების აშკარა ნიშნები მოგვეპოვება.

შიომღვიმის ნამდვილი აყვავების ხანად დავით აღმაშენებლისა და თამარის მიფობის დრო უნდა ჩაითვალოს. შემთხვევითი არ არის ეს ფაქტი, რომ მისი აღორძინება ქართული კულტურის საერთო პროგრესის პერიოდს ემთხვევა. ჩვენამდე მოღწეული დავით აღმაშენებლის ანდერძიდანა ჩანს,² რომ შიომღვიმეს დავითი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა და უპირატეს მდგომარეობაში აყენებდა.

აღნიშნული ანდერძით დავითის მიერ განახლებულ იქნა შიომღვიმის ყველა სიგელი, „რაჲცა სიბოროტითა ჟამთათა შეცვალებულ იყო“. ამით ხელშეუხებლად იქნა გამოცხადებული ის უძრავი და მოძრავი ქონება, რომელიც ძველადვე მღვიმის საკუთრებას წარმოადგენდა და ახლად მას დავითი სწირავდა.

¹ იხ. პროფ. გ. ჩუბინაშვილი „ქართ. ხელოვნების ისტორია“. ტ. I გვ. 62.

² თ. უ რ დ ა ნ ი ა „ისტორიული საბუთები შ.-მღვიმის მონასტრისა“, თბილისი, 1896 წ. 1123 წ. დავითის ანდერძი.

აღნიშნული ღონისძიების გარდა, მთავარი ის იყო, რომ დავითმა მონასტერს, საქართველოს კათალიკოზის თანხმობით, დამოუკიდებლობა და სამოსამართლო შეუვალობა მიანიჭა.

დავითის აღნიშნული ანდერძის შემდეგ, მღვიმე მოზრდილი ქონების პატრონი გახდა და მის ნაკლს მხოლოდ ის გარემოება შეადგენდა, რასაც ყურადღება თამარის მეფობაში მიექცა. მონასტრის ქონებრივი ზრდა, უეჭველია, ბერების რიცხოვრივ გაზრდას გამოიწვევდა. მაგრამ იმ პირობებში, როდესაც „მამანი—როგორც ანტონ ჭყონდიდელი ამბობს—ჭირსა და იწროებასა შა ურწყულობისასა“ იმყოფებოდნენ, მონასტრის შემდგომი ვითარება შეიზღუდებოდა. ამიტომ შემდეგ თაობას ეს საკითხი იმ შესანიშნავი და რთული ტექნიკური საშუალებით გადაუჭრია, რომელიც სხალტბა-შიომღვიმის წყალსადენის გაყვანაში მდგომარეობს.

სხალტბა-შიომღვიმის წყალსადენი, რომლის მშენებლობაც 1202 წ. დასრულდა, გაყვანილ იქნა თამარის მწიგნობართუხუცესის, ანტონის ინიციატივითა და ქონებრივი სახსრით. „ვძებნე და ვპოვე წყალი—ამბობს იგი—ადგილსა სხალტბისასა და კელვყავ მოქმედებად და შეწევნითა მისითა (ე. ი. შიოს შეწევნით) მოვიყვანე წყაროი კარსა წსა ეკლესიისასა ჟამთა წელიწადისა სამისათა დიდითა შრომითა და გულსმოდგინებითა“. როგორცა ჩანს, ანტონს დიდი ენერჯია და ძალა დაუხარჯავს ამ საქმის სისრულეში მოსაყვანად. არქეოლოგიურმა გათხრამ გამოარკვია, რომ მას ძალიან მძიმე პირობებში მუშაობია მუშაობა. იმას გარდა, რომ წყალსადენის მხოლოდ სიგრძე 2 კილომეტრს უდრის, ის ისეთ გეოგრაფიულ პირობებშია გაყვანილი, სადაც წყალსადენის სათავე და დასასრული მთის ორ, სხვადასხვა ფერდობზე მდებარეობს, და ამიტომ აუცილებლად ამ მთის გახვრეტას მოითხოვს. წყალსადენის პროფილიდან ჩანს, რომ მთის ეს გახვრეტა მიწის ზედაპირიდან საკმაოდ დიდ სიღრმეზე უწარმოებიათ.

წყალსადენის მშენებლობას, როგორცა ჩანს, გარკვეული კვლევა-ძიება და ადგილობრივი პირობების შესწავლა უძღოდა წინ.—„ვძებნე და ვპოვე წყალი ადგილსა სხალტბისასა“-ო და მხოლოდ ამ პირობების შესწავლის შემდეგ იქნებოდა შესაძლებელი მშენებლობის დაწყება. სამწუხაროდ, არავითარ ცნობას ამ „ძებნის“ საშუალებების შესახებ ჩვენამდე არ მოუღწევია, მაგრამ, რომ წყლის გაყვანისათვის სპეციალური ცოდნა იყო საჭირო, ამის პირდაპირი საბუთი ჩვენამდე შერჩენილ სიგელში არის დაცული.

ანტონს წყლის გაყვანის დროს ანგარიში გაუწევია იმ გარემოებისათვისაც, რომ სხალტბის წყლით თვით სოფელი სხალტბა სარგებლობდა, და ამიტომ მისი მონასტერში გადადგება სოფლის ინტერესებს ეწინააღმდეგებოდა. წყალსადენის გაყვანაზე მუშაობის დროსვე—ამბობს ანტონ ჭყონდიდელი—„ვძებნე სხუი წყალი, რელი მკუი დრთა მის ადგილისათა არა მოაკლდა, ეგზომ მოვიდა და უმეტესიცა წყალი“-ო:

1 იხ. „ისტ. საბუთები შ.მღვიმის მონასტრისა“, თამარ-მეფის, 1202 წლის სიგელი.

ხოლო, როდესაც მისი გაყვანა დასრულებული იყო, ანტონმა შუამდგომლობა აღძრა თამარის წინაშე, — რამოდენიმე გლეხი მონასტრისათვის გადაეცა და მათთვის წყალსადენის მოვლა-პატრონობა დაევალებინა.

„მოვიდა ჩვენ წინაშე ვაზირი ჩუენი ანტონ ჭყონდიდელი მთავარ-ეპისკოპოსი მწიგნობართუხუცესი და პროტო-ოპერტიმოსი და გუეჭაჯა... წყლისა მის სათავესა ზედა გლეხი ჯდა სასეფო [ქოსოს ძენი] მის წყლისა მკაზმელად, იგი გლეხი სამკვდროდ შესაწირავად მლუიმისად სული[სა] მისისათუის მას მიუბოძეთ... ვისმინეთ ჰაჯაი და მოკსენებ[აჲ] მისი ვაზირისა ჩუენისა ანტონ“-ისაო.

თამარისაგან დამტკიცებულ გლეხებს ანტონმა გაუჩინა „სამსახური მის წყაროსი, რლ ორისავე სახლისაგან თვთოი შვილი მათი ქუქანკად გაისწავლებოდეს და ჰკაზმვიდენ მას წყაროსა“. და ეს სამსახური იმაში მდგომარეობდა, რომ დიდი წვალებითა და შრომით გაყვანილი წყალსადენი მოვლილი და დაცული ყოფილიყო და ამ მზნით სამონასტრო გლეხთაგან თითო შვილი ქუქანკად ანუ წყალსადენის სპეციალისტად განსწავლულიყო.

მთავარი საფუძველი, რომელსაც ეყრდნობოდა აზრი სხალტბა— შიომღვიმის წყალსადენის არქეოლოგიური გათხრების შესახებ, ზემოთ აღნიშნული 1202 წლის თამარ მეფის მიერ შიომღვიმისადმი მიცემული სიგელი იყო. ეს უტყუარი საბუთი იძლეოდა წყალსადენის ადგილმდებარეობის პოვნის საშუალებას და, რაც მთავარია, საძიებელ საგანს ზუსტადაც ათარილებდა. მაგრამ გარდა ამ საბუთისა, შოთა რუსთაველისა და მისი ეპოქის მუზეუმის მიერ, ჩატარებულ იქნა სოფ. სხალტბაში და შიომღვიმის მონასტერში ზონდაჟი (წინასწარი დათვალიერება) აღნიშნული წყალსადენის რაიმე დამატებითი ნიშნების გამოსანახად.

ზონდაჟი მოახდინეს ზემოხსენებული მუზეუმის უფრ. მეცნ. თანამშრომელმა— არქეოლოგმა ლ. მუსხელიშვილმა და ჰიდროლოგმა ა. ლოსაბერიძემ.

წინასწარმა დათვალიერებამ გამოარკვია შემდეგი.

1) თანამედროვე სხალტბის წყაროდან 10—12 მეტრის მანძილზე სამხრეთ-დასავლეთით და წყაროს დონიდან 2 მ-ით უფრო მაღლა, ხის ძირში, მიწის ჩამოზევაების გამო მოჩანდა თიხის მილი, რომლის მსხვილი თავის დიამეტრი უდრიდა 18 სმ-ს. ადგილობრივი მოსახლეობის გადმოცემით ეს მილი წყალსადენს ეკუთვნოდა, რომელიც ორ შტოდ მიიმართებოდა აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ. ერთი შტო— შიომღვიმის მონასტრისაკენ, ხოლო მეორე— ძველი სხალტბის ტერიტორიაზე ნაგებ ციხე-სიმაგრეებისაკენ.

2) თანამედროვე წყაროს გამოსავალთან მოჩანდა კედლით ნაშენი არხის ნაწილი; ამ არხიდან გამოდის წყარო. არხის ძირითადი ნაწილი მიწის ქვეშ იყო დაფარული. (იხ. წინა წერილი, სურ. 1—წყარო და არხის სამხრეთი კედელი).

3) თვით შიომღვიმის მონასტრის ე. წ. სატრაპეზოში ნახულ იყო მილსადენის შესავალი ნაწილი და ხვრეტები სვეტებში, სადაც ამ მილსადენს გაუვლია (იხ. წინა წერილი სურ. 14). გარდა ამისა, მონასტრის მცველ ი. სუხიშვილთან აღმოჩნდა 1924 წელს ნაპოვნი მოწითაწო თიხის შემდეგი ყალიბის მილი. (იხ. ნახ. 4).

ზონდაჟის დროსვე ყურადღება მიიქცია აგრედვე სხალტბის ზოგიერთ ადგილის სახელწოდებებმა, რომლებიც ხსენებულნი არიან 1202 წლის სიგელში.¹

ზემოხსენებულ სიგელზე დაყრდნობით და მოხდენილი ზონდაჟის შედეგების გათვალისწინების შემდეგ, შ. რუსთაველის მუზეუმმა, პროფ. ივ. ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით, შესაძლებლად სცნო აღნიშნული წყალსადენის გათხრები დაეწყო და წინასწარ ამ გათხრების ზოგადი ხასიათი და ადგილ-მდებარეობა განესაზღვრა.



სურ. 3. თანამედროვე წყარო. სურათის მარჯვნივ, ზევითა კუთხეში ადგილი, სადაც ხის ძირში მილი მოჩანს.

ყველაზე რთული და საინტერესო წყალსადენის სათავეს მოძებნა იყო. ამიტომ მთავარი სამუშაოები ექსპედიციის მიერ სწორედ იმ ადგილებში იყო კონცენტრირებული, სადაც ის სათავეს გულისხმობდა.


ადგილი, სადაც თანამედროვე წყარო მდებარეობს, წარმოადგენს ბორცვს, რომლის დაქანება მიიმართება აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ და ამგვარად წყაროს მიმდინარეობას ემთხვევა. ამ ბორცვის ზედა ნაწილი საკმაოდ დიდი

¹ ასე, მაგ., სხალტბის წყარო დღეს ცნობილია, როგორც ბოტკოს წყალი, ხოლო მის თავზე, ბოტკოს წყლის ჩრდილო-აღმოსავლეთით არის ადგილი, რომელსაც დიდველი ეწოდება. „... და ამათ გლახთა ორთავ სწორად მავსცენით მიწანი მონასტრისაგან სხალტბას სახელდებით ბოტკოს და დიდვალს (დიდველი?) დღისა ათისა და წყაროსა თავსა ორსა დღისა და ვენაკი, რომელი საკრებულო იდვა სხალტბას“ (იხ. სიგელი).

ზეგანით თავდება და ეს ზეგანი ჩრდილოეთის მიმართულებით მოზრდილ ველად იშლება. ამ ველს ეწოდება სწორედ დ ი დ ვ ე ლ ი.

დიდველის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, ტყით დაფარული მთის კალთის ძირში, ჩვენი ყურადღება ერთმა, თავისებური ხასიათის ჩაღრმავებულმა ადგილმა მიიქცია. სამი მხრიდან ველით შემოვლებული მოზრდილი ორმო რომლის გახსნილი მხარე წყაროსკენ იყო მიმართული, არა ბუნებრივი წარმოშობის შთაბეჭდილებას ახდენდა, და მიწის ქვეშა ნაგებობათა ჩანგრევის ეჭვს ბადებდა. ადგილობრივი მოსახლეობისაგან შეკრებილმა ზოგიერთმა ცნობამ ეს ეჭვი უფრო გააძლიერა.

წყაროს არხი მიწის ქვეშ საკმაოდ დიდ მანძილზე გრძელდება—სათავის მიმართულებით. თუმცა მისი ზუსტი სიგრძე (45 მეტრი) ჩვენთვის მაშინ უცნობი იყო, მაგრამ დაახლოვებით სიგრძისა და მიმართულების გამორკვევა დიდ სიძნელეს არ წარმოადგენდა და ადგილობრივი მოსახლეობისათვის ის ცნობილი აღმოჩნდა. მისი მიმართულება ზემოთაღნიშნული ჩაღრმავებული ადგილისკენ მიმართებოდა და სიგრძის მიხედვითაც ამ ადგილამდე უნდა გაგრძელებულიყო.



1 და 2. გლეხების მიერ ნათხარი თხრილების საცე არქეოლოგიური გათხრების წინ.

3. ადგილები რომლის ქვეშაც წყალსადენის ნაგებობა იყო ნაგულისხმები.

ს ქ ე მ ა 1. თხრილებისა და სათავის ნაწილის ადგილმდებარეობა და მდგომარეობა არქეოლოგიური გათხრების დაწყებამდე.

ათიოდე წლის წინათ ადგილობრივ მოსახლეობას, წყლის რაოდენობის გაზრდის მიზნით, სათავესთან არხის გასინჯვა გადაუწყვეტია, და ორ ადგილას ვერტიკალური თხრილები ჩაუჭრია. პირველი თხრილი წყაროს გამოსავალთან უფრო ახლო ყოფილა და ამიტომ შედარებით უფრო მცირე სიღრმის თხრილით (6 მ-ის ჩაჭრის შემდეგ) არხამდე დასვლა მოუხერხებია. რაც შეეხება მეორე თხრილს, რომელიც წყაროდან უფრო დაშორებულია და სათავესთან უფრო ახლო მდებარეობს,—იქ თხრისათვის თავი გაუხერხებიათ იმის გამო, რომ „რალაც გვირაბის მსგავსს ორმოებში“ ჩავარდნილან და არხის ზედაპირი კი მაინც ვერ უპოვიათ. ეს „გვირაბის მსგავსი ორმოები“ ჩვენ მიერ უეჭვოდ ძველი გვირა-

ბის ნაშთებად იქნა მიღებული. თვით უშუალო დამსწრე გლეხებისაგან კი გავიგეთ, რომ ამ ადგილას ერთი გვირაბის მაგიერ, გვირაბების რამდენიმე განშტოება უნდა ყოფილიყო დაცული.


გადაწყდა აღნიშნულ მიდამოებში გათხრების დაწყება და წყაროს არხის გაყოლით წყალსადენის სათავის მოძებნა. მაგრამ, რადგანაც წყაროს დაქანება ამ 45 მ ის მანძილზე ბევრად უფრო ნაკლებია (იხ. სქემა 1), ვიდრე იმ ბორცვისა, როპლის სიღრმეშიც წყაროს კედლით ნაშენი არხია ამოშენებული;— ამიტომ გათხრების დაწყებამდე შეიძლებოდა იმ გარემოების გათვალისწინება, რომ ამ არხის სიღრმე მიწის ზედაპირიდან სათავესთან მიახლოებით სულ უფრო და უფრო გაიზრდებოდა. ეს კი ბუნებრივად საკითხსა სვამდა იმის შესახებ, თუ როგორ უნდა ემუშავათ ძველად ამ არხის აშენების დროს: აწარმოებდნენ მუშაობას გვირაბის გათხრის წესით და გვირაბში ხდებოდა არხის მშენებლობა, თუ მიწის ამოღება ზედაპირული წესით ხდებოდა და არხი ზევიდან ამოჭრილ მიწაში გაჰყავდათ.



სურ. 4. 1-ლ სქემაზე გამოჩაზული ადგილის საერთო სურათი.

არხის სიგრძე წყაროს გამოსავლიდან დასასრულამდე გამოურკვეველი დარჩა ჩვენთვის, მაგრამ მისი ის ნაწილი, რომელიც ქვითყრისაგან შესდგება და კედლებითაა ამოშენებული, 45 მ-ს უდრის. ნახაზზე მოცემული მისი განივკრილებები იძლევა ნაოელ წარმოდგენას მისი საშუალო ზომისა და კედლების სისქის შესახებ. არქეოლოგიური გათხრების დაწყებამდე აღნიშნული არხის მხოლოდ სამხრეთი კედლის ის ნაწილი მოჩანდა (იხ. წინა წერილი, სურ. 1), რომელიც ბორცვის დასავლეთ ფერდობის დასასრულთან, თანამედროვე წყაროს გამოსა-

ვალთან,—მიწის ზედაპირზე გამოდის. ეს ნაწილი ძალიან ცუდად ნაგები კედლისაგან შედგება: აგურები და ქვები უსწორმასწოროადაა დალაგებული და არ არის გამართული არც თარაზულად და არც შვეულად. არხის მიწის ქვეშ დაფარული ნაწილის აღმოჩენამ და ღია ნაწილთან შედარებამ ცხადპყო, რომ ეს უკანასკნელი უფრო მოგვიანო დროს უნდა ეკუთვნოდეს და მოგვიანო ხანის რესტავრაციის შედეგს წარმოადგენდეს.



ნახ. 1.

არხის შიგნითი ნაწილი სიბი ქვებისა და აგურებისაგან დულაბით ნაშენი კედლებისაგან შედგება, და როგორც წინა წერილის მე-4 სურათიდან ჩანს, უფრო მტკიცეა და საფუძვლიანად არის ნაგები, აქ, სიბი ქვების ფენას, კედლის შიგნითკენ მიმართული პირის გასწვრივ, აგურები აქვს დატანებული და ამით ქვიტიკრი უკეთესადაა გამაგრებული. უსწორ-მასწორო წყობა არა გვხვდება, და, თუმცა არხის კედლები არაფრით გალესილი არ არის, მაგრამ მისი სისწორე სავესებით უზრუნველყოფილია ქვებისა და აგურების კარგი წყობით.

არხი თავისი ფორმისა და წყობის მხრივ ორ ნაწილად იყოფა. მისი ქვედა (დასავლეთი) ნაწილი, წყაროს გამოსავლიდან 30 მ-ის მანძილზე, ცოტა უფრო განიერია და განივკრილში შებრუნებული მოკვეთილი სამკუთხედის ფორმა აქვს. გადახურულია ბრტყელი, დიდი ზომის ფილაქნებით, რომლებიც მეტი სიმაგრისათვის მთლიანადაა დადულაბებული. ფილაქნების საშუალო ზომა შემდეგი რიცხვებით გამოიხატება: მისი სიგრძე დაახლ. 1 მ-ს უდრის, სიგანე—0,60 მ-ს, ხოლო სისქე 0,16 მ-ს (იხ. ნახ. 1).

არხის შემდეგი 13—14 მეტრი უფრო ვიწროა და თალიც ორი თანაბარი ზომის კვადრატული აგურით არის შეკრული (იხ. წინა წერილი, სურ. 4). იმ ადგილას, სადაც არხი ვიწროვდება და ისრულად შეკრული თალი იწყება,— შეიძლება ითქვას,—უჩვეულო ზომის აგურები შეგვხვდა. ამ ადგილას თალი ს აგურის ზომა 0,36×0,36 მ-ს, ხოლო სისქე 5,5—6 სმ-ს უდრის. რაც შეეხება არხის ზედა (აღმოსავლეთ) ნაწილს, იქ აგურის ზომა (0,24×0,24) უფრო ჩვეულებრივია.

ამოჭრილი შახტის კედლების სურათმა და შემდეგ ძველი გვირაბის პოვნამ, საშუალება მოგვცა ზემოდასმულ კითხვასაც გავცეთ პასუხი. წყალსადენის გამყვანთ ასეთ სიღრმეზე არხის ამოშენებისათვის ორივე ხერხი გამოუყენებიათ:

სათავიდან უფრო მოშორებით, არხის სიღრმე მიწის ზედაპირიდან უფრო ნაკლებია და იმ ადგილამდე, სადაც ეს სიღრმე 7 მ-ს არ აღემატება,—მათ მიწა ზევიდან ამოუჭრიათ და ზედაპირულად ამოღებულ მიწაში უწარმოებიათ მუ-



სურ. ნ. გვირაბი არხის ზედა ნაწილთან (დასაწყისთან). გვირაბი გამაგრებულია და შემცირებული ჩვენ მიერ.

შაობა. ხოლო შემდეგ, სათავესთან უფრო ახლო, ბორცვის სიმაღლის გამო, ასეთი საშუალებით მუშაობა ძალიან დიდ დროს და ენერჯიის დახარჯვას მოითხოვდა; ამიტომ მათ უფრო რთული საშუალებისათვის მიუმართავთ და საკმაოდ

დიდი მოცულობის გვირაბი გაუჭრიათ. გვირაბი დაცული აღმოჩნდა მიწის ქვეშ თავისი პირვანდელი სახით (იხ. სურ. 3, წინა წერილში).

არხთან, მიწის ზედაპირიდან 5,60 მ-ის სიღრმეზე ნაპოვნი რკინის ნიჩბის ნამტვრევები (იხ. ქვევით მისი აღწერილობა) წარმოდგენას გვაძლევს მაშინდელ საწარმოო იარაღების შესახებ. ნიჩბის ფორმა, რამდენადაც მისი აღდგენა შეიძლება ჩვენამდე მოღწეულ ნამტვრევების მიხედვით, ცხად ჰყოფს, რომ მისი გამოყენება მხოლოდ მიწის ამოსაყრელად იქნებოდა შესაძლებელი და მიწის გასათხრელად კი სხვა საშუალებანი (ბარი, წერაქვი) უნდა ეხმარათ. სამწუხაროდ, ამ საკითხზე ვრცლად შეჩერება შეუძლებელია, რადგან აღნიშნული ნაშთების გარდა არაფერი აღმოჩენილა, და ამიტომ ამ ძველებური და იქ გამოყენებული მიწის სათხრელი იარაღების შესახებ ვერაფერს ვიტყვით.

არხის გაგრძელება სათავის მიმართულებით, 45 მ-ის შემდეგ, აღარავითარ ნაგებობას აღარ შეიცავს, და ოთხი მეტრის მანძილზე წყალი მკვრივ ჯიშებში გამოჭრილ რუში მოდის. ამ რუშ სიდიდე აღწერილ არხზე ცოტა უფრო მოზრდილია და თალიც ნახევარი წრის ფორმისა აქვს.

წყაროს სათავის ნაგებობათა ვათხრის პარალელურად წარმოებდა ტრასის ძიება შიომღვიმესა და სხალტას შორის. ტრასის კვალი ადგილობრივი მცხოვრებლების დახმარებით იქნა ნაპოვნი ტყით დაფარული მთის ფერდობზე, სადაც მილსადენების ადგილას ტერასებად დაწყობილი ბილიკები მოჩანდა.

სულ რამოდენიმე დღემ გაიარა ექსპედიციის მუშაობის დაწყებიდან, — როდესაც ჩვენ ორ ადგილასა გვექონდა ნაპოვნი მილები: ერთი — რამოდენიმე მეტრის დაშორებით წყაროს მიდამოებში, რომელიც ცნობილი იყო ჯერ კიდევ წინასწარ ჩატარებული ზონდაჟის დროს, და მეორე — ტყეში, წყაროდან დაახლოებით 200 მეტრის დაშორებით მონასტრის მიმართულებით.


აღმოჩენილი მილების ერთმანეთთან შედარებამ შემდეგი სურათი მოგვცა (იხ. ნახ. 2).

ერთი მილი წყაროს დონეზე მაღლა მდებარეობდა, მეორე — წყაროს დონეზე დაბლა. პირველი მათგანი უდუღაბოთ იყო ჩადებული მიწაში, და მისი ჩამარხვის სიღრმე 2,5 მ ს უდრიდა. მეორე, ტყეში ნაპოვნი მილი დადუღაბებული აღმოჩნდა და მიწის ზედაპირიდან 0,50—0,60 მ-ის სიღრმეზე იყო ჩაწყობილი. ზომის მხრივაც მათ შორის თვალსაჩინო განსხვავება არსებობდა: პირველი მილის სიგრძე უდრის 0,55 მ-ს, მსხვილი თავის დიამეტრი—0,19—0,16¹/₂ მ ს, წვრილი თავის დიამეტრი—0,12¹/₂—0,10¹/₂ მ-ს, მეორე—ტყეში ნაპოვნი მილის სიგრძე უდრის 0,47 მ-ს, მსხვილი თავის დიამეტრი 0,11¹/₂—0,09¹/₂ მ-ს, ხოლო წვრილი თავის დიამეტრი 0,07—0,05¹/₂ მ-ს.¹

ამ შედარებიდან ნათლად ჩანს, რომ ეს ორი — სხვადასხვა ადგილას ნაპოვნი მილი სხვადასხვა მილსადენისა უნდა ყოფალიყო. ხოლო რადგანაც ჩვენთვის თავიდანვე მსხვილი მილები იქნა მიჩნეული მონასტრის მილსადენის ნიმუშებად, ამიტომ ცხადი იყო, რომ წვრილი ყალიბის მილებით ჩვენ, სხვა, არა

¹ პირველი ციფრი უდრის დიამეტრს მილის კედლის ჩათვლით, მეორე — კედლის სისქის ჩათვლელად.

მონასტრის მილსადენთან გვექონდა საქმე. სწორედ ეს წვერილი მილები ეკუთვნის სოფლის წყალსადენს, რომელიც შემდეგში მთლიანად იქნა ჩვენ მიერ აღდგენილი. (იხ. გეგმა, სურ. 11, წინა წერილში).



ნახ. 2. სოფლისა და მონასტრის ტრასის მილების შედარებითი სქემა.

მონასტრის ტრასი.


1. ზემოთ აღწერილ წყაროს არხთან სოფლის მილსადენია დაკავშირებული. მონასტრის ტრასი წყაროს დონესთან შედარებით უფრო მაღლაა (თვით წყაროს გამოსავალთან განსხვავება მათ სიმაღლეებს შორის დაახლ. 1,5 მეტრს უდრის) და ამ არხიდან 5—6 მეტრის მოშორებით მდებარეობს (წყაროს სამხრეთით). მაგრამ, თუ ამ არხისა და მონასტრის ტრასის სათავის მდგომარეობას დავაკვირდებით, დავინახავთ, რომ სათავის მიმართულებით ისინი ერთმანეთს სულ უფრო და უფრო უახლოვდებიან და მათ შორის განსხვავება ნელნელა მკირდება, როგორც სიმაღლეების, ისე ჰორიზონტური (გეგმობრივი) მდებარეობის მხრივ. ეს გარემოება თავიდანვე იქნა შემჩნეული და მთელი ჩვენი მუშაობა—წყალსადენის არქეოლოგიური გათხრების დროს,—იმ მოსაზრებაზე იყო დაფუძნებული, რომ ამ ორივე მილსადენს ერთი სათავე უნდა ჰქონოდა და მათი გადაკვეთა იმ ადგილას უნდა მომხდარიყო, სადაც ჩვენ წყაროს სათავეს ვგულისხმობდით. ამით იყო გამოწვეული, რომ ჩვენ სათავესთან ორივე მხრიდანა ვცადეთ მისვლა და, წყაროს არხის გარდა, მონასტრის მილსადენსაც ვაყუევით ზევით.

როგორც მე-3 სურათიდანა ჩანს, მონასტრის მილსადენი წყაროსთან იმ ადგილასაა მიწის ზედაპირზე გამოსული, სადაც, რაღაცა მიზეზით ადგილობრივი მიწის ჩამოზავება მომხდარა და ამის გამო მისი რელიეფი შეცვლილა. ამიტომ მილსადენის გაგრძელება 12—15 მეტრის მანძილზე სათავის მიმართულებით დაკარგული იყო და მისი კვალი არა ჩანდა.

ვათხრებისა და ამ კვალის პოვნის შემდეგ, ჩვენ შეეძლოთ მილსადენი 27—28 მეტრის მანძილზე აღგვედგინა. მონასტრის ტრასის ეს ნაწილი მთლიანად შემდეგი დროის რესტავრაციის შედეგს უნდა წარმოადგენდეს, სადაც უფრო ნაკლები ზომის მილები აღმოჩნდა ჩაწყობილი.

წყაროს გასწვრივ, 2—3 მეტრის მანძილზე სამხრეთით, (იხ. გეგმა, სურ. 11, წინა წერილში,) ჩვენ პატარა გვირაბის გაჭრა დაიწყეთ და ასე გავყვეით მილსადენს სათავისაკენ (აღმოსავლეთისაკენ). მილები საკმაოდ ღრმადაა აქ ჩაწყობილი (3 მეტრი) და ეს სიღრმე ბევრად აღემატება მილსადენის საშუალო სიღრმეს. 5,5 მეტრის გავლის შემდეგ, საინტერესო ნაგებობა შეგვხვდა, რომელიც მილსადენს ეკუთვნის და უშუალოდაა დაკავშირებული მონასტრის მილსადენთან. სამწუხაროდ ამ ნაგებობის დანიშნულება ჩვენთვის გამოურკვეველი დარჩა და მხოლოდ მისი აღწერა შეიძლება მოვახდინოთ.

აღნიშნული ნაგებობა წარმოადგენს სიპი ქვებისაგან უღულაბოდ და საკმაოდ პრიმიტიულად ნაშენ აუზს, რომელიც მილსადენის თიხის მილებს შორისაა ჩადგმული. ქვების ზომა დიდი არ არის და მხოლოდ ის ქვებია შედარებით მოზრდილი ზომისა, რომელიც უშუალოდ აუზში შემავალ და აუზიდან გამომავალ მილებს აფარია (0,40×0,30 და 0,40×0,20 მ).



ნახ. 3. აუზის გეგმა დასავლეთ კედლის ადების შემდეგ.

აღმოსავლეთით მდებარე კედელში ძირიდან 0,60 მ-ის სიმაღლეზე მას ჩადგმული ჰქონდა ვერტიკალურად (ოღნავი გადახრით) მილი, რომელიც საქარის შთაბეჭდილებას ახდენს. უნდა აღინიშნოს კი, რომ ამ მილის სიღრმე დედამიწის ზედაპირიდან თითქმის 2,5—3 მ-ს აღწევს და ასეთ პირობებში ის საქარის დანიშნულებას ვერ გასწევდა, უკეთეს მას გაგრძელება არ ექნებოდა; მისი გაგრძელება-კი არ აღმოჩნდა (იხ. წინა წერილი, სურ. 8—აუზი დასავლეთიდან და სურ. 9—იგივე აუზი აღმოსავლეთიდან).

აუზის აღმოსავლეთით (სათავის მიმართულებით) მილების ჩაწყობის სიღრმე თანდათან მატულობს (ადგილობრივი რელიეფის გამო; იხ. პროფილი) და ამიტომ წყალსადენის გამყვანთ აქაც იგივე ხერხი მოუმარჯვებიათ, რაც ზევით აღნიშნული არხის გაყვანის დროს,—და გვირაბის წესით უმუშავიათ. მაგრამ, თუ

არხის მშენებლობის დროს გვირაბი ნიადაგის მკვრივ ჯიშებშია გაყვანილი და ამიტომ მას გამაგრება არა სჭირდებოდა, აქ გვირაბი უფრო რბილ და ადვილად ჩამოსანგრევ პირობებშია გაჭრილი და ამის გამო სათანადოდ გამაგრებული არის.

გვირაბის ნიშნები აუზიდან 0,5 მ-ის დაშორებით იწყება: გვირაბის დასაწყისთან, მის სამხრეთ მხარეს (წყლის მიმდინარეობის მარცხენა ნაპირას) უდულაბოდ ნაშენი კედლის ნარჩენები აღმოჩნდა მილებიდან 1,70 მ-ის სიმაღლეზე. მის გაგრძელებაზე, მილსადენებიდან იმავე სიმაღლის დაშორებით, ძველი გვი-



სურ. 6. გვირაბის კედლის ნარჩენები.

რაბის კედლებს ხის მასალის ნიშნები მიჰყვებოდა. როგორცა ჩანს, ამ კედელსაცა და ამ ხის მასალასაც ერთი და იგივე დანიშნულება ჰქონიათ: ისინი ამაგრებდნენ გვირაბის სამხრეთ კედელს, საიდანაც, მთის დაქანების მიხედვით, უფრო მეტი საშიშროება იყო მოსალოდნელი.

ხის მასალის ასეთივე ნიშნები გვირაბის ჭერზეც აღმოჩნდა; ხის მასალაზე სიპი ქვების ორი ფენა იყო დალაგებული ჰორიზონტულად, რომელიც ზევიდან ნიადაგის მკვრივი კონგლომერატით იყო დაფარული. მის ქვევით, მთელი გვირაბის სივრცე ნაშალი მიწით იყო ამოვსებული. შემდეგ გამოიკვია, რომ ამ ადგილას ჩვენი გაჭრილი გვირაბი სწორედ ძველი გვირაბის ადგილს დაემთხვა და ამიტომ ძველი გვირაბის სიმაღლე და სამხრეთ კედლის საზღვარი ჩვენი გაჭრილი გვირაბის შესატყვისი ზომების ოდენა იყო. გვირაბის სიმაღლე მილებიდან უდრის 1,70 მ-ს, ხოლო მანძილი მილებიდან სამხრეთ კედლამდე—0,80 მ-ს.

გამაგრების გარდა, აღნიშნული გვირაბის გაყვანის დროს, სხვა საშუალებებზე უხმარიათ მუშაობის მეტი ნაყოფიერებისა და გაადვილების მიზნით.



სურ. 7. გვირაბი მონასტრის ტრასზე.


გვირაბის დასაწყისიდან 10 მ-ის შიგნით (პირდაპირი ხაზით), მის კერძე მიწათა ჯიშების ისეთი განლაგება შევვხვდა, რომელიც ამტკიცებს, რომ ძველი დროის ტექნიკოსებს მიწის ზედაპირიდან გვირაბის სიღრმეში ვიწრო (0,60 მ), მრგვალი ვერტიკალური თხრილი ჩაუჭრიათ. რა მიზანს ემსახურებო-

და ეს თხრილი, ზუსტად ამის გამოკვევა, დღეს ჩვენთვის ძნელია, მაგრამ ცხადია, რომ მას ვენტოლაციის, ან მიწის ამოზიდვის გაადვილების, ან რაიმე სხვა დამხმარე დანიშნულება უნდა ჰქონოდა.

13—14 მეტრის შემდეგ გვირახის ზომა შესამჩნევად მცირდება.

დიდი ზომის გვირაბი აქ პატარა ზომის გვირაბად იქცევა (1,20×0,90 მ); ეს უკანასკნელი კი, მკვრივი ნადაგის გამო, არავითარ გამაგრებას აღარ მოითხოვს და გაუმაგრებლად გრძელდება სათავისაკენ¹ (იხ. წინა წერილი, სურ.10).

9 მ-ის მანძილზე მიღები ამ პატარა გვირაბში არის ჩაწყობილი. ხოლო 9 მ-ის შემდეგ მიღები წყდება, გვირაბი კიდევ უფრო ვიწროვდება და ორად იყოფა.



ნახ. 4. მონასტრის ტრასის ჩვეულებრივი ყალიბის მილისა და აღნიშნულ ნაწილში ნაპოვნი მილების შედარებითი სქემა.

ამგვარად, იმ ადგილიდან, სადაც ჩამოზვავების გამო მონასტრის ტრასის კვალი სწყდება, სათავის მიმართულებით 27—28 მ-ის მანძილზე შევძელით ჩვენ მისი კვალი გვეპოვა. ამ 27 მ-ის მანძილზე ტრასი შედგება ერთნაირი ყალიბის, წითელი თიხის მილებისაგან, რომლებიც ზომით აშკარად განსხვავდებიან მონასტრის ტრასისათვის უფრო ტიპური და ჩვეულებრივი მილებისაგან.

მართალია, უნდა ითქვას, რომ მონასტრის ტრასის სხვა ადგილებში ჩვენ გვხვდება სხვადასხვა ზომის მილები, რომლებიც ხშირად ერთმანეთთან უშუალოდ არიან დაკავშირებულნი, მაგრამ ასეთი შემთხვევა ძალიან იშვიათია და

¹ ამ პატარა გვირაბში იყო ნაპოვნი საჭრაქე (იხ. ქვევით, ნივთების აღწერილობა—სხ. 39). ეს საჭრაქე ძალიან ჰგავს მასალითა და ფორმით დმანისში ნაპოვნი საჭრაქეებს; განსხვავება მათ შორის იმაში მდგომარეობს, რომ დმანისში ნაპოვნი საჭრაქეები უფრო მოგრძო და უმეტეს შემთხვევაში ყურიანია. აღნიშნული ნივთი, რომელიც გვირაბს გასაშუქებლად ყოფილა გამოყენებული, საშუალებას გვაძლევს—წარმოვადგინო ვიკონიით მაშინდელ შრომის პროცესზე და შრომის გამაადვილებელ და ხელისშემწყობ საშუალებებზე.

ყოველთვის გამოწვეულია რაიმე გარკვეული მიზეზით (მაგ., მილსადენის მიმართულების ერთბაში შეცვლით თანგირასთან), საერთოდ კი მიღების ყალიბი არა სცილდება მისთვის ჩვეულებრივს საშუალო ზომას.

ამ შემთხვევაში საკმაოდ დიდ მანძილზე და მათი აღრევის გარეშე ერთმანეთთან გადაბმულია ერთგვარი მიღები, რომლებიც საშუალო ზომით საკმაოდ განსხვავდებიან მონასტრის ტრასის მიღებისაგან. სამწუხაროდ მათი შეერთების ადგილი ჩვეულებრივი ზომის მიღებთან მიწის ჩამოზავების გამო დაკარგულია და ეს გარემოება აძნელებს ასეთ სხვადასხვაობის მიზეზის გამოკვლევას.

მაგრამ ამ გარემოების ყველაზე მარტებული და სწორი ახსნა, ჩვენი აზრით, იმაში მდგომარეობს, რომ წყალსადენის ეს ნაწილი შემდგომი დროის რესტავრაციის შედეგს წარმოადგენს. საფიქრებელია, რომ სათავეს ეს ნაწილი უფრო ხშირ რესტავრაციას მოითხოვდა და უკანასკნელად ის იმ დროს იყო შეკეთებული, როდესაც შიომღვიმის სამონასტრო ცხოვრება უკვე შედარებით დაქვეითებული იყო და ამის გამო წყლის ძველი რაოდენობაც საჭირო აღარ იქნებოდა. ამის გამო წყალსადენის სათავეში უფრო წვრილი მიღები ჩაუწყვიათ და მონასტრისათვის ნაკლები წყალი მიუწოდებიათ.

2. მიღების წყობა. მიღების ფორმა და ზომა ზევით არა ერთხელ გვექონდა ნაჩვენები, ამიტომ ამ საკითხზე აღარ შეგჩერდებით. ისინი გაკეთებულნი არიან წითელი, გამომწვარი თიხისაგან, რომლებსაც შიგნიდან ამჩნევია ხრახნილის მსგავსი სპირალური წრეხაზები. მანძილი თვითველ წრეხაზებს შორის 2 სმ-ს უდრის. დაქანება მონასტრის ტრასზე სოფლის ტრასთან შედარებით ბევრად ნაკლებია, ამიტომ სათავიდან უფრო მეტი დაშორებით მათ შორის სიმალლის განსხვავება სულ უფრო და უფრო იზრდება. მონასტრის ტრასის ნაკლები დაქანება შემთხვევითი არ არის და წყალსადენის გამყვანთა შესანიშნავი მოფიქრებულობით აიხსნება. ვინაიდან მილსადენის მონასტერში გადაყვანისათვის, ადგილობრივი რელიეფის გამო, — აუცილებელი იყო მთის გაკვეთა, ამიტომ ნაკლები დაქანება ამ გაკვეთას ბევრად უფრო გააადვილებდა და უფრო ნაკლები ზომის გვირაბის გაჭრა დასჭირდებოდათ. ამგვარად, პატარა დაქანებით მილსადენის წამოყვანა, ნავარაუდევია იყო წყალსადენის ყველაზე რთული სამუშაოების გაადვილების მიზნით.


მიღები ჩაწყობილია უდულაბრად. ერთმანეთთან ისინი გადაბმულნი არიან პირდაპირ; რაიმე შემაკავშირებელი ნივთიერების კვალი ამჟამად არა ჩანს. მხოლოდ ზოგიერთ შემთხვევაში ჩვენ შევამჩნიეთ, რომ გადაბმის ადგილები, — სადაც მილის წვრილი თავი ჩამჯდარია მომდევნოს მსხველ თავში, — ამოღესილია ხამი თიხით. შესაძლებელია სხვაგან იგივე ხერხი იყო ნახმარი და ჩვენთვის შეუშინველი დარჩა; ან შესაძლებელია წყლის დაქანებით მიმდინარეობისა და მიღების კარგი წყობით ამის საჭიროება თავიდან იქნა აცილებული.

მიღების ჩაწყობის სიღრმე მიწის რელიეფის მიხედვით იცვლება. რადგანაც მიღების დაქანება საშუალო ზომიერი ოდენობისაა, ხოლო მიწის ზედაპირი ვაკესა და გორაკებს შეიცავს, ამიტომ ბორცვიან ადგილებში მათი ჩაწყობის სიღრმე მატულობს. ასე, მაგ., სათავეს მიდამოებში, სადაც რელიეფის ცვალებადობა ძალიან დიდი სხვადასხვაობისაა, და ბორცვის სიმაღლე მატულობს სათა-

ვის მიმართულებით,—მიღების სიღრმე იმდენად იზრდება, რომ წყალსადენის გამყვანთ მიწის ზედაპირული გაჭრისათვის უფრო რთული და ძნელი საშუალება უმჯობინებიათ და გვირბები გაუჭრიათ.

რაც შეეხება მილსადენის შემდეგ ნაწილს, რომელიც ტყით დაფარული მთის ფერდობს მისდევს, იქ მათი ჩამარხვის საშუალო სიღრმე 1,20—1,50 მ-ს უდრის. როგორც ეტყობა ძველი ხელოსნები ამ სიღრმის შეცვლას გრიდებოდნენ და რალაც საშუალო სიღრმეს იცავდნენ. მთის დაქანებული ფერდობი ამის შესაძლებლობას ადვილად იძლეოდა და, თუ ძალიან მაგარი ნიადაგი არ იქნა (კლდოვანი ჯიშები, მაგალითად), ეს სიღრმე შეცვლილი არ არის. მკვრივი და ძნელად დასამუშავებელი მიწის შემთხვევებში მილსადენი გალუნულია ან სამხრეთით (და მაშინ სიღრმე იზრდება) და ან ჩრდილოეთით—და მაშინ სიღრმე კლებულობს (მთის დაქანება სამხრეთიდან ჩრდილოეთისკენაა მიმართული).

მიღების უმთავრესი ნაწილი მაგარ (ქვიან, კირნარ, თიხნარ და სხვ.) ჯიშებზე მოდის. ხოლო როდესაც ნიადაგი უფრო რბილია, ასეთ შემთხვევებში, მილსადენი გამაგრებულია ხის მასალით. ასე, მაგ., მონატრის ტრასის ერთ-ერთ თხრილში (იხ. სურ. 7, წინა წერილში), მიღების წყობის დონეზე, ორივე მხა-



ნახ. 5. მკლავი.

რეს, მიღები საგან 0,20 მ-ის დაშორებით შავი, დანახშირებული ხის მასალის ზოლი აღმოჩნდა. ამ ზოლის სიგრძე=1,50 მ-ს, ხოლო ფიცრის სისქე=0,04 მ-ს.

3. თ ა ნ გ ი რ ა და მ კ ლ ა ვ ი. მილსადენის მიმართულების მკვეთრად შეცვლის შემთხვევაში, გამოყენებულია მოღუნული მილი, რომელსაც მკლავი ეწოდება. მიმართულების შეცვლა ბევრი მიზეზით შეიძლებოდა ყოფილიყო გამოწვეული და, როდესაც გალუნვა შედარებით უფრო დიდია, ასეთ შემთხვევაში მკლავი მომარჯვებული. ჩვენგან ნაპოვნი მკლავი ორ მეზობელ მილთან ერთად (რომელთა შორისაცაა ის ჩადგმული) მილსადენის მიმართულებას 65°-თა სცვლის სამხრეთ-დასავლეთიდან ჩრდილო-დასავლეთისაკენ.¹


¹ მეორე მკლავი (მომტვრეული ბოლოთი) ისე ეგდო მილსადენის 0,40 მ-ის არეში და, როგორცა ჩანს, გამოყენებული არა ყოფილა. შეიძლება ეს იმით აიხსნას, რომ ამ ადგილას გალუნვა შედარებით პატარაა და მკლავის მოხმარება აღარ დასჭირებიათ.

მკლავი დაახლ. იმავე ზომისაა და იმავე მასალისაგანაა გაკეთებული (მრ-წითანო გამომწვარი თიხა), შიგნიდან დახრახნილია, როგორც ყველა დანარჩენი მილი და მხოლოდ ფორმით არის განსხვავებული ჩვეულებრივი მილებისაგან.



სურ. 8. მკლავი.

მკლავის გარდა, მნიშვნელოვან ელემენტს ორივე ტრასის მილსადენისათვის, ე. წ. თ ა ნ გ ი რ ა წარმოადგენს. ეს სახელწოდება დღესაც შენარჩუნებული



ნახ. 6. მონასტრის ტრასისა და სოფლის ტრასის თანგირების შედარებითი სქემა.



სურ. 9: თანგირები

აქვს ქართულ მეტყველებას,¹ და ნიშნავს დაახლოვებით იმას, რასაც თანამედროვე ჰიდროლოგიაში საკონტროლო ქას უწოდებენ.

თანგირა წარმოადგენს ქილისმაგვარ თიხის კურქელს, რომელსაც ორი მხრიდან მკლავები აქვს.



სურ. 10. თანგირა სოფლის ტრასზე.

ჩვეულებრივ მკლავები ერთი მეორის საწინააღმდეგო მხარეზე, ერთი სწორი ხაზის მიმართულებითა აქვს გაკეთებული. ერთი მკლავი მილის მსხვილ თავს შეესაბამება და მის წინ მდებარე მილია მასთან დაკავშირებული, ხოლო მეორე,

¹ დაახლოვებით ათიოდე წლის წინათ, სხალტბიდან რამოდენიმე (2—3) კილომეტრის დაშორებით მდებარე სოფ. ჩარდახში წყალსადენი გაუყვანიათ. მილებად თიხის მილები გამოუყენებიათ და სხალტბელების სიტყვით—„თანგირებიც დაუყოლებიათ“.

წვრილი მკლავით თვით თანგირაა ჩასმული მომდევნო მილში. თანგირები სოფლის ტრასზე დახურული იყო საგანგებოდ შერჩეული სიპი ქვებით, ხოლო მონასტრის თანგირას მრგვალი ხის სარქველი ჰქონდა დახურული.



სურ. 11. თანგირა სოფლ. ტრასზე.


თანგირას დანიშნულება წყალსადენის მოვლა-პატრონობისა და „კაზმის“ გაადვილებაში მდგომარეობს და ამ მიზნითაა ის დატანებული მილსადენში. ზევით მოხსენებული 1202 წლის სიგელიდანა ჩანს, რომ ანტონ მწიგნობართუხუცესი მონასტრისათვის წყალსადენის მართო გაყვანით არ დაკმაყოფილებუ-

ლა და მას ამ წყალსადენის გაფუჭება და, მაშასადამე, მისი შეკეთების საჭიროებაც გაუთვალისწინებია. „შემიწყალეს და მიბოძნეს და მსახურიცა მსახურეს ჯგეროანი და ამა სიგლითა მკუიძრად და თავისუფლად მეფობისა თამარისა სალოცავად აფხაზეთნი (sic) იგი გ'ი და ია ბერი ფოძედ ერთი და კომლად ორი და მე გაუჩინე სამსახური მის წყაროისი, რ'ლ ორისავე სახლისაგან თვთოი შეილი მათი ქუქანკად გაისწავლებოდეს და ჰკაზმვიდენ მას წყაროსა“.¹

თანგირები მილსადენს ყოველ გარკვეულ მანძილზე ჰქონდა დატანებული. მონასტრის ტრასზე ჩვენ მხოლოდ ერთი თანგირის ჰოენა შევძელით და ამიტომ ეს მანძილი (დისტანცია ყოველ ორ თანგირს შორის) გამოურკვეველი დარჩა; რაც შეეხება სოფლის ტრასს, აქ მანძილები თანგირებს შორის სათავესთან 80 მეტრს, ხოლო მილსადენის ბოლო ნაწილში 28—30 მ-ს უდრის.

თანგირების ადგილმდებარეობა, როგორცა ჩანს, რალაცა ნიშნითა ყოფილა აღნიშნული მიწის ზედაპირზე და წყალსადენის გაფუჭებისა და წყლის შეწყვეტის შემთხვევაში, იმის მაგიერად რომ მთელი მილსადენი გაეთხარათ,—მხოლოდ თანგირებს მოხსნიდნენ და თანგირის საშუალებით დაზიანების ადგილს არკვიდნენ.

სოფლის ტრასზე თანგირა ეტყობა მილსადენის მიმართულების შეცვლის დანიშნულებასაც ასრულებდა. სოფლის ტრასის ზოგიერთი თანგირის მკლავები სწორხაზობრივად არ არის მასზე გაკეთებული; ერთი მკლავი გალუნულია და ამგვარად ცხადია მილსადენის მიმართულებასა სცვლის.



ნახ. 7. თანგირა გალუნული მკლავით.

სოფლის ტრასი

1. სოფლის ტრასის საერთო სიგრძე დაახლ. 1200 მეტრს უდრის. ის თანამედროვე წყაროს ზევით აღწერილი არხიდან იღებს თავის დასაწყისს და თავდება ძველი ნასახლარების ტერიტორიის ჩრდილო-დასავლეთ ნაპირას. წყაროდან 12—15 მეტრის მანძილზე მისი უშუალო კავშირის კვალი წყაროს არხთან დაკარგულია იმის გამო, რომ, ადგილობრივი მიწის ჩამოხვავების მიზეზით მილსადენის კვალი ან სულ წაშლილა, ან, მიწაში ჩაფლის სიღრმის შემცირებით, მხოლოდ ფრაგმენტული კვალი დარჩენილა. ასე, მაგ., დაახლოვებით ათი მეტრის მანძილზე მხოლოდ მილის ნამტვრევები და დუღაბის კვალი ჩანდა.

¹ იხ. შიო-შვიმის საბუთები. 1202 წ. სიგელი, ანტონ ჰყონდიკელის მინაწერი.

სოფლის ტრასის მილის ტიპიური ზომა უდრის: სიგრძე—0,47 მ, მსხვილი თავის დიამეტრი $0,11\frac{1}{2}$ — $0,09\frac{1}{2}$ მ, ხოლო წვრილი თავის დიამეტრი— $0,07$ — $0,05\frac{1}{2}$ მ-ს (იხ. აქვე ნახ. 2). მაგრამ, როგორც მონასტრის ტრასზე, მილები მთლად, ზუსტად ერთი ზომისანი არ არიან და პატარა გადახრა საშუალო ზომიდან სრულიად ბუნებრივია აღნიშნული მილსადენისათვისაც.



სურ. 12.

მილსადენის მთელი ტრასის ნახევარზე მილები დადუღაბებულია. ხოლო ტრასის მეორე ნახევარზე, დასასრულისაკენ, სადაც მილსადენი მთიანი ადგილიდან ვაკეზე იწყებს გადასვლას,—მილები უდუღაბოდ არის ჩაწყობილი და მხოლოდ ზოგიერთ შემთხვევაში მათი შეერთების ადგილი ხამი თიხით არის შემავარებული.

მილების ჩაწყობის სიღრმე სხვადასხვანაირია და მეტადრე ამ მხრივ მილსადენის ეს ორი ნაწილი განსხვავდება. იქ, სადაც სოფლის ტრასი მონასტრის ტრასის პარალელურად მიდის (მანძილი მათ შორის საშუალოდ 20 მეტრს უდრის) და დაქანებული ფერდობის კალთას მისდევს, მილები დადუღაბებულია და მათი ჩაწყობის სიღრმე საშუალოდ $0,30$ — $0,60$ მ-ს უდრის, ხოლო ვაკე ადგილას სიღრმე 1 მ და ხშირად უფრო მეტიც არის.

სოფლის ტრასზე არც ერთი მკლავი არ შეგვხვებოდა. მიუხედავად იმისა, რომ მისი საკმაოდ დიდი ნაწილი ჩვენ მთლიანი თხრილითა გვექონდა გადათხრილი და მთელი ტრასის ნახევარი მთლიანად გვექონდა გამორკვეული.

მილსადენის მოხვევა, იქ სადაც ეს საჭირო იყო, ჩვეულებრივი მილებისაგან შედარებით დიდი წოებაზის შემოხაზვითაა განხორციელებული და ზოგჯერ კი, როგორც ზევით აღნიშნეთ (იხ. ნახ. 7), მკლავის დანიშნულებას აქ თანაგრძობს.



სურ. 13.

ზოგიერთ ადგილში, მეტადრე ტრასის იმ ნაწილში, სადაც მილები უღუღაბოდ არის ჩაწყობილი, ნიადაგი-კი თავისი ფხვიერობის გამო გამაგრებას საჭიროებდა, — მონასტრის ტრასის მსგავსად, — მილების შემოხაზვით დანიშნულების მიუ-

მართნიათ. ზევით ჩვენ აღვნიშნეთ, რომ მონასტრის ტრასის გათხრის დროს, ერთ-ერთ ადგილას მიღები მსხვილი, სიგრძივ ჩაწყობილი, ფიცრებით იყო გამაგრებული, აქ კი ეს გამაგრება სიპი ქვებისაგან და აგურებისაგან ნაშენ კედლებისაგან შედგება.

კედლები ამოყვანილია მილსადენის ორივე მხარეზე. მე-13 სურათზე აღნიშნული კედელი $0,80 \times 0,80$ ზომისაა და ქართული აგურისაგანაა ნაშენი. კედელს წრებაზის ფორმა აქვს და მოღუნულია იმავე მიმართულებით, როგორც მილსადენი. ეს კედელი მილსადენს შემოშენებული აქვს სამხრეთ-აღმოსავლეთიდან, — იმ მხრიდან საიდანაც ბორცვის დაქანება მოიმართება. მეორე, სიპი ქვებისაგან ნაშენი კედელი საწინააღმდეგო მხრიდანაა აგებული. ამ ორ კედელს შორის გავლის შემდეგ, მილსადენი ბრუნდება დასავლეთისაკენ და მიიმართება თავისი ჩვეულებრივი მიმართულებით.



სურ. 14.

სოფლის ტრასის აღწერა რომ დასრულებულად ჩაითვალოს, საჭიროა აღინიშნოს ერთი გარემოება. წყაროდან 160 მეტრის დაშორებით სოფლის ტრასის ერთი ნაწილი (25—30 მეტრის მანძილზე) უფრო მოზრდილი მიღებისაგან შედგება. ეს მიღები თავისი სიგრძით სოფლის ტრასის მიღებისაგან ძალიან ცოტათი (4—5 სანტიმეტრით) განსხვავდება მაგრამ, მათზე ბევრად უფრო მსხვილებია. მათი მსხვილი თავის დიამეტრი უდრის $14\frac{1}{2}$ —12 სმ-ს, ხოლო წვრილი თავის დიამეტრი — $9\frac{1}{2}$ —8 სმ-ს.

რა მიზეზითაა განოწვეული მიღების ასეთი სხვადასხვაობა, გადაჭრით ამისი თქმა ძნელია, მაგრამ ყვილაზე უფრო შესაძლებელი ის გარემოებაა, რომ აქაც დაზიანებასა და შემდეგი დროის რესტავრაციასთან უნდა გვექონდეს საქმე. მაგრამ ჩვენთვის ამ შეძთხვევაში საინტერესო ის არის, რომ ამ სხვადასხვა ზომის მიღების შეერთებისათვის წყლის გამყვანთ რალაცა ახალი საშუალება უნდა ეხმარათ. ზევით, სურ. 14 და წინა წერილის სურ. 15-ზე წარმოდგენილია შეერთების ორივე ადგილი. იქ სადაც მსხვილი მიღების ნაწილის დასაწყისია, უფრო წვრილი მილის მსხვილში გადასვლა საშუალო ზომის მილითაა განხორციელებული. ხოლო იქ, სადაც მსხვილი მილის ზილი თავდება და ისევ ჩვეულებრივი მიღების არე იწყება, მომდევნო მილი შეუბრუნებიათ და მსხვილი მილისათვის თავშექცევით დაუკავშირებიათ. შემდეგ მისთვის უშუალოდ თახვირა მოუბამთ და ამგვარად მილის მსხვილი თავი, თანგირის მსხვილსავე მკლავთან გადაუბამთ. ამ უკანასკნელ ადგილას, როგორც სურათიდანაცა ჩანს, შეერთების ადგილი ყოველმხრივ დულაბში ჩაუსვამთ და ამგვარად წყლის გაჟონვის შესაძლებლობა თავიდან აუცილებიათ.

მესამე, უცნობი ტრასი

ზემოაღწერილი ორი მილსადენის გარდა, რომელთაგან ერთი მონასტრისათვის იყო განკუთვნილი, და მეორე ძველი სხალტბისათვის, გათხრის დროს აღმოჩნდა მესამე ტრასის ნიშნები.

მესამე ტრასის მიგნებულ ნაწილებს ფრაგმენტული ხასიათი აქვს; ამას გარდა, მისი ნიშნები მხოლოდ ორ ადგილას იქნა ნაპოვნი და ამიტომ მისი დანიშნულება ჩვენთვის გამოურკვეველი დარჩა.

პირველი ნაწყვეტი წყაროდან 1.60 მ-ის მანძილზე მდებარეობს და მიმართება სოფლის ტრასის იმ ნაწილის პარალელურად, სადაც, როგორც, ზევით იყო აღნიშნული, სოფლის ტრასი უფრო მოზრდილი მიღებისგან არის შემდგარი. მანძილი მათ შორის 0,50 მ-ს არ აღემატება, ხოლო სიმაღლის მხრივ, მესამე ტრასის ეს ნაწილი 0,40 მ-ით უფრო დაბლაა სოფლის მილსადენის ხაზთან შედარებით.

მიღები უდულაბოდ არის ჩაწყობილი და 25 მ-ის იქით, არც სათავისაკენ და არც ბოლოსაკენ გაგრძელების კვალი არა ჩანს. გაგრძელება ნაპოვნი იქნა მხოლოდ 200 მეტრის დაშორებით, სადაც აღმოჩენილი ფრაგმენტის სიგრძე დაახლ. 60 მ ს უდრის და აგრეთვე უდულაბოდ შეერთებული მიღებისაგან შედგება.

ორივე ნაპოვნი ნაწილი სოფლის ტრასის ჩრდილოეთით და მასზე უფრო დაბლა მდებარეობს. ხოლო, თუ პირველ ფრაგმენტთან მანძილი (სურ. 15) მასსა და სოფლის ტრასის შორის 0,50 მ-ს არ აღემატება, მეორე ფრაგმენტთან (იხ. წინა წერილი, სურ. 6) ეს მანძილი საშუალოდ 1,5 მ-ს უდრის.

ვიმეორებ, რომ ამ ტრასის დანიშნულება ჩვენთვის გამოურკვეველი დარჩა. მაგრამ მიღების შედარება გვაძლევს საფუძველს ვიფიქროთ, რომ ამ ტრასის მშენებლობას რალაცა კავშირი უნდა ჰქონდეს სოფლის ტრასის ზემოთ აღწერილ, მსხვილი მიღებისაგან შემდგარ ნაწილთან. მესამე ტრასის ორივე

თხრილში, მიღები თავისი ზომის, ყალიბის, მასალის მიხედვით სწორედ ისეთია, როგორც სოფლის ტრასის მსხვილი მიღებისაგან შემდგარ ნაწილში. თუ ამ გარემოებას მივიღებთ ზედ-



სურ. 15. მარცხნივ სოფლის ტრასი, მარჯვნივ მესამე ტრასის პირველი ნაწყვეტი.

ველობაში, და მეორე მხრით საფუძვლიანად ვცნობთ მოსაზრებას სოფლის ტრასის აღნიშნული ნაწილის შემდგომი განახლების შესახებ,—მაშინ შეიძლება ითქვას, რომ მესამე ტრასის მშენებლობა უფრო მოგვიანო დროისა და სოფლის ტრასის განახლების პერიოდისა უნდა იყოს.

სხალტბაში აღმოჩენილი ნივთიერი კულტურის ნიმუშები

სხალტბაში წარმოებული არქეოლოგიური გათხრების დროს ნივთიერი-კულტურის ნიმუშები მცირე რაოდენობით იყო ნაპოვნი. ამისი მიზეზი იმაში-მდგომარეობს, რომ განათხარი ტერიტორია ძველად დასახლებულ ადგილებს საკმაოდ დაცილებულია და მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილით ემთხვევა მას. იქაც კი, სადაც მილსადენის ტრასი ძველი ნასოფლარის ადგილზე გადის, გათხრილი ზოლი,—დასახული ამოცანის გამო, მხოლოდ მილსადენს მისდევს (ძალიან ვიწრო ზოლად, არა უმეტეს 0,60—0,70 სმ-ის სიგანისა), ამიტომ ახლო-მახლო ადგილებს არ ეხება. თვით ნასოფლარის ტერიტორიაზეც განათხარი ფართობი-შედარებით პატარა ზომისაა და ამიტომ ნივთიერი კულტურის ნაშთების აღ-მოჩენა მხოლოდ მცირე რაოდენობით იყო მოსალოდნელი.

ნივთების უმთავრესი რაოდენობა აღმოჩენილია წყლის სათავეს მიდამოებ-ში (1. წყალშესაკრებელის არხის გვირაბში და იქ ჩაჭრილ შახტში და 2. მო-ნასტრის ტრასის შახტში და გვირაბში) და ნასოფლარის ტერიტორიის სამხ-რეთ ნაწილში, სადაც სოფლის ტრასი ძველი ნასახლარებიდან ძალიან პატარა-მანძილით არის დაშორებული (იხ. სხალტბის გეგმა).

ნაპოვნი ნივთები წყერამიკული და ლითონის ნაწარმოების ხასიათისაა.

ქერამიკა

- სხ. 19. მოწითანო თიხის შიგნიდან მოჭიქული ჭურ-
ჭლის ძირი (დიამ.=7,2 სმ). ძირი მოჭი-
ქულია თეთრად, მწვანე ფერის ჯვარედინ-
ად გავლებული ზოლებით. მწვანე ზოლის
სიგ.=4—7 მმ. } ნაპოვნია წყალშესაკრებელის
არხის შახტში.
- სხ. 31. ცისფერი ფაიანსის ჭურჭლის ნატეხები.
ნატეხების ზომა: 3,5×3 სმ, 3,5×2 სმ.
და 4×1,5 სმ. ძალიანა ჰგავს ქ. დმანისში
ნაპოვნი ფაიანსის ჭურჭელს. } ნაპოვნი, ძველი, უცნობი ნაგე-
ბობის კედლის დასავლეთით
1,20 მ-ის სიღრმეზე. ნასოფ-
ლარის არეში.
- სხ. 34. ქაშანური ჭურჭლის (ჯამის?) პირის ნატე-
ხი. მოჭიქულია მხოლოდ შიგნიდან მომწუვა-
ნო-მოციცფრო მზინავე საღებავით, რომე-
ლიც რამოდენიმე ადგილასღაა შერჩენილი.
13×3,5 სმ. პირის სისქე—8 მმ. } ნაპოვნია ნასოფლარის არეში,
1,80 მ-ის სიღრმეზე.
- სხ. 36. ქაშანური ჭურჭლის (ჯამის?) პირის ნატე-
ხი. მოჭიქულია მხოლოდ შიგნიდან თეთ-
რად, ყავისფერი ნაქდვეი პარალელური ხა-
ზებით და პირთან მწვანე ზოლით.
7,5×3,5 სმ. } ნაპოვნია მონასტრის ტრას-
ზედა ნაწილში,—შახტში
1,60 მ სიღრმეზე.

- სხ. 37. მოყვითანო თიხის პატარა ზომის ლიტრის ყელი. გარედან დაღარული პარალელური წრეხაზებით და კუწუბებით. } ნაპოვნია იქვე 1,70 მ-ის სიღრმეზე.
- სხ. 38. ქაშანური ჭურჭლის ქვედა ნაწილი. ძირის დიამ.=7,5 სმ; მოჭიქულია თეთრად; ფრაგმენტზე მოჩანს ყავისფერი ზოლებით შემოხაზული კვადრატი, შუაში მწყანე წერტილით (დიამ.=10—12 მმ). ძალიანა ჰგავს დმანისში ნაპოვნ კურკელს, როგორც მასალით, აგრეთვე სახეებითა და ფერებით. } ნაპოვნია იქვე, 1,75 მ-ის სიღრმეზე.
- სხ. 39. მოყვითანო, კარგი ხარისხის და კარგად გამომწვარი თიხის საჭრაქე. უყურო. ჩამომტვრეული აქვს პირის ნაწილი განიერი მხრიდან. დმანისში ნაპოვნ საჭრაქეებზე უფრო მცირე ზომისაა და ნაკლებად გაგრძელებულია; უფრო უახლოვდება სწორი წრეხაზის ფორმას. ძირის დიამ.=4 სმ. სიგრძე—8,5 სმ, სიგანე—7 სმ. } ნაპოვნია მონასტრის ტრასის, ზ. აღწერილ პატარა გვირაბში.
- სხ. 40. აგური. ზომა 23,5×23,5 სმ სისქე—5 სმ. } ნაპოვნია უცნობი ნაგებობის კედლის დასვლეთით, ნასოფლარის არეში.
- სხ. 41. მოყვითანო თიხის ბრტყელი კრამიტი,—ღარის მსგავსი. ზომა 44×31 სმ.სისქე—2 სმ. } ნაპოვნია მონასტრის ტრასის გვირაბის შახტში—2,80 მ-ის სიღრმეზე.
- სხ. 44. ფერადი ქაშანური ჭურჭლის ნაუხეები. შიგნიდან მოჭიქული. თეთრ ფონზე მწვანე ზოლების კუთხური სახეებით და ყვითელი მსხვილი წერტილებით. 6,5×6 სმ. და 6×3,5 სმ. } ნაპოვნია ნასოფლარის არეში. 0,40 მ-ის სიღრმეზე.
- სხ. 51. მოწითანო თიხის სამარილეს ნატეხი. (დაახლოვებით მთელის ნახევარი ნაწილია). მოჭიქულია შიგნიდან მოცისფრო მბზინავი საღებავით, რომელიც გადასულა და შერჩენია მხოლოდ მცირე ადგილებზე. ძირის დიამ.=4,3 სმ. პირის დიამეტრი—7,2 სმ. სიმაღლე 2,5 სმ. } ნაპოვნია მონასტრის ტრასის ზ. აღწერილ გვირაბში, მიღების წყობიდან 0,60 მ-ის სიმაღლეზე და შახტიდან 2,5 მ-ის შიგნით.
- სხ. 52. ქაშანური ჭურჭლის ნატეხი. შიგნიდან მოჭიქული. თეთრ ფონზე ყვითელ ზოლით, ყავისფერი ნაქდვეი ხაზებით და შავი წერტილებით. 4×3 სმ. სისქე 7 მმ. } ნაპოვნია სოფლის ტრასაზე 0,30 მ-ის სიღრმეზე.

- სხ. 53. მოყვითანო თიხის ჯამი. პირ-ჰომტვრეული. } ნაპოვნია წყალშესაკრებელის
ძირის დიამეტრი 6,5 სმ. პირის დიამეტრი 14,5 სმ. სიმაღლე—6 სმ. } არხის შახტში. შახტიდან 8,5 მ-ის დაშორებით და მილედნიდან 0,50 მ-ის სიმაღლეზე.
- სხ. 57. მოწითანო თიხის (გარედან ანგობირებული) } ნაპოვნია ნასოფლარის არეში.
ჭურჭლის ნატეხი. გარედან რელიეფური მარტივი ორნამენტით გრეხილი ზოლის (8 სმ-ის განით) სახით. 6X5,5 მმ. }
- სხ. 58. მოყვითანო ჭურჭლის (ქილის?) პირის ნატეხი. გარედან მარტივი, ქდეული ორნამენტით. პირის სისქე—1 სმ. 5,3X3,8 სმ. } ნაპოვნია ნასოფლარის არეში.
- სხ. 59. მოყვითანო თიხის, ანგობირებული ჭურჭლის ნატეხი. გარედან—ნაკდევი პარალელური ხაზებით და პატარა ზომის კუწუბოებით. 5,5X4,5 სმ. } ნაპოვნია ნასოფლარის არეში, ორი წინა ნივთის მახლობლად 1 მ-ის სიღრმეზე.
- სხ. 60. მოყვითანო თიხის ჭურჭლის ყური. } ნაპოვნია იქვე.
- სხ. 61. მოწითანო თიხის პატარა ზომის ჭურჭლის ქვედა ნაწილი. გარედან ანგობირებული მოთეთრო-მოყვითანო ფრად. ძირის დიამეტრი—3,5—3,7 სმ. } ნაპოვნია იქვე, 1,0 მ-ის სიღრმეზე.
- სხ. 62. ქაშანური, შიგნიდან ცისფრადა და მწვანედ მოჭიქული ჭურჭლის ნატეხი. სახიანი? 7X4,5 სმ. } ნაპოვნია წყალშესაკრებელის არხის შახტში 1 მ-ის სიღრმეზე.
- სხ. 64. მოწითანო თიხის დიდი ზომის ჭურჭლის (ქვევრი? თონე?) პირის ნატეხი. პირზე ნაკდევი, მარტივი ორნამენტით: ორი პარალელური ხაზი გაკვეთილი სინუსოიდიტ. გარედან—კუწუბოებით. პირის სისქე—4,5 სმ. } ნაპოვნია ნასოფლარის არეში.
- სხ. 65. ლევა თიხის, გარედან გაპრიალებული ჭურჭლის მილის ნატეხი. სიგრძე—6 სმ., ღრუს დიამეტრი 1 სმ., კედლის სისქე 3—4 მმ. } ნაპოვნია ნასოფლარის არეში 1,10 მ-ის სიღრმეზე.
- სხ. 66. მოწითანო თიხის, შიგნიდან და გარედან მუქი ყვითლად მოჭიქული ჭურჭლის ნატეხი. სისქე—4 მმ. 3X2 სმ. } ნაპოვნია იქვე 0,80 მ-ის სიღრმეზე.
- სხ. 67. მოწითანო თიხის, შიგნიდან და გარედან მწვანე ფრად მოჭიქული ჭურჭლის ნატეხები. } ნაპოვნია ნასოფლარის არეში.

- სხ. 68. მოწითანო თიხის, შიგნიდან მოჭიქული ჭურ-
კლის ნატეხი. სახიანი. მწვანე ფონზე შავი
ნაქდევი ნახეებით მოხაზული წრეხაზები
(?). $5 \times 4,5$ სმ. (სგრაფიტო). } ნაპოვნია ნასოფლარის არეში
- სხ. 69. ფაიანსის ჭურჭლის ნატეხი. ფერადი სახე-
ებით. სისქე 2 მმ. ნატეხის ზომა $2 \times 1,7$ სმ. } ნაპოვნია ნასოფლარის არეში
0,90 მ-ის სიღრმეზე.

ლითონის ნაწარმოები

- სხ. 22. ნიჩაბი (ორი ნამტვრევი). დაზიანებული მი-
წაში გდებით. შედარებით კარგადაა შენა-
ხული ტარის გასაყრელი ნაწილი — დიამეტ-
რით 3 სმ. ლითონის სისქე 3—6 მმ. ზი-
სი პირვანდელი ზომის გამორკვევა ძნელია.
ნამტვრევის ზომა: 10×6 სმ. და 15×11 სმ.
სატარე—8,5 სმ. } ნაპოვნია წყალშესაკრებლის
არხის შახტში 5,60 მ-ის სი-
ღრმეზე.
- სხ. 29. უცნობი დანიშნულების რკინის რგოლი.
დიამ. = 3,4 სმ, სისქე—3—4 მმ. } ნაპოვნია უცნობი ნაგებობის
კედლის დასავლეთით 1 მ-ის
სიღრმეზე, ნასოფლარის არეში.
- სხ. 30. რკინის დიდი ზომის, ოთხკუთხი ლურს-
მანი. სიგრძე 20 სმ. ბრტყელი თავით:
 $3,5 \times 2,5$ სმ. ლურსმნის სისქე თავთან:
 1×1 სმ. } ნაპოვნია იქვე. 1 — 20 მ-ის სი-
ღრმეზე.
- სხ. 48. უცნობი დანიშნულების სპილენძის თხელი
ფირფიტა (რაიმე ჭურჭლის ნატეხი?). სის-
ქე—0,5 მმ. გარედან ნაქდევი, ფხური
ორნამენტით. $2,5 \times 2$ სმ. } ნაპოვნია ნასოფლარის S ნა-
წილში, 06,5 მ-ის სიღრმეზე.
- სხ. 49. პატარა ზომის დანა (ლითონის). ჩამოსაკი-
დით. 8,5 სმ.—სიგრძით. პირის სიგანე—
1,5 სმ. ყუის სისქე—3 მმ. } ნაპოვნია ნასოფლარის არეში.

P. S. დასასრულ უნდა აღინიშნოს, რომ, როგორც ამ მკირეხნის განმე-
ლობაში დაგროვილი მასალებიდანა ჩანს, სხალტბა-შიომღვიმის წყალსადენი,—
შოთა რუსთაველის საიუბილეო გამოფენასთან დაკავშირებით გათხრილი,—
ძველ საქართველოსაივის ერთეულ და გამოხაკლის შემთხვევას არ წარმოად-
გენს. უკვე საკმარისი ცნობები მოიპოვება, რომლებიც საქართველოში ტექნიკის
ამ დარგის საქაოდ ფართო გავრცელებას მოწმობს.

სხალტბა-შიომღვიმის არქეოლ. გათხრის დროსვე, იმავე მთის სამხრეთ
კალთაზე, სადაც შიომღვიმის წყალსადენის სათავეა მოთავსებული, კარგად
ნაგები წყალსადენი აღმოჩნდა, რომელიც, ადვილობრივი მოსახლეობის გადმო-

ცემით, მცხეთისაკენ მიიმართებოდა. ამ მილსადენის ორი ადგილიდან, რომლებიც ჩვენ ვნახეთ, ერთი სხალტბიდან მცხეთისაკენ მიმავალი გზის პირად, მთის მალლობ ადგილას (და ეტყობა. სათავესთან ახლოს) მდებარეობს და იქიდან წყალი ახლაც მოჟონავს. მიღებს ერთის მხრით ქართული, კვადრატული აგურითა და დუღაბით ნაშენი დაბალი კედელი მისდევს, რომელიც მიღებს დაქანებულ მხრიდან მიწის ჩამოზვავებისაგან იცავს. მეორე ადგილი თვით მცხეთიდან დაახლოვებით 300—400 მეტრის დაშორებით იყო ნახული სხალტბიდან მიმავალი გზის პირად, სადაც მოყვითაწო თიხის, დაახლოვებით სხალტბის სოფლის ტრასის მიღების ზომის, გარშემო დადუღაბებული მიღები შეგვხვდა.

მცხეთის მიდამოებშივე, მილსადენის ნიშნები ნაპოვნი იყო არმაზის ხევში, სადაც არქეოლ. გათხრას ნ. მარის სახ. ინსტიტუტი აწარმოებდა. ამ მილსადენის თავისებურებას, როგორც გათხრის თანამშრომლების გადმოცეიდანა ჩანს, მილსადენში დატანებული პატარა ზომის აუზი შეადგენს, რომელიც, შესაძლებელია, თხვირას დანიშნულებას ასრულებდა.

წყალსადენის ნიშნები სოფ. ნიჩბისშიც უპოვიათ. სოფ. ნიჩბისის სადგ. ქსანთან, მტკვრის მარჯვენა ნაპირას მდებარეობს და 1072 წ. შიო-შვიმისადმი მიცემულ გიორგი II-ის სიგელში არის მოხსენებული. აქ ადგილობრივ გლეხებს მიღებთან ერთად ორმხრივ გახვრეტილი, მილსადენში დატანებული ქილებიც უნახავთ. ეს ქილები (სხალტბის სოფლის ტრასის თანგირებზე უფრო მოზრდილი ზომისა) უეჭველია თანგირებად ყოფილა გამოყენებული. მაგ., თბილისში, სახანძრო რაზმის ეზოში 1937 წლის ზაფხულს გათხრილ წყალსადენსაც თანგირის მაგერ მოზრდილი ზომის (1,10 მეტრი) ორმხრივ გახვრეტილი ქვევრი ჰქონდა დატანებული. ნიჩბისის წყალსადენის სიგრძე გადმოცემით 2—2¹/₂ კილომეტრს უდრიდა და სოფლის განაპირად მდებარე კოშკისათვის ყოფილა გახკუთვნილი. ადგილობრივი გლეხის სიტყვით აქ წყალი, სათავეს მიდამოებში დღემდე შერჩენილ ფილაქნებით შეკრულ და გარშემო დადუღაბებულ არხში მოდენილა, რომლის განაკვეთის ზომა დაახლოვებით 15—20×15—20 სანტიმეტრს უდრის. ეს არხი დიდი დაქანების მქონე ადგილას არის გაყვანილი და, ეტყობა ამის გამო, სხალტბის წყალშესაკრებელის არხის მსგავსად, უფრო მტკიცედ არის ნაგები.

წყალსადენის ნიშნები ნაპოვნია აგრეთვე თბილისსა და ოქროყანას შუა, სადაც მოჭიქული მიღები და თანგირები უნახავთ; ცხადია ეს წყალსადენი თბილისში მოდიოდა. ველისციხეში, —საიდანაც ჩამოტანილი მიღები საქ. მუზეუმის საისტორიო განყოფილებაში ინახება; სოფ. ვეძისში, რომელიც თბილისსა და დილომს შუა მდებარეობს და დმანისისა და გეგუთის ციხე-დარბაზის აპანოებთან.


ყველა ეს წყალსადენი, გარდა დმანისის აბანოებისა, გაუთხრელი და შეუსწავლელია და ამის გამო მათი არც დათარიღება შეიძლება და არც დაწვრილებითი აღწერა. მაგრამ მათი არსებობა ძველ საქართველოში ტექნიკის ამ დარგის ფართე გავრცელებასა და განვითარებას მოწმობს. მიმავალი კვლევაძიება საშუალებას ეოგვეცემს მათ შესახებ უფრო ზუსტი და დეტალური დებულებები იქნეს გამოთქმული.

სეხთო. ღ. სჩუქოიძვილი
წ. ხუბინაშვილი :

XI-XII ს. სილი
მლინა რე:
ქესე თხელ

ანაგომის
ანმარეხითი
ანათი):

ქ. სოხუმის ჩრდილო-აღმოსავლეთით 8 კილომეტრზე დაშორებით სოფ. ქვემო ბირცხას და ბესლეთს შუა მიმდინარე ბესლეთზედ¹ (ანუ ბესლაი, აფხაზურად – ჩალიბაშ) გაშენებულია ერთმალისანი ქვის ძველი ხიდი (იხ. სურ. 1).



სურ. 1. ხიდის საერთო ასახელება აღმოსავლეთიდან.

Рис. 1. Общий вид моста с Востока.

ამ ხიდს ჩვეულებრივ „ვენეტიკის“ ან „გენუის“ ხიდს უწოდებენ, მაგრამ უვაროვამ ექვთა შვიტანა მის ასეთ სიახლეზედ და გამოსტყვა აზრი, რომ: „по изяществу кладки может принадлежать греческим мастерам“.¹

1936 წელს კი პროფ. გიორგი ჩუბინაშვილმა ხიდის თაღზედ შერჩენილ აღმშენებლის მიერ ასომთავრულ წარწერის ფრაგმენტის საშუალებით სრული სიცხადით დაამტკიცა, რომ ჩვენ საქმე საშუალო საუკუნეების ქართულ ნაგებობასთან გვქონია (იხ. სურ. 2).

ხიდი აგებულია ქვით, კირის დულაბზედ—ნახმარია აგურიც, რომელიც ხიდის თაღის გარე საპირე ქვებს შორისაა ჩატანებული. თაღის საპირე ნაწყო-

¹ П. С. Уварова. Матер. по арх. Кавказа. В. IV 1894 (გვ. 33).

ბია 1 მეტრის სიმაღლის და 30—35 სანტიმეტრის სიგანის ქვის ბლოკებისაგან, რომელთა შორის 9 სანტიმეტრის შრეებია დარჩენილი; ამ შრეებში 2 რიგად 3 სანტ. სისქის აგურია ჩაყოლებული (აგური სხვა ადგილას ნახმარი არსად არ ჩანს). ეს შრეები თალის საპირე ქვებს შორის სოლების კონსტრუქციულ როლს ასრულებს და ამავე დროს წარწერის ქვებს ერთიმეორიდან მხატვრული აღქმისათვის ამორებს.

ხიდის გული, რამდენადაც კი შესაძლებელი იყო მისი დანახვა, ნაწყობია დღეობით ქვის თხელი ნატეხი ფინებიდან.

ხიდის ხუროთმოძღვარს კარგად ჰქონია შესწავლილი ამ მდინარის თვისება და წყალდიდობის დროს კატასტროფის თავიდან ასაცილებლად, თალის სიმაღლე 8 მეტრით აუწევია წყლის დონიდან, ნაპირებიდან საკმარისად აწეულ ხიდის ზურგზედ გადასასვლელად კი დაქანებული სიბრტყეები—„ფანდუსები“ მოუწყვია (სურ. 3).


ჟამთა ვითარების განმავლობაში ხიდის ფანდუსები ხიდის მისასვლელეში დაზიანებულა და ახლა ის თანაბარ დაქანებულ სიბრტყეს აღარ წარმოადგენს. ხიდის სავალი ნაწილი სრულებით განადგურებულია, აღარ ჩანს ქვაფენილი, თალის კონსტრუქცია გაშიშვლებულია, საპირე წყობის მომეტებული ნაწილი ძალიან უსწორ-მასწოროდ ჩამომტვრეულია. ჩრდილოეთის მხარეს აღმშენებლის წარწერიდან მოყოლებული დაახლოებით $\frac{1}{3}$ -ლამა შერჩენილი, სამხრეთ მხარეს კი სულ დაზიანებულია. მარჯვენა ბურჯი (თუ ზურგით წყლის მიმართულების წინააღმდეგ დავდგებით) დაბლა საგრძნობლად იყო გამორეცხილი და წელს კი უკვე შეუკეთებიათ.

ხიდის თალი 2 წრიული მრუდითაა შემოწყრილი. ერთი მრუდი ძირითად ცენტრიდან იწერება და ხიდის თალის სამუშაო ნაწილს ეკუთვნის, —მეორე კი—პირველის ზევით ვერტიკალზედ მდებარე ცენტრიდან და ბურჯების პროფილს ეკუთვნის. ორივე მრუდი ერთი-მეორის გაგრძელებაა და მათი არსებობის გამორკვევა შეგაძლებინა მხოლოდ ზუსტმა გაზომვამ (იხ. ნახ. 1), რომელიც 1936 წელში რუსთაველის საიუბილეო კომიტეტის გამოფენის ისტორიული სექტორის დავალებით იყო შესრულებული.

ბურჯების ფასადისათვის ასეთი მრუდ-ხაზოვანი მიმართულების მიცემით ხიდის ოსტატმა ძალიან გონებამახვილი კონსტრუქცია იხმარა, სახელდობრ, მან ამით ხიდის თალის სამუშაო მალი დააპატარავა, რითაც თალის სისქე შეამცირა და ამავე დროს კი ხიდის ხვრელი წყლის უფრო მეტი რაოდენობის გასაშვებად გააღიდა.

როგორც გეგმაზედ ჩანს (იხ. ნახ. 2), ხიდის ორივე ბურჯი მდინარის ნაპირებ-საკენ განივრდება და ამგვარად დინების მიმართულებასთან ბლაგვ კუთხეს ჰქმნის, რაც, უფრო მეტად, წარწერის მხარესაკენ არის შესამჩნევი. ბლაგვი კუთხის შექმნით, ხიდის ამგებმა წყლის მიწოლის ძალა ბურჯებზედ ოსტატურად შეაუსტა.


მარცხენა ბურჯი უფრო მაღლა დგას, ვიდრე მარჯვენა, რადგანაც მდინარის ნაპირი ამ ადგილას მთლიანად კლდოვანია—მარჯვენა ნაპირზედ კი საიმედო ყამირი წყლის დონის დაბლად, სწორედ ამიტომ არის, რომ მარჯვენა ბურჯი წახნაგოვანია და მდინარის გამორეცხვის თავიდან ასაცილებლად, სუსტ ყამირში იჭრება.




სურ. 2. ხიდის თალის ნაწილი ასომთავრული წარწერით.
Рис. 2. Часть арки моста с надписью на отдельных камнях.



სურ. 3. ხიდის სავალი ნაწილი.
Рис. 3. Вид на в'езд моста.



ნახ. 1. ხიდის ფასადი.
Чер. 1. Фасад моста по обмеру.



ნახ. 2. გეგმა.
Чер. 2. План.

მარჯვენა ბურჯს მეორე მხრიდან 18 მეტრის სიგრძის კედელი მისდევს, რომელიც შიგ მდინარის ნაპირში იჭრება. ხიდის ამგებს ეს იმიტომ გაუკეთებია, რომ წყალი ხიდის ქვეშ გავლის შემდეგ დატრიალდება და ბურჯი უან-დან გამოირეცხებოდა (იხ. გეგმა ნახ. 2). — ეს კედელი ხიდზედ ასასვლელად დაყრილ მიწის „ფანდუსისათვის“ საყრდენი კედლის როლსაც ასრულებდა.

ხიდის სავალი ნაწილის სიგანე	4,70 მეტ.
მანძილი ბურჯებს შორის	13,20 "
საანგარიშო თალის მალი	11,74 "
ხიდის ზოგადი სიგრძე	35,00 "
ხიდის წყობის მოცულობა დაახ.	485 კბ. მეტ.

ხიდზედ თავისუფლად შეუძლია გაიაროს ურმების ერთმა რიგმა და იუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ დასავლეთ საქართველოში უფრო ვიწრო ურმებია, მაშინ შესაძლებელი იქნებოდა სიფრთხილით ურმების გაშვება 2 რიგადაც.

ხიდის ასაგებად ადგილის კარგად მოფიქრებული შერჩევა, ხიდისათვის შესაფერი კონსტრუქციის ზედმიწევნით მიგნება, თანაც სააღმშენებლო სამუშაოების მაღალხარისხოვანი ღირსება გვაფიქრებინებს, რომ აღმშენებელ ხუროთმოძღვარს, დიდი პრაქტიკული გამოცდილების გარდა, ხიდის მათემატიკური (გეომეტრიული) გამოანგარიშების ცოდნაც უნდა ჰქონოდა. ეს მოსაზრება გამართლდა თანამედროვე ხიდთამშენებლობის ტექნიკის თვალსაზრისით გაწეული ამ ხიდის სტატისტიკურად შემოწმების შედეგითაც. ხიდის გამოანგარიშება შესრულებულია გრაფიკული მეთოდით ორი შემთხვევისათვის:¹

I—საკუთარი სიძიმით დატვირთვის დროს.

II—საკუთარი სიძიმით და მარჯვენა მხარის თანაბარი დატვირთვის დროს.

საანგარიშო კონსტრუქციად აღებული იყო ძირითად ცენტრიდან შემოწერილი თალი, რომელიც იწყება იმ ქვიდან, სადაც ერთი გვერდი მთავარ ცენტრში მიმავალ რადიუსს მისდევს, მეორე კი—ბურჯის ცენტრში მიმავალს. მხედველობაში იყო მიღებული აგრეთვე ნახაზზედ წვრილი ხაზით აღნიშნული ფანდუსებიც (იხ. ნახ. 1).

ანგარიშის I შემთხვევის დროს წნევის მრუდე თანაბრად გადის ხიდის სისქის $\frac{1}{3}$ -ში და ღერძს თითქმის არც კი სცილდება.

მეორე შემთხვევისათვის, ე. ი. საკუთარი წონის და თანაბარი ასიმეტრიულ 1 tn/m^2 დატვირთვის დროსაც წნევის მრუდი სისქის $\frac{1}{3}$ -დან არ გამოდის.

ეს ამტკიცებს ხიდის თალის მაღალხარისხოვან ღირსებას ე. ი. თალის სისქის სწორე შერჩევას, საანგარიშო მალის მოფიქრებულად აღებას და აღებულ მალისათვის თალის მრუდის ზუსტად შერჩევას.

ამგვარად ეს ძველი ხიდი თანამედროვე ხიდთამშენებლობის კანონებსაც კი სრულიად აკმაყოფილებს და მ ტონიან მანქანებს მთელი შეუწყვეტელი რიგის სიძიმის ატანაც კი შეუძლია. ასეთი მძლავრი და ტექნიკურად მაღალხარისხოვანი ხიდის აგება დიდი სავაჭრო და პოლიტიკური მნიშვნელობის გზაზედ უნდა მდგარიყო, რაზედაც ჩვენ, სამწუხაროდ, სათანადო ცნობა არ მოგვეპოვებოდა, მაგრამ უდაოა, რომ ეს გზა აფხაზეთის მთის რაიონებს შავი ზღვის ნავთსადგურებთან აკავშირებდა.

¹ ხიდის გამოანგარიშება შესრულა ინჟ.-კონსტრ. მარსოვმა, იხ. დანართი.

Архитр. Л. Рцеулишвили
и Н. Чубинашвили:

Мост на реке
Веслетке:

XI-XII в.в.

(Подсчитательная
Записка.

Обмера)

В расстоянии около 5 кл. от гор. Сохуми на N—O между селениями Ниж. Бирцха и Беслетка, на реке Беслетка (или Бесла, по абхазски—„Чали-баш“) находится древний каменный мост; обычно именуемый „Венецианский“ или „Генуэзский“¹ но, как отметила П. С. Уварова, по изяществу кладки может принадлежать скорее греческим мастерам.

В 1936 г. проф. Г. Н. Чубинашвили доказал с полной очевидностью, благодаря сохранившемуся фрагменту строительной надписи, асомтаврული, что в этом сооружении мы имеем дело с грузинской постройкой средних веков.

Мост каменный, однопролетный, арочной конструкции, выложен в виде известкового буто-бетона из плитного известняка, грубого окола; облицован крупными каменными блоками, в среднем 1 мт. высоты и до 30-35 см. ширины, между которыми имеется прослойка в 2 ряда кирпича по 3 см. толщины, в толстом слое раствора. Прослойка из кирпича, кроме своего художественного значения, для восприятия надписи, выделяя собой каждую букву отдельно, играла также и конструктивную роль, создавая клинчатость между камнями облицовки.

С течением времени, оба устоя моста на которых покоится арка потеряли часть своей облицовки, и не имеют той ровной поверхности, которая служила для в'езда на мост. Часть облицовки свода, на которой была надпись, откололась на $\frac{2}{3}$ пролета, так что сохранившийся текст прочесть до конца не представляется возможным; задняя же сторона арки значительно повреждена.

Устой моста с изломами, в плане, врезаются в грунт берегов; в особенности правый, так как скала на которой он стоит находится под водой, и берег представляет из себя легко разрушающиеся отложения; строитель принимая во внимание особенности горной речки, ее частые и сильные наводки, укрепляет ее стеной на 18 мт в глубину, от размывов, а также и от водоворотов воды проходящей устой, и в тоже время использует для устройства под'ездного пандуса; этот устой был очень поврежден, но в 1936 г. его ремонтировали.

Левый устой расположен несколько выше чем правый, так как скала на которой он покоится выступает из воды, и дорога в общем имеет под'ем в гору. В устоях сохранились гнезда для устройства кружал при возведении моста, по три с каждой стороны. Строитель моста, зная хорошо режим реч. Беслетки, ее катастрофические наводки, дал мосту большую стену под'ема, 8 мт., и высоко расположил под'ездные пути, пандусы; это продуманное отношение к делу, подтверждается тем, что последнее наводнение в 1936 г.,

¹ П. С. Уварова. Материалы по археологии Кавказа, В. IV, 1894 г. (стр. 33)

осенью, заполнило весь проем моста оставив свободный проход лишь в 50-70 см. Как видно по плану моста, на черт. 2, строитель придал, со стороны строительной надписи, уширения в устоях моста, изломы, которые образуя с течением речки тупой угол, ослабляют напор и придают плавное скользящее движение воде.

Кривая моста, арка центральная, т. е. та часть кривой, которая в основном является несущей пролетной конструкцией, описана из основного центра, увеличивая проем моста для прохождения большего количества воды, а также и из эстетических соображений, основная кривая моста, вливается в кривые береговых устоев, описанные из центра, расположенного выше по вертикали, чем центр основной кривой, это удалось установить только при точном обмере натуре, по заданию исторической секции юбилейного комитета Шота Руставели.

Ширина моста	4,70 мт.
Пролет в чистоте	13,30 мт.
Расчетный пролет арки	11,74 мт.
Общая длина моста	35,00 мт.
Примерный объем кладки	485 мт. ³

Обращая внимание на продуманное расположение моста на местности, высокое мастерство строительного, художественного подхода и работы, самый выбор конструкции моста, можно придти к заключению, что мастер постройки имел большой практический опыт, и, может быть, располагал знанием геометрии для расчета мостов.

Соображения изложенные выше подтвердились расчетом произведенным под углом зрения современного состояния науки о мостостроениях.

При расчете была принята кривая описанная из основного центра, берущая свое начало от камня имеющего одну свою плоскость идущую по радиусу в основной центр, и другую идущую по радиусу в центр для кривой устоев; а также, как это указано на черт. 1 тонкой линией, было принято заполнение пазух свода.

Расчет моста произведен графическим методом, инж. В. Марсовым, для 2 случаев:

1. Загрузка от собственного веса моста; дала следующие результаты:

Кривая давления вполне плавно проходит в средней трети толщины свода, и почти совсем не отходит от оси его.

2. Загрузка от собственного веса и равномерно распределенная нагрузка 1 tn/mt^2 , эксцентрично расположенной относительно оси симметрии моста, т. е. наихудший вид загрузки; дали следующий результат: кривая давления нигде не выходит из пределов средней трети толщины свода.

Таким образом, этот старинный мост, отвечает всем требованиям современной науки о мостах,¹ и в состоянии пропустить непрерывный ряд, вереницу, груженых 8 тн. грузовиков.

Учитывая расположение моста, как соединительного звена горного района Абхазии с побережьем, понятно почему строитель придал ему столь мощные размеры.

Расчет моста подтвердил и доказал солидные знания строителя, как практические, так и теоретические, а также прекрасное качество арки, т. е. верно взятая толщина, правильно выбранный пролет арки, и точно установленная, для данного случая кривая свода.

¹ См. также подробно в пояснительной записке инж. В. Марсова к расчету моста.

ხიდის გაანგარიშების განმარტებითი ბარათი

(ინჟ.-კონსტრ. ვ. მარსოვი)

ხიდის თალი თანაბრად გადადის ნაპირების ბურჯებზედ ისე, რომ მკვეთრი საზღვარი თალის და ბურჯის მრუდს შორის არ ჩანს.

თალისა და ბურჯის საზღვრად ის ადგილი შეიძლება ჩაითვალოს, სადაც თალის სიმრუდე მკვეთრად იცვლება (ე. ი. ცენტრის გადაადგილება და რადიუსის სიდიდე).

მაშასადამე, ხიდის საანგარიშო სქემად შეიძლება მიღებული იქნეს თალი 11,75-მეტრიანი მალით და თალის დასაყრდნობად ბურჯების გამოშვებული ქუსლები (თითო ქუსლი გამოტანილია 0,85 მეტ.).

შერჩენილ ნიშნებით აღდგენილი ხიდის ზედა მოხაზულობა წნევის მრუდის აგების საშუალებას გვაძლევს.

წნევის მრუდს ვაგებთ ხიდის საკუთარი სიმძიმისა და მარჯვენა ნახევრის 1 მ/მ² დროებით დატვირთვის მიხედვით.

წნევის მრუდის ასაგებად 3-სახსრიან შემთხვევას ვვარაუდობთ (კლიტესა და ქუსლებში); ასეთი მიახლოება მცირე მალისათვის სავსებით დასაშვებია.

როგორც ნახაზიდან ჩანს, ხიდის საკუთარი სიმძიმის წნევის მრუდი გადის არა მარტო თალის შუა მესამედში, არამედ თითქმის არც კი სცილდება თალის ღერძს (იხ. ნახ. 3).

ეს იმის მაჩვენებელია, რომ ექსცენტრისიტეტის სიმცირის გამო საკუთარი ტვირთისაგან თალი ყველა კვეთში თანაბარ კუმშვაზე მუშაობს.

ნახევარი თალის დროებით დატვირთვისაგან, წნევის მრუდი აგრეთვე არ გადადის შუა მესამედიდან, მაგრამ უახლოვდება მის საზღვარს (ექსცენტრისიტეტი არის დაახლოებით 0,1 თალის სიმაღლისა).

მაშასადამე, ამ შემთხვევაში თალი ყველა კვეთში კუმშვაზე მუშაობს, ამასთანავე ჭინვა დაახლოებით 50%-ით ერთ მხარეს მეტია.

ჭინვა აღწევს უდიდეს სიდიდეს მე-III—IV კვეთის სოლებს შორის; ჭინვის სიდიდე იქნება (თანახმად ТУ и Н 1937 წ.) პირველ შემთხვევაში

$$\sigma = \frac{21000}{100 \times 100} \left(1 + \frac{0,1 \times h \times 6}{h \times 1,2} \right) = 3,15 \text{ kg/cm}^2,$$

მეორე შემთხვევაში კი

$$\sigma = \frac{34000}{100 \times 100} = 3,4 \text{ kg/cm}^2$$

(მინიმალურ ჭინვებს არ ვანგარიშობთ, რადგან დადებითი არიან).

ამ ხიდის წყობისათვის, კირნარის ფენებისაგან (R არა უმცირეს 350 kg/cm²), კირის ხსნარზე დაწყობილი დროებითი ქინვა იქნება 4 kg/cm² (ТУ и Н 1937 წ.), ამასთანავე თანამედროვე დუღაბის ხარისხი უფრო დაბალია, ვიდრე ამ ხიდში.

დატვირთვა ასეთ მალისათვის დაახლოებით ავტოგზების კლასის დატვირთვას უდრის, თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ წნევის მრუდი არ უახლოვდება შუა მესამედის ნაპირს, იმასაც, რომ თალის წყობაზედ მიღებული ქინვა დასაშვებ ქინვაზედ მცირეა, და აგრეთვე ისიც, რომ ხიდზედ მხოლოდ ერთი რიგი 2,7 სიგანის მანქანების გაშვება შეიძლება, ამიტომ ხიდზედ H_8 კლასის 8-ტონიან მანქანების შეუწყვეტელი რიგის გატარებაა შესაძლებელი.


ეს დატვირთვა Γ_1 — Γ_4 გაბარიტს და 1—4 გზების კლასს ეკუთვნის.

ურმებით დატვირთვის დროს კი ეკვივალენტური დატვირთვა მცირე იქნება და სათანადოდ თალის ქინვებიც ნაკლები.

მეორე კრიტერიუმი ხიდის ტვირთამტანობის შესამოწმებლად, ბურჯები და ნიადაგის ქინვები არის, მაგრამ, რადგანაც ბურჯები დიდი ზომისაა (ფანდუსის მოწყობის წყალობით) და ნიადაგი კლდოვანია, ამიტომ ეს ხიდი უფრო მეტ დატვირთვის დროსაც არავითარ საფრთხეს არ წარმოადგენს.

ხიდი სიგანით უფრო მეტად Γ_6 გაბარიტს უბასუხებს, მაგრამ, როგორც ზემოთ აღნიშნული იყო თავის ტვირთამტანობით ამ გაბარიტს ძალიან აკარბებს.

საფურცელი: სიმაღლის გრაფიკა



საფურცელი: სიმაღლის გრაფიკა
1000 მ.
ინჟინერი: ვ. მარშა

ხაზ. 3. ხიდის გრაფიკული გამოკვლა.
Черт. 3. Графический расчет моста инж. В. Марсова.

ГРАФИЧЕСКИЙ РАСЧЕТ МОСТА

инж.-констр. В. Марсова

Свод венецианского моста имеет внутреннюю кривую, очерченную из нескольких центров. Ближе к опорам радиусы кривизны уменьшаются и свод плавно переходит в береговые устои.

Границей между сводом и устоями можно считать место сопряжения двух кривых с разными радиусами кривизны.

При этом пролет свода моста будет равен 11,75 м, устои же моста будут иметь выносные пяты вылетом 0,85 м.

Восстановив по сохранившимся данным верхнюю линию моста мы строим кривую давления от собственного веса свода и надсводного строения.

Кривую строим в предположении наличия трех шарниров (в ключе и пятах), т. е. как для трехшарнирной арки, что при малом пролете является приближением вполне допустимым.

От временной нагрузки интенсивностью в 1 тн/м^2 так-же строим кривую давления, причем загружаем только одну половину моста.

Как видно из чертежа, кривая давления от собственного веса не только проходит в средней трети свода, но даже мало отходит от его оси. Это доказывает, что от собственного веса свод работает во всех сечениях почти на равномерное сжатие, т. к. эксцентриситет весьма мал.

При нагрузке на половине свода интенсивностью в 1 тн/м^2 кривая давления не выходит из средней трети, но приближается к ее грани (эксцентриситет примерно около 0,1, где h — толщина свода).

Следовательно и в данном случае свод работает во всех сечениях на сжатие, причем у одной грани напряжение от сжатия больше, чем у другой.

Напряжение в своде достигает наибольшей величины между камнями III и IV или-же в пяте свода при односторонней загрузке.

Величины напряжений, определяемые согласно проекту „Технических условий и норм на проектирование каменных конструкций“ 1937 года, будет: между камнями III и IV

$$\sigma = \frac{21000}{100 \times 100} \left(1 + \frac{0,1 \times h \times 6}{h \times 1,2} \right) = 3,15 \text{ кг/см}^2.$$

В пяте свода

$$\sigma = \frac{34000}{100 \times 100} = 3,4 \text{ кг/см}^2.$$

Минимальные напряжения мы не определяем потому, что они так-же положительны.

Кладка мостового свода — из равного постелистого камня на известковом растворе допускает нап яжение в $4,0 \text{ кг/см}^2$, при временном сопротивлении камня не менее 350 кг/см^2 (согласно проекта Т. У. и Н. 1937 г.).

Так как камень в своде прочнее обусловленного нормами, а известковый раствор по качеству выше принимаемого в нормах, то данная кладка может безопасно выдержать более четырех килограммов на квадратный сантиметр.

Принятая нагрузка в 1 т/м^2 при данном пролете моста эквивалентна сплошной загрузке шеститонными автомобилями (по нормам нагрузка H_6 для автогужевых дорог).

Учитывая-же, что кривая давления не подошла к грани средней трети, напряжение в своде меньше допускаемых в данном случае на кладку и что при данной ширине моста нахождение на нем более одного ряда автомашин невозможно, — можно считать, что мост безопасно выдержит сплошную вереницу восьмитонных автомашин (класс H_8). Это соответствует прочности мостов на дорогах 1 — 4 классов.

Сплошная загрузка моста арбами эквивалентна значительно меньшей равномерной нагрузке, чем принятая в расчете. Напряжения в своде будут соответственно меньше.

Вторым критерием несущей способности моста являются устой или-же напряжение в грунте под ними. В данном случае наличие прочной скалы и большие размеры устоев (вызванные необходимостью создания под'ездов к мосту) вполне обеспечивают прочность моста при больших нагрузках.

По ширине мост соответствует габариту Γ_6 , но по допускаемой нагрузке он значительно выше требований, пред'являемых к мостам этого габарита.

თ ჯ მ მ მ მ მ მ მ

მ მ მ მ
: მ მ მ მ
მ მ მ მ მ მ მ
მ მ მ მ მ მ მ
: :
: :
: :
: :
: :
: :

ალაზანს გაღმა, ნაპოენი არაბ. დირჰემების განძი 200 ცალამდე. განძი ჯერჯერობით შეუსწავლელია, მაგრამ წინასწარი გადათვლიერებით ამავე VIII—IX-ს-ებებს უნდა ეკუთვნოდეს. დაცულია თელავის მუზეუმში. ამგვარივე ფაქტების დასახელება კიდევ შეიძლებოდა¹, მაგრამ, ვფიქრობ, ნათქვამიც საკმარისია იმის დასამტკიცებლად, რომ VIII, IX და X ს-ის პირველ ნახევარში არაბული ფული ისეთი რაოდენობით შემოდის ჩვენში, რომელიც, ალბათ, სავსებით აკმაყოფილებდა ადგილობრივ მოთხოვნილებას. არაბული დირჰემის ტიპს, ამგვარად, ქართველები კარგად იცნობდნენ და შეჩვეული იყვნენ. ჭმიტომ ბუნებრივია, როდესაც ბაგრატ III-ის წინაშე დაისვა ფულის მოჭრის საკითხი, რომ ტიპის შერჩევისათვის ბევრი ძიება არ დასჭირებიათ.

არაბთა სახალიფოსი და ადგილობრივი არაბ. დინასტიის, ჯაფარიანების, დასუსტებამ, ერთი მხრით, და საქართველოს პოლიტ. გაერთიანება-გამაგრებამ, მეორე მხრით, შეჰქმნეს პირობები—ქართული ფულის მოჭრა სისტემურად და უწყვეტლევ წარმოებულყო. ასეთი პერიოდი ქართ. ფულის ისტორიაში დაიწყო ბაგრატ IV-ის დროიდან (1027—1072 წ.).

ამ ხანისათვის არაბთა გავლენის სფერო მეტად შევიწროვდა: განისაზღვრათბილისით და მისი მიდამოებით. მართალია, თბილისის ამირა ჯერ ისევ წარმოადგენდა ერთგვარ ძალას—ბაგრატმა 1037—1040 წლების განმავლობაში უნაყოფოდ სცადა თბილისის აღება²—, მაგრამ საერთოდ მისი მდგომარეობა იმდენად უპერსპექტივოა, რომ ამავე ბაგრატის დროს რამდენჯერმე ისმის საკითხი მისი ისტორიის ასპარეზიდან ჩამოშორების შესახებ. ამ ხაზის ფაქტებია: ლიპარიტის მიერ ამირას შეპყრობა 1032 წ.³; ბაგრატის მიერაც თბილისის ორგზის დაუფლება⁴.

ამავე დროს თანდათან იზრდება ბიზანტიის მადა საქართველოს მიმართ. წინა პერიოდშიც ბიზანტია გარეშე მაყურებელი არ იყო იმ მნიშვნელოვანი პროცესებისა, რომლებიც ამ დროს ხდებოდა საქართველოში,—იგი აქტიურ მხარედ გვევლინება იმ გააფთრებული ბრძოლის დროს, რომლის შედეგადაც საქართველოს უდიდესი ნაწილი გაერთიანდა და მომაგრდა. მართალია, ბიზანტია ძარულებითაც არ მიისწრაფოდა ამ მიზნისაკენ; პირიქით, ყოველი ღონისძიებით აბრკოლებდა იმ ძალებს, რომლებსაც შესწევდა სასიცოცხლო უნარი, მაგრამ მისი როლი ამ ხანაში აქტიური იყო და უცილობლად ანგარიშგასაწევი. ბიზანტიის ასეთი უპირატესი მდგომარეობა ყველაზე მეტად თავს იჩენს გიორგი I-ის (1014—1027 წ.) და მეტადრე ბაგრატ IV-ის მეფობაში. ცნობილია ბიზანტიის პოლიტიკა ბაგრატ IV-ისა და მსხვილი ფეოდალების ბრძოლის დროს, ბიზანტიელების მიერ ლიპარიტისათვის დახმარების აღმოჩენა, ბაგრატის საწინააღმდეგოდ მისი ნახევარ ძმის დემეტრე უფლისწულის წამოყენება და სხვა. კულტურის სფეროშიაც ბიზანტიის როლი დიდადაა გაზრდილი: ათონის ივერ-

¹ ამის შესახებ იხ. Е. Пахомов, Монеты.клады Азербайджана. Труды общ. об-следования и изучения Азербайджана, вып. 3 Бако, 1926. №№ 73, 75, 76, 77, 81, 86, 87.

² ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია. წ. II, გვ. 433—434.

³ ივ. ჯავახიშვილი, op cit, გვ. 437-438, 442.

⁴ აქვე. გვ. 443.

თა მონასტერი განათლების ერთ-ერთი მძლავრი ცენტრია. ამდროინდელი ბიზანტიური ფულის—ოქროსი და სპილენძის—სიმრავლე საქართველოში, ფულის ბიზანტიური ტერმინები, შენახული წერილობით ძეგლებში, ნათელყოფს იმ ფაქტს, რომ სავაჭრო ურთიერთობაც ბიზანტიასთან ამ დროს მძლავრად განვითარებულა. ქართველი მიფეების მიერ ძიება ბიზანტიური საკარისკაცო ტიტულებისა, — კურაპალატი, ნოველისიმოსი, სევასტოსი, კესაროსი — ამავე ხასიათის მოვლენაა. ბიზანტიის გავლენა საგრძნობი ხდება მეფის ოჯახშიაც: ბაგრატ IV-ის პირველი ცოლი ბიზანტიელი უფლისწულია.

ასეთ გარემოცვაში, ბუნებრივია, სათანადო გავლენა უნდა დასტყობოდა ისეთ მგრძნობიარე და ელასტიურობის მქონე ფაქტსაც, როგორცაა მონეტა. და მართლაც, ბაგრატ IV-ის მონეტა, რომელიც დროის მანძილის მხრივ დაშორებული იყო ბაგრატ III-ისას სულ რაღაც ოცდახუთიოდ წლით, წარმოადგენს სრულიად ახალ ტიპს, რომელსაც უცილობლად კავშირი აქვს იმდროინდელი ბიზანტიური მონეტების ტიპთან. ბაგრატ IV-ის მონეტის ავერსი აღებულია კონსტანტინე IX მონომახის (1042—1055 წ.) სპილენძის ფულიდან. აქ, სახელდობრ, მოცემულია ვლახერნის ლეთისმშობლის გამოსახულება¹:

ბაგრატ IV-ის მონეტები ვერცხლისაა, იწონის ერთ გრამზე ცოტა მეტს.

Av. ვლახერნის ლეთისმშობლის გამოსახულება ბერძნ. წარწერით: **ΗΑΓΙΑ ΘΕΟΤΟΚΟΣ** ე. ი. „წმ. ღვთისმშობელი“.

Rv. ასომთავრულით:

ქი სუი ვღე სქეხიჯ კჳი ზც ნიჟუხსუსჟი ე. ი. „ქრისტე,

ადიდე ბაგრატ აფხაზთა მეფე და ნოველისიმოსი“.

უკანასკნელი ტერმინის ნაცვლად სხვა ცალებზე მოცემულია **სიუხსღესი** ე. ი. „სევასტოსი“. ტაბ. n 1.

ამავე ტიპისა და წონისაა საერთოდ გიორგი II-ის (1072—1089 წ.) მონეტებიც.

Av. ლეთისმშობლის იგივე გამოსახულება, იმავე ბერძნული წარწერით. ზოგ ცალებზე ბერძნული წარწერა წარმოდგენილია შემდეგი სახით:

ΜΡ ΘΥ ΗΒΑΧΕΡΝΙΤΙΚΑ ე. ი. „დედა ღვთისა ვლახერნისა“.

Rv. ასომთავრულით: **ქი სუი ჟი სქეხიჯ ზც ქაიჟიხიჯ კჳი ზუ**

ქსი ე. ი. „ქრისტე, ადიდე გიორგი აფხაზთა და ქარ-

თველთა მეფე და ნოველისიმოსი“.

უკანასკნელი ტიტულის ნაცვლად სხვა ცალებზეა „სევასტოსი“ ან „კესაროსი“. ტაბ. n. 2.

დავით აღმაშენებლის (1089—1125 წ.) მონეტები საერთოდ ამავე ტიპისაა. ამ ჟამად ცნობილია სულ 4 ცალი, რომელთაგან 3 საქ. მუზეუმშია დაცული: წონა 0,80 gr.; 0,55 gr.; 0,49 gr. საქ. მუზ-ის ცალები გაცვეთილია, ამიტომ ზედწერილების მთლიანად ამოკითხვა შეუძლებელი ხდება.

Av. ლეთისმშობლის გამოსახულება წარწერით: **ΜΡ ΘΥ** ე. ი. დედა ღვთისა“.

¹ Wroth W. Catalogue of the imperial byzantine coins in the British Museum. ტ. II, ლონდონი, 1908. Pl. LIX n 7, 8.

Rv. 41 ረዕዮ ህፁ ቅዋህ ህር... ე. ი. „ქრისტე, აღიდე და ვით მეფე და...“ ცენტრში ჯვარი.

ოთხივე ცალი დავითის მონეტების ცუდი შენახულობის გამო არ იძლევა შესაძლებლობას გარემოწერილის ბოლო ამოკითხულ იქნეს. ტაბ. n. 3.

დიმიტრი I-ის მეფობიდან (1125—1156 წ.) ქართული ფულის ისტორიაში მნიშვნელოვანი ცვლილება ხდება. უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ამ დროიდან წყდება ვერცხლის ფულის მოჭრა მთელს წიხა აზიაში და კერძოდ საქართველოშიაც. ამ მოვლენის მიზეზები ჯერაც საკმაოდ არ არის შესწავლილი, თვით ფაქტი კი შემჩნეულია საკმაოდ დიდ ფართობზე. XII ს.-ის დასაწყისიდან XIII-ის ოცდაათიან წლებამდე ვერცხლის მონეტა აღარ იჭრება საქართველოშიც. ამ ლითონის ადგილს იკავებს სპილენძი. ამავე დროიდან მონეტა ჰკარგავს კანონზომიერ ფორმას (სიმრგვლეს); სამონეტო ბეჭდის დარტყმა მონეტის ღირსებას ანიჭებს შემთხვევითი წონის და ფორმის ან, უფრო სწორედ რომ ითქვას, სპილენძის უფორმო ნაჭრებს, რის გამო ხშირად ერთს ნაჭერზე, მისი სიმცირის გამო, ბეჭდის მთელი ანაბეჭდი არ გამოდის ან, არადა, მისი სიდიდის გამო, ზედ თავსდება ორი-სამი ანაბეჭდიც. ამ მოვლენასაც ადგილი აქვს არა მარტო ქართ. ნუმიზმატიკაში: იგი თავს იჩენს ამავე ხანებში სხვა მეზობელ ქვეყნებშიაც (მაგ. შირვანში, აზერბაიჯანში და სხ.).

დიმიტრი I-ის დროიდან იცვლება ქართული მონეტის ტიპიც. თუ ბაგრატ IV-იდან მოყოლებული აქამდისინ მას ბიზანტიურ მონეტებთან ჰქონდა მსგავსება, ახლა გარკვეულად აღმოსავლეთისაკენ უბრუნებია პირი. მონეტაზე ჩნდება აღმოსავლური ხასიათის ორნამენტი და არაბული წარწერები. ეს მოვლენა უთუოდ სათანადო ანარეკლია დიმიტრი I-ის დროის საქართველოს სოც.-პოლიტიკური ვითარებისა. მართალია, ამ დროის შესახებ ჩვენამდე ნაკლებადაა ცნობები მოღწეული, მაგრამ რაც მოსულა, იქიდანაც ცხადი ხდება, რომ დიმიტრი I-ს თავისი თითქმის ოცდაათწლიანი მეფობის განმავლობაში ნაკლები ურთიერთობა ჰქონია დასავლეთთან, სახელდობრ, ბიზანტიასთან, და მთელი მისი ყურადღება და ინტერესები მიმართული ყოფილა მის აღმოსავლეთის და სამხრეთის მახლობელ მეზობლებსაკენ. ამ ხაზის ფაქტებიდან უნდა აღინიშნოს: დიმიტრის მიერ დმანისის აღება 1125 წ.; ბრძოლა შაჰარშენ სუქმან II-თან 1030 წ.; ბრძოლა ანისისათვის; ლაშქრობა განძაში 1138—39 წ. და სხ.¹

დიმიტრი I-ის მონეტები ჯერჯერობით სავსებით არაა შესწავლილი. ამას თუ დაუმატებთ იმ გარემოებასაც, რომ დიმიტრის დროინდელი საქართველოს შესახებაც ჩვენამდე ნაკლებ ცნობებს მოუღწევიათ, უნდა აღვნიშნოთ, რომ სურათი ამდროინდელი ქართული მონეტის ვითარებისა მთლად ნათლად ვერ წარმოგვიდგება.

მონეტის ავერსზე ასომთავრული ህ ე. ი. „დიმიტრი“; არაბულად كوسمك ي. ი. „მეფეთა მეფე“, და حسان المسك ي. ი. „მესიის მახვილი“. რვერსზე მოხსენებულია ხალიფა ალ-მუჰკაფი (1136—1160 წ.) და ერაყის სულტანი მაჰმუდ ძე მუჰაჰედისა (1118—1131 წ.) ან მასყული (1133—

¹ იჭ. ჯავახიშვილი, op. cit. გვ. 544, 545, 548, 549.

1152 წ.). ამგვარად ერთსა და იმავე დროს მონეტა მიგვითითებს იმაზე, რომ დიმიტრი I დამოუკიდებელი მფლობელია, მეფეთა მეფე, ამავე დროს აქტიურად განწყობილი ქრისტეს სარწმუნოების დასაცავად—„მესიის მახვილი“. მაგრამ მუსულმანური სარწმუნოების მეთაურის ხალიფასი და ერაყის სულტნების სახელების მოხსენება ზოგის აზრით იწვევს ეჭვს იმის შესახებ, ხომ არ იყო დიმიტრი დამოკიდებულ მდგომარეობაში. საკითხის სავსებით გარკვევა-გაშუქება შესაძლებელი იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც საბოლოოდ დადგინდება დიმიტრის ფულის წარწერების შინაარსი, ან იმ მცირე ცნობებს, რომლებიც ამ უამად მოგვეპოვება მოხსენებული ხანის შესახებ, შეემატება რამე ახალი საისტორიო წყაროებიდან. ტაბ. n. 4, 5.

დიმიტრის ძის გიორგი III-ის (1156—1184 წ.) მონეტები ორგვარია: ზოგი, დიმიტრი I-ის მონეტების, მსგავსად წარმოადგენენ შემთხვევითი წონის სიქა-ნაკრავ სპილენძის ნაჭრებს, სხვები კი გარკვეული ფორმის და წონის წესიერ მონეტებს. დაახლ. 1160 წლამდე გამოშვებული მონეტები, არაწესიერი ჭედისა, ატარებენ ხალიფა ალ-მუჰთაჟის სახელს (1130—1160 წ.), მაგრამ ამავე დროს გიორგი III მოხსენებულია „მეფეთა მეფედ“—*ملك الملوك* და „მესიის მახვილად“—*حسام المسيح*. დიმიტრი I-ის მონეტებზედაც გვაქვს ამისთანა მოვლენა, მაგრამ იქ, ხალიფას გარდა იხსენიებოდა ერაყის სულტანიც ე. ი. რეალური ძალაუფლებით აღჭურვილი პირი, აქ კი მხოლოდ ხალიფა, რომელიც ამ დროს თითქმის ყოველივე პოლიტიკურ მნიშვნელობას მოკლებული იყო და მხოლოდ სარწმუნოების მეთაურად ითვლებოდა. ამისდა მიხედვით, შესაძლებელია გიორგი III-ის მონეტების ერთ წყებაზე მისი სახელის მოხსენება აიხსნას ან უშინაარსო ტრადიციით ან, იქნებ, მომჭრელის სურვილით, რომ მისი ფული მეზობელ მუსულმანურ სახელმწიფოებში გავრცელებულიყო.

მონეტების მეორე წყება თავის წარწერებში ამჟღავნებს გიორგი III-ის სრულს პოლიტიკურ დამოუკიდებლობას. ტიპით მონეტების ეს ჯგუფი სავსებით განსხვავდება პირველისაგან.


მონეტები არა-წესიერი ჭედისა:

Av. ხვეული წნულის ვარდულში *Г. ე. ი. „გიორგი“*. გარშემო ვარდულის ბუდეებში *ملك الملوك كيووركى حسام المسيح*. ე. ი. „მეფეთა მეფე გიორგი, მესიის მახვილი“.

Rv. ხვეულებში *ع. ი. „ალ-მუჰთაჟი-ლი-ამრ ალლაჰ, მართლმორწმუნეთა მბრძანებელი“*.

წესიერი ჭედის მონეტა:

Av. გიორგი III-ის გამოსახულება en face. მეფე ზის მოკეცილი, სამეფო სამოსელში გამოწყობილი, გვირგვინით თავზე. მარჯვენა (ან მარცხენა) ხელი დოინჯ-შემოყრილი, მარცხენა (ან მარჯვენა) ხელი გაწვდილი აქვს და ზედ უზის შავარდენი. გარშემო წარწერა მხედრულით და ასომთავრულით: *გი III ე. ი. „გიორგი“* და ქორონიკონის აღმნიშვნელი ასოები: *ⲬⲰⲔ ⲈⲰⲨ* ე. ი. „ქორონიკონსა 394“ (= 1174 წ.).





9




10



11



11



12



13



14



15


Rv. არაბულად:

الملکة المعظمة	ე. ი. დედოფალი დიდებული,
جلال الدنيا والدين	შვენება ქვეყნისა და სარწმუნოებისა,
تامار بنت کيوركی	თამარ, ასული გიორგისა,
ظهیر المسيح	მესიის თაყვანისმცემელი.
اعز الله انصاره	განადიდოს ღმერთმან ძლევანი მისნი.

გარშემო: ضاعف الله جلالا و مد ظلالا و ايد اقبالا ე. ი. „განადიდოს ღმერთმან დიდება მისი, განაგრძოს ჩრდილი მისი და განამტკიცოს კეთილდღეობა მისი“. ამგვარივე სახის სხვა ცალეებზე არის ქორონიკონი 430 (=1210 წ.). ტაბ. n. 9

წესიერი ჰედის მომენტები თამარისა სულ სხვა სახისაა:

Av.



ე. ი. „ქორონიკონსა 420. (=1200 წ.) თამარ დავით“

Rv. არაბულად:

ملكة الملكات	ე. ი. დედოფალი დედოფალთა,
جلال الدنيا والدين	შვენება ქვეყნისა და სარწმუნოებისა,
تامار ابنة کيوركی	თამარ, ასული გიორგისა,
ظهیر المسيح	მესიის თაყვანისმცემელი.

წონა 6-8 gr.

ამავე ტიპის მონეტების სხვა ცალეებზე არ არის ქორონიკონის აღმნიშვნელი ასოები. რვეერსზე უქორონიკონო მონეტების ზოგ ცალეებზე არაბული წარწერა სხვანაირადაა განაწილებული: მეორე სტრიქონის უკანასკნელი სიტყვის الدين ორი უკანასკნელი ასო ين გადატანილია მესამე სტრიქონზე, აგრეთვე ამ სტრიქონის უკანასკნელი სიტყვის كيوركى-ს ორი უკანასკნელი ასო كى გადატანილია მეოთხეზე ¹. (ტაბ. n. 10. 11).

ლაშა გიორგის (1213—1223 წ.) დროსაც ამავე ორი ტიპის მონეტები იჭრება.

არაწესიერი ჰედის ყველაზე გავრცელებული და მრავალრიცხოვანია შემდეგი სახე:

Av. წნული ორნამენტის გვირგვინის ცენტრში ასომთავრული: ლქ ოქ
 ოქოქსქ ე. ი. „გიორგი ძე თამარისი“. გარშემო: ლქქსქსქ ოქქ
 ოქქ ოქქ ოქქ ოქქ ოქქ ოქქ ე. ი. „ქსახელითა ღვთისაითა იქნა ჰედა ვეცხლისა ამის ქორონიკონსა 430“ (=1210 წ.).

¹ თ. ლომოური — თამარის ფულების განძი, გვ. 284, ცალკე ამონაბეჭდი.

Rv. არაბულად:

الملك الملوك	ე. ი. მეფე მეფეთა,
جلال الدنيا والدين	შვენება ქვეყნისა და სარწმუნოებისა,
كيور كى بن تاما	გიორგი, ძე თამარისა,
حسام المسيح	მესიის მახვილი.

გარშემო სპარსულად: بنام خداى پاك اين سيمى را زده اند بتاريخ چهار صد و سى سال

ე. ი. „სახელითა უწმიდესის ღვთისა იქედა ესე ვეცხლი წელსა 430“. ტაბ. n. 12.

მეორე გავრცელებული მონეტა ლაშა გიორგისა წესიერი ჭედისაა, წონით 4=51/2 gr.

Av. ასომთავრულით:

+ ლ I ო ფ ს I ო ო ო ო ო ო ო ო ო ო ე. ი. „+გიორგი მეფისი, თამარის ძისაისა, ჯაგახთ უფლისა“.

Rv. الملك المعظم	ე. ი. მეფე უმაღლესი,
جلال الدنيا والدين	შვენება ქვეყნისა და სარწმუნოებისა,
كور كى بن تاما	გიორგი, ძე თამარისა,
حسام لمسيح	მესიის მახვილი. ტაბ. n. 13

რუსუდანის დროს ქართული ფულის ისტორიას კვლავ მნიშვნელოვანი ცვლილებები ემჩნევა: ისობა დაახლ. 1227 წ. არაწესიერი მონეტების მოჭრა და ჩნდება 1230 წლიდან ვერცხლის ფული. ორივე ამ ფაქტს კავშირი აქვს ანალოგიურ მოვლენებთან მეზობელ ქვეყნებში.

რუსუდანის სპილენძის მონეტა.

Av. გადახლართული ხაზების ორნამენტის ცენტრში:


ტხნ ე. ი. „რუსუდან“.

ორნამენტის ბუდეებში: +ჟნ ჟზზ ე. ი. „ქორონიკონსა 447“ (=1227 წ.).



Rv. არაბულად:

الملكة الملوك و الملكات	ე. ი. დედოფალი მეფეთა და დედოფალთა,
جلال الدنيا والدولة والدين	შვენება ქვეყნისა, სამეფოსი და სარწმუნოებისა,
روسدان بنت تاما ز ظهير المسيح	რუსუდან, ას. თამარისა, მესიის თაყვანისმცემელი.
اغز الله انصارا	განადიდოს ღმერთმან ძლევანი მისნი. ტაბ. n. 14


რუსუდანის ამ სახის მონეტები აუარებელია ჩვენამდე მოღწეული. საქართველოსა და ამ-კავკასიის სხვადასხვა ადგილში იპოვება განძები, რომლებიც შეიცავენ ამ მონეტას ასეული ცალეით. მონეტას გასაყალი ჰქონია მარტო ამ-კავკასიაში კი არა, ჩრდ. კავკასიაშიც: ყუბანზე 1848 წ. აღმოჩენილა 500-მდე ცალი ამ მონეტისა. უნდა აღვნიშნოთ, რომ ცალკე ეგზემპლარების წონა ხში-






16




17




18



19



20



21



22



23



რად მეზისმეტად დაშორებულია ერთიმეორეს. ე. პ ა ხ ო მ ო ვ ს მოცემული აქვს დაახლოებით წონად 2,65 გრ¹. საქ. მუზეუმის კოლექციების ცალეები ჩვეულებრივ იწონიან 3—5 გრამს, მაგრამ არის ცალეები 12 და 13 გრამიანიც. ასეთი დიდი განსხვავება ცალეების წონისა წესიერი ჭედის მონეტებისათვის არ არის ნორმალური. შესაძლებელია აქ ჩვენ საქმე გვქონდეს ან სხვადასხვა ღირებულების მონეტებთან ან, რაც უფრო საფიქრებელია, არაწესიერი ჭედის, ასე ვთქვათ, გარდანაშთან.

რუსუდანის ვერცხლის მონეტები იჭრება 1230 წლიდან. ამ მონეტაში ერთგვარი სინთეზია მოცემული ბიზანტიური და აღმოსავლური სტილისა.

Av. ქრისტეს გამოსახულება სახარებით ხელში. თავის მარჯვნივ და მარცხნივ ბერძნულად: IC XC. გარშემო ასომთავრულით: **ს X P Y H I O C H I O N C O C T Y H I T I** ე. ი. „სახელითა ღვთისაითა იქცედა ქორონიკონსა 450“ (=1230 წ.).

Rv. ცენტრში **ХСН** ე. ი. „რუსუდან“. გარშემო ორნამენტი, რომლის გარეთ არაბულად: **جلافة الملكة المسكات** **بن تاسار ظهير المسيح** **راسودان** **بن تاسار** **ظهير المسيح** ე. ი. „დედოფალი დედოფალთა, შვეენება ქვეყნისა და სარწმუნოებისა, რუსუდან, ასული თამარისა, მესიის თაყვანისმცემელი“. ტაბ. n. 15.

ვერცხლის მონეტების წონა 2¹/₂ გრამზე მეტია. არსებობდა აგრეთვე ამ წონის ნახევრიანი მონეტაც. რუსუდანის ვერცხლის მონეტები თავისი წონით უდგება ამავე დროს არსებული ვერცხლის ფულების წონას, მაგ. რუმის სელჩუკიდებისას, და ამ მხრივ მათთან ერთს სისტემას ეკუთვნის².

მონღოლების გაბატონებამ აღმოსავლეთ საქართველოში არ მოსპო ქართული ფულის მოჭრა. ის კი უნდა ითქვას, რომ რუსუდანის შემდგომი ხანის ჩვენთვის საინტერესო პერიოდის ე. ი. XIII ს-ის მეორე ნახევრის ქართ. ფულის განძები მრავალრიცხოვანი შემადგენლობისა აღარ გვხვდება. ამ მხრივ უფრო მნიშვნელოვან სურათს იძლევა ჯერჯერობით დმანისი, რომლის გათხრისას ნაპოვნი დავით ნარინის მონეტები მთლად უმნიშვნელო რაოდენობის არ არის: აქნობამდე აღრიცხულია 32 მონეტა.


რუსუდანის შემდგომი ხანისათვის შევჩერდებით დავით ნარინის (1247—1293 წ.) და დავით ულუს (1247—1269 წ.) მონეტებზე და ამით გავათავებთ XI—XIII ს-ის ქართ. ფულის ამ მცირე მიმოხილვას: დიმიტრი II-ის და ვახტანგ III-ის ხანა რუსთაველის ეპოქას უკვე ვეღარ მიეკუთვნება—მონღოლების მძლავრება ამ დროისათვის იმდენად გაღრმავდა, რომ ჩვენი ქვეყნის სოც.-ეკონომიურმა, პოლიტიკურმა და კულტურულმა სახეობამ საგრძნობლად შეიცვალა იერი.

დავით ნარინის და დავით ულუს დროს იჭრება ორივე ლითონის ფული. სპილენძი რიცხოვობრივ სჭარბობს ვერცხლს.

¹ Е. Пахомов—op. cit. გვ. 116.

² Е. Пахомов—op. cit. გვ. 122.


დავით ნარინის ფული, სპილენძისა, წონა 3—6 gr.

Av.  ე. ი. ქვეყნის მპყრობელის

شاه  بنده ყაენის [დავით] მონა,

جهان داود  დავით მეფე.
ქორონიკონი 46(5)



Rv. شهر  ე. ი. ქალაქი
დმანისი.

عمرها الله  ხანგრძლივი ჰყოს იგი ღმერთმა
642





მონეტის თარიღი ქორონიკონით და ჰიჯრით ერთნაირად იძლევა 1245 წ. ჩვენს მონეტაზე ქორონიკონის უკანასკნელი ნიშანი აშკარად არ ჩანს, მაგრამ ე. პახომოვის დამოწმებით ეს ნიშანია 7, რაც წინა ასოციფრებთან ერთად უდრის 465 ანუ ჩვენი წელთაღრიცხვით 1245 წ.. ჰიჯრის 642 წელიც ჩვენს წელთაღრიცხვაზე გადაყვანით მოგვცემს 1245/6 წელს.

ამავე ტიპის სხვა ცალეებზე ქართ. ქორონიკონის აღმნიშვნელი ასოები არ მოიპოვება. დავით ნარინის ეს მონეტები ქ. დმანისში მოუჭრიათ. რა გარემოებაში მოხდა ზარაფხანის, როგორც ჩანს, დროებით დმანისში გადატანა, არ ვიცით. 1245 წ. დავით ნარინი ჯერ ყარაყორუმიდან არ უნდა ყოფილიყო დაბრუნებული, და, თუ მიუხედავად ამისა ამ წელს იჭრება მონეტა დავითის სახელით, ეს იმის მაჩვენებელი უნდა იყოს, რომ ამ აქტით მონღოლები აღიარებდნენ საქართველოს სახელმწიფოებრივ სუვერენობას.

არის ამავე ტიპის მონეტები, მოჭრილი თბილისში 1247 და 1252 წ.. დათარიღებულია მხოლოდ ჰიჯრით. წონა 3—4 gr. ტაბ. n. 16, 17.

ამავე დავითს მიეკუთვნება ვერცხლის მონეტები ცხენოსანი მეფის გამოსახულებით. გამოსახულების მარჯვნივ  ე. ი. „დავით“, ხოლო მარცხნივ  ე. ი. ქორონიკონი 467“ (=1247 წ.).

Rv. სპარსულად:

بقوة خدای  ე. ი. ძალითა ღვთისათა,
بنده دولت  მონა გუჯუქ ყაენის
كوك قان  წყალობისა,
داود ملك  დავით მეფე

სპილენძის ფული

წონა 2,70 gr. ტაბ. n. 18

დავით ულუ დავით ნარინთან ერთად დაბრუნდა ყარაყორუმიდან 1247 წ. და ერთხანს მასთან ერთად მეფობდა საქართველოში. მას უნდა მივაკუთვნოთ სპილენძისა და ვერცხლის მონეტები, რომლებზედაც გარკვეულად აღნიშნულია მისი და მისი მამის სახელი „დავით ძე გიორგისი“.

სპილენძის მონეტა. წონა 2¹/₂—3¹/₂ gr.

Av. ცხენოსანი მეფე, მარჯვნივ მიმავალი. თავის მარცხნივ და მარჯვნივ
 ში ე. ი. „დავით“.

Rv. არაბულად:

الملك الملوك ე. ი. მეფე მეფეთა,
 داود بن كوركي დავით ძე გიორგისი,
 حسان المسيح მესიის მახვილი,

ამ მონეტას აკუთვნებდნენ დავით აღმაშენებელს,¹ მაგრამ მონეტის ტიპი აშ-
 კარად მიგვითითებს XIII ს.-ზე. მოკემული მონეტა თითქმის ასლია რუმის
 სელჩუკიდის ქეიხოსრო I-ის (1192—1200 წ.) სპილენძის მონეტისა². ტაბ. n. 19.



ულუ დავითის ფული

ქეიხოსრო I-ის ფული

დავით ულუს ვერცხლის მონეტა არაერთარევეს არ იწვევს მომჭრელის ვი-
 ნაობის შესახებ. აქ გარკვეულად აღნიშნულია არა მარტო სახელი, არამედ მა-
 მის სახელიც და გვარიც მომჭრელისა. ამ უკანასკნელი მომენტით მომჭრელი
 თითქმის ხაზს უსვამს იმას, რომ იგი ია ბაგრატიონი, რაც იმ დროს არსებულ
 პოლიტიკურ-დინასტიურ პირობებში მნიშვნელობის მქონე გარემოება უნდა ყო-
 ვილიყო.

Av. بقوة خدای ე. ი. ძალითა ღვთისათა,
 باقبال پادشاهی მსოფლიოს მფლობელის
 جهان منگو قان მანგუ ყაენის ნებითა,
 سنة خمسين وستماية წელსა ექვსას ორმოცდაათსა.

Rv. داود ملك ე. ი. დავით მეფე,
 ابن كوركي ძე გიორგისი,
 البقراطي ბაგრატიონიანი.
 ضرب تقياسი იჭედა ტფილისს.

ამ ტიპის მონეტები იჭრებოდა ჰიჯრის 650, 652 და 654 წლებში ე. ი.
 1252, 1254 და 1256 წლებში. წონა 2,68 გრ. ტაბ. n. 20.

¹ V. Langlois. Essai de classification des suites monétaires de la Géorgie. Paris 1860 გვ. 45—50; ტაბ. III n. 8.

² I. Pietraszewski, Numi mohamedani. Berolini 1843 გვ. 80, ტაბ. VIII n. 288, 289; W. Marsden, The oriental Coins. P. I, pl. VI n. I.XXXIII.

დავით ფულს ვერცხლის მონეტები, როგორც ვერცხლის ღირსებით, ისე წონითაც, სავსებით უდგება ამავე დროს მოქმედ სამონეტო სისტემას.

ქართული მონეტების მოცემული მოკლე მიმოხილვიდან ირკვევა, რომ XI—XIII ს-ში საქართველოში ფულს მოჭრა თითქმის დაუბრკოლებლად წარმოებდა. ლითონი, რომლიდანაც მონეტა იჭრებოდა, ვერცხლი და სპილენძი იყო. რაც შეეხება ოქროს ფულს, აქ მდგომარეობა შემდეგნაირია: არც ერთი ქართული ოქროს მონეტა ცნობილი არ არის¹, თუმცა თითო-ოროლა ლიტერატურული ცნობა ამგვარი მონეტების მოჭრის შესახებ არსებობს. ერთი ასეთი ცნობა შენახული აქვს დავით აღმაშენებლის ისტორიკოსს, რომელიც მოგვითხრობს, რომ დავითი, მივიდოდა რა მის მიერ დაარსებულ ქსენონში, ანუ გეგმებდა ავადმყოფებს და აძლევდა თვითფულს მათგანს ოქროს². მაგრამ ამ შემთხვევაში ტერმინი ოქრო იხმარება ზოგადად ფულის მნიშვნელობით, როგორც ეს დაამტკიცა პრ. ივ. ჯავახიშვილმა³.

მეორე ცნობა ჩვენთვის საინტერესო ხანისათვის ეკუთვნის ირანულ ზაქარია ყაზვინის (+1283 წ.), რომელიც ამბობს, რომ საქართველოში აბხაზთა მეფეების მიერ იჭრებოდა ოქროს ფული, პერპერად წოდებული, ერთი მისხლის წონისა, რომელსაც ასურული წარწერები და კერპთა გამოსახულება ჰქონდაო⁴. ცნობა, მართალია, ნიშანდობლივია, მაგრამ ზოგიერთი ეჭვის აღმძვრელი კია. რატომ იქნებოდა ქართულ ფულზე ასურული წარწერა? ხოლო თუ ყაზვინი ვერ არჩევს ქართულ წარწერას ასურულისაგან, რა გარანტიაა, რომ იგი გაარჩევდა ბერძნულს. იქნებ სწორედ ბიზანტიური ოქროს მონეტები, პერპერად წოდებული, უნახავს ყაზვინის და, ვინაიდან ბიზანტიური ოქროს მონეტები თავისუფლად ბრუნავდა საქართველოში, მიუჩნევია იგინი აბხაზთა მეფის მიერ მოჭრილ ფულად. მაინც და მაინც ყაზვინის ცნობაზე დამყარებით შეუძლებელია უცილობლად გადაწყვეტა ამ საკითხისა. სამწუხაროდ, სხვა ამგვარი ცნობები ამ ხანისათვის ჩვენ არ მოგვეპოვება.

ამგვარად ოქროს ფულის არსებობის საკითხი ამ ხანისათვის უცილობლად ვერ სწყდება ვერც დადებითად, ვერც უარყოფითად. ერთი კია: ქართ. ოქროს ფულის არსებობას XII—XIII ს-ის საქართველოში სრულიად რეალური ნიჟადაგი ჰქონდა. მართლაც, ოქროს ის დიდი მარაგი, რომელიც ნადავლის და ხარკის სახით შემოსდიოდა სახელმწიფოს, შეუძლებელია მარტო სამკაულებსა და ჭურჭელ-იარაღს მოხმარებოდა. სპილენძის ფულის უდიდესი განძები, რომლებიც ამ ხანაში დაგროვილა, გვაფიქრებინებს, რომ ყოფილა ფულის დიდი თანხების მოთხოვნილება, ხოლო, ვერცხლის ფულის არ არსებობის გამო, ერთადერთი

¹ თუ მხედველობაში არ მივიღებთ ვრცელ II-ის ოქროს ფულს, რომლის ერთი ცალი დაცულია აშუამად ლენინგრადის ერმიტაჟში. ეს მონეტა საკმაოდ უხეშადაა გაკეთებული და ეკუთვნის XVIII ს-ის დამლევს. შესაძლებელია, იგი საცდელად იყოს მოჭრილი და ხმარებაში არც ყოფილიყოს.

² მრმ დღულ ქც, გამოც. თაყაიშვილისა, გვ. 295.

³ ივ. ჯავახიშვილი, ქართ. საფას-საზომთა მცოდნეობა ანუ ნუმისმ.-მეტროლოგია. ტფ. 1925 წ. გვ. 7, 8; 11, 12.

⁴ აქვე, გვ. 8.

საშუალება დიდი თანხების ბრუნვისათვის ოქროს ფულის გამოშვება უნდა ყოფილიყო. მართლაცდა სპილენძის ფულის, თუნდაც დიდი თანხების საშუალებით ხომ ვერ გაისტუმრებდნენ იმ უდიდეს ხარჯებს, რომლებსაც მოითხოვდა XI—XIII ს.ში აგებული უმშვენიერესი არქიტექტურული ძეგლები, წყალსადენები, არხები, ციხეები, ფუნდუკები, გზები, ხიდები და სხ., ჩვენს დრომდეც კი მოღწეული მატერიალური კულტურის ძეგლები. სპილენძის ფულით ხომ ვერ დააარსებდა თამარი ტრაპიზონის იმპერიას? სპილენძის ფულს ხომ ვერ გაუზავნიდნენ დავითი და თამარი უცხოეთში დაარსებულ ქართულ მონასტრებს¹ და სხ. და სხ.. აშკარაა, აქ ოქრო ტრიალებდა. შესაძლებელია ერთი მოსაზრების გამოთქმაც ამასთან დაკავშირებით, რაც, რასაკვირველია, სრულიადაც უარყოფითად არ გაიასწვევებს საკითხს ოქროს ფულის არსებობის შესახებ საქართველოში. ფულის გარდა, ადვილად შესაძლებელია, ხმარობდნენ დიდი ხარჯების დასაფარავად ოქროს ზოდებსაც. ამას გვაფიქრებინებს ერთი ტერმინი, რომელიც თამარ მეფის ისტორიკოსს აქვს ნახმარი. როდესაც ისტორიკოსი ასწერს თამარის პირველ ქორწინებას, ამბობს: „ეგრეთ იქმნა ქორწილი, სახედაუდებელი და იგავ-მიუწოდებელი, სიმრავლენი სახეობათანი, ძღუნობანი და ნიჭებანი თვალთანი და მარგალიტთანი, ოქროთა ჭედილთა და უჭედელთანი“.² რას ნიშნავს „ოქრო ჭედილი და უჭედელი“? ვფიქრობ, პირველი ტერმინით აღნიშნავდნენ: ოქროს ფულს, ჭურჭელ-იარაღს, სამკაულს, ხოლო მეორე უცილობლად ჰგულისხმობს ოქროს ზოდებს. ყველაფერი ეს საქურჭლეში იდო და იხმარებოდა საჭიროებისამებრ.

მაგრამ, თუ ქართული ოქროს ფულის არსებობის შესახებ ჩვენ პირდაპირი ცნობები არ მოგვეპოვება, ამგვარი ცნობებო არა ერთი და ორი გვაქვს უცხოური ოქროს ფულის ჩვენა ჭეცხანაში შემოსვლისა და აქ მოშინაურების შესახებ. იმდროინდელ წერილობით ძეგლებს შეუნახავთ ჩვენთვის ამ ფულების აღმნიშვნელი ტერმინები, ხოლო მიწის წიაღს თვით ეს ხელშესახები ფულები.

ოქროს ფულის აღმნიშვნელ ტერმინად უძველესი დროიდან იხმარება დრაჰკანი. ეს ტერმინი ჯერ ისევე სახარების უუძველეს თარგმანშია ნახმარი. შემდეგშიაც XVI საუკუნემდე ეს ტერმინი ცოცხალია³. XI—XIII საუკუნეებში დრაჰკანი აღნიშნავს როგორც ოქროს ფულს ზოგადად, ისე მის გარკვეულ ერთეულსაც. პირველი მნიშვნელობით უნდა იყოს ნახმარი ეს ტერმინი მაგ. „მატიანე ქართლისაი“-ში, როდესაც ბაგრატ IV შეიყვანეს ქალაქის ბერებმა თბილისში, „მოავლეს ქალაქი, ასხმიდეს დრამასა და დრაჰკანსა“.⁴ ასეთივე მნიშვნელობა ენიჭება ამ ტერმინს თამარის ისტორიის ამ ადგილს: „გარდაასხმიდეს თავს (დავით სოსლანს შამქორში) ოქროსა და ვერცხლსა, დრამასა და დრაჰკანსა“⁵. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის მიერ აგრეთვე ამ მნიშვნელობით

¹ დავითის ისტორიკოსი პირდაპირ ამბობს კიდევ, რომ დავითმა „მთასა სინასა... აღაშენა მონასტერი და წარსცა ოქრო მრავალი ათასეულნი“-ო. მრმ დღფ ქც, გვ. 321.

² მრმ დღფ ქც, გამოც. თაყაიშვილისა, გვ. 417.

³ ივ. ჯავახიშვილი, ქართ. საფას-საზომ. მცოდნ. გვ. 14—15.

⁴ მრმ დღფ ქც, გვ. 261

⁵ აქვე, გვ. 470

იხსენიება ეს ტერმინი: „იყო მისა კისაკი მცირე, რომელსა აღავესდეს დრაჰკნითა“¹. ალბათ გარკვეულ ერთეულს უნდა ჰგულისხმობდეს ესევე ისტორიკოსი თავისი თხზულების შემდეგს ადგილს: „ოდესმე თვისა მოძღუარსა იოვანეს მისცა (დავ. აღმაშ-მა) დრაჰკანი ვითარ ოცდახუთ ათასეული“². ამავე მნიშვნელობით ხმარობს ამ ტერმინს მონღოლთა დროის უამთაალმწერელი: „განაწესეს ძღვენი სოფელთაგან ათასის მეცდრისა მთავარსა ცხვარი ერთი და დრაჰკანი ერთი, ხოლო ბევრისა მთავარსა ცხვარი ერთი და დრაჰკანი ორი“³. ტერმინი დრაჰკანი ხშირად გვხვდება XI—XIII ს-ის სხვა სახის წერილობით ძეგლებშიაც—სიგელებში, ალაპებში, ანდერძებში და სხ.. „ვეფხის ტყაოსან“-შიაც არის ორგან მოხსენებული: დამარცხებულ ხატაელებს „ხარაჯი დასდევს, შეჰკვეთეს დრაჰკანი ასჯერ ასია“. სტროფი⁴ 513. როდესაც ავთანდილი ფრიდონისას შივიდა:

„მას დღეს სვეს, ჭამეს, გარდახდა ნადიმი მსმელთა და-
სისა;
გათენდა, ბანეს ავთანდილ, რიცხვი ძეს მუნ ატლასისა,
შესამოსელი შემოსეს დრაჰკნისა ბევრ-ათასისა“.
სტროფი 1075.

XI ს-ში საქართველოში შემოსული ბიზანტიური ოქროს ფული აღინიშნებოდა ტერმინებით დრაჰკანი კოსტანტინატი (იგულისხმება ოქროს ფული იმპერ. კონსტანტინე X-ისა, 1059—1067 წ.), დრაჰკანი დიკატი (მიხეილ VII დუკასი, 1071—1078 წ.) და დრაჰკანი ბოტინატი (ნიკიფორე III ბოტანიასისა, 1078—1081 წ.). აღნიშნული ფულები ხშირად იხსენიება XI ს-ის სიგელებში, ალაპებში. საყურადღებოა, რომ ეს ტერმინები ხმარებაშია ბევრით უფრო გვიანაც, მაგ. XII და XIII ს-შიაც; „კოსტანტინატი“ და „ბოტინატი“ მოხსენებულია დავით აღმაშენებლის ანდერძებში⁵, ხოლო „დიკატი“ და „ბოტინატი“ ვაჰანის ძეგლში⁶. როგორც ჩანს, მე-XI ს-ში შემოსული ბიზანტიური ფულები კიდევ ორი საუკუნის განმავლობაში განაგრძობდნენ მოქმედებას და საკმაოდ დიდის რაოდენობითაც ღებულან სახელმწიფო თუ სამონასტრო საქურჭლეში.

უცხო ტერმინებიდან უნდა მოვიხსენიოთ პერპერაც. ეს ტერმინიც ბერძნული წარმოშობისაა და აღნიშნავს ბიზანტიურ ოქროს ფულს; შესაძლებელია, ქართულ ოქროს ფულსაც ასე ეძახდნენ, თუ კი ის როდისმე არსებობდა. პერპერა იხსენიება XI—XIII ს-ბის წერილობით ძეგლებში: ათონის ალაპებში⁷, დავით აღმაშენ. ანდერძში⁸, „ვეფხის ტყაოსან“-შიაც ერთხელა მოხსენებული:

„უხვად გასცემს საბოძვარსა, საქურჭლესა ანაკიდსა.
პერპერასა დაფანტულსა ზედას სცვეთდეს, ვითა ხიდსა“.
სტროფი 1504.

¹ აქვე, გვ. 321—322.

² აქვე, გვ. 322.

³ მრმ დღე ქცა, გვ. 665.

⁴ „ვეფხ. ტყაოს.“ კ. ჭიჭინაძის რედაქციით.

⁵ თ. ჟორდანიას, „ქრონიკები“, წ. I, გვ. 51—52; შიო მღვიმის ისტ. საბ. გვ. 16.

⁶ თ. ჟორდანიას, შიო მღვიმის ისტ. საბუთები, გვ. 34.

⁷ ათონის კრებული, გვ. 221, 223, 225, 227 და სხვ.

⁸ თ. ჟორდანიას, შიო მღვიმის ისტ. საბუთ., გვ. 16.

ნაკლებ იყო გავრცელებული ოქროს ფულის აღსანიშნავად ტერმინი წითელი. ქართ. საისტორიო მწერლობაში ეს ტერმინი მხოლოდ ერთხელ გვხვდება: მონღოლთა დროის ჟამთააღმწერელი, მოგვითხრობს რა 1258 წელს ბაღდადის აღების ამბავს, ამბობს, რომ ქართველმა მეომრებმა „წითლითა ოქროთა განტენეს“ უნაგირნი, კურტანნი და ხმლების ქარქაშებო¹.

ამ ტერმინს რუსთაველიც იყენობს. „ვეფხის ტყაოსან“-ში იგი ორჯერაა მოხსენებული: ავთანდილი სთხოვდა ვახირს — ეშუამდგომლნა როსტევეან მეფის წინაშე, რათა მისთვის ნება დაერათო წასულიყო ტარიელთან, და ჰპირდება:

„მიაჯე ამოდ გაშვეება და თავი გაიგმირო.“

ასიათასი წითელი შენ ქრთამად შეიწირო.“ .სტრ. 792.

მეორე ადგილი: ფრიდონმა მიართვა ავთანდილს მდიდარი საჩუქარი—

„მოასხნა ოთხნი მონანი მისანდობელნი გულითა,

სრული აბჯარი საკაცო, ქაფითა საბარკულითა,

სამოცი ლიტრა წითელი აწონით, არ ნაკლულითა“.

სტრ. 1082.

ამავე ეპოქაში ვერცხლის ფულის აღმნიშვნელი ტერმინები იყო დრამა და თეთრი. დრამა უფრო ძველია და იხმარებოდა VIII—XI ს.ში², როგორც სიგელებში, ისე სხვა სახის წერილობით ძეგლებში. „მატიანე ქართლისაჲ“-ში მაგ. იქ, სადაც აღწერილია თბილისის გარემოცვა ბაგრატ IV-ის მიერ, ნათქვამია: ქალაქის მცხოვრებნი ისე დანიშნულან, რომ „ლიტრა ვირის კორციხეთას დრამად იყიდდეს“³. თამარის ისტორიაშიაც იქ, სადაც აღწერილია გიორგი III-ის მიერ დვინის აღებასთან დაკავშირებით მის ხელში მოხვედრილი ნადავლის რაოდენობა, აღნიშნულია: „თუთო ტყუესა დრამად, გინა ფუჟად მომსყიდველი გამსყიდველობდეს“⁴. ხშირად გვხვდება ეს ტერმინი XI ს-ის ნიკორწმინდის სიგელშიაც⁵. „ვეფხისტყაოსან“-ში „დრამა“ ფულის მნიშვნელობით ხუთჯერაა ნახმარი, ამათგან სამჯერ ფულის უკნინეს ერთეულს აღნიშნავს, მაგ.:

ტარიელ:

„ჩემია მკვიდრი მამული, არ მივეცემ არცა დრამასა“.

როსტევენმა და ავთანდილმა

„უხვად გასცეს საბოძვარი, მარგალიტი ვითა დრამა“⁶
და სხ⁷.

რუსთაველის დროს დრამა, როგორც ვიცით, ვერცხლისა კი არ იჭრებოდა, არამედ ეწოდებოდა სპილენძის წესიერი ჭედის მონეტებს, და, რასაკვირველია, დრაჰკანთან ან პერპერასთან შედარებით რცირე ღირებულებების ფულს აღნიშ-

¹ შრმ დ¹ფუ ქ¹ც, გვ. 661—662.

² ივ. ჯავახიშვილი, ქართ. საფ.-სახ. მცოდნ., გვ. 17.

³ შრმ დ¹ფუ ქ¹ც, გვ. 255.

⁴ აქვე, გვ. 367. იხ. ამის შესახებ თ. ლომოური, თამარის ფულების განძი. 1936 წ (ვალ.ე ამონაბეჭდი, გვ. 287.

⁵ თ. ჟორდანიას, ქრონიკები, II, გვ. 45, 47, 48.

⁶ სტროფები 587, 783;

⁷ 1116, 1125, 1280.

ნავდა. რუსუდანის დროიდან დრამად კვლავ ვერცხლის ფული აღინიშნება, რაც დრამის შეფარდებას ოქროს მონეტასთან არსებითად შესცვლიდა. ნორმალურად ეს შეფარდება კი ასეთი იყო XI—XIII ს.-ში: ერთი დრაჰკანი უდრიდა 10 დრამას, ზოგჯერ კი 12¹.

მეთერთმეტე საუკუნიდან შემოდის ვერცხლის ფულისათვის ტერმინი **თეთრი**² და ხშირად იხმარება უმთავრესად სიგელებში (მაგ. არსენი კათალიკოზის სიგ. „ქრონკ“, II, გვ. 102; დავით ნარინის დროინდ. სიგ., იქვე, გვ. 129; რკონის სიგელში, იქვე, გვ. 134 და სხ). საისტ. თხზულებათაგან იგი გვხვდება ჟამთააღმწერელის ნაშრომში: „რაცა განისყიდებოდეს ტფილისს, ასსა **თეთრსა** ზედა სამი **თეთრი** საყაენოდ დაიდებოდეს“, და შემდეგ: „მიზღი ცხენისა **თეთრი** სამი ღღესა ერთსა“.³ „ვეფხისტყაოსან“-ში თეირი არც ერთხელ მოხსენებული არ არის.

სპილენძის ფულის ტერმინების შესახებ XI—XIII ს-ის წერილებით ძველებში არის მხოლოდ ერთი ცნობა, სახელდობრ გ. მთაწმიდელის თხზულებაში იხსენიება ფოლი, როგორც უკნინესი ერთეული ფულისა.⁴ ამ ტერმინიდან ნაწარმოებია სპილენძის ფულის აღმნიშვნელი არაბ. ტერმინი **فس** და ქართული **ფულიც**. საქართველოში. ამ დროს (XI საუკ.) სპილენძის ფული არ იჭრებოდა, და ამ ტერმინით აღინიშნებოდა ბიზანტიური სპ. ფული, რომელიც ბლომად შემოდოდა საქართველოში. შემდეგი დროისათვის ასეთი ტერმინი აღარ გვხვდება. არც თვით ფულებზეა აღნიშნული რაიმე სახელწოდება, თუ არ მივიღებთ მხედველობაში თამარის და ლაშას ფულების ზედწერილებს, რომლებშიაც ეს ფულები ვერცხლადაა წოდებული. აქ, როგორც გამორკვეულია, ეს ტერმინი ზოგადად ფულს აღნიშნავს ან ფულის იძულებითი კურსის გამომხატველად უნდა მივიჩნიოთ.⁵

როგორც დავინახეთ, ფულის მოჭრას საქართველოში მრავალსაუკუნოვანი ისტორია ჰქონია. საინტერესოა გამოიკვეს, როგორი იყო ფულის მოჭრის ტექნიკა ჩვენში. სამწუხაროდ, ამ დროისათვის ჩვენ არავითარი ცნობები ამის შესახებ არ მოგვეპოვება. ჯერჯერობით ჩვენ ისიც კი არ ვიცით, რა სინჯადობისა იყო ის ვერცხლის ფული, რომელიც ჩვენში იჭრებოდა, ან რა ლითონს ხმარობდნენ მონეტისათვის — ადგილობრივს, თუ შემოჰქონდათ საიდანმე. არც ის ვიცით, რა ერქვა იმ დაწესებულებას, სადაც მონეტა იჭრებოდა, და რომელსაც უფრო გვიან ზარაფხანას ეძახდნენ. ერთადერთი მცირე ცნობა ფულის მოჭრის ტექნიკის შესახებ თვით ფულებზეა მოცემული და გვამცნებს, რომ მონეტა ჩვენში, ისევე როგორც თითქმის ყველგან ამ დროს, ჭედის პროცესის პროდუქტი იყო. „იქმნა ჭედაი ვეცხლისა ამის“, „იჭედა“, ასეთი გამოთქმებით ხასიათდება

¹ ივ. ჯავახიშვილი, საფას.-სახ. მცოდნ., გვ. 48, 50.

² აქვე, გვ. 17. 18

³ მრმ დღე ქცა, გვ. 665, 670.

⁴ ათონის კრებული. გვ. 14. ივ. ჯავახიშვილი, op. cit, გვ. 13, 28.

⁵ ივ. ჯავახიშვილი, op. cit. გვ. 10.

XII—XIII ს-ის ქართული ფულის მოჭრის პროცედურა. შესაძლებელია, თვით ზარაფხანის იმდროინდელ სახელწოდებაც ამავე ზმნასთან ყოფილიყო დაკავშირებული. არც ზარაფხანის ადგილმდებარეობის შესახებ შეგვიძლიან გადაჭრით რამის თქმა. საფიქრებელია, რომ ზარაფხანა სატახტო ქალაქში უნდა ყოფილიყო, ე. ი. დავითის მიერ თბილისის აღებამდე ქუთაისში, ხოლო ამ ამბის შემდეგ 1122 წლიდან თბილისში. 1225 წლის შემდგომ, როდესაც თბილისი ჯალალ ედინს ეპყრა, ზარაფხანა დროებით კვლავ ქუთაისში უნდა გადაეტანათ. აქ უნდა იყოს მოჭრილი რუსუდანის სძილენძის ფული 1227 წელს ¹⁾ მხოლოდ XIII-ს ის შუა რიცხვებში გამოშვებულ ფულებზე გვაქვს აღნიშნული ზარაფხანის ადგილმდებარეობა. დავით ნარინის მონეტებზე ასეთ ადგილებად დასახელებულია 1245 წლისათვის დმანისი, შემდეგ კი თბილისი. თბილისივეა მოხსენებული ულუ და ნარინ დავითის ვერცხლის მონეტებზე. რა პირობებმა გამოიწვიეს ზარაფხანის დმანისში გადატანა, ჯერ არ ჩანს. იქნებ, დმანისში ამ უამად წარმოებულმა გათხრებმა რაიმე შუქი მოჰფინონ ამ საკითხს. ამავე გათხრების წყალობით, შესაძლებელია, ფულის მოჭრის პროცედურის შესახებაც გავიგოთ რამე.


შეჯამების ფულები საქართველოში XI—XIII ს.

ქართული ფულის გარდა საქართველოში მუდმივად ხმარობდნენ არაქართულ, მეზობელი ქვეყნებიდან შემოსულ ფულსაც. ერთ-ერთი დამახასიათებელი ხაზი, რომელიც დიდად განასხვავებს თანამედროვეობას წარსული საუკუნეებისაგან, ისიც იყო, რომ სახელმწიფო, საერთოდ, არ უქმნიდა არავითარ დაბრკოლებას უცხო ფულის შემოსვლასა და ბრუნვას თავის ფარგლებში. უცხო ქვეყნების ფული სხვადასხვა გზით შემოდის ჩვენში: იგი რჩებოდა აქ აღებმოცემობის შედეგად; შემოჰქონდათ უცხოელ ჯარებს, მოგზაურებს; შემოდის ნადავლის და ხარკის სახით და სხ. XI—XIII ს-ის საქართველოში მრავლად ტრიალებს მეზობელი სახელმწიფოების ფული. ჩვენს ტერიტორიაზე ნაპოვნი ნუმიზმატიკური განძები იძლევიან შესაძლებლობას, ნაწილობრივ მაინც, გავი თვალისწინოთ სურათი უცხო მონეტის იმდროინდელი მსვლელობისა ჩვენში.

უწინარეს ყოვლისა უნდა გამოირკვეს ვისი მონეტები შემოდის საქართველოში. განძების განხილვიდან ჩანს, რომ XI—XIII ს-ში საქართველოში შემოდის უმთავრესად ორი მიმართულების ფული, სახელდობრ, დასავლეთიდან—ბიზანტიური, ხოლო XIII ს-დან ტრაპიზონული და სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ფული იმ სხვადასხვა მუსულმანური დინასტიებისა, რომლებიც ჩამოყალიბდნენ არაბთა სახალიფოს დაშლის შემდეგ წინა აზიაში და ამ. კავკასიაში, ხოლო XIII საუკუნიდან მონღოლების და რუმის სელჩუკიდებისა.

ბიზანტიური ფული XI—XIII ს-ში უმთავრესად სპილენძისა და ოქროსია, წინა აზიაში ვერცხლის საყოველთაო კრიზისმა ბიზანტიამდეც მიიღწია, და ამ ხანის ბიზანტიური ვერცხლის მონეტები იშვიათად გვხვდება.

¹ Е. Пахомов, Монеты Груз. გვ. 118.

ბიზანტ. სპილენძის ფულის განძების შესახებ ცნობები ნაკლებად გვაქვს, სამაკიეროდ თვით ფულები აქ ხანისა მრავლად მოიპოვება საქართველოს მუზეუმის ნუმიზმატიკურ კაბინეტში. ვფიქრობ, სრული საფუძველი გვაქვს მივიჩნიოთ ეს ფულები ადგილობრივ ნაპოვნად, მიუხედავად იმისა, რომ კატალოგში ცნობები მათი პოვნის ადგილის შესახებ არ შეუტანიათ. სპილენძის მონეტა, საზოგადოდ, არ მიდის შორს თავისი პოვნის ადგილიდან, არამედ ახლო-მახლო ცენტრებში მუზეუმებში, თუ კერძო კოლექციონერების საცავებში იყრის თავს. ამ ნიშნის მიხედვით ბიზანტიური სპილენძის ფული, თავმოყრილი საქ. მუზ-ის ნუმიზმატიკურ კაბინეტში, უნდა მივიჩნიოთ საქართველოში და მის ახლო-მახლო ტერიტორიაზე ნაპოვნად. ამის მიხედვით ირკვევა, რომ XI ს-დან მოყოლებული XIII ს-მდე თითქმის უწყვეტლივ ყველა იმპერატორის სპილენძის ფულები შემოდის საქართველოში. და თუ, შემოდის და რჩება აქ, ეს იმასაც ნიშნავს, რომ ამ ფულებს აქ ბრუნვის უნარი ჰქონიათ. ერთი საინტერესო ფაქტი მოგვცა ჩვენ ამ მხრივ დმანისის გათხრებმა: დმანისში ნაპოვნ ფულებს შორის არის საკმარაოდენობით ბიზანტიური სპილ. მონეტები სხვადასხვა საუკუნისა. ერთს X-XI ს-ის სპილენძის მონეტაზე, რომელიც ეკუთვნის იმპერატორებს ბასილ II და კონსტანტინე VIII (976—1025 წ.), აღმოჩნდა ქართ. დამლა იმ სახისა, რომელიც უმთავრესად რუსუდანის მონეტებზეა ხოლმე მოცემული. დამლა ამ სახისაა  როგორც ჩანს, ასე ვთქვათ, მკვდარი X—XI ს-ის მონეტა

ამ დამლის საშუალებით გაუცოცხლებიათ XIII ს-ში და მიუნიჭებიათ მისთვის ბრუნვის უნარი, რომელიც მას თავის დროზე უდამლოდაც ექნებოდა.

რაც შეეხება ოქროს მონეტებს, აქ მდგომარეობა სხვაგვარია. ოქროს მონეტა უფრო მოძრავია, იგი ხალისით შედის ყველა კოლექციაში. რის გამო არსებობს საგრძნობი სტიმული მისი, ვთქვათ, შორეული მანძილიდან შემოტანისა. ამიტომ, რათა ოქროს მონეტების მიხედვით სათანადო დასკვნების გამოტანა შესაძლებელი იყოს, საჭიროა მონეტის პასპორტი, დაახლოებითი მაინც. ამ მხრივ ბიზანტიური ოქროს ფულის საქართველოში და მის მეზობელ რაიონებში პოვნის სურათი შემდეგნაირია: უცილობელი ცნობები ჩვენ გვაქვს ბასილ II და კონსტანტინე VIII (976—1025 წ.) ოქროს მონეტების შესახებ; კონსტანტინე VIII (1025—1028 წ.), კონსტანტინე X (1059—1067 წ.), რომანოზ IV (1067—1071 წ.), ნიკიფორე III (1078—1081 წ.), ალექსი I (1081—1118 წ.) და იოანე II (1118—1143 წ.) ოქროს მონეტების შესახებაც. ესენია, ასე ვთქვათ, ხელშესახები ფულები, ამოღებული განძის სახით, ან თითო ოროლა ცალკეად ჩვენი ქვეყნის მიწის სიღრმიდან. ხარვეზს 1071—1078 წლებს შუა, ე. ი. რომანოზ IV და ნიკიფორე III მეფობათა შუა, ავსებს ჩვენს წერილობით ძეგლებში შენახული ტერმინი „დუჟატი“, რომელიც განეკუთვნება მიხეილ VII დუჟას (1071—1078 წ.). გარდა ამისა ნაპოვნია 1901 წელს რაჭაში და 1905 წელს გურიაში ბიზანტ. ოქროს ფულები, რომელთა კუთვნილება არ არის გამორკვეული, მაგრამ მათი ნიშანდობლივი თვისების, ჩაღრმავებულობის, გამო განეკუთვნილნი არიან ზოგადად XI ს-სათვის¹. ამგვარად შეგვიძლიან დაბეჯითებით თქმა იმისი, რომ

¹ Пахомов—Монет. изданы Азербайджана, გვ. 49, №№ 97, 98

მთელი XI ს-ის და ნაწილობრივ XII ს-ის განმავლობაში საქართველოში შემოდოდა ბიზანტიური ოქროს ფული. წერილობითი საისტორიო ძეგლები სავესებით ადასტურებენ ამ, ნუმისმატიკური განცემის მიერ დადგენილ, ფაქტს. „მატიანე ქართლისაჲ“, გ. მთაწმიდელის, გიორგი ხუცეს-მონაზონის და სხ. ნაშრომები გვიხატავენ იმ მკიდრო კავშირს, რომელიც საუკუნეების განმავლობაში არსებობდა საქართველო-ბიზანტიას შორის. მეორე მხრით, საქართველოში მოქმედი ბიზანტ. ფულის ტერმინებიც, რომლებზედაც ზემოთ იყო საუბარი, სახელდობრ „კოსტანტინატი“, „დუკატი“, „ბოტინატი“, „პერპერა“, და რომელთაგან ზოგი XII—XIII ს-შიაც კი კვლავ არსებობს, იმაზედ მიგვითითებს, რომ XI—XIII ს-ბის განმავლობაში ბიზანტიური ოქროს ფული საკმაოდ დიდი ეკონომიური მნიშვნელობის ფაქტორი იყო. დავით აღმაშენებელი თავის ერთ-ერთ ანდერძში საგანგებოდ აღნიშნავს: „დუკატი და ბოტინატი ატენისა საქურჭლისა, იგიცა ჩემის სისხლითა მოგებულნი“, ჩემმა შვილმა დიმიტრიმ ნახევარი მაინც მისცეს მონასტრებს, რათა ჩემოვის ილოცონო¹. XII ს-ის დასაწყისში ბიზანტიური ოქროს ფული იმდენი სდებია დავითს ატენის საქურჭლეში, რომ მისი მარტო ნახევარის გაცემითა ფიქრობდა მისგან ნაწყენი მონასტრების მომადლიერებას. ათონის ივერთა მონასტრის აღაპკში ამ ტერმინების გარდა გვხვდება სხვებიც, მაგალ. ჰრომანატი, ალექსატი, დიმიტრატი, ტრაკეფალი, ექუსთავი და სხვა მრავალი. თუმცა ეს ტერმინები საქართველოში დაწერილ ძეგლებში არ იხსენიება, მაგრამ ქართველი საზოგადოების იმ ნაწილისათვის, რომელსაც ათონის ივერთა მონასტერთან ურთიერთობა ჰქონდა, ეს ტერმინები და მათ მიერ აღნიშნული ფულები, რასაკვირველია, უცხო არ იქნებოდა.

XII ს-ის მეორე ნახევრიდან ბიზანტ. ნუმისმატიკური განცემი აღარ გვაქვს. XIII ს-ის დასაწყისში, როგორც ცნობილია, კონსტანტინეპოლს იკავებენ ჯვაროსნები, და ამ დროიდან კაი ხნის განმავლობაში საქართველოს კავშირი ბიზანტიასთან სუსტდება.

ამავე დროს ენასკვება მკიდრო პოლიტ. ეკონომიური კავშირი ტრაპიზონის სახელმწიფოსთან.

ცნობილია, რომ თვით ტრაპიზონის სამეფოს დაარსება, მოხდა უდიდესი და აქტიური დანაშარებით თამარისა, რომელიც ნათესავად მოხვდებოდა ტრაპიზონში გამეფებულ ალექსი კომნენს. ეს ალექსი და მისი ძმა დავითი, ფ. უსპენსკის სიტყვით, მათი პაპის ანდრონიკე I ბიზანტიის იმპერატორის (1183—1185 წ.) ტრალიკული სიკვდილს შემდეგ, ჩუმად გაპარებულ იყვნენ საქართველოში, სადაც გაიზარდნენ². შემდეგ უსპენსკის მოჰყავს მეცნიერი კუნიკის სიტყვები: „Воспитываясь и вырастая при дворе своей родственницы, среди туземцев и в армии, они всюду были под влиянием грузинской жизни и грузинских понятий, так что в 20-тилетнем возрасте, по всей вероятности, больше походили на грузинских князей, чем на византийских“³. შემ-

¹ თ. ქორდანია. ქრონიკები. წ. 2, გვ. 51—52.

² Ф. Успенский. Очерки по истории Трапезунтской империи. Ленинград. 1929, გვ. 30.

³ აქვე.

დედაც საქართველოს გააღენა ძლიერი იყო ტრაპიზონში. ქართველები აქტიურ მხარეს წარმოადგენდნენ ამ ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. ალექსის ძმამ დავითმა ქართველების, ლაზების და კონსტანტინეპოლელი მომხრეების დახმარებით დაიწყო გაფართოება თავისი სამფლობელოსი¹. შემდეგშიაც ქართველები (ნარინი) თვალყურს ადევნებს ტრაპიზონის საგარეო პოლიტიკას და ცდილობს—მისი სადავეები ხელიდან არ გაუშვას. მან დალაშქრა ტრაპიზონი იმის სავასუხოდ, რომ კონსტანტინეპოლმა მოისურვა ხელში ჩაეგდო გავლენა ტრაპიზონის მეფე იოანე II-ზე². და მარტო ქართველები კი არა იჩენდნენ ამ მიდრეკილებას ტრაპიზონისადმი, იქიდანაც მოდიოდა ამგვარივე ნაკადი. ახასიათებს რა ტრაპიზონისა და კონსტანტინეპოლის ურთიერთობას, უსპენსკი ასკვნის: „...Константинопольско-трапезунтские отношения слагались весьма неблагоприятно вследствие настойчивого желания Палеологов держать Трапезунт в своем подчинении, между тем как симпатии великих Комнинов и трапезунтских бояр, а равно политические интересы Трапезунтской империи склонялись более на сторону союзов и связей с восточными соседями, преимущественно с грузинами“³. ყოველდღიურ ცხოვრებაში ზემოთ მოხსენებული სიმპათიები იმაშიაც იხატებოდა, რომ „на первых порах, т. е. до конца XIII в. трапезунтские цари женились большею частью или на туземках или на тифлисских принцессах“⁴. ასეთი ძლიერი ურთიერთ მიდრეკილება ამ ორი სახელმწიფოსი (საქართველოს მხრიდან უნდა ვიგულისხმოდ, ექვს გარეშეა, დასავლეთი ნაწილი და ნაწილობრივ სამცხეც) უცილობლად ჰგულისხმობს მძლავრ ეკონომიურ ინტერესებს. სამწუხაროდ, პირდაპირი ცნობები ამის შესახებ ჩვენ არ მოგვეპოვება. ასეთი ურთიერთობის ერთერთ ნაშთად გვაქვს ჩვენ ამჟამად საქართველოს მიწა-წყალზე აღმოჩენილი ტრაპიზონული ფულები, რომლებიც შემოდიოდა ჩვენში XIII ს-ის ოცდაათიანი წლებიდან. ესენია ტრაპიზონული ასპრები (ვერცხლის ფული) იოანე I-ისა (1235—1238 წ.), მანუელ I-ისა (1238—1263 წ.) და იოანე II-ისა (1280—1297 წ.). აღსანიშნავია, რომ ტრაპიზონული ნამდვილი ასპრების გარდა, ჩვენში ხშირია ამ ასპრების მიმბაძველობანიც, რომლებიც, როგორც გამორკვეულია, უმთავრესად საქართველოში გვხვდება და ადგილობრივ უნდა იყოს გაკეთებული⁵. მიმბაძველობათა ორიგინალად ჩანს მანუელ I-ის და იოანე II-ის ასპრები. პირველი ამათეანის სახელისაგან— „კირ მანუელ“—არის წარმოშობილი ქართ. ნუმიზმატ. ტერმინი „კირმანუელი“, რომლითაც, ექვს გარეშეა, აღინიშნებოდა მოხსენებული ფული. განძების სახით, როგორც ასპრები, ისე მათი მიმბაძველობანიც უფრო სამცხეში და დასავლ. საქართველოში გვხვდება. საფიქრებელია, რომ სწორედ დასავლეთ საქართველოში იჭრებოდა კიდევ ეს მიმბაძველობანი, ვინაიდან აღმ. საქართველოს თა-

¹ აქვე, 32.

² აქვე, გვ. 71.

³ აქვე, გვ. 73.

⁴ აქვე, გვ. 67.

⁵ O. Retowski. Die Münzen der Komnenen von Trapezunt. Moskau 1910, გვ. 20,

ვისი საკუთარი ფულიც ჰქონდა და მონღოლურიც ბლომად ტრიალებდა, რასაც მოკლებული იყო დასავლეთი. ტაბ. n. 21.

უცხო ფულის მეორე ნაკადი საქართველოში შემოდის სამხრეთიდან და სამხრეთ-აღმოსავლეთიდან, სხვადასხვა მუსულმ. სახელმწიფოდან.

მუსულმანური დინასტიებიდან ყველაზედ მახლობელი მეზობლები საქართველოსათვის შირვანშაჰები იყვნენ. საქართველოს საბოლოო გაერთიანების შემდგომ დავით აღმაშენებლის დროს, როგორც ჩანს, ისახება საზღვრების გაფართოვების შემდგომი პერსპექტივი. საჭირო იყო შექმნილიყო საქართველოს ისეთი გარემოცვა, რომელიც უზრუნველ ჰყოფდა მას მტრულად განწყობილ სამხრეთის და სამხრეთ-აღმოსავლეთის მეზობლების თავდასხმათაგან. აუცილებლად იდგა აგრეთვე ხარკისა და ნადავლის საკითხიც, ვინაიდან იმდროინდელი სახელმწიფოების შემოსავლის ერთერთ არა უმნიშვნელო წყაროს ეს ორი მომენტიც წარმოადგენდა. რომ თანამედროვენიც ამ გარემოებას დიდ ყურადღებას აქცევდნენ, ეს ნათლად ჩანს დავითის ისტორიის იმ ადგილიდან, სადაც აღწერილია შირვანში ლაშქრობანი; ისტორიკოსი საგანგებოდ აღნიშნავს: დავითმა „აღაღო შარვანი. ქალაქი კაბალა და ადაესო სამეფო თვისი ოქროთა და ვეცხლითა და ყოვლითა სიმდიდრითა“.¹ მიუხედავად იმისა, რომ დავითსა და შირვანშაჰს შორის მოყვრული დამოკიდებულება იყო, შიგნით ფეხმომავრებული მეფის ზელისუფლების პირველი იერიშები სწორედ შირვანმა განიცადა. დავითის დროს შირვანი რამდენჯერმე იყო დალაშქრული, სახელდობრ 1117 წ., 1120 წ. ორჯახის, 1123 წ.²

გიორგი III-ის დროს შირვანთან მტრული განწყობილება არ ჩანს. იმდროინდელი შარვანშაჰი აღსართანი — აბუ-ლ-მუზაფფარ მანუჩაჰ-ახისტან ბენ კესრან (კანაგებდა 1205 წლამდე), გიორგის დისწული ყოფილა და გიორგი მას დაჰხმარებია დარუბანდელ ხაზართა წინააღმდეგ.³

თამარის-დროინდელი მდგომარეობა შირვანისა აშკარად ვასალურ დამოკიდებულებაში მყოფ სახელმწიფოს გვისურათებს: შირვანის შაჰი თამარის ყმადნაფიცია (ვასალი). თამარი, როგორც უზენაესი პატრონი (სიუზერენი), იცავს თავის ყმადნაფიცს უცხო ძალის მძლავრებისაგან, რის შედეგადაც ხდება ეგრ: წოდ. შამქორის ომი 1195 წ.

ასეთ ცხოველს პოლიტიკურს ურთიერთობას შირვანსა და საქართველოს შორის ნუმისმატიკური მონაცემები სავსებით ვერ უჭერენ მხარს, ჯერჯერობით მაინც: აქნობამდე დადასტურებულია შირვანის კესრანის დების ფულის მცირე რაოდენობით შემოსვლა საქართველოში⁴, იმ დროს, როდესაც საბჭ. აზერბაიჯანის ტერიტორიაზე ასეთი საკმაოდ იპოვება⁵. მეორე მხრით, ქართული ფულის შირვანისკენ გაგრძელების საბუთიც ჯერ არ მოგვეპოვება. შესაძლებელია, მომავალმა საქმის ახლანდელი მდგომარეობა შესცვალოს, და შირვანის ფულების

1. შრმ დღფ ქც, გვ. 304. ამგვარივე ცნობა აქვე, გვ. 299.

2. აქვე, გვ. 299, 304, 309, 310, 311.

3. ივ. ჯავახიშვილი ი. ქართველთა ისტ. წ. II, გვ. 565. შრმ დღფ. ქც, გვ. 384.

4. E. Пахомов. Монеты. влады Азербайджан. გვ. 26.

5. აქვე.

საქართველოში, ხოლო ქართულისა შირვანში აღმოჩენამ შირვან-საქართველოს ურთიერთობას შეკმატოს საჭირო შტრიხი.

ამ კავკასიის მეზობელი დინასტიებიდან საქართველოს მტერ-მოყვრული და-მოკიდებულება ჰქონდა ილდიგიზიდებთანაც. ესენი იყვნენ ირანის აზერბაიჯანის მფლობელები 1136—1225 წლებში.

ჯერ ისევ გიორგი III-ის დროს, გიორგის მიერ ანისისა და დვინის აღების შემდგომ, 1163 წ. ირანის მაჰმად. მთავრები შეკავშირებულან და საქართველოს წინააღმდეგ გამოულაშქრიათ. კავშირს სათავეში ედგა ერაყისა და ხვარასნის სულტანი ხალიფა და შამს-ედ-დინ ილდიგუზი, (1136—1172 წ.), ათაბაგი ადერბაიჯანისა, ჯებელისა და ისპანისა. ამათი შეერთებული ლაშქრობა მოულოდნელად დასცემია ციხე გაგს, სადაც მომხდარა ომი გიორგი III-სთან. გიორგი ამ ომში დამარცხებულა. ვინაიდან ანისის გამო კვლავ გრძელდებოდა უთანხმოება, გიორგი III-ს, თვით ელდიგუზ ათაბაგის თხოვნით, ანისი კვლავ მაჰმადიან მმართველისათვის გადაუცია, რომელიც თავის ყმად ანუ ვასალად უთაყვანებია¹.

შემდეგ შიაც „ილდიგიზის ძენი“ საქართველოს ისტორიაში საკმაოდ აქტიურ მოწინააღმდეგე ძალად ჩანან: დემნას განდგომილების დროს მისი მომხრე „ქართლის ერისთავი სუმბატის ძე ლიპარიტ, მეჯინიბეთ-უხუცესი ქავთარ ივანეს ძე... და ანანია დვინელი წარსულ იყუნეს ზოგნი შაჰარმენისა, ზოგნი ელდიგუზის ძეთა თანა“ დახმარების სათხოვნელად². ესენიც აპირებდნენ დახმარებას, მაგრამ ველარა გაუწყვიათ რა³.

გიორგი რუსთან განქორწინების შემდეგ, როდესაც კვლავ დადგა საკითხი თამარისათვის ქმრის შერთვის შესახებ, მრავალრიცხოვან მსურველთა შორის ყოფილა „სულტანისა ყიზარსლანის შვილთაგანი ერთი, ამბვისა სმენითა ხელქმნილი“, რომელიც „ძალითა და სამე დაიმჭირა მამამან სჯულისა დაგდებისა შიშითა“⁴. ყიზარსლან სულტანი ილდიგუზ ათაბაგის მეორე შვილია, რომელიც თავისი ძმის მუჰამედის შემდეგ იმკვიდრებს მის უფლებას 1186—1191 წლების განმავლობაში. ლენ-პულის მიერ შედგენილი ამ დინასტიის გენეალოგიიდან არ ჩანს, რომ ყიზილ-არსლანს შვილები (ვაჟი-შვილები მაინც) ჰყოლოდეს: მის მემკვიდრეებად არიან მისი ძმისწულები⁵. შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ იმ ორი წლის განმავლობაში, რომლებიც გავიდა თამარის მეორე ქორწინებიდან ყიზილ-არსლანის სიკვდილამდე, მისი შვილი გარდაიცვალა, მაგრამ თამარის ისტორიკოსის ცნობით მას რამდენიმე შვილი უნდა ჰყოლოდა, „შვილთაგანი ერთი“-ო, ამბობს ის; ეს კი ძნელი წარმოსადგენია, რომ ორი წლის განმავლობაში რამდენიმე შვილი დახოცოდეს. ალბათ აქ ისტორიკოსი ჰგულისხმობდა მის ღვიძლ შვილებს კი არა, ძმისწულებს, რომლებიც მის მემკვიდრეებად ითვლებოდნენ.

¹. ივ. ჯავახიშვილი. ქართველთა ისტ. წ. II, გვ. 559—563.

². ივ. ჯავახიშვილი. *op. cit.* გვ. 569.

³. მრმ დღე ქც, გვ. 389.

⁴. აქვე, გვ. 431.

⁵. Степни Лен-Пуль. Мусульманские династии, перев. В. Бартольд-ის პეტერბ. 1899. გვ. 144.

მაგრამ უფრო ფართო მასშტაბით და დიდი შედეგებით ილდიგიზიდების და ქართველების პირისპირ შეყრა თამარის მეფობაში მოხდა, სახელდობრ, ცნობილი ომის დროს შამქორთან 1195 წ.. საქართველოს მოპირდაპირედ ამ ომში გამოდის ილდიგიზიდების დინასტიის ერთერთი ძლიერი წარმომადგენელი აბუ-ბექრ ბ. ფეჰლევან (1191—1210 წ.), თავისი უფროსი ძმის ხუტლუ-ინანჩის ჩამოშორების შემდგომ, ის ილაშქრებს რნანჩის შვილის შვილის ამირ მირანის წინააღმდეგ, რომელიც თავის გადასარჩენად გაეცალა მძლავრს და შეეცადა შარვანშა აღსართანს, მაგრამ აბუ-ბექრმა არც აქ დასტოვა იგი და განსაცდელში ჩააგდო თვით შარვანშაც. ამ უკანასკნელმა, ვითარცა საქართველოს მეფის ყმაღ-ნაფიცმა, მიჰმართა თამარს დახმარებისათვის, 1195 წ. თამარის ჯარები შეხვედნენ შამქორთან აბუ-ბექრს. ფიცხელი ომის შემდეგ ქართველებმა გაიმარჯვეს, წაართვეს აბუ-ბექრს განძაც, რომელიც თამარმა გადასცა ამირ მირანს. შემდეგაც, 1196 წ., ქართველებმა შემოიერთეს გელაქუნი და ამბერდი, დალაშქრეს განძა. 1204 წ. ამავე აბუ-ბექრის წინააღმდეგ ხდება ლაშქრობა დვინზე.¹

საქართველოში აღმოჩენილი ფულები ილდიგიზიდებისა კარგად უდგებიან მოხსენებულ ამბებს. მართალია, ეს ამბები უფრო მტრულ ურთიერთობას ამჟღავნებენ, მაგრამ გამორიცხული არ არის ზავის მდგომარეობის დროს სავაჭრო ურთიერთობა, რაზედაც მიგვითითებს ამ დინასტიის ფულების არსებობა საქართველოს ტერიტორიაზე, და ამ ფულებს შორის უმრავლესობა სწორედ აბუ-ბექრს ეკუთვნის. გვხვდება მისი ძმის უზბეკისაც (1210—1225 წ.).

ილდიგიზიდების ფულის გარდა, საქართველოს მუზეუმის ნუმიზმატ. კაბინეტში საკმარისი რაოდენობით მოიპოვება ამათი ვასალების, აპარის მელიქების, მონეტებიც. სამწუხაროდ, ამ მონეტებს პოვნის ადგილის შესახებ ცნობები არ ახლავს, ამიტომ შესაძლებელია ესენი საქართველოში არც იყვნენ აღმოჩენილი.

ისტორიის ასპარეზზე ერთი საბედისწერო მომენტით შეხვდნენ ურთიერთს ხვარაზმელები და ქართველები.

ნესტან-დარეჯნის საქმროს არჩევისათვის გამართულ თათბირზე

მეფემან (ფარსადან) ბრძანა: „ხვარაზმშა, კელმწიფე ხვარაზმელია,

თუ მოგვცემს შვილსა საჩვენოდ, მისებრი არ რომელია“.

დედოფალმან სთქვა: „ხვარაზმშა მეფეა მორქმით მჯდომელი,

მათსამცა შვილსა სასიძოდ ჩვენთვის სხვა სჯობდეს რომელი?“

სტროფ. 554, 556.

ხვარაზმშას დიდება-ძღვეამოსილების მხატვრულად ასახული რომანტიული სურათი შესცავლა XIII ს-ის დასაწყისში საშინელმა სინამდვილემ—მონღოლებისაგან დევნილი ხვარაზმშა ჯალალ-ედ-დინ მანგუბერტი (1220—1231 წ.) 1225 წ. მოადგა საქართველოს საზღვრებს და ხუთიოდე წლის განმავლობაში

¹ მ-რმ დღე ქც, გვ. 459—469. ივ. ჯავახიშვილი—op. cit. გვ. 600—609.

ცეცხლი და მახვილი გაამეფა იმ ქვეყანაში, სადაც ჯერაც არ მიმწყდარიყო შოთას ხმის გამოძახილი.

აქნობამდის საქართველოს ხვარაზმთან არავითარი ურთიერთობა არ ჰქონია და, აშკარაა, მათი ფულიც ვერ მოხვდებოდა ჩვენს ქვეყანაში. ჯალალ-ედ-დინის მიერ საქართველოში გატარებული წლების ნაშთად უნდა ჩაითვალოს მის მიერ 1226 წ. ქართული მონეტებისაგან ხელახლად ნაჭედი, მისი სახელის მატარებელი, სპილენძის ფულები.

Av. السلطان ე. ი. სულტანი
العظيم უზენაესი

გარშემო: هذا ادرهم بتاريخ ثلاث وعشرين و ستمائة ე. ი. «იქედა ესე დირჰემი წელსა ექვსას ოცდა სამსა» (=1226 წ.)

Rv. جلال الدنيا ჯალალ-ედ-დუნია
والدين ვედინ

გარშემო: ضاعف الله جلاله و اذ ظلاله و يد اقباله ე. ი. «განადიდოს ღმერთმან დიდება მისი, განაგრძოს ჩრდილი მისი და განამტკიცოს კეთილდღეობა მისი». ტაბ. n. 22, 23.

აღსანიშნავია, რომ ჯალალ-ედ-დინის მონეტები, როგორც ჩანს, შემდეგ ქართველ მეფეებსაც გამოუყენებიათ მათზე თავისი ჯამლის დასმით. ჩვენამდე მოაღწია ამ მონეტებმა ორნაირი დამლით. ერთია ის, რომელიც მოგვაგონებს რუ-

სულანის მონეტებზე აღბეჭდილ ორნამენტს, (⊕) , ხოლო მეორე — (⊕) ;

შესაძლებელია, ეს უკანასკნელი ეკუთვნოდეს ერთ-ერთ დავითს.

წინა აზიის დანარჩენი მულობელებიდან, მონღოლების ხანაზე უწინარეს, ჩვენს მიწაწყალზე იპოვება მცირე რაოდენობით დიარბეკის ორთუკიდების (1101 — 1312 წლ.), ჰალაბის ათაბაგების (1146 — 1181 წ.) და ეჯუბიდების (1186 — 1216 წ.) მონეტებიც.

აქნობამდე განხილული აღმოსავლ. ფულები ყველა სპილენძისა იყო. XIII ს-ის ოციანი წლებიდან ახლდება ვერცხლის ფულის მოჭრა. ამ პროცესში თითქმის ყველას გაუსწრო რუმის სელჩუკიანთა სახელმწიფო, სადაც დაიწყეს კარგი ღირსების და წონის (2,8 — 2,9 გრამ.) დირჰემების გამოშვება. საქართველოში განძის სახით ნაპოვნ სელჩუკიდების მონეტებს შორის უადრესი ეკუთვნის 1198 — 99 წლ. შემდეგშიაც, მთელი XIII ს. განმავლობაში, ამ ფულს გასავალი აქვს საქართველოში. ამაზე მიგვითითებს არა ერთი და ორი განქი ამ ფულებისა, ნაპოვნი ჩვენს ტერიტორიაზე. და ეს გარემოება საესებით მოსალოდნელიცაა: ქართ. საისტ. წერილობითი ძეგლები იძლევა საკმაო ცნობებს საქართველოსა და იკონიას შორის არსებულ ურთიერთობის შესახებ. გარკვეულ ფორმებში ასეთი ურთიერთობა ჩანს თამარის დროიდან. საქართველოს წინსვლა სამხრეთის და

სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით იწვევდა სათანადო წინააღმდეგობას ჩრ. ირანის და მკირე აზიის სახელმწიფოების მხრივ. კერძოდ თამარის ჯარების მიერ ყარსის აღება 1206 წ. თავისი ინტერესების შელახვად მიუჩნევია რუმის სულტანს რუქნ-ად-დინ სულეიმან II-ს (1200 — 1206 წ.)¹, რის გამო გამოუცხადებია ომი საქართველოსათვის. ომში ქართველებმა გაიმარჯვეს და აურაცხელი ნადავლი, ჩაიგდეს ხელში. ამის შემდეგ იკონია-საქართველოს შორის ჩამოვარდა ხანგრძლივი ზავი და მოყვრობა. თვით რუსუდანი შეუღლებია ამ დინასტიის წარმომადგენელს, ყილიჯ-არსლან III-ის (1203—1204 წ.) შვილს, მოგით ედ-დინს², რომლისაგანაც ჰყავდა ორივე შვილი — თამარ და დავით. თავისი ასული თამარი — გურჯი ხათუნი — რუსუდანს ცოლად მიჰცია ამავე დინასტიის წარმომადგენლის ღიას-ედ-დინ ქეიხოსროსათვის, ვახუშტის ცნობით 1228 წ.³ და მზითვად აწყვერი გაუტანებია. რუსუდანის სიძე იკონიის სულტნად ჩანს 1236—1245 წ.. ამ წლებში იკონია-საქართველოს შორის ხშირი მიმოსვლა წარმოებდა: რუსუდანის გეგმა — ლაშას ძის ჩამოშორება და საქართველოს სამეფო ტახტის თავისი ძისათვის დამკვიდრება — ხორციელდებოდა იკონიის სულტნის უშუალო მონაწილეობით.

საქართველოს ტერიტორიაზე ნაპოვნი რუმის სელჩუკიდების ფული უმთავრესად ქეიკუბად I-ისა (1219—1236 წ.) და ქეიხოსრო II-ისა (1236—1245 წ.), მაგრამ ამათ შემდეგაც რუმის სულტნების ფული ჩვენში კვლავ შემოდოდა რაც საქ. მუზეუმის ნუმიზ. კაბინეტში დაცული კოლექციებით მტკიცდება.

აღმ. საქართველოს მონღოლების მიერ შექმნილი უზარმაზარი სახელმწიფოს ფარგლებში მოქცევამ მნიშვნელოვნად შესცვალა ფულის ვითარება ჩვენს ქვეყანაში. ქართული მონეტა, მართალია, ისევ ისევე არსებობდა, მაგრამ მის გვერდით და, შეიძლება ითქვას, რიცხვობრივად მასზე ბევრად გადამეტებით, იჭრებოდა მონღოლური ფულიც, რომელიც საერთო საფასე იყო და თავისუფლად მიმოდოდა უშველებელ სივრცეზე.

დროის მიხედვით საქართველოში და მის ახლო მეზობელ რაიონებში მოქმედი პირველი მონღოლური ფულები ჩინგიზიდის შანგუ ყაენის დედას ტურაკინ ხათუნს (1241—1246 წ.)⁴ ეკუთვნის. მონეტები ვერცხლისა და მოჭრილია აქვე, ამ. კავკასიაში, განჯაში, ნახიჯევანში, თბილისში და სხ.. აქნობამდე ჩვენს კოლექციებში დაცული ამგვარი მონეტები განჯაში იყო ნაპოვნი. გასულ წელს დმანისის გათხრებმა მოგვცეს ამ მონეტის საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენის ერთი ფაქტი. სამაგიეროდ მრავალია ამის შემკვიდრის მანგუ ყაენის (1248—1257 წ.) ვერცხლისა და სპილენძის მონეტები. ეს მონეტები თბილისში ყოფილა მოჭრილი 1254, 1255, 1256, 1259, 1260 წლ.⁵ როგორც ვერცხლი,

¹ ლენ-პული რუქნადინის მეფობის უკანასკნელ წლად სთვლის 1203 წ.. რაკი ომი მოხდა რუქნადინის დროს, მისი სიკვდილის თარიღი 1206 წელია, და არა 1203.

² ვახუშტი — საქართველო. ისტორია, გამოც. დ. ბაქრაძისა, გვ. 225, შენიშვ. 3.

³ აქვე, გვ. 226.

⁴ А. Марков — Швет. каталог мусульм. монет Эрмитажа. Петерб. 1908 гв. 438—439.

⁵ აქვე, გვ. 439—441.

ისე სპილენძი უჭრიათ საკმაოდ ბლომად. ამ. კავკასიაში და კერძოდ საქართველოში მანგუ ყაენის მონეტები ხშირად იპოვება. მარტო დმანისმა გასულ წელს მოგვცა 15-მდე ცალი მანგუს სპილენძის ფული.

ჩინგიზიდების ფული შესცავა ირანის ილხანების ჰულაგუიდებისამ (1256 წლიდან). ამ დინასტიის ფული ისეთი რაოდენობით ტრიალებდა საქართველოში, რომ ადგილობრივი მეფეების დიმიტრი II და ვახტანგ III-ის ფული მათთან შედარებით მეტად უმნიშვნელო პროცენტს შეადგენს. გარდა ჰულაგუიდურ-არაბული მონეტებისა, რომლებიც ვრცელდებოდა საქართველოსა და მის მეზობელ ქვეყნებში, ჰულაგუიდების მიერ იჭრებოდა სპეციალურად საქართველოსათვის ეგრ. წოდ. ჰულაგუიდურ-ქრისტიანული დირჰემები, რომლის რევერსზედ ნაცვლად მუსულმანური სიმბოლოს الله الله الله الله

محمد رسول الله

მოთავსებული იყო არაბულად:

بسم الله
والابن والروح
القديس والاه واحد
ერთად ერთისა.
ე. ი. სახელითა მამისათა
და ძისათა და სულისა
წმიდისათა და ღვთისა
ერთად ერთისა.

1936 წ. წარმოებულმა დმანისის გათხრამ მოგვცა ჩვენ ამავე ეპოქის ეგრ. წოდ. სომხურ-მონღოლური მონეტის პოვნის რამოდენიმე ფაქტი.

XI—XIII ს-ის ფულის განძები საქართველოში

ის გარემოება, რომ წარსულ საუკუნეებში სახელმწიფო უცხო ფულის შემოსვლასა და ბრუნვას თავის ფარგლებში არ უქმნიდა დაბრკოლებას, ნუმისმატიკურ განძებს უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს როგორც ისტორიის ერთერთს მეტყველ დოკუმენტს. ამ განძების შესწავლა აშუქებს მრავალს საინტერესო და მნიშვნელოვან საკითხს: სავაჭრო ურთიერთობის, გზების, გავლენის სფეროების, პოლიტიკური ვითარების და სხ.

მრავალი ცნობა ამ. კავკასიაში და კერძოდ საქართველოში აღმოჩენილი ნუმისმატიკური განძებისა, გაბნეული სხვადასხვა გამოცემაში, ამჟამად თვითმკვრილია ე. პ ა ხ ო მ ო ვ ი ს ნ ა შ რ ო მ შ ი „Монетные клады Азербайджана“ (Труды общества исследования и изучения Азербайджана, вып. III, ბაქო, 1926). ქვევით წარმოდგენილი იქნება ცნობები XI—XIII ს. ნუმისმ. განძების შესახებ, რომლებიც დაცულია საქ. მუზეუმის ნუმისმატიკურ კაბინეტში, და აგრეთვე კაბინეტის მიერ შეკრებილი ცნობები ამ ხნის განძების, ან ცალკეული მონეტების შესახებაც, თუმცა თვით განძები და მონეტები კაბინეტში შემოსული არ არის. დაბოლოს, ზემოთაღნიშნულ მასალაზე დამყარებით მოცემულ იქნება სურათი XI—XIII ს-ის განძების გავრცელებისა ჩვენს ქვეყანაში.

1. 1930 წ. სიღნაღის რაიონში მოგროვილი სპილენძის მონეტები თამარის, ლაშა გიორგისა და რუსუდანისა.
2. 1924 წ. თამარის ფულების განძი, ნაპოვნი კახეთში, ს. ვეჯინში, 1200 ც. მონეტები წესიერი ქედისაა, მოჭრილია თამარის და დავითის სახელით 1200 წ.
3. 1924 წ. ამგვარივე განძი, აღმოჩ. ს. ვეჯინში, 1559 ცალი. ნაწილია ზემოთაღნიშნულისა.
- 3 a 1937 წ. კობის მონასტ., კოჯრის მახლობლად, ნაპოვნი თამარის მონეტა.
- 3 b 1937 წ. ძცხეთა-ნატახტარის შუა ნაპოვნი ლაშა გიორგის მონეტა.
4. 1927 წ. რუსუდანისა და ჯალალ-ედ-დინის სპილ. ორი მონეტა, აღმოჩენილი თბილის-ლენინაკანის შარა გზაზე.
5. 1929 წ. რუსუდანის სპილ. მონეტა, ნაპოვნი ს. მუხრანის მიდამოებში.
6. 1928 წ. ჯვარის მონასტრის (ძცხეთა) მახლობლად ნაპოვნი სპილ. მონეტები გიორგი III-ისა ორი ც., ლაშა გიორგისა 1 ც., რუსუდანისა 1 ც.
- 6 a 1926 წ. შიო მღვიმის მონასტრიდან ჩამოტანილია ქართული—თამარისა და ბიზანტ. ალექსი I-ისა, ორივე სპილენძი.
7. 1935 წ. კრწანისში (თბილ. მახლ.) ნაპოვნი გზის გაყვანის დროს რუსუდანის სპილ. ფულები წონით 9 კილო 290 გრ.
8. ამავე დროს და აქვე ნაპოვნი რუსუდანის სპილ. მონეტები 9 ც.
9. 1929 წ. კახეთში, ს. შიბლიანში, ნაპოვნი ბიზანტ. ოქროს ფული რომანოზ IV-ისა (1067—1071 წ.).
10. 1930 წ. ს. დვირში (ბორჯომის ხეობა) აღმოჩენილი ბიზანტ. ფულების განძი ქილით. განძში შედიოდა კონსტანტინე VIII-ის (1025—1028 წ.) ოქროს ფულები 22 ც., კონსტანტინე X-ის (1059—1067 წ.) ოქროს ფულები 22 ც., რომანოზ IV-ის (1067—1071 წ.) ოქროს ფული 1 ც.
- 10 a. 1929 წ. საქარაში (იმერეთი) ნაპოვნი მიხეილ VI-ის (1035—1041 წ.) სპილ. მონეტა.
11. 1926 წ. თბილისში ნაპოვნი კონსტანტინე X-ის სპილ. მონეტა.
12. 1926 წ. ჩხარიდან ჩამოტანილი ბიზანტ. იმპ. ნიკიფორე III-ის (1078-1081 წ.) ოქრონარევი ვერცხლ. მონეტა.
13. 1926 წ. რაჭაში ნაპოვნი ბიზანტ. ნიკიფორე III-ის ოქრონარევი ვერცხლის მონეტა.
14. 1936 წ. თბილისში, ბოტანიკ. ბაღში, ნაპოვნი ჯალალ-ედ-დინ მანგუბერტის 1226 წ. სპილ. მონეტა.
15. 1926 წ. ბიჭვინტაში ნაპოვნი რუმის სელჩუკიდების ვერცხლის მონეტები 8 ც.
16. 1922 წ. ს. ზვარეში (ზემო იმერეთი) ნაპოვნი რუმის სულტნის ქეიკუბად I-ის ვერცხლის მონეტა.
- 16 a 1926 წ. რაჭაში ნაპოვნი რუმის სულტნის ქეიკუბად I-ის (1219—1231 წ.) 14 ც. და ქეიხოსრო II-ის (1236—1245 წ.) 1 ც. ვერცხლის ფული.

17. 1912 წ. ართვინში ნაპოვნია სელჩ. ქეიხოსრო II-ის ვერცხლის მონეტა.
18. 1930 წ. ს. ძეგეში (თბ. რ.) ნაპოვნია ჰულაგ. ქრისტ. დირჰემი არღუნის (1284—1291 წ.) დროისა.
19. 1931 წ. კახეთში ნაპოვნი ჰულაგ.-ქრისტ. დირჰემი არღუნის დროისა.
20. 1926 წ. კახეთში ნაპოვნი აბალა ილხანის (1256—1282 წ.) დირჰემები 4 ც., არღუნისა 1 ც.
21. 1934 წ. საინგილოში, ს. სებათლოში ნაპოვნი ჰულაგ.-ქრისტ. ვერცხლის მონეტა, 2 ც.
22. 1937 წ. თბილისში, ყ. მადათოვის კუნძულზე, უპოვნიათ ქილა, რომელშიაც. ყოფილა სპილ. ფულები. აქედან მე ვნახე ორი ცალი: ერთი, გიორგი III-ისა შევარდნიანი, მეორე ჯალალ-ედ-დინისა 1226 წ. მოჭრილი.
23. 1937 წ. თბილისში, მუსულმ. სასაფლაოზე, უპოვნიათ სპილ. ფულები თამარისა და ჯალალ-ედ-დინისა.
24. 1936 წ. თბილისში, ავლაბარში, მიწის თხრის დროს უპოვნიათ 1400 ც. სპილენძის ფული, უმთავრესად რუსუდანისა. არის თითო-ოროლა თამარ-დავითისაც.
25. 1938 წ. ს. გუბში (ხონის რაიონი) ხენის დროს აღმოუჩენიათ 100-მდე ვერცხლნარევი ოქროს ფული ქილით. აღწერილობის მიხედვით ფულები XI ს-ის ბიზანტიური უნდა იყოს.
- 25a. 1936 წ. კახეთში, სოფ. ვარდისუბანსა და გულგულას შუა, ნატკორაში, მიწის გადამრუნების დროს უპოვნიათ 11 ც. ვერცხლნარევი ოქროს ფული. ერთი ცალი, დაცული თელავის მუზეუმში, ნიკიფორე III-ისა აღმოჩნდა.
26. ლავოდების მახლობლად ნაპოვნია ქილით მონღოლური ვერცხლის ფული. აღწერით აბალა ყაენისა უნდა იყოს.
27. ცალკე უნდა შევხვთ დმანისში (ბაშკიჩეტის რაიონი) გათხრების დროს ნაპოვნი ფულს¹. 1936 წელს წარმოებული არქეოლოგიური თხრის დროს აღმოჩნდა მოზრდილი რაოდენობა ფულისა, უმთავრესად სპილენძისა, რომლიდანაც ჩვენთვის საინტერესო ეპოქისა არის: დიმიტრი I, გიორგი III, თამარ და დავით, რუსუდან, დავით IV და V, ილდიგიზიდები ყიზილ-არსლან და აბუ-ბეჟრ, ჰულაგუიდი არღუნი, ჰულაგ.-ქრისტიანული, ეგუბიდი აშრაფ-მუსა (1210—1230 წ.), ჯალალ-ედ-დინი, სულჟუკები რუმისა ქეიკუბად I და ქეიხოსრო II, სომხ. მონღოლური 1280—82 წ., ბიზანტიური ბასილ II და კონსტ. VIII, მიხეილ IV, თეოდორა, ისააკ I, რომანოზ IV, მიხეილ VII, ჰენრი ფლანდრიელი (1205—1206 წ.).

¹ დმანისის ფულების შესახებ მხადდება ცალკე მონოგრაფია.

დამატებითი ცნობები

28. 1937 წ. სოფ. ყვარელში (კახეთი) ნაპოვნია თამარ-დავითის მონეტა 1200 წლის.
- 29 1937 წ. სოფ. პატარა ლილოში (თბილ. რაიონი) მიწის თხრის დროს აღმოჩენილა სპილ. ფულების განძი. განძი ქილაში ყოფილა მოთავსებული; სულ 300 ცალამდე ყოფილა. აქედან მოპოვებული ნაწილი თამარის და ლაშა გიორგის არაწესიერი ჭედის ფულებია; არის გიორგი III-ის არაწესიერი ჭედის და ილდიგიზიდებისა ც. ზუსტი ცნობების მიღება შესაძლებელი იქნება მონეტების გაწმენდის შემდგომ.

XI—XIII ს-ის ნუმიზმ. განკვეთის ტოპოგრაფია

ადგილი	ვისი ფულებია
1. ქ. ანისი (ყარსის ოლქი)	ა. ბიზანტიური 148 ¹ ბ. ქართული " გ. ჰულაგ.-ქრისტ. "
2. ართვინი	სელჩუკიდები რუმისა 17
3. არტანუჯი	ქართული 134
4. ახალქალაქი (ჯავახეთი)	ქართული 134
5. ახალციხე და მისი რაიონი	ა. ბიზანტიური 93 ბ. ორთუკიდები 137 გ. ტრაპიზ. ასპრების მიმბაძველობა 143 დ. ჰალაბის ათაბაგები 137
6. ბარდავი	ჰულაგუიდები 153
7. ბირთვისი (თბილისის მაზრა)	ტრაპიზ. ასპრების მიმბაძვ. 145
8. ბიჭვინთა (სოხუმის რაიონი)	რუმის სულტნები 140, 15
9. ს. გუბი (ხონის რაიონი)	ბიზანტიური 25
10. გურია	ბიზანტიური 98
11. ს. დვირი (ბორჯომის ხეობა)	ბიზანტიური 10
12. ს. დილომი (თბილისის რ.)	ა. ილდიგიზიდები 115, 122 ბ. სელჩუკიდები აზერბაიჯანისა . . . 115 გ. სელჩუკიდები რუმისა 115 დ. ქართული 115

¹ ხაზგასმული ციფრი მიუთითებს ე. პახომოვის ნაშრომის „Монетн. клады Азерб.“ სათანადო ნომერს, ჩვეულებრივი კი ჩემ მიერ შემოთავაზებული სიის ნომერს.

13. ს. დმანისი (ბაშკიჩეთის რ.)	ა. ბიზანტიური ბ. ეაუბიდი გ. სელჩუკიდები რუმისა დ. სომხ.-მონღოლური ე. ქართული ვ. ჩინგიზიდები ზ. ჯალალ-ედ-დინი ც. ჰულაგუიდები თ. ილდიგიზიდები ი. ჰულაგუიდურ-ქრისტ.	} 27
14. ეჩმიადინი (სომხეთი)	ა. ილდიგიზიდები ბ. ქართული	116 116
15. ს. ვეჯინი (კახეთი)	ქართული	2, 3
16. ს. ზვარე (ზემო იმერეთი)	რუმის სელჩუკიდები	16
17. კალიზმანი	ქართული	134
18. კახეთი	ა. ჰულაგ.-ქრისტიანული ბ. ჰულაგუიდები	19 20
19. ს. კოპიტნარი (ქუთაისთან)	ტრაპიზ. ასპრების მიმბაძე	166
20. კრწანისი (თბილისთან)	ქართული	7, 8
21. ლაგოდეხი	ჰულაგუიდები	26
22. ლორე	ბიზანტიური	105
23. ს. მუხრანი (თბ. რ.)	ქართული	5
24. ნატკორა (კახეთი, თელავ. რ.)	ბიზანტიური	25a
25. ოლთისი	ბიზანტიური	104
26. რაჭა	ა. ბიზანტიური ბ. რუმის სელჩუკიდები	97, 13 16a
27. როდიონოვკა (ახალქალაქ. რ.)	ა. ქართული ბ. ჯალალ-ედ-დინი	138 138
28. საფარა (ახალციხის რ.)	ბიზანტიური	96
29. საქარა (იმერეთი)	ბიზანტიური	10a
30. სებათლო (საინგილო)	ჰულაგ.-ქრისტიანული	21
31. სიღნაღი	ა. ილდიგიზიდები ბ. ქართული	114 1, 114
32. სოხუმი	ქართული	102
33. თბილისი	ა. ბიზანტიური ბ. ეაუბიდები გ. ილდიგიზიდები დ. მოსულის ათაბაგები ე. ორთუკიდები ვ. სელჩუკიდები რუმისა ზ. ქართული	11 } 139 136, 139 136, 139 22, 23, 24, 92, 113, 117, 118, 126, 128, 129, 133

	ც. ჯალალ-ედ-დინი	14, 22, 23, 127, 128, 129
	თ. ჰულაგუიდები	150
34. თბილის-ლენინაკანის გზა	ა. ქართული	4
	ბ. ჯალალ-ედ-დინი	4
35. ფარნაუთი	ქართული	134
36. ს. ქედა (აქარა)	ბიზანტიური	103
37. ქუთაისი და მისი რაიონი	ა. ტრაპიზონული	142
	ბ. ტრაპიზ. ასპრების მინბაძველობა	144
	გ. ქართული	132
38. ყარსი	ქართული	131
39. ს. შიბლიანი (კახეთი)	ბიზანტიური	9
40. შიომღვიმის მონასტ. (თბ. რ.)	ა. ბიზანტიური	6a
	ბ. ქართული	6a
	ბიზანტიური	12
41. ჩხარი (იმერეთი)	ბიზანტ. ან ტრაპიზონული	141
42. ს. ძანსული (ართვინის ოლქი)	ჰულაგ.-ქრისტიან.	18
43. ს. ძეგვი (თბ. რ.)	ქართული	135
44. ხადიუენის სიმაგრე (ყუბანზე)	ქართული	6
45. ჯვარის მონასტ. (მცხეთასთან)	ქართული	3a
46. კოჯორი	ქართული	3b
47. მცხეთა-ნატახტარის გზა	ქართული	28
48. ყვარელი (კახეთი)	ა. ქართული	29
49. პატარა-ლილო (თბილ. რ.)	ბ. ილდიგიზიდები	29

კუთვნილება

1. ბიზანტიური

პოვნის ადგილი

1. ანისი	148
2. ახალციხე და მისი რ.	93
3. ს. გუბი (ხონის რ.)	25
4. გურია	98
5. ს. დვირი (ბორჯ. ხ.)	10
6. დმანისი	27
7. ლორე	105
8. ნატკორა	25a
9. ოლთისი	104
10. რაჭა	13, 97
11. საფარა	96
12. თბილისი	11
13. ს. ქედა (აქარა)	103
14. ს. შიბლიანი (კახეთი)	9
15. შიომღვ. მონასტ.	6a

	16. ჩხარი (იმერეთი)	12
	17. ძანსული(ართვ. ოლქ.)	141
2. ეგუბიდები	1. დმანისი	27
	2. თბილისი	139
3. ილდიგიზიდები	1. დილომი	115, 122
	2. დმანისი	27
	3. ეჩმიაძინი	116
	4. პატარა-ლილო	29
	5. სილნალი	114
	6. თბილისი	139
4. მოსულის ათაბ.	თბილისი	139
5. ორთუკიდები	1. ახალციხე და რ.	137
	2. თბილისი	136, 139
6. სელჩუკიდები ახერბაიჯ.	დილომი	115
7. „ რუმისა	1. ართვინი	17
	2. ბიკვინთა (აფხაზ.)	15, 140
	3. დილომი	115
	4. დმანისი (ბაშკიჩ. რ.)	27
	5. ზვარე (ზემო იმერ.)	16
	6. რაჭა	16a
	7. თბილისი	136, 139
8. სომხურ-მონღოლური	დმანისი	27
9. ტრაპიზონული	ქუთაისი და რაიონი	142
10. ტრაპიზონული ასპრ. მიმბაძე.	1. ახალციხე და რაიონი	143
	2. ბირთვისი (თბ. რ.)	145
	3. კოპიტნარი (ქუთ. რ.)	166
	4. ქუთაისი და რაიონი	144
1. ქართული	1. ანისი	148
	2. არტაანი	134
	3. ახალ-ქალაქი	134
	4. დილომი	115
	5. დმანისი	27
	6. ეჩმიაძინი (ს. აგნატუნი)	116
	7. ს. ვეჯინი (კახეთი)	2, 3
	8. კალიზმანი	134
	9. კოჯორი	3a
	10. კრწანისი (თბილ. რ.)	7, 8
	11. ს. მუხრანი	5
	12. მცხეთა-ნატახტარის გზა	3b
	13. პატარა ლილო (თბილ. რ.)	29
	14. ს. როდიონოვკა (ახალქ. რ.)	138
	15. სილნალი	1, 114

- | | | |
|------------------------|--|-----|
| | 16. სოხუმი | 102 |
| | 17. თბილისი . . . 22, 23, 24, 92, 113,
117, 118, 126, 128, 129, 133 | |
| | 18. თბილ.-ლენინაკანის გზა | 4 |
| | 19. ფარნაუთი | 134 |
| | 20. ქუთაისი და მისი რ. | 132 |
| | 21. ყარსი | 131 |
| | 22. ყვარელი (კახეთი) | 28 |
| | 23. შიო-მღვიმის მონასტ. | 6a |
| | 24. ხადიენის სიმაგრე ((ყუბანზე) | 135 |
| | 25. ჯვარის მონასტერი (მცხეთა) | 6 |
| 12. ჩინგიზიდები | დმანისი | 27 |
| 13. ჯალალ-ედ-დინი | 1. დმანისი | 27 |
| | 2. როდიონოვკა | 138 |
| | 3. თბილისი 14, 22, 23, 127,
128, 129 | |
| | 4. თბილის-ლენინაკანის გზა | 4 |
| 14. ჰალაბის ათაბაგი | ახალციხე და მისი რაიონი | 137 |
| 15. ჰულაგუიდები | 1. ბარდავი | 153 |
| | 2. დმანისი | 27 |
| | 3. კახეთი | 20 |
| | 4. ლაგოდენი | 26 |
| | 5. თბილისი | 150 |
| 16. ჰულაგ.-ქრისტიანული | 1. ანისი | 148 |
| | 2. დმანისი | 27 |
| | 3. კახეთი | 19 |
| | 4. სებათლო (საინგილო) | 21 |
| | 5. ს. ძეგვი (თბ. რ.) | 18 |

იმ ცნობებზე დამყარებით, რომლებიც ჩვენ მოგვეპოება XI—XIII ს. ნუმიზმატ. განძების აღმოჩენის შესახებ საქართველოს და მისი მახლობელი მეზობლების ტერიტორიაზე, შესაძლებელი ხდება დავსახოთ ფულის გავრცელების რუკა მოცემული დროის ფარგლებში. თავის-თავად ცხადია, ამ რუკას არ ექნება ზედმიწევნითი სისრულის პრეტენზია, ვინაიდან ჩვენს ხანაში ყოველს ახალს დღეს მოაქვს ახალ-ახალი მასალა. ამ მხრით—ახალმა აღმოჩენებმა ამ სფეროში შესაძლებელია შეიტანოს ამჟამად არსებული ფაქტების საფუძველზე შედგენილ რუკაში მნიშვნელოვანი დამატებანი და შესწორებანიც კი. ჯერჯერობით, იმის მიხედვით, რაც გვაქვს, ფულის გავრცელება საქართველოში იხატება შემდეგნაირად: ქართული ფული ვრცელდება მთელს საქართველოში, უფრო ინტენსიურად მის აღმოსავლეთ ნაწილში სამცხეთურთ. დასავლეთ საქართველოში ქართული ფულის გავრცელების შესახებ მცირე ცნობები გვაქვს; საფიქრებელია, რომ მომავალი აღმოჩენები შეაყვებს ამ დიდ ხარვეზს.

უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ ქართული ფული ამ საუკუნეებში (უმთავრესად XII-ის დამლევს და XIII-ის პირველ ნახევარში) ჰლახავს საქართველოს საზღვრებს და ვრცელდება უმთავრესად სამხრეთის, სახელდობრ ყოფ. სომხეთის მიმართულებით—სომხეთში ბევრგან არის ნაპოვნი ქართ. ფულის განძები და ცალკეული მონეტები. აღმოსავლეთის მიმართულებით, ყოფ. შირვანის სომეფში ქართ. ფულის პოვნა დადასტურებული არ არის, თუმცა ის მჭიდრო პოლიტიკური ურთიერთობა, რომელიც არსებობდა შირვანსა და საქართველოს შორის, არ შეიძლება ყოფილიყო გარეშე ეკონომიური ურთიერთობისა. იქნებ ახლო მომავალმა აქაც მოგვცეს ახალი ცნობები. ქართულ ფულს მიუღწევია ჩრდილოეთით ყუბანის ხეობამდე: 1848 წ. ხადიჯენის სიმაგრის (ყუბანის ოლქი, მაიკოპის განყ.) აგების დროს ნაპოვნი ხუთას ცალზე მეტი რუსუდანის სპილენძის ფული.

დიდად გავრცელებული ყოფილა საქართველოში ბიზანტიური ფული. ამ ფულის პოვნა დადასტურებულია როგორც დასავლეთ საქართველოში,—გურია, იმერეთი, რაჭა,—ისე აღმოსავლეთშიაც—კახეთი, ქართლი და მესხეთი. სპილენძთან შედარებით მოძრაობის უფრო მეტს უნარს იჩენს ბიზანტიური ოქროს ფული, რომელიც ვრცელდება საქართველოს დასავლეთიდან უკიდურეს აღმოსავლეთამდე. იშვიათი არ არის ბიზანტიური ოქროს ფულის აღმოჩენა განძის სახით (რაჭა, გურია, ს. დვირი, საფარა, ს. გუბი, ს. ნატკორა). სხვა ცნობებიდანაც ირკვევა, რომ ბიზანტ. ოქროს ფული დიდის რაოდენობით შემოდის საქართველოში: დავით აღმაშენებლის ანდერძიდან ვგებულობთ, რომ მას ატენის საჭურჭლეში ბლომად სდებია დუკატი და ბოტინატი, რომლებიც ნადავლის სახით („ჩემი ნასისხლი“) მოუტანია რომლიღაც ომიდან. ცნობილია, რომ დავითს ბიზანტიასთან ომები არ უწარმოებია. ბიზანტ. ფული მას, როგორც ჩანს, მუსულმანურ სახელმწიფოებთან ომების შედეგად მიუღია. მაშასადამე, არა მარტო საქართველოში ყოფილა ბიზანტიური ოქროს ფული ხმარებაში, არამედ საქართველოს მეზობელ მუსულმანურ სახელმწიფოებშიაც.

XIII ს-ნიდან საქართველოში შემოდის ტრაპიზონული ვერცხლის ფულიც და ვრცელდება, როგორც მოსალოდნელიც იყო, უმთავრესად სამხრეთ და დასავლეთ საქართველოში. აქვე იჭრება და ვრცელდება ამ ფულების მიმბაძველობაც.

XI—XIII ს-ის სხვადასხვა მუსულმანური დინასტიის (ეგუბიდების, ილდიგიზიდების, ორთუკიდების, აზერბაიჯანის სელჯუკიდების, მოსულისა და ჰალაბის ათაბაგების) და წონღოლების სპილენძისა და ვერცხლის ფული უმთავრესად აღმოსავლეთ საქართველოში ვრცელდება. დასავლეთი საქართველო, როგორც ჩანს, ამ ფულს არ ხმარობს. ცალკე უნდა აღინიშნოს რუმის სელჩუკების ვერცხლის ფული, რომელიც შემოდის საქართველოს, როგორც აღმოსავლეთს, ისე დასავლეთს ნაწილშიაც. ამ უკანასკნელში განძების სახითაც (რაჭა, ბიჭვინთა).

ლ მუსხელიაძეგაღა:

დამახისა

ქალთაქის :

ნაგონია
ნაქალთაქის

აღმსახურა :

დმანისში, შ. რუსთაველის საიუბილეო კომიტეტის თაოსნობით, უკვე ორი არქეოლოგიური კამპანია ჩატარდა: პირველი კამპანია წარმოებდა 1936 წლ. აგვისტოს 22-დან ოქტომბრის 29-მდე, მეორე—1937 წლ. აგვისტოს 26-დან ოქტომბრის 3-მდე.

დმანისში წარმოებული მუშაობა არის მხოლოდ ერთი მცირე ნაწილი იმ დიადი კულტურული საქმისა რომელიც, როგორც მთელს საბჭოთა კავშირში, ისე კერძოდ საქართველოშიც კეთდება ჩვენი ხელისუფლებისა და პარტიის ინიციატივითა და ხელმძღვანელობით. საქართველოსთვის უჩვეულოა როგორც თვით ფაქტი მთელი ნაქალაქარის არქეოლოგიურად შესწავლისა, თუ არ ვიანგარიშებთ იმ მცირე ცდას, რომელიც 1930/31 წელს იყო გაკეთებული ნოქალაქევი, ისე მასშტაბი, რომლითაც გათხრები დმანისში წარმოებდა. ამასთან, ორივე ექსპედიცია ჩაყენებული იყო განსაკუთრებით ხელსაყრელ პირობებში და მთელი მუშაობის განმავლობაში სარგებლობდა როგორც ცენტრალური, ისე ადგილობრივი ხელისუფლების კეთილსასურველი განწყობილებით.

გათხრებს ხელმძღვანელობდა პროფ. ივ. ჯავახიშვილი, ხოლო კონსულტანტად მოწვეული იყო პროფ. გ. ჩუბინაშვილი. როგორც ველზე მუშაობის დროს, ისე შემდეგ, კოლექციების შესწავლისას და წინამდებარე წერილის შედგენისას, ჩვენ უხვად ვსარგებლობდით ამ ორი პატივცემული მეცნიერის რჩევა-დარიგებით. ადგილზე მუშაობდნენ, გარდა ავტორისა, 1936 წ.: საქ. მუზეუმის უფრ. მეცნ. თანამშრ. სტ. მენტეშაშვილი, მეტეხის ხელოვნ. მუზეუმის ასპირანტი ირ. ქასაშვილი, შ. რუსთაველის მუზეუმის უფრ. მეც. თანამშრ. შ. ხიდაშელი, არქიტექტორები ც. გაბაშვილი და ვლ. მდივანი, ფოტოგრაფები ე. ერისთავი და მ. არანდარენკო; 1937 წ.: ი. ქასაშვილი, დ. კაპანაძე, სტუდ. დ. ლაშქარაძე, შ. რუსთ. მუზეუმის უმცრ. მეცნ. თანამშრ. ვ. ჯაფარიძე, არქიტექტორები ც. გაბაშვილი და რ. მეფისაშვილი, რესტავრატორი ირ. ჯაფარიძე და ფოტოგრაფი ლ. მაქავარიანი. დმანისის ნაქალაქარის ტოპოგრაფიული გეგმა შეასრულეს ტოპოგრაფებმა გ. ქავთარაძემ, ა. ქავთარაძემ და დ. მიქელაძემ.

1936 წლის კამპანიის განმავლობაში არქეოლოგიურად შესწავლილ იქნა ქალაქის ზემო ნაწილი საცდელი თხრილების (შურტების) საშუალებით, საფუძვლიანად გაითხარა და გაიწმინდა ციხის აბანო და მარნიანი შენობა სიონის ჩრდილოეთით (შენობა I), ხოლო ნაწილობრივ გაითხარა ქალაქის ჭიშკარი და გარეუბნის ქვემო-აბანო. მაშინვე იქნა აღმოჩენილი და გაწმენდილი ბანებიანი ბელელი (შენობა II) ქალაქის „ქვემო-ქუჩაზე“. გაიხონა სიონი კარიბჭეებითურთ, სამრეკლო, ციხის აბანო, ბელელი, მარინეს ეკლესია, ორი მუსლიმანური მავზოლეუმი გარეუბანში. წაკითხულ და ფოტოგრაფიულად გადმოღებულ იქნა ყვე-

ლა წარწერა, ზოგიერთი სპარსულ-არაბულის გარდა. შესრულდა შემდეგი ექსკურსიები ქალაქის რაიონის შესწავლის მიზნით:

1. ისპიანის ხეობაში (კაზრეთი, ისპიანი, სამტრედო, სათხე), 2. მაშავრის ხეობაში ნაქალაქარის ზემოთ (ტნუსის თეკენები), 3. ფინეზაურის ხეობაში (ფინეზაური, საფარლუ, მამიშლუ), 4. პატარა ექსკურსია ყაფარა-სოფელში, პატ. დმანისის ზემოთ, 5. ლოქის წყლის ხეობაში და იქიდან ბაშქიჩეთში (შუშის ქარხანა, ყიზ-ქილისა, ჰამამლუ, ზემო-ოროზმანი, ქვემო-ოროზმანი), 6. მაშავრის ხეობაში ვიდრე ქვეშამდე (აბულბუგი, ორსაყდარი, „დაქცეული საყდარი“, სვეტი-ცხოველი, კიანეთი, ქვეში), 7. ლუკუნის მთაში (გარდისუბანი, დიდი დმანისი, ბოსლები, სამეზა, კაკლიანი, ყიზილ-ქილისა, შინდლარი, ბაშქიჩეთი), 8. მაშავრის ხეობაში (კიანეთი, დავით-საგარეჯო კაზრეთის ქვემოთ).


ამ ექსკურსიების შედეგად, სხვათა შორის, გაზომილ იქნა სამების ტაძარი ბოსლების ხევი (XIII/XIV ს.) და ჰამამლუს ეკლესია (XII ს.). ექსკურსიებითურთ სულ გადაღებულ იქნა 400 მდე ფოტოსურათი. ტოპოგრაფიულად აიგეგმა ქალაქი ვალაენის ფარგლებში.

1937 წლის არქეოლოგიური კამპანიის განმავლობაში დასრულდა ციხის აბანოს და I-ლი შენობის გამოწმენდა, გაითხარა ბოლომდე გარეუბნის ქვემო და ზემო აბანოები და ნაწილობრივი გათხრა იქნა ჩატარებული შუა-აბანოში; გაითხარა ქალაქის ჭიშკარი და გასუფთავდა ძველი ქუჩა 20 მ-ის მანძილზე; ჩატარებულ იქნა საცდელი გათხრა შიდა-ციხეში, რომელიც ნაწილობრივ გაიწმინდა კიდეც; შესწავლილ იქნა თახჩიანი შენობა შუა-ქალაქში (შენობა III), რომელიც გარეშემოთხარა და რომლის შიგნით სამი შურფი გატარდა; ქალაქის ქვემო ნაწილში ერთი შენობა (№ VIII) მთლიანად გასუფთავდა, სამი შენობა (IV, V, VI) გაითხარა და გასუფთავდა ნაწილობრივ (უშედეგობის გამო) და დაწყებულ იქნა მე-VII შენობის გათხრა, რომელმაც საინტერესო შედეგი მოგვცა, მაგრამ რომელიც ჯერ ბოლომდე მიყვანილი არაა. გაიზომა და აიგეგმა გარეუბნის ორივე გათხრილი აბანო, ჭიშკარი და ქუჩა, შიდაციხე და მისი მიდამოები, შენობა I, III, VIII, უბნის ეკლესიები, ხელმეორედ გაიზომა ციხის აბანოც. ფოტოგრაფირებულ იქნა დამატებით სპარსულ-არაბული წარწერებიც.


ექსკურსია მხოლოდ ორი მოხერხდა: 1. ბოლნისის ხეობაში (ძველი საქარავნო, „აქლემის გზით“ გორუნჯუკში, მარაბდაში, უკან-გორში, კვრინჩხიანში, ბალიჭებში, ბოლნის-ხაჩინში, სამწევრისში, „თურუნ-ახპერში“, ბოლნისის სიონში), 2. მაშავრის ხეობაში ნაქალაქარის ზემოთ (ორი ეკლესიის ნანგრევი, სასაფლაო და ნასოფლარი მაშავრის მარცხენა ნაპირას). ექსკურსიების შედეგად გაიზომა უკან-გორის ტაძარი.

გადაღებულ იქნა 300-მდე ფოტოსურათი. ტოპოგრაფიულად აიგეგმა დმანისის გარეუბანი.

ამგვარად, საკმაოდ დიდი მუშაობაა ჩატარებული, რომლის შედეგების მთლიანი სახით წარმოდგენა ჯერჯერობით შეუძლებელია. დიდი ნაწილი მასალისა ჯერ კიდევ შემდგომ დამუშავებას მოითხოვს. საზოგადოდ, საბოლოო დასკვნების გამოტანა ჯერ ნაადრევია. წინამდებარე წერილიც განზრახულია მხოლოდ როგორც წინასწარი ანგარიში.



სურ. 1. დმანისის ნაქალაქარის ასახულობა სამხრ.-აღმოსავლეთიდან.



სურ. 2. ნაქალაქარის ასახულობა შიდა-ციხიდან.

I.

დმანისის ნაქალაქარი ასიოდე კილომეტრითაა დაშორებული თბილისს სამხრეთ-დასავლეთისაკენ. იგი მდებარეობს თბილისიდან კალინოვკაში (ყოფ. ვორონცოვკაში) მიმავალ გზაზე. ეს გზა არუხლოსთან გადასჭრის მდ. ქციას და ამჟამად ლუქსემბურგზე და ქვეშე გავლით აჰყვება მდ. მაშავრისა და მერმე მისი მარჯვენა შემდინარის, ფინეზაურის (ყარასუს), მარცხენა ნაპირს ვიდრე დმანისამდის, რომლის ზემოთ იგი სამხრეთისაკენ გადაუხვევს, რათა ლოქის უღელტეხილით, ლორეზე გავლით, სომხეთში გადავიდეს.

ბაშქიჩეთის რაიონი, რომლის ფარგლებშიც მოქცეულია დმანისი, მთიანი მხარეა. სამხრეთით იგი შემოფარგლულია ლოქის მთით, დასავლეთით—კეჩუთის ქედით, რომელიც მას ჯავახეთისაგან საზღვრავს, ჩრდილოეთით მდ. ქციით იგი ესაზღვრება წალკისა და აღბულახის რაიონებს, ხოლო აღმოსავლეთით ლუქსემბურგის რაიონთან მას ბუნებრივი საზღვარი არა აქვს. ჩრდილო ნახევარი ბაშქიჩეთის რაიონისა ტყეებით დაფარულ ლუკუნის მთას უჭირავს, რომლის სამხრეთითაც გაშლილია მაღალი და ფართო, ხეს სრულებით მოკლებული,—ბაშქიჩეთის პლატო. ეს პლატო ვულკანური წარმოშობისაა: დასავლეთში მდებარე ცენტრიდან მეოთხედის ხანაში წამოსულა ბაზალტის ძლიერი ნაკადი, რომელიც მდ. მაშავრის კალაპოტს გაჰყოლია და აქ შუაჯარის შრეებზე გადასხმულა, ხოლო თვითონ მდინარე სამხრეთისაკენ გადაუგდია. იქ, საცა მაშავრს მარჯვნიდან მდ. ფინეზაური (ყარასუ) ერთვის, ლავის ერთი პატარა შტო სამხრეთისაკენ წარზიდულა. ორსავ წყალს ბაზალტის ნაკადში ღრმა კანიონები ჩაუჭრიათ: ასე შექმნილა ამ ორი მდინარის შესართავში ის 90—100 მეტრის სიმაღლის ქარაფოვანი კონცხი, რომელზედაც მოთავსებული იყო ძველი დმანისი (ნ. სურ. 1 და 2)¹.

ვახუშტის „დმანის ვევი“ ცალკე გეოგრაფიულ ერთეულად აქვს გამოყოფილი. ეს ტერიტორია მდ. მაშავრის სისტემას შეადგენს და ისაზღვრება: სამხრეთიდან ყარაღაჯისა და ლოქის მთით, აღმოსავლეთიდან ბოლნისის მცირე მთით, ჩრდილოეთიდან ლუკუნისა, ხოლო დასავლეთიდან კეჩუთისა და ბოლოლის მთებით,² ე. ი., აწინდელი ბაშქიჩეთის რაიონის გარდა, მოიცავს ლუქსემბურგის რაიონის უდიდეს ნაწილსაც. იგი ბუნებრივად იყოფა ორ ნაწილად: აღმოსავლეთი ნაწილი, სადაც ჩრდილოეთიდან ხინწისა და გეტის ხეობები, ხოლო სამხრეთიდან ბალიჭისა და კაზრეთის ხეობები ჩამოდის (ყველა მაშავრის შემდინარეებია), შედარებით დაბალია (საშუალოდ, 600—800 მეტრი ზღვის ზედაპირიდან) და, ვახუშტისა არ იყოს, „ფრიად ნაყოფიერი ყოვლითავე, ვენახ-ხილითა, თესლ-მარცვალთათა... ზამთარს თბილი და მშვენიერი, ზაფხულს შეზავებული“ (გეოგრაფია, გვ. 50); აქ მისდევენ სხვადასხვა ინტენსიურ კულტურას—მემინდ-

¹ ცნობები ამ რაიონის გეოლოგიისათვის თავაზიანად გადმომცა დოქ. პ. გ. ა. მ. ყ რ ე ლ ი-ძ ე მ, რისთვისაც პატივცემულ მკვლევარს წრფელ მადლობას მოვახსენებ.

² ნ. ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი ვ ა ხ უ შ ტ ი, საქართველოს გეოგრაფია, გამომც. მ. ჯ ა ნ ა შ ვ ი-ლის რედაქციით, თბ. 1904 წ. = ვ ა ხ უ შ ტ ი, გეოგრაფია, გვ. 48.

ვრეობის გვერდით, მევენახეობას, მებაღეობას, მეთამბაქოვნობას და სხვ., ხოლო მესაქონლეობას ნაკლებად; ტყეებითაც მდიდარია ეს მხარე, განსაკუთრებით საძვრეთისაკენ, სადაც დღეს მოსახლეობა ჯერ არც კი შექრილა. დასავლეთი, უდიდესი ნაწილი „ღმანის ვევისა“ კი გაცილებით უფრო მაღალია (1000—1300 მეტრი ზღვის ზედაპირიდან და მეტი) და უმთავრესად მესაქონლეობის რაიონს წარმოადგენს. ვახუშტით, ეს მხარე „ჰავით არს ბშვენი, არამედ ზამთარს ცივი, ზაფხულს ცხელი, უვენახო, უხილო“ (გეოგრაფია, გვ. 49). მართლაც, ბაშქიჩეთის პლატო ნათესებს უჭირავს, სამაგიეროდ გარშემორტყმულ ტყიან მთებზე სახნავი მიწა ცოტაა, ხოლო უფრო მაღლა უკვე საბალახოების ზონა იწყება. ღმანის სწორედ ამ შედარებით მაღალ მთის რაიონში მდებარეობს, თითქმის 1400 მეტრის სიმაღლეზე ზღვის დონიდან. აქ მოდის დოლი, დიკა, „გომპარი“, ქერი, სიმინდი, კარტოფილი, ლობიო. ხილი ძალიან ცოტაა, მევენახეობა არ იციან.¹

სასაფლო მეურნეობის მთავარი დარგი აქ მეცხვარეობაა. აშენებენ აგრეთვე ცხენს, ძროხას და ღორს, მისდევენ მეფუტკრეობასაც და მცირედ მე-თევზეობასაც (მაშვერში კარგი ხრამული იცის). და მაინც ეს ადგილი, ჰავით საუცხოო, წყლებითაც მდიდარი, საზოგადოდ რომ ავიღოთ, მწირია. მაშავრის ქვემოწელი, თავისი ბუნებრივი სიმდიდრის გამო, ყოველივის იზიდავდა მოსახლეობას; მართალია, მას უკან, რაც ეს მხარე მე-18 ს-ში გაუჟაცურდა, აქ ჯერ ისევ ბევრია დაუსახლებელი ნასოფლარი და ნანგრევი, მოსახლეობა აქაც გაცილებით უფრო მეჩხერია ამჟამად, ვიდრე ეს უწინ ყოფილა, ჯერ კიდევ ვახუშტის დროს, და, მაგ., დამბლუტის ხეობაში სულ ამ ხუთიოდე წლის წინათ შევიდნენ კოლმეურნეები ვარდისუბნიდან, ისიც მხოლოდ უკან-გორში (17 კომლი), მაგრამ ახალშენები აქ სწრაფად იკიდებენ ფეხს, მრავლდებიან და დოვლათიანად ცხოვრობენ. პირიქით, ფინეზაურის ხეობაში, განსაკუთრებით მას უკან, რაც ბამბაკის რკინიგზის გაყვანის გამო აქაურმა გზატკეცილმა თავისი სავაჭრო მნიშვნელობა საბოლოოდ დაკარგა, ახალშენები ვერც იმდენად იკიდებენ ფეხს, ვერც იმდენად მრავლდებიან და ხშირად ბეჩაობენ კიდევ. ნადირით სავსე უღრანი ტყე ჩამოსულია თითქმის უმეშვეოდ ფინეზაურის პირამდე, სახნავი მიწა ცოტაა, იალაღები შორსაა. სოფლები პატარაა, ერთმანეთისაგან კარგა მანძილით დაცილებული. იქ, საცა უწინ, ღმანისის გარდა, დასახლებული იყო ჩინჩ-

¹ უნდა აღინიშნოს კი რომ ღმანისის ცოტა ქვემოთ, 5-ოდე კილომეტრის დაშორებით, ყურძენი უკვე ხარობს. აქ, ფინეზაურის ქალებში, დღეს ვარდისუბნელებს უჭირავთ ვენახები მცირე რაოდენობით. ყურძენს, მართალია, სიტკბო აკლია. მარნების სიმრავლე ღმანისის ნაქალაქარში შესაძლებელია იმის მომასწავებელი იყოს, რომ ძველად ადგილობრივ ღმანისშიც მისდევდნენ მევენახეობას, თუმცა ამის სხვა რაიმე გეში იქ დღეს აღარა ჩანს. მაგრამ თავისთავად ეს შესაძლებლობა გამორიცხული არაა: ასე, მაგ., გომარეთშიც, რომელიც დაახლ. იმავ სიმაღლეზე მდებარეობს, ამჟამად მევენახეობას აღარაფერ მისდევს, უწინ კი მეურნეობის ეს დარგი იქ გავრცელებული უნდა ყოფილიყო, რასაც, ადგილობრივთა მოწმობით, გაველურებული ვაზის სიმრავლე გვიჩვენებს. ყოველ შემთხვევაში, უკვე ვახუშტი, როგორც აღინიშნა, ვენახებს ღმანისში აღარ იცნობს.

ხორო,¹ ყაფარა-სოფელი², სიკიშხანი ანუ სიკიშხანი³, ფინაზაური,⁴ მუტაჯისი-თუ მუტაკისი⁵, ათიოდე კილომეტრის მანძილზე, დღეს მხოლოდ ორი სოფელია მოიპოვება—ქართველებით დასახლებული პატარა დმანისი და თათრებით დასახლებული საფარლუ. მაინც ფინეზაურის მარჯვენა სანაპირო, რომელზედაც მდებარეობს ყველა ზემოხსენებული ძველი ნასოფლარი, ამ შვიდიოდე წლის წინათ სრულებით უკაცური იყო: საფარლუ მარცხნით. მდებარეობს, ხოლო პატარა

¹ იხსენიება 1536 წლ. ბარათაანთ გაყრილობის წიგნში (საქ. ცენტრარქივის გამოც. „საისტორიო მოამბე“ წიგნი I, თ.), 1924 წ. „საისტ. მოამბე“ I, 1924, გვ. 184: „ჩინჩაური“), 1586 წლ. ორბელიანთ სიგელში (თ. ქორდანიას გამოც. „ქრონიკები და სხვ.“, წიგნი II, თბ. 1897 წ. — ქრონიკები II, გვ. 424), 1721 წლის ხალხის აღწერის დავთარში (ნ. ე. თაყაიშვილის გამოც. „მასალანი საქართველოს სტატისტიკურის აღწერილობისა მეთვრამეტე საუკუნეში“, თბ. 1907 = 1721 წლ. ხალხის აღწ. დავთ., გვ. 182, შდ. იქვე, გვ. 303, 329: „ჩინჩაური“; მოსახლეობა აქ ამ დროს მთლიანად სომხურია) და პაპუნა ორბელიანის ისტორიაში 1747 წლის ქვეშ (ნ. ზ. კიკინაძის გამოც. „საქართველოს ცხოვრება“ სენია ჩხეიძისა, პაპუნა ორბელიანისა და სხვათა მიერ, თბ. 1913, გვ. 128: „ჩინჩაური“). 1738 წლ. ნასყიდობის წიგნში მოხსენებულია „ჩინჩაურის ხევი“ (საქართველოს სიძველენი. ტ. II, თბ. 1909 = საქ. სიძვ. II, გვ. 372); „ჩინჩაურ“ დატანებულია ვახუშტის რუკაზეც; დღეს დმანისში შენახულია სახელი „ჩინჩაურას ხევი“. ეს ხევი მარჯვნიდან ერთვის ფინეზაურს პატ. დმანისის ქვემოთ და დღეს მიჯნას წარმოადგენს პატარა დმანისსა და გორუჯუკს შორის.

² ასე ეწოდება პატარა ნასოფლარს, ნასაყდრალითა და ძველი სასაფლაოითურთ, რომელიც მდებარეობს სოფ. პატარა დმანისის აღმოსავლეთით ტყეში, დაახლ. 1 კილომეტრის მანძილზე; აქ არის მე-17—18 ს-ის საელავის ქვები (ერთზე ბარელიეფით გამოსახულია გუთანია). აქედან ჩამოდის ე. წ. „ყაფარასოფლის ხევი“, რომელიც მარჯვნიდან ერთვის ფინეზაურს და ჩრდილოეთიდან სახლვარავს პატარა დმანისს.

³ „სიკიშხანი“ იხსენიება 1536 წლ. ბარათაანთ გაყრილობის წიგნში (საისტ. მოამბე I, 1924, გვ. 183); საინტერესოა რომ ამ საბუთის მიხედვით აქ იმ დროს ოქრომჭედელიც ყოფილა; სიკიშხანი ჩატანილია აგრეთვე 1721 წლის ხალხის აღწერის დავთარში (ნახს. ადგ., გვ. 225). ვახუშტის რუკაზე დატანილია „სიკიშხანი“, ალბათ, იგივე „სიკიშხანი“, თუ აქ უბრალო კორექტურული შეცდომა არაა. პატ. დმანისის ზემოთ, ორიოდე კილომეტრის მანძილზე, ფინეზაურის მარჯვენა ნაპირას ერთ ადგილს, საცა ძველი წისკვილიცაა, „კისისხანა“ ეწოდება; შესაძლებელია ეს იყოს უწინდელი „სიკიშხანი“.

⁴ ფინეზაურის (ანუ, ადგილობრივთა გამოკმით, ფინაზაურის) ნასოფლარი მდ. ფინეზაურის მარჯვენა ნაპირას მდებარეობს, საფარლუს პირდაპირ, პატ. დმანისიდან ხუთიოდე კილომეტრით უფრო ზემოთ. აქ ორი მცირე ერთნავეანი ეკლესიის ნანგრევია, ერთი მეორეს ზემოთ, ორივე თლილი კვით ყოფილა ნაგები; ქვემო ეკლესიის ახლოს გდია წითელი კვა მოკლე ბერძნული წარწერით; იქვე ნასახლარიც ჩანს, რომლის განაპირას ობლად ამართულა დაუმუშავებელი, მაღალი და წვეტიანი კვა (სიმაღლ. 1,95, სისქით ძირთან 1,00, ხოლო წვერთან 0,35 მეტრი), ღრმად ჩასმული მიწაში, რომელიც შეიძლება ე. წ. ვეშაპაიდს წარმოადგენდეს; ზემო ეკლესიის გარშემო კი ძველი სასაფლაოა. უეჭველია ამ სოფელმა მისცა მდ. ფინეზაურს თავისი სახელი. მით უფრო საკვირველია რომ ვახუშტი მას არ იხსენიებს. სხვა საბუთებშიაც ეს სახელი არ შემხვედრია.

⁵ „მუტაჯისი“ იხსენიება 1536 წლ. ბარათაანთ გაყრილობის წიგნში (საისტ. მოამბე I, 1924, გვ. 184), „მუტაჯისი“ კიდევ 1586 წლ. ორბელიანთ სიგელში (ქრონიკები II, გვ. 424). ცხადია რომ ეს ერთი და იგივე სახელია. ვახუშტის რუკაზე დატანილია „მუტაჯისი“, თუ აქაც კორექტურული შეცდომა არაა. 1746 წლის ერთს ორბელიანთ საბუთში ამ სოფელს „მუტაჯისი“ ეწოდება (საქ. მუზეუმის ხელნაწ. განყ-ის ფონდის № 11.559/Hd); 1721 წლის ხალხის აღწერის დავთარში ჩატანილია „მუტაჯისი“, (ნახს. ადგ., გვ. 184), ხოლო დამატებითს სიაში — „მუტაჯისი“ (გვ. 359) და „მუტაჯისი“ (გვ. 303), რაც, ცხადია, ერთი და იგივე უნდა იყოს; მოსახლეობა აქ ამ დროს სომხურია.

დმანისელებმა მხოლოდ 7—8 წლის წინათ დაიწყეს მარჯვენა სანაპიროზე დასახლება, მას უკან რაც აქ წყარო აღმოჩნდა. აღარას ვიტყვი იმ ნასახლარებზე, რომლებიც, ადგილობრივთა გადმოცემით, მრავლადაა გაბნეული უღრან ტყეში, ფინეზაურისაგან დაშორებით.

ბაშქიჩეთის რაიონის მოსახლეობის მხოლოდ უმცირესი ნაწილია იქაური მკვიდრი ჩამონავალი, დიდი უზრავლესობა (თათრები, რუსები, ბერძნები, სომხები და ქართველებიც) იქ მხოლოდ ამ 150—200 წლის განმავლობაში მისულა. დმანისის სანახებში მხოლოდ დიდ დმანისელებს არ ახსოვთ თავისი ჩამომავლობა, დანარჩენებმა კი ყველამ იცის რომ მათი წინაპრები დიდი ხანი არ არის რაც აქ გადმოსახლებულან. უკანასკნელ ანგარიშში ყველა სოფელი დმანისის გარშემო (ბალიჭები, გორუნჯუკი, ვარდისუბანი,¹ პატარა დმანისი, ბოსლები², ყალამშია³, მიჯა⁴) დიდი დმანისიდანაა დასახლებული. ყველა ამ სოფლის

¹ ვარდისუბანი იხსენიება 1586, 1619 და 1620 წლების ქვეშ (ქრონიკები II, გვ. 424, 443). 1721 წლ. ხალხის აღწ. დავთარში ჩატანილია ორი ვარდისუბანი (გვ. 11, 146, 177, 202, 299-352) და კიდევ პატარა ვარდისუბანიც (გვ. 202); მოსახლეობის დიდი უმრავლესობა აქ ამ დროს სომხურია. ვარდისუბანში 60—70 კომლი სახლობს (სომხები და ქართველები). აქ დგას მცირე ერთნავეანი ეკლესია, ძირით თავამდე განახლებული, ისე რომ მხოლოდ კუთხეებში და ლავგარდანზე თუ შერჩა ძველი თლილი ქვა. აღმოსავლეთის კედელში გარედან, საყვავის ქვეშ, ჩუქურთმიანი ჯვრის მწვანე ქვა ჩასმული; დასავლეთი კედლის სარკმელი გამოჭრილია აგრეთვე მწვანე თლილ ქვაში, რომელიც ძველი წნულჩუქურთმიანი დიდი ჯვრის ნაწილს წარმოადგენს; ამ კედელშივე კიდევ ორი ჩუქურთმიანი მწვანე ქვაა ჩასმული, ერთი ქვა კი, აგრეთვე საინტერესო ჩუქურთმით, ლეგა ფერისაა. ყველა ეს ქვა ეკლესიის საერთო აღნაგობას სრულებით არ ეხამება და აქ სხვაგნით უნდა იყოს მოტანილი (ალბათ, სამების ტაძრიდან ბოსლების ახლოს). ეკლესიის დასავლეთით, შესავლის წინ გდია ჯვრის ხარისხის (?) ფრაგმენტი (ნახევარი), ზომ. 87×56×30 სანტ., ძველი სომხური ერთსტრიქონიანი ამოკოდვილი წარწერით (კარგად არ იკითხება). საყდრის გარშემო მოზრდილი სასაფლაოა ძველი და ახალი საფლავებით; ერთ საფლავის ქვაზე (ეკლესიის ახლოს) ძველი სომხური წარწერაა ამოკოდვილი. ეკლესიაში შიგნით ვერ შეგვიძინა (სარკმლიდან ჩანს ქვის სადა კანკელი და საკურთხეველში მდებარე ერთი გრძელი ფილაქანი).

² ბოსლები ჩატანილია 1721 წლ. ხალხის აღწ. დავთარში (გვ. 178); უმრავლესობა აქ ამ დროს სომხობაა. დღეს აქ სულ დაახლ. 120—130 კომლია (ქართველები და სომხები). ეს სოფელი მდებარეობს მაშავრის მარცხენა შემდინარის, ბოსლების ხევის, მარჯვენა ნაპირას. ხევის მარცხენა ნაპირას, სოფლის ჩრდილოეთით, მცირე ერთნავეანი, უსახური ეკლესია დგას ლეთის-მშობლის სახელობისა. აქვე პატარა სასაფლაოცაა: ახალი დროის ზოგიერთ საფლავის ქვაზე კარგად შესრულებული ბარელიეფებია (ოსტატები გომარელი და ბალიჭელი სომხები ყოფილან)— მათ შორის გამოსახულია ჯიღლა, რომელიც ახლა ხმარებაში გამოსულა და ერთი-ორიდაა შენახული სოფელში. არის ბოსლებში სომხური ეკლესიაც სამებისა, რომელიც თვით სოფელში დგას ხევიდან მარჯვნივ. ბოსლებს ხეზოთ დაახლ. 1,5 კილომეტრის დაშორებრთ, ხევიდან მარცხნით, სხვა სამების ნანგრევია, რომელიც მე-13—14 ს-ის შესანიშნავი ქართული ნაგებობის ნაშთს წარმოადგენს; იგი ისეთივე ბაცი მწვანე თირითაა ნაგები, როგორც დმანისის სიონის დასავლეთი კარიბჭე. აქედან უნდა იყოს წადებული ჩუქურთმიანი ქვები ვარდისუბანში.

³ „ყალამშიანი“ ანუ „ყალამშიანი“ ჩატანილია 1721 წლ. ხალხის აღწ. დავთარში (გვ. 185 და 325); დიდი უმრავლესობა აქაც ამ დროს სომხობაა. დღეს აქ ქართველი მოსახლეობაა, ჯავახელები, რომლებსაც თავისი წარმომავლობა კარგად ახსოვთ. ძველი რაიონ ნაშთი ყალამშიაში არ ჩანს.

⁴ მიჯაც ჩატანილია 1721 წლ. ხალხის აღწერის დავთარში (გვ. 184, 185) და აქაც ამ დროს უმთავრესად სომხური მოსახლეობაა. ახლა აქაც ჯავახელები სახლობენ. მიჯაში საინტერესო გამოქვაბულებს ამბობენ მაშავრის პირას.

აწინდელ მოსახლეთა გვარები რომ შევადართ ამ რაიონის მე-18 ს-ის საბუთებში მოხსენებულ გვარებს, დავინახავთ, რომ მხოლოდ მცირე რაოდენობა ატარებს ძველ გვარს, ისე რომ დიდ დმანისშიც უმრავლესობა შედარებით ახლად მოსული უნდა იყოს. ასე, 1721 წლის ხალხის აღწერის დავთარში გვხვდება:

1) დმანისში (გვ. 73)—მოსიაშვილი; დღეს გორუნჯუკში სახლობენ მოსიანცები,

2) დმანის ციხეში და ყალამშიაში (გვ. 183 და 185)—მარტიროზაშვილები; დღეს დიდ დმანისში არიან მარტიროსოვები,

3) ვარდისუბანში (გვ. 202)—დემურაშვილი; ეს გვარი დღეს კაზრეთში და პატარა დმანისში სახლობს,

4) იქვე და ბალიჭში (გვ. 202 და 59)—პაპუაშვილი; დღეს პაპიანცები არიან ბოსლებში¹,

5) ბალიჭში (გვ. 59)—ყაზარაშვილი; დღეს ყაზარიანცები ცხოვრობენ ვარდისუბანში,

6) ბოსლებში (გვ. 178)—ასლანიშვილი; დღეს ასლანიანცები არიან გორუნჯუკში,

7) გორუნჯუკში (გვ. 84)—ყამბარაშვილი; ესენი დღესაც იქ არიან (ყამბარიანცები).

გარდა ამისა, 1747 წლის ერთს დმანისურ საბუთში იხსენიება ოქროაშვილი (ნ. საქ. მუზ. ხელნაწ. განყ-ის ფონდის № 11.560 1Hd)²; პატარა დმანისში დღეს რამდენიმე კომლია ოქროაშვილები (და არა ოქრუაშვილები), რომლებიც ნაოსრები არიან. დანარჩენი გვარები, და ჩვენ კი, 1536 წლის ბარათთან გაყრილობის წიგნის წყალობით, უკვე მე-16 ს-დან მოგვეპოვება საკმაოდ სრული ნუსხები, განსხვავებულია. აწინდელ ოქროაშვილებს, ალბათ, საერთო არა აქვსთრა ძველ ოქროაშვილებთან, მოსიანცები, მარტიროსიანცები, დემურაშვილები, პაპიანცები, ყაზარიანცები, ასლანიანცები და ყამბარიანცები კი ბევრნი არიან და მართლაც ძველი მკვიდრნი უნდა იყვნენ.

ტრადიცია აქ დარღვეული ჩანს: აქაურ მოსახლეობას, იმასაც კი, ვინც თავის თავს მკვიდრად სთვლის, თავისი წარსულიდან თითქმის აღარაფერი ახსოვს: არაერთი გადმოცემა აქ არ არსებობს, გარდა იმისა რაც უკანასკნელ ორბელიანთაგანა აქვთ გაგონილი. სახელების უმეტესობაც ან დავიწყებულია, ან გადამახინჯებული: ლოქის გარდა, არც ერთი მთის სახელი აღარ იციან, მაშავერს „მოშევანს“ ეძახიან, ფინეზაურის მაგივრად „ჭამამლუს წყალს“ ან „ყარასუს“ ამბობენ; უმრავლესობა ნანგრევ-ნასოფლარისა სრულებით უსახელოა, ან ახალ თათრულ სახელს ატარებს, როგორც, მაგ., ჭამამლუ, საცა თამარის დროინდელი ეკლესია დგას. თვით დმანისის სახელიც თურქული გახმოვნებითაა შე-

¹ ვარდისუბანში ყოფილა კიდევ, 1721 წლ. დავთრით, პაპაშვილი (გვ. 177), რომელიც, შეიძლება, იგივე პაპუაშვილია, შემდეგ: ამბარაშვილი (გვ. 202), რომელიც ეგებ დღევანდელ ყამბარაშვილებს უდრიდეს გორუნჯუკში, და მუსლიაშვილი (იქვე), რომელიც დიდ დმანისელ მუსელიანცებს მოგვაგონებს, ესენი რომ აქ ახლად მოსული არ იყვნენ ყარაბაღიდან.

² ამ საბუთზე და ზემოთ მოხსენებულს ორბელიანთ საბუთზე, № 11. 559/Hd, ჩემი ყურადღება მიაქცია დოქ. ნ. ბერძენიშვილი მა.

ნახული—„დუმანისი“. ორი სოფელი ატარებს ახლა ამ სახელს: დიდი დმანისი. ნაქალაქარის ქვემოთ მდებარეობს სუთიოდე კილომეტრის მანძილზე, მაშავრის ხეობაში¹. პატარა ანუ ძველი დმანისი კი იქვე ნაქალაქარის ახლოს მოთავსებულია დაახლ. 1 კილომეტრის დაშორებით უფრო ზევითკენ ფინეზაურის პირას². „დიდი დმანისი“ იხსენიება უკვე 1586 წლის ორბელიანთ სიგელში (ქრონიკები II, გვ. 424). ცხადია, რომ „პატარა დმანისი“ არსებობდა უკვე მაშინ. მართლაც, 1721 წლ. ხალხის აღწერის დაეთარში მოხსენებულა, „დმანისსა“ (გვ. 72, 136, 354) და „დმანის ციხის“ (გვ. 183) გარდა, „ძველ დმანისი“ (გვ. 182). აწინდელ პატარა დმანისსაც, როგორც მოვიხსენიე, ზოგჯერ ძველ დმანისს ეძახიან, მაგრამ ნიშანდობლივად მდებარეობდა უწინ პატარა დმანისი, აღარავინ იცის. პატარა დმანისში ძველი ნასახლარი არსადა ჩანს, მაგრამ შესაძლებელია თვედორეს სახელობის პატარა ეკლესია, რომელიც დმანისის გარეუბანში დგას სოფლის განაპირას, ძველ სამოსახლოს ეკუთვნოდა და არა. იყო მხოლოდ ქალაქის გარეუბნის სასაფლაოს საყამნო. გარეუბნის აბანოებშიც, როგორც ქვემოთ ვნახავთ, ნაგვიანვე ხანაში ბინები გაუკეთებიათ.

თვით დმანისის ნაქალაქარი დღეს უკაცურია; იგი და მისი ფართო გარეუბანი პატარა დმანისელებს გადაქცეული აქვთ თავის სათიბად და საძოვრად; გარდა ამისა, ისინი უხვად ეზიდებიან ნაქალაქარიდან საშენ და სხვა დანიშნულების ქვას

II.

დმანისი შედიოდა ძველი გაჩიანის, მერმე სამშვილდის საერისთვოს ფარგლებში. მე-9 ს-მდე იგი ჩვენს ისტორიულ წყაროებში არ იხსენიება. „მატიანე ქართლისაჲს“ ცნობით, 853 წ. ბულა თურქმა, არაბთა სარდალმა, „დარიელით გაზოიყვანა ოესნი, ვითარ სახლი სამი ათასი და დასხნა დმანისა“³. რა თქმა უნდა, რაღაც სამოსახლო ამდგვილას მანამდეც იქნებოდა. მართლაც, დმანისში გათხრების დროს ნახულ ფულებს შორის არის მე-9 ს-ის მონეტაც იუსტინიანე კეისრისა.

¹ აქ სულ 140 კომლია; ამთგან მკვიდრ მოსახლედ ითვლებიან: მურადაშვილი, სელი, მაშვილი, აკოფაშვილი და ზოდიაშვილი (ქართველები) და ოსკანიანი, მარტიროსიანი, ქონორიანი, მარქარიანი, თათულიანი (სომხები); ოპანეზოვი, მუსელიანი და აპრისოვი მოსული არიან ყარაბაღიდან, მეგთალიანი მოსულია თურქეთიდან, აღაგარდოვი—ქვეშიდან. დიდ დმანისში ძველი ეკლესიის ნანგრევი დგას, მაგრამ იგი ისეა გადაკეთებული, რომ თავდაპირველი გეგმის თითქმის ალაუ ეტყობა რა. იგი ერთნავეანი ყოფილა; ძველი თლილი ქვები მხოლოდ კუთხეებშია შენახული. ამ შენობის წინ ბაიცი მწვანე ქანის ლამაზი ჩუქურთმიანი სვეტისთავი ეგდო, რომელიც ამჟამად საქ. მუზეუმშია დაცული. არის დიდ დმანისში ძველი სასაფლაოც, ოღონდ იგი ნახანებში მოუქცევიათ.

² აქ სულ 48 კომლია, უმთავრესად ჯავახელები. პირველად აქ მალრატენი მოსულან (ჯავახეთიდან ჯერ ტანძიაში, შემდეგ დიდ დმანისში და უკვე აქედან პატარა დმანისში), რომლებიც უმრავლესობას შეადგენენ; ჯავახელები არიან დემურაშვილებიც; ლაშქარაშვილები სომხეთის ახტალიდან მოსულან, ბერძნის შვილები არიან; ურუმაშვილებიც ჩამომავლობით ბერძნები არიან. ქვეშიდან მოსულან; გვარაძეები კახრეთიდან არიან; თქრიაშვილები ნაოსრები არიან; ბარამიძე ტანძიელია, ახალი ჩასიძებულია პატ. დმანისში.

³ ნ. ზ. ჭიჭინაძის გამოც. „ქართლის ცხოვრება“, თბ., 1897 = ჭიჭ. ქცა, გვ. 275 და ე. თაყაიშვილის გამოც. მარია დედოფლისეული ქართლის ცხოვრება = მარიაშვილის ქცა-გვ. 222.

შემდეგ, მე-10 ს-ის დამლევამდის, ცნობები დმანისის შესახებ კვლავ ვაკლია, რაც უნდა აიხსნებოდეს იმით, რომ თუმცა არაბებს ეს ადგილი თავის სადარაჯოდ უქცევიათ თბილისიდან სომხეთში მიმავალ სავაქრო და სტრატეგიულის თვალსაზრისით მნიშვნელოვან გზაზე, მისი ეკონომიური და პოლიტიკური როლი მცირე იყო.



სურ. ვ. ძველი ხიდის ნაშთები მაშავარზე.

დმანისი, როგორც მოვიხსენიე, საქართველოდან სომხეთში მიმავალ გზაზე მდებარეობს. ეს გზა სავსებით არ ემთხვევა აწინდელს გზატკეცილს, ძველად ზოგან სხვა ადგილებზე გადიოდა. ძველი მიმართულების გამორკვევა შეიძლება გადმოცემისა და იმ ნაშთების ჰიხედვით, რომლებიც შენახულია დმანისის სანახებში. ქვეშის ახლოს თბილისიდან მიმავალ გზას გამოეყოფოდა ერთი შტო, რომელიც მაშავარის მარცხენა ნაპირს აჰყვებოდა და ე. წ. ქვახვრეტილით (აღგილია სოფ. კიანეთს ზემოთ, საცა, გადმოცემით, წისქვილის ქვებს ამზადებდნენ), აბულბუგით¹ და დიდი დმანისით აღიოდა ბაშქიჩეთის პლატოზე; დმანისის

¹ აბულბუგის ანუ აბულმუგის (აბულმუქის—საქ. სიძვ. II 336) შესახებ ვახუშტი ამბობს: „აქ ითხრების ლითონი რკინისა, სპილენძისა, და ლაევარდისა“ (გეოგრაფია, გვ. 50). აბულბუგის მცირე ერთნავეანი ეკლესიის ნანგრევი ბალიკებას პირდაპირ დგას, მაშავარის მარცხენა ნაპირას; ნასოფლარი არა ჩანს. აბულმუქი, აბულბეჟი თუ აბულმეჟი, აბულმაგი ჩატანილია 1721 წლ. ხალხის აღწ. დავთარშიც; ამ დროს აქ მოსახლეობა მთლიანად სომხურია.

პირდაპირ ეს გზა ქარაფებით ჩადიოდა მაშვერზე, რომელზედაც ამ ადგილას ხიდი იყო გადებული (ამ ხიდის ბურჯის უფორმო ნაშთი ახლაც გვხვავს წყალში (ნ. სურ. 3) და ქარაფებშიც ძველი გზის კვალი აქა-იქ ჩანს), შემდეგ გადალახავდა დმანისის კონცხს და ფინეზაურის მარცხენა ნაპირას ისევ შეუერთდებოდა მთავარ გზას¹.

მთავარი გზა კიანეთის პირდაპირ გადადიოდა მაშვერის მარჯვენა ნაპირზე და დიდგალავანით,² ღორისთავით³, კაზრეთით,⁴ ბალიჭით⁵ და გორუნჯუ-

¹ მაშვერის მარცხენა ნაპირი დმანისის პირდაპირ და მის ზემოთ ვიდრე ტნუსამდე, ახლა სრულებით უკაცური (აქ ვარდისუბნელებს და ტნესელებს მხოლოდ ბოსტნები აქვთ ჭალებში), უწინ მკიდროდ დასახლებული ყოფილა: დმანისის პირდაპირ გამოქვაბულებია, წინიდან კედლებით ამოშენებული; $\frac{1}{3}$ კილომეტრით უფრო ზემოთ ეკლესიის ნანგრევია და სასაფლაო; კიდევ ერთი კილომეტრის დაშორებით, ე. წ. „იმერლის ჭალასთან“, ნასაფლარია და ეკლესიის ნანგრევი; ტნუსთანაც არის ქვიტირით ამოშენებული მალარობები; ტნუსის პირდაპირ, მარჯვენა ნაპირას, ხომ მთელი რიგია ეკლესიებისა, ნასაფლარებისა, ნაწისქვილარებისა და სხვ.—ე. წ. „ტნუსის თეკენები“ (= „თეკენამს“ 1721 წლ. ხალხ. აღწ. დავთარში, გვ. 182, 355). ტნუსში ახლა მოსახლეობა თათრულია, 1721 წლ. ხალხის აღწ. დავთრით კი (გვ. 186) იქ უწინ სომხობა ყოფილა. ტნუსში არ ვყოფილვარ. გადმოცემით, იქ რამდენიმე ძველი ნაშთი უნდა იყოს.

² ძველი ნასახლარია კიანეთის გასწვრივ, რომლის გალავანი, ვითომც, დღესაც¹ დაცულია მუ არ მინახავს.

³ ადგილია კაზრეთს ქვემოთ, უმოსახლო. ღორისთავი იხსენიება 1643 წლ. საბუთში (საქ. სიძვ. II 67), 1678 წ. (საქ. სიძვ. I 70), 1681 წ. (საქ. სიძვ. I 76), 1704 წ. (იქვე, გ. 77), 1706 წ. (საქ. სიძვ. II 205), 1721 წლ. ხალხის აღწ. დავთარში (გვ. 37, 23, 404). ამ ცნობათაგან საინტერესოა 1678 წლისა, რომლიდანაც ჩანს რომ ღორისთავი ქვეშის ხეზედ, უკეთ, ქვეშის ახლოს მდებარეობდა. ვახუშტიც თავის რუკაზე ღორისთავს ქვეშის პირდაპირ უჩვენებს; ამ უმაღლდორისთავს კიანეთის ხევით უჩვენებენ, 3—4 კილომეტრის დაშორებით; უნდა ვიფიქროთ რომ ამ სახელს გადაუნაცვლებია თავისი ადგილმდებარეობა. ამ მოსაზრებას ადასტურებს 1706 წლ. ცნობა რომ ჯალდამს „ძველითგან“ ღორისთავი ეწოდებოდა. ვახუშტის რუკაზე ჯალდამი ნაჩვენებია მაშვერის მარცხენა ნაპირას, კიანეთსა და აბულბუგს შორის; დღეს კი ჯალდამი კაზრეთს ეწოდება; როგორც ჩანს, ამ სახელსაც დროთა განმავლობაში, სოფლის მოსახლეობასთან ერთად უმოგზაურნია. სახელი „ღორისთავი“ წარმომდგარი უნდა იყოს „ღვარისთავისაგან“; აქ ძველად, ალბათ, რუს სათავე იყო; მართალია, არხის კვალი არა ჩანს და არც არავის ახსოვს აქედან წადებული რუხ, მაგრამ რომ ეს ადგილი რუს წასაღებად მარჯვენა იქიდან ჩანს რომ ამ უმაღლდორისთავში აქედან გაჰყავთ წყალსადენი.

⁴ კაზრეთი კარგა მობრადილი სოფელია (140 კ.) ისპანის წყალზე, რომელიც მარჯვნიდან ერთგის მაშვერს. აქ სომხები და ქართველები სახლობენ. აქაური მოსახლეობა უმთავრესად ტაბახმელქიდანაა გადმოსხვეწილი და ამიტომ ამ სოფელს ტაბახმელქისავე ეძახიან. გარდა, ამისა, როგორც აღვნიშნე. „ჯალდამსაც“ ამბობენ (უნდა ვიფიქროთ რომ ძველი ჯალდამის მოსახლეობა ერთ დროს აქ გადმოსულა). პატარა დმანისელისაგან გამიგონია: „ტაბახმელქა თათრულია, ქართულად ჯალდამს ვეტყვიო“. ამ სოფლის მესამე სახელიც, „კაზრეთი“, შესაძლებელია, აგრეთვე სხვაგნით იყოს გადმოტანილი: სახელდობრ, კაზრეთი ჰქვიან ერთ ნასოფლარს აწინდელი კაზრეთის სამხრ.-დასავლეთით, 7-8 კილომეტრის მანძილზე; იქიდან ჩამოდის ხევი („კაზრეთის ხევი“), რომელიც მარჯვნიდან ერთგის დამბლუტის წყალს; შესაძლებელია, აქედანაც იყოს დასახლებული ახლანდელი კაზრეთი; რაიმე სიძველის ნაშთი ახლანდელ კაზრეთში არ შემორჩენილია.

⁵ ბალიჭში ანუ ბალიჭებში დაახლ. 120—130 კომლი სახლობს (ქართველები და სომხები) აქ პატარა ერთნაფიანი ეკლესია დგას, რომლის კედლებშიც ჩასმულია ძველი ორნამენტური ქვები (არის ბოლნისური ჯვრიანი ქვებიც), საფლავის ჯვრები (მე-18 ს.) და ერთი ჯვრიანი ქვა

კით¹ მიდიოდა დმანისამდე, რომლის პირდაპირ ფინეზაურზე გადებული იყო ხიდი. აქ ის შეუერთდებოდა თავის შტოს და უკვე მდინარის მარცხენა ნაპირით გაემართებოდა სომხეთისაკენ.

ეს გზა დღესაც კარგადაა დაცული ზოგან მაინც, და ფენითა და ცხენით სიარულს ადგილობრივნი დღესაც ამ გზით რჩეობენ, რადგან ის გზატკეცილზე უფრო მოკლეა. მაშავერზე, კიანეთს ზემოთ, ორი ძველი ხიდის ნაშთი ყოფილა: ერთი კაზრეთის პირდაპირ (აქ ახალი ხიდი ძველ ნახიდურ ადგილზეა გაშენე-



სურ. 4. ძველი „აქლემის გზა“ პატ. დმანისის ახლოს.

ბული, ხოლო ძველი ბურჯების ნაშთები დიდი ხანი არ არის თურმე, რაც წყალს წაუღია), მეორეც ბალიჭების პირდაპირ (აქ ძველი ბურჯი დღესაც წყალში გდია). ეს ნახიდურები პირადად მე არ მინახავს. ადგილობრივთა ვადმოცემით კი აქ თითქოს თვალები ხიდები ყოფილა (ერთი თალის გადასაგდებად

სომხური წარწერით: „*Որի* „(სულ 2 სიტყვაა, ძველი არაა). სოფლის ქვემოთ სამხრეთისკენ გორაზე დგას ე. წ. „მეპითი“, რომელიც ისეთივე საფლავის ძველი უნდა იყოს, როგორც დმანისის მუსლიმანურ სასაფლაოზეა. 1721 წლ. ხალხის აღწერის დავთრით (გვ. 22, 59, 61), უმრავლესობა აქ იმ დროს სომხობა იყო.

¹ გორუნჯუკში დაახლ. 120 კომლია (სომხები). სიძველე აქ არა შემინეწვია რა. „გორინჯუკი“ ჩატანილია 1721 წლ. ხალხის აღწერის დავთარში (გვ. 79, 81—84); იგი მაშინაც სომხებით ყოფილა დასახლებული; გორუნჯუკი იხსენიება კიდევ 1738 წლის ქვეშ (საქ. სიძვ. II, 392).

მდინარე, მართლაც, ნამეტანი განიერია). ბალიჭებსა და გორუნჯუქს შორის, დამპლუტის წყალზე კარგადაა დაცული ძველი თაღოვანი ხიდი, რომელსაც ადგილობრივ „ხიდიყურს“ ეძახიან. ეს ხიდი პატარაა, მისი სიგანე 2,5 მეტრს არ აღემატება, მაგრამ იგი ისევ-ისევ მტკიცედ დგას როგორც აშენების დღეს. იგი ნაგებია საშუალო ზომისა და პატარა პრტყელი ქვებით ქვიტირზე. გორუნჯუქსა და პატარა დმანისს შორის ძველი გზა მშვენიერადაა დაცული დღესაც (ნ. სურ. 4). პატარა დმანისის ახლოს იგი ყაფარა-სოფლის ხევს ჩაჰყვებოდა ფინეზაურამდე და ფინეზაურის მარჯვენა ნაპირით აღიოდა დმანისის გარეუბნის ზემო-აბანომდე, რომლის პირდაპირ, ფინეზაურის მარცხენა ნაპირას, შენახულია ძველი ხიდის საყრდენი კედლის ნაშთი; ხიდი, როგორც ჩანს, თაღოვანი ყოფილა. აღენიშნავ კიდევ, რომ ფინეზაურის მარცხენა ნაპირას, პატარა დმანისის ხევით, გზატკეცილის პირას ძველი წყარო ყოფილა; იგი დღეს დამშრალია, მაგრამ ძველი წყაროს ქვა პატარა დმანისელებს სხვა ადგილას გამოუყენებიათ.

ამ გზას, რა თქმა უნდა, უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა დმანისის ამაღლები-სათვის. მას, თურმე, „აქლემის გზას“ ეძახოდნენ, რადგან ქარავნები სომხეთში ბოლო დრომდე ამ გზით დადიოდნენ და მას თავისი მნიშვნელობა არ დაუკარგავს მანამდე, სანამ სომხეთის რკინიგზას არ გაიყვანდნენ.

მე-10 ს-ის დამლევს და მე-11 ს-ის დამდეგს „ტაშირი და ქართველთა ველი“ ბოლნის-დმანისის ხეობანი“ სომეხთა მეფეების ხელში იყო.¹ ამ დროს გაძლიერდებოდა აქ სომხური ელემენტი და ამ დროსვე უნდა დამკვიდრებულიყოს ბოლნის-დმანისის მხარისათვის სახელწოდება „სომხითი“, რომელიც მე-12 ს-დან მოყოლებული გვხვდება ჩვენს ისტორიულ წყაროებში.

მე-11 ს-ში დმანისი პოლიტიკურად უკვე დიდ როლს თამაშობს და წყაროებშიც ხშირად იხსენიება. აქ არაბთა ამირები სხედან, რომლებიც, როგორც ეტყობა, აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში. ასე, მაგ., 1073—1074 წ. დმანისის ამირა არაბთა სარანგს ეხმარებოდა გიორგი II-ის წინააღმდეგ (ქიქ. ქცა, გვ. 342 = მარიამის. ქცა, გვ. 280). ქალაქის მოსახლეობის შეძლებული ნაწილიც ამ დროს უმთავრესად არაბული უნდა იყოს.

თანდათანობით დმანისი გამოდის საქართველოს და აკავკასიის ქალაქთა პირველ რიგში, როგორც მნიშვნელოვანი სავაჭრო ცენტრი. ამ მხრით მეტად საინტერესო ცნობა შეგვინახა დავით აღმაშენებლის ისტორიკოსმა, რომლის გადმოცემითაც 1121 წ. დავითის ლაშქრობათაგან შექირებულნი „თურქმანნი და კუალად ვაჭარნი განძელ-ტფილელ და დმანელნი წარვიდეს სულტანსა წინაშე და ყოველსა სპარსეთსა, შეიღებნეს შავად რომელთამე პირნი და რომელთამე კელები და რომელნიმე სრულიად და ესრეთ მიუთხრნეს ყოველნი კირნი, მოწვეულნი მათ ზედა, რომელთა აღძრნეს წყალობად თვისად და იქნა გლოვა ფრიადი შორის მათსა“. ამ საჩივარს მოჰყოლია დავითისათვის სახელოვანი დიდგორის ომი, რომელშიც მონაწილეობა მიუღიათ სომხეთის ამირებსაც და მათ შორის, ალბათ, დმანელსაც (იქვე, გვ. 361—363 = გვ. 305—306).

¹ ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია, წიგნი I და II, თბ. 1913, გვ. 420.

დავითის ისტორიკოსს შესანიშნავის მკაფიოობითა აქვს გადმოცემული წმინდა ეკონომიური ხასიათი ამ არაბ ქართველთა ბრძოლისა. ცხადია, მომჩივანი დმანელი ვაჭრები ქართველები არ იქნებოდნენ.

1123 წ. დავითმა დმანისი აიღო (იქვე, გვ. 365 = გვ. 310) და ამას იქით, მცირეოდენი ბრძოლის გაპოკლებით, ეს ქალაქი უკვე შვეიდრად ქართველების ხელშია. როგორცა ჩანს, იგი უშეშვეოდ ქართველთა მეფეებს ეჭირათ. რომ მისი ეკონომიური მნიშვნელობა შემდეგშიც, მე-13 ს-ის დამლევამდის და, ალბათ, მერმეც დიდი იყო, ეს იქიდანა ჩანს, რომ ათაბაგმა საღუნ მანკაბერდელმა, საქართველოში იმ დროს ყველაზედ უფრო გავლენიანმა და მდიდარმა პირმა, 1271/2 წლებში მონღოლთა მიერ მოთხოვნილი დიდი ხარკის გადახდა იკისრა დიმიტრი II-ის მაგივრად იმ პირობით, რომ მეფე მას დმანისს მისცემდა. მეფე-მაც „უნებელიად მისცა დმანისი და მიმდგომი მისი“ (იქვე, გვ. 601 = გვ. 717). ეტყობა, „ურიცხვი საფასის“ სანაცვლოდაც არ იყო ადვილი დმანისის გაცემა. 25 წლის შემდეგ დმანისი ისევ საქართველოს მეფეს დაუბრუნდა (იქვე, გვ. 626 = გვ. 751). მოსახლეობისათვის საინტერესოა ჟამთააღმწერელის ცნობა იმის შესახებ, რომ 1265 წლის ახლო ხანებში ულუ-დავითმა დაასახლა ტფილისში, დმანისში და ჟინეაში ბერქა ყაინისაგან ლტოლვილნი თავადნიო (იქვე გვ. 581 = გვ. 689). ამ გვარად, დმანისის ისედაც აჭრელებულ მოსახლეობას მონღოლებიც შეჰმატებინან. მე-13 ს-ის დამლევს და მე-14-ის დამდეგს დმანისში დამკვიდრებულა ქართველი სამეფო სახლის ერთი შტო, ლაშა გიორგის ჩამონავალი: ჟამთააღმწერლის ცნობით, ვახტანგ III, დიმიტრის ძე, დმანისში დამარხეს და არა მცხეთაში, სადაც ამ დროს ქართველ მეფეებს ჩვეულებრივად ასაფლავებდნენ ხოლმე, და მის ორთ ძეთა შორის „დიმიტრის დმანისი აქუნდა და გიორგის სამშვილდეო“ (იქვე, გვ. 650).

მე-14 ს-ისათვის ცნობები გვაკლია. მე-14 და მე-15 საუკუნეებში დმანისი, საქართველოს სხვა ქალაქებთან ერთად, უნდა ვიფიქროთ, არა ერთხელ აუოხრებიათ გარედან შემოსულ მტრებს: უეჭველია ეს მე-14 ს-ის დამლევისათვის— (1386/87 წლ.), როდესაც ლანგ-თემურმა მთელი საბარათიანო დაარზია ქართლზე ლაშქრობის დროს (იქვე, გვ. 664), და მე-15 ს-ის დამლევისათვის (1486 წ.), როდესაც თურქებმა იალუბ-ყაენის მეთაურობით დაარბიეს დმანისი და ქვეშის ხევი (იქვე, გვ. 704).

1536 წლის ბარათაანთ გაყრის წიგნით, დმანისის ნახევარი იოთამ ბარათაშვილს ჰრგებია. მეორე ნახევარი მის უმცროს ძმას ორბელს დარჩა, თუმცა ორბელის წილი საბუთში აღნიშნული არაა. იოთამს ერგო: „დმანის ციხეში სასაფლაოდ დმანისთა მღთის მშობლის ნახევარი და კარისბრჭე... დმანისის ნახევარი და საუხუცესო, საბაჟოს ნახევარი და საუხუცესო“, მრავალი ყმა თავთავისი მამულებითურთ (საისტ. მოამბე, 1924 წ., წიგნი I, გვ. 179—181). ეს საბუთი ფრიად საინტერესო ცნობებს შეიცავს მე-16 ს-ის, რა თქმა უნდა, უკვე დაცემული დმანისის მეურნეობისა და მოსახლეობისათვის. მეტად მნიშვნელოვანია ცნობა საბაჟოს შესახებ. უეჭველია აყვავების ხანაშიც ეწინებოდა დმანისს ეს დაწესებულება და მასთან დაკავშირებული შემოსავალი.

ერთი მოსახლის ქონება დაწვრილებითაა აღწერილი: „ხანდამისშვილის სახლი, შიგნითი სახლი, სათორნე ერთი, მარანი ერთი, = ქვევრი დგას სხვილწურილი თერთმეტი —, საჯინიბო, კარაპ(ა)ნი,¹ ზეთისახდელი. ამისის ყმის ყარაგოზას სახლი, კიდევ შიგნით სახლი, ბოსელი, დერეფანი², ეზო და სათიბური“. ტერმინები: „შიგნით სახლი“, „კარაპანი“, „დერეფანი“, „სათორნე“, „საჯინიბო“, „ბოსელი“, „ეზო“, ახასიათებს სამოსახლოს ტიპს: ყველა ჩამოთვლილი შენობა ცალ-ცალკე მდგარად უნდა ვიგულოვოთ, ალბათ, ეზოს გარშემო. ცალკე შენობებია აგრეთვე მარანი და ზეთისახდელი, რომლებიც საჯინიბოსთან, ბოსელთან და სათიბურთან ერთად ახასიათებენ სამოსახლოს მეურნეობას. მესაქონლეობა (ცხენი და ძროხა), მემინდვრობა და, განსაკუთრებით, სელის კულტურა (ზეთისსახდელი, უეჭველია, ამას ჰგულისხმობს) და ეგებ მევენახეობაც—აი მეურნეობის ის დარგები, რომლებსაც ჩვენი საბუთის მიხედვით ამ დროს დმანისში მისდევდნენ.

ბარათანთ გაყრილობის წიგნი საშუალებას გვაძლევს იმდროინდელი დმანისის მოსახლეობის შესახებაც ვიქონიოთ ერთგვარი ვარაუდი. უმრავლესობას, როგორც ჩანს, მე-16 ს.-ში თათრები შეადგენდნენ, ხოლო მათ უკან იდგნენ სომხები და ქართველები. როგორც აღვნიშნე, იოთამ ბარათაშვილს დმანისის ნახევარი ერგო; დმანისის ციხეშიც სიონის ნახევარი და კარიბჭე მისი იყო. ცხადია, რომ ყმებიც ძმებს სანახევროდ უნდა გაეყოთ. ყოველ შემთხვევაში, იოთამს, როგორც უხუცესს, ცოტათი მეტიც ერგებოდა, მას საუხუცესო ეკუთვნოდა. ამიტომ, იოთამის სარგო ყმათა რაოდენობა უთუოდ საშუალებას გვაძლევს საზოგადოდ დმანისის მოსახლეობის რაოდენობა ვივარაუდოთ მიახლოებით მაინც. „დმანის ციხის“ ქვეშ გაყრილობის წიგნში, უეჭველია, დმანისის ნაქალაქარი იგულისხმება ქალაქის ძველი გალავნის ფარგლებში, რადგან მართო შიდაციხე ამდენ მოსახლეს ვერ დაიტევდა. იოთამის ყმათა რიცხვი უდრის 69-ს³. თუ ამდენივე, ან ამაზე ცოტათი ნაკლები ერგო ორბელს, დმანისში 1536 წლისთვის სულ დაახლოებით 138 კომლი მოსახლე უნდა ვიანგარიშოთ, რაც, ხუთჯერ გამრავლებული, 690 სულს მოგვცემს. რა თქმა უნდა, აქედან სრულებით ცხადი ხდება, რომ ამ დროს დმანისი უკვე სოფელია და არა ქალაქი (სხვათა შორის, დამახასიათებელია ისიც, რომ ხელოსნობა აქ ამ დროს სრულებით აღარა ჩანს—იოთამის ყმათა შორის ერთად-ერთი ხარაზია დასახელებული). იოთამის ყმათაგან დაახლ. 28 თათარია, 19 სომეხი და მხოლოდ 7 ქართველი.⁴ ამგვარად, მოსახლეობის ნახევარი მეტი თათარია და

¹ კალოს სახლი (ს. ს. ორბელიანის ლექსიკ.); ახლაც ასე ეძახიან კალოზე დადგმულს ფარდულს დმანისში.

² ფარღია სახლი (ს. ს. ორბელიანის ლექსიკ.).

³ აზნაურებს ჩაჩიკაშვილსა და ჯანიაშვილს გარეთ, რომელთა შესახებ პირდაპირ არაა ნათქვამი რომ ისინი დმანისის მოსახლენი არიან.

⁴ ვანგარიშობ მხოლოდ იმ ყმებს, რომელთა ეროვნება დანამდვილებით შეიძლება იქნეს განსაზღვრული. თათრები არიან: უსუფა, ალიბეგ, ისმეილა, იბრეიმა, შაყულისშვილი, ამად ფირაჰი, ყაზია, მოლა ასანა, მოლა აჯაი, ამად ყული, ალა ყულის შვილები, ხანყული, სულთანა, ორუჯა, ალიხანა, დემურა, ამირიზა, საფარა, მახსუდ, ფირადა, უსუფა, სკანდარა, ასანა, სეიდი, ნავროზა, ამირველი, ბუდახა, ყასუმა; სომხები: მაზმანიშვილი, ხოჯა აზიზაშვილი, ხოჯა მარქარა,

სომეხი და ქართველი-პი უმცირესობაა. ეგების ასეთი შეფარდება ყოფილიყო დმანისის მთელი მოსახლეობისათვისაც იმ დროს.

1578 წ., როდესაც ოსმალებმა ქართლი დაიპყრეს, მათ დმანისიც ხელში ჩაუვარდათ და მისი ციხე გაუმაგრებიათ კადეც¹. 1583-ში სეიმონ მეფემ დმანისი დაიბრუნა (იქვე, გვ. 47). ვახუშტით დმანისი, როგორც ციხე-ქალაქი, სწორედ ამ დრომდე არსებობდა ხოლო, „მეირით მოოჯრდაო“ (გეოგრაფია, გვ. 49).

მე-17 ს-ში ორი დმანელი ეპისკოპოსია ცნობილი: იოსებ თარხნიშვილი, რომელიც მერმე, 1662 წლიდან, ტფილელი იყო,² და ქრისტეფორე ბარათაშვილი, რომელმაც 1665 წ. ვენახები იყიდა ბოლნისში (საქ. სიძვ. II 254) და რომელიც 1689 წლის ქვეშავც იხსენიება (ქრონიკები II 508). მე-17 ს-ის დამლევს ვინმე პავლე (?) ყოფილა დმანისის ეპისკოპოსად; იგი გარდაცვილია 1700 წ.³.

მე-18 ს-ში ცნობილია დმანელ-მტბევარი ელისე, რომელიც შემდეგი წლების ქვეშ იხსენიება: 1721 (?) (ხალხის აღწ. დავთ., გვ. 329), 1725 (საქ. სიძვ. II 330), 1728 (იქვე, გვ. 346), 1729 (იქვე, გვ. 351 და Д. П. Пурнеладзе, Грузинские крестьянские грамоты и пр., Т. 1882, გვ. 10), 1732 (საქ. სიძვ. II 367, შეად. ქრონიკები II 424), 1736 (საქ. სიძვ. II 384, 386) და 1747 (საქ. მუხ. ხელნაწ. განყ-ის ფონდის № 11,560/Hd — დმანელების პირობის წიგნი).

ვახუშტით, დმანელი ეპისკოპოსი იყო „მწყემსი ტაშირისა და დმანის ქვეისა“ (გეოგრაფია, გვ. 49).

საეპისკოპოსო კათედრა დმანისში გაუქმდა, ალბათ, მე-18 ს-ის „შუაწლებში, რადგან 1762—1788 წლებს შორის ირაკლი II-ისა და ანტონ I კათალიკოზის მიერ შედგენილს ახალ სამღვდელთმთავრო განწყესებაში იგი უკვე მოშლილად იხსენიება (ნ. ე. თაყაიშვილის არქეოლოგიური მოკზაურობანი და შენიშვნანი, წიგნი I, თბ. 1907, გვ. 87).

1721 წლ. ხალხის აღწერის დავთრით, დმანისი შემდეგ სამოსახლოებად იყოფებოდა: 1) დმანისი (გვ. 72 - 73; 132, 134-136), რომელიც ზოგადი სახელი კი არ არის ყველა სამოსახლოსათვის, არამედ, ალბათ, დიდ დმანისს ჰგულისხმობს; ყოველ შემთხვევაში, ამ სახელწოდების ქვეშ ნაქალაქარი არ იგუ-

შალუბათასშვილი, მირზიანაშვილი, ფირ აზიზა, ასლამაზა, ას(ა)ტურა, ალავერდა, ხოჯა მარტიროზ ველიჯან, ფარსელა, მუსუნა, შიხიაშვილი, მიტიჩა, ფირაიზა; ყარაგოზა, შავერდა, ალავერდა, ნახარა; ქართველები: დემეტრე დეკანოზი, სომლულაშვილი ივანე, ხუცესი იოანე, გიორგი სვანისშვილი, იემარნიშვილი, ბარამიშვილი, ოქრომჭედლისშვილი; გაურკვეველია: გრიგოლა, გალიკაშვილი, ხიზანა, ელია, ბერუკა, თამაზა, ბეჟანა, სურამელა, თოფჩაშვილი მიქელა, ადუა, კაკუტა, იაკობ. ხარაზი, ხანდამისშვილი, ემინა.

რასაკვირველია, შეიძლება ზოგიერთი მოსახლის ეროვნებაში ვცდებოდეთ, მაგრამ მცირეოდენი განსხვავება საერთო სურათს ვერ შესცვლის.

¹ ნ. საქართველოს ცხოვრება, ბატონიშვილი ვახუშტის მიერ, გამოც. ხ. კრინაძისაგან, თბ. 1913, გვ. 44.

² ნ. М. Ткемаладзе, Тифлисский Сионский кафедральный собор, Т. 1904, გვ. 146.

³ ამ ეპისკოპოსის საფლავის ქვა მოთავსებულია დმანისის სიონის დასავლეთის კარიბჭეში. მისი წარწერა ცალკე იქნება გამოცემული დმანისის სხვა საფლავის წარწერებთან ერთად.

ლისხმება, რომელიც, როგორც ვნახეთ, უკვე 1536 წ. (ბარათაანთ გაყრილობის წიგნში) „დჰანის ცხედ“ იწოდება, 2) დჰანის ციხე (გვ. 176, 182—183) ე. ი. ნაქალაქარი და 3) ძველდჰანისი (გვ. 182), რომელიც, შესაძლებელია, იქვე მდებარეობდა, საცა ახლა პატარა დჰანისია¹.

ყველაზედ დიდი სამოსახლო დჰანისია: აქ არის 3 აზნაურისშვილი, 8 კომლი მსახლობარი და 3 ბოგანო;² ძველ-დჰანისის არის: 5 კომლი მსახლობარი, 1 ბოგანო და 1-ც აყრილი; დჰანის ციხეში სხედან ყაფლანიშვილები და დმანსკლი, 1 აზნაურისშვილია და 1 კომლი მსახლობარი ყმაა. საზოგადოდ, როგორც ვხედავთ, მოსახლეობა საშინლად შემცირებულია. აზნაურებს გარეთ, დიდზე დიდი უმრავლესობა სომხობაა. ასეა 1747 წლის დმანსკლის პირობის წიგნის მიხედვითაც (ნ. საქ. მუზ. ხელნაწ. გახყ-ის ფონდის № 11.560/Hd).

მე-18 ს-ის პირველ ნახევარში დმანისი და მეტადრე დმანისის ხეობა არა ერთხელ იქნა დარბეული და აოხრებული ლეკების მიერ; ოსქალეებიც შემოსულან დმანის ხევში, სპარსეთის ჯარიც მდგარა დმანისში 1745 წ. (ნ. პაპუნა ორბელიანის ისტორია, ნახსენ. ადგ., გვ. 54—1739 წ., 79—1742/43 წ., 103, 106—1745 წ., 119—1746 წ., 140—1747 წ.; შდ. ორბელიანთ საჩივარი მეფე ირაკლი II-თან, საქ. სიძვ. II 541—1747 წ.). ამ დროს დმანისი ორბელიანების მთავარი ციხე და საჯდომია. დმანისის სიონში და მის ირგვლივ ბევრია მე-18 ს-ის ორბელიანთა საფლავები³. ვახუშტი თავის გეოგრაფიაში სწერს, რომ „აწ (ე. ი. 1742 წლის ახლო ხანებში) შეაშენეს ყაფლანიანთა (ე. ი. ორბელიანთა) ციხე, სიმაგრისათვისაო“ (გეოგრაფია, გვ. 49).

მაგრამ დმანისის დღენი უკვე დათვლილი იყო. აი რას სწერს პაპუნა ორბელიანი 1757 წლის ქვეშ: „ქორონიკონს უმე (1757 წ.) დაიცალა საბარათაშვილო, სომხითი, ორბელიანთ მამული და ზოგი გავიდა კახეთს, ზოგნი ავიდნენ ზემო-ქართლში და საერისთობებში, აღარსად დარჩა შენობა იმ მხარეს, მცირედნი კაცნი ქვეშის ციხეში იდგა და ყარაბუღახის შვილები სამშვილდესა შინა: იყო ცემა ლეკთაგან მარადის და ოხრება საქართველოსა შინა“... (ნახს, ადგ., გვ. 233).

¹ დმანისის სამოსახლოების ასეთ დანაწილებას და სახელწოდების „დმანისის“ გაგებას დიდ დმანისად ეწინააღმდეგება იმ ნუსხის ჩვენება, რომელიც ე. თაყაიშვილს დამატების სახითა აქვს დართული თავისი გამოცემის 297—361 გვერდებზე, სადაც „დმანისი“ (გვ. 354) ან „დამანისი“ (გვ. 326, 329) ზოგადი სახელი ჩანს ან, უკეთ, თვით ნაქალაქარს ჰგულისხმობს, რადგან დმანელი ეპისკოპოსი ელისე აქ ცხოვრობს (გვ. 329), და სადაც „დმანის ციხე“ და „ძველ დმანისი“ სულ არ იხსენიება. მაგრამ ვინაიდან შესაძლებელია ეს ნუსხა ძირითადი, 1721 წლის, ნუსხის თანადართული არ იყოს, რასაც ჯერ კიდევ გამოკვლევა სჭირდება, ამიტომ მე მას მხედველობაში არ ვიდებ და მოსახლეობის რაოდენობის გამოანგარიშების დროსაც მის ჩვენებებს ანგარიშში არ ვადგებ.

² ერთი ბოგანო—გიორგი ყარაბუღახისშვილის ყმაა (გვ. 73), ორიც—დათუნა გერმანოზის-შვილისა უნდა იყოს—მართალია მას დმანისში არაფინ უწერია, სწერია მხოლოდ „დმანის“ (გვ. 134) და არ ჩანს თუ ვინ ჰყავდა და რამდენი, მაგრამ ჯამში (გვ. 135) 2 ბოგანო მეტი გამოდის, შედარებით ნუსხასთან, და ეს ორი ბოგანო იქნება, ალბათ, რომელთა აღნიშნვა „დმანის“-ის პირდაპირ გამოჩნჩიათ.

³ უმრავლესობა ამ საფლავებისა ამ ექვსიოდე წლის წინათ მჭკურველობის მიზნით გადაუთხრია ვინმე მღვდელს, პლატონ კეთილძეს.

მე-18 ს-ის დამლევს, როგორც უკვე მოვიხსენიე, ეს ადგილი სრულე-
ბით გაპარტახებული დაჭვედრიათ აქ გაღმოსულ ჯავახელ გლეხებს. მიწების
გამიჯვნის დროს ქართველებს, თათრებსა და სომხებს შორის, ორბელიანები
თურმე ძველი სიით სარგებლობდნენ და აქედან იციან დმანისელებმა ზოგიერთი
ადგილობრივი სახელი, როგორც „ფინაზაური“, „კისისხანა“, „ყაფარა-სოფე-
ლი“, „ჩინჩხვარას ხევი“ და სხვ. ორბელიანთაგანვე ახსოვთ ზოგიერთებს ადგი-
ლობრივი გადმოცემა, მაგ., კოვზებით ვაჭრობის შესახებ, რომლითაც განთქმუ-
ლი ყოფილა ძველი დმანისი, წყაროს შესახებ მაშავრის ხეობაში, ნაქალაქარის
ზემოთ, რომელიც ვითომ სუსუნატსა ჰკურნავს და, ალბათ, ის იქნება, რომე-
ლიც, ვახუშტის თქმით, „დაამსხვრევს ქვასა შირიმისასა და დააყრევინებს
სმითა“ (გეოგრაფია, გვ. 49) და სხვ. ზოგი რამ, რა თქმა უნდა, შეიძლება
ადგილობრივი ძველი მოსახლეობის გადმოცემაც იყოს (ასე, მაგ., გორუნჯუკე-
ლებისაგან გამიგონია, „დმანისი ლეკებმა დააქციესო“), მაგრამ, ყოველ შემთხვე-
ვაში, პატარა დმანელებს თვითონ აღარა ახსოვთ-რა.

1853 წ. ¹. ბართოლომე და დ. ორბელიანმა ინახულეს დმა-
ნისის ნაქალაქარი, მოკლედ ასწერეს ის და ზოგიერთი წარწერაც გადმოიღეს.
ამ უკანასკნელთაგან მ. ბროსემ კარგად წაიკითხა თევდოსი ეპისკოპოსის
წარწერა სიონის კარიბჭეზე და გიორგი ბრწყინვალის ხანას მიაკუთვნა ის,
ხოლო კარიბჭის დანარჩენი წარწერები ბართოლომეს გადმონაწერის მიხედვით
ვერ გაარჩია¹. დაბოლოს, 1894 წ. დმანისში მუშაობდა ე. თაყაიშვილი,
რომელსაც, როგორც იქაურებმა გადმომცეს, გარეუბნის სასაფლაოზე რამდენიმე
საფლავი გაუოხრია კიდევ². წარწერები ე. თაყაიშვილმა შეავსო და
ხელმეორედ გამოსცა³.

III.

დმანისის ნაქალაქარი ორი მკაფიოდ გარჩეული ნაწილისაგან შედგება
(ნ. ნახ. 1): ერთია თვით ქალაქი, მოთავსებული კონცხზე, რომლის ფართობი 12
ჰექტარს უდრის და მეორე — მის სამხრეთით, ფინეზაურის ორსავ ნაპირზე მდებარე
გარეუბანი, რომლის ფართობი დაახლ. 12 ჰექტარს მოიცავს. ქალაქში კიდევ
ცალკეა გამოყოფილი შიდა-ციხე. ქალაქს ჩრდილო დასავლეთიდან და ჩრდილო-
ეთიდან მდ. მაშავერი ჩამოუდის. აქ ნაპირის სიმაღლე საშუალოდ 90 მეტრს
აღწევს, იგი ოთქმის სრულეებით ციცაბო კედლადაა ამართული და ამიტომ
გამაგრება განსაკუთრებით არ სჭირდება: აქედან ზღუღე ქალაქს არ ჰქონია,

¹ ნ. Mélanges Asiatiques, tirés du Bulletin Histor.—Philolog. de l' Acad. Imp. des Sciences de St.-Pétersb. = Mélanges Asiat. II გვ. 327 შშ.

² ე. თაყაიშვილი დმანისში მუშაობდა რუსეთის არქეოლოგიური საზ-ბის დავალებით. ამიტომ, განათხარი ნივთები (მათ შორის ჭურჭელიც) გადაგზავნილ იქნა ამ საზ-ბის მუზეუმში პეტერბურგს (ლენინგრადს), საცა ისინი ამჟამადაც დაცული უნდა იყოს.

³ ნ. მისი „სომხით-საორბელის ძეგლების წარწერები“, ნაწ. 1, პ. 1929 = თაყაიშვილ. სომხ-საორბ. წარწ., გვ. 101—106; ე. თაყაიშვილმა გამოსცა აგრეთვე დმანისის სიონის, სამრეკლოს და ციხის აბანოს გეგმები მის მიერ შედგენილს „ქართული ხუროთმოძღვრების ალბომში“, თბ. 1924, ტაბ. 36—38.

მხოლოდ ალაგალაგაა ამოშენებული კედლები, ისიც მხოლოდ ზედაპირის შესამაგრებლად, რადგან სახლები ზედ კბოდეზეა მიმდგარი. სამხრეთ-აღმოსავლეთიდან და აღმოსავლეთიდან ქალაქს ფარგლავს ფინეზაურის ხევი. აქაც ნაპირი მაღალია, თუმცა იმდენად არაა, საშუალოდ იგი 80 მეტრის სიმაღლეს აღწევს და ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ იგიც ძალიან ქარაფოვანია, მაინც იმდენად დაქანებული არაა, როგორც მაშავერის ნაპირი. ამიტომ აქ მთელს სიგრძეზე, ვიდრე კონცხის წვერამდე, ქალაქს კედელი არტყია. მაგრამ მაინც ეს მხარეც მტრისთვის მიუდგომლად უნდა ჩაითვალოს. ამგვარად ქალაქს მისადგომი აქვს მხოლოდ სამხრეთიდან.

კონცხის მთელს ზედაპირს პატარა დაქანება აქვს ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ, და უფრო დიდი დაქანება აქვს სამხრეთ-დასავლეთიდან ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ. აქ სიმაღლის განსხვავება უკიდურეს სამხრეთ-დასავლეთ წერტილსა, საცა შიდა-ციხეა მოთავსებული, და უკიდურეს ჩრდილო-აღმოსავლეთ წერტილს, ე. ი. კონცხის წვერს შორის, 45 მეტრს აღწევს. ამასთან, კონცხის წვერიდან მოყოლებული სამხრეთ-დასავლეთისაკენ კონცხის ზედაპირი თითქმის მთელს სიგრძეზე ნელის თანდათანობით მალღდება, ისე რომ შიდა-ციხის ძირას სხვაობა მხოლოდ 15-20 მეტრს უდრის, აქ კი, ქალაქის სამხრეთ-დასავლეთს კუთხეში, შედარებით პატარა ფართობზე, ნიადაგი უცებ 20-25 მეტრით მალღდება. შიდა-ციხეც მოთავსებულია სწორედ ამ თითქოს საგანგებოდ ამართულ კედლეზე. სტრატეგიულად მიეღს კონცხზე ეს ყველაზე უფრო მარჯვე პუნქტია: იგი ბატონობს ქალაქზე, რომელიც, როგორც ხელის გულზე, ისე მის წინ გადაშლილი და ამავე დროს მას აქვს ფართო გადასახედი სამხრეთისაკენ, ფინეზაურის ხეობაში, საიდანაც მხოლოდ შეეძლო მტერს ქალაქს მისდგომოდა (ხ. სურ. 1 და 2). შიდა-ციხეს ოთხივე მხრით კედელი არტყია და მხოლოდ ქალაქიდან აქვს შესავალი. აი აქედან, შიდა-ციხიდანაა წამოყვანილი კედელი, რომელიც ქალაქს სამხრეთიდან ზღუდავს და მერმე ფინეზაურის ნაპირს მიჰყვება ვიდრე კონცხის წვერამდე. შესავალიც ქალაქს ამ კედელში აქვს, სამხრეთიდან¹.


ქალაქის კარამდის ძველ გზას მივყავართ, რომელიც ქუჩის სახით გრძელდება თვით ქალაქში. აქ, ზედაპირულად, ორი „მთავარი ქუჩა“ ჩანს: ერთი თითქოს ქალაქის შესავლის ხაზზე გადის კონცხის წვერამდე, მეორე კი მის ზემოთ მდებარეობს ჩრდილო-დასავლეთისაკენ და უერთდება მას ქალაქის ქვემო ნაწილში. ამ ორ „ქუჩას“ შორის ორი დიდი „მოედანი“ განიოჩეა: ერთი ზემოთ, საცა ორივე „ქუჩა“ იყოფა, და ერთიც ქვემოთ, „ქუჩების“ შესართავთან. მაგრამ გათხრამ ეს, პირველი შეხედვით, თითქოს ნათელი სურათი არ დაგვიდასტურა: როგორც ქვემო-ისე ზემო-„ქუჩების“ გარდიგარდმო და აგრეთვე ზემო-„მოედნის“ მთელს ფართობზე მიწის ქვეშ ძველი კედლები აღმოჩნდა.

ძველი ქუჩა ქალაქის ჭიშკართან აღმოჩნდა. ჭიშკარი მიმართულია დასავლეთისაკენ. მისი სამხრეთი კედლის გათხრისას, ზედაპირიდან 1,26 მეტრის სი-

¹ თვით ჭიშკარი, ნიადაგის რელიეფის გამო თუ სტრატეგიულის მიზნით, დასავლეთისაკენ იცქირება.

ქ. ღამახისის ნაქვედაქვის

ქრონოლოგიური გეგმა




ზიარებითა სიხები.

- ქვით აგებული
- ნაგებობა
- არქეოლოგიური მონაგარი
- თხევლი მასალა
- ხუთბრტყილი თხევლი მასალა
- კვადრები
- გუმბათი

შკალა 1:2000
 0 20 40 60 80 100 მეტრი

გეგმის სიზომი = 1 მეტრი
 ნაგებობის კონსტრუქციის და მასალის აღწერის
 სიზომი 1:100 მეტრი. მასალის აღწერის
 სიზომი 1:100 მეტრი. მასალის აღწერის


ღრმეზე, გამოჩნდა უსწორ-მასწორო ფორმის საყუნწურე ქვა, რომლის სიმაღლე 35 სანტ-ს უდრის. საყუნწურის ქვეშ 47 სანტ-ის სისქეზე კულტურული მიწის ფენა მოდიოდა, ხოლო შემდეგ 26 სანტ-ის სისქის კარგად გათლილი ფილაქანი აღმოჩნდა, რომელიც საფეხურივით დევს დიდი, პრტყელი, მქისედ დამუშავებული ფილაქნების ქვაფენილზე. ქვაფენილი, თავისი მზოით, უმეშვეოდ პიტალო კლდეზე დევს. ასეთივე სურათი და იმავე სიღრმეებზე მოგვცა ჩრდილო-კედელმა (ნ. ნახ. 3). ორსავ კედელს საანყოლე ქანები აქვს, მაგრამ ეს ქანი მხოლოდ სამხრეთის კედელზე ჩადის ქვედა ფილაქნამდე, ჩრდილო-კედელზე კი მხოლოდ საყუნწურის სიღრმეს აღწევს. ქვაფენილზე საფეხურივით დადებული ფილაქანი ორია: ერთი სამხრეთი კედლისა, ხოლო მეორე ჩრდილო-კედლის



სურ. 5. ქალაქის კიშვარი გათხრის შემდეგ. ასახულობა აღმოსავლეთიდან.

ძირას, მათ შორის კი, კარის მთელს სიგანეზე, რომელიც 4 მეტრსა და 30 სანტ-ს შეადგენს, მხოლოდ ქვაფენილი დევს. შესაძლებელია რომ საფეხურივით დადებული ორი ფილაქანი ძველი კარის ზღურბლის ნაწილს წარმოადგენდეს. ფილაქნებს შორის დაახლ. 1,50 მეტრის სიგანის მალია, რომელშიც, რა თქმა უნდა, ურემი ვერ გაეტეოდა. ეს მალი ამოვსებულია ქვაფენილის პრტყელი ფილაქნებით და ნაწილობრივ ნაგლეჯი ქვებით. ორივე განის ფილაქნის გვერდითაც რამდენიმე დიდი უშვერი ლოდი დევს (ნ. სურ. 5). ამ „ზღურბლის“ დანიშნულება


გაუგებარია, მიმოსვლას იგი, უეჭველია, ხელს არ შეუწყობდა. ძველი გზისა და კარის სურათი აქ წაშლილი ჩანს, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, ის მაინც ცხადია რომ ქვაფენილი „საზღურბლი“ ფილაქნებითურთ ქალაქის უძველესი კარის ნაშთს წარმოადგენს, ხოლო გაცილებით უფრო მაღლა, 0,50 მეტრის სისქის კულტურულ ფენაზე დადებული საყუნწურე ქვები უკვე მერმინდელი დროის კარს ეკუთვნის. ამ გვარად, აქ ორი ხანის ნაშთები გვაქვს და ვინაიდან სწორედ საზღურეთი კედლის ჩათხრისას, 2 მეტრის სიღრმეზე, ე. ი. საყუნწურის ქვეშ მდებარე კულტურულ ფენაში აღმოჩნდა თამარის 1200 წლის მონეტა, ცხადია რომ უძველესი ხანის კარი (კედელი თავისი ქანით, „ზღურბლი“ და ქვაფენილი) მე-12 საუკუნეს ან უფრო ადრინდელ დროს უნდა მიეკუთვნოს. ქვაფენილი, როგორც აღვნიშნე,



სურ. 6. ქალაქის ჳიშკარი. ძველი ქუჩის საერთო ასახულობა დასავლეთიდან.

პიტალო კლდეზე დევს, მთელი კარის სიგანე უჭირავს და ქალაქის გარეთაც გამოდის დაახლ. 1 მეტრის მანძილზე და ქალაქისაკენაც, კარის შიგნით, სამიოდე მეტრის სიგრძეზე შედის. შემდეგ იწყება ნაგლეჯი ქვებით მოკირწყლული ქუჩა. ეს (სურ. 6) ქუჩა, როგორცა ჩანს, უკვე ქალაქ გარეთვე იწყებოდა, მაგრამ აქ ხუთიოდე მეტრის მანძილზე შენახული ქვაფენილი მეტად დაზიანებულია, ქვები ან ამოვარდნილია ან მონძრეული, პირვანდელი სურათი შეშლილია. კარის შიგნით კი ქუჩა ძალიან კარგადაა დაცული. აქ მას ჳიანი უჩანს მხოლოდ უმეშვეოდ კარის ქვაფენილთან, სადაც რამდენიმე წყება ქვებისა ძველადვე ამოვარდნილია: კარის


ქვაფენილსა და ქუჩის ქვაფენილს შორის აქ ჩვენ ხრეშით ამოვსებული, 40-ოდესანტიმეტრის სიგანის ხარვეზი დაგვხვდა. ეს ხარვეზი საშუალებას გვაძლევს ზედმიწევნით შევისწავლოთ ქვაფენილის ნაგებობა. ქუჩა აღმა მიდის საკმაოდ დიდოდაქანებით. მისი ქვაფენილი, დაგებული აგრეთვე პიტალო კლდეზე, კარის ქვაფენილს ებჯინებოდა, რომელიც არ უშვებდა ქვებს რომ წინ გადმოვარდნილიყო. მოზრდილი ნაგლეჯი ქვები ისეა გვერდებზეა მოტეხილი რომ სოლივით ჩაუჯდეს ერთი მეორეს. ქვასა და ქვას შორის ხანებში ჩაყრილია ხრეში, და ქვები ისე მჭიდროდაა ერთმანეთში ჩაჭედვით რომ მათი ადგილიდან დაძვრა ყოვლად შეუძლებელია. ამ მარტივი საშუალებით მიღწეულია ისეთი სიმტკაცეე, რომ ქუჩა დღესაც იაფე-ისე დგას, როგორც XII ს-ში იდგა. სამაგიეროდ, ქვების სიდიდის გამო, ქუჩის ზედაპირი ძალიან უსწორ-მასწორია. გვერდებიდან ქუჩას ქვიტი-რიანი ქვის კედლები მიჰყვება. მისი სიგანე კარის ახლოს 4,70 მეტრს აღწევს.




ნახ. 3.

ზევითკენ იგი თანდათანობით ვიწროვდება. იგი 12-13 მეტრის სიგრძეზე მიდის აღმოსავლეთის მიმართულებით, ხოლო შემდეგ ჩრდილოეთისაკენ უხვევს. აქ ჩვენ მას კიდეც 7—8 მეტრის სიგრძეზე ავყევით, რის შემდეგ გათხრა დროებით შეჩერებულ იქნა. ქუჩა დავიწროვდა თითქმის 2,50 მეტრამდე. როგორც ჩანს, იგი სიონისაკენ მიიმართება (6. ნახ. 3).


გალავანი, რომელიც, როგორც აღინიშნა, მხოლოდ ფინეზაურის ხევის გასწვრივ აკრავს ქალაქს, ზოგიერთი ბურჯის გამოკლებით, ძალიან დაუდევრადაა ნაგები. მასალად ნახმარია ადგილობრივი ბაზალტი. ქვა საშუალო ზოქისაა და



სურ. 7. ქალაქის გალავნის ბურჯები.



სურ. 8. წყლისსახიდი გვირაბის აწინდელი შესავალი.



სურ. 9. წყლისსახიდი გვირაბი შიგნით.


თითქმის სრულებით დაუშუშავებელია, მხოლოდ გვერდები აქვს ჩამოტეხილი, შემტკიცებულია ქვიტკირით. წყობას მხოლოდ ზოგან ეტყობა ფენებრივობა (ასეა ბურჯებში). განირჩევა კედლის გარე და შიდა პირები, პერანგივიო, და მათ შორის ჩასხმული ჭყორღულაბი. კედლის სისქე საშუალოდ 1,20 მეტრს აღწევს. გალავანს საძირკველი არა აქვს, იგი უმეშვეოდ კლდეზე დგას. ამასთან, ალაგ-ალაგ ძირში მას ჩაშენებული აქვს მოგრძო დიდი ქვები, რომლებიც, შესაძლებელია, გარეუბნის სასაფლაოდან იყოს აქ მოტანილი. ზოგიერთი ბურჯიც შედარებით ისე სუფთადაა ნაშენი (ნ. სურ. 7), ისეთი მტკიცე ქვიტკირითაა მოსხმული რომ საერთო შთაბეჭდილებით გალავნის უდიდესი ნაწილი თითქოს უფრო მერმინდელი ნაგებობა უნდა იყოს.



სურ. 10. შიდაციხე სამხრეთ-აღმოსავლეთიდან.

შესანიშნავია წყლისსაზიდი გვირაბი, რომელიც სიონის ჩრდილო-აღმოსავლეთით გეზად ჩაჰყვება მაშვარის ხევის ქარაფებს ვიდრე წყლის პირამდე. გვირაბის ზემო ნაწილი ახლა მთლად ჩანგრეულია, ქვემო (უდიდესი) ნაწილი კი დღესაც მშვენიერადაა დაცული, გარდა კიბისა, რომლის საფეხურები ძალიან დაშავებულა. გვირაბი მიდგმულია ზედ კლდეზე, მას დიდი ქვის კედლები აქვს, რომლებსაც უჭირავთ სოლებივით ჩაწყობილი პრტყელი ქვებით ქვიტკირზე გამოყვანილი ისრული კამარა (ნ. სურ. 8 და 9). გარკვეულ მანძილზე გაკეთებულია

სარკმლები. გვირაბის სიგანე დაახლ. 2,00 მეტრის უდრის, სიმალით კი კაცი შიგ კარგად გაიმართება. წყალთან მისი გასაველი ახლა ამოვსებულია ზევიდან ღვარისაგან ჩამოტანილი ღორლით. გარედან გვირაბის შემჩნევა ძნელია, წყალზე გასაველიც მას ვიწრო, ყრუ ადგილასა აქვს, მტერი მას ისე ადვილად. თვალს ვერ მოჰკრავდა. რა თქმა უნდა, წყლისსაზიდად იგი იხმარებოდა მხოლოდ გარემოცვის დროს. წყალს ეზიდებოდნენ, ალბათ, ვირებითა და ჯორებით.




სურ. 11. ძველი კიბე შიდაციხეში.

შიდაციხის კედლებიც გალავნის მსგავსადაა ნაგები (ნ. სურ. 10), ოღონდ აქ ბურჯები უფრო ხშირია და 0,50 მეტრის სიმაღლის ნაგლეჯი ქვის საძირკველიც არის. აქა-იქ აგურის წყობაც ურევია, რაც მერმინდელი შეკეთების

ნაშთი უნდა იყოს. შიდა-ციხის მისავალი გამაგრებული ყოფილა გარედან სამხრეთიდანაც. აქედან მას ერთი მეორის ზემოთ ორი ხელოვნური ტერასა არტყია, რომელთაგან პირველი, ქვემო ტერასა, როგორც გათხრამ გამოარკვია, ძველ ქვაყუთებიან დიდ მავზოლეუმებს შეიცავს (საფლავები მაჰმადიანური უნდა იყოს, რადგან ეს ადგილი უმეშვეოდ გარეუბნის მაჰმადიანურ სასაფლაოს ეკვრის, და არაერთარ ინვენტარს არ შეიცავს), ზემო ტერასა კი უთუოდ ძველი კედლის ნაშთებს ინახავს—ალაგ-ალაგ როგორც კედლის წყობა, ისე მთელი ბურჯები და ფორტები ჩანს.

შესავალი შიდაციხეს; როგორც აღინიშნა, მხოლოდ ქალაქიდანა აქვს. იგი უმეშვეოდ ეკვრის სიონს (ნ. სახ. 4). შიდაციხის შიგნით ფართო ეზოა. დასავლე-



ნახ. 4.

თისაკენ ხევის პირას რამდენიმე შენობა დგას, ზოგი ქვით, ზოგი პრტყელი ქართული აგურით ნაგები. ზევით აბანოა, რომელსაც გარედან, ჩრდილო-აღმოსავლეთის კუთხესთან, კიბე აკრავს (სურ. 11). ეს კიბე აბანოს გაწმენდის დროს ვიპოვეთ, იგი აბანოზე გაცილებით უფრო მერქინდელი უნდა იყოს: საფეხურის ფილაქნები დაწყობილია ნაშალ მიწაზე, რომელიც აქ ერთი მეტრის სიღრმეს აღწევს, უქვიტკიროდ. კიბე ძალიან დაშეგებული დაგვხვდა: მას პირველი ორი საფეხური უნდა აკლდეს, რადგან, უიქველია, იგი აბანოს კარის ზღურბლის დონეზე იწეებოდა, ახლა კი მალლა მოდის მასთან; 6-7 საფეხურით იგი შიდა-ციხის უკანასკნელი შენობებისაკენ აღის აღმოსავლეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით, მერე კი იკარგება.

აბანოს ზემოთ კიდევ რამდენიმე შენობაა (სურ. 12). გათხრამ აღმოაჩინა პატარა ბუხრიანი ოთახი, რომელიც უმეშვეოდ ეკვრის ზემოდან აბანოს დიდ ოთახს და, ეტყობა, მისი მეორე სართულის ნაწილს წარმოადგენდა; ამ ოთახის შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი. შემდეგ, ამ ოთახის ცოტათი უფრო ზემოთ, 1-1,50 მეტრის დაშორებით, მსგავსადვე ნაგები და ბათქაშით კარგად გალესილი

ორი ოთახი აღმოჩნდა ორი შესავლით (აღმოსავლეთიდან და ჩრდილოეთიდან) და სწორკუთხოვანი წალოებით.¹ ამ ოთახებს ზემოდან ეკვრის მოზრდილი ბჟრჯებიანი შენობა, ნაგები ქალაქის გალავნის მსგავსად, ოღონდ ზოგან უფრო დიდი ქვებით. ამ შენობას, რომელიც ერთ ადგილას გარდიგარდმო კედლით გატიხრულს მოგრძო ოთხკუთხ ოთახს წარმოადგენს, შიდაციხის ბორცვის მწვერვალი უჭირავს. შესავალი მას მხოლოდ ჩრდილო-დასავლეთიდან აქვს, სარკმლები არ უჩანს. გათხრამ აქ თითქმის არა მოგვცა რა, ისევე როგორც მის ქვემოთ მდებარე შენობებში. ყველა ამ შენობის საძირკვლები ხამ მიწაზე დგას. კულტურული ფენის სისქე დიდი ოთახის შიგნით ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში 1,50 მეტრს აღწევს, სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში კი ნაკლებია. აქ ოთხი




სურ. 12. შიდაციხე. აბანო და შენობები მის ზემოთ.

თხრილი იქნა დადებული (პირველი—N-კუთხეში, შესავლის პირდაპირ, მეორე—W-კუთხეში, მესამე—SO-კედლის გასწვრივ S-კუთხის ახლოს და მეოთხე—ამ უკანასკნელის გვერდით NO-ისკენ, 1,50 მეტრის დაშორებით). რადგან საცდელმა თხრილებმა თითქმის არა მოგვცა რა, ხოლო ტექნიკური პირობები ძალიან ართულებდა ამ ოთახის გამოწმენდას, გათხრა ამაზე შევსწევიტეთ. მხოლოდ მე-3 თხრილში ვიპოვეთ ბიზანტიური შავი მონეტა (X ს.?) 70 სანტ-ის სიღრმეზე, და ზედაპირულად მიწაში ჩაფლული ორი ქვევარი. სხვა, გარდა სადა თინის ქურქლის, რამდენიმე ანგობიანი სადა ქაშანურის, აგურის და კრამიტის ნატეხებისა, ისიც ძალაან მცირე რაოდენობით, ოთხსავე თხრილში არა გვიპოვია რა. ეს ოთახი და მის ქვემოთ მოთავსებული ბათქაშით გალესილი შენობები ჯარის სადგომებს თუ წარმოადგენდნენ.

¹ აღმოსავლეთის ოთახს წინა (ჩრდილოეთის) კედელი არ უჩანს (არ ჰქონია, თუ საძირკვლიანად დანგრეულა?).


IV.

შიდაციხის აბანო საინტერესო ნაგებობას წარმოადგენს (ნ. ნახ. 5, 6 და 7). ახლა იგი სამი ოთახისაგან შედგება და შესავალი აღმოსავლეთიდან პირველი, დიდი, ოთახიდან აქვს, რომელიც აშკარად საცხოვრებელ ბინას წარმოადგენს. იგი აშენებულია ქვით და ამ მხრით სრულებით არ განსხვავდება დმანისისათვის ჩვეულებრივ შენობებში: მქისედ დამუშავებული ლეგა ფოროვანი ქანის (ადგილობრივი ბაზალტის) საშუალო ზომისა და პატარა კვარცები ფენებრივადაა ქვიტირზე წყობილი კედლების გარე და შიდაპირებზე, ხოლო მათ შორის ჩასმულია ჭკორდულაბი (ბუტი). ასეა ნაგები ამ ოთახის ჩრდილო და დასავლეთის




ნახ. 5.

კედლები. ხოლო, რადგან აბანო სამხრეთიდან და აღმოსავლეთიდან მიდგმულია პირდაპირ კედლებზე, უნდა ვიფიქროთ, რომ ამ ოთახის სამხრეთსა და აღმოსავლეთს კედლებს გარეპირი არ უნდა ჰქონდეს (ასეა ნაგები მეორე სათულის პატარა ბუხრიანი ოთახის კედლებიც, ნ. ქვემოთ). შიგნით დიდი ოთახი (ნ. სურ. 13) გაღვსილი ყოფილა ბათქაშით, რომლის ნაკვალევი აქა-იქ ჯერ კიდევ ჩანს. იატაკი ამჟამად მიწურია. გარდიგარდმო, შესავლიდან მარჯვნივ (დასავლეთისაკენ), კარსა და პირველ სარკმელს შორის, ამ ოთახში მიწური ტიხრის ნაშთები აღმოჩნდა. შექველია, ეს ტიხარი მერმინდელი გაკეთებული უნდა იყოს, თავდაპირველად კი აქ ერთი დარბაზი იყო, რომელსაც ერთი კარი და ერთი ფანჯარა ჰქონდა ჩრდილო-კედელში. აღმოსავლეთ კედელში ბუხარია შეშენებული, რომე-



ნახ. 6.



ნახ. 7

ლიც თითქმის სრულებით ჩამონგრეულა. ამ ჟამად ამ ოთახის ჭერი სულ მთლად ჩანგრეულია. კედლებში, რომლებიც თავისი პირვანდელი სიმაღლითაა შენახული, ზევით გამოშვებული თარხნები ჩანს (დაცულია მხოლოდ ოთხი თარხანი), რომლებზედაც დაყრდნობილი იყო მეორე სართული. სხვა ნიშნებითაც ეტყობა რომ ამ ოთახს მალლა სართული ჰქონია: ადგილ ადგილ შენახულია ამ სართულის კედლების ნაშთები, ხოლო სამხრეთიდან, როგორც უკვე აღინიშნა,



სურ. 13. ციხის აბანოს დიდი ოთახი შიგნით.

მეორე სართულის სიმაღლეზე პატარა ბუხრიანი ოთახი აღმოჩნდა (სურ. 14), რომელსაც აბანოს დიდი ოთახისაკენ კედელი არა აქვს და რომელიც ამიტომ ამ ოთახის მალლა სართულის ნაწილს უნდა წარმოადგენდეს. ეს პატარა ოთახი ხამლორიან მიწაშია შეშენებული და ამიტომ მის კედლებს გარეპირი არა აქვს; მისი სამივე კედელი ამოყვანილია ქვით (მხოლოდ ალაგ-ალაგ ურევიან მცირედ აგურიც) და გალესილია ბათქაშით, ზღვედაც ქვიტკირი აქვს მოსხმული; სამხრეთ კედელში ჩაშენებულია ქართული მცირე ზომის აგურითა და ქვით ამოყვანილი ბუხარი და მის ორსავე გვერდზე პატარა სწორკუთხოვანი თახჩები; ერთი უფრო დიდი თახჩა, იმავ სიმაღლეზე, აღმოსავლეთ კედელშიცაა, ხოლო მის პირდაპირ, დასავლეთ კედელში, კიდევ უფრო დიდი და უფრო ღრმა თახჩაა მოთავსებული, აგრე უვე სწორკუთხოვანი, რომელიც ჩამოსაჯდომად და დასასვენებლად იყო, ალბათ, განკუთვნილი, რადგან ძირი მას დაბალი აქვს. ეს ოთახი მთლიანად მიწით იყო დაფარული; გამოწმენდისას აქ აღმოჩნდა მხოლოდ მცირე რაოდენ-

ნობა ანტიგობიანი კერამიკის ნატეხებისა, ერთთ თალის (?) ქვა-არაბული წარწერით და ერთიც ქართული წარწერიანი ქვის ფრაგმენტი. ძირა დიდ ოთახს ბევრი შეკეთების ნიშნები ეტყობა. მის ჩრდილო-კედელში მე მოვიხსენიე მხოლოდ ერთი ფანჯარა. ასე უნდა ყოფილიყო თავდაპირველად, ხოლო ამ ქამად მეორე ფანჯარაც არის ამ კედელში, პირველი ფანჯრის დასავლეთით. მაგრამ ის ისე ასიმეტრიულადაა გაკეთებული, იმდენად უფრო დაბლა მოდის პირველ ფანჯარასთან შედარებით, რომ უთუოდ მერმე უნდა იყოს აქ ჩადგმული; გარედან რომ შეხედოთ ამ ფანჯარას, კედელსაც მის გარშემო სხვანაირი წყობა ეტყობა. დიდი ოთახის შესავალსაც ეტყობა მერმინდელი შეკეთების ნიშნები, ხოლო ხის კოჭი, რომელიც ჩადგმულია დასავლეთი ფანჯრის თავში, სრულებით ახალი ამბავი უნდა იყოს.

დიდი ოთახი 1936 წ. სამ მეტრზე მიწით ამოვსებული დაგვხვდა. გამოწმენდისას, 2,5 მეტრის სიღრმეზე, ოთახის მთელს სიგრძეზე, 8—12 სანტიმეტრის ნახანძრევი შავი ფენა აღმოჩნდა, რომელშიც ამოვიდა სადა თიხის გაჭვარტლული ქურჭელი და, სხვათა შორის, ერთი ქოთნის ფრაგმენტი, რომელშიც ნაცარში არეულად ეყარა სომხური ბეჭდური სახარების ნახშირად ქცეული ფურცლები. ნახანძრევი ფენის ქვეშ კი, იატაკის დონეზე, ამოვიღეთ მრავალი კარგად დაცული ხელადა და ქილა წითელი თიხისა, რომლებიც ჩამწკრივებული იყო S-კედლის გასწვრივ, SW-კუთხის ახლოს, და რუსუდანის შავი მონეტა 1227 წლისა (ოთახის SO-კუთხეში). ამგვარად, ჩვენ საბუთი გვაქვს დავასკვნათ რომ ეს ოთახი XIII ს-ში უკვე აქ იდგა და მართლაც ნაგებობის მხრით იგი არაფრით განსხვავდება დმანისის ჩვეულებრივ სამოქალაქო შენობებში, რომლებიც ფულების საშუალებით კარგად არიან დათარიღებული XII—XIII საუკუნეებით. მაგრამ იგი მერმეც დიდხანს, ალბათ, XVIII ს-მდე, უხმარიათ საცხოვრებელ ბინად, სანამ ხანძარს არ დაუწვავს.

საინტერესოა ამ ოთახის ფორმები და ზომები: მას სწორკუთხოვანი, მაღალი კარ-სარკმელი აქვს და გადახურვა პრტყელი ჰქონია. ასეთი ზომის ფანჯარები და კარი სხვაგან დმანისში სამოქალაქო შენობებში არსად არ გვინახავს. არაფრით არ ეტყობა ამ ოთახს რომ იგი აბანოს ნაწილს წარმოადგენდეს. და მართლაც, თავდაპირველად აბანოსთან მას საერთო არა ჰქონდა რა. აბანო მერმეა მიშენებული ამ ოთახზე, რომელიც, როგორც საფიქრებელია, შიდაციხის სასახლის ნაწილს უნდა წარმოადგენდეს. მართალია, საკვირველი არის რომ შიგ. მაინც და მაინც არა გვიპოვია რა,¹ მაგრამ ეს აიხსნება სწორედ იმით რომ აქ უკანასკნელ დრომდე ვილაც მდგარა. აბანოს მერმინდელი მიშენებულობა სრულებით უდავოდ ირკვევა იმ გარემოებიდან რომ მასა და დიდ ოთახს საერთო კედელი არა აქვს: აბანოს წინა (აღმოსავლეთი) ოთახის აღმოსავლეთი კედელი მიდგმულია მჭიდროდ დიდი ოთახის დასავლეთის კედელზე; კარიც საერთო არ არის, აბანოს თავისი, ბათქაშით კარგად შელესილი, თაღოვანი კარი აქვს, დიდი ოთახის კედელში კი შესაფერის ადგილას ამოტეხილია სწორკუთხო-

¹ სხვათა შორის, ამ ოთახის NO-კუთხეში იატაკში ჩამწკრივებული თონე აღმოჩნდა, სასახლისათვის, ცოტა არ იყოს, უცნაური შემკულობა.



სურ. 14. ბუბრიანი ოლახი ციხის აბანოს ზემოთ.

ვანი კარი (სურ. 15), რომლის განის კედლები ამოშენებულია აბანოსავით ქვითა და აგურით, იმ დროს როდესაც მთელს ოთახში არსად სხვაგან აგური არ უხმარიათ.¹ და რადგან აბანოს კარი დაბალი უნდოდა, დიდი ოთახის კედელშიც დაბალი კარია ამოტეხილი, ისე რომ კაცი შიგ თავისუფლად ვერ გაივლის, იმ დროს როდესაც შესასვლელი კარი ჩრდილო-კედელში ამ ოთახს, როგორც აღინიშნა, მაღალი აქვს. ყველა ეს უდავოდ ხდის არა მარტო იმას, რომ დიდი ოთახი და აბანო ორი სხვადასხვა დროის შენობაა, არამედ იმასაც, რომ სწორედ აბანოა მიდგმული დიდ ოთახზე, რომ იგია უფრო მერმინდელი ნაგებობა და არა წინაუკმოდ. სხვაფრთვაც აბანოს, როგორც ნაგებობას, დიდ ოთახთან საერთო არა აქვს რა. იგი აშენებულია ქვითა და აგურით. აგური ე. წ. ქართულია, კვადრატული, პრტყელი, პატარა ზომის (23 × 23 სანტ.). შიგნით აბანო კარგადაა გალესილი ბათქაშით. სარკმლები მას არა აქვს. ორივე ოთახი გადახურულია პრტყელი გუმბათებით, რომლებიც დაყრდნობილია ისრულ ტრომპებზე (სურ. 16). გუმბათში შუა ადგილას აგურით შემოწყობილი მრგვალი სარკმელია დატოვებული, რომლიდანაც ოთახში სინათლე ჩადიოდა. აბანოს ორივე გუმბათი გარედან დახურულია ქიმებიანი პრტყელი კრამიტით (სიგრძ. 0,318 მ., სიგან. თავში 0,255 მ., ბოლოში 0,225 მ., სისქ. 0,022 მ.). კრამიტი დულაბითაა დამაგრებული, დულაბზე დევს. პირალმა მდებარე კრამიტების წყება ენაცვლებოდა პირქვე მდებარე წყებას, ისე რომ პირქვე მდებარე კრამიტი თავისი ქიმებით ჩამოცმული იყო ორს მეზობელ პირალმა მდებარე კრამიტზე. ამასთან, რათა კრამიტები ქვევით არ ჩამოცურებულყვნენ, ქვედა კრამიტს თავი, რომელიც ბოლოზე უფრო განიერია, ზევითკენ აქვს მოქცეული, ზედა (პირქვე დადებულ) კრამიტს კი ქვევითკენ ჰქონდა. ქვედა კრამიტები თავისი ქიმებით ებჯინება მათ შორის სქლად ჩასხმულ დულაბს, რომელსაც ზედა კრამიტის ფორმა აქვს მიღებული. ქვევითკენ უფრო განიერია და ამიტომ არ უშვებს პირალმა მდებარე კრამიტებს რომ ქვევით ჩამოცურდეს; ზედა კრამიტები კი ვერ ჩამოცურდებოდა იმის გამო. რომ მეზობელი პირალმა კრამიტების ქვევითკენ უფრო განიერად მდებარე ქიმები მათ გასაქანს არ მისცემდა (ნ. სურ. 17). კრამიტი მშვენიერი ნახელავია და კარგადაა გამომწვარი. ყველა ცალს არა, მაგრამ ბევრს წინაპირზე შუაში რელიეფით გამოყვანილი ნიშანი აქვს, სამყურასავით (სურ. 18). ეს სამყურა პირალმა მდებარე კრამიტებისათვის ორნამენტის როლს ასრულებს, პირქვე დადებული კრამიტებისათვის კი საჭირო იყო დასამაგრებლად, რადგან ამ რელიეფით იყო კრამიტი ჩამჯდარი დულაბში და იგი აკავებდა მას, რათა ზევით არ ავარდნილიყო. მაგრამ მაინც ამ კრამიტების ახდა ადვილი იყო. ამიტომაც რომ ზედა (პირქვე მდებარე) კრამიტები აღარ შენახულა და მხოლოდ მათი ფორმის დულაბი სამყურას ნაჭდეურითურთ გვიჩვენებს რომ ისინი აქ ოდესღაც ეფარა. ეტყობა ეს კრამიტები მერმე სადღაც სხვაგან გამოუყენებიათ. დმანისში ჩვენ აღარსად აღარ გვიჩვენებს ასეთი ნიშნიანი კრამიტი. მხოლოდ გარეუბნის შუა-აბანოში აღმოჩნდა ერთი ასეთი ნატეხი: უეჭველია, ის იქ ციხის აბანოდან უნდა იყოს წაღებული.

¹ გარდა მაღლა სართულის პატარა ბუხრიანი ოთახისა, რომელიც შესაძლებელია აგრეთვე მერმინდელი მინაშენი იყოს.



სურ. 15. ციხის აბანო. კარი დიდი ოთახიდან აბანოში.

გუმბათებს შორისი ღრმული და სახურავის ნაპირები დაფენილია კარგად ზამომწვარი კვადრატული თიხის ფილებით (ზომ. 0,285 X 0,285 მ., სისქ. 0,036 მ.), რომლებიც აგრეთვე დულაბითაა შემტკიცებული.¹ გუმბათებს შორის ეს ფილები თავთხელ ღარსა ჰქმნიან, რომელსაც ორპირი დაქანება აქვს მიცემული ჩრდილოეთისაკენ და სამხრეთისაკენ. სამხრეთიდან, როგორც აღინიშნა, აბანო მიდგმულია კლდეზე. აქ, რათა აბანოს გარედან წვიმის წყალი არ ჩასდგომოდა, გაკეთებულია ქვიტკირით მოსხმული ფართე წყალსადინარი, რომელსაც დაქანება აქვს მიცემული დასავლეთისაკენ: წყალი აქ პირდაპირ მაშავრის ხევში ჩადიოდა, რადგან აბანოს უკანასკნელი ოთახი ზედ ხევის პირზე მოდის.



სურ. 16. სამხრეთ-აღმოსავლეთის ტრომპი ციხის აბანოს აბანანთან ოთახში.

როგორც აღვნიშნე, აბანოს კარი დაბალია და ვიწრო, კაცი შიგ თავისუფლად ვერ გაეტევა; იგი ისრული თალითაა გამოყვანილი. პირველი (ახლა ზუა) ოთახი გასახდელადა და მოსასვენებლად იყო განკუთვნილი: გარდა ქვიტკირიანი გრძელი „სკამლოგინისა“ (სურ. 19), რომელიც მიშენებულია სამხრეთ კედელზე, და აგურით მრგვლად მის პირდაპირ კედელში ჩაშენებული ბუხრისა (? — საკვამლე აღარა ჩანს), აქ სხვა არაფეთარი მოწყობილობა არაა. გათხრისას აქ არა აღმოჩნდა რა, უმნიშვნელო კერამიკული ნატეხების გარდა. ქვიტკირ-მოსხმული

¹) ასეთივე ფილები აღმოჩნდა კიდევ სიონის სამხრეთი კარიბჭის სახურავზე.

ზღვე სრულებით ჩაქცეული დაგვხვდა, მხოლოდ მისი ნაშთები ჩანს კედლების გასწვრივ; ზემოაღნიშნული ქვიტკირის „ტახტი“ ზღვესთან, როგორც ეტყობა, ცოტათი უფრო მაღლა მოდიოდა. ამ პირველი ოთახიდან ისეთივე კარით შედიხართ უკანასკნელ ოთახში, რომელშიაც აბაზანაა. კარის პირდაპირ, დასავლეთის კედელში, ჩაშენებულია ისრული კამარით გადახურული საქვაბე (სურ. 20) და მის ქვეშ ლუმელი. აქედან ორი თიხის მილია გაყვანილი კედლებში (ნ. გეგმა); ერთი (d) ჩრდილოეთისაკენ გადის გარეთ; მას დაქანება აქვს საქვაბისაკენ; ამ მილით ცივი წყალი ჩადიოდა ქვაბში. მეორე (e), მოპირდაპირე კედელში, აბაზანის



სურ. 17. ტიხის აბანოს სახურავი გარედან.


თახაში გამოდის, დაქანებაც აბაზანისაკენა აქვს; ამ მილით ცხელი წყალი ქვაბიდან ჩადიოდა აბაზანაში. აბაზანა აგურითა და ქვიტკირით ამოშენებული, გარედან კარგად შემოლესილი ოთხკუთხი აუზია, რომელიც სამხრეთ კედელში ჩაშენებული თახჩის ძირასა დგას (სურ. 21). აბაზანის ზომაა: სიგრძე 0,95 მ, სიგანე 0,80 მ, სიღრმე ოთახის კედლის ძირას 0,65 მ, ხოლო თავისი წინაკედლის ძირას 0,70 მ. ამგვარად, ერთი ადამიანი შიგ ფეხმორთხმული გაჭირვებით ჩაჯდებოდა. როგორც სიღრმეთა სხვაობა გვიჩვენებს, აბაზანის ფსკერი შუაოთახისაკენ დაქანებულია: აქ, წინაკედლის ძირში გაყვანილია ლარი, რომლითაც წყალი აბაზანიდან გადიოდა. ამ ლარის გამომწვარი თიხის ცოცოლიც აქვე აღმოჩნდა.

აუზის პირდაპირ, ოთახის ჩრდილო-კედელში მეორე თახჩაა ჩაშენებული; აქედან წყალი ჩადიოდა პირდაპირ შუაოთახში, შესაძლებელია სათანადოდ შეზავების შემდეგ. ამ თახჩის ძირას აუზი არაა, თვითონ მას წინიდან დაბალი ქიმი აქვს, რომელშიც ღარია გაკეთებული. ქიმი იმდენად დაბალია, რომ თახჩა აბაზანად არ გამოდგებოდა: აქ, ალბათ, გარედან შემოსული ცივი წყალი ზავდებოდა. ღარი პირდაპირ ოთახში გადადის, ისე რომ თახჩიდან ცივი ან შეზავებული წყალი უმშვეოდ ოთახის ზღვეზე უნდა გადმოქცეულიყო. ამ თახჩაში წყალი შემოდის და გარედან, ორი მილით, რომელთაგან ერთი (ა), რომელიც თახჩის ჩრდილო-კედელშია.




სურ. 18. ნიშნინი კრამიტი ციხის აბანოდან.

გაყვანილი, მერმე გაუქმებიან, სახელდობრ, ბათქაშით შეუღესიან, მეორე კი (c), თახჩის დასავლეთ კედელშია მოთავსებული. ამ მიღების ისტორია საინტერესოა: სულ ოთხი წყლისშემყვანი მილია აბანოს ბოლო-ოთახის ჩრდილო კედელში; ამათგან მილი „d“, როგორც აღინიშნა, საქვებისაკენ მიდის, მილი „c“ ჩრდილო-თახჩაში ჩადის დასავლეთიდან, მილი „a“ იქვე ჩადიოდა ჩრდილოეთიდან. მაგრამ მერმე აშოულესიან, ხოლო მილი „b“ „a“-მილის დასავლეთითაა ჩაშენებული ჩრდილო-კედელში და მიმართულება თითქოს საქვებისაკენ აქვს, იგი „c“-მილის ხაზს გადასჭრიდა უფრო დაბლა, ამ ჟამად კი უკვე მცირე მანძილზე ამოქოლვილია, ისე რომ, სად გადიოდა, არა ჩანს. გეგმას რომ შევხედოთ, ცხადი გახდება რომ დღემდე გამტანისად დაცული მილებისათვის (c და d) წყალსაცავი იმ კუთხეში უნდა მდგარიყო, რომელსაც ჰქმნის საქვების ჩრდილო-კედელი ჩრდილო-თახჩის დასავლეთ კედელთან, ხოლო გაუქმებული მილებისა-




სურ. 19. ციხის აბანოს პირველი ოთახი. სკამლოგინი და ორივე კარი (გადაღებულია აბაზანიანი ოთახიდან).

თვის (ა და ბ) წყალსაცავი ჩრდილო-თახჩის უკან უნდა ყოფილიყო მოთავსებული. აქ მართლაც დღემდეა დაცული რაღაც დაბალი კუთხოვანი ნაგებობა, რომელსაც შუაზე მოზრდილი და ღრმა ღრუ აქვს; შესაძლებელია აქ ოდესმე ცისტერნა იდგა რომ ზემოაღნიშნულ კუთხეშიც ყოფილა რაღაც მსგავსი ნაგებობა, ეს იქიდან ჩანს, რომ ამ ადგილას მიღებს ზემოთ შენახულია კამარის ნაშთი. აბანოს კედლები შიგნით (ორივე ოთახისა) სამჯერ ყოფილა ბათქაშით შელესილი



სურ. 20. ციხის აბანო. საქვების კამარა.

(6. სურ. 16): ბათქაშის პირველი ფენა ყველაზედ უფრო სქელია, მისი შემადგენლობაც კარგია; მეორე, უფრო თხელი ფენა კიდევ უკეთესი შემადგენლობისაა, სიმტკიცით პირველ ფენას არ ჩამოუვარდება და უფრო თეთრია; ამ მეორე ფენაზე საგანგებო კედლებია გაკეთებული, რათა მესამე ფენა უფრო მკვიდრად დამუდარიყო კედელზე; ეს მესამე ფენა მეორეზე უფრო სქელია, მაგრამ მდარე ღირსების ბათქაშს წარმოადგენს, ადვილად იფშვნება და სცივია კიდევ. მილი „ა“ ჩრდილო-თახჩაში ოთახის მეორედ გალესვის დროს ამოუღესიათ; მის ნაცვლად მაშინ იქნება გაკეთებული მილი „ც“. ეტყობა, ამ დროს გაფუჭებულია მილი „ბ“ („ა“ დღემდის კარგადაა დაცული) და რადგან მისი შეკეთება ძნელი იყო, საქვებისაკენ ის ორ სქელ კედელში უნდა გასულიყო და მის შესაკეთებლად ამ კედლების შენგრევა იქნებოდა საჭირო, ამიტომ არჩიეს ახალი (ც და d) მილების გაყვანა და წყალსაცავის გადატანა ჩრდილო-თახჩის უკანიდან კუთხეში



სურ. 21. ციხის აბანო. აბაზანა თაზნიტურთ.


საქვებესა და თახჩას შორის. „ა“ - მილიც, რადგან საჭირო აღარ იყო, შიგნიდან ამოლესეს. ამგვარად, მე მგონია, ნათელი უნდა იყოს ისიც რომ აბანოს საიდანმე გამოყვანილი წყალსადენი კი არ ჰკვებავდა წყლით, არამედ წყალი ქვემოდან ამოჰქონდათ, ალბათ, ურმებით და აქ მას ცისტერნებში ასხამდნენ. მართალია,



სურ. 22. ციხის აბანო. წყლისგამყვანი მილის დეტალი აბაზანიან ოთახში და ლუმელი.

ადგილობრივ არსებობს დაჟინებითი გადმოცემა, ვითომც წყალი გამოყვანილი იყო ბაშქიჩეთის ახლო მდებარე ყარაქილისას წყაროებიდან, მაგრამ ასეთი რამ ძნელი დასაჯერებელიცაა (მანძილი 10—15 კილომეტრს შეადგენს, წყალსადენისათვის საჭირო იქნებოდა დიდი რუსხმულები და სხვ.) და არც არსად აღმოგვიჩენია წყალსადენის რაიმე კვალი.

შუა ოთახში, აუზის წინ, ზღვეში ჩაშენებული იყო წყალგამდენი მილი (სურ. 22), რომელსაც ზღვის ქვეშ გაჰყავდა წყალი გარეთ. ზღვე წყალგამდენი მილისაკენ დაქანებული იყო: აქ გროვდებოდა ქუჩუიანი წყალი, რომელიც ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით ჩრდილო-კედლის ქვეშ გატარებული არხით



სურ. 23. ციხის აბანო. წყლისგამყვანი არხი ჩრდილო-კედლის ძირას გარეთ.

გადიოდა გარეთ და შემდეგ ამავე არხით კედლის გასწვრივ მიიმართებოდა დასავლეთისაკენ ვიდრე მაშაფრის ხევის პირამდე. ამგვარად, აქედანაც წყალი მაშავერში გადადიოდა. გათხრამ აღმოაჩინა წყალგამდენი სისტემის როგორც თიხის მილების ნატეხებით დაფენილი ღარი შიგ ოთახში, იმე მთელი თიხის მილები კედლის ქვეშ და აგრეთვე ქვიტიკის ფსკერიანი და ქვიტიკა-მოსხმული აგურით ამოშენებული სწორკუთხოვანი, ზემოდან ფიქლებით გადახურული არხი ჩრდილო-კედლის გარეთ (სურ. 23). ეს უკანასკნელი ნაშალ მიწაზე დგას: ჯერ ქვიტიკიანი ღორღი დაუყრიათ ნაშალზე და მერმე ზემოდან დაუსხამთ არხის ფსკერის ქვიტიკი. ცხადია რომ აქაც მერმინდელ ნაგებობასთან გვაქვს საქმე. მართლაც, თავდაპირველად წყალგამდენ სისტემას სხვა გამოსავალი ჰქონია.

თავდაპირველად წყალი იატაკის ქვეშ მიიმართებოდა ოთახის ჩრდილო-აღმოსავლეთი კუთხისაკენ, საცა ღრმა, მაგრამ შიგნით ქვებით ჩაკეტილი ღრუ აღმოჩნდა; წყალი გადაიოდა ჩრდილო-აღმოსავლეთი მიმართულებით აბანოს ჩრდილო-კედლის ქვეშ და გამოდიოდა გარეთ ჩრდილო-თახის აღმოსავლეთით

0,70—0,75 მ-ის მანძილზე, აბანოს პირველი ოთახის დასავლეთი კედლის სისწვრივ, საცა კედლის ქვეშ თიხის მილი აღმოჩნდა; აქ იწყებოდა ზემოაღწერილყაიდაზე ნაგები არხი (იგი გაითხარა ვიდრე ჩრდილო-თახის აღმოსავლეთი კედლის ძირამდე, ზემოდან იგი გადახურული არ იყო), რომელიც დასავლეთისაკენ, ე. ი. მაშაერის ხევისაკენ მიიმართებოდა, ვადიოდა ჩრდილო-თახის ქვეშ და ამ ჟამად თიხის პატარა ღარით უერთდება ზემოთ უკვე აღწერილს ნაშალზე მდგარ არხს.

აბანოს სამივე ოთახის საძირკველი, ნაგლეჯი ქვით ქვიტკირზე ნაშენი, ღრმად არ ზის მიწაში, იგი კლდეზე დგას. მხოლოდ დიდი ოთახის კარის ახლოს, კიბის ძირას მიწა ბოში ყოფილა და აქ საგანგებო საყრდენი კედელი ჩაუდგამთ, რომელიც გეზად გადის ამ ოთახის ჩრდილო-კედლის ქვეშ. ძველი წყალგამდენი არხიც ხამ ნიადაგში დგას; მხოლოდ მისი ქვემო ნაწილია, როგორც აღინიშნა, ნაშალზე დაშენებული. ამიტომ, ამ ადგილას პირვანდელი სურათი შეშლილი უნდა იყოს: ეტყობა, ძველი წყალგამდენი სისტემაც გაფუჭებულია და მაშინ გაუტარებიათ ახალი ღარი ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით, მაშინ შეაკეთებდნენ გარეთა არხის ქვემო ნაწილსაც. თუ გეგმას დავაკვირდებით, ცხადი გახდება რომ თავდაპირველი წყალსადენი სისტემა უფრო რთული იყო მერმინდელთან შედარებით, რაც იმით აიხსნება რომ აშენებისას მილების გატარება სასურველი მიმართულებით, რა თქმა უნდა, უფრო ადვილი იყო ვიდრე მერმინდელი შეკეთების დროს.

გათბობის სისტემაზე ზღვის ქვეშ იყო მოწყობილი. აგურით ამოშენებულ მრგვალ ლუმელს, რობელიც საქვების ქვეშ იყო მოთავსებული და რომელსაც გარედან, დასავლეთიდან უკეთებდნენ შეშას, გასავალი ჰქონდა შიგნითაც ოთახში, იატაკის ქვეშ (ნ. სურ. 22); აქ, მთელი ოთახის ფართობზე, სიცალიერე იყო დატოვებული, საცა ლუმლიდან ცხელი ჰაერი გროვდებოდა და ოთახს ათბობდა; კვამლი ვადიოდა სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში ჩაშენებული ამწოვი მილით; ეს საქვამლე ამ კუთხის ძირშიაც ვნახეთ და გარეთ სახურავზედაც აღმოჩნდა, ამ ოთახის სამხრეთი კედლის თავში; იგი თიხის მილებითაა გამოყვანილი. ზღვე ქვიტკირისა იყო. იგი ჩვენ აღარ დავგვედრია, მისი კვალი შენახულია მხოლოდ კედლის პირებზე და სწორედ ამ გარემოებამ მოგვცა საშუალება წყალსადენი და გათბობის სისტემა ბოლომდის შეგვესწავლა. ქვიტკირი, ისე როგორც გარეუბნის აბანოებში (ნ. ქვემოთ), მოსხმული იქნებოდა გარდიგარდმო გადებული პრტყელ ქვებზე, რომლებსაც ზღვე ეჭირათ, მაგრამ ასეთი ქვები გათხრის დროს არ გვინახავს. აბაზანიანი ოთახის იატაკი გათხრის შემდეგ მიწით აღარ ამოგვივსია, ისე რომ ფოტოსურათზე ზღვის ქვეშა მოწყობილობაა გადმოღებული: ზღვე დაახლ. აუზის პირის დონეზე მოდიოდა; შუაოთახში ჩაშენებული წყალგამდენი მილის გარშემო რკალად ქვიტკირიანი დაბალი კედელია ამოყვანილი, რომელიც, ალბათ, ზღვისქვეშა პრტყელი ქვების საყრდენად იყო განკუთვნილი. მეორე პირი ამ ქვებისა შიგ ოთახის კედლებში იჯდა, ალბათ, და ამიტომ აქ ე. წ. საგორავი ქვები საჭირო არ იქნებოდა. ზღვის ნაშთებიდან კედლებზე ჩანს რომ იგი შუაოთახისაკენ, ე. ი. წყალგამდენი მილისაკენ დაქანებული ყოფილა.

ციხის აბანოს არც პირველსა და არც მეორე ოთახში შენობის დამატარილებელი გეში არა აღმოჩნდა რა. საზოგადოდ ნიეთები აქ არა გვინახავს, გარდა სადა წითელი თიხის მცირეოდენი ნატეხებისა.

დიდი ოთახის შესახებ, იქ ნაპოვნი რუსულანის მონეტის მიხედვით, ის მაინც ითქმის რომ იგი XIII ს-ში უკვე აშენებული იყო. აბანო მერმეა მიშენებული ამ ოთახზე, მაგრამ როდის? ნაშალზე მდგომი წყალგამდენი არხის გათხრისას და აბანოს საძირკვლის გაშიშვლებისას, ე. ი. შენობის გარეთ ნაპოვნი ინვენტარი (ყაიანისი ქურჭლის, ანგობიანი, სგრაფიტოს ტექნიკით დამუშავებული ქაშანურის ნატეხები და ზოგიერთი სხვა უმნიშვნელო ნიეთი) არაფრით არ განსხვავდება იმ ინვენტარში, რომელიც დმანისში ყველგან ჩნდებოდა გარკვეულ დონეზე და რომელიც XII—XIV საუკუნეებით თარიღდება. ამიტომ, უნდა ვიფიქროთ რომ აბანოც დიდ ოთახზე მაინც და მაინც ძალიან უფრო გვიან არ უნდა იყოს აშენებული.

ციხის აბანოსა და გარეუბნის აბანოებს შორის ნაგებობისა და ფორმების მხრით, როგორც ვნახავთ, არც ისეთი დიდი განსხვავებაა. გარეუბნის აბანოებს კი, რა თქმა უნდა, არაფერია ააშენებდა XIV ს-ზე აქეთ, როდესაც ქალაქი უკვე აღარ არსებობდა¹. იმისდა მიხედვით, რასაც ჩვენ დმანისში ვიცნობთ როგორც სამოქალაქო შენობას, ციხის აბანო საუკეთესო ნაგებობად უნდა ჩათვალოს: იგი ბევრად უკეთაა მოწყობილი ვიდრე გარეუბნის აბანოები; სიმტკიცით ეს შენობა არ ჩამოუვარდება ქვემო აბანოს, რომელიც საუკეთესოა ამ უკანასკნელთა შორის; გადახურვა მას ისეთი ოსტატური აქვს რომ დმანისში ამ მხრით მხოლოდ სიონის დასავლეთი კარიბჭე თუ შეედრება. რა თქმა უნდა, ეს აიხსნება ერთის მხრით იმითაც რომ ციხის აბანო სპეციალური დანიშნულების შენობა იყო, იგი იმ რეზიდენტის სახმარად იყო განკუთვნილი, რომელიც შიდაციხეში იჯდა (აბანო მხოლოდ ერთ კაცზეა გაანგარიშებული), მაგრამ მეორე მხრით იგი შექვევლია დმანისის საუკეთესო ხანის ნაგებობას წარმოადგენს. ამიტომ მე მგონია რომ იგი უნდა დათარიღდეს ან იმავე XIII ს-ით ან, უკიდურეს შემთხვევაში, XIV-ით, ხოლო XV-ში მისი გადმოტანა ყოველად შეუძლებლად მიმაჩნია.

V.


დმანისის საკულტო შენობები თითქმის ყველა შექუჩულია შიდა-ციხის ძირას: ეს არის სიონი თავისი სამრეკლოთი და კარიბჭით და მარინეს ეკლესია (სურ. 24). აქვეა XVIII ს-ის ორბელიანთა და დმანისის სხვა წარჩინებულ პირთა სასაფლაო.

სიონი დიდ „სამეკლესიან ბაზილიკას“ წარმოადგენს (ნახ. 8). ფორმების მიხედვით პროფ. გ. ჩუბინაშვილს იგი VII ს-ის ძველად მიაჩნია,² მაგრამ მას მრავალჯერ განუცდია საეუძელიანი გადაკეთება. იგი ნაგებია პატარა და საშუალო

¹ ეს აბანოები ისედაც კარგადაა დათარიღებული შიგ ნაპოვნი ფულებით.

² გ. ჩუბინაშვილი, კართული ხელოვნების ისტორია, თბ. 1936, გვ. 192.

ზომის მქისედ დამუშავებული ლეგა ქვის კვადრებით, ნაგლეჯი ქვით და ქართული ჩვეულებრივი აგურით; ალაგ-ალაგ რიყის ქვაც ურევია. კუთხეები ამოყვანილია თითქმის მთლიანად თლილი ქვით; ლავგარდანი თლილი მოუჭრელებელი ქვისაა, სარკმლები შემოსილია წითელი თირის კვადრებით. გადახურვა პრტყელი მოხრდილი ქვის ფილებისაა. გადაკეთება-შეკეთების ნიშნები ბევრია: უწესრიგოდ ჩასმული სხვადასხვა ფერის ქვები, აქა-იქ აგური და სხვ.; კონქისა და დასაველეთის კედლებში სარკმლების ზემოთ ჩასმულია წითელი თირის ჯვრები; კუთხეებში საგანგებო კუთხის ლავგარდანებია გაკეთებული ტაძრის ნახევარსიმაღლეზე ცოტა უფრო დაბლა; სამხრეთ-დასაველეთ კუთხეში ჩასმულია წითელი ქვა, რომლის ცალ პიჩზე გამოქანდაკებულია ბოლნისური ჯვარი კვარცხლ-




ნახ. 8.

ბეკიან მედალიონში (სურ. 25). სამხრეთიდან ტაძარზე მაშენებულია მის მსგავსად ნაგები კარიბჭე და სანათლავი (სურ. 26), ჩრდილოეთიდან — სამკვეთლო, რომელზედაც დასაველეთიდან მიშენებულია კიდევ ერთი ოთხკუთხი ნაგებობა, ახლა სანახევროდ ჩამონგრეული, რომლის კედლები გარედანაც და შიგნიდანაც კარგად გათლილი ლეგა ფილაქენებითაა შემოსილი¹. სალაროსა და სამხრეთ კარიბჭეს ისეთივე ლავგარდანი აქვს, როგორიც თვით ტაძარს. ამ კარიბჭის კედელში გარეთ, კარიდან მარჯვნივ, ჩასმულია წითელი თირის ფილა-

¹ ეს მინაშენი უბრალო ოთახსა ჰგავს; სხვათა შორის, აქ იყო ნაპოვნი ფილაქანი სამსტრიქონიანი არაბული წარწერით.

ქანი განგებ ამოტეხილი ქართული მთავრული წარწერით. საინტერესოა რომ, როგორც ეს სახურავის გადაწმენდის დროს გამოიჩინა, სამხრეთი კარიბჭე, ნაწილობრივ მაინც (სახურავი მეტად დაშავებულია), გადახურული ყოფილა კრამიტით და ისეთივე კვადრატული თიხის ფილებით, როგორც ციხის აბანოს სახურავს უფენია. კარიბჭეზე შიგ სახურავში ჩაშენებული კურკელიც აღმოჩნდა: კურკელი სადაა, მაგრამ დიდი ზომის და საინტერესო მოყვანილობისაა: ერთი წითელი თიხის ნაწერეტებიანი ქილის ფრაგმენტი, შავი თიხის ძირგავარდნილი ქილა, რომელიც შემკულია მრგვალი, თავთხელად ბურცული კოპებით, და დიდი ორყურა სადულარი შავი თიხისა, ესეც ძირგავარდნილი. რა დანიშნულება ჰქონდა ამ კურკელს კარიბჭის სახურავზე, გამოურკვეველი დარჩა.



სურ. 24. სიონი, სამრეკლო და მარინეს ეკლესია აღმოსავლეთიდან.

დასავლეთიდან სიონს კიდევ ერთი კარიბჭე აქვს მიშენებული, რომლის შესახებაც ქვემოთ ცალკე გვეჩნება საუბარი (სურ. 27).

შიგნით სიონის კედლები და სწორკუთხოვან პილასტრებზე გადადგებული ნახევარფარგლოვანი თალები გამოყვანილია აგურნარევი ქვით (სურ. 28), აგური ზოგი ჩვეულებრივი ზომისაა (23×23 სანტ.), ზოგი კი ისეთივე მოზრდილი ფილებია, როგორც სამხრეთი კარიბჭის სახურავისა (28,5×28,5 სანტ.).¹ კედლები

¹ ეს ფილები ტაძრის შიგნით არ გამოიხილა.


გალესილი იყო ბათქაშით და საკურთხეველში ფრესკული მხატვრობით იყო შემკული: წმინდანების გამოსახულებანი და წარწერები აქ ჯერ კიდევ საკმაოდ კარგად ჩანს. ტაძრის დასავლეთი შესავალი უწინ მაღალ მალს წარმოადგენდა,



სურ. 25. ჯვრიანი ქვა სიონის სამხრ.-დასავლეთ კუთხეში.

რომელიც მერმე დაუბატარავებიათ, სამხრეთი შესავლის წირთხლის ქვად კონახარია უშველებელი ორთოსტატი, რომელიც, როგორც ამას საყუნწურე ღრუ და ქვის მოყვანილობა გვიჩვენებს, უწინ კარის ძირის ქვა ყოფილა. დაბალ ქვის


ქანკელში ჩაშენებულია არაბული წარწერიანი ქვა, ხოლო საკურთხეველის სამხრეთ კედელში—პატარა თლილი ფილაქანი, ზომ. 0,32×0,25 მ, საინტერესო ბარელიეფით (სურ. 29). ორი მამაკაცი დგას en face; მათ შორის მოთავსებულია მალალი კვარცხლბეკიანი ჯვარი.¹ ჯვარი სიმაღლით კაცების ყურებამდის აღწევს. ყველაფერი ჩასმულია სადა ჩუქურთმიან ჩარჩოში, რომელიც ქვემოთ ნიადაგის როლს ასრულებს—ზედ დგანან გამოსახული ფიგურები, ზედვეა დაყრდნობილი ჯვარის ხარისხი. მარჯვენა ფიგურა ცოტათი უფრო მალალია მარცხენაზე; მას ფეხები აღარ უჩანს, ქვა იმ ადგილას ჩამოტეხილია. საზოგადოდ, ბარელიეფი ძალიანაა წაშლილი, დეტალები ძლივსლა გაირჩევა. ორსავე მამაკაცს ერთნაირი ქუდები ახურავენ, რომლებიც თავისი მოყვანილობით მოგვაგონებენ სა-




სურ. 26. სიონი სამხრეთიდან.

ფარის ფრესკებიდან ცნობილი ათაბაგების თავსაბურავს (XIII—XIV ს.). ორივე წვერიანია, ორივეს მარჯვენა ყურზე თითქოს საყურე აქვს გაკეთებული. კაბებიც მათ, საერთო შთაბეჭდილებით, ერთნაირი აცვიათ: საყულო-ამოჭრილი და გადაკეცილი, წინ შეკრული (მარცხენა ფიგურას კარგად ეტყობა დილები სარტყლამდე), წელში ვიწრო, რკალად ამოჭრილი კალთით; კაბა მოკლეა, მხოლოდ მუხლებამდის ჩამოდის და მის ქვეშ ჩანს ისევე ამოჭრილი დაჭრელებული პერანგის აშია (ეს დეტალები უკეთ ჩანს მარცხენა ფიგურაზე).

¹ პროფ. ივ. ჯავახიშვილი ჰფიქრობს რომ ეს საგანი ბარია; მართლაც, თავისი მოყვანილობით იგი ჰგავს ბარს ან ნიჩაბს თავისი ტარით, მაგრამ ტარზე ზემოდან უთუოდ კიდევ ჯვარია დაღმული.



სურ. 27. სიონი დასავლეთიდან.



სურ. 28 სიონის სამხრეთი კედელი შიგნით.



სურ. 29. ბარელიეფიანი ქვა სიონის საკურთხევლის სამხრეთ კედელში.

ორივეს წელზე სარტყელი აკრავს; მარცხენა ფიგურაზე კარგად ჩანს სარტყლის ბალთა, რომელიც თითქოს ძვირფასი თვალით უნდა ყოფილიყო შემკული, და აკრეავე წინ გადმოგდებული სარტყლის ბოლო. მარჯვენა ფიგურას მარცხენა ხელის სახელო თითქოს ყურთმაჯიანი აქვს, მარჯვენა ხელზე კი სახელო ნორმალურია; მარცხენა ფიგურას მარცხენა ხელი სულ არ უჩანს, მარჯვენაზე კი ამასაც ნორმალური სახელო აქვს. მარცხენა ფიგურას მალაყელიანი ფეხსამოსი აცვია. ორსავე ფიგურას მარჯვენა ხელი აპყრობილი აქვს, ორივეს ხელში რაღაც მცენარეული ტოტი უჭირავს. სცენას სიმბოლური ხასიათი უნდა ჰქონდეს.

ტაძარში გდია რამდენიმე გრძელი თლილი ქვა არაბული წარწერით, რომლებიც, საყუნწურეთა მიხედვით, კარის ქვეზად ყოფილა გამოყენებული. ტაძრის ზოგიერთი სარკმელი ნაწილობრივ ამოშენებულია ქართული ჩვეულებრივი აგურით. აღნიშნავ კიდევ რომ სანათლავსაცა და სალაროსაც თავ-თავისი საკურთხეველი აქვთ.

დასავლეთიდან სიონს მიშენებული აქვს სულ სხვა სტილისა და სულ სხვა ნაგებობის კარიბჭე (სურ. 27), ყველაზედ უფრო შესანიშნავი შენობა დმანისში, მდიდრულად შემკული ჩუქურთმებითა და ბარელიეფებით.¹ მას მხოლოდ სამი კედელი აქვს, მეოთხე, აღმოსავლეთი კედლის მაგივრობას სიონის დასავლეთი კედელი სწევს. კარიბჭის კედლები ნაგებია საშუალო ზომისა და პატარა ნაგლეჯი ქვით ქვიტკირზე. გარედან სამივე კედელი, და აგრეთვე ყველა სვეტი და თალი, როგორც გარეთ, ისე შიგნით, შემოსილია ბაცი მწვანე ფერის რბილი ქანის თლილი ფილაქნებით.² ლავგარდანიცა და სახურავის ლორფინებიც ამ ქვისაა. შიგნით კედლები არ ყოფილა პერანგით შემოსილი, ამ ჟამად გაძარცულია; მაგრამ ალაგ-ალაგ ეტყობა ბათქაშით შელესილობის ნაკვალევი. იატაკი მოკირწყლულია XVIII ს-ის საფლავის ქვებით. რადგან კარიბჭეს გადახურვა ჯვარედინი აქვს, შიგნით კი აყვანილია ნახევარსფერული კამარა, ამიტომ სახურავსა და ქერს შორის დარჩენილი ცარიელი ადგილი სამალავივით მოუწყვიათ, რომელიც სამი მხრიდან უკლის კამარას, შესავალი აღმოსავლეთიდანა აქვს, ხოლო სამხრეთიდან და ჩრდილოეთიდან პატარა სარკმლებით იხედება შიგნით კარიბჭეში. მთლიანად ეს შენობა, ცოტა არ იყოს, უცნაურ შთაბეჭდილებას ახდენს: მაღალი მხატვრული გემოვნება, რომელიც ამ ნაგებობის ყოველ ნაკვთში გამოსტევივის, როგორღაც შელახულია, წინააღმდეგობითაა საესვე: ჯერ-ერთი იგი, როგორც უკვე ბართოლომე მენიშნა, ნამეტანი დიდია სიონისათვის და, რომ დავუკვირდეთ, შეუხამებლადაა მიდგმული მის დასავლეთ ფასადზე. გარედან, მეტადრე სამხრეთიდან და ჩრდილოეთიდან რომ შეხედოთ მას (სურ. 30 და 31), უგუმბათო, სრულებით დამოუკიდებელს, თვითთავად ეკლესიასა ჰგავს: ჯვარედინი გადახურვაც, სარკმლებიც, თახჩებიც, ყველაფერი ამ შთაბეჭდილებას აძლიერებს: შესავალი კი, მაღალი და ფართო, ისრული ღია თალი, სრულიად უჩვეულოა

¹ ეს შენობა ღირსია მონოგრაფიული შესწავლისა, რომელსაც აქ ჩვენ ვერ გამოვუღებთ.


² ასეთი ქანი, როგორც სოფ. ბოსლების მცხოვრებლებმა მითხრეს, ახლახან კვლავ აღმოუჩენიათ მაშავრის ვაღმა, ლუკუნის მთაში; ამ ქვითაა ნაგები სამების ეკლესიაც ბოსლებსა და კაკლიანს შორის; ახლა ვითომ სახლებს აშენებენ კაკლიანში ამ ქვით.



სურ. 30. სიონის დასავლეთი კარიბჭე ჩრდილოეთიდან.

ეკლესიისათვის. მსგავსი თალი აჰკობს, მაგ., ახტალის ტაძრის ერთ-ერთ შესასვლელს, მაგრამ აქ ის კარის ჩარჩოს წარმოადგენს,¹ დმანისის სიონის კარიბჭეს.


¹ ნ. გ. ჩუბინაშვილისა და ნ. სევეროვის „ქართული არქიტექტურის გზები“, თბ. 1936, გვ. 129.



სურ. 31. სიონის დასავლეთი კარიბჭე სამხრეთიდან.


ქრთავედაპირველად კარი არ ჰქონდა.¹ შიგ რომ შედიხართ, წინააღმდეგობა გა-

¹ ასეთი ახდელი ფართო მალი აქვს რკონის ტაძრის კარიბჭის შესავალსაც (გ. ჩუბი-
ნაშვილი, ქართ. ხელოვნების ისტ., ტ. 1, თბ. 1936, გვ. 203, სურ. 161).



სურ. 32. სიონის W — კარიბჭის შესავლის სამხრეთი პილასტრი.

რეგან ასახულობასთან კიდევ უფრო ღრმად ება: აქ ოთხ სვეტზე დაყრდნობილ
თაღებზე (სურ. 32 და 33) ამართულია ნახევარსფერული კაპარა (სურ. 34), — გა-



სურ. 33. სტონის W — კარიბჭის სამხრეთი სვეტი.


რედან სრულებით მოულოდნელი რამე. და თუ გარედან კარიბჭის კედლები და მათი შემოსილობა აუცილებელი ჩნდა, შიგნით, პირიქით, თქვენ არ გინდათ დაი-



სურ. 34. სიონის W -- კარიბების სამხრ. - აღმოსავლეთი აფრა და კამარის ნაწილი.

ჯეროთ რომ ამ შენობის გეგმაში კედლები იმ თავითვე იყო გათვალისწინებული, თქვენ გგონიათ რომ კედლები მერმე ამოუყვანიათ, რომ თავდაპირველად კარიბების სამხრით მაინც აუცილებლად ახდელი უნდა ყოფილიყო. და აქაც კედლების შეუმოსველობა, განის მცირე თაღების დაბჯენა კედლებში ჩადგმულ თარხნებზე —

ყველაფერი აძლიერებს ამ შთაბეჭდილებას. თითქოს ორი სხვადასხვა შენობა იყოს. და მაინც ეს არის კლასიკური ხანის ძეგლი. ეს ეტყობა მის გარეგან შემკულობასაც. შემკულია არა მარტო გარეთა კედლები, არამედ შიგნითაც სვეტები დაქრელებულია მრავალნაირი ჩუქურთმით. გარედან კედლებში მოხდენილი კუწუბოებიანი თახჩებია ჩადგმული, ზოგი მრგვალი და ზოგიც კუთხოვანი. მოჩუქურთმებულია შესავლის თალი მთლიანად, ლავგარდანი (სურ. 35), სვეტისთავეები



სურ. 35. სიონის W — კარიბჭის ლავგარდანის ჩუქურთმა.

და ხარისხები, სარკმლები. წნული და ხლართული სხეები, ფოთლოვანი და ყვავილოვანი მოტივები სასიამოვნო და უსასრულო მწკრივით ენაცვლებიან ერთმანეთს შენობის სამსავე ფასადზე. ანალოგიების პოვნა მოტივების მხრით XI—XIV საუკუნეების სხვა ქართულ ძეგლებზე ძნელი არაა: ასე, მაგ., ერთი შედალიონის ფოთლოვანი ჩუქურთმა (სურ. 36) თავისი საერთო ხასიათით შოგვაგონებს ქუთაისის ტაძრის კარიბჭის ზოგიერთ სახეს;¹ ერთ-ერთი სვეტის ხარისხის ყვავილოვანი ორნამენტი (სურ. 37) მიემსგავსება საორბისის ეკლესიის სარკმლის წარჩოს შემკულობას;² მეორე სვეტის ხარისხის შემკულობა (სურ. 38)

¹ გ. ჩუბინაშვილისა და ნ. სევეროვის „ქართ. არქიტექტურის გზები“, თბ. 1936, გვ. 103.

² ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ. I—II, თბ. 1913, გვ. 269.

იკორთის ტაძრის ერთ-ერთი სარკმლის ჩარჩოს შოტიკებს იმეორებს;¹ აქვე იკორთაში გვხვდება მსგავსი კუჭუბოებიანი თახჩა;² ჩრდილოეთი სარკმლის ჩარჩო (სურ. 39) თბილისის მეტეხის ტაძრის ერთ-ერთი სარკმლის ჩარჩოს მიემსგავსება³ და სხვ. ჩრდილოეთ კედელზე საყვავის ქვეშ ყვავილოვანი ჩუქურთმით გამოქანდაკებულია გვირგვინი, რომელიც თამარის გვირგვინს მოგვაგონებს ყინცივისის ფრესკზე (სურ. 40).



სურ. 36. სიონის W — კარიბჭე. ჩუქურთმიანი მედალიონი ჩრდ. სარკმლის ქვეშ.

ბარელიეფები სვეტიცხოვებზეა გამოქანდაკებული (სურ. 41): როგორც საზოგადოდ ქართულ ხელოვნებაში, აქაც, საუცხოვო ჩუქურთმასთან შედარებით, ქანდაკება უკრო მდარეა. ჩუქურთმას გავარჯიშებული ოსტატის ხელი ეტკობა. ქვა რაილია (იმდენად რბილი რომ ქარსა და წვიმასაც დიდხანს ვერ უძლებს) და რელიეფი ღრმად და თამამადაა ამოღებული. ამავე დროს ეს უხვი შემკულობა ფუფუნებას ჩვეული, მაძლარი და უკვე განაზებული ხელოვნების ნაწარმოებია.


¹ ჩუბინაშვილი - სვეცხოვე, დასახელ. აღბ., გვ. 119.

² იქვე.

³ ჩუბინაშვილი - სვეცხოვე, ნახს. აღბ., გვ. 127.

კარიბჭიდან სიონში შესავლის ზემოთ და გვერდებზე, ე.ი. სიონის დასავლეთ კედელზე, კედლის მხატვრობა ყოფილა, რომლისაგან მხოლოდ გრუნტის ფერადებილა დარჩენილი; მაღლა ძლივს განირჩევა კიდეც 4 თუ 5 ფიგურის ზედატანი და ერთი ფიგურის ნაკვალევი კარის მარცხნივ.¹

კარიბჭეს სამი წარწერა აქვს. ამათგან ერთი მოთავსებულია გარედან, შესავლის ზემოთ, ჩუქურთმიანი ჯვრის ორსავ მხარეზე (7 სტრიქონი), მეორე —




სურ. 37. სიონის W — კარიბჭის შესავლის სამხრ. პილასტრის ხარისხი.

შიგნით, სამხრეთ-აღმოსავლეთი სვეტის აღმოსავლეთის განის თალზე (1 სტრიქონი), ხოლო მეჩამე — დასავლეთი ფასადის მარცხენა თახჩის ზემოთ (13 სტრიქონი).² სამივე წარწერა ამოკვეთილია მთავრულით, სამივე კილურწერტილო-

¹ აღვნიშნავ კიდეც რომ სამხრეთ კედელში გარედან, სარკმელს ზემოთ ჩასმულია სომხური ხაჩქარი (ნ. სურ. 31), რომელიც ჩუქურთმის და საერთო ხასიათის მიხედვით XIII ს-ისაუნდა იყოს (წარწერა აღარ იკითხება). ეს ხაჩქარი მოტანილია აქ გარეუბნის სასაფლაოდან (ნ. ქვემოთ). რომ იგი კარიბჭის აშენების მერმეა აქ ჩასმული და თავდაპირველად საერთო მას ამ შენობასთან არა ჰქონდა რა, იქიდანა ჩანს რომ იგი სიმეტრიულად არ მოდის სარკმელთან (შდ. ჯვარი და გვირგვინი ჩრდილო-ფასადისა) და სრულებით არღვევს სამხრეთი ფასადის არქიტექტონიკას.

² რამდენიმე ცუდად ნაჯღაბნი ქართული მთავრული და სომხური წარწერა არის კიდეც კარიბჭის შიგნით სიონის დასავლეთ კედელზე, შესავლიდან მარცხნივ (ბათქაშუხა ამოჩხაპნილი, აღარ იკითხება).

ვანია; განკვეთილობის ნიშნად სამსავ წარწერაში ორი წერტილი იხმარება (პირველში სამიც და ერთიც) თითო სიტყვის შემდეგ, მაგრამ ყოველთვის არა¹.



სურ. 33 სიონის W — კარიბჭე. დასავ. ფსადის მარცხენა
თახის მარცხენა პილასტრის ხარისხი.

პირველი წარწერა, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნე, ჯერ ბროსესა და მერმე თაყაიშვილს წაკითხული აქვთ, მაგრამ მათი წანაკითხი შეიძლება

¹ დიდი მ-სტრიქონიანი მთავრული წარწერა ჰქონდა, როგორც უკვე აღვნიშნა, სიონის სამხრეთ კარიბჭესაც, ორ ქვაზე მოთავსებული. თუმცა ეს ქვები ისე უშნოდაა ჩადგმული კედელში (თანაც ისინი სულ სხვა, რბილი წითელი ქანის ქვებია), რომ ადვილი შესაძლებელია, წარწერა თავდაპირველად აქ არ ეკუთვნოდა. ეს წარწერა განგებაა გაფუჭებული (განსაკუთრებით საფუძვლიანადაა ამოტეხილი მე-3 და მე-4 სტრიქონები) და აღარ იკითხება, შეიძლება


ცოტათი შეივსოს. ეს წარწერა მოთავსებულია 12 სხვადასხვა ზომის ქვაზე და ნაწილობრივ ძალიან არის დაშავებული ატმოსფერული ზეგავლენით, ისე რომ




სურ. 39. სიონის W — კარიბჭე. ჩრდილო-კედლის სარკმელი.

მისი აღდგენა მთლიანი სახით ჭირს; განსაკუთრებით დაზიანებულია ორი შუა ფილაქანი ჯვარის მარჯვნივ, რომელთაგან ერთზე წარწერა სულ გადარეცხილა,

მხოლოდ ცალკეული ასოების გარჩევა. მაგრამ თავისი პალეოგრაფიული ხასიათით იგი ძალიან მიაგავს დასავლეთი კარიბჭის წარწერებს. უკანასკნელ სტრიქონში, სწორედ იქ საცა მარჯვენა ქვა ამოტეხილია (ეს ამონატეხი ქვას უკვე მაშინა ჰქონდა, როცა წარწერა გააკითხეს), იკითხება: „:ა: ბ:“ ცხადია რომ ეს ციფრებია და რადგან სწორედ ბოლოშია მოსალოდნელი ქორთნიკონი, ამიტომ შეიძლება ვიფიქროთ რომ აქ თარიღი გვაქვს: 62=1374 წ. რა თქმა უნდა, დანამდვილებით არა ითქმის რა. ერთგან კიდევ იკითხება თითქმის „დმანისი“.




სურ. 40 ჩუქურთმიანი გვირგვინი სიონის W — კარიბჭის ჩრდილო-ფასადზე.



სურ. 41. სიუნის W — კარბუკე, ერთ-ერთი ბარელიეფი.

მეორეზე კი მხოლოდ კვალი ღა ჩანს ასოებისა. მაინც კონტექსტის მიხედვით აქაც უმეტესი ნაწილი წარწერისა აღიდგინება.

ამ წარწერისათვის დამახასიათებელია „ი“-ნის ხმარება „დ“-ეს ნაცვლად და წინაუკმოდ: 2 მმი, რომელსაც ქარაგმაც აკლია, 4 ბიძხა; „უ“-ნის გამოსახატვად „ო“-ნი იწერება: 7 გნოკსნლდ; „ე“-ნის წინ „უ“ კი არ იხმარება, არამედ „ვ“-ინია: 7 ჩვწომცა, მზღელი—ამიტომ მეც ყველგან „ვ“-ინსა ვხმარობ და „ვი“-კომპლექსსაც „ვ“-თი არ ვადმოვცემ. ქარაგმა აკლია შემდეგ სიტყვებს: 1 წსა, 6 დაწრილი, რაძცა, 7 ბრლთა, მზღელი, თვდსი; პირიქით, მეტი აქვს ქარაგმა სიტყვას 7 [ეპკ]ოსნი.



სურ. 42. თევდოსი ეპისკოპოსის წარწერა სიონის W — კარიბჭეზე.

აი თვით წარწერაც:¹

1. .:ქ.: სწლითა.: ღმთა: და მზბთა.: წსა: ღსქმ[ობელისაჲთა:] —
[დაამყ]რნ. ღწ:

¹ კუთხოვან ფრჩხილებში ჩასმულია აღდგენილი ტექსტი, თითო პატარა ხაზი კი აღნიშნავს თითო წაუციოთხავ ასოს. ორი ვერტიკალური ხაზით აღენიშნავ სტრიქონის გადასვლას ჯვარის მარცხენა მხრიდან მარჯვენაზე.

2. მწთა: ნფბდ: გნისი: რლთა. მრ: ლრს [ვი]ქმნ.¹ მე [მწ: მთი: 2 ეპკოპოსი: 3 თე]დსი: 4 მმი:კ
 3. ალნბტს⁵ ძე: აღმზბდ: კრსბჭსა: ამის. სდდბლწ⁶ და: 6 [ლთ⁷ დაცლისა მწთა მიფბსა: მთსა: დ
 4. მსკსნბლად: ცოდვილისა.⁸ წლსა:⁹ ჩისა: ბიძსა: ჩისა. [ა]წტს მწზ[ლ]თა: და [ნათესაეთა]:[ჩ]მთოს
 5. ლისა:¹⁰ სყრლისათს: ლცსა: მგკსნი[თ:¹¹ რა]. ლწ: თქც[ლ]ა მგკსნ [ნეს¹² სასუფეველსა¹³ მისსა:] ვინცა: ესე:
 6. დაწრილი: 14 რსცა. 15 - - - სმნ: 16 აღ[მოკოცო]ს: 17 კ[რლ]მცა. 18 ა[რს] ლისა [პირითა მკვდა]რი: და ცოცხ[ა]
 7. ლი: გწოკსნლდ: და ჩვნთმცა:¹⁹ ბრლთა: მზღვლი²⁰ არს. || დლსა: 21 მს [გ]ნკთქ[ვისასა: ეპკ]ოსნი: თვდსი: მმსა: 22
- ქარაგმების გახსნით ეს წარწერა ასე წაიკითხება:

¹ ამ სიტყვაში ვა-ინის თავი კიდევ ჩანს. თაყაიშვილი, რომლის დროსაც ეს წარწერა, ეტყობა, უკეთ ყოფილა შენახული, ამ სიტყვას უფრჩხილებოდ, ე. ი. აღუდგენლად კითხულობს.

² ის ორი სიტყვა აღდგენილია [თაყ-ის წანაკითხის მიხედვით, რომელიც მათ აღუდგენლად კითხულობს.

³ ამ სიტყვას თაყ-ლი სულ არ კითხულობს, მაგრ. ქვაზე იმოდენა ადგილია მომდგენო სიტყვამდე, რომ მასო მინც უნდა დატეულიყო; მე აღვადგინე ამ წარწერის. უკანასკნელი სტრიქონის მიხედვით, სადაც იკრთება „[ეპკ]ოსნი: თვდსი: მმსა:“

⁴ თაყ-ლი კითხულობს: „ჭდსი“; ცხადია რომ აქ „თვდსი“ უნდა.

⁵ თაყ-ლი კითხულობს: „კაზნბტს“, მაგრამ „ლ“ და არა „ზ“ ძალიან კარგად ჩანს.

⁶ თაყ-ლი კითხულობს: „სდდბლ[დ]“: უკანასკნელი „დ“ კარგად ჩანს, მის წინ კი ნაკვალევის მიხედვით უთუოდ „ა“-ნი იყო, ადგილიც ბევრია.

⁷ ამ ორი ასოს ძირა ნაწილები კიდევ განირჩევა.

⁸ თაყ-ლი კითხულობს: „ცდვილისა“; „ო“-ნი შეწიაღებულია „ც“-ანში, ქარაგმა არაა.

⁹ თაყ-ლი კითხულობს: „სლსა“; „სლსისა“ კარგად ჩანს.

¹⁰ თაყ-ლი კითხულობს: „ლსა“; ჩემის აზრით „ი“ მინც განირჩევა.

¹¹ თაყ-ლი კითხულობს: „მოიკსნნეთ“; „ო“ ნამდვილად არაა; მესამე ასო „გ“ უნდა იყოს (ფერა აქეს); ბოლოში „ე“ ნამდვილად არაა, პატარა „ი“-ნია.

¹² თაყ-ლი კითხულობს: „მოგკსნნეს“; „ო“ და „ი“ ნამდვილად არ სწერია.

¹³ თაყ-ლი კითხულობს: „სსფელსა“ აღუდგენლად, მაგრ. აქ იმდენი ადგილია ქვაზე რომ შექველია ასოების მეტი რაოდენობა უნდა დატეულიყო.

¹⁴ თაყ-ლი: „დაწრილი“; „ე“-ნი ნამდვილად არაა.

¹⁵ თაყ-ლი „რსცა“; „ა“-ნი კარგად ჩანს, იგი შეწიაღებულია „ც“-ანში.

¹⁶ აქ მოსალოდნელი იყო „მიზეხითა“ და თაყ-ლიც ასე კითხულობს („მიზეხითა“), მაგრ ნამდვილად ასე უფრო იკითხება თითქოს: „გათოლსმნ“ (?)

¹⁷ თაყ-ლი: „დაშალოს“; მარცვალი „აღ“ კარგად ჩანს; ეგებ „აღშალოს“ ეწერა?

¹⁸ თაყ-ლი: „კრლცა“, მაგრ. „მ“-ანი კარგად ჩანს.

¹⁹ თაყ-ლი: „ჩნთმცა“; „გ“ კარგად განირჩევა.

²⁰ თაყ-ლი: „მზღვლი“; „ე“-ნი ნამდვილად არ სწერია.

²¹ თაყ-ლი: „დლესა“; „ე“-ნი ნამდვილად არ სწერია.

²² თაყ-ლი უკანასკნელ სიტყვებს ასე კითხულობს: „გნკთვისსა... ო: მფ. ძს. სნი; თვდსი: მმფ.“; „თვდსი“-ს წინ კარგად ჩანს „ოსი“; უკანასკნელ სიტყვაში კი „ს“-ანი იმიტომ ჰგავს „ფ“-არს, რომ „ფ“ ზემოდანა აქეს მიწერილი; დანარჩენი კი სულ აღარა ჩანს რა.

„ქ. სახელითა ღმრთისადათა და მეოხებითა წმიდისა ღმრთისმშობელი-სადათა] - -, [დაამკა]რენ ღმერთმან მეფეთა მეფობაჲ გიორგისი, რომელთა მიერ ღირს [ვი]ქმენ მე, [მიწაჲ მათი, ეპისკოპოსი თევ]დოსი მამაი კალნაპეტის¹ ძე, აღშენებად კარისბჭისა ამის საღიდებელ[ა]დ [ღმრთივ დაცულისა მეფეთა მე]ფო-ბისა მათისა და მოსაკსენებელად ცოდვილისა სულისა ჩემისა, ბიძესა ჩემისა [ანტონის, მშობელ]თა და [ნათესავთ]ა [ჩემ]თათვის. ღმრთისა სიყვარულისა-თვის ლოცვასა მოგვიკსენენი[თ რათა] ღმერთმან თქვენცა მოგიკსენ[ნეს] სასუფე-ველსა მისსა]. ვინცა ესე დაწერილი რაჲსცა - - - - ს^მნ აღ[მოკოკო]ს, კ[რულ]მცა ა[რს] ღმრთისა [პირ]ათა მკვდა[რი] და ცოცხალი განოკსნელად და ჩვენთამცა ბრალთა მზღველი არს დღესა მას [გა]ნკითხ[ვისასა, ეპისკოპ]ოსი თევდოსი მამისაჲ“.

მეორე წარწერაც კარიბჭის აშენების დროისაა. იგი გვაუწყებს:

ქ: ამისა: შ^ნბ^ა : შ^ა: შ^სწ^რა: აფ^რნ^ა: [ლ^ა] : დ^რკ^ი დღე გ^კთა აღ^პდ^ლს

შ^სა შ^ბდ ვ^ნც^ა დ^კს კ^რლ^ცა არს

უქარაგმოდ:

„ქ. ამისა შენებასა შინა შემოსწირა აფრიდონ ლ^ა (30) დრაჰკანი. დღე გაოკვეთა აღაჲად ღმრთისმშობლის შობაჲ. ვინცა დააკლოს, კროლმცა არს²“.

მესამე, ყველაზე უფრო მნიშვნელოვან წარწერასაც ბ რ ო ს ე და თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი ი ცნობენ, მაგრამ მათი წანაკითხი შეიძლება შეივისოს, თუმცა მთლიანად ამ წარწერის აღდგენა, ქვების დიდი დაზიანებულობის გამო, ვერ ხერხდება. იგი მოთავსებულია 9 ქვაზე : ამათგან მარცხნიდან პირველი ორი ქვა ჩამოვარდნილია,³ მესამე და მეოთხე ქვები ძალიანაა დაშავებული, ისე რომ ზოგან აღარა იკითხება რა, მეორე წყების მეორე ქვას ზემო ნაწილი სულ ჩამოტეხილი აქვს,⁴ ხოლო ამავე წყების მესამე ქვაც ძლიერაა გადარეცხილი. ამ წარწერასაც „ი“-ნისა და „ა“-ეს მონაცვლიობა ახასიათებს: 1 ლ^ათსით[ა] = ღმრთისაითა, 2 წ^ასა = წმიდესა, ვ[ნ]ა^ა შ^ნა = [ნ]ა შ^ნა, დ^მნ^ა ს^{ის} [ა] = დ^მნ^ა ს^{ის} [ა], 5 სამართლ^ა = სამართალ^ა 6/7 [დ^დ]ბ^ლა = დადებულა, 7 ს^მრ^თალ^ა = სამართალ^ა. დ^მნ^ა ს^{ის}ა = დ^მნ^ა ს^{ის}ა, 8 დაფ^ათ^ს = დაფეთის, 12/13 ოროგანე (sic).

აქაც „უ“-ნი გამოიხატება „ო“-ნით: 4 შემოს^ალ^სა = შემოსულასა, 5 ომეყესოთ[ა] = უმეყესოთ[ა], ო[ბ^რ]ლოთ[ა] = უ[ბ^რა]ლოთ[ა], 6 მოშოებდ^ს = მოუშუებდეს, 10 ქოეშე = ქუეშე; მაგრამ უხმოენო, როგორც ვხედავთ, აქ იხმა-რება.

¹ ან „კალნაპეტის“.
² ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ს აქვს წაკითხული ეს წარწერა, მაგრამ შეცდომებით.
³ საერთო ასახულობის ფოტოსურათზე ეს ქვები არაა, ვინაიდან პირველი ქვა დიდა და მისი ადგილზე დადგმა ვერ მოვახერხეთ (მისი წარწერა ცალკეა გადაღებული), მეორე ქვა კი მერმე ვნახეთ მიწაში.
⁴ დაკარგული ფრაგმენტი ფოტოსურათზე არ მოხვდა იმის გამო, რომ იგი მერმე აღმოჩნდა მიწაში, კარიბჭის ახლოს. იგი ორადაა გადატეხილი. ორივე ნატეხი ინახება დმანისის სიონში და კარიბჭის რესტავრაციის დროს თავის ადგილზე იქნება ჩასმული.

ქარაგმა აკლია შემდეგ სიტყვებს: 3 მმნ=მამამან, 5 იქნებოდა=იქნებოდა, 6 მოშოებდს = მოუშუებდეს, 9 ვნცა=ვინცა, ალოს = ალკოცოს?; მეტი აქვს ქარაგმა სიტყვებს: 6 ა^რ, ვი^რე, [ვჟ]თ^ა] 7 ი^{ყო}, 11 ნეს^ტორ.

ასოების მოხაზულობისათვის შეიძლება ინტერესს მოკლებული არ იყოს ის გარემოება, რომ „ა“-ნს ბოლო ქვევითკენ აქვს მოხრილი, თუმცა გვხვდება ზევითკენ ახრილიც, იმ დროს როდესაც პირველმა ორმა წარწერამ ქვევითკენ დახრილი „ა“-ნის ბოლო არ იცის, და ის რომ „დ“-ონის ძირი წაწვეტებულია, პირველი ორი წარწერის „დ“-ონი კი ყოველთვის მომრგვალებულია; „ო“-ნს ყველგან, ერთი შემთხვევის გარდა (10ქოეშე), ნილრი ქვევითკენა აქვს დახრილი, პირველ წარწერაში კი „ო“-ნი სულ ორჯერა გვხვდება და ორჯერვე ნილრით ზევით.

მესამე წარწერა, როგორც მისი შინაარსიდან ირკვევა, პირველ ორთან შედარებით, მერმინდელია.

აი თვით ტექსტიც (სურ. 43):

1. ქ:სა[ხელ]ითა:ლ^თსით[ა და მ]ეო[ხებთა] ¹

2. [ყ]დ^წა^სა^ლს^მშობ[ელისაჲთა ² ესე დაწრაჲ]

3. ლი:[და]:[ნ]ა^შნა^ჲ :მ[ე] ³ დ^მნ^ასის[ა] ⁵ მმნ:-----

4. ეკლ^{ეს}ა^სა^ჲ ⁶ კარის[ბ]ჰე[სა: დაუდე: ჩ]მსა: შემოსო^ლსა: [შ^ნა]----მ--⁷

5. სამ^რთლ^ა : იქნ^ბოდა : ომეყესოთ[ა] ო[ბ^რ]ლოთ[ა ⁸ ქა]ლ ⁹ ყმ[თა]:

[მ]მდ[დთა ¹⁰ ქორ]

6. წნებ^ად : ა^რ მოშოებდს : ვ^რე : ოქროსა : არ : [აილ]ებდეს ¹¹ : [ვჟ]თ^ა ¹² : ---- ¹³ [დდ].

7. ბლ^ა:სმ^რთლ^ა:ი^{ყო}:ეგ^რ:ჩემსა : დმ^ნა^სისა [მ]მმთერ^რ[ობ]სა ¹⁴ : ში-
[ნა]--¹⁵

¹ ამ სიტყვაში ნაკვალევი ჩანს „მ“-ანის თავის, „ხ“-ანის ბოლოსი და „ბ“-ანის თითქმის მთლიანად.

²) უკანასკნელი მარცვლი „თა“-ს ნაკვალევი კიდევ განირჩევა ამ სტრიქონში.

³) პირველი „ნ“-არის თავის და მუხლის ხაზებიც ჩანს.

⁴) ჩანს „ე“-ნის თავი.

⁵) შენახულია უკანასკნელი „ა“-ნის სარქელის ბოლოკიდური წერტილები.

⁶) ეს სიტყვა ჩამოვარდნილ ლავგარდნის ქვაზე სწერია.

⁷) „მ“-ანის მაგივრად შეიძლება ქარაგმიანი „რ“, -აე იყოს; ამის შემდეგ კიდევ ერთი ასოს მუცლის ხაზი ჩანს („მ“ ?).

⁸) ეს სიტყვა, გარდა უკანასკნელი „ა“-ნისა, ორს ჩამონატეხზე სწერია.

⁹) ამ სიტყვაში შენახულია „ქ“-ანის სარქელის და „ა“-ნის სარქელის ბოლოკიდური წერტილები.

¹⁰) ამ სიტყვაში პირველი „მ“-ანის ნაკვალევიც განირჩევა.

¹¹) შერჩენილი ნიშნები თითქოს არ ამართლებენ აქ წარმოდგენილ აღდგენას; პირველი აღდგენილი მარცვლის ზემოდან თითქოს კიდევ ქარაგმის ნიშანი ჩანს.

¹²) ჩანს „ე“-ინის თავის და „ა“-ეს ბოლოკიდური წერტილები.

¹³) აქ გაირჩევა თითქოს „დ“-ონის სარქელის ბოლოკიდური წერტილები და „მ“-ანის მუცლის ნაკვალევი—„დმნს=დმანს“ ?.

¹⁴) პირველი „მ“-ანისა მხოლოდ მუცლის წარზიდულის ბოლოკიდური წერტილია ჩანს.

¹⁵) აქ თითქოს ჯერ „დ“-ონის სარქელის ბოლოკიდური წერტილები ჩანს, მერმე „ი“-ნი, მერმე თითქოს „ა“-ნი ან ისევე „დ“-ონი.

8. თოჯ[ს]:[ამლ]ია¹: დაჯთს:[დლ]ეგრ[დე]ლობ[მსთს]².

9. და ენცა:[შ]ემდგმდ:ჩემ[სა]³:ალოს:


10. წყევსამ[ცა] ქოეშე:არ[ს] ვით

11. ა:ნესტორ:

12. დ ოროჯ

13. ნე:ან:

ქარაგმების გახსნით ეს წარწერა შემდგენიარად წაიკითხება:



სურ. 43. სიონის დასავლ. კარიბჭე. წარწერა ქორწინებისათვის.

„ქ. სა[ხელ]ითა ღმრთისაით[ა და მე]ო[ხე]ბითა ე]ოვლად წმიდსა ღმრთის-
 მშობ[ელისა]ათა, ესე დაწერა[ლი [და ნ]აშანა მ[ე], დმანისის[ა] მამათმთავარმან ---
 -----ეკლესიასა კარის[ბ]ჭე[სა დაუ]დე. ჩემსა, შემოსულასა[შინა] --- მ --- სამარ-
 თალა იქნებოდა: უმეყვსოთ[ა] უ[ბრ]ალოთ[ა ქა]ლ-ყრმა[თა, მ]აზადე[დათა ქორ]-

¹ პირველი სამი ასოს ზემო ნაწილი კარგად ჩანს.

² ჩანს „დ“-ონის სარქველის ბოლოკიდური წერტილები, „ლ“-ანის ზურგი, „ძ“-ილის მუცელი, „ე“-ნის ნაკვალევი; უკანასკნელი ოთხი ასოს აღდგენა სათუთა, მაგრამ შემონახული ბოლოკიდური წერტილების მიხედვით სხვა არა წაიკითხება რა.

³ შენახულია უკანასკნელი ორი ასოს ქვემონაწილები.

წინებად არ მოუშუებდეს, ვირე ოქროსა არ [აიღებდეს. [ვგ]თ[ა]---[და-დ]ებულად სამართალად იყო, ეგრე ჩემსა დმანისისა [მ]ამათმთავრ[ობ]ასა ში[ნა]---თოხ[ს] ამილ[ია] დაფთის [დლ]ეგრ[ტე]ლომ[ესათვს]. და ვინცა [შ]ემდგომად ჩემ[სა] ალკოცოს, წყევასამ[ცა] ქუეშე არ[ს], ვითა ნესტორ და ოროგანე, ამენ“.

როგორც პროფ. ივ. ჯავახიშვილმა შენიშნა, ეს მესამე წარწერა თავისი შინაარსით ათარილებს პირველ ორს და ამგვარად თვითონ კარიბჭის აღშენებასაც. პალეოგრაფიულად სამივე წარწერა, ზემოხსენებული მცირეოდენი სხვაობის გარდა, ერთმანეთში არ განიხილება და სხვა კარგად დათარიღებულ წარწერებთან შედარებით მათი განსაზღვრა შეიძლება მხოლოდ საკმაოდ გრძელ პერიოდით XII ს-ის დამლევებიდან XIV ს-ის დამდეგამდე. პირველ წარწერაში იხსენიება მეფეთა მეფე გიორგი, მესამეში კი დავითი¹. მესამე წარწერაში ყველაფერი კარგად არ იკითხება, მაგრამ ის მაინც ნათელია რომ დმანისის ეპისკოპოსი სპობს დმანისში შემოღებულ უმართებულო წესს, როდესაც კანონიერი ქორწინებისათვის ოქროს გამოღებას თხოულობდნენ. ე. ი. ის ისევე მოქმედებს, როგორც ეპიფანე კათალიკოზი, რომელმაც 1218 წ. ანისში შეამცირა მძიმე გადასახადები (პირველყოლია „გურგუნთა კურთხევისათუს“), რომლებსაც იქაურ ქართველ ანუ მართლმადიდებელ მოსახლეობას სასულიერო წოდება ამათუიმ მომსახურეობისათვის ართმევდა². ეს გარემოება, იმასთან დაკავშირებით, რომ შემდეგში, როგორც ეს 1262/3 წლ. საეკლესიო კრების დადგენილებიდან ვიცით, ამ კონფლიქტმა მრევლსა და სამღვდელეობას შორის საყოველთაო ხასიათი მიიღო³, განსაზღვრავს მესამე წარწერაში მოხსენებულ დავითს როგორც ლაშა-გიორგის ძეს ულუ-დავითს, ხოლო პირველ წარწერაში მოხსენებულ მეფეთ-მეფე გიორგის, როგორც გიორგი ლაშას. კარიბჭე აშენებულია, მაშასადამე, გიორგი ლაშას დროს, ანუ 1214—1222 წლებში⁴.



თითქმის ზედ სიონის შენობაზეა პიდგმული ძალაღი ოთხკუთხი შენობა, რომელიც სამრეკლოს ნაშთს წარმოადგენს (ნ. სურ. 24). ნაგებობით ეს შენობა ტაძრის ნაგებობაში არ განსხვავდება. მასაც არა ერთხელ განუცდია რესტავრაცია. თავდაპირველად მას ორი მაღალი ახლილი შესავალი ჰქონია აღმოსავლეთიდან და დასავლეთიდან (ნახ. 9, 10 და 11). ეს ორი თალად გამოყვანილი ახლი-

¹ სწორედ ის რომ ეს დავითი უფრო ახლო განსაზღვრული არაა, არამედ იგულისხმება რომ მას ყველა იცნობს, უჭველად ხდის რომ იგი მეფეა და არა სხვა ვინმე.


² ნ. Н. Я. Марр. Надписи Епифанья, католикоса Грузии, Изв. Акад. Наук, 1910, გვ. 1433—1442.

³ ნ. გ. გოხალიშვილის მიერ გამოც. ულუ-დავითის დროინდელი საეკლესიო კრების დადგენილება, საისტორიო მოამბე (საქ. ცენტრარქ. გამოც.), თბ. 1925, წიგნი I, გვ. 219—224 და ივ. ჯავახიშვილის ქართული სამართლის ისტორია I., თბ. 1928, გვ. 46 შშ.

⁴ შემომწივრელის აფრიღონის სახელიც, რომელიც ამ ფორმით, რამდენადაც ვიცი, XII ს-ის აქეთ აღარა გვხვდება, მიგვიითებს ამ ეპოქაზე. გარდა ამისა, როგორც ვნახავთ, დმანისის აყვავებისა და სიმდიდრის ხანა სწორედ ულუ-დავითის მეფობაზე მოდის და ბუნებრივია ვიფიქროთ რომ საუკეთესო შენობასაც სწორედ ამ დროს ააშენებდნენ. ბროსე კარიბჭეს XIV ს-ის დამდეგით ათარილებს ფიტარეთის წარწერის მიხედვით, რომელიც თვითონ დაუთარილებელია. თავაიშვილსაც არავითარი საბუთი არ მოჰყავს, თუ რატომ უნდა იყოს თევდოსის წარწერის გიორგი მეფე გიორგი ბრწყინვალე.



ლი მალი გვიჩვენებს რომ თავდაპირველად ეს შენობა სამრეკლოდ იყო განკუთვნილი. შემდეგში ორივე მალის უდიდესი ნაწილი ამოუშენებიათ, რაც კარგად ეტყობა წყობასაც, და მხოლოდ პატარა კუთხოვანი კარები დაუტოვებიათ, რომლებშიც თავისუფლად შესვლა არც კი შეიძლება. აღმოსავლეთიდან კარს ზემოთ ვიწრო სარკმელიც დაუტოვებიათ. მაშინ უნდა იყოს ჩაშენებული კარებში



ნახ. 11.


და ახლად გაკეთებულ სარკმელში წირთხლის ქვევად არაბული და ქართული წარწერიანი ჩვენები. ამ დროს უკვე სამრეკლო საცხოვრებელ ბინად იქნა ქცეული, რისთვისაც შიგნით, სამხრეთის კედელში, ბუხარი ჩაუშენებიათ, რომლის საკვამლე გარეთ გაუყვანიათ კედლის ჩანგრევის საშუალებით. მაგრამ მანამდე კიდევ ერთი საფუძვლიანი გადაკეთება განუცდია ამ შენობას. ახლა მისი გადახურვა გარედან პრტყელია. როგორი იყო ის უწინ, არ ვიცით, ხოლო, რომ აწინდელი სახურავი მერმინდელია, ეს იქიდანა ჩანს, რომ მის დამქერ ჯვარედინ თაღებს (სურ. 44) შიგნიდან დაუხურავთ აღმოსავლეთი კედლის ძველი სარკმელი, რომელსაც ამ გვარად აზრი სრულებით დაეკარგა. როგორცა ჩანს, სამრეკლოს სახურავი ერთ დროს, რაიმე მიზეზის გამო, ჩანგრეულა. შესაძლებელია ის უწინ გუმბათოვანი იყო. ხოლო, ახალი პრტყელი ერდოს დადგმის დროს საჭიროდ დაუნახავთ მისი გამაგრება ქვევიდან ჯვარედინი, საკმაოდ უმწეო თაღით. თაღები მეორე სართულიდანაა აყვანილი: ერთი თაღი გადაუგდიათ აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ და სწორედ მან დახურა აღმოსავლეთის სარკმელი, ხოლო ორი თაღი წამოუღლიათ ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან და პირველხსე-

ნებულ თაღზე მიუბჯენიათ. ამ თაღებს შორის ამოუყვანიათ კამარები. ამის გამო მეორე სართული ძალიან დაპატარავდა.



სურ. 44. სამრეკლოს ჭერის თაღები.

რომ სამრეკლოს მეორე სართული ჭკონდა, ეს ჩანს არა მარტო კედლებში დარჩენილი საკოჭეებიდან და ზედა სართულის სარკმლებიდან, არამედ იმ ცალკე



სურ. 45. სამრეკლოს კიბე სამხრეთიდან.

შესავლიდანაც, რომელიც ამ სართულს ჰქონდა და რომელიც დღემდე კარგადაა დაცული. ეს არის თალოვანი ლამაზი ქვის კიბე (სურ. 45), მიდგმული ზედ სიონის სამხრეთ კარიბჭეზე და კონქზე, რომლითაც გარედან ადიოდნენ სამრეკლოს ზედა სართულში. აქ იყო მეორე სართულის თაღით ამოყვანილი, შედარებით დაბალი კარი. როგორც თავდაპირველი კარები ისე ფანჯრებიც ამ შენობაში უჩვეულოდ მაღალი და ფართოა. ამ მხრით მას დმანისში ციხის აბანოს დიდი ოთახი თუ შეედრება. ზედა სართულის სარკმლები (ჩრდილოეთით და აღმოსავლეთით), რამდენადაც ჩანს, კუთხოვანი ყოფილა, ძირა სართულის სარკმელი კი, რომელიც აგრეთვე ჩრდილოეთისაკენ გადის, ისრული თაღით იყო ამოყვანილი.



სურ. 46. ბარელიეფიანი ქვა მარინეს ეკლესიის სამხრ.-აღმოსავლეთის კუთხეში.

გადაკეთების სხვა მრავალი ნიშნებიც ეტყობა ამ შენობას: ასე, მაგ., ამოქოღვლი, გაუგებარი დანიშნულების თახჩა ჩრდილო-კედელში გარედან, კედლიდან უადგილო ადგილას გამოშვერილი რაღაც უცნაური წყობა ამ თახჩის გვერდით, კუფური წარწერიანი ქვა, ჩაშენებული სამხრეთ-დასავლეთის კუთხეში გარედან, პირველი სართულის სიმაღლეზე და სხვ. სხვათა შორის, ეს უკანასკნელი გარეშეობა შეიძლება ერთგვარად მაინც გუმანს იძლეოდეს ამ შენობის დასათარიღებლად. საქმე ისაა, რომ არაბული წარწერიანი ქვა ჩაშენებულია შენობის ძირითად წყობაში და არ ჩანს, რომ ამ ადგილას კედელი ამოეტეხოსთ ამ ქვის ჩასადგმელად. თუ ასეა, მაშინ სამრეკლოს აშენება საკმაოდ გვიან უნდა ვივარაუდოთ, სახელდობრ, უკვე იმ დროს, როდესაც არაბულ წარწერას თავისი მნიშვნელობა სრულებით დაკარგული ჰქონია. მხოლოდ მაშინ შეეძლოთ ეს ქვა საშენად გამოეყენებინათ. ასეთი რამე კი ძნელი დასაჯერებელია XIV ს-ზე უფრო ადრე.

ბოლო დროს, დმანისელების თქმით, ეს შენობა, ვითომც, ბეღლად ყოფილა გამოყენებული. ხორბალი კიბით აჰქონდათ ზევით და იქიდან ჰყრიდნენ საგანგებოდ მოწყობილ საკუჭნაოებში, რომლებსაც ასაწვევ-დასაწვევი კარები ჰქონია. ეს მოწყობილობა, ვითომც, ამ ექვსიოდე წლის წინათ დაუნგრევია მღვდელს.


კეთილადეს. თუმცა ბართლომე ასეთი საკუქნაოების მსგავსს არაუერს იუწყება, მაგრამ შიგნით სამრეკლოში ახლაც მართლა ჩანს რაღაც ნაგებობის ნაშთები ჩრდილო-კედლის გასწვრივ, სწორედ ზედა სართულის კარის ქვეშ; როგორც იყო კონტაქტი მეორე სართულთან, არა ჩანს.



სურ. 47. ქვემოზნის ეკლესია სამხრ. დასავლეთიდან.

სიონის ჩრდილო-აღმოსავლეთითა დგას პატარა ერთნაფიანი შენობა, მარინეს ეკლესია (ნ. სურ. 24), რომელიც, როგორც მისი წარწერა მოგვითხრობს, 1702 წ.

ყოფილა განახლებული. ეს ისედაც ეტყობა ამ შენობას: მის აღმოსავლეთსა და დასავლეთ კედლებში გარედან ჩაშენებულია ბევრი არაბული წარწერიანი ქვა (საფლავის ქვები, მოტანილია, ალბათ, გარეუბნის მუსლიმანური სასაფლაოდან);¹ სამხრეთის კედელში ჩაშენებულია რამდენიმე ძველი ჩუქურთმიანი ქვის ფრაგმენტი; სამხრეთ-აღმოსავლეთის კუთხეში გარედან ბარელიეფიანი ქვაა ჩასმული, რომელზედაც გამოსახულია, თითქოს, დროშის ალამი (სურ. 46); ცოკოლის წყობაც განსხვავდება კედლის წყობაში, ძველი დარჩენილი უნდა იყოს ან, ყოველ შემთხვევაში, აქ ძველი ფილაქნები გამოუყენებიათ. შესავალი ამ ეკლესიას სამხრეთიდანა აქვს. კარის წირთხლის ქვად ჩასმულია აგრეთვე არაბული წარწერიანი თლილი ქვა. ქართული მხედრული 4-სტრიქონიანი წარწერა მოთავსებულია გარედან შესავლის ზემოთ ჩასმულ ლეგა ფილაქანზე. იგი გვაუწყებს:



სურ. 48. ქვის ვერძი ზემო-უბნის ეკლესიის სასაფლაოზე.

„ქ: შესწევნითა (sic): ღთისათა: მე: ფდ: ცოვ[ი]ლმან(sic): ბატონის: შვილის: მარიამის: გამდელმან: ისახარ: | კდ: განვახლე: დაქცეული: საყდარი: ესე: წინს: მარინისა (sic): ცოდვ|ათა: ჩნთა: შესან[დრობლ]ად: და: ბატონთა: ჩნთა: მოსახსენებლად: ქს ტუ“

¹ უმეტესობა ზემოხსენებული საფლავის ქვებისა XIII და XIV საუკუნეებითაა დათარიღებული.

კიდევ ორი პატარა ეკლესიის ნანგრევი დგას ქალაქის გალავანს შიგნით. ესენი თითქოს უბნის ეკლესიების ნაშთებს წარმოადგენენ. ორივე ქალაქის აღმოსავლეთი ნაპირის გასწვრივაა გაშენებული: ერთი, ზემოუბნისა, ქალაქის შესავალი ქუჩის ჩრდილო-აღმოსავლეთითა დგას, კარიდან დაახლ. 150 მეტრის მანძილზე, მეორე, ქვემოუბნისა კი (სურ. 47) დაშორებულია პირველს 250—300 მეტრით. ქვევითკენ, ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებით. ეს ერთნავეიანი მცირე ზომის შენობები საკმაოდ გვიან უნდა იყოს აგებული, რაც იქიდანა ჩანს რომ მათს კედლებში უადგილო ადგილას ჩაშენებულია ძველი ორნამენტირებული ქვები. ქვემო-უბნის ეკლესია თითქოს სომხური უნდა იყოს, რადგან მის სამხრეთ კარში ჩაშენებულია სომხური ჯვრებიანი და სომხური წარწერიანი ქვა (ალარ იკითხება), ზემო-უბნის ეკლესია კი, თუმცა მის სამხრეთ კედელშიც არის ჩადგმული სომხური ჯვრებიანი ქვა, ქართულია, ალბათ, რადგან იმ მცირე სასაფლაოზე, რომელიც ამ ეკლესიას აკრავს, ერთი საფლავის ქვა ქართულ წარწერას ატარებს.¹ სახელდობრ, ქვიდან გამოქანდაკებულს კურტინანსა და გრეხილ საყელურთან ვერძს (სიგრძ. 1,65 მ, სიმაღლ. 0,57 მ, ნ. სურ. 48), კურტანსა და საყელურს შორის კისერზე (სწორედ იქ საცა თავი ჩამოტყდა) ამოკოდილი მსხვილი მთავრული ასოებით აწერია:

1. :ქ: შაპცს¹

2. შნ: ლოა.³

ე. ი.: „ქ. შაპუცს შეუნდვენ, ღმერთო“. ეს საფლავი კიდევაც გავთხარეთ; მისი ზომა იყო: 1,70×0,50 მ. და 1,00 მ. (სიმაღლე); მისი ზემო ნახევარი ნაგლეჯი ქვით იყო ამოშენებული უქვიტკიროდ, ქვემოთ კი მიწური იყო; მიცვალებული იწვა ზურგზე შევტილად, თავით დასავლეთისაკენ, გულზელდაკრეფილი; არავითარი ინვენტარი მას თან არ ახლდა; ეს საფლავი მოზრდილი ბავშვისა უნდა ყოფილიყო. აქვე კიდევ მეორე საფლავიც გავთხარეთ, რომელსაც ზემოდან უშველებელი პრტყელი ლოდი ეფარა; ამ საფლავმაც იკვირე სურათი მოგვცა. ძნელია იმის თქმა, თუ რა ხანას უნდა მიეკუთვნოს ეს საფლავები, მაგრამ ჩემის აზრით ისინი საკმაოდ ძველი უნდა იყოს. საფლავის ქვები ძველის შთაბეჭდილებას ახდენს; ძნელი დასაჯერებელია რომ ასეთი ქვები დაედგათ თავისი მკვდრებისათვის იმ გალატაკებულ სოფლებებს, რომლებიც ჩვენ აქ გვხვდებიან XVIII ს. ის დამდეგს. პალეოგრაფიულად დამახასიათებელი მოხაზულობის ასოები ვერძის წარწერას არ მოეპოვება, მაგრამ თვითონ სტილი წარწერისა XVIII და XVII ს. ზე ადრინდელი ჩანს, იმ ხანისაა, როდესაც მრავალმეტყველებას ერიდებოდნენ. რომ ამ ადგილას ეკლესია ძველადაც მდგარა, ისიც ოდესღაც გადაშენებულ-გადაკეთებული, ეს ჩანს იმ პატარა საყამნოს ნანგრევიდან, რომელიც ზემო-უბნის ეკლესიას აკრავს და რომლის კედლებიდანაც სომხური წარწერიანი ქვები ამოვიღეთ.


¹ რა თქმა უნდა, შესაძლებელია რომ ორივე ეკლესია სომხურიც იყო და ქართულიც: ერთსა და იმავე დროს; ასე, როგორც ვნახავთ, სომხურ-ქართულია გარეუბნის ქრისტიანული სასაფლაო.

² ან: „შაპცო“; უკანასკნელი ასო კარგად არ იკითხება.

³ ან: „ლოა“; „ო“-ნი „თ“-ანივით სწერია, კული შუაზე აქვს, ქვემოთკენ დახრილი.


VI.

სამოქალაქო შენობები და საცხოვრებელი ბინები დმანისში, თუ შიდა ციხის შენობებს მხედველობაში არ მივიღებთ, ყველა უკლებლივ ნაგებია ადგილობრივი ქვით. მხოლოდ ერთხელ ცალკეულად შეგვხვდა აგურის კედელი; აგუ-



სურ. 49. ტრაპეციის მოყვანილობის მოჭიქული აგური.


რი იხმარებოდა აგრეთვე ბუხრებისა და ზოგჯერ თახჩების ამოსაყვანად; ამას გარდა, მთელს ქალაქში ერთად-ერთი ბურჯივით კედელი დგას, რომელიც ნაგებია აგურნარევი ქვით. აგური ე. წ. „ქართულია“, ჩვეულებრივი ზომის. რა თქმა უნდა, საშენ მასალად ხეც იყო გამოყენებული, მაგრამ მისი კვალი, უმეტესწილად, გამქრალია.



სურ. 50. ლუსტრიანი შორენკეცის ფრაგმენტი და აყიყის ბეჭედი.

ეს შენობები მაინც და მაინც კარგს შთაბეჭდილებას არ ახდენს, უმრავლესობა საკმაოდ დაუდევრადაა ნაგები: თლილი ქვა არ იხმარებოდა, არამედ მხოლოდ გვერდებ-ჩამოტეხილი პატარა და საშუალო ზომის ქვები; ფენებრივო-

ბაც წყობაში არ იყო კარგად დაცული. მაგრამ მაინც ყოველთვის განირჩევა კედლის გარე და შიდა პირი, ამოყვანილი ზემოაღწერილი ქვით ქვიტკირზე და ამ ორ პირს შორის ჩასხმული ჭყორდუღაბი. ამასთან, როგორც გათხრამ გაშოარკვია, კედლები შიგნით ხშირად იყო გალესილი ბათქაშით; გარდა ამისა, უფრო მდიდრულად მოწყობილ სახლებში კედლების შემოსვა იცოდნენ მოჭიქული აგურითა და შორენკეცებით. ერთი-ორი ნატეხი მწვანედ მოჭიქული აგურის ფილისაც აღმოჩნდა დმანისში, მაგრამ ვაცილებით უფრო ხშირია ტრაპეციის მოყვანილობის პატარა და საშუალო ზომის აგურები, რომლებსაც ზედაპირი



სურ. 51 ლუსტრიანი შორენკეცის ფრაგმენტი.

მოჭიქული აქვს, ჩვეულებრივად, მწვანე ფერის განუმჭვირავი მინარით, ხოლო გვერდები ამოღრმავებული აქვს, ალბათ, იმისათვის, რომ კედელში მათი დამაგრება ქვიტკირით უფრო ადვილი ყოფილიყო (სურ. 49). შორენკეცები ორგვარია: არის ორი ნატეხი ლუსტრირებული თაიანსის შორენკეცისა, რომელთაგან ერთი (სურ. 50) რვაქიმიანი ვარსკვლავის მოყვანილობისა ყოფილა და მუქი რვალის ლუსტრით იყო შემკული, მეორე კი (სურ. 51) ჯვარის ერთ ფრთას წარმოადგენს, მისი ლუსტრი თითქმის სრულებით გადასულია; როგორც ცნობილია, ირანში იცოდნენ კედლების შემოსვა ვარსკვლავისებური და მათ ქიმებს შორის ჩასმული ჯვარისებური შორენკეცებით; დმანისისეული ნატეხები მოყვანილობისა, ტექნიკის და შემკულობის მხრით რეიდან და ვერამინიდან კარგად ცნობილ შო-

რენკეცებს ენათესავებიან, რომლებიც დათარიღებულია XIII ს-ით; ორივე ნატეხი ერთ ადგილსაა ნაპოვნი, ერთსა და იმავე სიღრმეზე და, უეჭველია, ერთ-ერთეულს ეკუთვნის¹. მეორენაირი შორენკეცი წერმოდგენილია ჯერ-ჯერობით მხოლოდ ერთი ნატეხით: ეს არის რელიეფით შემკული და ფირუზისფერად მოქიქული მაიოლიკის ნაწარმოები, რომელსაც ირანში XIV ს-ით ათარიღებენ.




სურ. 52. ბანებიანი ბეღელი სიონის ჩრდილოეთით.

ქალაქის ზემო ნაწილში კულტურული ფენის სიღრმე ყველგან 2,50—3,00 მეტრს აღწევს. ქვევითკენ და ნაპირებისაკენ ამ ფენის სისქე მცირდება, ისე რომ კონცხის ბოლოში აწინდელი ზედაპირი, მეტწილად, მხოლოდ 0,40—0,50 მეტრით უფრო მაღლა მდებარეობს ძველს ზედაპირთან შედარებით. აქ შენობები კლდეზეა დაფუძნებული, ნაშალი თხლად ჰფარავს ნანგრევს და ხშირად კარის-ზღურბლი თითქმის ისევ-ისევ გამოდის გარეთ, როგორც ამ 7—8 საუკუნის წინათ გამოდიოდა.

თუმცა ისეთი დაფენილი ქუჩა, როგორიც ჭიშკარში აღმოჩნდა, სხვაგან ვერსად ვერა ვნახეთ, ქალაქის ქვემო ნაწილში შენობების კარები მაინც გვიჩვენებს ძველი ქუჩის დონეს, ზემო ნაწილში კი სურათი როგორცაა წაშლი-

¹ სამწუხაროდ, იმ შენობაში, სადაც ეს ორი ნატეხი აღმოჩნდა (შენობა სიონის ახლოს მდებარეობს აღმოსავლეთით, შორენკეცები 1,60 მ-ის სიღრმეზე ამოვიღეთ, იატაკის დონეზე), სხვა არაფერი მაგის მსგავსი აღარ გვიპოვია, ისე რომ ნატეხები, ალბათ, შემთხვევით ყოფილა იქ მოხვედრილი.

ლია. ჯერ-ერთი, ყველგან, საცა, პირველი შეხედვით, ქუჩა იყო მოსალოდნელი, ზედაპირიდან რამდენიმე სანტიმეტრის ან ათეული სანტიმეტრის სიღრმეზე გარდიგარდმო კედლები ჩნდებოდა, რომლებიც ისე უწესრიგოდ იყო ერთმანეთზე გადაბმული რომ რაიმე ნათელი სურათის მიღება შეუძლებელი შეიქნა. ამასთან, უმეტეს შემთხვევაში, არც ერთ კედელს არც კარი, არც სარკმელი არა აქვს და, მაშასადამე, ჩვენ არ ვიცით, თუ ძველი ქალაქის ნიადაგი ნიშანდობლივ სად მდებარეობდა, მით უკეტეს, რომ ნიადაგი კონცხზე, რასაკვირველია, ძველადაც უსწორმასწორო იქნებოდა. ყოვლად შეუძლებელია გარკვევა ამ გარდიგარდმო უწესრიგოდ



ნახ. 12.

გატიხრულს კედლებსა და ქოთურად დალაგებულს, ზოგჯერ სამ- და მეტკუთხოვან ოთახებსა თუ სარდაფებს შორის. ხშირად გვხვდებოდა აქა-იქ ჩაშენებული თონეები, ზოგი მათგანი ე. წ. საჩარებებითურთ, სარქელ ანი და უიმიისო ქვევრები და პურის შესანახი, ქვიტკირით ამოშენებული და თავზე ქვებით ვარშემოწყობილი ორმოები. იშვიათად ბუხარიც და უბრალო პატარა წალოც აღმოჩნდებოდა ხოლმე. ორ ადგილას უკარო და უსარკმელო, ბანეზიანი ბელეღიც ვნახეთ (ნ ნახ. 12). ერთი მათგანი სიონის ჩრდილოეთით მდებარეობს და ბანებამდე მიწითაა დაფარული (სურ. 52). მისი ერთი კედელი მღვდელს კეთილამქს ჩაუნგრევია და შიგ თავისთვის ბინა მოუწყვია. ამ პატარა შენობას ორი მაღალი ბანი აქვს და აჩიტომაა რომ ნაშალს იგი მთლად ვერ დაუფარავს. მეორე ასეთი შენობა, აკრეუვე ჩარდახოვანი თალით გადახურული, „ქვემო-ქუჩაზე“ გავთხარეთ, ქალაქის კიშკრიდან 200-ოდ მეტრის მანძილზე. მისი ბანები ზედაპირიდან 0,60 მ-ის სიღრმეზე აღმოჩნდა (სურ. 53).


იგინაგებია დაუმუშავებელი საშუალო ზომის ქვით ქვიტკირზე. შიგნით მისი კედლები, როგორც ნაშთები გვიჩვენებს, ბათქაშით შელესილი ყოფილა, გარედან კი კედლებს პირი არა აქვს, ისე რომ ეჭვი არა რჩება, რომ ეს ბელეღი იმთავითვე მიწაში იყო ჩაშენებული. ეს შენობა ქვევითკენ ცოტა ვიწროვდება, ისე რომ მისი სიგრძე შიგნით ქერის გასწვრივ 2,90 მ ს შეადგენს, ფსკერის გასწვრივ კი, რომელიც მას ქვიტკირისა აქვს, მხოლოდ 2,80 მ-ს უდრის; იგი ვიწროვდება ჩრდილო-აღმოსავლეთიდან სამხრეთ-დასავლეთისკენაც, ისე რომ მისი სიგანე შიგნით ჩრდილო-აღმოსავლეთი კედლის გასწვრივ 1,35 მ ს შეადგენს, სამხრეთ-დასავლეთი კედლის გასწვრივ კი 1,20 მ-ს უდრის. კედლები მრუდვად და დგას მიწაში და არცერთი კუთხე სწორი არაა. მათი სისქე საშუალოდ



სურ. 53. ბანებიანი შენობა, გათხრილი „ქვემო-ქუჩაზე“.

0,40 მ-ს უდრის. სამალლით ბელეღი 1,90 მეტრისაა. ბანები, რომელთა დიამეტრი 0,40 მ-ს უდრის, კარგადაა ამოღებული მქისედ ჩამოთლილს სქელ ფილაქნებში და ზემოდანაც ერთ მათგანს კარგად მოჭრილი მრგვალი სარკველი ეზურა (ნ. სურ. 53). საერთოდ ეს შენობა მკვიდრადაა ნაგები. ჩრდილოეთით, ბელეღის კუთხესთან, ქვიტკირიანი ქვით მიწაში ამოშენებულია მრგვალი ორმო (დიამ. 1,25 მ, კედლის სისქე 0,35 მ, სიღრმე 2,00 მ.), რომელიც აგრეთვე, ალბათ, სანოვა გის შესანახავად იხმარებოდა. ბელეღი სანახევროდ მიწით იყო ამოვსებული, მაგრამ ვაპოწმენდამ აქ არა მოგვცა რა. სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ბელეღზე მიშენებუ-

ლია რაღაც ოთხკუთხი სადგომი, ნაგები ქვიტკირიანი ქვით, ზომ. 3,40×2,85 მ. უკარ-სარკმელო. აქ კი, 1,50 მ.-ის სიღრმეზე, საინტერესო კერამიკული ნატეხები ვიპოვეთ. ერთი ფრაგმენტი, ზომ. 5×3,5 სანტიმ., კურკლის პირის ნატეხს წარმოადგენს და საგულისხმოა მრავალის მხრით: კეცი წითელია, წმინდა სტრუქტურის პლასტიური თიხისა; ამოვლებულია თეთრ ანგობში; შიდაპირზე გამსჭვირვალე უფერული მინარის ქვეშ ღრმა პრტყელი სგრაფიტოს წესით მიწა




სურ. 54. ხუცური წარწერიანი კურკლის ნატეხი.

აქვს ამოღებული წილამაზად გამოყვანილ უკან გადმოხრილ სამყურას და მის კლორტს; ამ გვარად, სამყურა თეთრია, მიწა კი, რადგან ძირითადი თიხა სუფთაა, მდოგვის ფერისაა; მინარს ზემოთ შენაპკურია სოსანი (მარგანცის) და მწვანე (სპილენძის) ჰიქის წინწკლები, რომლებიც ჩამოღვრილა და ფოთლის სახე მიუღია; ფერები დიდის გემოვნებითაა შეხამებული. გარეპირზე გამსჭვირვალე მწვანე მინარის ქვეშ ღრმა სგრაფიტოთი ამოფხაჭნილია ქართული წარწერა; სამწუხაროდ, წარწერა ისეა ჩამოტეხილი, რომ ამ ფრაგმენტიდან რაიმე აზრის გამოტანა შეუძლებელია, იკითხება მხოლოდ ცალკე ასოები: „-კლსპ-“; მაგრამ ნუსხახუცური გაკრული ხელი, კარგად ცნობილი X—XI საუკუნის ხელნაწერებიდან, ათარიღებს ამ ნატეხს (სურ. 54). აქვე ვიპოვეთ დიდი კოკის ნატეხები, რომლებმაც საშუალება მოგვცეს კურკელი სანახევროდ აღგვედგინა: იგი მოწითანო, სუფთა, კარგად გამომწვარი თიხისაა, მას ორიგინალური, უკან ჩაჭრილი, პატარა ყურებიანი ყელი და ჩალიჩავით გრებილი ყური აქვს და შემკულია კუწუბოებითა და რელიეფური სტილიზებული სახეებით (სურ. 55). აღვნიშნავ კიდევ რომ ამ შენობის გვერდით, მაგრამ გაცილებით უფრო ღრმად, სახელდობრ, 2,80 მ.-ის სიღრმეზე, საუცხოვოდ გათლილი ნარინჯის ფერი აყიყის წახნაგოვანი ბეჭედი ამოვიღეთ (დიამ. 1,7 სმ., სიმაღლე ძირიდან თავამდე 2,5 სანტიმ.), რომლის პრტყელი, ექვსკუთხად ჩამოჭრილი თავი გემის ან წარწერის ამოსაკვეთად იყო შემზადე-

ბული, მაგრამ დაუმთავრებელი დარჩა (ნ. სურ. 50). უადგილო ადგილას, თხრილში, რომელიც „ქვემო-ქუჩის“ სათავეში დავდეთ, ქიშკრიდან 0,70—0,60 მ-ის მანძილზე ჩრდილო-აღმოსავლეთით (NNO), აღმოჩნდა ზეთისსახდელი ქვა (სურ. 56).



სურ. 55. კუჭუბოვბიანი კოკის ფრაგმენტი.




ნახ. 13. დმანისი. თხრილი IV: აღმოსავლეთი კედლის შვეული განაკვეთი. 1936 წლ. IX. 12. 1.—წვრილღორღნარევი მიწა; 2—დაშლილი ქვიტკირის ფენა; 3—ნაშალი მიწა; 4—დაშლილი ქვიტკირი, 5—ნაშალი მიწა; 6—ხამი ნიადაგი.

იგი დაახლ. 1,20 მ-ის სიღრმეზე მოდიოდა მიწის ზედაპირიდან, ფეხზე იდგა და ღორღნარევი ნაშალზე იყო მიბჯენილი. სხვა არავითარი ნიშანი ზეთისსახდელისა იმ ადგილას არ გვიპოვია. ზეთისსახდელი ქვა, რომლის დიამეტრი 1,25 მ-ს უდრის, ჩინებულადაა ნახელავი. ასეთი ქვები დმანისში ბევრია: სამი ახლაც გვინა ქალაქში მიწის ზედაპირზე, სამი კი კარგა ხანია წაულიათ — ერთი შახნაზარში, ერთი შუშის ქარხანაში დმანისის ზემოთ, ერთიც მიჯაში.

არქეოლოგიური სურათი ქალაქის ზემო ნაწილში ყველგან დაახლოვებით ერთნაირია (ნახ. 13): გათხრილი ოთახის შიგნით, ზოგჯერ გარეთაც, წვრილკენქნარევი მიწის ფენის ქვეშ, რომლის სისქე 1,50 მ-ს აღემატება, ჩნდება ათიოდე სანტიმეტრის სისქის დაშლილი ქვიტკირის ფენა, რომელსაც მოსდევს 30 სანტიმეტრის სისქის შავი კულტურული ფენა, შემდეგ ისევ 8—10 სანტიმეტრის სისქის ქვიტკირი, ზოგჯერ კი ხე, ხოლო სულ ქვემოთ უკანასკნელი კულტურული ფენა 40—45 სანტიმეტრის სისქისა, რომელიც პირდაპირ ხამ ყვეთელმიწაზე დევს. ხამი მიწა ისეთი მტკიცეა რომ წერაქვი მას ძლივსა სჭრის. კედლების საძირკვლებიც ამ ხამ ნიადაგშია ჩადგმული, ისე რომ ამ ფენების ისტორია იმავე დროს კედლების ისტორიაცაა. ეს ფენები დათარიღებულია შიგ ნა-

პოენი ფულების საშუალებით: სახელდობრ, ზემო ფენაში XIII ს-ის შუახანების ფული აზოდის, ქვემო ფენებში კი X—XII საუკუნეების მონეტები ჩნდება.

კარიანი შენობა (№ I) ქალაქის ზემო ნაწილში მხოლოდ სიონის ახლოს აღმოჩნდა (ნახ. 14). ტაძრიდან 12 მეტრის დაცილებით ჩრდილოეთისაკენ ქვიტკირიანი კედლის პატარა ნაშთი ჩნდა, სულ რამდენიმე ათეული სანტიმეტრის



ნახ. 14.


შიმაღლისა და მის გარშემო, კარგა დიდ არეზე, ნასახლარის ორმოები, რომელთა სიმრავლე გვაფიქრებინებდა, რომ ამ ადგილას რაღაცა დიდი, რთულ გეგმაზე ნაგები შენობა უნდა ყოფილიყო დამარხული. მართლაც, გათხრამ აღმოაჩინა ამ შენობის ძირა სართული, ანუ, უკეთ, სარდაფი, რომელიც 4,00 მ-ის ზიმაღლეზე მთლად მიწით იყო დაფარული (სურ. 57). სწორედ მეორე სართულის კედლის ნაშთის ქვეშ გავაშიშვლეთ მკვიდრად ნაშენი, 0,70 მ-ის სისქის კედელი, რომელსაც კარი აქვს. ეს ლამაზი ისრული თაღით გამოყვანილი, თუმცა დაბალი (1,76 მ) და ვიწრო (0,95 მ) კარი (სურ. 58) სიონისაკენ გადის,

მაგრამ სიონის კედლის ძირისა და ამ კარის ზღურბლის დონეთა შორის ისეთი დიდი განსხვავებაა (დაახლ. 2,50 მ), რომ გაუგებარი რჩება, ან რატომაა ეს კარი მოქცეული ასეთ სიღრმეზე, ან რა საშუალებით ჩადიდნენ სიონიდან ამ შენობაში (სურ. 59). შესაძლებელი იყო გვეფიქრა, რომ ქვედა ნაწილი ამ შენობისა უფრო ძველია ვიდრე სიონი, მით უმეტეს რომ თითქმის ზედ ტაძრის ძირასაც (1,75 მ-ის დაცილებით) მიწის ქვეშ რალაც გაურკვეველი დანიშნულების აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ მიმართული კედელი აღმოჩნდა, რომელიც აღმოსავლეთით მარინეს ეკლესიის საძირკველს თითქმის ზედ ებჯინება, მაგრამ შენობის უღრმეს კულტურულ ფენებში ამოღებულმა ინვენტარმა არავითარი საბუთი არ მოგვცა ასეთი იჭვისათვის: ეს იგივე XI—XIII საუკუნეების ინვენტარია, რომელიც ჩვეულებრივად გვხვდებოდა სხვაგანაც. არც ძირა ნაწილის კედლის წყობა, არც მასალა არ განსხვავდება მეორე სართულის კედელში (ოღონდ, რადგან ზედა ნაწილის კედლები მიწით არ იყო დაცული, დულაბი აქ ძალზე ამოფიტულა). კარიან კედელს, ცოტა არ იყოს, უცნაური საძირკველი აქვს, რომელიც აგრეთვე ქვიტირით, მაგრამ უფრო წვრილი ქვით და უფრო დაუდევრადაა ნაგები და რომელიც სამხრეთიდან ოდნავ წარმოზიდული ცოკოლის შთაბეჭდილებას ახდენს, ჩრდილოეთიდან კი, პირიქით, შეზიდულია და უფრო ძველ კედელსა ჰგავს, რომელზედაც მერმე შემთხვევით დაუდგამთ ჩვენი შენობის კედელი.

მეორე სართულის კედლის ნაშთის სიმაღლე კარს ზემოთ 1,70 მ-ს უდრის, ძირა სართულის კედელი 3,05 მ-ის სიმაღლისაა, ხოლო საძირკვლის სიმაღლე 1,10 მეტრია. საძირკველი ხამ მიწაში დგას.

ამ შენობის კედლები ყველა მეტნაკლებად ერთმანეთსა ჰგავს და თუმცა მათი სისქე სხვადასხვანაირია, მათი გამოცნობა მაინც ძნელი არაა. ამ მეტწილად მკვიდრად და სუფთად ნაგებ კედლებს შორის გატარებულია მერმინდელი, უქვიტიროდ, დაუდევრად, თითქმის სრულებით დაუმუშავებელი ქვით ნაგები ტიხრები, ძველი შენობის დონიდან უმეტეს შემთხვევაში 1,00 მ-ის და მეტის, ზოგჯერ კი მხოლოდ 0,50 მ-ის სიმაღლეზე, ისე რომ ძველი შენობის შედარებით ფართო და მაღალი სადგომები დაქუცმაცებულია წვრილ-წვრილ უგეგმო სენაგებად. ზოგჯერ ძველი დროიდან დაგროვილ ნაშალ მიწაზე მოსხმულია ქვიტირი, რომელიც იატაკის სამსახურს უწევდა უფრო მაღალ დონეზე გამართულს ახალ საცხოვრებელს.


მაგრამ არც უძველეს შენობას უჩანს კარგად მოფიქრებული გეგმა, ისე რომ მისი მთლიანობის წარმოდგენა ჭირს. იგი ერთ დონეზე არა დგას— ეტყობა, იმიტომ, რომ აშენების დროს ნიადაგის რელიეფს მიჰყვებოდნენ: ზოგი ოთახი უფრო მაღლა დგას, ზოგი უფრო დაბლა; წინა (სამხრეთის) ნაწილი შენობისა საზოგადოდ უფრო დაბლა მოდის უკანა (ჩრდილოეთის) ნაწილთან შედარებით. ეს განაკვეთებიდანაც კარგადა ჩანს და სამხრ.-დასავლეთიდან გადაღებულ ფოტოსურათზედაც ეტყობა (სურ. 60). თალიანი კარით შედიხართ საკმაოდ ფართო სადგომში (7,80×7,30 მ), რომელსაც ჩრდილო-დასავლეთი კედელი უცნაურად ტეხილი აქვს, ხოლო სამხრეთ-აღმოსავლეთ კედელში მეორე კარის (?) მაღალი აქვს, რომლის ზღურბლი, შენახული კედლის მიხედვით, 0,35 მ-ით უფრო



სურ. 56. ზეთისსახდელი ქვ.

მალა მოდიოდა პირველი კარის ზღურბლთან შედარებით: ამგვარად, უკვე თვით ამ ოთახის იატაკის დონე ერწიერი არ იყო. მართალია, ზღვეთავად არ შენახულა.

ყრუ კედელი გამოჰყოფს ამ ოთახს მის უკან მდებარე მარნისაგან. მარანში შესასვლელად სამხრეთ-აღმოსავლეთი კედლის მალში უნდა გამოხვიდეთ. მალის პირდაპირ, აღმოსავლეთის მიმართულებით, მიწური ნაგვიანევი კედლებია, მაგრამ მათ უკან შენახულია ქვიტკირიანი კედლების ნაშთებიც, რომელთაგან ერთს, სამხრეთისაკენ მდებარე გრძელ კედელს ოდესღაც კონტაქტი უნდა ჰქონოდა თალიანი კარის მქონე კედელთან, რის კვალიც ამ ჟამად სრულებით წაშლილია. მიწური კედელი ფარგლავს ახლა სამხრეთ-აღმოსავლეთიდან პატარა, ცხრაქვევრიან მარანს, რომელიც პირველი ოთახის სამხრეთ-აღმოსავლეთ-



სურ. 57. შენობა I. ნაწილობრივად აღმოჩენილი შემდეგ, სამხრეთიდან.

თით მდებარეობს. ეს მიწური კედელიც, თუმცა კუთხეს აკეთეს, მაგრამ უთავბოლოა, ისე რომ პირველი ოთახიდან რომ გამოხვალთ სამხრ.-აღმოსავლეთის მალში, მარცხნივ გაუხვევთ და უმეშვეოდ პატარა მარანში მოხვდებით; აქარც კარია, არც კედელი.

ამ პატარა მარანს ჩრდ.-დასავლეთიდან ფარგლავს პირველი ოთახის ქვიტკირიანი კედელი და ჩრდ.-აღმოსავლეთიდანაც იგი ქვიტკირიანი კედლითაა შემოფარგლული, რომელიც პირველი ოთახის ჩრდ.-აღმოსავლეთი კედლის გაგრძელებას წარმოადგენს. პატარა მარანიდან, როგორც ჩანს, კუთხოვანი კარით,

რომლის წირთხლი აღარაა შენახული, შეგიძლიათ დიდ მარანში შეხვიდეთ, ანუ, უკეთ, ახვიდეთ, რადგან იგი, როგორც უკვე აღვნიშნე, პირველი ოთახისა და პატარა მარნის უკან მდებარეობს უფრო მაღალ დონეზე. აქ 15 სხვილ-წვრილი ქვევრი დგას, უსწორ-მასწოროდ, მაგრამ მაინც გარკვეულ წესზე ჩამწკრივებული—6 წინ, სამხრეთ-დასავლეთი კედლის გასწვრივ, 4 ამათ უკან ერთ მწკრივად და ხუთიც უფრო მოშორებით (4 ერთ ჯგუფად და ერთიც განცალკევებით).¹ უმეშველია, ქვევრების ასეთ განლაგებას თავისი აზრი ჰქონდა. პირველი მწკრივის წინ, სამხრეთ-დასავლეთ კედლის ძირას, ხამ მაგარ მიწაში ღრმად ამოღებული

არხი და აუზები აღმოჩნდა (სურ. 61), რომელთა დანიშნულება გაურკვეველი დარჩა. ქვევრები ყველა ქვიტკირითაა მოსხმული გარედან და ამიტომ კარგადაა შენახული; მათი ძირიც ქვიტკირზე დგას; ყველას ქვის სარკველი ჰქონდა დახურული, რომელთაგან მხოლოდ ერთი იყო ცოტად თუ ბევრად ლაზათიანად ჩამოჭრილი და გათლილი; მას ზემოდან ხელმოსაკიდებელი მრგვალი ღილი ჰქონდა გაკეთებული. საინტერესოა რომ ერთ დიდ ქვევრს პირზე სამ ადგილას ქართ

¹ გვერდზე ქვევრების განლაგება სწორად არაა აღბეჭდილი.



სურ. 58. შენობა I. თალიანი კარი.

ბეჭედი აქვს დარტყმული: სწორკუთხოვან ჩარჩოში მოთავსებულია მოკლე მთაწარული წარწერა ორ სტრიქონად; სამწუხაროდ, წარწერა თითქმის სრულებით აღარ იკითხება (სურ. 62).

მარნის აღმოსავლეთ კუთხეში თონე დგას. ქვევრებსა და თონეს ოთახის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნახევარი უჭირავთ; მისი ჩრდილო-დასავლეთი ნახევარი ცარიელია: აქ ხამ მიწაში ამოღებული ორი თავთხელი ორმო აღმოჩნდა მხოლოდ, ორივე ცარიელი. ჩრდილო-დასავლეთ კედელში, ჩრდილო-კუთხის ახლოს, პატარა წალოა (სიგან. 0,35, სიმაღლ. 0,50, სიღრმ. 0,50 მ); წალოშიც არა იყო რა.




სურ. 56. შენობა I და სიონი ჩრდ.-აღმოსავლეთიდან.

დიდ მარანს სამხრ.-აღმოსავლეთ კედელშიც ჰქონდა კარი, რომლის თავი აღარაა შენახული. როგორც პატარა მარნის კარი, ისე სანხრ.-აღმოსავლეთის კარიც, ორივე თითქმის ზუსტად ერთსა და იმავე დონეზე მოდის და ორივე ქვევრებზე გაცილებით უფრო მაღლა დგას; სიმაღლეთა სხვაობა 0,50 მ-ს აღწევს, ისე რომ კარებიდან მარანში უნდა ჩახტეთ, ისე ვერ ჩახვალთ. არ ჩანს, რომ აქ ოდესმე კიბე ყოფილიყოს. მარნის სამხრეთ-აღმოსავლეთით ერთ ოთახს ჩრდილო-აღმოსავლეთის კედელი არ უჩანს, შეზღვევ კი პატარა ოთახი მოდის, რომელსაც შესავალი ისევ-ისევ სამხრეთ-აღმოსავლეთიდანა აქვს; ამას იქით იწყება მთელი რიგი უსწორ-მასწოროდ დალაგებული უთავბოლო კედლები, რომლების დაკავშირება მთავარ შენობასთან შეუძლებელია. მარნის უკან კი, ჩრდილო-აღმოსავლეთით, ძველი შენობის კედლები იმალება ღრმად მიწის ქვეშ და

ჩრდილო-დასავლეთის კედელზე დაშენებულია მერმინდელი, მაგრამ აგრეთვე ქვიტიკირიანი კედლებით ამოყვანილი ოროთახიანი შენობა. ამ ორ ოთახს ერთმანეთში კონტაქტი არ უჩანს, სამხრეთ-დასავლეთის ოთახი უკარსარკმელოა, ჩრდილო-აღმოსავლეთისას კი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან აქვს პატარა კარი, რომლის ანყოლების ძირა ფილაქნები კარგადაა დაცული (სურ. 63). საინტერესოა რომ ამ ოთახის კედლებში ალაგ-ალაგ აგუჩის წყობაც ვრჩება.

ჩრდილო-აღმოსავლეთიდან უძველეს შენობას გრძელი კედელი ფარგლავს, რომელიც სამხრეთ-აღმოსავლეთი მიმართულებით სწყდება.



სურ. 60. შენობა I სამხრეთიდან, გათხრის შემდეგ.

ამ გვარად, ეს შენობა დღეს დაუმთავრებელის შთაბეჭდილებას ახდენს: მისი ჩრდილო-აღმოსავლეთი და სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი გაურკვეველია. ეს იმიტომ რომ აქ ძველი კედლები ძირიანად მოთხრილია. ის რაც ჩვენ გავთხარეთ, აქ ოდესღაც მდგარი საცხოვრებელი ბინის სარდაფი ანუ მარანი უნდა იყოს. ფასადი ამ შენობას სიონისკენ ჰქონდა მიქცეული, რადგან, რამდენადაც ჩანს, მთავარი შესასვლელი მარაჩს აქედან ჰქონდა. რომ ამ მარანში, ყოველ შემთხვევაში, თავდაპირველად არავინ ცხოვრობდა, ამას, ჩემის აზრით, ის გარემოებაც გვიჩვენებს, რომ თალიან შესასვლელს გარედან, სიონის მხრიდან, ჰქონდა შებმული, ალბათ, ხის კარი, როგორც ამას შესავლის ორსავე მხარე დატოვებული ქანები გვიჩვენებს, რომლებიც კედელს შიგნით, ოთახში, არა

აქვს. შიგ რომ ვისმე ეცხოვრა, ბუნებრივი იქნებოდა, კარიც თავისი ბინისათვის შიგნიდან შეება.

მთელი ნივთები, გარდა ქვევრებისა და თონეებისა, ამ ნანგრევებში არ გვინახავს. საზოგადოდ, ინვენტარი უმთავრესად კერამიკული ნატეხებისაგან შედგება. მაგრამ ეს ნატეხები—ლუსტრიანი და მოფერადებული ფაიანსი, სგრაფიტოს ტექნიკით დამუშავებული ანგობიანი თიხის ჭურჭელი და სხვ.—მაინც კარგად ათარიღებს ამ შენობას. ძირა ფენებში ნახული ნივთები, რამდენადაც ჩანს, XI ს-ს არ გადასცდება. ბოლოს, თვით დიდ მარანში, ქვევრების დონეზე აღმოჩნდა თამარის შავი მონეტა 1200 წლისა.




სურ. 61. შენობა I. დიდი მარანი. მარჯვნივ ჩანს სამ მიწაში ამოღებული აუზი.

შუაქალაქში დგას იმპოზანტური ნანგრევი (შენობა № III, სურ. 64), რომელიც თავისი სიდიდით, დმანისისათვის უჩვეულო ფორმებით და სქელი, სუფთად ნაგები კედლებით, თითქოს, ბევრს საინტერესოს გვიქადა. საფიქრებელი იყო რომ აქ საზოგადოებრივი დაწესებულების ნაშთთან გვექონდა საქმე, ხოლო, რაკი ქალაქის ზემო ნაწილში მდებარე გამოცდილებიდან ვიცოდით, რომ ძველი შენობების ძირა სართულები ანუ სარდაფები მიწის ქვეშ იყო დაძარხული, აქ კი ნანგრევი თითქმის მთელი თავისი სიმაღლით მიწის ზედაპირზე იდგა, მოსალოდნელი იყო კარგად დაცული სარდაფების პოვნა, რომლებიც განაოხარი ინ-

ვენტარითაც გაგვამდიდრებდა. ამიტომ 1937 წლ. აგვისტოს 29-ში შევუდევით აქ თარას, რომელიც სექტემბრის 7-ში დამთავრდა.


ეს ნანგრევი (ნახ. 15) წარმოადგენს ერთს დიდ ოთახს, სიგრძით (SSW — NNO) 10 მ, სიგანით (SO — NW) 8 მ, რომელსაც 2 კარი (აღმოსავლეთის და ჩრდილოეთის კედლებში) და 4 სარკმელი აქვს. კედლები (სისქ. 1,15 მ საშუალოდ) ნაგებიცაა საშუალო ზომისა და პატარა კვადრებით ქვიტკირზე; განირჩევა ფენებრივად წყობილი გარე და შიდაპირი კედლებისა (პერანგი) და შუაზე ჩასხმული კუორდულაბი; ალაგ-ალაგ კედლის წყობაში დატანებულია პრტყელი ქვების ზოლები სიგრძივ. კუთხეებში გარედან შენობას ორსაფეხურიანი (ხოვან ცალსაფეხურიანი?) „ცოკოლები“ აქვს, შესაძლე-



სურ. 62. ბეჭდიანი ქვევრის პირი.

ბელია იმისათვის რომ კედლები გამგლელი ურმებისაგან დაეცვა.¹⁾ შენახულია ოთხივე კედელი, მაგრამ შედარებით კარგად დაცული მხოლოდ სამხრეთის კედელია; აღმოსავლეთი კედლის შუანაწილი, საცა კარი იყო, მთლად ჩანგრეულია, ხოლო ჩრდილოეთისა და დასავლეთის კედლები სანახევროდ ჩამოქცეულია. მთავარი შესასვლელი აღმოსავლეთიდანაა, აქ მალი განიერია (1,25 მ) და შუა-კედელზე მოდის, ჩრდილოეთის კარი კი ვიწროა (0,75 მ) და განისაა. სარკმლები ყველა მაღლაა კედელში მოთავსებული და განაწილებულია სიმეტრიულად. სამი

¹⁾ შდ. Н. Я. Марр, Аш, 1934, გვ. 77.



ნახ. 15.



სურ. 63. შენობა I. კარის ნაშთი დაშენებულ კედელში.

სარკმელი ჰქონდა სამხრეთის კედელს—ერთი შუაზე, თახჩის ზემოდან, ორი კი აქეთ-იქით, უფრო დაბლა; მეოთხე სარკმელი დასავლეთის კედელშია, სამხრეთ-დასავლეთი კუთხის ახლოს; იგი სამხრეთი კედლის დაბალი სარკმლების დონეზე მოდის. დაბოლოს, თითქოს მეხუთე სარკმლის ნაშთებიც ჩანს დასავლეთის კედელში, ჩრდილო-დასავლეთი კუთხის ახლოს, იმავე დონეზე, ისე რომ აქაც სიმეტრია დაცული უნდა ყოფილიყო. სალადაა დაცული მხოლოდ სამხრეთი კედლის განის სარკმლები. ისინი, ჩვეულებისამებრ, გარეთკენ ვიწროვდებიან, მაგრამ ძალიან არა; ორივე თანაბარი სიგანისა არაა, მაგრამ თვალისთვის ეს შეუმჩნეველი რჩება: სამხრ.-აღმოსავლეთი სარკმლის სიგანე შიგნით=0,55 მ, გარეთ=0,35 მ, სამხრ.-დასავლეთი სარკმლის სიგანე კი შიგნით=0,50 მ, გარეთ=0,30 მ; ეს უკანასკნელი უფრო დაბალიცაა, მისი სიმაღლე=0,95 მ, იმ დროს



სურ. 64. შენობა III. სამხრ.-დასავლეთიდან.

როდესაც პირველი სარკმლის სიმაღლე=1,15 მ, მაგრამ ისევ-ისე თვალი ამას ვერც რიგად არ ამჩნევს. შიგნით ჩრდილო-კედელს და მცირეზე დასავლეთ კედელსაც, 1,30 მ-ის სიმაღლეზე, ქვიტიკრიანი ქვის ცალკე წყობა მოსდევს პანელივით, ხოლო აღმოსავლეთის, ჩრდილოეთის და დასავლეთის კედლებში აქა-იქ გაკეთებულია პატარ-პატარა წალოები¹.

¹ ერთი წალო (?), სიმაღლ. 0,60 მ, აქვს დასავლეთის კედელს გარედანაც.

სამხრეთის კედელში, შუადგილას, მაღალი მრგვალი თახჩაა ჩაშენებული (სურ. 65), რომლის სიმაღლე 2,25 მ, სიგანე 1,00 მ, და სიღრმე 0,70 მ-ს უდრის. ამ საინტერესო, მაგრამ უცნობი დანიშნულების თახჩას ნაპირებზე განიერი ქანები აქვს დატოვებული, ზემო ნაწილი, გადახურული ნახევარფარგლოვანი თალით, გამოყოფილი აქვს ვიწრო თაროსავით პრტყლად ჩასმული ქვებით, ხოლო ქვემოთ გვერდებზე ჩაშენებული აქვს ორი პატარა წალო. სამხრეთის კედელს გარედან, სწორედ თახჩის პირდაპირ, სქელი ნახევარკონუსისებური ბურჯი აქვს ამოშენებული (ნ. სურ. 64), რომლის დანიშნულება სრულებით გაუგებარია (თახჩა ამ ბურჯში არა ზის).

ოთახში გარდიგარდმო, აღმოსავლეთი შესავლის ჩრდილო-კუთხიდან დასავლეთის კედლამდე, დაბალი მიწური კედელი (?) იყო გაყვანილი (უსაძირკველოდ), რომლისთვისაც ხელი არ გვიხლია.

გათხრა წარმოებდა როგორც შენობის შიგნით, საცა ოთახი ჯვარედინად გაიჭრა სიგრძეზედაც (მიწური კედელი, როგორც აღვნიშნე, ხელუხლებელი დავტოვეთ) და სიგანეზედაც 1,60—3,00 მ-ის სიგანის თხრილების საშუალებით და საცა 1,20 მ-ის სიგანის თხრილი იქნა გატარებული სამხრეთი კედლის გასწვრივაც, ისე შენობის გარეთ, საცა 7 თხრილი დაიდო სხვადასხვა ადგილას. გამოირკვა რომ შენობის კედლები მხოლოდ 20—30 სანტიმეტრის სიმაღლეზე იყო დაფარული ნაშალი მიწით და რომ მისი საძირკველი, ნაგები მოზრდილი და საშუალო ზომის ნაგლეჯი ქვითა და ქვიტკირით, 1,60—1,80 მ-ის სიღრმეზე იჯდა ნაშალ მიწაში. საძირკვლის ქვეშ ყველგან, გარდა ჩრდილო-აღმოსავლეთი კუთხისა, საცა კულტურული ფენა შედარებით თხელია, კიდევ 0,20—0,75 მ-ის სისქის ნაშალი მიწა მოდიოდა. სარდაფი შენობას არ ჰქონია. ამასთან, ეს დიდი ოთახი სრულებით იზოლირებულ შენობას წარმოადგენდა, რომელსაც სხვა მინაშენები არ ჰქონია. ეს უდავოდ გამოირკვა იმიტომ რომ ოთახი გარედან თითქმის მთლიანად გარშემოფთხარეთ. ამ გვარად, ეს შენობა შედარებით ნაგვიანევი ხანისაა და მისი კარები დაახლოებით აწინდელი მიწის ზედაპირის დონეზე გამოდიოდა.


შიგნით ბევრი არა გვიპოვია რა. ზღვე არ აღმოჩნდა. ზედა ფენებში რამდენიმე თონე და ქოცო ვნახეთ, in situ, ხოლო 1,00 მ-ის სიღრმეზე და უფრო ღრმად, როგორც ჩანს, შენობის უწინარესი ფენის ნივთები ამოდიოდა. ასე, 1,05 მ-ის სიღრმეზე შუა ოთახში, უფრო დასავლეთი კედლისაკენ, ვნახეთ X—XI ს-ის ბიზანტიური შავი მონეტები, 8 ცალი. კედლების სიახლოვეს ძველი ნივთები უფრო მაღლაც ამოდიოდა, რაც იმით აიხსნება რომ საძირკვლის ჩათხრის დროს მიწა აქ გადაუბრუნებიათ. ასე, მაგ., სამხრეთი კედლის ძირას, თახჩის ახლოს, X—XI ს-ის ბიზანტიური მონეტა ამოვიდა 0,60 მ-ის სიღრმეზე. საინტერესო იყო სვეტის ხარისხი (?), რომელიც აქ, სახელდობრ, თახჩის დასავლეთი ნაპირის ძირას აღმოჩნდა 0,40 მ-ის სიღრმეზე. ეს 0,50 მ-ის სისქის ოთხკუთხი თლილი ქვა, რომელსაც მრგვალი და პრტყელი თავი აქვს გამოთლილი სარქველივით, ნაგლეჯი ქვებით მიწაზე უშნოდ ნაგებ დაბალ „პოსტამენტზე“ იდგა. რადგან თალის განას პარების განიერი ქანები საფიქრებლად ხდის რომ აქ, შეიძლება, სვეტები ყოფილიყო ჩაყენებული, ხოლო „სვეტის ხა-



სურ. 65. შენობა III. თახჩა სამხრეთის კედელში.

რისხი“ დაახლ. დასავლეთი ქანის სისწვრივ მოდიოდა, თახჩის აღმოსავლეთითაც დაღვიწყეთ მეორე ასეთივე „ხარისხის“ ძებნა, მაგრამ ამაოდ.

შენობის გარეთ ორ ადგილას ძველი კედლები აღმოჩნდა. ერთი ასეთი კედელი შენობის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეს აკრავს აღმოსავლეთიდან, მეორე კი შენობის დასავლეთი კედლის საძირკველზეა მიბჯენილი, ჩრდილო-დასავლეთი კუთხის ახლოს. კედლები ქვითაა ნაგები ქვიტკირზე. რომ ისინი შენობაზე უფრო ძველია, ეს იქიდანა ჩანს, რომ მათი საძირკველები ხამ ნიადაგში დგას, იმ დროს როდესაც შენობის საძირკველი, როგორც უკვე აღვნიშნე, ნაშალ მიწაზეა დადგმული. ეს ძველი კედლები შენობის აგების დროს ჩაუჭრიათ. სწორედ აქ, შენობის გარეთ და განსაკუთრებით დასავლეთით მყოფი ძველი კედლის ჩათხრისას ვიპოვეთ ყველაზედ უფრო საინტერესო ნივთები, მათ შორის, 1,70 მ-ის სიღრმეზე, მასივი სპილენძის საჭრაქე კვეთილი სტილიზებული ორნამენტით ყურის ზედაპირზე (სურ. 66). ამ გვარად, ეს შენობა, რომლის დანიშნულებაც ისევ-ისევ გაურკვეველი დარჩა, X—XI ს-ის ნაშალ ნიადაგზე დგას. თვითონ მისი დათარიღება ძნელია, რადგან საამისო გეში არა გვიპოვია რა, მაგ-




სურ. 66. სპილენძის საჭრაქე.

რამ მე მგონია რომ XIV ს-ს იგი არ უნდა გადმოსცილდებოდეს. ამასთანავე საფიქრებელია რომ არა მარტო ეს შენობა, არამედ ყველა ის შენობა დმანისში, რომლებიც ზედაპირულად არიან ამართული დღემდე, ძველ ნაშალ ნიადაგზე დგას და მეტნაკლებად ნაგვიანეგ ხანას ეკუთვნის.

საინტერესო იყო ამ შენობის გადახურვის წესის გამოკვლევა, მაგრამ გათხრამ ამ მხრივაც არაფერი მოგვცა. ერთადერთი ის ითქმის რომ მეორე საართული ამ შენობას არ ჰქონია და რომ მისი სახურავი პრტყელი უნდა ყოფილიყო.

VII


გარეუბანი, როგორც ჯალენიშნე, ქალაქის სამხრეთით მდებარეობს, ფინე-ზაურის ორსავე ნაპირას. მარცხნივ, მალღობზე, სასაფლაოებია, ჯერ მუსლიმანური, შემდეგ, ქალაქისაგან უფრო მოშორებით, ქრისტიანული; მუსლიმანური სასაფლაოს გასწვრივ აღმოსავლეთისაკენ, გზის პირას ძველად კალოები ყოფილა, რომელთა კვალი, გარშემოწყობილი დიდი ლოდების სახით, ძლივსაა განირჩევა; ქვემოთ, წყლის პირას წისქვილები ყოფილა, რომლებიც გარეუბნის ზემო-აბანოს პირდაპირ მდგარა, ცოტა ზემოთ; რუ მალლიდან ყოფილა წამოყვანილი და მისი კვალი ჩანს მწკრივად ჩაწყობილი დიდი ქვების სახით. მდი-




სურ. 67. გარეუბნის ქვემო-აბანო დასავლეთიდან, გათხრამდე.

ნარის მარჯვენა ნაპირის გასწვრივ გაშენებულია ქალაქის აბანოები. აბანო სამია: ყველაზე უფრო დიდი ზემო-აბანოა, რომელიც აწინდელი პატარა დმანისის ხაზზე მდებარეობს; შუა-აბანო, რომლის დიდი ნაწილი წყალს წაუღია, 150-ოდე მეტრით უფრო ქვევითაა მოთავსებული, ყაფარა-სოფლის ხევის შესართავში, ამ უკანასკნელის მარჯვნივ, ხოლო დანარჩენებზე უკეთ შენახული ქვემო-აბანო კიდევ 130-ოდე მეტრით უფრო ქვემოთ მდებარეობს (სურ. 67).

ქვემო-აბანო (გარეუბნის აბანო № III), რომლის გათხრასაც პირველად შევუდგეთ, კომპაქტურ ექვსოთახიან შენობას წარმოადგენს (ნახ. 16 და 17). ყვე-



ნახ. 16.



ნახ. 17

ლაოთახის დანიშნულება საეცებით ნათელი არაა, მაგრამ ზოგადად მათი განაწილება ასე შეიძლება: ერთი ოთახი (A) გასახდელია, ოთხი (B,C,E,F) საბანაო და ერთი (D)—სალუმელე. შენობა ორიენტირებულია სამხრეთ-დასავლეთიდან ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ. იგი ძირითადად ქვითაა ნაგები, აგური (ჩვეულებრივი კვადრატული, 25×25 სმ, და ნაკლები ზომის) მხოლოდ დამხმარე მოწყობილობისათვისაა გამოყენებული და აგრეთვე მერმინდელი კედლების წყობაში ურევია. ქვა ნაგლეჯია, შემტკიცებული ქვიტკირით, წყობა გამტანისია, ფენებრივობა არაა დაცული. მხოლოდ კარებში ზღურბლად დევს ხოლმე თლილი ფილაქანი და კარების განის კედლებიც უფრო სუფთა ქვით და უფრო წესიერადაა ნაგები. გარეკედლების სისქე საშუალოდ 0,90 მ.ს აღწევს, მაგრამ იქ, საცა შიგნითოთახებია მოთავსებული, კედელი გაცილებით უფრო თხელია (0,30 მ-მდე).



სურ. 68. გარეუბნის ქვემო-აბანო დასავლეთიდან, ნაწილობრივი გათხრის შემდეგ.

გარეპირი მხოლოდ ჩრდილო-დასავლეთის კედელსა აქვს, — აქედან აბანოს მდინარე ჩამოუდის — და ნაწილობრივ, აგრეთვე სამხრეთ-დასავლეთისა და ჩრდილო-აღმოსავლეთის კედლებს. დანარჩენ კედლებს გარედან პირი არ ჰქონიათ, რადგან აბანო სამხრეთ-აღმოსავლეთიდან და ნაწილობრივ ჩრდილო-აღმოსავლეთიდანაც და დასავლეთიდანაც შეშენებულია მაღალი ნაპირის ბექობში, კედლები შიგნიდან იყო ამოყვანილი და შენობას აღნიშნული მხარეებიდან იმ თავითვე, მიწა ჰქონდა მიყრილი; ამ მიწის დასაქერად აბანოს სამივე აღნიშნული მხრიდან დაბალი მიწური კედელი არტყია. ფასადი, მაშასადამე, აბანოს მდინარისაკენა-აქვს (სურ. 68). აქ, E-ოთახის წინ, ქვიტკირით ნაგები რაღაც კედლებია, რომლებიც ეგებ ტერასის ნაშთს წარმოადგენენ.

შიგნით კედლები და კარების თაღები გალესილია ბათქაშით. ზღვედ ყველგან, გარდა A-ოთახისა, მოსხმულია ქვიტკირი. გადახურვა არსებითად ისეთივეა, როგორც ციხის აბანოში ჩვენ უკვე გავიცანით, ოღონდ კრამიტი და აგური სახურავზე არაა დაფენილი, პრტყელი გუმბათები მხოლოდ ქვითაა ამოყვანილი. გუმბათებში აქაც დატოვებულია ბანები, რომლებიც ოთახებს სინათლეს აწვდის. ტრომპებს აქ ცოტათი უფრო რთული პროფილი აქვს, ვიდრე ციხის აბანოში: სახელდობრ, აქ მათ ორი ან სამი სიგრძივი ნაწიბური „ამშვენებს“ (სურ. 69). მხოლოდ C-ოთახის ბანია კარგად შენახული, B-ოთახის ბანი ნაწილობრივ ჩანგრეულია, ხოლო E- და F-ოთახების გუმბათები თითქმის მთლად ჩაქცეული დაგვხვდა. D-ოთახსაც (საღუმელეს) კამარა ჰქონდა გადახურული, მაგრამ ძნელი სათქმელია, იყო აქაც ბანი, თუ არა, ხოლო A-ოთახის (გასახდელის) ეროდ, რამდენადაც ჩანს, პრტყელი უნდა ყოფილიყო.



სურ. 69. ქვემო-აბანო. E — ოთახის თახჩა და ტრომპები.

გეგმას რომ შევხედოთ, დავინახავთ, რომ მთელი შენობა ორ ნაწილად იყოფა: უკან, სამხრეთ-აღმოსავლეთით, მოთავსებულია სამი ოთახი: ჩრდილო-აღმოსავლეთიდან პირველი გასახდელია (A) და შემდეგ ორი საბანაო (B და C); ამათ პარალელურად წინ, ჩრდილო-დასავლეთით, მოთავსებულია დანარჩენი სამი ოთახი: ორი (F და E) საბანაო და ერთი (D) საღუმელე. ამ ორ ნაწილს ერთმანეთისაგან ჰყოფს, მეტადრე შუა ოთახებს შორის, სქელი კედელი, რომელშიც

ჩაშენებული უნდა იყოს წყალსადენისა და, ალბათ, საკვამლე მილებიც. უშუალო კონტაქტი შენობის ამ ორ ნახევარს შორის არ არსებობს: წინა ოთახებიდან გარეთ უნდა გამოხვიდეთ, თუ უკანა ოთახებში გინდათ შესვლა. შესავალი კარი, ამ გვარად, აბანოს ორი აქვს, ორივე ჩრდილო-დასავლეთიდან: ერთი A-ოთახში და მეორე F-ოთახში. კარები ყველა ისრული თალითაა გამოყვანილი.


აბანო თითქმის პირთამდე მიწით ამოვსებული დაგვხვდა (სურ. 70). გამოწმენდის შემდეგ გამოიჩინა რომ ოთახები საზოგადოდ ძალიან დაბალი ყოფილა: ასე, მაგ., B-და C-ოთახების სიმაღლე ბანის ხაზით 3,25 მ-ს არ აღემატება. დაბალი და ვიწროა კარებიც, ისე რომ ადამიანი შიგთავისუფლად ვერ გაეჭევა (სურ. 71). ოთახები პატარაა: მაგ, B-ოთახის სიგრძე=3,25 მ, სიგანე=3,15 მ-ს.



სურ. 70. გარეუბნის ქვემო-აბანო. B-ოთახი გამოწმენდამდე: სამხრ. კუთხის ტროშპი და კარი C-ოთახში.

კედლები მრუდვია, ისე რომ ვერც ერთ სწორ კუთხეს ვერ ნახავთ. მაგრამ იგივე ახასიათებს ციხის აბანოსაც და საერთოდ ყველა შენობას დმანისში, გარდა ეკლესიებისა. ყველაზე უფრო დიდი A-ოთახია (გასახდელი, $4,25 \times 4,00$ მ). თავდაპირველად, სანამ მისი სამი კედლის გასწვრივ (SO, SW, NW) შიგნით ახალ კედლებს არ ამოიყვანდნენ და ამ გვარად ოთახს არ დააპატარავებდნენ, იგი ცოტათი უფრო ფართო იყო. რისთვის შეუშენეს ამ ოთახს მეორე კედლები, მაინც და მაინც ნათელი არაა: შემავრება ძირითად კედლებს, რამდენადაც ჩანს, არა სჭიროდა. სწორედ ამ ახალი კედლების წყობაში ურევია მცირედ აგური.

A-ოთახის კედლები მხოლოდ 10-ოდე სანტიმეტრის სიმაღლითა ჩნდა ზედაპირულად, დანარჩენი მთლად დაფარული იყო მიწით. აქ, 0,70 მ-ის სიღრმეზე ოთახის ჩრდილო-აღმოსავლეთი კედლის ზედაპირიდან, წახნაგზე დაყენებული აგურების წყობა შეგვხვდა (ნ. სურ. 72), რომელსაც ოთახის მთელი ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი ეკირა, 0,60—0,70 მ-ის სისქე ჰქონდა და რომელიც, შესაძლებელია, ჩამოვარდნილი სახურავის ნაშთს წარმოადგენდეს. 1,40 მ-ის სიღრმეზე¹ ჩრდილო-აღმოსავლეთ კედელზე მიდგმული, სამკუთხედივით მოყვანილი, ერთი კუთხით შუა ოთახში შეჭრილი ზღვე აღმოჩნდა, ნაგები ჩვეულებრივი ზომის პრტყელი აგურით უქვიტკიროდ (სურ. 72). აგური მეტწილად კარგი გამომწვარია და ჩინებულადაა შენახული. აგურების მხოლოდ ერთი, წინა, წყება დანაწილდა. რ-



სურ. 71. ქვემო-აბანო. B-ოთახი: კარი C-ოთახში, "გამომწმენდის შემდეგ," და დასავლ. კუთხის ტრომბი;

გორც ჩანს, იმავეითვე ეს ზღვე ესე საკუთხედად იყო გამართული და მთელი ოთახი არ სჭერია. აზასთან, იგი 0,50 მ ის სისქის ნაშალი მიწის ფენაზე დგას და, თუმცა ქვიტკირის ზღვე ამ ნაშალის ქვეშაც არ აღმოჩნდა ამ ოთახში, მაინც ცხადია, რომ აგურების ზღვე მერმინდელი უნდა იყოს, რადგან იგი ოთახის კარის ზღურბლთანაც შედარებით 0,40 მ-ით მაღლა მოდის. არავეითარი საბანაო

¹ სიღრმეების გამოანგარიშებისას ამ ოთახში გამოსავალ წერტილად ყოველთვის ჩრდილო-აღმოსავლეთი კედლის ზედაპირი იგულისხმება.

მოწყობილობა, გარდა ამ აგურებიანი იატაკისა,¹ ამ ოთახში არ მოიპოვება. სამაგიეროდ თითქმის მხოლოდ აქ ამოვიდა აბანოს დამათარილებელი ნივთები, უმთავრესად მონეტები.² სწორედ ეს ორი გარემოება გვაფიქრებინებს, რომ A-ოთახი განკუთვნილი იყო მოსაცდელადა და გასახდელად.

როგორც ზემოაღწერილიდან ჩანს, ეს ოთახი რამდენჯერმე გადაუკეთებიათ და ამიტომ კულტურული ფენების თანამიმდევრობა აქ დარღვეულია. რუ-



სურ. 72. ქვემო-აბანო. ოთახი A: წახნაგზე დაყენებული აგურების წყობა (მარცხნივ) და ზღვე (მარჯვნივ).

სუდანის 1227 წლის შავი მონეტა ამოვიდა აქ 0,28 და 1,00 მ-ის სიღრმეზეც, ჩრდ.-აღმოსავლეთი კედლის ახლოს, ე. ი. აგურებიანი იატაკის ხაზზე, მის ზემოთ, და 2,00 მ-ის სიღრმეზეც, ე. ი. იატაკზე გაცილებით უფრო ქვევით სამხრ.-დასავლეთი კედლის ძირას. ასევე ღრმად ნაპოვნი იყო მანგუ-ყაენის ორი მონეტა (ერთი მათგანი აგრეთვე სამხრ.-დასავლეთი კედლის ძირას) და თამარის ერთი მონეტა 1200 წლისა (ოთახში შესასვლელი კარის ზღურბლზე). მე მგონი, ყველა ეს განათხარბი ათარიღებს ამ ოთახს და მასთან ერთად მთელს ქვემო-

¹ თუ კი მას საზოგადოდ რაიმე უმეშვეო დამოკიდებულება აქვს აბანოსთან, რასაც მისი უჩვეულო ფორმა გვაფიქრებინებს, და იგი არაა მერმინდელი, აქ გამართული საცხოვრებელი ბინის ნაშთი.

² სხვა სულ ნატეხებია, ისიც ძალიან მცირე რაოდენობით.

აბანოსაც XIII ს-ით.¹ ყოველ შემთხვევაში, ამ საუკუნეზე აქეთ ამ შენობის აგების თარიღს ვერ გადმოვიტანთ.

A-ოთახიდან შევიძლიათ შეხვიდეთ B-ოთახში და აქედან C-ოთახში. B-ოთახში, ჩრდილო-დასავლეთი კედლის გასწვრივ, ქვიტკირმოსხმული დაბალი (0,25 მ) და ვიწრო (0,35 მ) ტახტია გაკეთებული, რომელიც დასავლეთის კუთხეში პატარა თავთხელი (სიღრ. 0,25 მ) აუზით თავდება. ჩრდილო-კუთხის ახლოს, ტახტის წინ იატაკში ჩაშენებულია ქვევრის ძირი (დიამ. 0,40 მ, სიღრმე 0,20 მ.), რომელიც, ალბათ, ფეხის დასაბანად იყო განკუთვნილი. იატაკი ამ ოთახში თარაზული არ არის, არამედ შუა ოთახისაკენ ოდნავ ჩაღრმავებულია, საიდან შემოდიოდა აქ წყალი ან სად გადიოდა, არა ჩანს. სამხრეთ-დასავლეთის კედელში ერთ ადგილას და აგრეთვე დასავლეთის კუთხეში იმვე სიმაღლეზე ბათქაში ამოტეხილია და კედელში რაღაც ღრუ ჩანს; აქ არის გატარებული, ალბათ, წყალსადენის მილები და აქ თუ ჰქონდათ მათ გამოსავალი, რომელიც ახლა შიგნით ქვევრითაა დაკეტილი.

C-ოთახშიც საბანაო მოწყობილობა ჩრდილო-დასავლეთი კედლის ძირასაა გამართული. აქ არის ქვიტკირით ამოშენებული, ტრაპეციის მოყვანილობის აუზი, რომელსაც გაჭირებით შეიძლება აბაზანა დავარქვათ (სიგრძე შუა ხაზით 0,70 მ, სიგანე 0,60 მ, სიღრმე 0,30 მ). ამ აუზში წყალი გადმოდიოდა D-ოთახიდან. აქაც აბაზანის მარჯვნივ და მარცხნივ ქვიტკირის ტახტებია. მარცხნივ ასეთი ტახტი მიჰყვება სამხრეთ-დასავლეთ კედელს თითქმის მთელს სიგრძეზე; ამ ტახტის თავი, ოთახის დასავლეთ კუთხეში, ამალღებულია და დაკიბული და აქაც წყალსადენის მილი ჩანს, რომელიც აგრეთვე D-ოთახიდან გადმოდიოდა.² როგორ გადიოდა წყალი C-ოთახიდან, ესეც არა ჩანს, მაგრამ იატაკი აქაც ცენტრისაკენ დაქანებულია.

D-ოთახში მოწყობილი იყო ღუმელი იატაკის ქვეშ. აქ შუა ადგილას მრგვალი ორმო აღმოჩნდა (დიამ. 0,65 მ), რომელიც, როგორც ეს ამოწმენდის შემდეგ გამოირკვა, საღუმელე ყოფილა. მართალია, გაურკვეველი დარჩა, თუ საიდან უკეთებდნენ აქ ცეცხლს. ორმო, რომლის სიღრმე 1,05 მ-ს უდრის, ირგვლივ ამოშენებულია ნაგლეჯი ქვით ქვიტკირად. მხოლოდ სამხრეთ-აღმოსავლეთის და ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებით მიდის აქედან ორი ხერელი, რომელთა პირები გადახურულია ერთმანეთზე კუთხურად მიდგმული ორი პრტყელი აგურით. ეს არის გათბობის სისტემის ხერელები, რომელთაგან ერთი (SO-ისკენ) სითბოს აწვდიდა C- და B-ოთახებს, მეორე კი (NO-ისკენ) — E- და F- ოთახებს. D-ოთახის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი დაბალ თახჩას წარმოადგენს, რომელსაც იატაკში შუა ადგილას აგრეთვე მრგვალი ორმო აქვს ჩაშენებული (დიამ. 0,35 მ, სიღრმე 1,30 მ). ეს ორმო იატაკქვეშა ხერელით შეერთებულია ღუმელთან. ეს საქვაბე უნდა იყოს. აქ ცხელდებოდა, ალ-

¹ რუსუდანის ფული აღმოჩნდა აგრეთვე C- თუ D-ოთახში (მონეტა უკვე ამოყრილ მიწაში ნახეს და ნიშანდობლივ რომელ ოთახში ამოვიდა, გაურკვეველი დარჩა) და ზემოხსენებულ „ტერასზე“ E-ოთახის წინ. სულ ამ აბანოში 7 მონეტა ამოვიდა რუსუდანისა.

² D-ოთახიდან გატარებული მილი კედელში, ალბათ, ორად იყოფა და ერთი შტო C-ოთახის დასავლეთი კუთხისაკენ მიდიოდა.

ბათ, წყალი, რომელიც შემდეგ, საქვების ჰირის გასწვრივ კედელში გაყვანილი მილებით გადიოდა C-ოთახში¹. იატაკქვეშა ხერელი საქვაბიდან C-ოთახში გადის. რადგან ამ ოთახის ზღვე რამდენსამე ადგილას ჩანგრეული იყო, ჩვენ საშუალება მოგვეცა ნიშანდობლივ გამოგვეკვია ამ აბანოს გათბობის სისტემა. ნიადაგი იატაკის ქვეშ მოყრილია ლამით, რომელიც სიზბოს დიდხანს ინახავს; შემდეგ გარკვეულ მანძილებზე დადგმულია ე. წ. საგორავი ქვები, უფორმო ლოდები, რომლებზედაც გადებულია პრტყელი ქვები; ამ ქვებზე ქვიტკირის ზღვეა მოსხული. უეჭველია C-ოთახიდან თებოდა B-ოთახიც, თუმცა აქ იატაკი არ გავიტეხია და ამიტომ დანამდვილებით ამის თქმა არ შეიძლება. საზაგიეროდ, F-ოთახში ჩავტეხეთ ქვიტკირის ზღვე ერთ ადგილას და იქაც იგივე სურათი აღმოჩნდა—ჩრდილო-აღმოსავლეთის ხერელი, მაშასადამე, სიზბოს აწვდიდა ღუმლიდან E-ოთახსაც და F-ოთახსაც.


კვამლი გადიოდა, ალბათ, ამწოვი მილებით, რომლებიც კედლებში უნდა იყოს ჩაშენებული და ჩვენ არ გვინახავს.

C-ოთახში აღმოჩნდა აშკარა კვალი აბანოს მერმინდელი გამოყენებისა: აღმოსავლეთი კუთხის ახლოს, ჩატეხილ იატაკში, აგურით მშრალად ამოშენებული ღუმელი თუ კერა ვნახეთ (სიღრმ. 0,45 მ, დიამ. 0,30—0,35 მ), რომლის ფსკერზე ნაცარი ეყარა და რომელიც, როგორც ამას ისეთივე აგურებზე ორფენა წყობა გვიჩვენებდა, მიმართული ოთახის აღმოსავლეთი კუთხისაკენ, დაკავშირებული იყო იმ საკვამლესთან, რომელიც ამ კუთხეში აღმოჩნდა და გარეთ ოთახის სახურავზეც გადის. აქ, ეტყობა, ვილაცას უცხოვრია მას უკან, რაც აბანო გაუქმებულა და ამ მობინადრეს თავისთვის კერაც გაუმართავს. კვამლის გარეთ გასაყვანად მას კუთხიდან გაუნგრევია კედელი და სახურავი, რაც ძალიან ადვილი იყო, რადგან კუთხეებში ტრომპები და ტრომპებთან კედელი თხელია. ასეთივე საბუხრე გაკეთებულია ამ ოთახის სამხრეთ კუთხეში, რომელიც ამის გამო მთლად შენგრეულია. ეს ორივე საკვამლე შესატყვის ადგილას ოთახის სახურავზეც გამოდის გარედან. ერთი ასეთი საკვამლე B-ოთახსაცა აქვს. E-და F-ოთახებში დაბალი თახჩები და თავთხელი აუზებია, რომლებიც არ ჩანს, თუ საიდან იკვებებოდნენ წყლით. საინტერესო აქ ისაა, რომ აუზები გამართულია არა მარტო სამხრეთ-აღმოსავლეთი კედლის ძირას, რომელიც B-და C-ოთახების მომიჯნავეა და, ალბათ, წყალსადენს შეიცავს აბანოს ორივე ნახევრის მოსამარაგებლად, არამედ ჩრდილო-დასავლეთი კედლის ძირსაც, ისე რომ აქაც სადმე მილები უნდა იყოს გაყვანილი. მართლაც, ამ კედლის ძირას გარედან, საცა E-ოთახს „ტერასი“ აკრავს, ქვიტკირში ჩაშენებული თიხის მილის ნატეხი ვნახეთ, რომელსაც ორიენტაცია აბანოს სიგრძივ ჰქონდა, მაგრამ არა ჩნდა თუ საითკენ იყო დახრილი.

არც წყლის შესავალი და არც მისი გამოსავალი ქვემო-აბანოში აქ გვინახავს. რა თქმა უნდა, აქაც, როგორც ეს ზემო-აბანოში თვალსაჩინოდ გამოიკვია, ჭუჭყიანი წყალი პირდაპირ მდინარეში ჩადიოდა.

¹ უნდა აღინიშნოს კი რომ საქვებზე ძალიან პატარაა აბანოსთვის და მით უმეტეს საჯარო აბანოსთვის.

რაც შეეხება წყლის შემყვან მილებს, ისინი, როგორც ეს ზენობის შიგნით აუზების განლაგებიდან და საქვაბისა და C-ოთახის მილების მდებარეობიდან ჩანს, აბანოში შედიოდნენ სამხრეთ-დასავლეთიდან, D-ოთახის სამხრ.-დასავლეთი კედლით, სადღაც ლუმელსა და საქვაბეს შორის. სამწუხაროდ, ჩვენი ძიება აქ ამოა გამოდგა. წყალსადენის ტრასი კი თითქმის მთელს თავის სიგრძეზე აღმოჩნდა. ქვემო-აბანოს წყალსადენი წამოყვანილი ყოფილა შუააბანოს ახლოს მდებარე წყაროდან (ნ. ქვემო- და შუა-აბანოების საერთო ასახულობა, სურ. 73). შუა აბანოს ქვემოთ, ხუთიოდე მეტრის დაცილებით, კლდეში წყარო სცემს, რომელიც ახლა თითქმის მთლად დაშრეტილია. უწინ აქ, ეტყობა, კაპტაჟის სისტემა ყოფილა მოწყობილი: აქა-იქ ქვიტკირიანი წყობის ნაშთები ჩანს. აქედან,



სურ. 73. ქვემო (მარცხნივ)-და შუა (მარჯვით)-აბანოების საერთო ასახულობა ქალაქიდან.

ქვიტკირში ჩასხმული და ერთმანეთში ჩასმული ზიხის მილებით, წყალი წამოყვანილი ყოფილა ჯერ მდინარის ნაპირ-ნაპირ, შემდეგ ცოტა უფრო დაცილებით ნაპირიდან, ვიდრე ქვემო აბანომდე. მდინარეს დიდი ნაწილი წყალსადენისა ნაპირთან ერთად წაუღია, მაგრამ ერთ ადგილას, შუა აბანოს ახლოს, მილები ჯერ კიდევ კარგადაა შენახული (სურ. 74). საინტერესოა რომ აქ ორი ტრასი ჩანს: ერთი უფრო ქვემოთ, მეორე მის ზემოთ, სულ რამდენიმე ათეული სანტიმეტრის დაცილებით. ქვემო ტრასის მილები (სულ ორი ცალი ჩანს) საღი აღარაა, იფშვნება, ზემო ტრასისა კი რამდენჯემე დაუზიანებლივად.

დაცული. ეტყობა, ძველი წყალსადენი ერთხელ უკვე წაუღია წყალს და საჭირო შექმნილა ახალი ტრასის გაყვანა. უფრო ქვემოთ უძველესი ტრასის კვალი აღარა ჩანს. ძველსა და ახალ მიწებში, რამდენადაც ეტყობა, დიდი განსხვავება არ ყოფილა. ¹ წყალსადენის ქვემო ნაკვეთი, მდინარისაგან დაშორებული, ძალზე დაშავებულია: ნაწილი წაღებულია ნიაღვრისაგან, ნაწილი დაღეწილა ჩამონაზღავი მიწის სიმძიმის გამო. მთელი მიწები აქ აღარ გვინახავს. მთელი ტრასის სიგრძე დაახლ. 120 მეტრია, მაგრამ ქვემო აბანოდან დაახლ. 40 მ-ის მანძილზე იგი უკვალოდ იკარგება.

წყალსადენის გამოსავალი წერტილი, წყარო, მდინარის ზედაპირიდან 5,42 მ-ის სიმაღლეზე მდებარეობს, ხოლო მისავალი, ქვემო აბანოს D-ოთახის




სურ. 74. ქვემო-აბანოს წყალსადენის ტრასის ერთი ნაკვეთი.

სამხრეთ-დასავლეთი კედლის ძირი, მხოლოდ 0,75 მ-ის სიმაღლეზე მოდის, ისე რომ ტრასს დაქანება კარგი აქვს.²

¹ საღად შენახული ტრასის ნაკვეთიდან მილი არ ამოგვიღია, რადგან მაშინ ეს ნაკვეთიც სულ დაიშლებოდა; წყაროს ახლოს ვნახეთ ხუთ ნატეხად დაღეწილი მილი, რომლის სიგრძე 29,5 სანტიმეტრს უდრის.

² რამდენადაც გამოკვლევა შეიძლებოდა, ტრასი თანაზომიერად არაა დაქანებული, არამედ სხვადასხვა ადგილას სხვადასხვა დახრილობა აქვს. თანგირები (საკონტროლო ქოთნები) ტრასს, როგორცა ჩანს, მისი საერთო სიმოკლის გამო, არ ჰქონია.

გარეუბნის ქვემო აბანო, ციხის აბანოსთან შედარებით, გაცილებით უფრო მდარე ღირსების, უფრო ღარიბული ნაგებობაა, თუმცა გარეუბნის აბანოთა შორის ქვემო-აბანო საუკეთესოდ უნდა ჩაითვალოს. იგი მკვიდრი შენობაა, მისი კედლები დღესაც კარგად დგას, ქვიტკირი მტკიცეა, რაც არ ითქმის შუა და ზემო-აბანოების შესახებ, მაგრამ ციხის აბანოს იგი მაინც ვერ შეედრება. ფორმების მხრივ მათ შორის, როგორც ვნახეთ, დიდი განსხვავება არაა, მაგრამ ზომები აქ გაცილებით უფრო მცირეა, არქიტექტორული გაფორმებაც გაცილებით უფრო მდარეა: დაბალი, ვიწრო ოთახები, დაბალი თახჩები, გამრუდებული ტრომპები და მინიატურული აუზები კარგს შთაბეჭდილებას არ ახდენს, თუმცა როგორც ნანგრევი ქვემო აბანო გარედან ძალიან ლამაზია.



სურ. 75. გარეუბნის სასაფლაოების საერთო ასახულება სამხრ.-აღმოსავლეთიდან.

VIII.

სასაფლაოებს ფინეზაურის მარცხენა ნაპირას თითქმის ისეთივე ფართობი უჭირავთ როგორც თვით ქალაქს. ამასთან, მუსლიმანური სასაფლაო გაცილებით უფრო დიდია ვიდრე ქრისტიანული. ორსავე სასაფლაოზე, წარწერიანი ქვების გარდა, ამართულია საფლავის ძეგლებიც (სურ. 75).

მუსლიმანური სასაფლაოსათვის დამახასიათებელია პატარა ზომის (0,23×0,21 მ) პრტყელი ქვები, რომლებსაც თავი სამკუთხადა აქვს ჩამოჭრილი და ცალ პირზე წარწერა აქვს გამოქანდაკებული. ასეთი ქვა საფლავის თავშია ხოლმე დარკმული და წარწერა ყოველთვის მიმართულია აღმოსავლეთისაკენ.

დამახასიათებელია კიდევ დიდი გრძელი (1,25—1,85 მ.) წახნაგოვანი ქვები, ხუთწახნაგიანი თავით, რომლის ორ პირზე ან, ზოგჯერ, ხუთსავე წახნაგზეა ხოლმე მოთავსებული არაბული გამოქანდაკებული წარწერა. არის აქ ქვიტკირით კარგად ამოშენებული დიდი აკლდამები და აგრეთვე ქვის ზღუდით შემოვლებული საგვარეულო ანუ საოჯახო საფლავებიც.

ამ სასაფლაოს დღეს—ადგილობრივ—„მეჩითებს“ ეძახიან. მართლაც აქ რამდენიმე მავზოლეუმი დგას, რომლებმაც ეს სახელი მისცეს სასაფლაოს. გადმოცემით, შვიდი „მეჩითი“ ყოფილა აქ, რომლებიც კვითომ დმანისის დაცვის დროს დაღუპული შვიდი ძმის საფლავთა ძეგლებს წააშობადგენს. ასეთი მავზოლეუმები




სურ. 76. ქვის „მეჩითი“.

აქ შვიდზე მეტიც უნდა ყოფილიყო ნაშთების მიხედვით¹. მაგრამ, სამს გარდა, ყველა ძალიან დაშავებულია. სამი „მეჩითი“ კი შედარებით კარგადაა დაცული. ერთი მათგანი (სურ. 76) სასაფლაოს ჩრდილო-აღმოსავლეთის ყურეში დგას, გზის პირას. იგი ნაგებია დაუმუშავებელი ქვით ქვიტკირზე. იგი კვადრატულია (4,95 × 4,95 მ); კედლების სისქე 0,90 მ-ს აღწევს; გარედან კუთხეები წიბოჩათილილი აქვს. გადახურულია ისრულ ტრომპებზე ამართული მაღალი გუმბათით,

1. სულ აქ დაითვლება რვა ნანგრევი, რომლებიც, ალბათ, „მეჩითებს“ ნაშთს წარმოადგენს და კიდევ ორი მოზრდილი ნაგებობის ნაშთი, რომლებსაც საფლავი ან სულ არ უჩანს ან მხოლოდ ერთი საფლავი შემოუზღუდავთ. „მეჩითებშიც“ თვითონ საფლავები არა ჩანს.

ისე რომ შენობის მთელი სიმაღლის ნახევარზე მეტი გუმბათზე მოდის (მთელი სიმაღლე = 5,95 მ, ხოლო მარტო გუმბათის სიმაღლე = 3,15 მ). გუმბათი ნაგებია წვრილი პრტყელი ქვებით. შენობას აქვს ერთი კარი (აღმოსავლეთიდან) და ორი სარკმელი (ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან). შესავლის ზემოთ კედელში ჩანს ქვის ბუდე; შესაძლებელია, აქ წარწერაიანი ქვა იყო მოთავსებული, რომელიც ახლა თვალს მოეუარა.

შეორე, თითქოს ასეთივე, „მეჩითი“ (სასაფლაოს სამხრეთ-აღმოსავლეთის ყურეში) თითქმის მთლიანად მიწაში ზის. მხოლოდ მისი გუმბათის წვერილა ჩანს მიწის ზემოთ. შიგნით მისი კედლები ბათქაშით ყოფილა გალესილი.




სურ. 77. აგურის „მეჩითი“ აღმოსავლეთიდან.

მესამე მავზოლეუმი (სურ. 77) გზიდან უფრო მაღლა მდებარეობს მთის ფერ-ლოზე, დასავლეთისაკენ. იგი დაბალ ქვის ბალავარზე დგას, აგურითაა ნაშენი¹ ძალიან სუფთად და უფრო მდიდრული ნაგებობის შთაბეჭდილებას ახდენს. მასაც კვადრატული ფორმა (3,85×3,85 მ) და ტრომპებზე ამართული მაღალი გუმბათი აქვს, მაგრამ პროპორციები აქ გაცილებით უფრო სასიამოვნოა: შენობა შედარებით ვიწროა, აწეული, მისი სიმაღლე სულ 6,25 მ-ს შეადგენს და აქედან

¹ აგურის ზომა: 23×23×5 სანტიმ.

გუმბათზე მოდის მხოლოდ 2,55 მ კედლების სისქე=0,80 მ; გარეთა კუთხეები ჩამოთლილი არაა; ტრომპები პატარაა, ღრმა, ნიჟარისებური; კედლები შიგნით გალესილია ბათქაშით. კარი ამასაც აღმოსავლეთიდანა აქვს, იგი ძალზე ჩანგრეულია; ამის გარდა, ოთხივე მხრიდან გაკეთებულია ისრული თალით გამოყვანილი პატარა სარკმლები. აღმოსავლეთიდან ამ შენობის წინ თითქოს მისავალი კიბის ნაშთები ჩანს.



სურ. 78. გარეუბნის ქრისტიანული სასაფლაოს ზემო ნაწილის საერთო ქასახულობა აღმოსავლეთიდან.

ქრისტიანული სასაფლაო 120-130 მეტრითაა დაცილებული მაჰმადიანურს.¹ აქ ქიემოთ, სოფლის განაპირას, პატარა ერთნაფიანი ეკლესიის ნანგრევი დგას (ნ. სურ. 75). ეს ეკლესია, გადმოცემით, თევდორეს სახელობისა ყოფილა. ეკლესიის ზემოთ, დასავლეთისაკენ, ახალი გზატკეცილი გადის. გზატკეცილს ძველი ქრისტიანული სასაფლაო ორად გაუჭრია: უდიდესი ნაწილი გზის დასავლეთით

¹ უმეშვეოდ მაჰმადიანურ სასაფლაოს აკრავს სამხრეთიდან პატარა ადგილი, რომელზედაც რამდენიმე ჯგერინი საფლავის ქვა მოიპოვება; ერთი მოზრდილი ძველის ნაშთიც არის აქ. ვინაიდან დიდი ქრისტიანული სასაფლაო, როგორც ვნახავთ, ქალკედონიტური ანუ ე. წ. „მართლმადიდებლური“ უნდა იყოს, ეგებ ზემოხსენებული პატარა ადგილი ანტიქალკედონიტური, სპეციალურად, სომხური მრწამსის მიმდევართათვის იყო განკუთვნილი? ან, რაზან ეს ადგილი ასე ახლოს აკრავს მუსლიმანურ სასაფლაოს, აქ ეგებოს გაქრისტიანებულ მაჰმადიანებს ჭარხავდნენ?

და ჩრდილო-დასავლეთით დარჩა (სურ. 78), მაღალ მთის ფერდობზე, უმცირესი ნაწილი კი ეკლესიითურთ გზის აღმოსავლეთით მოექცა¹. გზატკეცილის დასავლეთით ბეჭობში ახლაც გამოშვებულია ძველი ქვაყუთები.

ქრისტიანულ სასაფლაოზე ყველაზედ უფრო საინტერესო ე. წ. „ხაჩქარები“, ანუ სომხური წარწერიანი ჯვრიანი ქვები. ეს ქვები საფლავის ძეგლებს წარმოადგენს, ამართული იყო პოსტამენტზე და პოსტამენტითურთ ჩადგმული იყო სპეციალურად გაშენებულ კედელში ან თახჩაში. ახლა სულ ოთხი ხაჩქარიღაა შენახული, მაგრამ, ძეგლების ნაშთების მიხედვით, ხუთი მაინც უნდა ყოფილიყო. ოთხ შენახულ ხაჩქარში მხოლოდ ორი დგას ისევე-ისე თავის ადგილას; ერთი, შესანიშნავად მოჩუქურთმებული, ხაჩქარი, რომელსაც თავი მოტეხილი აქვს, იქვე სასაფლაოზე გდია უპოსტამენტოდ; მისი წარწერა აღარ იკითხება; ერთი ხაჩქარიც, როგორც უკვე აღვნიშნე; ქალაქში წაუღიათ და სიონის დასავლეთი კარიბჭის კედელში ჩაუდგამთ; ამ ხაჩქარის წარწერაც აღარ იკითხება, გადარეცხილია. ორი კარგად დაცული ხაჩქარის წარწერები კი იკითხება და ერთი დათარიღებულიცაა 1288 წლით (სომხ. წელთაღრ. 737 წლ., სურ. 79). რადგან ორივე ხაჩქარი ერთისა და იმავე პირის მიერაა ამართული, მეორე ხაჩქარიც ამით თარიღდება. დანარჩენი ხაჩქარებიც ამ ხანისაა. მართლაც, დაწერილი თარიღი არც იყო საჭირო: ვინც სომხურ ხაჩქარებს საზოგადოდ იცნობს, მისთვის სრულებით ნათელია რომ დმანისის ხაჩქარები სტილის მიხედვით ან XII ან XIII საუკუნეს უნდა ეკუთვნოდეს². ამ გვარად, უეჭველი ხდება რომ ჩვენ ქალაქის ძველ სასაფლაოსთან გვაქვს საქმე³.

ხაჩქარები ყველა ბაცი მწვანე ფერის რბილი თირისაა. ეს იგივე ქანი უნდა იყოს, რომლითაც შემოსილია სიონის დასავლეთი კარიბჭე. ამიტომაა რომ წარწერები ძალიან გადარეცხილია: ეს ქანი დიდხანს ვერ უძლებს ატმოსფერულ ზეღმოქმედებას.

როგორც აღვნიშნე, ხაჩქარები ჩასმული იყო თახჩაში ან დადგმული იყო კედელზე. დათარიღებული ხაჩქარი უფრო ქვევითა დგას, სასაფლაოს სამხრეთი კილისაკენ; მისი საყრდენი კედელი ნაგებია საშუალო ზომისა და წვრილი დაუმუშავებელი მომწვანო ქვით ქვიტირად; წყობაში აქა-იქ აგურიც ურევია (ზომ. 21×21×4,5 სანტიმ.); ხაჩქარი დასავლეთისაკენ იქტირება. მეორე ხაჩქარი ჩასმულია თახჩაში (სურ. 80); იგი სულ მაღლა დგას, სასაფლაოს სამხრ.-დასავლეთის ყურეში; თახჩა ისევეა ნაგები, როგორც დათარიღებული ხაჩქარის კედელი, ოღონდ აქ აგური გაცილებით მეტია ნახმარი; თახჩის კედელში უადგილოად-გილას ჩასმულია ორი ორნამენტირებული ქვა, რაც, შესაძლებელია, რესტავრაციის კვალს წარმოადგენდეს; აქაც ხაჩქარი მიქცეულია დასავლეთისაკენ. დანარჩენ ძეგლებსაც ეტყობა რომ მათი ხაჩქარები პირით დასავლეთისაკენ უნდა ყოფილიყვნენ.

¹ აქ პატარა დმანისელები დღესაც ასაფლავებენ თავის მიცვალებულებს.


² Б. И. Орбели, Колокол с аннотированными орнаментальными мотивами, Зап. Вост. Отд. Русск. Археол. Общ., т. XX, გვ. 023-039.

³ დმანისის ხაჩქარების, ისე როგორც სხვა სომხური წარწერების გამოცემა თავზიანად იკისრა პროფ. ლ. მელიქსეთბეგმა.



სურ. 79. 1288 წლ. ხაჩპარი გარეუბნის ქრისტიანულ სასაფლაოზე.

ძალიან საინტერესოა ზოგიერთი ძველი საფლავის ქვა. ერთი უშველებელი ზურგიანი და უებლზე ჯვრიანი ქვა (სიგრძით 1,75 მ, სიგანით ძირზე 0,60 მ,



სურ. 80. თახჩაში ჩასმული საჩქარი გარეუბნის ქრისტიანულ სასაფლაოზე.

სიმაღლით 0,55 მ) ეკლესიის ახლოსა გდია გადაბრუნებული; მას ძირი ამოღრუ-
ვებული აქვს, ალბათ, იმისათვის რომ წონაში დაეკლო, და გვერდზე ნაცხვირი

აქვს გაკეთებული, რომლის საშუალებითაც ის აქ ანოატორიეს (სურ 81). მეორე ქვა, რომელიც თავის ადგილას დევს ზევით სასაფლაოზე, სიგრძ. 1,95 მ, უფრო წახნაგოვანი მოყვანილობისაა; მას ორსავე გვერდზე გამოქანდაკებული აქვს გადაბმული სპირალების ოლეები (სურ. 82). მესამე ქვას, იქვე, სასაფლაოს ზემონაწილში, ხარისხოვანი პირამიდის მოყვანილობა აქვს (სურ. 83). არის ქვები ადა-



სურ. 81. საფლავის ქვა.

მიანის ფიგურის კონტურებით¹ და სხვ. ძნელი სათქმელია თუ ნიშანდობლივ რომელსაუკუნეს უნდა მიეკუთვნოს ესა თუ ის ქვა, მაგრამ ხაჩქარების თარიღი გვაფიქრებინებს, რომ აქ მნიშვნელოვან სიძველესთან უნდა გვეკონდეს საქმე. ცხადია აგრეთვე რომ მოჩუქურთმებული ქვების შექენა მხოლოდ მდიდარ მოსახლეებს წეძლოთ და კარგი ხელობაც ქალაქის აყვავებისა და სიმდიდრის ხანაზე მიგვითითებს. უმრავლესობა საფლავის ქვებისა მაინც უორნამენტოა, მაგრამ მოყვანილობა თავისებური აქვს: ვიწრო და გრძელი, კუბოსებური, დაწახნაგებული, სხვადასხვა ზომისა. ამათგან ზოგი XVIII ს-ისა უნდა იყოს. ერთს ასეთ ქვას

¹ შეად. მსგავსი საფლავის ქვა ანისის ერთ-ერთ სასაფლაოზე, М а р р, А и и, 1934, გვ. 102, სურ. 233.

(სიგრძ. 1,67 მ, სიგანით ძირზე 0,50 მ, სიმაღლით 0,32 მ) ქართული მთავრული წარწერა აქვს ამოკოდვილი:

1) ქ-----ბსლის: დისწლი: კპ: წლ:

2) ისაჲ: საწთროჲ: ვერ: გვიცდჲ: ჩმთს: შნდობსა: იტყდით >

პირველი სტრიქონი, სამწუხაროდ, თითქმის აღარ იკითხება, ხელი X VIII ს-ისა ჩანს. ქარაგმა გახსნილი ასე იქნება: ... ბასილის დისწული კპ (28) წლისა, საწუთროჲ ვერ გავიცადე. ჩემთვის შენდობასა იტყოდით.



სურ. 82. საფლავის ქვა.

ეს საფლავი გავთხარეთ კიდევ. ჩონჩხი, ჩვეულებისამებრ, თავით დასავლეთისაკენ იდრ, ზურგზე შევეტილად, გულხელდაკრეფილი. ინვენტარი არა ახლდა რა.

მეორე საფლავს, ასეთივე კუბოსებური ქვით, თავთ (დასავლეთით) ერკო წნულჩუქურთმიანი მოგრძო ქვა, ზომ. 0,80×0,25×0,19 მ; საფლავის ქვის ქვეშ სამარხავი მიწით, ღორღით და განის კედლების ფიქლებით იყო სავსე. 0,40 მ-ის სიღრმეზე ორი მიცვალებულის ჩონჩხი აღმოჩნდა, თავით დასავლეთისაკენ, ზურგზე შევეტილად მდებარე: მარცხნით ახალგაზრდა ქალის ჩონჩხი, მარჯვნით პატარა ბავშვისა. ქალს ხელები მუტელებზე, მენჯის ზემოთ ეწყო და აქვე, დაშლილ თითებს შორის, ეყარა სპილენძის ორი ბეჭედი და საყურის(?) ორი ნატეხი. თავის ქალა დაშლილი იყო. ამ ჩონჩხების ქვეშ უწყესრიგოდ ამოდიოდა მრავალი სხვა ჩონჩხის ძვალი ვიდრე 1,20 მ-ის სიღრმემდე და, ძვლებს შორის, რკინის

ლურსმნები (ალბათ, კუბოსი), ერთი ნატეხი მწვანე ქაშანურისა და ერთიც ცისფრად მოკიქული აგურის. აღწერილი სურათი გამეორდა სხვაგანაც, საცა კიდევ ოთხი საფლავი გათხარეთ. ცხადია, სასაფლაო უკანასკნელ დრომდე იყო ხმარებაში და ხშირად ახალი საფლავი ძველ ნასაფლავარზე გაუთხრიათ. მართლაც, გზის პირას, ბექობში, ქვაყუთების ორი თუ სამი სართული ჩანს. ჩვენ მიერ გათხრილი საფლავების უმეტესობა უ. წ. „ქვაყუთებს“ წარმოადგენდა, ერთი განსხვავებით: ამ „ქვაყუთებს“ ქვის ფსკერი არა აქვს, ფსკერი მიწურია.



სურ. 83. საფლავის ქვა.


ერთიც, ქვის მიხედვით, უფროდ ძველი საფლავი, უინვენტარო აღმოჩნდა. ამ საფლავის ქვა თავისი მოყვანილობითა და შემკულობით ყველაზედ უფრო საინტერესოა დმანისის სასაფლაოზე (სურ. 84). მისი სიგრძე = 2,24 მ, ძირის სიგანე = 0,57 მ, სიმაღლე = 0,50 მ. იგი თითქოს მაღალ ცოკოლზე მდგომ ბაზილიკს წარმოადგენს; „სახურავი“ შუაზე სიგრძივ შემკულია ჩალიჩივით გრეხილი წიბურით, ხოლო მის გვერდებზე ლამაზი რელიეფით გამოქანდაკებულია ორმაგი პილასტრების მქონე არკადები. ქვის სიმაღლეს საფლავი ჩაულეწია, ისე რომ ჩონჩხის ძვლებიც შიგ უწესრიგოდ დაყრილი დაგვიხვდა.

ზოგიერთ კუბოსებური მოყვანილობის ქვას სომხური წარწერა აქვს.

პრტყელი საფლავის ქვები, როგორც ჩანს, უფრო მერმინდელ ხანას ეკუთვნის. ერთი სომხური წარწერიანი პრტყელი საფლავის ქვა დათარიღებულია 1750 წლით (სომხ. წელთაღრ. 1199 წლ.).

თედორეს ეკლესიის ნანგრევში რამდენიმე ჩუქურთმიანი ქვა აღმოჩნდა, აქ უთუოდ გვიან შემოტანილი სხვაგნით. თვითონ შენობას ცხადად ეტყობა არა ერთგზისი რესტავრაციის ნიშნები: უადგილო-ადგილას კედლებში ჩასმული ჩუქურთმიანი ქვები და სხვ..

როგორც ვხედავთ, გარეუბნის ქრისტიანულ სასაფლაოზე სომხებიც ასაფლავებდნენ თავის მიცვალებულებს და ქართველებიც. მართალია, ქართული წარწერიანი ძველი საფლავის ქვები არა ჩანს, მაგრამ ეს გასაკვირველი არაა:



სურ 84. საფლავის ქვა.

ცნობილია რომ ძველი ქართული საფლავის წარწერები საზოგადოდ ძალიან ცოტაა. ძველად, XVI-XVII ს-მდე, ქართველი მოსახლეობა იშვიათად უკეთებდა წარწერას თავის საფლავებს. პირიქით, სომხები ძველადც ხშირად ვრცელ ეპიტაფიებს უძღვნიდნენ ხოლმე თავის მიცვალებულებს.

ის გარემოება რომ ქართულ-სომხური სასაფლაო საერთოა, შეიძლება იმის მომასწავებელი იყოს რომ დმანისის სომხური მოსახლეობა უმთავრესად ქალკედონიტური ანუ ე. წ. „მართლმადიდებლური“ იყო.

IX.

თითქმის უკლებლივ ყველგან, სადაც კი ვთხრიდით, როგორც ეს ქალაქის ნანგრევს შეეფერება, ბლომად ამოდიოდა, უკვე რამდენიმე ათეული სანტიმეტრის სიღრმეზე, სპილენძის, რკინის, თიხის, ძვლის, რქის, მინის და სხვა მასალის

წვრილი, მეტად თუ ნაკლებად დაზიანებული ნივთები. ორი არქეოლოგიური კამპანიის წყალობით ჩვენ უკვე შეგვიგროვდა საკმაოდ საინტერესო და მდიდარი კოლექცია. ზოგი დღემდე სრულებით უცნობი დარგი იქმნება ჩვენში დმანისის განათხარის წყალობით—ასეთია, მაგ., ქართული საშუალო საუკუნეების კერამიკული წარმოება—, ზოგიც დმანისის განათხარმა თვალსაჩინოდ გაამდიდრა, როგორც, მაგ., ქართული ნუმიზმატიკა.

დმანისის კოლექცია ამ ჟამად სპეციალური შესწავლის საგანს შეადგენს და დარგების მიხედვით მონოგრაფიულად იქნება დამუშავებული¹. აქ მოვიტან მხოლოდ რამდენსამე დამახასიათებელ ნიმუშს.




სურ. 85. კრასოულის ნატეხი.

განსაკუთრებით დამახასიათებელია კერამიკა. ამასთან, ეს ნაწარმოები განსაკუთრებით მრავალფეროვანიცაა, როგორც ფორმების, ისე ტექნიკის და აგრეთვე ორნამენტის მხრით. ძირითადად ორი ჯურის ტურქელი უნდა გავარჩიოთ: სადა თიხისა და მოჭიქული. სადა თიხის ტურქელი ხშირად ანგობიანია. ახგობი ასეთ შემთხვევაში წითელია (წარნაქი). ასეთია, მაგ., ნატეხი კრასოულისა, იმ სადვინე ტურქლისა, რომელიც კარგადაა ცნობილი ანისიდან: როგორც ანისში, ისე აქაც ეს ტურქელი შემკულია რელიეფით გამოყვანილი კოზმოდით, რომელიც წარმოადგენს მარჯვნივ მიმართულ თხების მწკრივს წერტილებით და სამკუთხედებით მათ შორის (სურ. 85).

¹ დმანისის ნუმიზმატიკური კოლექციის შესახებ სპეციალურ მონოგრაფიას ამზადებს დოც. თ. ლომოური. კერამიკა პირადად ჩემი შესწავლის საგანია.

ხშირად გვხვდებოდა აგრეთვე ე.წ. „ვერცხლის წყლის ჭურჭლის“ ნატეხები, რომელთა გავრცელების არე მთელს მუსლიმანურ აღმოსავლეთს მოიცავს.

მოჭიქული კერამიკა განსაკუთრებით საინტერესოა იმით რომ ქართული წარწერიანი ცალებიც აღმოჩნდა. ერთი XI ს-ის ნიმუშის შესახებ ზემოთ უკვე მქონდა საუბარი. მეორე—პატარა ჯამის ნატეხია, რომელსაც ძირზე სგრაფიტოს წესით გამოფხაჭნილი მთავრული „დ“-ონი აწერია (სურ. 86). „დ“-ონი დაბალია, დაბალყელიანი, ისე რომ ნატეხი ძველი უნდა იყოს; ჩიქა მწვანედაა შეფერადებული. ორნამენტი გეომეტრიულიცაა, მცენარეულიც და ფიგურულიც. საკმაოდ ხშირია ადამიანის გამოსახულება; პირუტყვებიანი სახეებიც ბევრია. მაგრამ განსაკუთრებით უყვარდათ მტაცებელი ფრინველის გამოსახვა. გასაკვირვე-



სურ. 86. „დ“-ონიანი ჯამი.




87. ფრინველიანი მოჭიქული ჯამი.

ლია ერთის მხრით პირუტყვების, მართალია, მარტივი ხაზებით, მაგრამ საესე-ბით რეალისტურად, ცოცხლად დახატული თავები, მეორე მხრით კი კონვენციურად, თავისებური სტილიზაციით გადმოცემული სხვა ნაკვთები, მაგ., ფრინველების ფრთები; ფერებიც. საესებით პირობითია, მეტწილად ყვითელი და მწვანე, ისე რომ, მაგ., პატარა, თითქმის დაუზიანებელ ჯამზე გამოხატულ ფრინველს (სურ. 87) ტანი, თავი და ფეხების ქვემო ნაწილი ყვითელი აქვს, ფეხების ზემო ნაწილი და ფრთების ბოლოები—მწვანე. გასაოცარია ორნამენტული სახეების სიმრავლე. კონტურები თამამად და მკაფიოდაა გამოყვანილი, ფერები დიდი გემოვნებითაა შეხამებული. ამასთან, როგორც ეს უკვე ნ. მარმა აღნიშნა ანისის კერამიკის შესახებ, ჭყატუნა ფერებს გაურბოდნენ.

ასეთი ჯურის კერამიკის გავრცელების არე, როგორც ცნობილია, საკმაოდ დიდია და მოიცავს აღმოსავლეთით საქართველოს, ჩრდილოეთით უკრაინასა და ყირიმს, დასავლეთში ბიზანტიას და საბერძნეთს, ხოლო სამხრეთში ჩრდილო-

ევკიპტეს¹. ჩვეულებრივად ამ ნაწარმოებს XII—XIV საუკუნეებით ათარიღებენ. მისი წარმოების ცენტრი ცნობილი არაა. დმანისის ამ ჯურის კერამიკა ადგილობრივად იწარმოებოდა: ამას ამტკიცებს ის გარემოება რომ იქ რამდენიმე ნახევარუაბრიკატის ნატეხი აღმოჩნდა—თიხის ქურქელი შემზადებული ყოფილა ქიქის გადასასხმელად, უკვე ამოვლებული იყო თეთრან გობში და სგრათიტოს წესით ამოფხაჭნილი ჰქონდა ორნამენტი, მაგრამ გამტყდარა და ასე ნახევრად შემზადებული გადაუვდიათ; ასეთი სამი ნატეხია ჯერჯერობით ნაპოვნი დმანისში. მაგრამ, ასეთი ნაწარმოების გარდა, დმანისში ბევრია სპარსული ყაიდის ფაიანსიც, ხშირად ლუსტრიანი, ზოგჯერ ოქროს ვარაყიანიც. ამ ფაიანსს ანალოგიები მოეპოვება რეის, ქაშანის, ვერამინის და სხვა სპარსული



88. სპილენძის „სტროლაბის“ შიდაპირი.

კერამიკული ცენტრების ნაწარმოებში, რომელიც თარიღდება XI—XIII საუკუნეებით. საგულისხმოა დმანისის განათხარის ის ცალები, რომელთა ორნამენტი ორიგინალური სპარსული კი არაა, არამედ საკმაოდ უმწეო მიბაძვას წარმოადგენს. შესაძლებელია ვიფიქროთ რომ ფაიანსიც, ნაწილობრივ მაინც, ადგილობრივი ნაწარმოებია.


სპილენძის, თუ რვალის ნივთებიც, მეტწილად ღრმა ფენებში ნაპოვნი, აღნიშნულ კერამიკასთან ერთად, იმავე საუკუნეებით უნდა დათარიღდეს. ასეთია, მაგ., მასივი სპილენძის უცნობი დანიშნულების ნივთი², ჩამოსხული პატარა თასის სახედ (დიამ. 6,3 სანტიმ.); ფსკერზე ცენტრალური წოპისა და მარყუჟების წრის გარშემო დაბალი რელიეფით გამოყვანილია პირუტყვების მწკრივი: აქ არის თხა, ავაზა და სხვა ნადირი, მკვირცხლად მოძრავად გამოხატული;

² ნ. მ. პ. III ტერ: Феодосия и ея керамика, ოდესა, 1906 წ.

¹ ნაპოვნი 1,70 მ-ის სიღრმეზე ქალაქის ზემო ნაწილში.

თითქოს ნადირობის სცენააო (სურ. 88). გლუვ ნერჩზე ამოკვეთილია ვრცელი არაბული წარწერა და აგრეთვე ერთი მწკრივი პირუტყვებისა (ჩანს რალაც ოთხ-ფეხი და თითქოს თევზის ბოლო (სურ. 89)). ასეთი მოყვანილობისას და ამგვარად შემკულს XII ს-ში სარკეებს აკეთებდნენ, მაგ., მესოპოტომიაში, მაგრამ სარკეს; რასაკვირველია, ნერჩზე წარწერა არ ექნებოდა. ჩვენი ნივთის მსგავსი ნიშნებით ყიბლანების დანიშნავაც იცოდნენ აღმოსავლეთში. შესაძლებელია, ეს ნივთი ასტრონომიული ან ასტროლოგიური ხასიათის საგანს წარმოადგენდეს¹.

იმ ადგილის ახლოს, საცა ეს ნივთი ვიპოვეთ, სპილენძის ქობინაც აღმოჩნდა (სურ. 90). თუმცა ეს ნივთი მხოლოდ 0,70 მ-ის სიღრმეზე იყო მიწაში ჩაფლული, იგი მაინც ძველი უნდა იყოს. სიმაღლით იგი 6 სანტ-ისაა, მისი ძირის ლიგანე კრ



89. სპილენძის „სტროლაბის“ ნერჩი.



სურ. 90. სპილენძის ქობინი.


4 სანტ-ს უდრის. ქობინი კატის თუ ვეფხის თავს წარმოადგენს, სპილენძი-მასივია, ჩამოსხმული. კატის თვალები და პირი გახვრეტილია, კისერი ჭვირული სამკუთხედებითაა შემკული, ყურებშორისაც რომბისებური ნახვრეტია. ეს ნივთი ჯოხზე ჩამოსაცმელად თუ იხმარებოდა და ეგებ პატივის აღმნიშვნელი იყო? საპატიო ნიშანი უნდა იყოს აგრეთვე სპილენძის დიდი (7,2 × 6,5 სანტ.) პრტყე-ლი საკიდი, ნაპოვნი ქალაქის ზემო ნაწილში 2,60 მ-ის სიღრმეზე (სურ. 91). საკიდის ცალ პირზე შტამპით გამოქანდაკებულია ორი ჰერალდიკურად პირისპირ-მდგომი კენტავრი(?) და მათ შორის უცნობი ფიგურაა; მთელი არე ამ ფიგურების გარშემო და თვით ფიგურებიც დასერილია ხშირი წერტილებით.

¹ წარწერის ამოკითხვა ამ საკითხს გაარკვევდა. ნერჩზე პატივის სქელი ფენა გადა-კრული, რომელსაც ქიმიური საშუალებით მოცილება უნდა.

მინის ნივთებიდან აღენიშნავ საყურეს, თითქმის ერთად-ერთ მინის ნივთს, რომელიც მთელი ამოვიდა (სურ. 92). იგი ნაპოვნია ქალაქის ზემო ნაწილში, 1,60 მ-ის სიღრმეზე. მისი დიამეტრი 4 სანტიმეტრს უდრის. საყურე შავი მინისაა, გლუ, სადა, განაკვეთში მრგვალი; იგი მთლიანად არაა ჩამოსხმული, არამედ ბოლოები ერთმანეთზე მიჩილული აქვს.

მინა საზოგადოდ ბევრი აშლილია, მაგრამ დიდზე დიდი უმრავლესობა წვრილ ნატეხებს წარმოადგენს. მაინც დმანისის მინის კოლექცია საინტერესოა და ღირსია სპეციალური შესწავლისა.

ნუმიზმატიკური მონაპოვარი უფრო გარკვევით მეტყველებს. დმანისის განახარი (უმთავრესად სპილენძის) ფულებიდან სულ გაწმენდილი და შესწავლილია ჯერ-ჯერობით 228 ცალი. უძველესი მონეტები ბიზანტიურია: VI, VII და IX საუკუნეებისა თითო ცალი აღმოჩნდა, X ს-ის 3 ცალია, X/XI ს-ისა—1 ც., XI ს-ისა—7ც.



სურ. 91. სპილენძის საკიდი.



სურ. 92. მინის საყურე.

XII ს-ის ფულები ქართული 1 ცალია (დიმიტრი I-ისა), უცხოური 2 ცალია (ილდიგიზიდების); 3 ცალიც XII—XIII ს-ისაა (აბუბაქრის).

XIII ს-ში ფულების რაოდენობა უცებ თვალსაჩინოდ მატულობს: ქართული 122 ცალია (თამარისა და დავითის 19 ც., რუსუდანის 67 ც., დავით IV-ის 33 ც., დავით V-ის 3 ც.), უცხოური (უმთავრესად მონღოლური) 35 ცალია. XIV ს-ში ფულების რაოდენობა ასევე უეცრად კლებულობს: სულ 3 მონეტაა ამ საუკუნისა, სამივე მონღოლური. XV ს-დან მხოლოდ 1 მონეტა გვაქვს (გიორგი VII-ისა), XVI და XVII საუკუნეები სულ არაა წარმოდგენილი ფულის სახით, XVIII ს-ისა 3 ცალი აღმოჩნდა (1 ქართული ბაქარისა, 2 სპარ-

სული)¹. ყველაზედ უფრო საინტერესო ისაა, რომ XIII ს-ში როგორც ეს პირველად დოც. გ. წერეთელმა შენიშნა, საკუთრივ დმანისშიც იჭრებოდა ქართული ფული. ქართულად ამ ფულს დავით მეფის დამლა აზის; არაბულად აღნიშნულია მეფის სახელიც, ზარაფხანის ადგილიც— „ქალაქი დმანისი“ და თარიღიც, რომელიც 1244 წელს უდრის. (ნ. აქვე თ. ლომოურის წერილი, ტაბ. № 16). ასეთი უცილობლად დმანისში მოჭრილი ფული სულ 18 ცალია, ხოლო ასეთივე 13 მონეტის შესახებ ჯერ-ჯერობით სათუოდ რჩება, დმანისში მოუჭრიათ ისინი, თუ თბილისში. ეს მონეტები აქამდისაც იყო ცნობილი, მაგრამ ისინი თბილისში მოჭრილად ითვლებოდა.

რადგან 1244 წ. რუსუდანი ჯერ ცოცხალი იყო, ხოლო მისი ძე, დავით-ნარინი, ამ დროს ყარაყორუმში იყო წასული, დმანისის ფულს, უნდა ვიფიქროთ, რუსუდანი სჭრიდა თავისი შვილის სახელით, რომელიც მაშინ უკვე მეფედ ითვლებოდა.

ამ გვარად, ნუმისმატიკური მონაპოვარი სავსებით ადასტურებს ისტორიულ ცნობებს დმანისის განვითარების შესახებ. როგორც მოსალოდნელიც იყო, დმანისი IX ს-ზე, როდესაც ის პირველად იხსენიება ჩვენს ისტორიულ წყაროებში, გაცილებით უფრო ძველი სამოსახლოა. ქართლის მატიანეს ცნობაში დმანისში ოსების დასახლების შესახებ უკვე იგულისხმება დმანისის არსებობა და მანამდე, ე. ი. IX ს-მდე თუ მისი ხსენება არსადაა, შესაძლებელია ეს იმიტაც აიხსნებოდეს რომ იგი იმ დროს ჯერ კიდევ დიდმნიშვნელოვანი ადგილი არ იყო. განათხარი ფულების მიხედვით დმანისი, ყოველ შემთხვევაში, VI ს-ში უკვე დასახლებულია. მაგრამ საქალაქო ცხოვრება, ამ სიტყვის სპეციფიკური გაგებით, აქ იწყება, ალბათ, არა უადრეს X ს-ისა: ფულები X ს-დან მრავლდება. XI—XIII ს. არის ქალაქის სიმდიდრის და აყვავების ხანა, მე-XIV-ში უკვე დაქვეითება იწყება.

* *

როგორც აღენიშნე, საბოლოო დასკვნების გამოტანა ჯერ ნაადრევია, მაგრამ ჩვენ შეგვიძლია მოკლედ თავი მოვუყაროთ იმას, რაც ზემოთ ითქვა.

დმანისი ქართული საშუალო საუკუნეების პროვინციული ქალაქია და, როგორც ასეთი, ყველა შესაფერის ნიშანს ატარებს. ის ტიპური საშუალო საუკუნეების ქალაქია არა მარტო საქართველოსთვის, არამედ საზოგადოდ ა/კავკასიის მთიანი ნაწილისთვისაც: მისი მდებარეობა კონცხზე ორ წყალს შუა, მის სიმაგრეთა სისტემა, შიდა ციხე, წყლისსაზიდი გვირაბი, გარეუბანი და სხვ., კარგადაა ცნობილი ქართული და სომხური ძველი ნაქალაქრებიდან. ასეა ნაგები, მაგ., სამშვილდე, ანისი და სხვა. მეორე მხრით, დმანისი კიდევ ერთ სპეციფიკურ დაღს ატარებს: იგი ტიპური აღმოსავლური, უკეთ, ახლო-აღმოსავლური ქალაქია, ნარევი, მჭიდრო მოსახლეობით, ვიწრო, დახლართული ქუჩებით, უსისტემო, შექუჩული სახლებით. იგი მუსლიმანურ-ქრისტიანული ქალაქია.

¹ ეს ცნობები თავაზიანად გადმომცა დოც. თ. ლომოურმა, რისთვისაც მას გულითადად მადლობას მოვასხენებ.

მისი აყვავების ხანა ემთხვევა ქართული ისტორიის ე. წ. კლასიკურ პერიოდს XI—XIII საუკუნეებს. იგი შედარებით მდიდრობს, განსაკუთრებით, XIII ს-ში, როდესაც მას თავისი ზარაფხანაც კი აქვს¹. მაგრამ, ალბათ, უკვე XV ს-ში დმანისი უმნიშვნელო სამოსახლოს წარმოადგენს. უეჭველია, საბოლოოდ ქალაქი თემურ-ლენგის შემოსევამ დასცა, რომლის მახვილი მას არ ასცდებოდა, მაგრამ დაქვეითების ნამდვილი მიზეზი ეს არ იქნებოდა. უთუოდ ქალაქის საკუთარ მრეწველობას მისი ეკონომიური ამაღლებისათვის ერთგვარი მნიშვნელობა ჰქონდა: „დმანის კევის“ აღმოსავლეთ დაბალ ნაწილში, როგორც უკვე აღვნიშნე, მვეენახობასაც მისდევნენ. ეს, უეჭველია, ძველადაც ასე იქნებოდა და შესაძლებელია კიდევ ვიფიქროთ, რომ სოფლის მეურნეობის ამ დარგს, მებაღეობის გვერდით, უფრო მეტი მნიშვნელობა ჰქონდა უწინ. თითქოს ამაზე მიგვითითებს მარნების სიმრავლე ძველ დმანისში. ერთ-ერთი ინტენსიური სახის მეურნეობა იქ, როგორც ამას ზეთისსახდელი ქვების სიმრავლე გვაფიქრებინებს, აწსრულებით მივიწყებული სელის წარმოებაც უნდა ყოფილიყო. ზეთისსახდელ ქვებს, ალბათ, იქვე ახლოს აკეთებდნენ, ე. წ. „ქვახვრეტელში“, კიანეთის ზემოთ. გავიხსენოთ აგრეთვე რომ, ვახუშტის ცნობით, სულ რამდენიმე კილომეტრის მანძილზე მდებარე აბულბუღში რკინა, სპილენძი და ლაჟვარდი იპოებოდა. ხელოსნობის დარგიდან, რომელიც კონკრეტულად, სახელოსნო იარაღების სახით, დმანისში ჯერ-ჯერობით ნაკლებადაა წარმოდგენილი, შეიძლება, ზეპირი გადმოცემის მიხედვით, ხის დამუშავება ვივარაუდოთ² და აგრეთვე მეკეცეობა, კერძოდ, მოჭიქული ჭურჭლის წარმოება და ეგებ მინის წარმოებაც ვიგულისხმოთ³. მაგრამ გადამწყვეტი როლი დმანისის ამაღლებაში მის მდებარეობას უნდა მიეწეროს სომხეთთან და სომხეთით მთელს ახლო აღმოსავლეთთან სავაჭრო ურთიერთობისათვის მნიშვნელოვან გზაზე. ამ გზის შესახებ ზემოთ უკვე მქონდა ლაპარაკი. ლორეზე გავლის შემდეგ, იგი თბილისიდან მომავალ მეორე გზას უერთდება, რომელიც ბამბაკის ხეობით გადადიოდა სომხეთში და ანისში მიდიოდა⁴. ეს მეორე გზა თუმცა, დმანისის გზასთან შედარებით, ცოტათი უფრო მოკლეა, სამაგიეროდ ეს უკანასკნელი გაცილებით უფრო მარჯვე სავალია. ამგვარად, დმანისი უმთავრესად სავაჭრო ქალაქი უნდა ყოფილიყო.

¹ მაინცდამაინც XIII ს-ზე მიგვითითებს არა მარტო ნუმისმატიკური მონაპოვარი, არამედ ქართული და სომხური წარწერებიც, კერძოდაც და სხვ.

² დმანისი, გადმოცემით, ხის კოვზებით ვაჭრობდა თბილისთან და ლორესთან.

³ ხუთიოდე კილომეტრით უფრო ზევით, ფინეზაურის ხეობაში ე. წ. „შუშის ქარხანა“, რომელიც ახლა მიტოვებულია. აქ, გადმოცემით, ძველი ქარხანა ყოფილა. წარსული საუკუნის შუახანებში იგი განუახლებია ბარონ კუჩენბახს. შუშის ქვა შახნახარიდან მოჰქონდათ. კუჩენბახი თიხის ჭურჭელსაც ამზადებდა, რადგან იქვე შუშის ქარხანასთან საჭურჭლე თიხა ბევრი და კარგი ღირსებისაცაა (წითელი თიხა).

⁴ მესამე გზა ბოლნისის ხეობით მიდიოდა, მაგრამ იგი ძალიან ძნელი სავალია.

ციხე-დარბაზის სასახლე მდებარეობს სოფ. გეგუთის ახლოს, რიონის რკ. გზის სადგურიდან ერთნახევარი კილომეტრის დაშორებით და ქ. ქუთაისიდან ექვსი კილომეტრის მანძილზე. ისტორიული ცნობები სასახლის ციხე-დარბაზის შესახებ შემთხვევითი ხასიათისაა და სრულ სურათს ვერც მშენებლობასა და არქიტექტურაზე და ვერც ქართველთა მეფეების ყოფა-ცხოვრებაზე ვერ გვაძლევს. ეს ცნობები იშვიათად თუ იხსენიებს, რომ ესა და ეს მეფე, ამა და ამ წელს გეგუთის ან აჯამეთის ტყეში ნადირობდა ანდა ციხე-დარბაზში ცხოვრობდა.

პირველად ციხე-დარბაზი ქართლის ცხოვრებაში დავით აღმაშენებლის დროს 1120 წ. იხსენიება (ზ. ჭიჭინაძის გამოც. 1897 წ. გვ. 360). 1123 წლის შემოდგომას დავითი ნადირობდა და გეგუთში ისვენებდა (იქვე, გვ. 365).

1165—6 წ. დიდი ლაშქრობის შემდეგ, გიორგი III გეგუთში დაბრუნდა და აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ იმ დროს მის საჯდომად გეგუთი იყო (იქვე, გვ. 394). თამარ მეფე რომ მამამ თანამოსაყდრედ დასვა და გაამეფა (1179 წ.) და ამის შემდეგ მალე მისი დედა, დედოფალი ბურღუხანი, გარდაიცვალა, გიორგი III ამ დროს გეგუთში იმყოფებოდა (იქვე, გვ. 399).

1190—91 წ.წ. თამარის წინააღმდეგ აჯანყებული გიორგი (რუსი) ქართველმა დიდებულებმა გეგუთში დასვეს სამეფო ტახტზე (იქვე, გვ. 427).

ერთ ხანს (სახელდობრ არ არის აღნიშნული) ნადირობა იყო აჯამეთის ტყეში, რომელიც განთქმული სანადირო იყო, და თამარი მაშინ გეგუთში ყოფილა (იქვე, გვ. 474).

1207 წელს, დავით სოსლანის სიკვდილის შემდეგ, დიდ მარხვაში, თამარი გეგუთში ბრძანდებოდა და მასთან ერთად მხარგრძელებიც იყვნენ. აქედგან უნდა დავასკვნათ, რომ მასთანვე სამეფო კარის სხვა მოხელეებიც იქნებოდნენ (იქვე, გვ. 475).

თამარის საჯდომი იყო დვინშიც, ზაფხულობით კი კოლაში და ცელის ტბაზე, ზოგჯერ გადავიდოდა ხოლმე აფხაზეთში, გეგუთში და ცხუმშიც (სოხუმი), (იქვე, გვ. 484).

1727 წელს აგვისტოში უსუფ-ბეგი, ისაკ-ფაშის ძე, იმერეთს მოვიდა... თავად იაშვილთან გეგუთის სასახლეშიო („საქართ. ცხოვრება“: ზ. ჭიჭინაძის გამოც. ტფ. 1913 წ., ს. ჩხეიძის ისტორია, გვ. 40).

ვახუშტ ბატონიშვილი თავის „გეოგრაფიაში“ (მ. ჯანაშვილის გამოც., გვ. 279) ამბობს: „არს გეგუთი, სადგური ზამთარს მეფეთა: აქა არს მზგავსი შენებული მეჩიტისა, მრავალ-პალატოვანი, დიდნი და მცირენი, თლილის ქვისა. უწოდებენ ციხე დარბაზს. იტყვიან აღშენებასა თურქთა-გან, 57 მეფის გიორგის ჟამსა“. მაგრამ თვით ვახუშტი თავის ისტორიაში, ორმოცდამეჩვიდმეტე მეფედ დიმიტრი I-ს, დავით აღმაშენებლის შვილსა, სთვლის, გიორგი მე-II ს კი— ორმოცდამეხუთმეტე მეფედ, ხოლო გიორგი მე-III-ს— ორმოცდამეცხრამეტედ.

დღუბუა დე მომპერე, მე-III ტომში უფრო დაწვრილებით აღწერს ციხედარბაზს.

„უყურებ რა ლაზთა და აფხაზთა მარჯველების უბადრუკ საცხოვრებლებს, არ შეიძლება ითქვას, რომ ხუროთმოძღვრებას კოლხეთში თავისი ბრწყინვალე დღეები ჰქონოდეს, ამისდა მიუხედავად კოლხეთის ძველი მეფეები მაინც აგებდნენ იმ მშვენიერ ეკლესიებს, რომლებიც ეს-ეს არის ავსწერე. მკვიდრად და მოზღენილად ნაგები სასახლეებიც მოიპოვებოდა. მტრის ხელმა ეკლესიები დაზოგა, მეფეთა სასახლეები კი თითქმის გაქრნენ. თურქთა მონობის უღელ ქვეშ მყოფ მეფეებს კი თანდათან დასუსტების გამო ახალი სახლების აშენება აღარ შეეძლოთ. ამ სახის მცირერიცხოვანი ძეგლები, რომლებსაც მცხოვრებლები სიამაყით გვიჩვენებენ და ამით წინაპრების ნაღვაწს განადიდებენ ხოლმე... ვერც ერთი, ვერც ციხე-დარბაზს, ვერც ფაზისის (რიონის) ნაპირებზე აგებულ თამარის ციხეს ვერ შეედრება.

საუცხოო მუხებსა და მუხის მწყრივებით შემოვლებულს ფართო სიმიდის ყანებში გზა დამებნა, მაგრამ უცებ ამ ლაბირინტიდან გამოვედი და ჩემს წინ თაღების და ნანგრევების გროვა წარმომიდგა, რომელთა დიდებულებამ გამაკვირვა: არასდროს და არსად ამისი მსგავსი მე არაფერი მინახავს.

რამოდენიმე ფუტის სიმაღლეზე შენობა თლილი ქვით იყო ნაგები, დანარჩენი კი დიდი ზომისა და კარგი ხარისხის აგურისაგან. გამოირჩეოდა უფრო უძველესი ნაწილი, რომელზედაც ფრთაა მიშენებული. ძველი სასახლე თითქმის სწორ კვადრატს წარმოადგენს, რომლის ავითეულ გვერდის სიგრძე 15 მეფურ ფუტს უდრის. მთლიანად აგურით ნაშენი ოთხი სათოფურიანი სამხრეთის ფასადი ბიზანტიურ სტილს გვაგონებს. ის შემკული იყო ნახევარსვეტის ფორმის სამი 12 ფუტის სივანის ნახევარკოშკით, ერთი მათგანი შუაშია და ორი კუთხეებში“.

ამ ეამად სამხრეთის ფასადიდგან შერჩენილია ორი კოშკი, შესავალთან ნახევარ-რგვალი კოშკი და დასაველეთ კუთხესთან რგვალი. იყო თუ არა მესამე კოშკი და მეოთხე ხერელობი, ჯერ-ჯერობით ამის დადგენა ვერ მოხერხდა. რაც შეეხება სამხრეთ-დასაველეთ კუთხის რგვალ კოშკს, დღუბუა მასზე არაფერს ამბობს და, ცხადია, ვერც შეუნიშნავს.

...„უეჭველია რომ შუა კოშკის გვერდით მდებარე ფართო კართ შედიოდნენ ხოლმე ცხენებით დიდ კამარიან ვესტიბულში, რომლიდანაც სწორი ჯვრის მსგავსად დიდებულად ნაგებს სააუდენციო დარბაზში გადიოდნენ. მისი უდიდესი სიგრძე 86 ფუტია (26,16 მ) და უმცირესი—66 ფუტი (20,06 მ)“—აო, ნამდვილად-კი 26,50 მ და 4,30 მ.

...„დარბაზში სინათლე დიდი რვაკუთხიანი გუმბათიდგან შედიოდა, რომლის დიამეტრი 44 ფუტს უდრიდა (13,38 მ), რომელიც, ბიზანტიური ეკლესიების გუმბათის მსგავსად, რვა კამარაზე იყო



გეგუთი. საერთო ასახელობა აღმოსავლეთიდან.

დაყრდნობილი. ადგილობრივი მოხუცებულები ამბობენ, რომ დიდ გუმბათს ზემოთგან „ფანარი“ ჰქონდა, რომელიც მთელ ნაგებობას გვირგვინივით ერქმოდა“.

დაუბუა რეკუთხოვან გუმბათს ასახელებს, რაც სინამდვილეში არ შეიძლება ყოფილიყო, რადგან ტრომპების სიგანე, რომელსაც გუმბათი ნაწილობრივ ეყრდნობოდა, ტრომპებს შორის მყოფ სივრცეზე საგრძობლად ვიწრო იყო და გუმბათი თავის შინაგანი მოხაზულობით რვეალი უნდა ყოფილიყო.

...„ციხე-დარბაზის სახელწოდება წარმოსდგება სწორედ ამ გუმბათისაგან, რომელსაც ქართულად „დარბაზი“ ჰქვიან: ამ ქვეყანაში ჩვეულებრივ ასეთ სახელს უწოდებენ ხოლმე ოთახს, რომლის სიმაღლე მთელი სახლისას უდრის, თალისებური ხის ჭერი აქვს, რომელშიც სინათლისათვის ხერელია დატოვებული. ეს ყველაზე უფრო შროიან სახლად ითვლებოდა ახალციხის ოლქში, სადაც მიწის სახურავენს აკეთებენ“.

რაც შეეხება „დარბაზის“ სახელწოდებას, დაუბუამ ეს სიტყვა სწორედ ვერ გაიგო. ქართული დარბაზი არის განსაკუთრებული საცხოვრებელი შენობა სინათლისათვის განკუთვნილი ზემო სარკმლითურთ ე. ი. გვირგვინით, რომელიც განსაკუთრებულ ხის ბოძებს, ე. წ. დედა-ბოძებს ეყრდნობოდა. ზოგადად სახელწოდება „დარბაზი“ უნდა გავიგოთ, როგორც მისაღები ოთახი, და ციხე-დარბაზიც, რომელსაც გუმბათში სინათლისათვის ხერელი აქვს, სწორედ ამ მნიშვნელობით არის ნაგულისხმევი.

„აღმოსავლეთიდან, სააუღენციო ოთახიდან მეფეების, ანდა დედოფლის, თაღებიან დიდს დარბაზში შედიოდნენ ხოლმე. მისი ზომა იყო 32×26 ფუტი (9,72×7,90 მ)“. ნამდვილად-კი ამ ოთახის ზომა 9,10×8,20 მ-ა.

„მის მთავარ შემკულობას ჩვენი რაინდების ციხეებში არსებული ბუხრის მგავსი დიდი ბუხარი შეადგენდა, მისი სიგანე 9 ფუტი“ (2,72 მ)... ბუხრის სიგანე 3,00 მ-ია.


„ნახევარფარგლიანი თალიანი გადახურვა დაბალ ნახევარსფერულ ტეზუა დაყრდნობილი. იატაკში ამოჭრილი კარით ამ ოთახის ქვეშ მოთავსებულს სარდაფში ჩადიოდნენ, სადაც უეჭველია მეფეები თავიანთ საგანძურს ინახავდნენ. ამ დარბაზის მარცხნივ და მარჯვნივ იყო გასავალი სხვა ოთახებში. ყველაფერი ეს გადახურული იყო მტკიცე თალით.“

სადარბაზო ოთახის დასავლეთ კარებიდან გამოდიოდნენ შემდეგ მიშენებულ ფრთაზედ, რომელიც შედგებოდა ექვსი ერთერთ-მანეთში გასავლიანი ოთახისაგან“.

აქაც დაუბუა სცდება:

მთელს მიშენებულ ნაწილში სულ ხუთი ოთახია. ამასთანავე მისი გეგმით ყველა ეს ოთახი ერთმანეთს კარებით უერთდება, რაც სინამდვილეში არ არის.

„დასასრულ, შენობის ჩრდილოეთ ნაწილის სიღრმეიდგან დერეფანზე ამოსვლის შემდგომ ხის აივანზე გადიოდნენ, რომელიც არ ვიცით, თუ რისთვის იყო იქ მოთავსებული“...




განუი. ასანულაბა სამრეიიდან.

„გადარჩენილი შენობების მიხედვით, რომელთა უმეტესი ნაწილი გაქრა, შესაძლებელია შემდეგი ვიგულისხმოთ. აღმოსავლეთით კედლის კვალიც კი არ არის დარჩენილი, ჩრდილოეთის კედლისა— კი მხოლოდ ნახევარიღაა დარჩენილი.

ერთი თალის და ერთი ნახევარ-თალის გარდა, ყველა თალი ჩამონგრეულია. გუმბათი, რომლის ვეება ნატეხებიც მიწაზე ყრია, შესაძლებელია მხოლოდ ზოგიერთი ნიშნის მიხედვით ვიცნოთ. შეიძლება, თუ არა, ითქვას რომ ეს შენობა რუსების იმერეთში შემოსვლისას მთელი იყო? ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი ორლოვი მიაშობდა: ქუთაისის ნახევარი გეგუთის სასახლის აგურისაგან არის აშენებული, ამ ოთახის ბუხარიც კი, სადაც ეს საუბარი მიმდინარეობდა ამ აგურისაგან არის გაკეთებული.

აშენებულია, თუ არა, ეს სასახლე თამარ წყვის მიერ, თუ ის უფრო ძველია, და იქნება მის სახელს იმიტომ ატარებს, რომ ქართველებმა თამარ მეფის სახელისაგან შეჰქმნეს ის, რაც ჩვენებმა იულიუს კეისრისაგან: საკმარისია ნივთი ძველი იყოს, რომ თამარს მიეწეროს. ყველაფერს იქითკენ მივყავართ— დავიჯეროთ, რომ ნაგებობა თამარ მეფეზე უძველესია და რომ იგი ლაზების მეფეების ერთ-ერთი უძველესი სასახლეთაგანია. ნაგებობა მთლიანად ბიზანტიურია— აგური, წყობა, რვაკუთხოვანი გუმბათი, სტილი და ყველა დანარჩენი, ნახევარსვეტებიან ბუხრითურთ, ამას მოწმობს. საბერძნეთის იმპერიის ვასალებმა, ლაზთა მეფეებმა, ხელოვნება კონსტანტინოპოლიდან გადმოიღეს, მაშინ როცა ეს სტილი აფხაზეთისა და ქართლის მეფეების გვიან ნაგებობისას არაფრით არ უახლოვდება. თუმცა მუხირისი, რომელმაც მიიღო ეს სახელწოდება მშვენიერ მუხებისაგან, გაცილებით უფრო ძველია. ხოსროს შემოსევის დროს ლაზების მიერ დანგრეული სპარსელმა სარდალმა მერმერემ აღადგინა, იგი თავის მთავარ ბანაკად გადააქცია ისევე, როგორც ქუთაისი. იმ ეპოქაში, როცა ეს დიდებული სასახლე აშენდა, რიონი მისი საძირკვლის ერთ მხარეს გარს უვლიდა, ახლა კი ის კარგა მოშორებით მიმდინარეობს, მაგრამ მისი ძველი კალაპოტი სასახლის ნანგრევების გასწვრივ და ქვებიც კი, რომელიც მდინარეს მოჰქონდა და სასახლესა და მდინარეს ახლანდელ კალაპოტს შორის მდებარე ველზეა გაფანტული, ნათლად მოჩანს. რიონიდან დაწყებული კედელ-შემოვლებული ხევი სასახლეს მეორე მხრიდან ზღუდავდა და იცავდა.

აგურის ორი ხიდიდან ერთს მგზავრი ქუთაისის ჩრდილოეთისაკენ და მეორეს სამხრეთისაკენ მიჰყავდა. ის სივრცე, რომელიც კუნძულივით მოქცეული იყო რიონსა და ხევს შუა, ეზოდ და ბაღად იყო გამოყენებული. შენობის აგების შემდეგ, რიონის დონემ რამოდენიმე ფუტით დაბლა დაიწია და ყველაზე დიდ წყალდიდობის დროსაც-კი უკვე არხში აღარ შედიოდა. დამუბუას გეგმაზე კარების ხერხელობიც შეცდომით აქვს აღნიშნული. რასაკვირველია, სწორი გეგმის შედგენა ნანგრევების გაუთხრელად ძნელი იყო.



ვესტო. შუადარბახის S-მკლავი ჩრდილოეთიდან.

სასახლის დიდი შენობიდან მარტო ლამაზი ნანგრევებიღაა დარჩენილი, მარად-მწვანე სუროთი მოზარდული. სასახლე XIX საუკუნემდე არსებობდა და 1823 წელს იქმნა დანკრეული. მისი კარგი ხარისხის აგური ქუთაისის სხვადასხვა შენობისათვის გამოიყენეს. ნაგებობის კაპიტალური ხასიათი გვაფიქრებინებს, რომ შენობა კიდევ რამოდენიმე საუკუნეს გასძლებდა, მაგრამ რუსეთის მეფის კოლონიზატორულმა ხელმა ხუროთმოძღვრების ეს შესანიშნავი ძეგლი გაანადგურა.

ციხე-დარბაზი მეფე გიორგი მესამემ ააშენა XII საუკ., 1156 წლიდან მოკლებული მისი მეფობის პირველ ხანებში.

სასახლე აშენებული იყო იმ დროს არსებულ ხშირ მუხის-ტყეში მდ. რიონის ახლოს. და მარტო მეფეთა რეზიდენცია კი არ იყო, არამედ როგორც მეფეების სანადირო სადგომი. მდინარის გაღმა აჯამეთის ტყე იყო თავისი მრავალი სხვადასხვა ნადირით. ეს ადგილი XII საუკუნემდეც ძველთაგანვე განთქმული სანადირო იყო. ასე რომ XII საუკუნეში მეფე გიორგი III მიერ აშენებულ სასახლის ადგილას X - XI საუკუნეების სხვა შენობა იდგა, რომელიც შესაძლებელია მტრის შემოსევების დროს იყო დაქცეული. ამჟამად შერჩენილია ამ შენობის ნაწილი დიდი ბუხრითურთ, რომელიც ქუთაისის თლილი ქვით არის მოპირკეთებული. თალი ამოყვანილია აგურით. 1937 წლის არქეოლოგიურმა გათხრამ გამოარკვია, რომ ზოგიერთ ადგილას ცოკოლი წყობილია ასეთივე თლილი ქვით.

ეს მონაცემები გვარწმუნებს, რომ ჩვენი მოსაზრება, გიორგი III-ის მიერ აგურით აშენებულ ნაგებობაზე უფრო ძველი შენობის არსებობის შესახებ, სწორეა.

მთელ შენობას, ბუხრიანი ოთახითურთ, 1300 კვ. მ ფართობი უჭირავს, ხოლო დასავლეთის შემდეგდროინდელ მინაშენითურთ — 1700 კვ. მ.


თავისი გეგმით სასახლე წარმოადგენს თითქმის კვადრატს, რომელთა მხარეებიც დასავლეთ-აღმოსავლეთის მხრიდან = 36,30 მ და სამხრეთ ჩრდილოეთისა = 35,70 მ.

შუაში იმყოფებოდა კვადრატული დიდი ოთახი (დარბაზი), რომლის გვერდები = 14 მ, სივრცე-კი = 196 კვ. მ. სადარბაზო ოთახი გადახურული იყო გუმბათით, რომელსაც ზევიდან სინათლის ხერელი ჰქონდა; კუთხიანი ისრული ტრომპებით კვადრატი წრეზე გადადიოდა.

დარბაზის ოთხივე მხრით ისრული თაღებიანი ფრთები იშლებოდა სიგანით 8,20 მ.

სამხრეთის ფრთას, სიღრმით 8,90 მ, სამხრეთით პატარა თალიანი კარი ჰქონდა. გვერდის კედლებში თითო-თითო შეღრმავება ანუ ხერელი იყო. ამ მკლავის თალი ისრულია, რომლის შესამე წახნაგი სამხრეთის მხრით ერწყმის, ისე რომ სამწახნაგოვანი შეკრული კამარა იქმნება, მეოთხე მხრით კი ღია კამარით დარბაზში შედიოდა. 3,70 მ სიღრმის მქონებელ ჩრდილოეთის მკლავს ჩრდილოეთ სათავსოში გასავალი აქვს, აქ იყო კიბე კედელზე ჩრდილო-დასავლეთ კოშკში ასასვლელად.

დასავლეთის ფრთას, დასავლეთ კედელში 5,00 მ სიღრმის მქონებელი კონქი ჰქონდა, სიგანით 5,00 მ და სიღ. 1,00 მ, შეკრული ნახევარფარგლიანი თალით. ეს



გეგ. თი. ბუბრიანი ოთახი აღმოსავლეთიდან

კონქი ალბათ სამეფო ტახტისათვის იქნებოდა განკუთვნილი. გუმბათის ცენტრალური საშუქის გარდა კედლებში უთუოდ ფანჯრებიც იქნებოდა, დასავლეთიდან ნახევარფარგლიანი კამარის ზემოთ და ჩრდილოეთის კედელში შესავალთან.

ცენტრალური სადარბაზო ოთახი მესობელ სათავსოებს კარების ოთხი მალით უერთდებოდა: ორს მათგანს ქვედა სათავსოებში ჩაყვადით, მესამეს — დასავლეთ სათავსოში, მეოთხეს — კი — აღმოსავლეთისაში.

სამხრეთის ფრთის გვერდებს სამხრეთით ისრული თაღებით გადახურული სათავსოები უერთდებოდა.

სამხრეთ-დასავლეთის ოთახს სამხრეთით დიდი $6,50 \times 8,00$ მ ზომის ფანჯარა ჰქონდა, რომელიც იატაკამდის იყო დასული, სიგანით 4,20 მ ამ ოთახის სიღრმეში იყო პატარა სათავსო სიგ. 1,80 მ და სიგრ. 4,70 მ.

სამხრეთ-დასავლეთის კუთხეში რგვალი 4,90 მ დიამეტრის კოშკი იყო.

სამხრეთ-აღმოსავლეთის ოთახის შუაში ისრული კამარა ჰქონდა. ოთახის სიგანე 7,40 მ და სიგრძე 8,40 მ-ია. აქაც სამხრეთით დიდი, სიგანით 3,40 მ ფანჯარა იყო. სათავსოს სიღრმეში სიგ. 2,60 მ და სიგრძით 4,40 მ სათავსო იყო, რომელსაც გასავალი ეზოში ჰქონდა. ამ ოთახს უერთდებოდა ნახევრად რგვალი კოშკი, რომელიც, ალბათ, საგუმზავოც იყო და კედელზე ასავალიც, რომლიდანაც მეორე კოშკში გადიოდნენ.

ჩრდილო-დასავლეთი და ჩრდილო-აღმოსავლეთი სათავსოები ჯერ-ჯერობით გათხრილი არ არის და მათი ზუსტი ზომები და განსაკუთრებული თვისებები გამორკვეული არ არის.

ჩრდილო-დასავლეთი კუთხე 4,80 მ სიგანის და 8,00 მ სიგრძის ოთახს ეჭირა. შესავალი მას დასავლეთიდან აქვს, მაგრამ, ცხადია, შესავალი კუთხიან სათავსოდანაც ექნებოდა. ამ ოთახის იატაკში აბაზანა და თიხის მიღებით წყალსადენიც არის კედელში გაყვანილი. ეს სააბაზანო სათავსო შემდეგში გადაკეთებული იყო აბანოს სამ განყოფილებად: გასახდელ, სააბაზანო და საქვამედ-ჟიანასკნელი მოთავსებული იყო ძალდა, კიბის ადგილას. კიბე გაუქმებულია, რადგან კუთხური საცავე კოშკი საჭირო აღარ იყო. გასახდელ განყოფილებაში მიშენებული კედელი მორთულია აგურებისაგან ორიგინალურად გამოყვანილი სახეებით.

კიბეების სამხრეთით, წინ წამოწეული იყო 2,60 მ სიგანის და 4,20 მ სიგრძის სქელი კედელი, რომლის მარცხენა კუთხე მორგვალეზული იყო. მისი დანიშნულება გამოურკვეველია. სასახლის ჩრდილო-დასავლეთის კუთხე რგვალი კოშკით თავდებოდა, რომლის $d = 4,90$ მ-ია.

ნაგებობის აღმოსავლეთ ფრთის კედელს, ციხის უძველესი ბუხრიანი ნაწილი ერთვის. ამ ოთახის სიგანე 8,20 მ-ია, სიგრძე კი 9,10 მ. ბუხარი სამხრეთ კედლის თითქმის შუაშია მოთავსებული. ბუხრის სიგანე 3,00 მ ია, სიღრმე-კი 2,00 მ. შიგნითი კედელი წყობილია ქვით, წინა ნაწილის ფუძე კი $31 \times 31 \times 9$ სანტ. ზომის აგურით, ნახევარ სვეტის გვარად, რომელსაც სამნახევარი აგურით ამოყვანილი ნახევარფარგლიანი კამარა ეყრდნობა. ბუხრის კამარის ზევით თავსდებოდა საყრდნობი კამარა, რომელიც ისრულ თაღს იჭერდა. გარედგან ბუხარი კედლის ხაზიდან 2,10 მეტრით არის გამოწეული. გარედგან წყობა ქვით



გემუთი. ბუხარი გარედან.

მოპირკეთებულ კედლებისაგან თავისი მხატვრული სხვადასხვაობით განსხვავდება. წყობა მონაცვლეობით 65—70 სანტ. სიმაღლის ქვისაგანა და დუღაბის სქელი ფენით შემტკიცებული აგურის სამი რიგის ჰორიზონტალური სარტყლები-საგან შედგება. აგრეთვე ქვებსა და ქვებს შუა აგურები ასეა განწყობილი: შუაში აგურები სიბრტყეზეა დადებული, ზემოდან და ქვემოდან-კი ასწვრივად აწყობია. ბუხრის გარეგანი მოხაზულობა ზევითკენ თანდათან შევიწროვებულს, წარკვეთილს ნახევარ-კონუსს წარმოადგენს.

ბუხრის აღმოსავლეთით პატარა ფანჯარაა. სათავსოს შიგნით სარდაფის ფოსოა, რომლის სიგანე 5,80—5,90 მეტრ, სიგრძე 6,40 მ-ია. მისი დანიშნულება გამოურკვეველია. შესავალი კარის ზღურბლის ღონე ოთახის იატაკის ღონეს არ ეჭოხვევა, განსხვავება 1,05 მ უდრის. კარის მალეები კი სარდაფის ზევითა და მათი სიმაღლე აქ 2,10 მეტრს უდრის. კედლებში იატაკის კოჭებისათვის არც ბუდეები და არც შვერილები არა ჩანს.

გვერდითი კედლები წყობილია ქვისაგან; სამხრეთი კედელი 3,28 მ სიმაღლეზე, ჩრდილოეთის-კი—3,80 მ, ზემოთ-კი თალის წყობა აგურისაგან არის გამოყვანილი. დასავლეთის კედელი თალის თავამდე ქვით არის წყობილი. აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთის კედლის ნაწილი დანგრეულია და საშუქის რაიმე ხვრეტილების ან შესავალის დადგენა შეუძლებელი ხდება.

ამ სათავსოს სამხრეთით თალიანი ოთახი იყო, მაგრამ მისი ზომის გამოკვევა ჯერ-ჯერობით ვერ მოხერხდა.

სასახლის დასავლეთით შემდეგში მიშენებული იყო ხუთი სხვადასხვა სიგანის თალიანი სათავსოები. ამ ნაწილის უფრო დეტალური აღწერა მხოლოდ გათხრების მთლიანად დასრულების შემდეგ იქნება შესაძლებელი.


ახლა ამ ნაგებობის არქიტექტორული ფორმებისა და კონსტრუქციულ თავისებურებათა ანალიზს შევუდგეთ.

1. სასახლის გეგმის დამახასიათებელ თვისებას წარმოადგენს კვადრატული ფორმის დიდი ცენტრალური სივრცე, რომელიც ტრომპებზე დაყრდნობილ გუმბათითაა გადახურული. ოთხი სწორკუთხოვანი ფრთა, რომელიც ამ კვადრატის მხარეებს ემიჯნება, ამ შინაგან სივრცეს უფრო აღიდებს.


2. კედლები $27 \times 27 \times 6$ სანტ. ზომის აგურით არის წყობილი. აგური არაჩვეულებრივად მტკიცე ხარისხისა და ლამაზი წითელი ფერისაა. მთლიანი წყობა კედლის მთელ სისქეს მისდევს. მაქსიმალური სისქე = 1,80 მ, მინიმალური = 0,80 მ. კედლებში დასაკავშირებლად ხის ძელები იყო ჩაწყობილი. კედლების ქვედა ნაწილი (პანელი) თალის ფეხამდე, ალბათ, მარმარილოთი იყო მოპირკეთებული, თაღები კი შელესილი და მოხატული იყო.

3. საშუქე და კარის მალეები ცოტა იყო. მარჯვენა დიდი ფრთის სამხრეთის კარი ორიგინალურად არის მოფიქრებული: ისრული თალის შიგნითი მალი ფასადისა და ფრთის ნახევარფარგლიან გარეთა თაღებთან არის შეთანხმებული. აქ აზროვნების მარტო თამაშის ნაყოფი კი არ გვაქვს, არამედ ამ საშუალებით თაღზე დაწოლის განტვირთვის საკითხიც არის გადაჭრილი.


4. თალიანი გადახურვა $27 \times 27 \times 6$ სანტ. ზომის აგურისაგანაა. თაღების მინიმალური სისქე 0,50 მეტრია. გარედან კრამიტითაა გადახურული; კრამიტი



გეგუთი. ნახატი 1738 წლის რუკაზე.



გუმბაზი. რუსთავი, საქართველო.



ՀԱՅԿԱՆ
ՄԻՆԵՐԱԿԱՆՆԵՐ


ՀԱՅԿ



ՎՈՒՄ

ՍԵՐԱՍԵՐՆԵՐ

ՎՈՒՄ ԴՐՈՒՄ ԴՐՈՒՄ



დაწყობილია სახურავის მრუდე ფერდობზე და დულაბის სქელ ფენაშია თითქოს შთანთქმული: მისი აცლა შეუძლებელია. ეს ხერხი გამოყენებულია, როგორც დიდი ქარების საწინააღმდეგოდ აუცილებელი საშუალება. იქ, საცა გადახურვა ქვემოდან არა ჩანდა, მოუჭიქავი კრამიტი დაუწყვიათ, სახურავის დანარჩენი უდიდესი ნაწილი კი მწვანედ და მუქი ზეთისხილისფრად მოჭაქული კრამიტით იყო გადახურული. კრამიტი მოყვანილობით ორგვარი იყო: პრტყელი კიდებამწეული ნაპირებით ქვევითი რიგისათვის და ნახევრადრგვალი ზედა რიგისათვის, რომელიც ქვედა კრამიტის ნაპირებს ჰფარავდა.

გუმბათი ეყრდნობოდა კედლებს, რომლებაც ისრულ ოთხ კაშარაზე და კუთხეების ოთხ ტრომპზე იყო დამაგრებული. მისი უმაღლესი წერტილის უშველებელი სიმაღლე იატაკიდან 19—20 მ³ უდრიდა. ქვედა საქცევის (იარუსის) ტრომპებს, კამარებსა და კედლებს თითქოს ფლობდა. შენობის შუაგულში მდგომარე მნახველის თვალი იატაკიდან კამარებზე გადადიოდა და მალა გუმბათს აღწევდა. ნაგებობის ძირითადი წაღილი,—შინაგანი სივრცის სიმაღლითა და სიგანით გაფართოება,—აქ ცხადადაა გამოსახული. გუმბათის დიდი საშუქე, ჭაიდანაც სინათლის დიდი ჩქერი შემოდიოდა, მნახველის შთაბეჭდილებას უფრო აძლიერებდა. გუმბათის დიამეტრი 14 მეტრს უდრის. შესადარებლად მოვიყვან. ცნობებს გუმბათიანი ისტორიული ძეგლების დიამეტრების შესახებ. პანთონის ყველაზე დიდი გუმბათი რომში (II საუკ.)—43 მეტრს უდრის. მაგრამ მისი გუმბათი რგვალ ფუძეზეა აგებული და ეს გარემოება ამ ამოცანის გადაწყვეტას აადვილებდა. კვადრატის ფუძეზე გუმბათის აგების ღონეობა-კი რომაელმა ხუროთმოძღვრებმა არ იცოდნენ. პირველად ის ბიზანტიაში შემოიღეს. აია-სოფიის (VI საუკ.) გუმბათის დიამეტრი 32,59 მ უდრის, კონსტანტინოპოლის სერგის და ბაქსოსის ეკლესიის (VI საუკ.) 15,82 მ უდრის, მარკოზის ტაძარს—ვენეტიკში (ვენეციაში, XI საუკ.)—12,78 მ და მცხეთის ტაძრის (XI საუკ.)—10 მ.

ფასადები თითქმის არ არის გადარჩენილი; სამხრეთის ფასადის ნაშთების მიხედვით-კი კედლები მოჩუქურთმებული არ ყოფილა და სიმარტივითა და ზომიერებით ხასიათდებოდა. მთელ მორთულობას მხოლოდ სახურავის კრამიტების ცისფერი და მუქი მწვანე ფერების ციალება შეადგენდა.

შემდეგი არქეოლოგიური გათხრა საშუალებას მოგვცემს XII ს. ქართული ხუროთმოძღვრების ამ შესანიშნავი ძეგლის, როგორც გეგმა, ისე პროპორციები უფრო ზუსტად დავადგინოთ.

შ ი ნ ა ა რ ს ი

პროფ. ლ. ლ. დეკაპრელევიჩი — შოთა რუსთაველის ეპოქის მინდვრის უმთავრესი კულტურები	83-
პროფ. ლ. ლ. დეკაპრელევიჩი — შოთა რუსთაველის ეპოქის მინდვრის ზოგიერთი უმთავრესი კულტურის სამეურნეო მნიშვნელობა	25
Проф. Л. Л. Декапрелевич — Главнейшие полевые культуры эпохи Шота Руставели	33
Проф. Л. Л. Декапрелевич — Хозяйственное значение некоторых главнейших полевых культур эпохи Шота Руставели	54
პროფ. ს. ჩოლოყაშვილი — მასალები საქართველოს XII—XIII საუკუნეების ვაზის ჯიშების საკითხისათვის	61
მიხ. რჩეულიშვილი — მასალები ქართული ცხვრის შესწავლისათვის	109
ალ. ლოსაბერძენი — საქ. ძველი წყალსადენებისა და არხების ნაშთები	193
შ. სიდაშელი — სხალტა-შიომღვიმის 1202 წ. წყალსადენი (არქეოლოგიური გათხრის ანგარიში)	231
ხუროთ. ლ. რჩეულიშვილი და ნ. ჩუბინაშვილი — XI-XII სს. სიდი მდინარე ბესლეთზედ	267
Архит. Л. Рчеулишвили и Н. Чубинашвили — Мост на реке Беслетме XI—XII вв.	273
თ. ლომოური — ფული შოთა რუსთაველის ეპოქაში	283
ლ. მუსხელიშვილი — დმანისი (ქალაქის ისტორია და ნაქალაქარის აღწერა)	319
არქიტ. ვ. წილოსანი — გეგუთის (ცინე-დარბაზი)	451

ტექნ. რედაქტორი—შ. აბხაიძე
 გამომგებები—ნ. მალანია
 გადაეცა წარმოებას 25/XI -37 წ.
 ხელმოწერილია დასაბეჭდად 8/III—38 წ.

მრავლიტი № ბ-61
 შეკვეთა № 1416
 ტირაჟი 3100
 ზომა 7×11

გამომცემლობა „ტექნიკა და შრომა“-ს სტამბა, ფურცელაძის ქუჩა №5.

